ბაღთელი
საბჭოს
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბაშელი

ივანე ყიფიანი

ქართული საბჭოთა რომანი

ალექსანდრე
აბაშელი

ქალი სარკეში

ფანტასტიკური რომანი

ივანე
ყიფიანი

ამონი
ანუ
ათასი წლის
შემდეგ

ფანტასტიკური რომანი

„მერანი“ თბილისი

1987

84 Гр 7—44
ა 131

ალექსანდრე აბაშელის რომანი „ქალი სარკეში“ და ივანე ყიფიანის „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ“ ქართულ ლიტერატურაში მეცნიერულ-ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოების შექმნის პირველი ცდებია.

ამ რომანების დაწერიდან დიდმა დრომ განვლო. ამ ხნის განმავლობაში მეცნიერებამ გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ, განვითარების ახალ ეტაპს მიაღწია. ბევრი რამ ფანტაზიიდან დღეს უკვე სინამდვილეს წარმოადგენს: სალხის მშვიდობიან საგსახურშია ატომი, წარმატებებია განხორციელდა დედამიწის თანამგზავრის გაშვება, ადამიანის ფრენა კოსმოსში. ახლო მომავალში კაცობრიობა, ალბათ, საპლანეტთაშორისო მოგზაურობის მოწმეც გახდება.

ამდენად, რომანებში შეიძლება მკითხველს ზოგი რამ მოეჩვენოს გულუბრყვილოდ ან მოძველებულად, ზოგი კი მოითხოვს მეტ მეცნიერულ დაზუსტებას, მაგრამ მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ეს არის ფანტასტიკური რომანი, მხატვრული ნაწარმოები და არა მეცნიერული გამოკვლევა.

რომანების მთავარი ღირსებაა მათი თანამედროვეობა, უდიდესი რწმენა ადამიანის გონების უსაზღვრო შესაძლებლობისა, მშვენიერი ოცნება ჩვენი პლანეტის ხალხთა მშვიდობიან თანაარსებობასა და თანამშრომლობაზე კაცობრიობის საუკეთესო მომავლის შესაქმნელად.

შემდგენლები: გ. გვერდწითელი
გ. ფანჯიკიძე

მხატვარი სპ. ცინცაძე

4702017200—165
ა ———————— 14—87
М604(08)—87

© გამომცემლობა „მერანი“.

ალექსანდრე აბაშელი

ქარი სარკეში



ფანტასტიკური რომანი



თქვენს წინ დგას კედელივით მაღალი და განიერი სარკე. განცვიფრებული ისედებით შიგ.

თქვენი სახელია გურგენ, გვარი — კამარელი.

ინჟინერი კამარელი.

ხართ ახალგაზრდა.

კარგად იცით თქვენი საქმე. გიყვართ ფიზიკა და ღირსეულად ატარებთ მოწინავე იდეების გაუბზარავ ჯავშანს. ხართ ოდნავ პოეტი (რადგან ქართველი ბრძანდებით) და გაინტერესებთ ასტრონომია.

გატაცებული ხართ ელექტრონის თეორიით. გულში გინთიათ პატარა ფილოსოფიური სანთელი და კმაყოფილი ხართ, რომ ეს სანთელი საკმაო სიძლიერით აშუქებს თქვენი მსოფლშემეცნების დაბინდულ ბილიკებს. კარგად არჩევთ პაწაწინა, ერთფეროვან, ერისახოვან აგურებს, რომლებისგანაც აშენებულია ჩვენი მრავალფეროვანი, მრავალსახოვანი განუსაზღვრელი მსოფლიო.

დგას თქვენ წინ უზარმაზარი სარკე და თქვენ შიგ ისედებით.

თქვენ ხართ მამაკაცი.

ხომ გაგიკვირდებათ, თქვენი საკმაოდ მოზრდილი და ნაცნობი ცხვირის ნაცვლად სარკეში რომ სრულიად უცნობი მშვენიერი ქალი დაინახოთ?

მე, სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, ვინ არის ეს ქალი.

თქვენ თვითონ მოგიხდებათ ამის გამორკვევა.

არის კიდევ მეორე პიროვნება: ინჟინერი გუსტავ ვაისმანი.

მგონი გერმანელია. მაგრამ რისთვის ლაპარაკობს ინგლისურად?

ვეება სათვალეს ატარებს შავი ნიღაბივით.

მართალი გითხრათ, მეზარება შავსათვალიანი კაცი: ჯაშუშივით გიყურებს თვალებში, შენ კი ვერ ხედავ მის თვალებს და არ იცი, გიცინის თუ გემუქრება!

იქნება ღამით ოთახში შემოგეპაროს, ყელი გამოგღადროს, გაგქურდოს და წავიდეს.

ეზოში სათვალეს მოიძრობს, სანაგვე ყუთში ჩააგდებს და წავა. სულ სხვა სახე აქვს.

შესაძლოა, პირიქით, ძალიან სასარგებლო კაცი გამოდგეს.

ვნახავთ.

ახლა სიუჟეტი.

უნდა მიმადლოდეთ, რომ საპატიო ადგილი მოგეცით რომანში. ხომ შემეძლო მიმეგდეთ სადმე კუთხეში?

მე თქვენ დაგაყენეთ ჯადოსნური სარკის წინ და შემოქმედების ელვარება განთიადის შუქივით ჩავღვარე თქვენს გაოცებულ თვალებში. მე თქვენ მოგეცით იმდენი ძალა, რომ გაფითრებული საბაოთი შიშით შემოგცქერით დაფლეთილი ღრუბლებიდან და არ იცის სად დაიმალოს.

და მთელი ეს ამბავი მოგონილია თავიდან ბოლომდე.

მაგრამ მაინც დაწურული ფაქტოლოგიაა.

რადგან ეხება ხვალინდელ საქმეს.

ხვალინდელი საქმე კი, უფრო მეტი რეალობაა და ფაქტი, ვიდრე გუშინდელი.

ვინაიდან გუშინდელი იყო და გაქრა.

ხვალინდელი მოდის...

თქვენთან საუბარი დიდად სასიამოვნოა, მაგრამ უკვე მესმის, როგორ მოაბაკუნებს ტროტუარზე პატარა ფეხებს ინჟინერი გუსტავ ვაისმანი.

ახლავე შედით თქვენს კაბინეტში და დაუცადეთ. ის თქვენთან მოდის.

I

ინჟინერი ვაისმანი

— ათ საათამდე ნურავის შემოუშვებ ჩემთან.

— მესმის.

ინჟინერი გურგენ კამარელი შედის თავის სამუშაო კაბინეტში, მიუჯდება მაგიდას და პორტფელიდან ქაღალდებს ამოალაგებს.

ღია ფანჯარაში, პატარა ეზოდან, ახლად გაშლილი ყოთ-ლეების შრიალით შემოდის თბილისის მზიანი აპრილი.

კამარელი ერთ ქაღალდს გაშლის და წინ დაიდებს. პორტ-ფელს განზე გადასდებს, ქაღალდი ინგლისური მანქანით არის ნაბეჭდი.

კითხულობს:

„საქართველოს სსრ რესპუბლიკის ელსადგურთა მმართ-ველს ინჟინერ კამარელს.

ჟურნალ „Electricity"-ში წავიკითხე თქვენი მუშაობის შესახებ. ვინაიდან მეც ამ დარგში ვმუშაობ და დაინტერესე-ბული ვარ თქვენ მიერ აღძრული პრობლემით, გთხოვთ გაი-ზიაროთ ჩემი დაკვირვებანი და ზოგიერთი მიღწევა.

ინჟინერი გუსტავ ვაისმანი.

ჩიკაგოს ელექტრო-ინჟინერთა ასოციაციის წევრი.

1931 წლის 12 აპრილი.

თბილისი".

შემდეგ მინაწერი:

„ერთი კვირაა თბილისში ვარ, ჩამოვყევი ამერიკელ ინ-ჟინერთა დელეგაციას. პასუხისათვის გთხოვთ, ნება დამრთოთ პირადად გინახულოთ 14 აპრილს, დილის ათ საათზე".

კამარელი დახედავს მაგიდის კალენდარს:

14 აპრილი. სამშაბათი.

დაიხედავს მაჯაზე: ცხრას ოცი აკლია.

ათის ნახევარზე დიდების ტრანსფორმატორი უნდა დაე-თვალიერებია, მაგრამ წასვლას ვეღარ მოასწრებს; ბარემ და-უცდის უცხოელ სტუმარს და მერე წავა.

— ვინ უნდა იყოს, ნეტავ, ეს ვაისმანი? — ფიქრობს კა-მარელი და თითებით შუბლს ისრესს; უძილობისაგან თავი სტკივა — მთელი ღამე, დილის 6 საათამდე, ლაბორატორიაში მუშაობდა.

რბილი სავარძლის დაქანებულ ზურგზე მსუბუქად დაასვე-ნებს დაღლილ სხეულს და ჩაფიქრდება.

ვაისმანი! ახალგაზრდაა უთუოდ! არსად შეხვედრია ამ სა-ხელს ლიტერატურაში. თუ რამ გასაზიარებელი აქვს, სია-მოვნებით მოუსმენს... მაგრამ ვინ იცის, იქნებ შანტაჟისტია... საბჭოთა ქვეყანაში ამერიკიდან მოსული, ისიც ახალი მიღწე-ვების ძღვენით?! საჭიროა სიფრთხილე..

ოთახში ღია ფანჯრიდან შემოსული გაზაფხულის თბილი ჰაერია და ისმის მწერთა ზუზუნი, თითქო სადღაც შორს ოცნებათა აღმძვრელი ჩონგური წკრიალებდეს...

შემოდის მდივანი და კამარელს წინ დაუდებს სადარბაზო ბარათს.

— სთხოვეთ!

კაბინეტში შემოდის პატარა ტანის მამაკაცი. აცვია რუსი ფრენჩი, თითქმის ნახევარ სასეს უფარავს შავი სათვალე.

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, — დაბალი ხმით და უცნაური ინგლისური ენით ლაპარაკობს უცხოელი.

„რა უსიამოვნო სახე აქვს", — ფიქრობს კამარელი და თავაზიანად ესალმება სტუმარს.

სხდებიან.

— მე თქვენი უცნობი მოწაფე ვარ, — განაგრძობს უცხოელი. — ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა გამოკვლევამ ეთერის რეალობის შესახებ. აქედან გამოდის ელექტრომაგნიტური ტალღების თეორიის ახალი მიღწევები. მე ვიცნობ აგრეთვე თქვენს თამამ ჰიპოტეზას კომეტების მოძრაობის შესახებ. მაგრამ ეს ერთი წელია გატაცებული ვარ თქვენი უმავთულო განათების თეორიით.

— ფრიად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — ბუტბუტებს კამარელი.

— თქვენ არ უნდა გაგაკვირვოთ ჩემმა ჩამოსვლამ. მე შემეძლო ამერიკაში მუშაობა, მაგრამ ვარჩიე თქვენთან თანამშრომლობა.

მცირე პაუზის შემდეგ — უცხოელი განაგრძობს:

— რა თქმა უნდა, ყველაფერი, რასაც ჩვენ გავაკეთებთ, კაცობრიობის კეთილდღეობისაკენ იქნება მიმართული, ჩვენ ვიმუშავებთ უანგაროდ, ყურადღებას არ მივაქცევთ მომაბეზრებელ ოქროს საწყაოს, რომლითაც იზომება დღეს ყოველგვარი მეცნიერული და პოეტური აღმაფრენა. ჩვენს ლაბორატორიაში ოქროს ღმერთს ადგილი არ ექნება!

უცხოელი დადუმდა.

კამარელი გრძნობს გაურკვეველ სიმძიმეს, გრძნობს სადღაც გულის კუნჭულში, რომ უცხოელის ეს სიტყვები ნამდვილი განზრახვის დასაფარავად არის წარმოთქმული. რა საჭიროა ეს აბდაუბდა? პირდაპირ თქვას: ამხანაგო! მე საბჭო-

თა ქვეყნის თანამგრძნობი ვარ და მინდა ვიმუშაო საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში!

— საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში, — თითქო მიუხვდა ფიქრებსო სტუმარი, — მდგომარეობა სულ სხვაა! ამას გარდა, თქვენ ჩემი მასწავლებელი ხართ და მეც მინდა ჩემი წვლილი შეეტანო თქვენს საერთო გარჯაში. იმედი მაქვს თქვენს დიდ მიზნებს ცოტაოდენ სამსახურს მეც გავუწევ!

— ჩემთვის მეტად სასიამოვნო იქნება თქვენი თანამშრომლობა, — თითქო თავისთვის ამბობს კამარელი. — ჩვენი ქვეყანა დგას ღიდი ამოცანების წინაშე. ბევრი რამ არის გასაკეთებელი, დაბრკოლებაც უამრავია და ასეთ დროს თქვენისთანა ღირსეული მუშაკი ჩვენთვის მეტად საჭირო და სასურველია!

უცხოელი ყურს უგდებს კამარელს, ზის უძრავად და იტაკს ჩასცქერის.

— მე წავიკითხე თქვენი დისერტაცია, ბელგიაში გამოქვეყნებული „ელექტრონული ენერგიის ცვალებადობა", — უცებ აწევს უცხოელი თავს და სათვალის ორ შავ ფინჯანს მიაპყრობს კამარელს. მე ფრანგული სუსტად ვიცი, ამიტომ თქვენს ნაწარმოებს ინგლისურ თარგმანში გავეცანი, რომელიც იმავ წელს დაიბეჭდა ნიუ-იორკში. ინგლისურადაც ცუდად ვლაპარაკობ, მაგრამ ეს ჩემი გერმანული წარმოშობის ბრალია... მე ძლიერ დამაინტერესა თქვენმა თეორიამ და მას შემდეგ, ეს იყო ერთი წლის წინათ, ვმუშაობ თქვენ მიერ დასახული მიმართულებით. მადლობა უნდა მოგახსენოთ — თქვენმა წიგნმა სწორ გზაზე დამაყენა: მე უკვე მაქვს ერთგვარი მიღწევა, რაც მიმაჩნია თქვენგან შთაგონებულად და თავს მოვალედ ვრაცხ, უწინარეს ყოვლისა თქვენ გაგიზიაროთ ჩემი დასკვნები.

როცა უცხოელი დისერტაციას ახსენებს, რატომღაც ეს ფაქტი კამარელზე დიდ გავლენას ახდენს და ის უფრო თავაზიანად და თითქმის მეგობრულად მიმართავს სტუმარს:

— ჩემი მხრით უმადურობა იქნება არ დავიფასო თქვენი კეთილშობილური ნაბიჯი. ჩემში თქვენ იპოვით გულითად მასპინძელს და მადლიერ თანამშრომელს. ჩვენ არ ვართ განებივრებული უცხოელი სპეციალისტების ასეთი მოპყრობით

და მით ;ᲠᲔᲢᲔᲡ დასაფასებელია თქვენი უანგარო წინადადება.

— მინდა თქვენთან დავბინავდე და ვიმუშაო თქვენი სელმძღვანელობით, — ამბობს უცხოელი. — ამჟამად მე „ორიანტში“ ვცხოვრობ, მაგრამ ჩემი მუშაობისათვის საჭიროა ლაბორატორია. თქვენი პრობლემა, უმავთულო განათების შესახებ, თქვენ მიერ თეორიულად საკმაოდ დამუშავებულად მიმაჩნია. მაქვს კორექტივი, რომელიც საჭიროებს ლაბორატორიულ ცდებს.

როცა საუბარი კონკრეტულად ეხება კამარელის ჯერ დაუმთავრებელ აღმოჩენას, მასში იღვიძებს მეცნიერ-ენთუზიასტი, უზომოდ გატაცებული თავისი ახალი იდეით, რომელიც ასე ახლოა, თითქმის ცხვირის წინ, მაგრამ ჯერ მაინც ხელშეუსები.

კამარელი ზე წამოიჭრება და ნერვიულად დაიწყებს სიარულს ოთახში.

— თეორიულად დასაბუთებული აღმოჩენა პრაქტიკულად ჯერ ვერ გამოვიყენე. ავანთე სანათური სამი კილომეტრის მანძილზე, მაგრამ მეტად რთული მიმღები აპარატის მოწყობა შეიქნა საჭირო, რაც ჩემს აღმოჩენას უკარგავს პრაქტიკულ მნიშვნელობას. რადიოს პრინციპი აქ განუხორციელებელია: აუარებელი ენერგია უნდა გაიფლანგოს უმნიშვნელო შედეგების მისაღწევად. ამჟამად მე ვისახავ მიზნად ენერგიის არა რკალური მიმართებით, არამედ პირდაპირი საზით გადაცემას.

— აი, სწორედ აქ არის ჩემი კორექტივი, — აწყვეტინებს სიტყვას აღელვებულ კამარელს უცხოელი ინჟინერი. — სწორედ პრაქტიკული მნიშვნელობისათვის საჭიროა ენერგიის, რადიოტალღების მსგავსად, რკალურად გავრცელება, რომ განსაზღვრულ ზონაში ყველგან შესაძლო იყოს, ენერგიის დაცლა.

— ეს იქნებოდა განუსაზღვრელი სივრცის გათბობის უნაყოფო ცდა, — შეედავება კამარელი.

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, — დამშვიდებით უსაბუთებს თავის აზრს სტუმარი, — რომ დიდსანს იყო გაბატონებული ელექტრო-მაგნიტური ძალის შორს მოქმედების თეორია. მაგრამ მაქსველისა და ფარადეის შემდეგ ეს თეორია

დამარცხდა. მათ დაამტკიცეს, რომ ელექტრონის არე იმყოფება განსაკუთრებულ მდგომარეობაში, იგი სავსეა ელექტრონული ძალის მბრუნავი ხაზებით. ამ ხაზების მკვრივი მოძრაობით, შეკუმშვა-გაწევით აიხსნება ნივთიერებათა ურთიერთმიზიდულობა და განტოლვა. ელექტრული ცენტრების გარშემო სივრცე ამოძრავებულია ამ ხაზებით და სწორედ მათი უმეშვეო მოქმედების შედეგია მიმზიდველობისა და უკუქცევის მოვლენები.

— სრული სიმარილეა, — ადასტურებს კამარელი.

— ამას მიუმატეთ, — განაგრძობს სტუმარი, — ლორენცის მიერ აღმოჩენილ სპექტრის ხაზების დაყოფა, რომელიც დაკავშირებულია მაგნიტური ველის დაძაბულობის სიდიდესთან და ელექტრომაგნიტურ ტალღათა ანომალური დისპერსია. სინათლის გავრცელების ელექტრომაგნიტური ბუნების თანახმად სინათლის წყაროდ იგულისხმება ატომის შიგნით მოძრავი ელექტრონი. ელექტრული არე და მაგნიტური ტალღები განსაზღვრულ ურთიერთობაში იმყოფებიან. აქ გამოჩნდა ერთი სრულიად მოულოდნელი კანონი, რომელიც აღმოჩენილი იქნა თქვენი თეორიის წყალობით, ეს არის ელექტრული ტალღების მოძრაობის მოჩვენებითი დეგრადაცია.

კამარელი ყურს უგდებს სტუმარს ფერმიხდილი და უზომოდ გაკვირვებული. იგი გრძნობს, რომ უცხოელი ინჟინრის უხილავი სკალპელი დაურიდებლად სჭრის მისი ტვინის ყოველ ატომს და განსაცვიფრებელი სიცხადით აშუქებს შემეცნების ბურუსში მიმალულ იდეებს.

— ამ კანონის მისედვით ელექტრული ტალღა მაგნიტური დენის არეში იჩენს გასაოცარ თვისებას: გადადის უჩინარ ინერციაში. მე დიდხანს ვიმუშავე ამ კანონის ირგვლივ და მივიღე ფორმულა, რომელიც მაძლევს საშუალებას ელექტრომაგნიტური ენერგიის პასიური ტალღებით გავეღინთო განსაზღვრული რადიუსის სივრცეში შუქმტარი ეთერი. ეს ტალღები ეთერში იმყოფებიან ნეიტრალურ მდგომარეობაში და არა აქვთ მიდრეკილება გავრცელდნენ მათთვის განსაზღვრული წრის გარეშე. თავის პასიურ ყოფაში ეს ენერგია სრულიად შეუმჩნეველია ფიზიკურ და ქიმიურ პროცესში. მარაგი ენერგიისა მუდმივად ინერციულია, ვიდრე იგი სპეციალური აპარატის საშუალებით ცოცხალ ენერგიად არ იქცევა.

— ენერგიას საიდან ღებულობთ? — აწყვეტინებს სიტყვას კამარელი.

— ენერგიას იძლევა ჩვეულებრივი ელსადგური, რომელსაც ემატება მაგნიტური აუზის მანქანა. ეს მანქანა ისეა მოწყობილი, რომ იზიდავს ატმოსფეროში უსარგებლოდ გაბნეული ელექტრონების დიდძალ მარაგს და ინახავს აუზში, ასე ვთქვათ დაკონსერვებულ ელვას. შეიძლება ელსადგურმა მუშაობა შეაჩეროს, ეთერში დაგროვილი ენერგია კი იმუშავებს, ვიდრე სრულებით არ ამოიწურება. ამით რადიკალურად არის გადაჭრილი თქვენს მიერ დასმული საკითხი უპავთულო განათების შესახებ. ცენტრალური ელსადგური განსაზღვრულ სივრცეს ავსებს ენერგიით. განსაკუთრებული ელმეტრით იზომება ეთერის გაჟღენთის ინტენსივობა და რადიუსი. მუშაობის ყოველგვარი მოულოდნელი შეწყვეტა, რაც თანამედროვე დიდ ელსადგურთა უარყოფით მხარეს წარმოადგენს, აქ არავითარ სიფათს არ შეიცავს. სადგურს შეუძლია იმუშაოს როცა უნდა, ოღონდ ეთერში იქონიოს ენერგიის პოტენციური მარაგი. სრულიად უვნებელი და უჩინარი, ასე ვთქვათ — მძინარე ელექტროენერგია შეიძლება გადაყვანილი იქნას კონკრეტულ ფორმაში მხოლოდ განსაკუთრებული აპარატის საშუალებით. ეს აპარატი სრულიად უბრალო და ადვილად მოსაწყობი.

— რაც შორეულ ოცნებაში ბუნდოვნად მელანდებოდა, თქვენს სიტყვებში ხორცს ისხამს! — თითქო თავის თავს ესაუბრება გაფითრებული კამარელი.

— საქმე იმაშია, რომ მძინარე ენერგიას, მაგნიტური ასიმილაციის ერთი თავისებური თვისების გამო, რომლის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ, ეკარგება მოძრაობის სიმძიმე. ამ მდგომარეობაში ის უაღრესად ნეიტრალურია. მაგრამ საკმარისია სადმე მას შეუერთდეს სიმძიმის გამომწვევი წერტილი, რომ იმ მიმართულებით გაექანოს მთელი ენერგია სწორედ ისევე, როგორც ჰერმეტიულად დაცული რეზერვუარის ყოველ სვრელს აწვება შიგ მოთავსებული აირის მთელი მარაგი. ამ აპარატს ექნება სხვადასხვა ზომა და სახე, იმის მიხედვით, თუ რა სამუშაო უნდა შეასრულოს: განათება, გათბობა თუ მოძრაობა. კერძოდ, განათებისათვის საკმაოა ყოველ სანათურს გაუკეთდეს პატარა საათისოდენა მანქანა. შეიძლე-

ბა აგრეთვე მთელი სახლის ან ქალაქის გასანათებლად დამ-ზადდეს ერთი მოზრდილი აპარატი, მსოლოდ ამ შემთხვევა-ში ასეთი აპარატი შეერთდეს მავთულით სინათლის ყველა წერტილთან.

კამარელი დგას უცხოელის წინ გახევებული. ის, რასაც უცხოელი ასე უბრალოდ ამბობს, თავზარდამცემი აღმოჩენაა, ადამიანთა ურთიერთობაში უდიდესი რევოლუციის მომასწავებელი. ეს იყო კამარელის ოცნების საგანი, რომლის განხორციელება მას მომავალ თაობათა საქმედ მიაჩნდა. მისი მუშაობა უმავთულო განათების პრობლემაზე მცირე რამ ნაბიჯია იმ გოლიათურ ნახტომთან შედარებით, რასაც პირდება მეცნიერების უცხოელის პროექტი.

— იცით, რაოდენ შესაძლებლობის შემცველია თქვენი აღმოჩენა? — ეკითხება უცხოელს სახეგაფითრებული კამარელი და ნელი ნაბიჯით უახლოვდება მას.

— ყველაფერი, რასაც მე ვამბობ, უკვე მოცემულია თქვენს წიგნში, — დამშვიდებით მიუგებს უცხოელი. — თუ გასანათებლად შეიძლება ენერგიის ცარიელ სივრცეში უმავთულოდ გადაცემა, რად არ შეიძლება იმავე ენერგიის გამოყენება ძრავისთვის?

— მაშ, თუ თქვენი ფორმულა გამართლდა... ეს განსაცვიფრებელი ამბავია... — კამარელი ჩაიცქერდება უცხოელს სახეში და მსოლოდ ასლა შენიშნავს, რომ მისი სტუმარი უწვერულვაშია, როგორც უასაკო ყმაწვილი, თუმცა საერთო შთაბეჭდილებით ის უნდა იყოს არა ნაკლებ 25 წლისა.

— მე ეჭვი არ მეპარება ფორმულის სისწორეში, — დამაჯერებლად ამბობს უცხოელი, — თუმცა ცდა ჯერ არ ჩამიტარებია, მაგრამ იმედი მაქვს თქვენი ხელმძღვანელობით ეს ცდაც წარმატებით დაგვირგვინდება.

კამარელი გაოცებულია უცხოელის არაჩვეულებრივი თავაზიანობით და ამ გენიალურ აღმოჩენაში საკუთარი დამსახურების გაუგონარი მიფუჩეჩებით. რისთვის აძლევს ასე გულუხვად ქართველ ინჟინერს ვიღაც უცხოელი მეცნიერი თავისი ბედნიერი აღმოჩენის პრიორიტეტს? ხომ არ იმალება ამ გადაჭარბებულ თავაზიანობაში წინასწარ მოფიქრებული მზაკვრობა? მაგრამ კამარელი არ არის გამოუცდელი ჭაბუკი, რომ მაცდურმა სიყალბემ თვალებში პატივმოყვარეო-

ბის მტვერი ჩაუყენოს. მას კარგად აქვს მომარჯვებული ეცნიერული აზროვნების ისარი. ძნელია ბუნების უზისარ ძალთა პირველად თვალის შევლება, უცნაურ კანონთა ბნელი ფარდის პირველი შერსევა, ხოლო თუ თვალმა, თუნდაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ოდნავ შენიშნა ამ ფარდის გრეხილი, მაშინ ადვილია ფარდის ახდა... უცხოელი არა ტყუის. „მძინარე ენერგია" ეს იგივეა, რაც ქვაში მთვლემარე კინეტიკური ძალა, ატომში ჩაჭედილი ქარიშხალი... საქმეა ამ ენერგიის გამოცოცხლება... მაგნიტური გრიგალისა და სიმძიმის ურთიერთობა... ეს ხომ აინშტაინმაც აღიარა, რომ სიმძიმე არის მოძრაობის შედეგი...

— აინშტაინის გენიოსური აზრი, — მეორედ იჭერს კამარელის აზრთა დენას უცხოელი, — რომ სიმძიმე მოძრაობის შედეგია...

— ჩემს აზრს კითხულობ! — შიშით გაიფიქრებს კამარელი და უფრო გაფითრდება.

— ...სავსებით ეთანხმება ჩემს ფორმულას. მაგნიტური დენის აუხი, რომელიც უნდა გაიაროს ეთერში გადაღვრის წინ ელექტროენერგიამ, ანიჭებს მას თვლემის უნარს, რაც აუცილებელია მისი შენახვისათვის. თქვენ რა თქმა უნდა, იცით, რომ ამგვარად დაძინებული ენერგია იმყოფება, ასე ვთქვათ, ლეტარგიაში, ვიდრე იგივე ძალა, მაგნიტური ელვა არ გამოიყვანს მას ასეთი მდგომარეობიდან.

კამარელი მაგიდას მიუჯდება.

— „ჩანს ოცნებაში იხატება ათასი შესაძლებლობა, — ხმამაღლა ოცნებობს კამარელი. — ერთი დიდი ელსადგური, ან რამდენიმე ელსადგურის კომბინატი ავსებს რესპუბლიკის მთელ სივრცეს მძინარე ენერგიით... მიწაზე და წყალზე, ჰაერში, მიწასა და წყლის ქვეშ, ბრუნავენ ძრავები, დაქრიან თვითმფრინავები, ექსპრესები, გემები, ავტოები, მუშაობენ ქარხნები, ტრაქტორები... საჭირო არ არის არავითარი სათბობი მასალა... თვითმფრინავს შეუძლია წლობით იფრინოს ჰაერში, მიწაზე დაუშვებლად, თუ მფრინავებს საკვები ექნება... რადიკალურად გარდაიქმნება კაცობრიობის ცხოვრება..."

— მე მიხარია, — ამბობს უცხოელი, — რომ ეს აღმოჩენა პირველად თქვენს ქვეყანას მოეკლინება.

— და ეს იქნება თქვენი პირადი დამსახურება კაცობრიო-

ბის წინაშე, — ღიმილით ეტყვის კამარელი და სელს გაუწოდებს სტუმარს.

— ჩემი დამსახურების ჯილდოდ, — ამბობს უცხოელი და კამარელს სელს ჩამოართმევს, — მე მოვითხოვ, თუ თქვენ ნებას დამრთავთ, ერთ სრულიად მარტივ პირობას.

— ბრძანეთ!

— ყველაფერი, რაც გაკეთდება ჩვენი საერთო მუშაობით, მიგეთვისებათ თქვენ ერთს. ჩემი სახელი, როგორც თანამშრომლის, არ უნდა გამოჩნდეს.

— მე ვერ მივიღებ ასეთ პირობას, — ამბობს კამარელი. პლაგიატობას ჩვეული არა ვარ, — დასძენს სიცილით.

— პლაგიატობა მაშინ იქნება, რომ მიითვისოთ ჩემი ნამუშევარი. ამ შემთხვევაში, ჯერ ერთი, მთელი ჩემი მუშაობა თქვენს თეორიულ აღმოჩენაზეა დამყარებული და, მაშასადამე, თქვენ ითვლებით ზნეობრივად ჩემს მიღწევათა ავტორად; მეორე — თუ რამ ურევია ჩემი საკუთარი ამ მუშაობაში, ჩემი წვლილიც ჩემის ნებით ჩამიბარებია თქვენთვის. სად არის აქ პლაგიატობა? ამასთანავე უნდა გითხრათ, რომ მე მაქვს განსაკუთრებული მიზეზი, მოგმართოთ ამგვარი თხოვნით. თავის დროზე თქვენ გაიგებთ, თუ რა მამოქმედებს მე ამჟამად ასეთი სიფრთხილით. მერწმუნეთ, რომ არავითარ უღირს განზრახვას აქ ადგილი არა აქვს!

კამარელი უკვე საბოლოოდ რწმუნდება, რომ უცხოელი ინჟინრის სახით მას მოევლინა ხორცშესხმული გამოცანა, რომ ეს იდუმალებით მოცული დარბაზობა მხოლოდ შესავალია მომავალი მოულოდნელობის, რომლის წინასწარი განჭვრეტა შეუძლებელია და უთმობს სტუმარს: პირდება თხოვნის შესრულებას.

— მხოლოდ ერთი პირობით, — დასძენს თავის მხრივ კამარელი, — როცა თქვენი საპატიო მიზეზი გამოირკვევა, უნდა გამოსწორდეს ის ბოროტმოქმედება, რომლის ჩადენას მე თქვენ მაიძულებთ.

— თუ ამას საჭიროდ დავინახავ? — თითქო იღიმება უცხოელი, მაგრამ თვალები შავ ნიღაბში სხედან და ამიტომ ღიმილიც უცნაურია.

II

„ლეტარგინი“

ინჟინერი ვაისმანი გადავიდა კამარელის ბინაზე, ტრიბუნალის ქუჩაზე, სადაც მას დაეთმო ლაბორატორიის მოსაწყობად ერთი განიერი ოთახი.

ვაისმანმა გადმოიტანა თავისი ბარგიც: ექვსი პატარა და ერთი უზარმაზარი ჩემოდანი.

ორი კვირის განმავლობაში კამარელის განკარგულებით ვაისმანი ამუშავებდა სამ რჩეულ ინჟინერს. ზაჰესის მთავარ მაგისტრალიდან გაიყვანეს ლაბორატორიაში ელდენის ხაზი. ვაისმანის ნახაზებით კამარელმა შეუკვეთა ქარხნებს მრავალი ხელსაწყო და მანქანა. ეზოში ამოაღებინეს ღრმა ჭა, რომელშიაც ვაისმანმა ჩამარხა რაღაც ფისისმაგვარი წებოთი სავსე სპილენძის გრძელი მილი. ლაბორატორიიდან ამ მილისაკენ გაიყვანა ტყვიით დაფარული ვერცხლის მავთული და შეუერთა სპილენძის მილს ორმოში, ლაბორატორიიდან სახურავზე გაიყვანა ტელესკოპის ობიექტივით მორთული შვიდი მეტრის სიმაღლის ანძა, წყალქვეშა ნავის პერისკოპისმაგვარი.

ორი კვირის შემდეგ ვაისმანმა დაითხოვა ინჟინრები, ჩაიკეტა ლაბორატორიაში, ამოალაგა პატარა ჩემოდნებიდან აუარებელი ხელსაწყო, სხვადასხვაგვარი რთული აპარატები და შეუდგა ლაბორატორიის მოწყობას.

მაისის 15-სათვის ყველაფერი მზად იყო. დილის 11 საათზე ვაისმანმა ლაბორატორიაში მოიწვია კამარელი.

როცა კამარელი ლაბორატორიაში შევიდა, ერთ ხანს ვერაფერი გაარჩია: ოთახში სრული სიბნელე იყო, როგორც რენტგენის კაბინეტში. ერთ კუთხეში მაგიდასთან იჯდა ვაისმანი, წინ ედგა პატარა შავბაჟურიანი ლამპა იისფერი შუქით.

— მობრძანდით! — მიესალმა ვაისმანი კამარელს და უცებ განათდა ოთახი: საიდანღაც შემოვიდა დღის სინათლე და აავსო ლაბორატორია.

კამარელმა შენიშნა, რომ ლაბორატორიას ფანჯრები არა ჰქონდა, სადაც ოთახს ორი ფანჯარა ჰქონდა, ამჟამად მთელ

კედელზე მიკრულია კინოს ეკრანივით ოთხკუთხი შავი დაფა.

უნებურად თვალებით დაიწყო სინათლის წყაროს ძებნა, მაგრამ ამაოდ.

— ლაბორატორიაში არ ვარგა არც ფანჯრიდან შემოსული მზის სინათლე, არც ჩვეულებრივი ელექტრონის შუქი, — თავაზიანად მიაგება თავისი განმარტება ვაისმანმა კამარელის გაკვირვებას. აი, აგერ დაბრძანდით. ასლა საქმეს შევუდგეთ.

— ვიდრე ჩემი ფორმულის გაშლას შევუდგებოდე, საჭიროა ელექტრომაგნიტურ ტალღათა დისპერსიის ერთ, ღღეამდე შეუმჩნეველ თვისებაზე შევჩერდეთ!

* *

ორი საათი შესრულდა, როცა ცდისათვის ლაბორატორია მზად იყო. კამარელი საკვლევით გაეცნო ვაისმანის ფორმულას და გულის ფანცქალით ელოდა ცდის შედეგებს.

მიუხედავად იმისა, რომ კამარელი მთელი თავისი არსებით გატაცებული იყო ახალი აღმოჩენის სიდიადით, მას შეუმჩნეველი არ დარჩა ვაისმანის გაუგებარი განზრახვა: ისე აესსნა ფორმულის ყოველი დეტალი, რომ უკანასკნელი სიტყვა საბოლოოდ განმარტებისათვის ყოველთვის კამარელს რგებოდა. გამოდიოდა, რომ ვაისმანი კი არ განმარტავდა ფორმულას, არამედ კამარელი, რომელიც ამ საიდუმლო სეანსის დროს ვაისმანზე მეტს ლაპარაკობდა. ფორმულის ნამდვილი ავტორი მხოლოდ კითხვებს იძლეოდა, ისე მოხერხებულად და ოსტატურად, რომ კამარელი დაუყოვნებლივ პოულობდა საჭირო პასუხს, ხოლო ამ განმარტებებს, როგორც საბოლოო დასკვნა, მოჰყვა კამარელის მიერ ვაისმანის ფორმულის, როგორც საკუთარი ნააზრევის გადმოშლა.

ამუშავდა პატარა მოტორი, რომელსაც მძინარე ენერგიით უნდა აევსო ათმეტრიანი რადიუსის სივრცე. ლაბორატორიის კუთხეში მაგიდაზე იდგა პატარა უმავთულო ლამპა, სათანადო აპარატით.

სამ საათზე ელმეტრმა აღნიშნა ეთერის საკმაოდ გაჟღენთვა.

მოტორი შეაჩერეს.

კამარელი დაჯდა უმავთულო ლამპასთან და ვაისმანმა ოთახში სინათლე ჩააქრო.

ლაბორატორია მოიცვა აბსოლუტურმა სიბნელემ.

კამარელმა ლამპის ღილაკს თითი დააჭირა და ლამპა აინთო თეთრი შუქით...

შემდეგ იქვე პატარა ძრავის ბერკეტი გადასწია და მოტორი ასრიალდა უხმოდ და ბორბალმა ტრიალი დაიწყო.

ცდა გამარჯვებით დამთავრდა.

* * *

მეორე დღეს კამარელმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მოხსენება გააკეთა.

საჯარო ცდის მოსაწყობად კამარელს გადაეცა საჭირო თანხა და დაევალა მოსამზადებელი მუშაობის სასწრაფოდ ჩატარება.

ახალი აღმოჩენის შესახებ დეპეშათა სააგენტომ ცნობა გადასცა მთელ ქვეყანას.

* * *

ზაჰესის ერთი გენერატორი გამოყოფილ იქნა კამარელის განკარგულებაში. ვაისმანმა გენერატორის მახლობლად ააგო პატარა კოშკისმაგვარი ქვის შენობა და მოაწყო მაგნიტური დენის აუზი. ამ კოშკს შეუერთა გენერატორის მაგისტრალი. კოშკსა და გენერატორს შუა ააგო ტრანსფორმატორი, სადაც ელდენი მაგნიტურ არეში შესვლის წინ განიცდიდა საჭირო ცვლილებას, მაგნიტის კოშკიდან გამოსული ელდენი შედიოდა განსაკუთრებული ზრუნვით მოწყობილ აპარატში, სადაც ხდებოდა ვაისმანის ფორმულის რეალიზაცია. ეს აპარატი მოთავსებული იყო ზაჰესის მთავარი შენობის გვერდით, საგანგებოდ გაყვანილ გვირაბში, გარეშეთათვის სრულიად უჩინარ ადგილზე. აქედან სპილენძის მავთული უჩინარადვე გადიოდა მთავარი შენობის კედელში და უერთდებოდა სახურავზე მაღალ ანძას, საიდანაც იღვრებოდა სივრცეში ლეტარგინი.

კამარელმა ქარხნებს შეუკვეთა შვიდი სპეციალური თვითმფრინავი და ათი ავტომანქანა. თბილისში ნავთლუღამდე და

ზაჰესის მიდამოებში ააგეს 1.500 მაღალბოძიანი უმავთულო ლამპიონი თითო 10.000 ვატიანი.

პირველი ღია ცდა ჩატარებულ იქნა სპეციალისტთა ვიწრო წრეში.

სუთი ივნისისათვის მზად იყო ერთი თვითმფრინავი, ერთი ავტომანქანა და სამი ლამპიონი.

სხვათა შორის მოწვეული იყო სამი ინგლისელი ინჟინერი. ისინი წინადღით თბილისში ჩამოჰყვნენ მანჩესტერის ფეიქართა დელეგაციას.

დღის 12 საათზე სპეციალისტებმა დაათვალიერეს და შეამოწმეს თვითმფრინავი, ავტომანქანა და ლამპიონების მოწყობილობა, განმარტებას აძლევდა ინჟინერი კამარელი.

პირველის ნახევარზე თვითმფრინავში მფრინავის ადგილი დაიჭირა ვაისმანმა და ჩაისვა სამი მგზავრი, მათ შორის ერთი ინგლისელი ინჟინერი. ავტომანქანაში ჩაჯდა ხუთი კაცი, მათ შორის ორი ინგლისელი.

კამარელმა ნიშანი მისცა და... თვითმფრინავი აიჭრა ჰაერში, ავტომანქანა კი ნავთლუღისაკენ გასრიალდა.

30.000 ვატიანი ლამპიონების ელვარება მზის სინათლეს ეჯიბრებოდა.

დამსწრეთა გაოცებასა და სისარულს საზღვარი არ ჰქონდა.

გაისმა მუსიკის მწყობრი ხმები და „ვაშას“ გრიალი.

თვითმფრინავმა შემოუარა ირგვლივ თბილისის მიდამოებს და ქრილვით დაეშვა იქ, საიდანაც აფრინდა.

ნავთლუღიდან დაბრუნდა ავტომანქანა...

იყო სრული და უდავო გამარჯვება.

საღამოს გაიმართა თაობირი, სადაც გადაწყდა: ივნისის 26-ს, ზაჰესის გახსნის ოთხი წლისთავზე, მოეწყოს „ლეტარგინის“ საჯარო დემონსტრაცია და მოიწვიონ უცსოელი სპეციალისტები.

თბილისი დიდი აღფრთოვანებით ემზადებოდა 26 ივნისის ზეიმისათვის. ზაჰესის ეზოში ააგეს უზარმაზარი ესტრადა ორკესტრისა და გუნდისათვის, იქვე მოეწყო საგანგებო აეროდრომი. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე თბილისამდე და დიდუბის ველზე აშენებულ იქნა ხის ფარდულები ხალხისათვის საჩრდილობლად, წყლისა და სანოვაგის მისაწოდებლად.

დადგმულ იქნა ასი ათასი კაცისათვის სკამები. თბილისში ზეიმის დღემდე ორი კვირით ადრე გათავისუფლდა მდგმურთაგან ყველა სასტუმრო ზეიმზე მოწვეული სტუმრებისათვის.

ევროპის და ამერიკის პრესაში დიდი სენსაცია გამოიწვია საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ცნობამ ცდის შედეგის შესახებ. ამ ცნობის სინამდვილეს, საბჭოთა ქვეყნისადმი სკეპტიკურად განწყობილ ევროპის მეცნიერებს, ურყევად უდასტურებდა სამი ინგლისელის დეპეშები და წერილები. ისინი გადმოსცემდნენ ცდის ყველა დეტალს დაწვრილებით აღწერდნენ შედეგს და აღფრთოვანებით ულოცავდნენ ქართველ მეცნიერებს დიდ გამარჯვებას.

ივნისის 24-ს უცხოელი სპეციალისტები სხვადასხვა მეცნიერულ ასოციაციათა და ორგანოთა წარმომადგენლები, აგრეთვე მუშათა ორგანიზაციების დელეგატები უკვე თბილისში იყვნენ. ზეიმის წინა დღით ჩამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკების და საკავშირო სამეცნიერო და სამრეწველო ცენტრის წარმომადგენლები. თბილისი აივსო სტუმრებით.

ზეიმის დღეს, დილის 11 საათზე, უკვე ყველა მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. მცხეთიდან ნავთლუღამდე გუგუნებდა ღვარად მომსკდარი ხალხის თვალუწვდენი ზღვა. გზა აჭრელებული იყო ათასი ფარდულით, ნოსებით, ნეშოთი და ქოლგებით. საზეიმოდ გამოწყობილი ჯარის ნაწილები, ცალკე რაზმებად დაყოფილი, გადაულახავ ჯებირებად იდგნენ ამ ხალხის ზღვაში და იცავდნენ მიმოსვლის წესრიგს.

შვიდი შავად შეღებილი თვითმფრინავი და ათი წითელი ავტომანქანა მწკრივებად იდგა ზაჰესის აეროდრომზე. ინჟინერ კამარელის განკარგულებით უცხოელი სპეციალისტების თვალწინ მოხსნეს ძრავები და სათანადო შემოწმების შემდეგ ისევ მანქანებში ჩასვეს.

გასინჯეს ელმეტრი: უჩვენებდა — ენერგიით კონცენტრაციის ზრდას.

12 საათზე თბილისმა ზარბაზნის გასროლით ხალხს ამცნო ზეიმის დაწყება.

ზაჰესის შენობის მაღალ ანძაზე ავარდა წითელი დროშა და 700 კაცისაგან შემდგარმა ორკესტრმა და გუნდმა ინტერნაციონალი დააგუგუნა.

ინტერნაციონალის აკომპანიმენტის ქვეშ პირველმა

თვითმფრინავმა შავი არწივივით გააპო სივრცე და აფრინდა. მას მიჰყვა მეორე, მესამე და რამდენიმე წამის განმავლობაში თბილისისაკენ მიჰქროდა წეროებიკით ჩამწკრივებული, შვიდი შავი ფრთოსანი. თვითმფრინავების ჩვეულებრივი გამაყრუებელი გრიალის ნაცვლად ისმოდა მსოლოდ ყრუ გუგუნი. მცირე სნის შემდეგ წითელი ავტომანქანები მწყობრად გასრიალდნენ გზატკეცილზე.

აღტაცებისა და გაოცების გრიგალმა შეარყია ხალხი. მცხეთიდან ნავთლუღამდე ბობოქრობდა მილიონთავიანი ზღაპრული დევი. ზარბაზნების რაზმი, თოფსანის მთაზე ჩასაფრებული, ისევ აგრიალდა. ხალხი ჰგავდა უეცრად აღელვებულ ზღვას და ზღვაზე თითქო მძვინვარებდა გამძაფრებული შტორმი.

როცა თვითმფრინავებმა თბილისის შუაგულში რკალი მოხაზეს, მათ შუა ამოტივტივდა თავისუფლების მოედნიდან აშვებული უზარმაზარი თეთრი აეროსტატი, მაღალტარიანი ვეება წითელი დროშით. კონუსისებური თეთრი ბუშტი თანდათან ზევით იწევდა და მიაფრიალებდა წითელ დროშას, თითქო მყინვარის თავზე დარჭობილი დროშა მოსწყდა მთავრესილს და ცაში აფრინდაო. შავი თვითმფრინავების რკალი ფერხულს უვლიდა დროშის ირგვლივ და მაყრიონივით მისდევდა მზიან ცაში ავარდნილ წითელ ხავერდს.

როცა დროშამ მიაღწია საკმაო სიმაღლეს, მაყრიონს გამოეყო ერთი თვითმფრინავი, დაეწია მას და ფრთის ერთი აქნევით წინასწარ მომზადებული მარყუჟით ზურგზე მოიგდო აეროსტატი; მფრინავმა იმ წუთსვე გასსნა სარქველი და დაფშუკული ბუშტი თეთრ ზოლად დააწვა შავ თვითმფრინავს. მიჰქროდა თვითმფრინავი ზაპესისაკენ და გადაჭრილ ცისარტყელასავით მიაფრიალებდა ორმოცდაათმეტრიან წითელ ხავერდის დროშას. ექვსი თვითმფრინავი ორ წყებად უკან მისდევდა მოწინავეს.

თვითმფრინავები დაეშვნენ ზაპესის აეროდრომზე და ზარბაზნების გრიალიც შეწყდა.

გაიმართა მიტინგი.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ, რომელმაც დაუკავშირა ქართველი ინჟინრის უდიდესი მიღწევა საბჭოთა ქვეყნის უმაგალითო აღმავლობას.

შემდეგ გამოვიდა ინჟინერი კამარელი. საზოგადოება მას ტაშისა და „ვაშას“ გრიალით შეხვდა.

კამარელმა მორცხვად აღნიშნა, რომ მისი მიღწევა უფრო ბედის საქმეა, ვიდრე მისი პირადი დამსახურება, რომ მას საქმეში ეხმარება თანამშრომელი, რომელსაც ჯერჯერობით შეუძლია უწოდოს მხოლოდ ბედნიერი შემთხვევა.

ხალხმა კამარელს ოვაცია გაუმართა და მისი სიტყვები მეტისმეტი თავმდაბლობისა და მორცხვობის გამოვლინებად ჩასთვალა.

ილაპარაკეს სხვადასხვა ქვეყნის დელეგატებმა. განსაკუთრებით აღფრთოვანებული სიტყვა წარმოთქვა ჟურნალ „Electr power-ის“ წარმომადგენელმა.

სამ საათზე მიტინგი დასრულდა.

საღამოს სადღესასწაულოდ გაჩირაღდნებული თბილისი განაგრძობდა ზეიმს. სრულ ათ საათზე მოულოდნელად ჩაქრა ყველგან ელექტრონის შუქი და ერთი წუთით მთელი ქალაქი მისი აგუგუნებული ქუჩებით არაჩვეულებრივმა სიბნელემ შთანთქა. წუთიც... თითქო ღამის ცა გასკდა და მზე გამოჩნდაო, 1500 მაღალ ბოძზე აინთო თხუთმეტ მილიონ ვატიანი ლამპიონი — ქალაქსა და მის მიდამოებში დღის სინათლე ჩაიღვარა.

* * *

კამარელის გამარჯვებამ დიდი სენსაცია გამოიწვია მთელ მსოფლიოში.

სპეციალისტებმა ახლა იკადრეს ხმის ამოღება და აუარებელ გამოკვლევებს ბეჭდავდნენ ახალი აღმოჩენის შესახებ. ევროპისა და ამერიკის ფიზიკურ ლაბორატორიებში გაჩაღდა ცხარე მუშაობა, რათა ფარდა აესადათ კამარელის აღმოჩენის საიდუმლოებისათვის, მაგრამ გამოცანა აუხსნელი რჩებოდა. საბჭოთა ხელისუფლება კი დიდ საიდუმლოებაში ინახავდა კამარელის აღმოჩენას და ემზადებოდა ახალი მეცნიერული მიღწევა გამოეყენებია ასაღორძინებლად.

მეცნიერთა ციებ-ცხელებას მოჰყვა პოლიტიკური პრესის ახმაურება. ლიბერალურად განწყობილი გაზეთები მო-

ითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან დაუყოვნებლივ მოლაპარაკების გამართვას. „თუ საბჭოთა მთავრობას, — წერდნენ ისინი, — რაიმე აგრესიული განზრახვები არ დაუკავშირებია ახალ აღმოჩენასთან, იგი უთუოდ დაამტკიცებს კაცობრიობისადმი თავის ლოიალობას და მთელ ქვეყანას გაუზიარებს მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენას". უფრო „მაგარი" პოლიტიკის გაზეთები აშკარად მოითხოვდნენ ამ „საშიშ" აღმოჩენისაგან საბჭოთა ქვეყნის განიარაღებას. „სად არის გარანტია, — წერდა პარიზელი „Matin — რომ მოსკოვი არ გამოიყენებს ამ აღმოჩენას წითელი იმპერიალიზმის სამხედრო ძლიერებისათვის. არავინ იცის, რა სიურპრიზებს გვიქადის ეს აღმოჩენა სამხედრო ტექნიკის დარგში".

პრესის განგაშმა უფრო იმატა მის შემდეგ, როცა ერთმა ამერიკელმა ინჟინერმა გამოაქვეყნა წერილი: „რას უნდა ველოდეთ?", სადაც ის ამტკიცებდა, რომ მოსკოვს შეუძლია „ლეტარგინით" დატენილი უზარმაზარი ყუმბარა-მანქანების გადმოსროლა განუსაზღვრელ მანძილზე. „საშინელება იმაშია, — წერდა ინჟინერი, — რომ ასეთი მფრინავი ყუმბარების წინააღმდეგ შეუძლებელი იქნება რაიმე ზომის მიღება. ეს იქნება ხელოვნური მეტეორიტი, გაცილებით უფრო საშიში თავისი გამანადგურებელი მოქმედებით, ვიდრე ციდან ჩამოვარდნილი ქვა".

III

მოულოდნელი აღმოჩენა

კამარელმა მთელი აგვისტო დაჰყო მოსკოვში თავისი სამეცნიერო საქმეების გამო.

სექტემბრის პირველს, წამოსვლის წინა დღეს, თბილისიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ორ სექტემბერს მივდივარ როსტოვს ტრანსფორმატორების დასაკვეთად. ათს დავბრუნდები. თუ მანამდე ჩამოხვალთ, სუთ რეგულატორს ჩემს ლაბორატორიაში იპოვით. თორმეტი თბილისის ქარხანას შევუკვეთე.

ვ ა ი ს მ ა ნ ი".

ვაისმანის პირველი შესვენდრის დღიდან სწრაფად ჩაიქროლა ხუთმა თვემ. იმდენმა მოულოდნელმა განცდამ გაანათა ეს საოცარი ამბებით დატვირთული დრო, რომ კამარელს აღარ ჰქონდა საშუალება რამდენიმე წუთით მაინც დაფიქრებულიყო საკვირველი თანამშრომლის ბევრ უცნაურობაზე. მის წინაშე იდგა ვაისმანი, როგორც ძნელად ასახსნელი ამოცანა და გაურკვეველი შიშის მომგვრელი გრძნობა დროდადრო ელვასავით დაჰკრავდა მას, მაგრამ გამარჯვებით აღტაცებულს არ შეეძლო ღრმად ჩაწვდომოდა ამ ფაქტს. დეპეშით გამოწვეულმა მღელვარებამ კვლავ ამარია მის წინ ეს შავი რებუსი და გამარჯვების ეგრიალისაგან ოდნავ დაღლილი მისი გონება დაუბრუნა ბულის მჩხვლეტავ ეჭვებს.

მთელი გზა მოსკოვიდან თბილისამდე ფიქრებით დანისლულმა გაატარა.

სექტემბრის ხუთს კამარელი თბილისში იყო.

თავიდანვე აღელვებული შევიდა ის ლაბორატორიაში, სადაც ყოველთვის განიცდიდა აუხსნელ მღელვარებას. ასლა კი, როცა ვაისმანი იქ აღარ ეგულებოდა, მღელვარებას თან დაერთო გაურკვეველი მოლოდინის დაუთრგუნავი გრძნობა.

ინათა.

კუთხის მაგიდაზე ეწყო ხუთი რეგულატორი.

კედლის ეკრანზე შავი სავერდის ფარდა იყო ჩამოფარებული.

კამარელი მივიდა ფარდასთან და ზონარი ჩამოსწია.

ფარდა გაიხსნა, როგორც სცენაზე.

გამოჩნდა შავი სარკის მაგვარი დაფა, რომელიც კამარელს წინათაც ბევრჯერ ენახა.

დაფის ერთ კუთხეში მან შენიშნა პატარა ყუთი, ადამიანის სიმაღლეზე მიმაგრებული. წინათ ეს ყუთი მას არ შეუნიშნავს.

კამარელმა გააღო ყუთი: შიგ აღმოჩნდა პატარა ბარომეტრისებური აპარატი ბორბლით, ზარით და ხუთიოდე სანტიმეტრის სიგრძის ნიკელის ტარით.

ტარი ფრთხილად დასწია. ბორბალმა ტრიალი დაიწყო და იმავ წუთს ზარმა დაიწკრიალა.

თვალი გააყოლა ყუთიდან კედელზე გაკრულ მავთულს: ზემო კუთხიდან დაფის პირდაპირ მეორე კედელზე გადიოდა

და იქ უერთღებოდა მრიცხველის მსგავს პატარა ოთხკუთხ მანქანას.

ორიოდე წუთს ათვალიერებდა ამ მანქანას, რომ გამოერკვია მისი დანიშნულება.

უცებ ზურგს უკან ზარმა მეორეჯერ დაიწკრიალა.

კამარელი მობრუნდა დაფისკენ და... გაკვირვებისაგან ელდა ეცა.

დაფაში, როგორც განათებულ სარკეში იდგა ახალგაზრდა უცნობი ქალი და გაოცებული თვალებით შესცქეროდა კამარელს.

კამარელმა თვალი მოავლო ლაბორატორიას, თითქო ეძებს სარკეში გამოსახული ქალის ორიგინალსო, მაგრამ დარწმუნდა, რომ დაფა სარკე არ არის და შიგ ჩასახული სურათი მის მიღმა არსებობს.

კამარელი უეცრად მისვდა, რომ ეს არის შ ო რ ე უ ლ ი ს ი ლ ვ ი ს ე კ რ ა ნ ი, რომლის გარშემო დიდი ხანია მეცნიერები მუშაობენ, მაგრამ ასეთი შედეგისათვის ჯერ არავის მიეღწია.

ცოტა გულს მოეფინა: ალბათ აქ არის ვაისმანის საიდუმლოების გასაღები.

ამ დროს ქალი მიტრიალდა და ოთახის კარი მიხურა. მსოლოდ ასლა შენიშნა კამარელმა, რომ ეკრანს იქით სულ სხვა ოთახია: უფანჯრო კედლები უცნაური ფოთლებით და ყვავილებით მოხატული, შუა იატაკზე პატარა სამკუთხა მაგიდა, ირგვლივ სამი მაღალზურგიანი წვრილი ხის სკამი, ეკრანის წინ გრძელი სავარძელი, შუაში ამართული ზურგით.

ქალს ეცვა რაღაც გამჭვირვალე ქსოვილი, რომელიც ფერს იცვლიდა სხეულის ყოველ შერხევაზე. არც ჰგავდა ქსოვილს: ქალს თითქო ცეცხლის ალივით ეფინებოდა მკრთალი შუქი, ფარავდა და არც ფარავდა მის სხეულს. თმაც რაღაც შუქით ელავდა და ქალის სახეს ძველი წმიდანის ფრესკასავით ნაცელის შარავანდედით მოსავდა.

ქალი მობრუნდა და ეკრანთან სავარძელზე ჩამოჯდა, ხელით ანიშნა კამარელს, ისიც დამჯდარიყო.

კამარელმა ეკრანთან მისწია სკამი და დაჯდა.

ქალი თვალმოურიდებლად ჩასცქეროდა კამარელს; თვალებიდან თვალებში გაეცა ორი უსილავი სხივი და დაქროდა

ამ სხივებში ტკბილი შიშის და სანეტარო გაოცების ფრუანტელი.

კამარელი გრძნობდა, რომ მისი სულის საწყაო ივსებოდა უცნობი, წარმოუდგენელი ელვარებით და რაც მეტს უცქეროდა გასაოცარ ჩვენებას, მით უფრო მეტი გამჰაფრებით ზიზღრებოდა მისი თვალები სარკეში მოკიაფე ორ უნახავ ვარსკვლავს.

ძნელი იყო ქალის სახის დაჭერა: ორი თვალი, რომლის მსგავსი არაფერი უნახავს კამარელს, ორი მნათობივით ენთო ქალის სახეზე. ხან თითქო საშინელი მწუხარებისა და ხან უნაპირო სიხარულის გამომსახველი თვალები ფერს იცვლიდა ქალის ნამიან წამწამებში.

ამ ყოფაში გაატარა კამარელმა რამდენიმე გრძელი და მწვავე წუთი.

როცა ოდნავ გონს მოეგო, სცადა გარკვეულიყო.

ცხადია, ეგ არის ვაისმანის საიდუმლო. მაგრამ ვინ არის ეს ქალი? სადაურია? საიდან მოზიდა ჯადოქარი ინჟინერის მიერ გაკეთებულმა ეკრანმა ეს საოცნებო არსება? რომელი ქვეყნიდან? ქალი არ ჰგავს არც ამერიკელს, არც ევროპელს.

კამარელი უცებ წამოვარდა. ქაღალდზე დაწერა ინგლისურად, ფრანგულად და გერმანულად: „სადაური ხარ? რა ენაზე ლაპარაკობთ?" და ქალს გაუშალა ეკრანის წინ.

ქალმა გაიღიმა. (კამარელს გულში თითქო ანთებული ჩირაღდანი ჩაუსვენესო). წამოდგა, მაგიდიდან აიღო პატარა შავი კამათელის მსგავსი ოთხკუთხი რამ, ჩადო განიერ თხელ კამერაში და კამარელს უჩვენა.

კამერის შავ ჩარჩოზე თეთრი წარწერა გამოჩნდა. რამდენსაც არ აკვირდებოდა კამარელი, ვერ გაერჩია რა ენაზე იყო წარწერა. კამარელმა სცადა ხელების და სახის მოძრაობით ეცნობებია ქალისათვის, რომ ვერ გაარჩია ნაწერი.

ქალმა დაფა მაგიდაზე დადო, მობრუნდა და ხელებით რაღაც აუხსნა კამარელს: ჯერ თითი თითს გადააჭდო ჯვარედინად, მერე მარჯვენა ხელი ჭერისაკენ ამართა, შემდეგ უკანა კედლისაკენ გაიშვირა. მერე მოტრიალდა და კედელთან მიდგა. უცებ კედელი გაიხსნა და გამოჩნდა ნარინჯისფრად შეფოთლილი ბაღი და ჩამავალი, თუ ამომავალი მზე.

კამარელმა საათს დახედა. დილის 11 საათი იყო. დაიწყო

სწრაფად მოფიქრება თუ რომელ ქვეყანაშია მზე ასლა ამომავალი ან ჩამავალი. ამოდის აფრიკაში და საბჭოთა კავშირის დასავლეთ მხარეზე... ჩადის წყნარ ოკეანეზე... მაგრამ წითლად შებურვილი ბაღი ადრე გაზაფხულზე... უფრო მოსალოდნელია აფრიკაში.

ქალი მიბრუნდა და კამარელს ხელით მზე ანიშნა, დახურა კედელი, გაიღიმა, ხელები ფრთებივით გაასავსავა და ეკრანის კუთხეში ტარი ჩამოსწია.

უცებ ჩაქრა ეკრანი და კამარელსაც გულში ძაფი ჩაუწყდა. შავად გაპრიალებული დაფა გულგრილად ამტკიცებდა, რომ მოჩვენება გათავდა.

კამარელმა დაკეტა ეკრანის ყუთი და ოთახში ნერვიულად დაიწყო სიარული.

ვაისმანის საიდუმლოებას თითქო მიაგნო, მაგრამ თვით საიდუმლოება უფრო დამძიმდა, ბურუსით შეიმოსა. რა დამოკიდებულება აქვს ვაისმანს ამ ქალთან? სად არის ამჟამად ეს ქალი და ვინ არის იგი? ტყვედ ხომ არ ყავს დამწყვდეული სადმე ამ ასალი ტიპის მაგიის მოციქულს მშვენიერი არსება, რომ ქალის პატრონს ზღაპრული ჯილდო დასტყუოს? ან იქნებ სიყვარულმა იმდენად გაამხეცა ძლევამოსილი მეცნიერი, რომ სადმე მიუვალ კუნძულზე ჩამარხა მისთვის ურგები ძვირფასი საუნჯე და დაუტოვა მთელი ცის ქვეშ მხოლოდ ერთი ფანჯარა, ეს თილისმიანი ეკრანი, რომ განრისხებული მიჯნურის მეტს არავის შეეძლოს მისი ნახვა!

დიდხანს ფიქრობდა კამარელი, ათასგვარ ასსნას ეტანებოდა მისი აბორგებული გონება, მაგრამ ვაისმანის ბნელ საქმეს ნათელი ვერ მოჰფინა.

— საჭიროა ოდნავ დამშვიდება, რომ ფხიზელმა გონებამ ასწონოს ეს აუტანელი ტვირთი, — გაიფიქრა ბოლოს კამარელმა, დააქრო სინათლე, დაკეტა ლაბორატორია და გარეთ გავიდა.

ქუჩის ჰაერმა, ნაცნობების მისალმებამ და ქალაქის ჩვეულებრივმა მოძრაობამ კამარელი თანდათან რეალობას დაუბრუნა.

ქვეითად გაიარა ჭავჭავაძის ქუჩა და რუსთაველის გამზირი.

აზავთებული გრძნობა ნელინელ დაცხრა, მაგრამ სარკეში მოულოდნელად აელვებული ქალის სახე არ შორდებოდა.

თანდათან ჩალაგდა გონებაში ამ უცნაური მოვლენის ბუნებრივი ახსნა.

ვაისმანი დიდი მეცნიერია. რა გასაკვირია, რომ მას ასე ბრწყინვალედ გადაუჭრია შორეული ხილვის მაცდური პრობლემა? განა მისი „ლეტარგინი" ნაკლები გენიოსობის უცნაურობაა?

და სადღაც გულის შორეულ კუნჭულში სევსმა უჩსვლიტა. ეს გაზვიადებული აღელვება, ბავშვური გაოცება და თითქმის მისტიური შიში იმის პრალი ხომ არ არის, რომ ეცნიერულ აღმოჩენასთან დაკავშირებულია მშვენიერი ქალი? რამ უფრო ააღელვა კამარელი: ეკრანმა თუ ქალმა?

კამარელმა მოკლედ შეკრეჭილ ულვაშში ჩაიცინა: ესღა აკლია „სასელოვან მეცნიერს", რომ სარკის აჩრდილს აედევნოს.

ვიდრე სასახლეს მიაღწევდა, მან უკვე სავსებით დაიურვა ასე უცბად ასლეტილი გრძნობიერება, რომელიც გახედნილი რაშივით ლაგამამოდებული ბორგავდა მუდამ კამარელის არსებაში, მეცნიერული სიდინჯით დათასმული.

სასასლის კიბის საფეხურს ისე მარდად შეასტა, თითქო გაქანებულ უზანგში ფეხი მოიმაგრაო.

*

ღამით შინ გვიან დაბრუნდა.

დღეს ბევრი იმუშავა და მისი ვაჟკაცური ჯანით სავსე ტვინი კმაყოფილი იყო. როგორც ჯანსაღი ბავშვისთვის მოძრაობა და განუწყვეტელი ფუსფუსი საამური მოთსოვნილებაა, ისე კამარელისთვის მოზღვავებული ენერგიის ხარჯვა წარმოადგენდა აუცილებელ სტიქიას, რომლითაც იგი სუნთქავდა, როგორც ჰაერით.

დღესაც ჩვეულებრივი გატაცებით უტრიალებდა თავის საყვარელ საქმეს, მაგრამ თითქო რაღაც ასალი მიემატა მის მუდმივ აღფრთოვანებას. სადღაც გულის მივარდნილ კუნჭულში იდგა ანთებული სარკე, საიდანაც ელავდა უცნობი ქალის მომაჯადოებელი მშვენიერება. გაცსარებულ საქმია-

ნობაში, მწვავე კამათის თუ დიდი გააზრების დროს, კამარელის შინაგანი ჭკვრეტის თვალი განუწყვეტლივ ჩასცქეროდა სარკეში მოელვარე ჩვენებას და გადაჰქონდა ქვეშმეცნების ფარულ არეში გაოცების, სიყვარულისა და იმედის უხილავი ფრთები.

მაგრამ ყველაფერი ეს გარეგნულად შეუმჩნეველი იყო კამარელისათვის და მის ღია თვალებში ძველებურად ენთო დაჯერებული ქმედობის ენერგია.

ტანთ გაისადა. დაწვა. სიამოვნებით დაასვენა ლოყინზე სიჩუმეს და სიმშვიდეს მოწყურებული სხეული.

შექი ჩააქრო.

და უცებ წარმოუდგენელი სიცხოველით იელვა ეკრანმა და კამარელის თვალწინ აენთო უცნობი ქალის ნაცნობი სახე.

კამარელი წამოსტა და შუქი აანთო.

მოჩვენება გაქრა, მაგრამ კამარელის გულში კატასტროფა მოსდა: დღევანდელი მოჩვენებითი სიმშვიდე, გარეგანი თავდაქერილობა და სულიერი წონასწორობა დაარღვია მოულოდნელმა ვაელვებამ. იგი კვლავ შეიპყრო მოლოდინის მოუსვენარმა გრძნობამ და გულმა, სისხლის ნაცვლად ცეცხლის ალით გაუბერა ძარღვები.

სალათი ჩაიცვა და ფანჯარა გამოაღო.

ირგვლივ სიწყნარე სუფევდა. ისმოდა დაგვიანებული ტრამვაისა და ცარიელ ქუჩაში აუჩქარებელი ავტომანქანის შორი გუგუნი.

მთაწმინდიდან გრილმა ნიავმა დაჰბერა.

კამარელი მიეყრდნო ღია ფანჯრის ჩარჩოს და უბრძოლველად დანებდა აუტანელი აღტყინების ძლევამოსილ ქარიშსალს. შავარდენმა ერთი დაკვრით აიტაცა გნრლი და ცაში ააფრინა...

კამარელი იყო 30 წლისა. თბილისში უმაღლესი სკოლის დასრულების შემდეგ იგი უცხოეთში იქნა გაგზავნილი სპეციალური განათლების მისაღებად. დიდი წარმატებით დაამთავრა ბელგიაში ფიზიკა-მათემატიკური ინსტიტუტი, შემდეგ ორ-ორი წელი იმუშავა გერმანიასა და ინგლისში და

საქართველოში დაბრუნდა უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი მეცნიერი... აქ მთელი ენერგიით ჩაება საქართველოს ელექტროფიკაციის საქმეში და თავდავიწყებით მუშაობდა. ცოლის შერთვაზე არასოდეს არ უფიქრია. ყოველთვის, როდესაც შესაძლებელი იყო ქალთან ნაცნობობა გასცილებოდა უბრალო ჰეგობრობის ფარგლებს და გადაზრდილიყო უფრო სერიოზულ ურთიერთობაში, მოულოდნელად ისე იცვლებოდა ვითარება, რომ კამარელს არ შეეძლო რაიმე სერიოზული გადაწყვეტილების მიღება. დარწმუნებული იყო, რომ ქალის საკითხი მის ცხოვრებაში არასოდეს არ დაიჭერდა სერიოზულ ადგილს. იგი მთელი თავისი არსებით ეკუთვნოდა მეცნიერებას, შემოქმედებას, და მისი ღრმა რწმენით ოჯახი დღევანდელ პირობებში ხელს შეუშლიდა მის ნაყოფიერ მუშაობას. ასეთ მშვიდ სულიერ განწყობილებაში გრიგალივით შემოიჭრა ჯადოსნური ეკრანიდან ამოვარდნილი ქალის სახე და საშინელი გამძაფრებით დასჭიმა მისი აცასცასებული ნერვები. კამარელის არსებაში მოსდა მოულოდნელი გარდატეხა. შური იძია დაუშრეტი წყურვილის მარადიულმა ძალამ და თავდაჭერილ მეცნიერს მოულოდნელად მოუვლინა მარადისობის ფანჯრიდან თავბრუდამხვევი ჩვენება. მეცნიერი ძლეულ იქნა სავსებით. განთიადის შუქმა ნელ-ნელა გაანათა ფანჯრის ჩარჩოს მიყრდნობილი კამარელი, რომლის გულში უკვე ტასტი ედგა მძლეთამძლე სიყვარულს.

მზის ამოსვლამ კამარელს მოაგონა გუშინ ეკრანზე ნანახი ამომავალი (თუ ჩამავალი) მზე. მოაგონდა ქალის უცნაური მორიულობა და ბინა. სადაურია? რა ტომის? ვაისმანის დაბრუნებამდე უნდა მოასწროს ქალის ვინაობის გამორკვევა, რომ მომზადებული დასვდეს მოსალოდნელ ბრძოლას საშიშ მეტოქესთან. ვაისმანთან ბრძოლა ძნელია, უფრო საშიში იქნება ეს ბრძოლა, თუ ოდნავ მაინც არ გაანათა ბრძოლის ასპარეზი. სიყვარულის უზვეულო გრძნობით დამთვრალი გონება დასცურავს ანთებულ ოცნებაში და იმედის და სასწაულის ცისფერი ფრთები შრიალებენ, შრიალებენ და გაუგონარი მუსიკის ელვარე ხმები შორს მიაქანებენ კამარელს უნახავი ქვეყნის ბრწყინვალე სანაპიროებისაკენ...

ათის ნახევარზე უკვე ლაბორატორიაში იყო.

გადასწია ფარდა, ეკრანის ყუთი გააღო და მანქანა აამოძ-

რავა. ზარმა დაიწკრიალა და კამარელის აფარცქალებული გული ცეცხლის ალმა ჩასძირა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ზარმა პასუხი დარეკა და ამავე დროს ეკრანს იქით გამოჩნდა მეორე ოთახი: გუშინდელი ქალი იდგა ეკრანის კუთხეში და მარჯვენა ხელი გაწვდილი ჰქონდა მანქანის ტარისაკენ.

გაუღიმა კამარელს და ხელები ფრთებივით დაუქნია.

კამარელს ლასვარივით მოსვდა გულში ქალის უცნაურად ანთებული თვალები. იმ წამსვე მიხვდა და დარწმუნდა, რომ წუსანდელი ჰალუცინაცია და სულიერი ბრძოლა იყო არა მოჩვენება და წარმავალი მღელვარება, არამედ მისი ბედის საშიშარი უღელტეხილი, რომ მისი სიცოცხლე ამიერიდან გადაბმულია ამ ქალთან და არ არსებობს ამ სასწაულებრივი კავშირის გამთიშველი ძალა.

დაჯდა და ქალს მიაშტერა სიყვარულით სავსე თვალები.

ქალიც დაჯდა.

ხმაამოუღებლად, გაუსძრევლად ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და თვალებით გაუგებარ ენაზე საუბრობდნენ.

დიდი ხნის შემდეგ ქალი წამოდგა, ორივე ხელი მიიტანა თვალებთან და ისეთი მოძრაობით, თითქო თვალები ამოიძროო კამარელს ხელები გაუწოდა და გაიღიმა. კამარელმაც მექანიკურად გაუწოდა საპასუხოდ ხელები და თავი დაუქნია. ეს უცნაური მოძრაობა კამარელმა გაიგო, როგორც ნიშანი ქალსა და ვაჟს შორის ურყევი კავშირის დამყარებისა.

კამარელი წამოდგა. უკანა კედელს ხელი შეახო და მუნჯურად ანიშნა ქალს, გუშინდელივით გაეხსნა მისი ოთახის კედელი.

ქალი მაშინვე მისვდა, გაიღიმა და კედელი ფარდასავით გასწია.

გამოჩნდა წითელი ოქროთი შებურვილი ბაღი და მზე.

ანიშნა ხელებით: მზე ამოდის თუ ჩადის?

ქალმა ხელებითვე უპასუხა, რომ მზე ჩადის.

კამარელი განცვიფრდა: მზე ჩადის ახლა წყნარ ოკეანეზე. იმ მერიდიანზე არსად კუნძული არ არის...

ქალი მობრუნდა, კამარელს რაღაც რთული ნიშანი მისცა. ბუნდოვნად მიხვდა კამარელი, რომ ქალი სადღაც მიდის და ხუთი დღის განმავლობაში ვერ ნასავს მას. მაგრამ შემ-

დეგისათვის სამაგიეროდ პირდება რაღაც სასისარულოს: ყურებზე ხელები მიიდო და ტუჩები აამოძრავა, — უოუოდ უთხრა რაღაც:

იქნება ქალი უკვე მიხვედრილია, სად იმყოფება კამარელი და მასთან მოსვლას აპირებს? ხუთ დღეში გადალახავს კამარელისათვის უცნობ მანძილს და შორეული აჩრდილი ხორცშესხმულ არსებად იქცევა.

ვიდრე კამარელი ამ მოსაზრებებს ზომავდა, ქალმა გამომშვიდობების ნიშანი მისცა მას და ეკრანი ჩააქრო.

* * *

ვაისმანის დაბრუნებამდე კამარელმა გაატარა ხუთი დაუსრულებელი საუკუნესავით გრძელი დღე.

ყოველ დილით მიდიოდა ეკრანთან, რეკდა, საათობით ელოდა, მაგრამ პასუხი არ იყო. ამ გარემოებამ იგი დაარწმუნა, რომ დაასლოებით სწორად გაიგო ქალის ნიშანი და მოსალოდნელი იყო ახალი რამ. აშინებდა ვაისმანის და ქალის ერთდროულად ჩამოსვლის შესაძლებლობა.

სექტემბრის ათს, დაპირებისამებრ, ვაისმანი როსტოვიდან დაბრუნდა.

ათასჯერ მოფიქრებული შეკითხვები ვაისმანის დანახვისთანავე კამარელის თავში აირია უთავბოლო ქაოსად. კამარელი შიშის ზარმა აიტანა და მთელი დღის განმავლობაში სიტყვა ვერ დასძრა ეკრანის შესახებ.

ვინ იცის, როგორ შესვდება ვაისმანი მის შეკითხვას. ვინ იცის, რა კავშირი არსებობს ეკრანის ქალსა და ვაისმანს შორის? იქნება რაიმე მოსაზრებით მეცნიერი ქვეყანას უმალავს ამ ქალს და კამარელის დაუპატიჟებელ ჩარევას, ამ საიდუმლო საქმეში, შესაძლოა მოჰყვეს კამარელისათვის საშინელი შედეგი: მეცნიერი მოხსნის ეკრანს და სხვაგან გააკეთებს სადმე მიუწვდომელ ბუდეს. მაშინ ხომ სამუდამოდ დაჰკარგავს იგი საყვარელ ქალის თუნდაც შორეული ხილვის საშუალებას? მეორე მხრივ, ქალის მიერ დანიშნული ხუთი დღე გადის და ყოველ წუთს მოსალოდნელია ეკრანიდან ნაჩვენები ბნელი შიფრის გახსნა.

ვაისმანი მთელი ღამე მუშაობდა ლაბორატორიაში.

კამარელს მთელი ღამე არ ეძინა და ნერვებდაჭიმული ბორგავდა თავის კაბინეტში.

მეორე დილით, საუზმის დროს ვაისმანმა ჩვეულებრივ საუბარში მოულოდნელად ესროლა მღელვარე მოლოდინით დათასმულ კამარელს კითხვა:

— თქვენ ჩემი ეკრანი ნახეთ?

ტყვიასავით მოხვდა კამარელს ეს შეკითხვა. გაფითრდა, გაქვავდა, თავს ძალა დაატანა, გაიღიმა და ძლივს გასაგონად წაიბუტბუტა:

— მარილა, სრულიად შემთხვევით წავაწყდი, როცა...

— მე ბოდიშს ვიხდი თქვენთან, — გააწყვეტინა სიტყვა ვაისმანმა, — რომ თვითონ არ გაცნობეთ ჩემი ახალი გამოგონების შესახებ, მაგრამ ჯერ ცდა დამთავრებული არა მაქვს და სიურპრიზს ვამზადებდი თქვენთვის... უნდა იცოდეთ, — ღიმილით განაგრძო ვაისმანმა, — რომ ეს მიღწევაც მორიგი გამარჯვებაა თქვენი გაბედული ჰიპოტეზისა — ელექტრომაგნიტურ ტალღათა ცვალებადობის შესახებ.

— მართალია, — შორეული ხილვის პრობლემა მე დავუკავშირე ჩემს ჰიპოტეზს, — თითქო თავს იმართლებსო, დარცხვენილი ტონით წარმოსთქვა კამარელმა, — მაგრამ განსაკუთრებულად ჯერ არ მიმუშავია ამ დარგში და მე მახარებს თქვენი ახალი გამარჯვება.

კამარელი გრძნობდა, რომ სხვა დროს ეს აღმოჩენა აავსებდა მას განუზომელი სიხარულით, მაგრამ ამჟამად მასში სდუმდა ენთუზიასტი-მეცნიერი და ღელავდა და იტანჯებოდა ჩვეულებრივი მიჯნური. მას ახარებდა ვაისმანთან მშვიდობიანი საუბარი. ამ საკითხზე და ეძებდა მარჯვე შემთხვევას ეკითხა ქალის ვინაობა.

— ეკრანთან შეერთებულია ქალი, — გააწყვეტინა ფიქრი ვაისმანმა, — რომლის ვინაობა და ადგილი ჯერ არ მაქვს გამორკვეული.

ამ სიტყვების გაგონებაზე კამარელს ტანში გააჟრჟოლა.

— ერთსა გთხოვთ, — ბეჯითად წარმოთქვა ვაისმანმა და კამარელს სათვალეები შავად მიანათა, — რამდენიმე დღეს, ვიდრე საბოლოოდ დავამთავრებდე ცდას, ეკრანის შესახებ ნურაფერს მკითხავთ და როცა დავასრულებ მუშაობას, თვითონ დაგიძახებთ.

კამარელი გაშრა, განცვიფრდა, როგორ შეიძლება ვაისმანმა არ იცოდეს ქალის ვინაობა? მაშ ვინ, აუგო ამ ქალს ისეთივე ეკრანი, როგორიც ვაისმანის ლაბორატორიაშია? სტყუის უთუოდ ვაისმანი, დროის მოგება უნდა, რომ დაუკითხავად შემოჭრილ ცნობისმოყვარისაგან თავი დააღწიოს და თავისი საიდუმლოება ფარულად შეინახოს. ვაისმანი იწყებს ბრძოლას და კამარელს არაფერი დარჩენია იმის გარდა, რომ გამოწვევა მიიღოს, რაც არ უნდა დაუჯდეს.

— კეთილი. თქვენი ლაბორატორია თქვენს განკარგულებაშია, — ოდნავ საყვედურით უპასუხა კამარელმა, მაგრამ ვაისმანი უკვე ფეხზე იდგა და სათვალეს ისწორებდა. საყვედური არ შეიმჩნია, მხიარულად თავი დაუქნია კამარელს და დაუმატა:

— ჩვენი კავშირი, მეგობარო, ბევრ ასალ გამარჯვებას გვიქადის. ახლა კი წავიდეთ.

— თქვენ მგონი ქარსანაში უნდა წახვიდეთ? — შეეკითხა კამარელი.

— დიახ.

კამარელმა საათს დასედა.

— პირველს ოცი აკლია. მე გამგეობაში მიცდიან, — აიღო პორტფელი და გაჰყვა ვაისმანს.

კამარელს არ უნდოდა ვაისმანთან ერთი გზა ჰქონოდა. შინ დარჩენაც უხერხულად მიიჩნია ამ ლაპარაკის შემდეგ და ამიტომ იცრუა გამგეობის სხდომა მაქვსო.

ქუჩაში ერთმანეთს რომ დასცილდნენ, კამარელმა ზემოთ აუხვია და ათ წუთში შინ დაბრუნდა.

საჩქაროდ შევარდა კაბინეტში, დააგდო პორტფელი და ტუდი მაგიდაზე და ლაბორატორიაში შევიდა.

ყველაფერი ერთ წუთს მოისაზრა:

ვაისმანსა და ქალს შორის არ უნდა იყოს კარგი ურთიერთობა. ქალს კამარელი უყვარს, ყოველ შემთხვევაში ამჟამად სხვაგვარად შეუძლებელია მისი მოქმედების ახსნა. მაშასადამე, ვაისმანის წინააღმდეგ ბრძოლას ქალთან კავშირი ხელს შეუწყობს. საჭიროა მისი სასწრაფოდ ნახვა, რომ უკანასკნელი ძალის მოკრებით გააგებინოს საქმის მდგომარეობა და როგორმე გაიკვლიოს მისკენ გზა.

დარეკა ეკრანზე. თვალებში თითქო სისხლი მოაწვაო.

ნუთუ, დღესაც უპასუხოდ დარჩება მისი აწრიალებული სულის კივილი?

იმავ წუთს გამოჩნდა ქალი, სხვანაირად ჩაცმული: ცისარტყელას შვიდფერ ალში გახვეული ელვარებდა ფინეღილივით ანთებული, იცინოდა და ხელების ქნევით, თითქო ცეკვავსო, სალამს აძლევდა კამარელს. შემდეგ ეკრანის ჩარჩოდან ჩამოსსნა რადიოს ტელეფონის მაგვარი აპარატი და ყურებზე გაიკეთა.

ანიშნა კამარელს.

ეკრანის ჩარჩოზე კამარელის მარცხნივ ეკიდა იმგვარივე ტელეფონი.

კამარელი მივარდა აპარატს და საჩქაროდ თავზე წამოიცვა.

იმავე წუთს ყურები აევსო დამატკბობელი ამითა: ქალი ლაპარაკობდა. მაგრამ სიტყვები იყო გაუგებარი: „Sanor den Obra ver gara, Obran sanoren largo" თითქო მღეროდა უცნაურ სიტყვებს და ნათლით მოსილი სახის ელვარებას აფრქვევდა ეკრანზე.

როცა მისწყდა ქალის მელოდიური ღუღუნი, კამარელმა სცადა პასუხის გაცემა. ქალი სმენად იქცა, მაგრამ კამარელმა შეატყო, რომ ვერაფერი გააგებინა. მაშინ ტელეფონი მოიხსნა, მობრუნდა უკან. კარადის თავიდან ჩამოიღო გლობუსი და ეკრანთან მიიტანა. დიდი წვალებით ანიშნა ქალს, როგორმე ეჩვენებია გლობუსზე ის ადგილი, სადაც ის იმყოფებოდა.

ქალი დააცქერდა გლობუსს, რომელსაც კამარელი ნელი-ნელ ატრიალებდა, მაშინვე მოშორდა ეკრანს და მეორე ოთახში გავიდა. მალე დაბრუნდა გლობუსით ხელში და კამარელის წინ პატარა მაგიდაზე დადო.

გლობუსი იყო შავი, თეთრ-ყვითელი ხაზებით აჭრელებული და თავისთავად ტრიალებდა.

კამარელი ეცა გლობუსს, დააკვირდა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია: ვერც ერთი ხაზი ვერ იცნო.

ქალს შესედა, თითქო მისგან ელის ახსნასო...

ქალი იდგა ცისარტყელაში ამოვლებული და ორი საკვირველი თვალი ორი ვარსკვლავივით შეჰნათოდა კამარელს.

შავი გლობუსი ოდნავ ტრიალებდა, ხოლო გარინდებულ კამარელს საშინელი წინათგრძნობისაგან სისხლი უცივდე-

ბოდა ძარღვებში. დააცქერდა გლობუსს და როცა ჩრდილოეთის პოლარულ წრეს თვალი შეავლო, თავში უეცრად იელცა გულის გამგმირავმა სიტყვამ: მ ა რ ს ი!

და ყველაფერი ერთი წამის განმავლობაში ცხადი და ნათელი შეიქნა: კამარელი ელაპარაკებოდა მარსელ ქალს, 100 მილიონზე მეტ კილომეტრის მანძილით დაშორებული და ამ დაუძლეველი უფსკრულის გაყინული სივრცე სამუდამოდ აქრობდა ყოველგვარ იმედს და მის საბედისწერო სიყვარულს უკარგავდა ყოველგვარ აზრს.

გულმა მთელი სისხლი ჯერ ტვინს შეასხა, შემდეგ უკანასკნელ წვეთამდე უკან შეისრუტა და ძარღვებში ჩაჰკეტა. მკვდარივით გაფითრებულმა კამარელმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი საყვარელ ქალს და გულწასული იატაკს დაენარცხა.

როცა გონს მოვიდა, თავის საწოლ ოთახში იწვა და ექიმი მაჯას უსინჯავდა.

ვაისმანი ფანჯარასთან იდგა და ქუჩას გასცქეროდა.

IV

ფაკითხული არხები

კამარელმა გადაიტანა ნერვების ანთება და ოქტომბრის შუა რიცხვებში, როცა ოდნავ მომჯობინდა, ექიმების რჩევით გაემგზავრა სამკურნალოდ შავი ზღვის პირის ერთ-ერთ სანატორიუმში.

ნოემბრის დამლევს მას ესტუმრა ინჟინერი ვაისმანი.

კამარელი ვაისმანის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა და სინდისის ქენჯნას განიცდიდა.

ათასგვარი უღირისი ეჭვი, უკვე განვლილი სულიერი ქარიშხლის დროს მასში აღძრული, ახლა თვით მასვე სტანჯავდა. ვაისმანი მის თვალში თავდადებული მეცნიერი და ღირსეული მეგობარი იყო. გადაწყვეტილი ჰქონდა მომავალ საერთო მუშაობაში ათკეცად მიეგო მისთვის მეგობრული სიყვარული. ამიტომ, როცა გაიგო ვაისმანის ჩამოსვლა, ძალიან გაეხარდა და მაშინვე მოიწვია.

ეს პირველი შეხვედრა იყო კატასტროფის შემდეგ: ექიმების მიერ აკრძალული იყო ავადმყოფთან მეცნიერული ხასიათის ბაასი და ახლობელ თანამშრომლებს მას არ აკარებდნენ. ასლა კი, კამარელი სავსებით მოკეთებული იყო, მხოლოდ ფერის სიმკრთალე შერჩა და გულს ჩაწოლილი უჩინარი მელანქოლია.

— ალბათ მემდურით, — პირველი მისალმების შემდეგ უთხრა ვაისმანმა, — არ ვიყავი თქვენთან ბოლომდე გულახდილი, მაგრამ, იმედი მაქვს დამიჯერებთ, რომ ჩემს მოქმედებას საფუძვლად ედო მხოლოდ მეცნიერული მუშაობისათვის საჭირო სიფრთხილე. მინდოდა მომესწრო პირველი შედეგების შეჯამება, რომ ჩემი შეცდომები თვითვე გამესწორებია.

— პირიქით, — დარცხვენით უპასუხა თავდახრილმა კამარელმა, — მე უნდა მოვისადო თქვენს წინაშე ბოდიში, ბავშვურად მოვიქეცი, ავყევი გაუწაფავი გრძნობების უსუსურ ატაცებას, მე შეგიშალეთ ხელი და ღირსი ვარ იმ სასჯელის, რაც მივიღე.

— სასიამოვნოა, რომ უკვე კარგად ხართ და, მაშასადამე, შეგიძლიათ მალე შეუდგეთ მუშაობას.

— ორი კვირის შემდეგ დაბრუნებას ვაპირებ! ასლაც ვმუშაობ ცოტაოდენს, — კამარელმა გაიღიმა და მაგიდაზე რვეულებს თვალი მოავლო.

— მეც იმიტომ გამომიშვეს თქვენთან ექიმებმა, რომ მუშაობა ნებადართული გაქვთ. ჩემი ეკრანი ამჟამად თითქმის დამთავრებულია, ვუცდი თქვენს ჩამოსვლას, რომ საბოლოოდ მსჯავრი დავსდოთ.

— მე პირდაპირ მაღრჩობს თქვენი ახალი მიღწევების დეტალურად გაცნობის სურვილი!

— მეც სწორედ იმიტომ გნახეთ, რომ გავიგო, როდის შეიძლება თქვენი სურვილის შესრულება!

— ერთი რამ არის ჩემთვის სრულიად გაუგებარი: როგორ მოხდა, რომ მარსზედაც სწორედ ისეა მოწყობილი ეკრანი, როგორც თქვენს ლაბორატორიაში? შორეული ხილვის პრობლემის სინათლის სხივებთან დაკავშირება ჩემთვის გასაგებია.

ვაისმანმა პასუხი შეაკვიანა.

— ამაზე ცოტა ვრცლად მომისდება ლაპარაკი. ვშიშობ, რომ დაგღლით!

— ნუთუ ისე ცუდად გამოვიყურები?

— მაშ, ნებას მომცემთ?!

— მე სმენად ვარ ქცეული!

ვაისმანმა პორტფელიდან რამდენიმე წიგნი და რვეული ამოიღო, მაგიდაზე დაალაგა და დინჯად დაიწყო:

— თქვენმა ჰიპოტეზამ ელექტრომაგნიტურ ტალღათა პარალელურად ასხივების შესახებ მე მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შორეული ხილვის პრობლემა გადაწყდება უფრო წარმატებით ორ პლანეტათა შორის, ვიდრე დედამიწის ზედაპირის ორ პუნქტს შორის. დედამიწაზე სხივის სწორხაზობრივი მოძრაობა აბრკოლებს მის გამოყენებას შორეული ხილვის მიზნებისათვის. ამიტომ მე ავაგე მუშაობა სულ სხვა პრინციპზე. როგორც იცით, მარსი და დედამიწა ხშირად ძალიან უახლოვდებიან ერთმანეთს. ამ დროს პარალელური სხივების კონა ადვილად მიაღწევს უცვლელის ძლიერებით ერთი პლანეტიდან მეორემდე. ეაგრამ სხივების დასაჭერად საჭიროა ორივე პლანეტაზე არსებობდეს მიმღები და გადამცემი აპარატები.

— სწორედ ეგ არის ჩემი შეკითხვის აზრი, — წარმოთქვა კამარელმა და სკამის ზურგს მიეყრდნო.

— მე ერთი წუთითაც არ მეეჭვებოდა, — განაგრძო ვაისმანმა, — რომ მარსზე არსებობს სიცოცხლე. მართლაც, როგორ შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ განუსაზღვრელ სამყაროში, ამდენ მზეთა სისტემაში, ურიცხვ პლანეტებზე, რომელთა შორის უთუოდ მრავალია ისეთი პლანეტა, როგორიც დედამიწაა, თავისი ქიმიურ-ფიზიკური პირობებით, როგორ შეიძლება ამ უამრავ ქვეყნებში არსად სიცოცხლე არ არსებობდეს და მხოლოდ დედამიწა იყოს რაღაც უცნაური გამონაკლისი? ეს აზრი, როგორც მოგეხსენებათ, მეცნიერებაში უდავოა: ჩვენს სისტემაში, დედამიწის თვალსაზრისით, სიცოცხლე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მარსზე.

— ამიტომ აკვდებოდნენ ჩვენი მეცნიერები მარსის შესწავლას, მაგრამ სამწუხაროდ არაფერი გამოდიოდა, — გააწყვეტინა სიტყვა კამარელმა. — ბოლო დროს, სომ მთლად შევრცხვით: 1924 წლის აგვისტოს, როცა მარსი 55 მილიონ კილომეტრამდე მოუახლოვდა დედამიწას, მთელი ქვეყნის ობსერვატორიებიდან ტელესკოპებით შეიარაღებული მეცნიერები სინ-

ჯავდნენ მის ყოველ ხაზს და წერტილს, მაგრამ, როგორც იცით, არათუ არაფერი ახალი არ აღმოჩნდა, სრულიად გაქრა ის საოცარი არსებიც, რომლებიც ათასჯერ უნახავთ ტელესკოპებით გაცილებით უფრო შორი მანძილიდან.

— მეც სწორედ აქეთკენ ვაპირებდი ჩემი საუბრის გადატანას, — გაესარდა ვაისმანს. — დაკვირვებისართ თუ არა თქვენ ამ გაუგებარ მოვლენას? რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უფრო სუსტსა და პრიმიტიულ ინსტრუმენტებში დიდ სიშორეზე ნათლად და გარკვევით ჩანდა არსების სწორი ხაზები. 1924 წელს კი, თანამედროვე ტელესკოპების უდიდესმა და ურთულესმა ობიექტივებმა არსების კვალიც ვერ შენიშნეს!

— სწორე გითხრათ, მეც გამაკვირვა ამ მოვლენამ! — დაუდასტურა კამარელმა.

— მე კი, მეტად ჩამაფიქრა, — განაგრძო ვაისმანმა, — და სწორედ ამ დროიდან დავიწყე არსების შესწავლა ძველი რუკებით და ფოტოსურათებით. რომ ეს უცნაური ხაზები არსებობდნენ, ამაში, ეჭვი არ მეპარებოდა: სხვადასხვა დროს მეცნიერთა აუარებელი დაკვირვება ამოწმებს ამ ფაქტს. ფოტოგრაფია ხომ უტყუარია ამ შემთხვევაში! როგორც ხსნიდნენ ამ ხაზებს მეცნიერებაში, პირველ ყოვლისა იპყრობდა ყურადღებას ის გარემოება, რომ ხაზების მწყობრი სისტემა შეუძლებელია ყოფილიყო ბუნებრივი პროცესების შედეგი არსად დედამიწაზე ამგვარ მოვლენას ადგილი არა აქვს. მაშასადამე, რჩებოდა ერთი ახსნა: რომ ეს ხაზები გაყვანილია რაიმე მიზნით გონიერ არსებათაგან. ყველაზე უფრო დამაჯერებელ ახსნას დედამიწის თვალსაზრისით იძლეოდა არსების ჰიპოტეზა. მაგრამ ამ ჰიპოტეზას გამოუსვლელ მდგომარეობაში აყენებდა არხების განსაცვიფრებელი განი: 60-დან 300 კილომეტრამდე. ასეთივე ვეება არხების გაყვანა პლანეტის ერთი პოლუსიდან მეორემდე, მწყობრი, პარალელური და სამკუთხური სისტემით, ადამიანისათვის არ არის არც მიზანშეწონილი და არც ტექნიკურად მოსასერხებელი. მიაქციეს აგრეთვე ყურადღება კიდევ ერთ გასაოცარ მოვლენას: ზოგიერთ კუთხეში ეს უზარმაზარი არხები ხანდახან სრულიად ქრებოდა რამდენიმე კვირის და ხან დღის განმავლობაში. იცვლებოდა აგრეთვე დროგამოშვებით არხების მთელი სისტემა.

— მართლაც გასაკვირია ეს მოვლენა! — ვერ მოითმინა კამარელმა.

— როცა არსების ფოტოსურათების შესწავლას შევუდექი, — განაგრძო ვაისმანმა და რვეული გადაფურცლა, — ჩემი ყურადღება მიიპყრო სკიაპარელის მიერ გადაღებულმა სურათებმა. მან გადაიღო არსების ერთი და იგივე ადგილი ჯერ 1884 წელს, შემდეგ 1886 წელს და სრულიად გაუგებარსა და ახსნელ მოვლენას წააწყდა: ორი წლის განმავლობაში არსების მთავარი მიმართულება დარჩა უცვლელად, სოლო ცალკე ხაზები ზოგან გაქრა, ზოგან ახალი მოემატა და კუთხეთა კომბინაცია შეიცვალა.

ვაისმანმა რვეულიდან ამოიღო არსების სურათი და კამარელს წინ გაუშალა.

— ეს არის სკიაპარელის მიერ 1884 წელს გადაღებული სურათი. დააკვირდით ამ სისტემას, განსაკუთრებით მის შუა ნაწილს, და შეადარეთ ორი წლის შემდეგ გადაღებულ იმავე არსების სურათს.

ვაისმანმა კამარელს მეორე სურათი გაუშალა წინ.

— ეს იგივე სისტემაა, გადაღებული 1886 წელს. შედარება ნათელყოფს პარალელებისა და სამკუთხედების ისეთს ცვლილებას, რაც უკარგავს არსების ჰიპოტეზას ყოველკვარ საფუძველს.

— არსებობს სხვაგვარი ასსნა, — ჩაურთო სიტყვა კამარელმა და მეორე სურათს დაუწყო სინჯვა, — რომ ეს შავი ხაზები წარმოადგენენ არსების ნაპირებს, სადაც მცენარეებია გაშენებული. თვით არსები არ ჩანს. მცენარეებს კი დიდი ადგილი უჭირავს და ჩრდილის ზოლებივით მისდევს არსების მიმართულებას.

— რატომ ქრება სმირად ამ ზოლების ნაწილი? — იკითხა ვაისმანმა.

— შემოდგომაზე მცენარეებს ფოთლები სცვივა და ჩრდილიც იკარგება, ვგონებ ასე ხსნიან.

— აბა, დააკვირდით ორივე სურათს: ტერიტორია ერთი და იგივეა, ზოლები სხვადასხვა. ფოთლების დაცვენით ამ ცვლილების ასსნა შეუძლებელია. მაშინ ზოლები კი არ უნდა იცვლებოდეს, სულ უნდა ქრებოდეს განსაზღვრულ დროს. რა თქმა უნდა, ასეთი ასსნა არავის აკმაყოფილებდა. იყო სასაცილო ვარიანტიც: თითქო ეს ზოლები გზებია, სადაც დროგამოშვებით მოძრაობენ ცხოველთა დიდძალი ჯოგები.

ვაისმანმა ორივე სურათი წინ დაიდო და მცირე ხნით შეჩერდა.

1924 წელს, როდესაც ზოლები სულ არ გამოჩნდა, — განაგრძო მან მცირე პაუზის შემდეგ, — მე ამ გარემოებამ, როგორც გითხარით, ძალიან ჩამაფიქრა: თუ ასე ასლოს არაფერი სჩანს, ტელესკოპების მოჩვენება ხომ არ იყო ეს არხები? მაგრამ ბროლის ობიექტივი უაღრესად ობიექტურია და ჰალუცინაციებს არ არის ჩვეული. ფოტოსურათების შესწავლამ ზოლების ურთიერთობაში ერთი დამაფიქრებელი ნიშანი გამოაჩინა: სამკუთხედების და პარალელების რიცხვი და ხასიათი განსაზღვრული თანმიმდევრობით ლაგდებოდნენ. როცა ჩავუკვირდი ამ დეტალს, ჩემში უცებ იელვა აზრმა: ეს მავი ზოლები ხომ არ არის ნიშანი, რომელსაც მარსი დაუინებით უგზავნის დედამიწას?

ამ სიტყვებით კამარელი წამოვარდა და აღელვებით ჩააქერდა ვაისმანს.

— პლანეტის წითელი ზედაპირიდან, — განაგრძობს ვაისმანი, — არ შეიძლება სხივებით ნიშნის მიცემა; არ გამოჩნდება შორ მანძილზე, ჩრდილის უზარმაზარი ზოლები კი, კარგად მოჩანს ნათელ ფონზე.

— საოცარია, — შესძახა გაკვირვებულმა კამარელმა, — რომ ეს აზრი არავის მოსვლია თქვენამდე!

— ჭეშმარიტად საოცარია! — დაეთანხმა ვაისმანი, — და მარსმაც მიმართა უკანასკნელად მეტად მახვილ საშუალებას: 1924 წლის მოასლოების დროს სრულიად მოხსნა ეს ნიშანი, ალბათ იმ იმედით, რომ მიიქცევდა ამ მოვლენისადმი დედამიწის განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს ზოლები მაშინაც რომ ენახათ, დაიწყებოდა გაუთავებელი კამათი იმის შესახებ, თუ როგორ არის ეს არხები გაყვანილი, მოჩანს თუ არა არხების ჯვარედინზე ქალაქების ნიშნები და სხვა.

— სწორ მიმართულებას ერთხელ აცდენილი აზრი, — ჩაურთო სიტყვა კამარელმა, — ბრმასავით დაეხეტება ოღრო-ჩოღროებზე, ვიდრე მართალ გზას გაიგნებდეს.

— ძაფი ნაპოვნი იყო, — უკვე გატაცებით განაგრძობდა ვაისმანი, — და მთელი სისტემაც ადვილად აეგო მასზე. ხომ

ელოდნენ მარსიდან ნიშნებს? მაგრამ აბა თუ ვინმე ჩაფიქ-
რებულა ამ ნიშნების სასიათზე!

— მე მასსოვს რაღაც გამოსმაურება ჰპოვა ამან რადიო-
ში,— თქვა კამარელმა და ისევ დაჯდა.

— მეც ვიცი ეგ, მაგრამ ეს შესაძლოა ყოფილიყო უბრალო
გაუგებრობა, ყოველ შემთხვევაში, ეს ხმაური შემდეგ არ გან-
მეორებულა.

ვაისმანმა პორტფელის პატარა უბიდან ამოიღო გაზეთის
ამონაჭერი და წაიკითხა:

„1924 წ. 23 აგვისტო. ბრიტანეთის რადიოტელეგრაფი
შემდეგს იუწყება კანადიდან: დღეს დილით პიონტ-გრეის რა-
დიოსადგურის მუშაკებს ესმოდათ გამოუცნობი ნიშანი: საო-
ცარი ჯგუფი ხმებისა, რომლებიც არ არის აღნიშნული არც
ერთ რადიო კოდექსში“.

— ხომ არ უარყოფთ თქვენ მარსიდან ასეთი ნიშნის ეიღე-
ბის შესაძლებლობას? — შეეკითხა კამარელი.

— სრულიადაც არა. მაგრამ მე საკითხი სულ სხვანაირად
მაქვს დასმული: რა ენაზე შეუძლია ერთმანეთთან დალაპარა-
კება ორ პლანეტას? მე ვამტკიცებ: რომ ორ პლანეტათა შო-
რის კავშირი უნდა მოეწყოს ისეთ ნიშნებზე, რომლებიც საერ-
თო და გასაგებია მთელი მსოფლიოსათვის.

— სად არის ასეთი ნიშნები? — გაიკვირვა კამარელმა.

ეს ნიშნები ს ხ ი ვ ი ს ა დ ა პ ლ ა ნ ე ტ ე ბ ი ს მ ო ძ-
რ ა ო ბ ი ს გ ზ ე ბ ი ა! — უპასუხა ვაისმანმა და კამარელს
ჩააცქერდა.

კამარელი იჯდა გაკვირვებული, ფერმკრთალი და ეტყო-
ბოდა, რომ მისი გონება ვაისმანის გაბედულ მიხვედრას გაე-
ტაცა.

ვაისმანმა განაგრძო:

— პარალელები, წრეები, სამკუთხედები, საერთოდ გეო-
მეტრიული ფიგურები, ეს არის უნივერსალური ნიშნები,
ენერგიისა და ნივთიერებათა მოძრაობის საერთო კანონებ-
ზე დამყარებული. თუ მიწის გარეთ სადმე არსებობს ადამია-
ნის მსგავსი გონიერი არსება, მას ეს კანონები უთუოდ ისევე
უნდა ესმოდეს, როგორც ადამიანს, ვინაიდან სხივი მთელ
მსოფლიოში ერთნაირად მოძრაობს. მეც ამ მხრით ჩავუკ-
ვირდი მარსის ზოლებს. ჩემი ყურადღება მიიპყრო პარალე-

ლებისა და სამკუთხედების ჯამის მუდმივობამ. ზედმიწევნით შევისწავლე ეს მოვლენა და გასაოცარი შედეგი მივიღე: ერთი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა დროსა და ადგილს გადაღებულ ფოტოგრაფიულ რუკებზე პარალელურ ხაზებსა და სამკუთხედების ურთიერთ განწესრიგების ციკლი სამჯერ განმეორდა გასაკვირი სიზუსტით. თვით ციკლი შეიცავდა 12 ფიგურას; როცა ფიგურები მათემატიკურ ნიშნებზე გადავიყვანე, მივიღე ჩემი ეკრანის ფორმულა.

— ვაშა, მეგობარო! — წამოიძახა აღელვებულმა კამარელმა და ვაისმანს გაბრწყინებული თვალები მიანათა. — გენიალური მისვედრაა. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს აზრი უნდა დაბადებოდა ზოლების ყოველ მკვლევარს.

— ეკრანი ავაგე და სამი თვის განმავლობაში უჩინარ სხივებს ვესროდი მარსის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს. ბოლოს ერთ ასეთს სხივების კონას, როგორც ანკეესს, წამოეგო მარსის მიმღები აპარატი და ჩემი ეკრანი ბუნდოვნად განათდა. თანდათან გავაუმჯობესე აპარატი იმ ზომამდე, რომ შევძელი ეკრანიდან თვით მარსელის დასმარების მიღება. შემდეგ გამოირკვა, რომ დედამიწასა და მარსის ღერძების დაქანების კუთხე იმგვარად უპირისპირებს ერთმანეთს ორივე პლანეტის ჩრდილო სფეროებს, რომ ეკრანებს შორის სხივების სწორი მოძრაობისათვის უფრო მოხერხებულია ეკრანის დადგმა ჩრდილო განივის 40 — 43 გრადუსის ზონაზე. როგორც იცით, თბილისი ამ ზონაშია. სხვათა შორის, ამითაც აიხსნება ჩემი მოსვლა თქვენთან.

კამარელს მოეჩვენა, რომ ვაისმანის ყველა საეჭვო სიტყვა და მოქმედება, რაც მას ასე აღელვებდა შესვედრის პირველ დღიდანვე, ნათელი და გასაგები შეიქნა. მას უუდამ ამძიმებდა ამ კაცის დაშიფრული ბუნება და ახლა, როცა ყველაფერს შუქი მოეფინა, იგრძნო მძიმე ტვირთის საამო შემსუბუქება და პირველად გაუწოდა ხელი ამ უცნაურ ადამიანს აუმღვრეველი გულით.

— უნდა ვიფიქროთ, — უთხრა მან ვაისმანს ღიმილით, — უკვე დადგა დრო, როცა საჭიროა მიეზღოს კეისრისა კეისარს.

— ესე იგი? — ვერ გაიგო ვაისმანმა.

— ესე იგი, გამოცხადდეს „ლეტარგინის“ ნამდვილი აღმომჩენი.

— ჰო, რა გეჩქარებათ? — თითქმის უკმაყოფილოდ წარმოთქვა ვაისმანმა, — ჯერ ამისთვის სადა გვცალია? ახლა მე მაწუხებს ერთი ახალი, მეტად ამაღელვებელი ამოცანა. თუ ნებას მომცემთ, ამაზე თბილისში მოვილაპარაკოთ.

— ეკრანთან დაკავშირებით? — ჰკითხა კამარელმა და უცებ თვალწინ წარმოუდგა უკვე მივიწყებული (როგორც მას ეგონა) მარსელი ქალის შუქმოსილი სახე. გულზე უკბინა რაღაცამ, ნუთუ, კვლავ სდარაჯობს მის გონებას მეოცე საუკუნის ეს შავი მაგია, ნუთუ, ვერ იშორებს თვალთაგან სიცსადისა და სიზმრის ჯადოსნურ კავშირს. მოჩვენებად ქცეულ ცოცხალ არსებას, ამ უტყუარი ხილვის ამაზრზენ ჰალუცინაციას?

— არა, — თითქოს წყალი გადაასხა კამარელის აღგზნებულ ფიქრებს ვაისმანმა, — სულ სხვა ამბავია, სრულიად მოულოდნელად წამოჭრილი. როცა ეკრანის ფორმულის შესწავლის დროს მნათობთა მოძრაობის გზებს ვაკვირდებოდი, შემთხვევით წავაწყდი ამ პრობლემას, მაგრამ ამაზე შემდეგ. რაც შეეხება ეკრანს, ზვონი დაგღალეთ, მაგრამ ეფიქრობ, სავსებით გაგაცანით ჩემი მუშაობის პროცესი. ამჟამად კმარა.

ვაისმანი წამოდგა.

— წასვლის წინ, ამ საღამოს კიდევ გნახავთ!

გამოემშვიდობა კამარელს და ოთახიდან გავიდა.

კამარელმა აივანზე გააცილა.

თვალი გააყოლა ეზოდან მიმავალს.

კიდევ ახალი საიდუმლოების მოლოდინი!

ოღონდ ეკრანთან არ იყოს დაკავშირებული და ყოველგვარ განცდას და აღელვებას შეურიგდება.

ოღონდ მოიცილოს როგორმე ეს აკვიატებული მოჩვენება, რაც ასე ადუნებს მის შემოქმედებას და უწრდილავს გონებას!

თორემ საზარი პერსპექტივაა: სარკეში უცქირო საყვარელ არსებას, გესმოდეს მისი სმა, ხედავდე ყოველ მის მოძრაობას, ღამის ფარვანასავით ასკდებოდეს ანთებულ შუშას გაოცებული თვალები, უიმედოდ ფართხალებდეს, ფრთებს ილეწავდეს და შიგ ვეღარ შედიოდეს; გეჩვენებოდეს — თითქო საკმარისია შეაღო კარი, რომ გულს ჩაიკრა აღელვებული

საკრფო, ხელი შეახო მის აღგზნებულ სახეს, იგრძნო მისი გულისცემა, თავბრუდამსვევი სუნთქვა და სხეულის დამათრობელი სითბო, და იცოდე კი, რომ ნამდვილად 100-200 მილიონი კილომეტრით არის დაშორებული შენგან ეს ქალი და ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ შეახებ მას ხელს, ვერ მიუასლოვდები, რომ გაყინული სივრცის პირდაღებული უფსკრულია ეკრანს გადაღმა და სიკვდილის შავი თვალები იცქირება...

V

ბილას კომეტა

ოთახში თანდათან დაბნელდა.

ვაისმანი ზის ღია ფანჯარასთან დაფიქრებული.

ფანჯრიდან მოჩანს კვიპაროსის შავი კენწერო და უღრუბლო ცა.

მზე კარგა სანია ჩავიდა, მაგრამ ცაზე ჯერ კიდევ შრიალებს მზის მოსასხამის ბოლო, ოდნავ ოქროდ შეფერილი იისფერი აბრეშუმი.

აბრეშუმზე თეთრი ყვავილები სცვივა საიდანღაც, თეთრი ბრწყინვალე ზამბახები.

ერთ მათგანს სისხლის ფერი გადაჰკრავს...

გარეთ თმაშევერცხლილი დეკემბრის მკბენარი სუსხი დგას, მაგრამ ვაისმანი სიცივეს არა გრძნობს. იგი გასცქერის სისხლიან ზამბახს, ხელში უჭირავს თავისი უშველებელი სათვალე და შუშებზე თითებს უკაკუნებს.

მისი გული გაანათა შორეულმა ვარსკვლავებმა...

— კარო! შენ გგზავნიან! — მოესმა გახარებული ჩურჩული და ღია აივანზე ჩიტივით დაეშვა ქალი.

— გადაწყდა?

— თითქმის ერთსმად! — და მის შუბლს ვედას სავერდოვანი თმა მოეფინა. — შენ უნდა შეასრულო დაპირება, რადაც არ უნდა დაგიჯდეს.

მას ათრობს ქალის ცხელი სუნთქვა, გულში კი უჩინრად მოძრაობს ჩრდილი, და ჩრდილი თითქო კვნესის: — ვის-

თვის, ვისთვის არის ეგ თვალები ანთებული? ვინ იტაცებს ამ სუნთქვას, უხილავი და უცნობი?

— შევასრულებ, — ამბობს იგი და ქალს წელზე ხელს ხვევს.

ქალის სხეული კანკალებს, როგორც ხელში ჩაბღუჯული შაშვი, და სწვავს ვაჟის ხელს.

— ზედმეტად ღელავ, გედა. — ტკბილად ეალერსება, — სიცხე გაქვს, შენ დასვენება გჭირია. მენდე შევასრულებ. თუმცა ვიცი, საით მიჰქრის შენი ოცნება. გედა, რად იღუპავ თავს?

— კარო, ჩემო კარო! — ჩურჩულებს ქალი. — მე განწირული ვარ, მაგრამ ტკბილია ჩემი ტყვეობა! დიდია უფსკრული, მაგრამ მე ვხედავ შორეულ ნაპირს და მესმის ძახილი, აუტანელ ბედნიერების დაუძლეველი ძახილი...

— შევასრულებ! — იმეორებს იგი და ქალს თვალებში ჩააცქერდება.

— მაგრამ რომ დაიმსხვრეს ოცნება? შორიდან მიმზიდველი ო ბ რ ა ნ პირუტყვივით რომ აბღავლდეს?

ჰაერში ოქროსთვალებიანი ხომალდი გაიმხუილებს და აივანზე შეტყუპებულ ქალ-ვაჟს ელვა გაანათებს.

— მაშინ დავიღუპები, — ძლივს გასაგონად ჩურჩულებს ქალი და ოცნებით ანთებულ თავს ყვავილის დამძიმებული ყლორტივით დასრის და ვაჟს მხარზე დაადებს!..

კარზე დააკაკუნეს.

ვაისმანმა სათვალეები გაიკეთა, ფანჯარა მიხურა და შუქი აანთო.

— მობრძანდით!

შემოვიდა კამარელი.

— ხომ არ გალოდინეთ?

— ვისვენებდი. საღამო თავისუფალი მაქვს.

მაგიდაზე წიგნები დაალაგა. პორტფელიდან ქაღალდები ამოიღო და წინ გაშალა.

კამარელი მის პირდაპირ დაჯდა.

— მე მინდა მოგელაპარაკოთ ერთი კომეტის შესახებ, — დაიწყო ვაისმანმა, აიღო დიდტანიანი წიგნი და გადაშალა.

— ახალი კომეტა ხომ არ გამოჩნდა! — შეეკითხა კამარელი, გულში კი გაიცინა: არწივი გაუშვია, ბეღურას მისდევს...

— არა, კომეტა ძველია, სახელად ჰქვია ბ ი ე ლ ა ს კომეტა.

კამარელი ერთ დროს ძალიან დაინტერესებული იყო კომეტებით, მთელი წელიწადი იმუშავა ამ საგანზე და გამოკვლევაც გამოაქვეყნა კომეტების მოძრაობის შესახებ.

— მე ვიცნობ ამ კომეტის ისტორიას, — შეუმჩნეველი უკმაყოფილებით წარმოსთქვა კამარელმა.

— მე მაინც გთხოვთ, ორიოდე წუთი დამითმოთ და მოთმინებით მომისმინოთ, რასაც გიამბობთ!

ვაისმანს ოდნავ აღელვება დაეტყო.

— ზოგი რამ ამ კომეტის შესახებ წიგნებიდან უნდა ამოვიკითხო, — განაგრძობდა ვაისმანი და ფურცლავდა წიგნს. — ყველაფერი, რასაც ახლა თქვენ მოისმენთ, თქვენთვის ძველი და ნაცნობი ამბავია, მაგრამ მე ვფიქრობ, რასაც ბოლოს ვიტყვი, ის სრულიად მოულოდნელი იქნება.

კამარელმა ყურები სცქვიტა.

— სიამოვნებით გისმენთ.

— ბიელას კომეტა პირველად შენიშნული იქნა ტელესკოპით 1772 წელს; შემდეგ, 1809 წლის 10 ნოემბერს ეს კომეტა ხელმეორედ იქნა აღმოჩენილი, — ვაისმანმა მონახა საჭირო გვერდი და განაგრძო კითხვა, „—პონსის მიერ, ბესსელმა და ჰაუსმა გამოიანგარიშეს მისი ორბიტი და ბრუნვის პერიოდი, რომელიც უდრის 6,5 წელიწადს. 1826 წელს კომეტა ისევ უნდა დაბრუნებოდა მზეს. ეს იცოდა ავსტრიელმა კაპიტანმა ბიელამ, რომელიც ამ დროს იდგა ბოჰემიაში და დიდის ყურადღებით ათვალიერებდა პატარა ტელესკოპით კომეტის გზას. მისმა მუშაობამ ბრწყინვალე ნაყოფი გამოიღო: 1826 წლის 27 თებერვალს მან დაიჭირა ცაში ეს კომეტა, რომელსაც შემდეგ მისი სახელი დაერქვა. 1832 წელს ეს კომეტა ისევ მობრუნდა დანიშნულ დროზე, მაგრამ ამჟამად თან მოიტანა დიდი შიში და მღელვარება, ვინაიდან გამოანგარიშებამ დაამტკიცა, რომ კ ო მ ე ტ ი ს ო რ ბ ი ტ ს უ ნ დ ა გ ა დ ა ე ჭ რ ა დ ე დ ა მ ი წ ი ს გ ზ ა. თუკი ამ წერტილს ერთდროულად გაიელიდნენ დედამიწა და კომეტა, — კატასტროფა აუცილებელი იყო. მთელი ქვეყანა შიშის ზარმა მოიცვა. განსაკუთრებით ღელავდა პარიზი. ცნობილმა ლალანდმა გადაწყვიტა აკადემიაში კომეტების შესახებ ლექციის წაკითხვა,

ლექცია პოლიციამ აკრძალა, რადგან სალსში ხმა გავრცელდა, მეცნიერი ქვეყნის დაღუპვას წინასწარმეტყველებსო“.

ვაისმანმა მეორე წიგნი გადაშალა.

— აი რას წერს ამის შესახებ ასტრონომი ვოლფი:

„ამ ხმების წყალობით გავრცელდა ისეთი პანიკა, რომ მიელი პარიზი კანკალით ელოდა დანიშნულ დღეს. იყო შიშისაგან სიკვდილიანობის, სხვადასხვა ნერვულ დაავადებათა და სხვა შემთხვევები. სამღვდელოების წარმომადგენლები კი მშვენივრად სარგებლობდნენ ამ ამბით და შიშისაგან გონებადაკარგულ სალსს რიგიან ფასად პირდებოდნენ ცოდვათა სრულ პატიებას“.

— თვით უდიდესი გეომეტრი ლაპლასი, — ფურცლავდა ვაისმანი მესამე წიგნს, — შესაძლო კატასტროფას ასეთი საშინელი ფერებით აღწერდა: „მზის სისტემაში შემოჭრილ მრავალ კომეტათა შორის შესაძლოა აღმოჩნდეს ისეთი, რომელიც დაეჯახება დედამიწას. ასეთი შეტაკების შედეგის წარმოდგენა ძნელი არ არის: დედამიწის ბრუნვის ხასიათი და მისი ღერძის მდგომარეობა შეიცვლება: ზღვა დატოვებს თავის ასლანდელ საწოლს და გაექანება წარღვნაში, თუკი, უფრო ადრე არ დაიღუპნენ იმ საშინელ მუჯლუგუნებისაგან, რომელიც დედამიწის ბურთს დააბარბაცებს. ყველა ერი დაიღუპება და დაინგრევა კაცობრიობის გონების ყველა ძეგლი...“

— ეს პანიკა ცრუმორწმუნეობით როდი იყო გამოწვეული! — შეწყვიტა კითხვა ვაისმანმა. — ეჭვს გარეშეა, რომ ასტრონომიული თვალსაზრისით სრულიად უმნიშვნელო მცირე მასის სხეული, მაგალითად, ერთი კილომეტრის სისქე ქვის ბურთი, წამში რამდენიმე კილომეტრის სიჩქარის, რომ დაეჯახოს ჩვენს პლანეტას, შეუძლია გამოიწვიოს დედამიწის ცოცხალ არსებათა სრული კატასტროფა, ციურ მოძრაობათა სისტემაში — კი ასეთი კატასტროფა არავითარ კვალს არ დატოვებდა. პირდაპირ დაჯახებაც რომ არ მოსდეს, დედამიწის მასლობლად უბრალო გადაფრენითაც ასეთ სხეულს თავისი მიმზიდველობის ძალით შეუძლია გამოიწვიოს ზღვის დონის ისეთ სიმაღლეზე აწევა, რომ კილომეტრების სიმაღლე

ტალღები გრიალით გადაუვლიდა დედამიწის პირს საშინელ წარღვნად და გადარეცხავდა სიცოცხლის ყოველ კვალს.

— შიში მაინც უსაფუძვლო გამოდგა, — შენიშნა კამარელმა, — რადგანაც, როგორც ვიცით, კომეტამ თავისი გზა გაიარა და მთელი ქვეყანა და შიშით აკანკალებული პარიზიც უვნებლად გადარჩა.

— მართალია, — დაეთანხმა ვაისმანი, — შიში უსაფუძვლო გამოდგა, ვინაიდან, როგორც ეს დაამტკიცა ვენის ობსერვატორიის მაშინდელმა დირექტორმა ლიტროვმა, შიშისაგან დაბრმავებულ სალსს დაავიწყდა ერთი გარემოება, რომ 1832 წლის ნოემბერში თ უ მ ც ა ბ ი ე ლ ა ს კ ო მ ე ტ ა მ გ ა დ ა ს ჭ რ ა დ ე დ ა მ ი წ ი ს ო რ ბ ი ტ ი, მ ა გ რ ა მ ა მ დ რ ო ს თ ვ ი თ დ ე დ ა მ ი წ ა ა მ წ ე რ ტ ი ლ ს 1 1 მ ი ლ ი ო ნ ი მ ი ლ ი თ ი ყ ო დ ა შ ო რ ე ბ უ ლ ი. მაგრამ იმავ ლიტროვმა საგანგებოდ გამოიანგარიშა მაშინ ამ კომეტის მოძრაობა და აი, რა გამოვიდა:

„თუმცა დედამიწა ყოველ წელიწადს, ნოემბრის 30-ს, გაივლის დედამიწისა და ამ კომეტის ორბიტების გადაკვეთის წერტილს, მაგრამ დაჯახება ამ ადგილას შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კომეტას თავისი ორბიტის პერიგელის მზესთან უახლოესი მანძილის წერტილის გავლა მოუხდება 28 დეკემბერს. ასეთი შემთხვევა კი, როგორც ზუსტი გამოანგარიშება გვიჩვენებს, შესაძლოა მოხდეს მხოლოდ ე რ თ ხ ე ლ 2500 წ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი“.

ვაისმანმა კითხვა შეწყვიტა.

— აქედან იწყება ის „ახალი ამბავი“, რომელზედაც მე თქვენ გელაპარაკეთ. ლიტროვმა, — ვაისმანი ისევ მიუბრუნდა წიგნს, — ესეც გამოიანგარიშა. აი, რას ამბობს ის ამის შესახებ: „უ ა ხ ლ ო ე ს ი ა ს ე თ ი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა მ ო ს ა ლ ო დ ნ ე ლ ი ა 1933 წ ე ლ ს“. რას იტყვით ამაზე?

— გამოანგარიშება სწორი იყო, მიუგო კამარელმა, — მაგრამ ერთ-ერთი თავისი მოგზაურობის დროს, სახელდობრ, 1872 წელს, ამ კომეტას რაღაც მარცხი შეემოხვა: ის მოულოდნელად დაიკარგა ცის სივრცეში. ამ წლის 27 ნოემბერს, როცა დედამიწამ გაიარა ორბიტთა გადაკვეთის წერტილი (ლიტროვის გამოანგარიშების შემდეგ ამ წერტილმა უკან დაიხია სამი დღით), ჰაერში აენთო მეტეორების მთელი ჯოგი.

მაშინ დაასკვნეს, რომ ეს იყო დაშლილი კომეტის ნანგრევები და კომეტაც ჩამქრალად გამოაცხადეს.

— ეს იყო ისეთი ლაფსუსი, რის მსგავსიც მეცნიერების ისტორიას ბევრი არ ახსოვს, — თქვა ვაისმანმა და სკამის ზურგს დააწვა — 1872 წლის 27 ნოემბერს დედამიწამ, მართალია, გაიარა ორბიტთა გადაკვეთის წერტილი, მაგრამ სად უნდა ყოფილიყო ამ დროს კომეტა? როდის უნდა გაევლო მას ეს წერტილი? გამოანგარიშებიდან ჩანს, რომ ამ წელს კომეტამ დედამიწის ორბიტი გადასჭრა სექტემბრის 16-ს. მაშასადამე, 27 ნოემბერს, როცა დედამიწამ ეს წერტილი გაიარა, კომეტას უკვე შემოვლილი ჰქონდა მზე და საშინელი სიჩქარით მიჰქროდა უკან თავისი ორბიტის მეორე ხაზით, იუპიტერის ორბიტისაკენ. რაც შეეხება მეტეორების იმ წვიმას, რომელმაც გაანათა 27 ნოემბერს დედამიწის ატმოსფერო, ეს იყო მეტეორების ჩვეულებრივი „ნოემბრის ჯგუფი", ასტრონომიაში „ეონიდებად" წოდებული. შეუძლებელია ეს ყოფილიყო ბიელას ნანგრევები, კიდეც რომ შემთხვეოდა ამ კომეტას კატასტროფა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს წერტილი მან გაიარა, როგორც ვთქვი, 16 სექტემბერს და 27 ნოემბრამდე ეს ნანგრევები ერთ ადგილს არ დაუწყებდნენ დედამიწას ლოდინს

— მაშ, სად გაქრა კომეტა? — იკითხა კამარელმა, — რატომ არ გამოჩნდა თავის გზაზე ჩვეულებრივად, თუკი დაშლილი არ იყო?

— კ ო მ ე ტ ა ა რ დ ა შ ლ ი ლ ა. იგი განაგრძობს უცვლელად თავის ორბიტზე სრბოლას და გენიალური ლიტროვის გამოანგარიშების თანახმად ი ს გ ა დ ა კ ვ ე თ ს დ ე დ ა მ ი წ ი ს ო რ ბ ი ტ ს 1933 წ ლ ი ს ნ ო ე მ ბ რ ი ს 25-ს.

კამარელი ოდნავ შეშფოთდა.

— დ ა ა მ დ რ ო ს დ ე დ ა მ ი წ ა ი ქ ნ ე ბ ა ს წ ო რ ე დ ი მ წ ე რ ტ ი ლ ზ ე, ს ა დ ა ც ო რ ბ ი ტ ე ბ ი ე რ თ მ ა ნ ე თ ს გ ა დ ა კ ვ ე თ ი ე ნ, — დაასრულა ვაისმანმა.

— მაშასადამე? — წამოიძახა კამარელმა.

— მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, დ ა ჯ ა ხ ნ ე ბ ა ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა.

— ამას უფრო დამაჯერებელი დასაბუთება სჭირია, — შეედავა კამარელი.

— ინებეთ!

ვაისმანმა ქაღალდების რევა დაიწყო.

— მე უკვე ვიცი, რამ გამოიწვია მეცნიერების შეცდომა. ბიელას კომეტა, რომელიც ჭრის დედამიწის ორბიტს, თავის მხრივ განიცდის მეორე მეზობელი კომეტის ამგვარსავე დაუპატიჟებელ შემოჭრას. ამ კომეტას ჰქვია ენკე. მე თქვენ ახლავე გაგაცნობთ ამ კომეტის ორბიტსაც.

ვაისმანმა გაშალა რუკა და კამარელს წინ დაუდო:

— ეს არის დედამიწის, ბიელას და ენკეს ორბიტების ურთიერთ-მდგომარეობა. როგორც სედავთ, ბიელა ჯერ გადაჭრის ენკეს ორბიტს, შემდეგ შემოიჭრება დედამიწის ორბიტში. როგორც ჩემმა გამოანგარიშებამ დაამტკიცა, ეს თქვენ შეგიძლიათ ასლავე შეამოწმოთ, სწორედ 1872 წლის აგვისტოს 2-ს მოსდა ბიელას და ენკეს შესვედრა ამ წერტილზე ეს არ იყო დაჯახება, ვინაიდან ორივე კომეტის მთავარმა მასამ ერთიმეორეს გვერდი აუსვია, მხოლოდ ენკემ ჩააქრო ბიელას ელვარე გარსი, რადგანაც მოსდა ელექტრომაგნიტურ სსივების უეცარი დაცლა კომეტების აირის კონტაქტის გამო. ჩამქრალი ბიელა ტელესკოპში არ გამოჩნდა.

ვაისმანმა ფორმულებითა და ციფრებით აჭრელებული ქაღალდი გადასცა კამარელს.

მართალია, ლეტარგინისა და შორეული ხილვის ეკრანის მოულოდნელობამ შეაკრთო კამარელი, მაგრამ კომეტების საკითხს ისე კარგად იყო გაცნობილი და იმდენად უფრო ჩვეულებრივი მოვლენა იყო მისთვის ეს ყოველგვარი ფანტასტიკის გარეშე ნაწარმოები ანგარიში, რომ აქ იგი არა გრძნობდა შიშისმომგვრელ ურუანტელს, რითაც იმსჭვალებოდა სოლმე ყოველთვის, როცა ეკრანის ფორმულაზე გაიფიქრებდა. ის უკვე თავის ბუნებრივ ატმოსფეროში გრძნობდა თავს და ამიტომ სრული სიდინჯით შეუდგა ვაისმანის ციფრების შემოწმებას. მაგრამ რაც უფრო მეტს აკვირდებოდა ამ ციფრების კორიანტელს, მით უფრო ემჩნეოდა მის სახეს აღელვება და ბოლოს, როცა გაეცნო ყველა სქემას, ქაღალდები დაკეცა, ნელა დაალაგა მაგიდაზე, ხმის ამოუღებლად წამოდგა და ოთახში სიარული დაიწყო.

— თქვენ მართალი ხართ, — ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ წარმოთქვა მან, — თქვენი ანგარიში ზუსტია.

სამწუხაროდ, ხალხი შფოთავდა მაშინ, როდესაც არავი-

.თარი საშიშროება არ არსებობდა, კანკალებდა რაიგორც წარ-
ღვნის წინ, და ასლა, როდესაც გარდაუვალი კატასტროფაა
მოასლოებული, საფრთხეს არავინ ელის.

— საჭიროა გაფრთხილება, — წყნარად წარმოთქვა ვაისმან-
მა.

კამარელმა გაიკვირვა:

— რა აზრი აქვს გაფრთხილებას?

— მეცნიერებამ თავისი მოვალეობა უნდა მოისადოს. ვინ
იცის, რას შეიძლებს კაცობრიობა უკიდურესი საფრთხის წი-
ნაშე!

კამარელი ხელმეორედ მიუჯდა მაგიდას და გადასინჯა სა-
ბედისწერო ციფრები.

ვაისმანი იჯდა ქანდაკებასავით გაუნძრეველი და კამა-
რელს შესცქეროდა.

— კატასტროფა აუცილებელია! — აღელვებით დაასკვნა კა-
მარელმა. — სამწუსაროდ კაცობრიობა სრულიად უძლურია ამ
საფრთხის წინააღმდეგ. ამიტომ ვფიქრობ, უმჯობესია არაფე-
რი იცოდეს ამის შესასებ.

— მე არ გეთანხმებით, — ენერგიულად მიუგო ვაისმან-
მა. — რა უფლება გაქვთ დაუმალოთ ქვეყანას მოსალოდნელი
საფრთხე? არიან სხვა მეცნიერები, იქნებ მათ გამონახონ რა-
იმე საშუალება. დაე, მათაც იკვლიონ უბედურების ასაცილე-
ბელი ხვეულები.

კამარელს უცებ მოაგონდა მარსელი ქალის მიუწვდომელი
სახე და იგრძნო გასაოცარი სიმშვიდე: თითქო ძძიმე ტვირ-
თი მოწყდა გულს. უსაზღვროების ფანჯრიდან შემოჭრილი
მისი პიროვნული კატასტროფა გადაიქცა მსოფლიო კატას-
ტროფის წინამორბედ გვირგვინად, რომელიც თანდათან
უახლოვდება საცოდავ დედამიწას. რათა ორი წლის შემდეგ
სამუდამოდ გააბნიოს მისი ნანგრევები გაყინული სივრცის
უფსკრულში. თუ შეუძლებელია ადამიანისათვის გადააბტეს
ამ უფსკრულს, დასძლიოს მისი უსაზღვრო სიბნელე და
აფრინდეს შორეულ სფეროში სულის დამატკბობელ ჩვენე-
ბათა განსაცხადებლად, უმჯობესია, სამარადისოდ დაასამა-
როს ამ უნაპირო საფლავში მღელვარე გული და უფრთო
სხეული.

— ამაშიც მართალი ხართ, — უთხრა მან ვაისმანს და წა-
მოდგა, კაცობრიობამ უნდა იცოდეს, რა ელის მას.

* * *

მეორე დილით კამარელმა პულკოვოს ობსერვატორიის დირექტორს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„არის საფუძველი დავასკვნათ, რომ კომეტა ბიელა უახლოვდება დედამიწას. საჭიროა დაკვირვებით გაისინჯოს ვარსკვლავთა ფოტოგრაფიული რუკები, რაია შემოწმებულ იქნას, გაიარა თუ არა ამ კომეტამ ორბიტების კრიტიკული წერტილი 1920 წლის 17 ოქტომბერს და 1927 წლის 21 აპრილს“.

სამი დღის შემდეგ კამარელმა პასუხი მიიღო. პულკოვოს ობსერვატორიის ფოტორუქებში კომეტა არ აღმოჩენილა, მაგრამ მას შეკითხვა დაუგზავნია შვიდი მნიშვნელოვანი ობსერვატორიისათვის; მათგან ორს დადებითი პასუხი მიუცია: ჰამილტონის ობსერვატორიას (კალიფორნია) და Bouden-Statitn-ს (პერუს მიდამო). ეს ორი ობსერვატორია იმყოფება განსაკუთრებით უპირატეს ატმოსფერულ პირობებში და ამიტომ ბოლოწაკრილ უშუქო კომეტის ბუნდოვანი ჩრდილის დაჭერა მხოლოდ მათ მოუსერხებიათ მაგრამ, როგორც პულკოვოს ობსერვატორიის დირექტორი იტყობინებოდა, ამ ჩრდილის მაგვარ სხეულისათვის ყურადღება არავის მიუქცევია და ბიელას მობრუნება სენსაციას გამოიწვევს, თუკი ის გამართლდაო.

კამარელისათვის ეს ცნობა სავსებით საკმარისი იყო.

მან დაამზადა წერილი, რასაც შიშის ქარიშხალში უნდა გაეხვია მოელი დედამიწა და ვიდრე გამოაქვეყნებდა, გადასწყვიტა მეცნიერთა ვიწრო წრეში წაეკითხა, რომ აქ შეემოწმებინა მოსალოდნელი დიდი შთაბეჭდილება.

მოსსენება წაიკითხა ფრთხილი, მეცნიერული სიდინჯით, რომ თავიდანვე ამაღელვებელი ატმოსფერო შეექმნა. კატასტროფის საკითხი ფრჩხილებგაუსსნელად ჩაატარა, ფორმულების ასსნისას თავის დამშვიდებულ სიტყვებში უჩინრად მიიმალა საშინელი ქეშმარიტების მკბენარი მორიელი.

მოხსენება გათავდა.

თითქმის არავითარი შთაბეჭდილება.

პაუზა.

სიჩუმე დაარღვია თავმჯდომარემ:

— შეკითხვა სომ არავის გაქვთ?

— მაქვს!

— ბრძანეთ!

— მომხსენებლის ანგარიშით დედამიწას კომეტა უნდა დაეჯახოს. როგორ ფიქრობს მომხსენებელი, — რა შედეგი ექნება ამას დედამიწისათვის?

კრებამ ყურები სცქვიტა. ამ შეკითხვამ სულ სხვა სახე მისცა მოხსენებას. სიტყვის თბილ საბნიდან მორიელმა ერთი ფეხი გამოჰყო.

— სხვას, ვისა გაქვთ შეკითხვა?

— არავის!

— სხვა რაა საკითხავი? მთავარი ეს არის.

კამარელი თითქო ანკესზე წამოაგეს.

მაგრამ გამოცდილი თევზი გაუსხლტა ანკესს და წყალში ბუნდოვნად ჩასრიალდა.

— ამჟამად მე ვიკვლევ კომეტის მასას. დაჯახების შედეგი იქნება უმნიშვნელო, თუ კომეტა მცირე სიმძიმის აღმოჩნდა, მაგრამ თუ მას თავისი ძველი მასის სიმკვრივე და მოცულობა აქვს, მაშინ მოსალოდნელი იქნება დედამიწისთვის მეტად სახიფათო მღვრმარეობა.

— რატომ არის მოსალოდნელი კომეტის ძველი მასის შემცირება? კიდევ შეეკითხა იგივე ხმა.

— აკი მოგახსენეთ, 1872 წელს ეს კომეტა დაეჯახა მეორე კომეტას. მაშინ ჩაქრა მისი ანთებული გარსი. შესაძლოა, მასაც დაიშალა ნაწილობრივ!

— თუ კი კომეტის შერჩა ძველი მასა, — განაგრძობდა შემკითხველი, — კონკრეტულად რა ხასიათის კატასტროფაა მოსალოდნელი ჩვენი პლანეტისათვის?

— ეს იქნებოდა დედამიწაზე სიცოცხლის უეცარი განადგურება, — მიუგო კამარელმა. — თვითონ დედამიწას, როგორც პლანეტას, შეიძლება არაფერი ზიანი მოუვიდეს, მაგრამ სიცოცხლის ყოველგვარი ფორმა მასზე უფუოდ დაინგრევა, რადგანაც კატასტროფა გამოიწვევს დედამიწის კანის სრულ დაშლას, შესაძლოა დედამიწა აეფთოს. მაშინ იგი ბილიონი წლების განმავლობაში ივლის ჩვენს სისტემაში როგორც მეორე პატარა მზე.

დარბაზში შიშის პირველმა ნიავმა დაჰბერა და ბევრს თმა აუბურძგნა.

მორიელი ნასევრად გამოიკვრა სიტყვების აბლაბუდიდან.

— რამდენად არის მოსალოდნელი საერთოდ ამგვარი კატასტროფა? — განაგრძობდა შემკითხველი. — მეცნიერებამ იცის თუ არა ასეთი შემთხვევა მსოფლიოში? დედამიწა ამდენად შემოჭრილი სხეული და აანთო იგი. მეორე შემთხვევარისთვის უნდა ველოდეთ მომავალში ამგვარ ხიფათს?

კრებამ იმედიანად ამოისუნთქა.

მორიელმა ფეხი დამალა.

კამარელმა შემკითხველს პასუხი გასცა.

— მეცნიერებამ იცის კატასტროფის შემთხვევები მსოფლიოში. ეგრეთ წოდებული ცვალებადი და ახალი ვარსკვლავები წარმოადგენენ მსოფლიო კატასტროფათა შედეგებს. ცაში მოულოდნელად აენთება ახალი ვარსკვლავი ან უკვე არსებული ვარსკვლავი უფრო მეტი სიძლიერით დაიწყებს კაშკაშს. მეცნიერებამ გამოარკვია, რომ ეს კატასტროფის შედეგია: პირველ შემთხვევაში შორეული მზის სისტემის რიმელსამე ბნელ პლანეტას დაეჯახა ამ სისტემაში მოულოდნელად შემოჭრილი სხეული და აანთო იგი. მეორე შემთხვევაში ეს გარეშე სხეული დაეჯახა თვით მზეს და გაუდიდა სხივოსნობის ძალა.

აი, რას ამბობს ერთი ასეთი შემთხვევის გამო მეცნიერი ფოგელი:

„1892 წელს აღმოჩენილ იქნა ახალი ვარსკვლავი „Vova Aurigae“ ეს ვარსკვლავი 1891 წლის 2 ნოემბრამდე იყო. მე-13 სიდიდის, სრულიად უმნიშვნელო და ძნელად შესამჩნევი გადიდდა მე-7 სიდიდის ზომამდე. 7 დეკემბერს მიაღწია მე-6 სიდიდეს. 20 დეკემბერს კი ვარსკვლავი კაშკაშებდა როგორც მე-4 სიდიდის ბრწყინვალე მნათობი. შემდეგ დაიწყო დაბნელება, თანდათან უკლო სინათლეს და 1892 წლის აპრილის დამლევს სრულიად გაქრა“.

„ბუნებრივია, ისმება საკითხი, — ამბობს ამის შესახებ ფოგელი, — როგორ უნდა ავხსნათ ყველა ეს ფაქტი, შენიშნული სამყაროს შორეულ სივრცეში? მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ჩვენ ვიყავით უდიდესი კოსმიური კატასტროფის მოწმენი. ჩვენი აზრით, უზარმაზარი ბნელი სხეული საშინელი სიჩქარით შეიჭრა რამდენიმე პლანეტიან მზის სისტემაში და მოულოდნელად დაარღვია ამ სისტემის წესი და მშვიდობა. თუ

პირდაპირ არ დასჯახებია ეს სხეული სისტემის ცენტრალურ მნათობს, რომელიც უნდა წარმოვიდგინოთ თითქმის უკვე გაციცებულ მდგომარეობაშია, ისე ახლოს გაუქროლა მას, რომ თავისი დიდი მიმზიდველობის ძალით გამოიწვია მნათობის შინაგანი თხელი ნივთიერების ღელვა, მნათობის კანის გასკდომა და ავარვარებული სითხის პროტუბერანცების სახით სივრცეში გადაღვრა".

ასეთხავე აზრს გამოთქვამს მეცნიერი მაიერი:

„ყველა ფაქტი და ჰიპოტეზა რომ ერთმანეთს შეეუფარდოთ, — ამბობს იგი. — პირველყოვლისა უნდა დავასკვნათ, რომ ახალი და ცვალებადი ვარსკვლავების წარმოშობა ატარებს კატასტროფის ხასიათს. ეს უეცრად ანთებული ვარსკვლავები წარმოადგენენ რომელიმე დაღუპული ქვეყნის სამგლოვიარო ჟინჟღილს".

თვით ჩვენი მზის სისტემაშიც, როგორც მტკიცდება, ჰქონია ასეთ კატასტროფას ადგილი. როგორც ცნობილია, პლანეტების დაშორება მზისაგან ემყარება ერთგვარ კანონს. ამ კანონის მიხედვით მარსსა და იუპიტერს შუა უნდა ყოფილიყო კიდევ ერთი პლანეტა. როცა ასტრონომებმა დაუწყეს ამ პლანეტას ძებნა, სწორედ იმ ადგილას, სადაც გამოანგარიშებით პლანეტა უნდა ყოფილიყო, აღმოაჩინეს პატარა სხეულების მთელი გროვა, ეგრეთ წოდებული ა ს ტ ე რ ო ი დ ე ბ ი. მათი რიცხვი 1000-მდე ადის. მეცნიერების აზრით ისინი წარმოადგენენ პლანეტის ნანგრევებს. ცხადია, პლანეტას დასჯახებია რომელიმე კომეტა, თვითონაც დაშლილა და პლანეტაც დაუნგრევია.

მაშასადამე, მზის სისტემაში, თითქმის დედამიწის გვერდით, მომხდარა ასეთი კატასტროფა და რატომ იქნება გასაკვირი, რომ ეს ხიფათი ჩვენს პლანეტასაც შეემთხვეს!

მართალია, დედამიწას ხანგრძლივი წარსული აქვს, მაგრამ გეოლოგიური ანგარიშით იგი ჯერ კიდევ ჭაბუკობის ასაკშია. და ის ფაქტი, რომ მას წარსულში არაფერი გასჭირვებია, არ ამტკიცებს მომავალი უბედურების შეუძლებლობას.

ჩამოვარდა სიჩუმე.

ჩვეულებრივი მეცნიერული ხასიათის სხდომა უჩვეულო განწყობილებამ მოიცვა.

— შეკითხვა კიდევ! — წარმოთქვა მათემატიკის პროფესორმა.

— ბრძანეთ!

— 1872 წლის შეჯახებას შეეძლო თუ არა დაეშალა ნაწილობრივ კომეტის მასა? და თუ კომეტამ მასა დაჰკარგა, შეეძლო თუ არა მას იმავ ორბიტზე სრბოლა და დარჩებოდა თუ არა ამ შემთხვევაში მისი ბრუნვის პერიოდი უცვლელად?

კამარელი მიხვდა, რომ ფრჩხილები უნდა გახსნას

— კომეტას ორბიტი და ბრუნვის პერიოდი არ შეუცვლია, მაშასადამე, მართალია შემკითხველი, მასაც ძველი უნდა ჰქონდეს. სამწუხაროდ, ეს ფაქტი თითქმის უაზროდ ხდის კომეტის მასის კვლევას, მაგრამ მდგომარეობის სიმწვავის გამო მოვლენის ყოველი მხარე ზედმიწევნით უნდა იქნეს შესწავლილი.

— მაშასადამე, იმ ფაქტებისა და მოსაზრებათა მიხედვით, რაც ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია, კატასტროფა აუცილებელია.

— თითქმის! — უპასუხა კამარელმა.

კრებას დაეტყო, რომ კრიტიკული წამი დადგა.

ერთი დამსწრეთაგანი წამოდგა და დარბაზიდან გავიდა. ფრთხილად დაწყებული ოპერაცია მტკივნეული შეიქნა. მშვიდობიან სიტყვებში შეფუთვილი მორიელი გამოძვრა. დახეული არტახებიდან და დამსწრეთა გრძნობიერების საერთო ნერვში გესლი ჩაანთხია. კამარელის მეცნიერული ავტორიტეტი იმდენად მაღალი იყო, მისი მოხსენების საფუძვლები იმდენად მტკიცე და დამაჯერებელი, რომ შედავება საოცრად ძნელდებოდა.

— როგორც სჩანს, ვიღუპებით! — სცადა პროფესორმა ულმობელი კითხვის ღიმილით შერბილება. — მეცნიერების, თანამედროვე ტექნიკას აქვს თუ არა რაიმე საშუალება კატასტროფის ასაცილებლად?

— კაცობრიობას არ შეუძლია ასეთი მასშტაბით კოსმიური პროცესის შეცვლა ან შეჩერება, — მიუგო კამარელმა.

ვიღაცამ სიტყვა მოიცხოკა.

— მე მინდა მომხსენებელმა ერთი განმარტება მოგცეს, — თქვა მან. — როგორც მოხსენებიდან სჩანს, ბიელას კომეტის და დედამიწის ბრუნვის პერიოდები იმგვარ ურთიერთო-

ბაში არიან, რომ ეს ორი სხეული ყოველ 2500 წელში ერთხელ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს მათი ორბიტების გადაკვეთის წერტილზე. დედამიწა არსებობს მრავალი მილიონი წელი, მაშასადამე, იგი უნდა დაღუპულიყო ამ კატასტროფისაგან თავისი არსებობის პირველსავე საუკუნეებში და თუ დღემდე მოასერხა უვნებლად გადარჩენა ამ საბედისწერო შესვედრისაგან, რის საფუძველზე ამტკიცებს ახლა მეცნიერება, რომ ეს შესვედრა რაღაც განსაკუთრებულია და უკანასკნელი?

ეს მოსაზრება თუმცა უიმედო იყო, მაგრამ შეშინებულ გონებას მალამოდ მოეცხო.

— მე ჩემს მოხსენებაში გაკვრით შევეხე ამ საგანსაც, — მიუგო კამარელმა, რადგანაც კრების ნაწილისათვის საკითხი საკმაოდ გაშუქებული არ ყოფილა, საჭიროდ მიმაჩნია უფრო ვრცელი განმარტება წარმოგიდგინოთ.

კომეტები ჩვენი მზის სისტემის პირვანდელი წევრები როდი არიან. კომეტა მოდის უსაზღვრო სივრციდან, და როცა გაივლის მზის ახლოს, იგრძნობს მზის მიმზიდველ ძალას და გაექანება მისკენ ისეთი სისწრაფით, რომ შემოუვლის ირგვლივ და ინერციის ძალით გავარდება პარაბოლის მეორე გვერდით და გაიქროლებს ისევ უსაზღვროებისაკენ.

მაგრამ შეიძლება მზის სისტემაში შემოსვლის ან გასვლის დროს ისე ახლოს გაუაროს რომელიმე დიდ პლანეტას, რომ ამ უკანასკნელმა შესცვალოს მზის მიმართულება და კომეტა დაატყვევოს მზის სისტემაში.

მაგალითად, იუპიტერს, როგორც უდიდეს პლანეტას, დატყვევებული ჰყავს 23 კომეტა. თავისი უზარმაზარი მიმზიდველობის ძალით, ეს პლანეტა ღუნავს ახლოს გავლილი კომეტის პარაბოლას, აქცევს მას ელიპსად და ერთხელ ცის უსაზღვროებიდან შემთხვევით შემოჭრილ კომეტას ხდის ჩვენი სისტემის მუდმივ წევრად.

ხდება ზოგჯერ პირუკუ მოვლენაც: რომელიმე პერიოდულ კომეტას ისე აუქნევს ხელს მის ახლო გავლის დროს, რომ ბურთივით აისვრის უსაზღვროებაში და სამუდამოდ აგდებს მზის ოჯახიდან.

ბ ი ე ლ ა ც სწორედ იუპიტერის მიერ დატყვევებულ კომეტათა რიცხვს ეკუთვნის.

როდის ჩამოვარდა ეს კომეტა ჩვენს სისტემაში, ამის გამორკვევა ძნელია.

მე ვფიქრობ, ის უკვე სამჯერ შეხვდა დედამიწას დედამიწის ელიპსის საკუთარი ბურნვის გამო, ეს სამი შეხვედრა არ იყო კრიტიკული, მაგრამ კატასტროფებს მაინც ჰქონდა ადგილი. და ეს იყო ამ შეხვედრების შედეგები.

მომავალი მეოთხე შეხვედრა სდება სწორედ კრიტიკულ წერტილზე. ამიტომ არის ეს შეხვედრა უფრო სასიფათო.

ჰაერი დამძიმდა შიშის ვიბრიონებით.

უცნობი, არაჩვეულებრივი გრძნობა დაეუფლა კრებას, შიში იყო სხვაგვარი, რაღაც არაადამიანური, განუცდელი.

ყოველი მათგანი, ვინც ამ კრებაზე იყო, შეიძლება წარბშეუხრელად შეხვედროდა პირად სიკვდილს, მაგრამ მთელი დედამიწის ერთდროული, უეცარი სიკვდილის გრძნობა ვეღარ ეტეოდა გონების ფარგლებში და იწვევდა გაუგებარ სულიერ განწყობილებას.

ჩამოვარდა სრული სიჩუმე.

— ამხანაგებო! — გაისმა უკანა რიგებიდან. ვუყურებ ამ პატიოსან კრებას და ვერ გამიგია რაშია საქმე, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რა უნდა ვქნათ, როცა ჩვენს საქმეს, ჩვენს სიცოცხლეს რამე საფრთხე მოელის. მზადა ვართ ბრძოლისათვის და თავსაც გავწირავთ, თუ მდგომარეობა მოგვთხოვს. მაგრამ კომეტა, რომელიც დედამიწას უნდა დაეჯახოს, არის ბუნების სტიქიონი, ისეთი ხასიათისა და ზომის, რომ შეუძლებელია ფიქრიც მის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი მოხსენებიდან ასე ირკვევა — რა დაგვრჩენია ჩვენ? ძალა, რომელიც ჩემი გავლენის გარეშე დგას, მე არ მაინტერესებს. ჩემი აზრით, ჩვენ თავი უნდა დავანებოთ იმაზე ფიქრს, თუ როგორ შევძლოთ შეუძლებელი. იმ კომეტას შემოსვლა არ უკითხავს ჩვენთვის, არც გასვლას გვკითხავს. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, დავუბრუნდეთ ყველა ჩვენს სამუშაოს და უმჯობესი იქნება იმ კომეტაზე ლაპარაკსა და წერას სულ დავანებოთ თავი: გარდა პანიკისა არაფერი გამოვა უიმედო მითქმა-მოთქმისაგან. რაც აუცილებელია — თავისთავად მოხდება. თუ განწირულნი ვართ, რა საჭიროა სიკვდილამდე თვალების დათხრა!

კრება დასრულდა.

ამ სიტყვამ ბევრს დაუბრუნა გონების სიფხიზლე. მაგრამ ბევრს თან გაჰყვა მორიელის გესლი.

VI

პანიკა

მეორე დღეს დეპეშათა სააგენტომ მთელ ქვეყანას გადასცა ცნობა კამარელის მოსსენების შესახებ. ორი დღის შემდეგ მან მიიღო სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთაგან მრავალი შეკითხვა. პასუხად კამარელმა თავისი წერილი გამოაქვეყნა.

კამარელის წერილმა სენსაცია გამოიწვია. ევროპისა და ამერიკის 17-მა ობსერვატორიამ შეამოწმა კამარელის დასკვნა და უდავოდ დაამტკიცა საშინელი კატასტროფის აუცილებლობა.

მეცნიერებმა გამოიანგარიშეს მომავალი კატასტროფის სასიათი და თავზარდამცემი შედეგი მიიღეს; კომეტის მასა იმ ზომამდე დიდი აღმოჩნდა, რომ დაჯახებას უნდა გამოეწვია დედამიწის ორად გაყოფა. „გასკდომამდე დედამიწა აინთება, — წერდა ერთი ამერიკელი მეცნიერი, — დაიწყებს თავის ღერძის ირგვლივ ტრიალს საშინელი სისწრაფით და ეკვატორი ნელ-ნელა შუაზე გაიყოფა ერთ-ერთი მერიდიანის რკალით. შემდეგ ორივე ნახევარი მიიღებს სფერულ ფორმას, ერთმანეთს დაშორდებიან 50 ათას კილომეტრით და ერთიმეორის გარშემო დაიწყებენ ბრუნვას. 1933 წლის 25 ნოემბერს, საღამოს 5 ს. და 43 წ. გრინვიჩის დროით, კაცობრიობა სამუდამოდ შესწყვეტს თავის არსებობას“.

პირველ ხანებში ფართო საზოგადოებას დიდი ყურადღება არ მიუქცევია ამ ცნობისათვის, მხოლოდ მეცნიერთა წრეებში დუღდა მომავალი უბედურების საშინელი სვატი. მაგრამ როდესაც სპეციალური ორგანოებიდან ეს ამბავი პოლიტიკურმა პრესამ ქვეყანას მოსდო, სენსაციამ მიიღო საყოველთაო პანიკის ხასიათი.

სწრაფად მოედო მსოფლიოს პანიკა. მრავალ ქვეყანაში ბირჟამ პანიკას უპასუხა უმაგალითო არევ-დარევით, რამაც

ეკონომიურ-ფინანსური ქაოსი გამოიწვია. სამი დღის განმავლობაში უდიდესი ფინანსური ტრესტებისაგან ნანგრევებიღა დარჩა. არ გასჭრა არაკეთილმა მოწოდებამ, რომ კატასტროფამდე მაინც არ უნდა დაინგრეს საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ „რაღაც იმედებია“ და სხვა.

მსოფლიო აფართხალდა, როგორც ბნედამორეული ავადმყოფი. ევროპაში პანიკამ მრავალგვარი სახე მიიღო. ზოგიერთები თავდავიწყებულ გარყვნილობას მიეცნენ და ავხორცობის ვაკხანალიამ დაფარა შიშისა და უძლურების გრძნობა. ქვეყანას მოენგრა ბურჯები და თავდაყირა გადაბრუნდა ცხოვრების ყველა საფუძველი. თითქო წაიშალა სოციალური საზღვრები და თავზარდაცემული ხალხის ბრბო სამინელი უფსკრულის წინაშე ცურავდა სიგიჟისა და გარყვნილების მორევში.

ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა პატრიოტული მოწოდება:

— ბრიტანელებო! მსოფლიოს მეზღვაურებო! რამდენჯერ გამოგიჩენიათ სულის უმაგალითო სიმტკიცე და რაინდობა დასაღუპავად გამზადებულ გემების ბაქნებზე. რამდენჯერ ჩაძირულხართ თქვენ საყვარელ გემთან ერთად ოკეანის ცივ უფსკრულში უსიტყვოდ, წარბშეუხრელად, თქვენი განუკრეელი ჩიბუხით პირში. მეზღვაურებო! იღუპება ჩვენი უკანასკნელი ხომალდი, საყვარელი ჩვენი პლანეტა, რომელიც ამდენ ხანს ღირსეულად ატარებდა ბრიტანეთის მაღალ დროშას. დადექით ხომალდის ბაქანზე თქვენ-თქვენს ადგილზე, დაიცავით დისციპლინა, და დანარჩენ კაცობრიობას, ხომალდის მგზავრებს, ერთხელ კიდევ და უკანასკნელად უჩვენეთ თქვენი გმირული ბუნება, უშიშარი გული და მტკიცე ხასიათი! მეზღვაურებო! დაე, უკანასკნელად დაიღუპოს სივრცეში უიმედო და განწირული კივილი: SOS! მაგრამ ამ კივილს თან გაჰყვეს დროშად ჩვენი ქედმაღალი ერის გმირული სიმღერა:

გიახლოვდები,
გიახლოვდები,
მე შენ უფალო!..

ასე მოიქცნენ სხვა ქვეყნის მთავრობებიც, მაგრამ ამაოდ... პანიკა გრძელდებოდა.

დადგა 1932 წლის იანვარი.

პანიკის გავრცელებიდან სამი კვირის განმავლობაში მთელი მსოფლიო ციებ-ცხელებიანი ავადმყოფივით ცახცახებდა და ბოდავდა.

მომავალი სიკვდილი ათასჯერ დამტკიცებული იყო, არსაიდან საშველი არ ჩანდა და ზარდაცემულ გონებას საშინელი აღსასრულის აჩრდილი თანდათან უახლოვდებოდა.

იანვრის 10-ს რომში შესდგა კათოლიკური სამღვდელოების საგანგებო მსოფლიო კრება. კრების დღის წესრიგში იდგა ერთადერთი საკითხი: „მეორედ მოსვლის ნიშნები და სამღვდელოების ტაქტიკა". კრება გახსნა რომის მთავარმა ეპისკოპოსმა „უწმინდესი პაპის" სახელით და წარმოთქვა შესავალი სიტყვა:

„ქვეყანა წარყვნა ურწმუნოებამ, კაცობრიობამ დაივიწყა ღმერთი და თაყვანსა სცემს ყოველგვარ ბიწიერებას. და განრისხდა უფალი ღმერთი ჩვენი და ცეცხლისა და წარღვნის მოლოდინით დააქრო უკეთური გონება ადამიანისა; ცასცასებს შიშისაგან სასოწარკვეთილი უგუნურება, აღარ არის იმედი ღამატკბობელი და იტანჯება სული უნუგეშო. სისხლითა და კაცთა მძულვარების შხამით აღივსო ჭურჭელი სიყვარულისა და სათნოებისა. ვილოცოთ უფალისა ჩვენისა მიმართ, რათა გარდამოგვივლინოს ძემან ღვთისამან იმედი და ნუგეში და ყოვლად სახიერმან განამტკიცოს სარწმუნოება ჩვენი".

სამოციქულო კათედრაზე ადის მომხსენებელი, ღრმად მოსუცებული პრელატი მამა ბენედიკტე.

მ ა მ ა ბ ე ნ ე დ ი კ ტ ე: ქრისტეს მიერ ძმანო და ღირსნო მამანო! სრულდება ანდერძი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი: აღსდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფება მეუფებასა ზედა და იყვნენ ძრვანი ადგილ-ადგილ, და იყვნენ სიყმილნი და შფოთნი... მისცეს ძმამან ძმას სიკვდილად და მამამან შვილი. და აღსდგეს შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკვლიდეს მათ... ხოლო ოდეს იხილოთ საძაგელი იგი მოოხრებისა, თქმული დანიილ წინასწარმეტყველისა მიერ, მდგომარე აღგილსა წმიდასა, რომელი აღმოიკითხვიდეს, გულისხმა

ჰყვავნ... რამეთუ იყვნენ დღენი იგი ჭირისანი, რომელი არ სადა იქმნა ესე ვითარი დასაბამითგან, რომელ დაჰბადნა ღმერთმან, ვიდრე აქამომდე და აღარცა იყოს... აჰა ესერა წინასწარ გითხარ თქვენ ყოველი. მათ დღეთა შინა შემდგომად ჭირისა მის მზე დაბნელდეს და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი, და ვარსკვლავნი ზეცით გარდამოსცევნენ, და ძალნი რომელნი იყვნენ ცათა შინა, შეიძრნენ. და მაშინ ისილონ ძე კაცისა მომავალი ღრუბელთა ზედა ძალითა და დიდებითა მრავლითა...

ერთი დელეგატი: (ადგილიდან) ზეპირად ვიცით, მამაო, ზეპირად! თქვენ ის გვიბრძანეთ — ძე კაცისა მოდის თუ სატანა ჯოჯოხეთისა?

თავმჯდომარე: ვინ არის, უბედური, სიტყვას აწყვეტინებს მოციქულთა სწორს?

ერთი დელეგატი: შეწუხებულ არს სული ჩემი, ვიდრე სიკვდილამდე, მამაო ჩემო და ველი სიტყვას ახალსა და ნათელს, რათა განმიფანტოს ბურუსი, დაკმეული მეცნიერთაგან ურიცხვთა. ხოლო სახარება ვიცი ფრიად.

მამა ბენედიკტე: (განაგრძობს) და მაშინ წარავლინნეს ანგელოსნი მისნი და შეჰკრიბნეს რჩეულნი თვისნი ოთხთაგან ქართა, კიდითგან ქვეყნისათა, ვიდრე კიდემდე ცისა... და აჰსდა. კვამლი იგი საკმევლითა ლოცვისა მიმართ წმიდათასა ხელისაგან ანგელოსისა წინაშე ღვთისა, და აღიღო ანგელოსმან მან საკმეველი იგი, აღავსო ცეცხლისა მისგან საკურთხეველსა და დაასხა იგი ქვეყანასა, და იქმნეს ქუხილნი და ხმნი, და ელვანი და ძრვა. და მშვიდთა ანგელოსთა, რომელთა აქვნდეს შვიდნი იგი საყვირნი, გამზადნეს თავნი თვისნი ცემად. და პირველმან მან ანგელოსმან დასცა საყვირსა, და იქმნა სეტყვა და ცეცხლი, შეერთებული სისხლითა და მოვიდა ქვეყანად...

მეორე დელეგატი: ჩვენ აქ მოვედით არა იმისათვის, რომ საღმრთო წერილი ვიკითხოთ, ჩვენ გვინდა გავიგოთ — რა მოხდება, რას უნდა ველოდეთ და როგორ მოვიქცეთ?

თავმჯდომარე: საღმრთო წერილია ჩვენი გზის მაჩვენებელი. იქონიეთ მოთმინება!

მამა ბენედიკტე: მეორემან ანგელოსმან დასცა საყ-

ვირსა და ვითარცა მთა დიდი მოტყინარე ცეცხლითა შთავარდა ზღვად... და მესამემან ანგელოსმან დასცა საყვირსა, გარდამოვარდა ზეცით ვარსკვლავი დიდი მოტყინარე ვითარცა ლამპარი...

თავმჯდომარე: აი, ხომ გესმით: გარდამოვარდა ზეცით ვარსკვლავიო!.. ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს, უფლისაგან წინასწარ გვაქვს ნაუწყები.

მამა ბენედიკტე: და მეოთხემან ანგელოსმან დასცა საყვირსა და იწყლა მესამედი მზისა და მესამედი მთოვარისა, და მესამედი ვარსკვლავთა... და ვიხილე და მესმა ერთისა ანგელოსისა მფრინვალისა ჰაერითა შინა: ვაჲ არს, ვაჲ არს, ვაჲ არს მკვიდრთა ქვეყანისათა!..

ერთი დელეგატი: ვაჲ არს, ვაჲ არს. ვაჲ არს ჩვენდა, რამეთუ, არა ვიცით სად შევაფაროთ უბადრუკი თავი ჩვენი!

მამა ბენედიკტე: — და მეხუთემან ანგელოსმან დასცა საყვირსა, და ვიხილე ვარსკვლავი, რომელი გარდამოვარდა ზეცით ქვეყნად... და მიეცა მას კლიტე ჯურღმულისა მის უფსკრულისა. და განაღო წყარო უფსკრულისა, და აღჰხადა კვამლი ჯურღმულისაგან, ვითარცა ცეცხლისა მოტყინარისაგან და დაბნელდა მზე და ჰაერი კვამლისა მისგან ჯურღმულისა...

მესამე დელეგატი: (ჰყვირის) ჯურღმულში ვცვივით სულიან-ხორციანად! რა დროს ეს არის? არ გვინდა პანაშვიდი, გაგვაგებინეთ, მეორედ მოსვლაა, თუ მართლა უღვთოდ იღუპება ქვეყანა?..

თავმჯდომარე: ზარს აწკარუნებს.

მამა ბენედიკტე: და კვამლისა მისგან გამოვიდეს მკალნი ქვეყნად... და მსგავსება იგი მკალთა ისე ვითარი იყოს მსგავსი იყვნეს ცხენთა, განმზადებულთა ბრძოლად, და თავთა ზედა მათთა, ვითარცა გვირგვინნი მსგავსნი ოქროსნი, და პირნი მათნი, ვითარცა პირნი კაცთანი. და აქვნდა თმები, ვითარცა თმანი დედათანი, და კბილნი მათნი, ვითარცა ლომთანი იყვნეს. და აქვნდა ჯაჭვები, ვითარცა ჯაჭვი რკინისა, და ხმა ფრთეთა მათთა, ვითარცა ხმა ეტლთა ცხენთა მრავალთა, რომელნი რბოდიან ბრძოლად.

და აქვს კუდები მსგავსი ღრიანკალთა, და საწერტელები აქვნდა კუდებთა მათთა...

მ ე ო რ ე დ ე ლ ე გ ა ტ ი: არ გვინდა ასეთი მოსსენება! ხომ არ დაგვცინით, მამაო ჩვენთან ასობით მოდიან მორწმუნენი და გვეკითხებიან „რისთვის აიღო უფალმა ჩვენზე ხელი და რად უნდა დავისაჯოთ ჩვენ, მორწმუნენი, ურწმუნოთა ცოდვათაგან?“ მე მინდა ვიცოდე, რა ვუპასუხო მათ, რით ვანუგეშო?

მ ა მ ა ბ ე ნ ე დ ი კ ტ ე: მეექვსემან ანგელოსმან დასცა საყვირსა თვისსა, და ვიხილე რიცხვი მსედრობითა მათ ცხენთა ორი ბევრი ბევრთანი, და მსსდომარეთა მათ ზედა აქვნდა ჯაჭვები ცეცხლისა და იაკინთისა, და წუნწუბისა სასენი, და თავნი ცხენთანი, ვითარცა თავნი ლომთანი და პირთა მათთაგან გამოვალს ცეცხლი და კვამლი და წუნწობ... კუდნი მათნი მსგავს არიან გველთა და აქვთ თავები და მით ვნებენ...

დარბაზში სმაურობაა. დელეგატები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან და სმამაღლა კამათობენ. ისმის გუგუნი.

ე რ თ ი დ ე ლ ე გ ა ტ ი: — მამაო, თავმჯდომარე! მეტის მოთმენა შეუძლებელია! ჩვენს ღრმად პატივცემულ მხცოვანს პრელატს, ეტყობა, არა აქვს წარმოდგენილი მთელი სიმწვავე ჩვენი მდგომარეობისა. რად გვინდა ჩვენ ის, რასაც მომხსენებელი ამბობს? გვიპასუხეთ იმ კითხვაზე, რომელიც დასმულია წესრიგში: კატასტროფა, რასაც მთელი ქვეყანა ელის, მეორედ მოსვლაა, თუ სხვა რამ სტიქიური უბედურება? თუ მეორედ მოსვლაა — რას სდუმან მოძღვარნი და რად მეტყველებენ საშინელის წინასწარმეტყველებით უკეთურნი და ბიწიერნი?

მ ა მ ა ბ ე ნ ე დ ი კ ტ ე: და ვიხილე სხვა ანგელოსი ძლიერი, გარდამომავალი ზეცით და ემოსა ღრუბელი და ირისე...

საშინელი ხმაურობა და აურზაური ატყდება. ერთი მღვდელი კათედრაზე ავარდება და მომხსენებელს ხელიდან გამოჰგლეჯს „იოანეს გამოცხადებას“. მომხსენებელი რაღაცას ბუტბუტებს და კათედრიდან ჩამოდის. თავმჯდომარე რეკავს, კათედრაზე ადის მ ე ო რ ე დ ე ლ ე გ ა ტ ი.

— დიდი ხანია ჩვენ ვქადაგებთ: მთავარ-ანგელოსნი უფლისანი საყვირითა ცეცხლისათა აუწყებენ ქვეყანასა მეორედ მოსვლას უფლისა ჩვენისა... დღეს კი რას ვხედავთ? ასტრო-

ნომების ტელესკოპები ჰკივიან ტაძრების ნაცვლად, ობსერვატორები მეტყველებენ: სად არის ჩვენი პაპი, ქრისტეს მოადგილე ამ ქვეყანაზე? რად არ წარსდგება ჩვენს წინაშე და არ გვაუწყებს ღვთიურს ნებას? და თუ ქვეყანა იღუპება უფლის ნების გარეშე, როგორ შევათავსოთ ეს მოვლენა საღმრთო წერილთან?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: არავინ უწყის ნება უფლისა. თვით ქრისტემ ბრძანა, ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოსთა ცათა შინა, არცა ძემან, არამედ მამამან. იხილეთ და მღვიძარე იყვენით და ილოცევდით, რამეთუ, არა იცით ოდეს იყოს ჟამი იგი...

კრება ხმაურობს.

„არცა ძემან?" — ბევრს უკვირს ეს სიტყვები, თითქოს პირველად გაეგონოთ!

უმწვერვალესი კონსპირაცია!

მაშ, მეცნიერებმა საიდან იციან?..

მ ე ო რ ე დ ე ლ ე გ ა ტ ი: წინადადებას ვიძლევი, პაპი მოვიწვიოთ კრებაზე.

— პაპი! პაპი! — ისმის ხმები.

— პაპი მოვიწვიოთ!

კრებას დადგენილება გამოაქვს: წარგზავნილ იქნას პაპთან დელეგაცია და ეთხოვოს მის უწმიდესობას მობრძანდეს კრებაზე.

დელეგაციაში ირჩევენ 12 კაცს (12 მოციქულს.)

დელეგაციის თავმჯდომარედ ირჩევენ პარიზის დელეგატს აბატ დე ბრიონს, მამაკაცს მოწიფულს და მსარბეჭიანს.

კრება წყდება საღამოს 6 საათზე.

დელეგაცია ვატიკანს ჩავიდა პირველ საათზე.

პაპის სასასლეში მას საღამოს 5 საათამდე მოუსდა ლოდინი, ვიდრე კარდინალი გამოვიდოდა.

მამა დე ბრიონმა მოახსენა კარდინალს კრების დადგენილება და სთხოვა შეუძღვეს დელეგაციას პაპთან.

— პაპს დღეს თქვენი მიღება არ შეუძლია, — მოკლედ მოუჭრა კარდინალმა.

— რატომ არ შეუძლია? — გაიკვირვა დე ბრიონმა.

— საქმე აქვს.

— რა საქმე უნდა ჰქონდეს ეკლესიის მსოფლიო კრებაზე უფრო მნიშვნელოვანი? — შეედავა დე ბრიონი.

— ლაპარაკი ზედმეტია, პაპს თქვენთვის არ სცალია, — უკმეხად მიუგო კარდინალმა და ოთახიდან გავიდა.

პატივმოყვარე აბატი შეურაცხყოფამ ისე გააბრაზა, რომ დაჰკარგა ეტიკეტის გრძნობა და ძალით შევარდა პაპის დარბაზში.

დარბაზში პაპი არ იყო.

გაიარა რამდენიმე ოთახი, მაგრამ პაპი ვერსად ნახა.

ერთ ოთახში წააწყდა ერთს ანაფორიან ახალგაზრდას, რომელიც ჩემოდანში რაღაც ნივთებს ალაგებდა.

ანაფორიანს აბატისათვის ყურადღება არ მიუქცევია, სახეგაფითრებულმა აიღო ჩემოდანი და ქურდივით. უსმოდ, ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

აბატმა მისდია.

ანაფორიანმა ჩაირბინა დაბლა სართულში, შეუხვია ეზოსკენ და იქვე, თითქოს მიწა გაუსკდაო, სადღაც გაქრა.

აბატი გაჰყვა მის კვალს ოდნავ განათებული კიბით და ნასევრად ბნელ გვირაბში გავიდა. გვირაბის ბოლოს სპირალური კიბე ჩადიოდა ღრმა ჭაში.

ჭის ფსკერზე, მარჯვნივ კარი გადიოდა საკმაოდ განიერ, სარდაფივით კამარაშეკრულ ოთახში, სადაც რამდენიმე კაცი ყუთებს ალაგებდა.

ანაფორიანმა ეს ოთახიც გაიარა და მარცხნივ კარი შეაღო.

გამოჩნდა კარგად განათებული განიერი ოთახი.

აბატი შეუმჩნევლად შეჰყვა ამ ოთახში ანაფორიანს.

შუა ოთახში დაბალ სავარძელზე იჯდა თავჩაქინდრული, უზომოდ გამხდარი პაპი. ხელები სავარძლის სახელურებზე დაეწყო, ზურგით სავარძელს მიყრდნობოდა და დანაოჭებული ნიკაპი მკერდზე მიებჯინა. თვალები დასუჭული ჰქონდა და თეთრად მოსილი ჰგავდა ქვის ქანდაკს.

ანაფორიანმა ჩემოდანი კარადაში ჩადო.

კუთხეში სამი კაცი კედელზე რაღაცა ინსტრუმენტს ამაგრებდა.

პაპმა უცებ თვალი გაახილა.

— ვინ არის ეს კაცი? — მისუსტებული ხმით იკითხა მან და აბატს მიაცქერდა.

ანაფორიანი მოტრიალდა და როცა უცხო კაცი დაინახა, ეძგერა:

— თქვენ ვინა ხართ? ვინ შემოგიშვათ აქ?

— მე ვარ ეკლესიის მსოფლიო კრების მიერ არჩეული დელეგაციის თავმჯდომარე აბატი ჟან დე ბრიონი, — გაბედულად უპასუხა აბატმა და ორი ნაბიჯი წარსდგა პაპისაკენ.

— უნდა მოვახსენო მის უწმინდესობას, რაც კრებამ დამავალა.

— თქვას, თქვას, ნუ უშლი! — მიმართა პაპმა ანაფორიანს, რომელიც აპირებდა დაუკითხავად შემოსულის უკან გაგდებას.

— დელეგაციის წევრები ზევით მიცდიან. ოთხი საათია, თქვენს კართან ვდგავართ, თქვენო უწმინდესობავ! თქვენი წებართვითა და სახელით მოწვეულ იქნა ეკლესიის მსოფლიო კრება, რომელსაც უნდა განესილა ქვეყნის აღსასრულის მოახლოვების საკითხი. კრება დღეს გაიხსნა, მაგრამ შიშითა და ძრწუნვით მოცული, ელის თქვენს სიტყვას, რომ აუწყოს მას თქვენის პირით ნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი...

— მე არაფერი ვიცი! რა უნდა გაუწყოთ? — მოულოდნელად აკაპასდა პაპი და გაწვალებულ სახეზე ნაოჭების წვრილი ხაზები ობობას ქსელივით გაიშალა. — ქრისტე არაფერ შუაშია აქ... ქვეყანას სატანა ღუპავს, გესმით? — სატანა!.. მე თავი დამანებეთ.

— როგორ ვანუგეშოთ მორწმუნენი? — აღელდა აბატი. — ჩვენ გვეკითხებიან ათასნი და ათიათასნი და სიტყვა მისაგდებელი ჩვენ არა გვაქვს.

— მართალი ხარ, შვილო! — უცებ მოლბა პაპი. — ხომ ხედავ, მე როგორ ვემზადები? ასევე მოემზადეთ თქვენც.

— მე არ მესმის, რასა ბრძანებთ! — მიუგო გაკვირვებულმა აბატმა.

— აბა, ყური დამიგდე, — თავის კანკალით ამბობდა პაპი, — არავინ იცის, რა მოუვა დედამიწას კომეტასთან დაჯახებით. მეცნიერებს არაფერი დაეჯერებათ. იქნება დაინგრეს სახლები, სანძარმა გადაბუგოს ქვეყანა, ზღვამ გადარეცხოს ხმელეთი...

მაგრამ, შემდეგ, შეწევნითა ღვთისათა, ისევ დაწყნარდეს წყალი, დამშვიდდეს ჰაერი და ქვეყანას დაუბრუნდეს ჩვეულებრივი სახე... და, ვინ იცის, თუ ამ გარდამავალ წარღვნას, როგორმე თავს დავაღწევთ, იქნებ გადავრჩეთ კიდეც!..

— წარღვნაა მოსალოდნელი თუ მეორედ მოსვლა? — შეეკითხა პაპის აბნეული საუბრით შეშინებული აბატი.

— მე ნიშანი არა მაქვს, არა მცნო ღირსად ქრისტემან, — პაპმა ხელები ზეაღაპყრო და ჩაყვითლებული თვალები ჭერს მიასო. — მაგრამ წერია: აჰმვრა იქმნა დიდი, და მზე შავ იქმნა ვითარცა ძაძა ძალნისა, და მთოვარე ყოვლითურთ იქმნა ვითარცა სისხლი. ვარსკვლავნი ცისანი გარდამოცვივდეს ქვეყნად, ვითარცა ლეღვმან დაჰყაროს პირველი ნაყოფი თავისი ქარისაგან დიდისა შერყევით. და ცა წარიგრაგნა, ვითარცა წიგნი წარგრაგნილი, და ყოველი მთა და ბორცვი ადგილთა თავისთაგან შეიძრნეს, და მეფეთა ქვეყანისათა, და მთავართა და ათასისთავთა, და მდიდართა ძლიერთა, და ყოველმან მონამან და აზნაურმან დამალნეს თავნი მათნი ქვაბთა შინა და კლდეთა და მთათა შინა. და ეტყოდეს მთათა და კლდეთა: დამეცენით ჩვენ ზედა და დაგვიფარენით ჩვენ... აი, რა წერია საგულისსმოდ ჩვენდა... ჰა და, მეც „ქვაბსა შინა", მიწის ქვეშ ვიმზადებ ბინას... ბეტონით შეკრულ თაღებში და კედლებში... სანოვაგე და მჟავბადი ერთი თუ ორი თვის სამყოფი... სხვა საშუალება მე არ ვიცი...

VII

ნიღაბი

დილის ათი საათია.

ინჟინერი გურგენ კამარელი ზის თავის სამუშაო კაბინეტში და ქაღალდებს ათვალიერებს.

ღია სარკმელში პატარა ეზოდან ფოთლების შრიალით შემოდის თბილი მზიანი აპრილი.

კამარელი დახედავს მაგიდის კალენდარს:

14 აპრილი. ხუთშაბათი.

შარშან სწორედ ამ დღეს ეწვია მას ინჟინერი ვაისმანი,

რიზელმაც ისე ბირეულად შეარყია მისი და მთელი ქვეყნის ცხოვრება. ბალიან კარგად ახსოვს: 14 აპრილი, მხოლოდ სამშაბათი იყო.

ერთი წელიწადი — და ამდენი განცდა, ამდენი გამარჯვება და ბოლოს საშინელი კატასტროფის მოლოდინით თავზარდაცემული კაცობრიობა.

ყველაფერი ეს უფრო სიზმარსა ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს.

განსაკუთრებული სიმწვავით განიცდის იგი ეულის ტკივილს დღეს, უცნაური დარბაზობის წლისთავზე: რაოდენი იმედი და გამარჯვების ხალისი აღუძრა მას ამ დღემ და როგორ შეუბრალებლად დაამსხვრია ეს იმედები საშინელმა აუცილებლობამ.

კარზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით!

შემოვიდა ინჟინერი ვაისმანი.

— სწორედ თქვენზე ვფიქრობდი ამ წუთს, — მიესალმა კამარელი.

— ვინ იცის, იქნებ ცუდად მახსენეთ? — ღიმილით იკითხა ვაისმანმა და დაჯდა.

— დღეს ერთი წელი შესრულდა, რაც თქვენ ამ ოთახში პირველად შემოდგით ფეხი.

კამარელმა საათს დახედა:

— და, როგორც მახსოვს სწორედ ეს დრო იყო — დილის 10 საათია.

— როგორმე უნდა აღინიშნოს ეს თარიღი, — თქვა ვაისმანმა.

კამარელს ნაღვლიანად გაეღიმა:

— ეს კვიმატი თარიღი დიდი ზეიმითა და სალუტით აღინიშნება 1933 წლის 25 ნოემბერს.

— ვფიქრობ, ამ შემთხვევაში წინასწარმეტყველი ხარ, — ბაურთო ვაისმანმა. — 1933 წლის 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, შესაძლოა კაცობრიობამ დიდი ზეიმი გამართოს.

— წინასწარმეტყველება თქვენია, ხოლო ზეიმს კაცობრიობა კი არ გამართავს, კაცობრიობას გაუმართავს მსოფლიოს უხილავ ძალთა ბრმა რეჟისორი.

— რეჟისურა უნდა ჩამოერთვას ბრმა ძალას, — სახის სე-

რიოზული გამომეტყველებით მიაგება კამარელის ნაღვლიან ირონიას ვაისმანმა საპასუხოებელივით მჭრელი სიტყვები.

— ვინ ჩამოართმევს? — ჰკითხა კამარელმა.

— ადამიანი! — უპასუხა ვაისმანმა და შავ სათვალეებში ცისფერი ელვა დაანთო.

კამარელის სახეზე ირონიულმა ღიმილმა ვადაირბინა.

— ოცნებაა!

— მთელ ქვეყანას საშინელი ბედისწერის ულმობელი სიმძიმე აწევს, — თქვა ვაისმანმა. — კატასტროფის შორი გრგვინვა უკვე ანგრევს კაცობრიობის კულტურის მთავარ ბოძებს. ასე თუ გაგრძელდა, შიშისა და სასოწარკვეთილების ქარიშხალი წალეკავს და გაანადგურებს ადამიანთა მოდგმას უფრო ადრე, სანამ ცის სივრცეში დედამიწისა დ კომეტის საბედისწერო დუელი გაიმართებოდეს.

კამარელი იჯდა დაღონებული და ყურს უგდებდა ვაისმანის ხმალივით მოქნეულ სიტყვებს.

— გამოფხიზლების იმედი კი არსაიდან სჩანს: კაცობრიობამ მიიღო სასიკვდილო დიაგნოზი და არც ფიქრობს გაბრძოლებას, უძლური და უიმედო ლაჩარივით ნებდება სიკვდილს.

— ჩვენ შევცდით, — თქვა კამარელმა, — კაცობრიობას არაფერი უნდა სცოდნოდა მომავალი უბედურების შესახებ. რა სარგებლობა მოიტანა წინასწარ გაფრთხილებამ? შიშისა და უმწეობის მორევში ჩააგდო მთელი ქვეყანა და დედამიწა დაამსკავსა სიკვდილმისჯილის ცივსა და ბნელ საკანს.

— ყველაფერი თავის გამართლებას თავის დროზე იპოვის, — დამშვიდებით მიუგო ვაისმანმა. — გაფრთხილება საჭირო იყო. იმედიც მქონდა, რომ უფსკრულის წინ მდგარი კაცობრიობა გონების უკანასკნელი დაძაბვით შესძლებდა თავისი გადასარჩენი ფრთების გამოსსმას, მაგრამ ჯერჯერობით მოლოდინი არ გამიმართლდა. საჭიროა დახმარება.

— ვინ უნდა დაგვეხმაროს? — გაკვირვებით წამოიძახა კამარელმა. — ღმერთი ხომ არა?

— ღმერთი ჩვენ შევქმენით, ჩვენვე მოვსპეთ. ადამიანმა უნდა შესძლოს დანგრეული ტასტის აღდგენა.

— სხვა ღმერთისთვის?

— ერთადერთი ღმერთისთვის, რომლის არსებობა შესაძლებელია მსოფლიოში.

კამარელმა უცებ დაღლილობა იგრძნო. უნებურად გაიფიქრა: ნუთუ სიკვდილის წინაშე დიდი გონებაც იბინდება?..

— მე კი ვფიქრობდი, — ვერ შეიკავა დამცინავი კილო, — რომ ჩვენ დავასაფლავეთ უკანასკნელი ღმერთი, თურმე ერთი კიდევ ყოფილა. რა ჰქვია მას?

— ადამიანის გონება, — უპასუხა ვაისმანმა.

— შუქის ერთი წვეთია დაუსრულებელი სივრცის უსაზღვრო სიბნელეში.

— ერთადერთი.

— ერთადერთი! ეს მართალია, — დაუდასტურა კამარელმა.

— მისი მატარებელია ადამიანი. მან უნდა აისხას „ღვთიური“ საჭურველი და ამაღლდეს ისეთ მწვერვალზე, საიდანაც უფრო ადვილი დასაზვერია „ბედის“ შეუცნობელი თამაში.

— სამწუხაროდ ადამიანმა ვერ მოასწრო ამ მწვერვალზე ასვლა.

— უნდა ავიდეს, თუ სურს გადარჩეს, — თქვა ვაისმანმა.

— ვერ ავიდა. იქნებ არც იყო ღირსი, — დაუმატა კამარელმა და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო, — შესაძლოა აგრეთვე, რომ მსოფლიო უფრო უფსკრულია, ვიდრე მწვერვალი.

— უფსკრული მხოლოდ მწვერვალიდან ჩანს, — თქვა ვაისმანმა. — მინდა თქვენც გადმოგახედოთ ამ მწვერვალიდან.

— მზადა ვარ! — უთხრა კამარელმა და იგრძნო რაღაც ახლის მოასლოება.

— დრო აღარ ითმენს. საჭიროა მოქმედება.

— მოქმედება თუ ოცნება?

— ვიცი, თქვენ ოცნება უწოდეთ ჩემ აზრს, უხილავ ძალთა რეჟისორობის გაუქმების შესახებ. მინდა ჩემი ნათქვამი დავასაბუთო. გთხოვთ, ყურადღებით მომისმინოთ!

• კამარელს ჟრუანტელმა დაუარა: ისევ იშიფრება გამოუცნობი საიდუმლოებით ეს შავსათვალიანი მეფისტოფელი, ის ისევ აღელვებს მას უეცარი ხილვის მოლოდინით.

— დედამიწა და კომეტა უნდა დაეჯახონ ერთმანეთს. შესაძლებელია თუ არა ამ კატასტროფის თავიდან აცილება? ჩვენ ვამბობდით, რომ შეუძლებელია, ვინაიდან აქ მოქმედებენ ძალები, რომელნიც ჩვენი გავლენის გარეშე იმყოფებიან. მართალია თუ არა ეს?

— არა მგონია თქვენ ეს ეაექვებდეთ, — შენიშნა კამარელმა.

— ეს მართალია ᲣᲮᲝᲚᲝᲓ ნაწილობრივ: ორ მოქმედ ძალთა შორის ერთი მართლაც ჩვენი ყოველგვარი გავლენის გარეშე იმყოფება, სახელდობრ კომეტა. მაგრამ დედამიწაზე ხომ ჩვენა ვართ უზენაესი ძალის მატარებელნი?

— ძალიან მცირე ფარგლებში.

— ფარგლებზე შემდეგ. დროებით დავუშვათ, რომ ჩვენ შეეკვიძლია დედამიწის მოძრაობის მართვა, ისე, როგორც მემანქანე მართავს ორთქლმავალს. კატასტროფის ასაცილებლად საჭიროა ორბიტების კრიტიკული წერტილი, რამდენიმე წუთით ადრე გაიაროს ან კომეტამ, ან დედამიწამ. მაგრამ, როგორც ვთქვი, კომეტის მოძრაობის სიჩქარეს ჩვენ ვერ შევცვლით. მაშასადამე. საჭიროა ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲛ ᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲬᲠᲝᲡ ᲙᲝᲛᲔᲢᲐᲡ, ᲐᲜ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲣᲨᲕᲐᲡ ᲘᲒᲘ.

— ეს კარგი რამ იქნებოდა, — ამოიოხრა კამარელმა, — მაგრამ ვინ კისრულობს ᲛᲔᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲝᲑᲐᲡ?

— ჩვენ უნდა ვიკისროთ!

— ვინ ჩვენ? — გაუკვირდა კამარელს.

— ჩვენ ორმა. მაგრამ ხომ შევთანხმდით, ეს შესაძლებლობა პირობითად მივიღოთ? ჯერ ანგარიშს მოვრჩეთ. ჩვენს პირობებში რომელია უფრო ადვილად შესასრულებელი: პირველი თუ მეორე ვარიანტი?

— ესე იგი?

— გაუსწროს თუ გაუშვას?

— ორსავე ვარიანტს ერთი შედეგი მოჰყვება.

— შედეგი ერთი იქნება, მაგრამ ჩემი გამოანგარიშებით მემანქანეს მეტი ენერგია დაეხარჯება პირველი ვარიანტით. და აი რატომ: რომ დედამიწამ გაუსწროს კომიტას, საჭიროა ის გასცილდეს კრიტიკულ წერტილს, კომეტის იქ მისვლამდე, დაახლოებით 400.000 კილომეტრის მანძილით, ვინაიდან იმ დროს მთვარის მდგომარეობა ისეთი იქნება, რომ ის დედამიწის ზურგს უკან მოექცევა. როგორც ვიცით, მთვარე დაშორებულია დედამიწას 380.000 კილომეტრით. მაშასადამე, თუ დედამიწა წინ წავა, უნდა გაათრიოს მთვარეც, წინააღმდეგ შემთხვევაში კომეტა ან დაეჯახება მთვარეს, ან დედამიწასა და მთვარის შუა გაიქროლებს და შეიძლება შესცვალოს მიწისა

და მისი თანამგზავრის ურთიერთობა ჩვენთვის საზიანოდ. მეორე ვარიანტით საკმარისია დედამიწას დააგვიანდეს კრიტიკულ წერტილზე მისვლა მხოლოდ 10.000 კილომეტრით, რომ სრულიად უვნებლად მოიცილოს თავიდან დაუპატიჟებელი სტუმარი. კილომეტრი უდრის დედამიწის მოძრაობის ექვსი წუთის გზას. (როგორც იცით, ის წამში მიჰქრის 30 კილომეტრის სისწრაფით: 30×60×6=10.800). მაშასადამე საჭირო იქნება დ ე დ ა მ ი წ ი ს ე ქ ვ ს ი წ უ თ ი თ დ ა მ უ ხ რ უ ჭ ე ბ ა.

ჯადოსნური სიტყვები მეტეორებივით ჩაცვივდა გამოუცნობ საიდუმლოებათა უფსკრულში და გოლიათური ამოცანების კონტურებმა თანდათან ელვარება დაიწყო.

— დედამიწის „ეტლის" მოძრაობის ექვსი წუთით შეგვიანება იხსნის ქვეყანას დაღუპვისაგან, — დაასკვნა ვაისმანმა.

— მაგრამ რა ძალა შესძლებს ამ „ეტლის" დამუხრუჭებას? — ჰკითხა კამარელმა.

— კატასტროფამდე კიდევ წელიწადი და შვიდი თვე დარჩა, — განაგრძობდა ვაისმანი. ექვსი წუთი შეგვიანებისათვის საჭიროა დედამიწამ დღე-ღამეში ერთი წამი შეანელოს თავისი მოძრაობა ერთი წლის განმავლობაში. ჩვენს განკარგულებაშია კიდევ შვიდი თვე მუხრუჭების მოსაწყობად.

— ნუთუ სერიოზულად ფიქრობთ, რომ თანამედროვე ტექნიკას შეუძლია ასეთი ამოცანის დასმა? — ჰკითხა კამარელმა. — დედამიწა ხომ გაუხედნავი ცხენი არ არის, რომ რკინის ლაგამით შეიძლებოდეს მისი დამორჩილება?

ჩვენი პლანეტა ოდნავ ყალყზე უნდა შევაყენოთ, თუ გვსურს მისი გადარჩენა, თორემ უფსკრულში ჩაიმსხვრევა.

— როგორ გინდათ ეს გააკეთოთ?

— მე გამოვიანგარიშე, რა ძლიერების მუჯლუგუნებია ამისათვის საჭირო. დედამიწის მასას და მისი მოძრაობის სიჩქარეს თუ მივიღებთ მხედველობაში, საჭირო იქნება ყოველ წამს დედამიწის ნახევარსფეროს წინ ეღობებოდეს სამი მილიარდი ატმოსფერული წნევის უკუქცევის ძალა.

— ჯერ ერთი, წამში ასეთი ძალის დაგროვება და ისიც მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლად ტექნიკის დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, მეორე — როგორ გსურთ ეს

ძალა დაასვედროთ დედამიწას მის ორბიტზე? — ჰკითხა ოდნავ იმედგაცრუებულმა კამარელმა.

— ჩვენ ვლაპარაკობთ დედამიწის დამუხრუჭებაზე, — საჩქაროდ უპასუხა ვაისმანმა, — მაშასადამე, საჭირო არ არის გარედან წინააღმდეგობის მოწყობაზე ზრუნვა. თქვენ კარგად იცით, რა პრინციპზეა აგებული თანამედროვე მაშსალიანი მანქანების დამზადება. მეცნიერებისათვის უდაოა, რომ ასეთი მანქანის მ ა რ თ ვ ა შეიძლება ცის უპაერო სივრცეში. პრინციპულად არავითარი განსხვავება, ასეთ მანქანასა და დედამიწას შორის, არ არის.

— სრული ჭეშმარიტებაა! — საჩქაროდ დაუდასტურა კამარელმა.

— რაც შეეხება იმ არაჩვეულებრივი ძალის მარაგს, რომელიც საჭიროა ესოდენ დიდი ეფექტის მისაღებად, უნდა ვთქვა გადაჭრით, რომ თანამედროვე მეცნიერება უკვე მიადგა ამ ძალის საიდუმლო კარებს.

— თქვენ გულისხმობთ ატომის შინა ენერგიას, — სიტყვა მიაგება კამარელმა.

— დიახ, ატომის შინა ენერგიის გათავისუფლებით შესაძლებელი გახდება დედამიწის მოტორად გადაქცევა. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზნებისათვის საჭირო იქნება 17 კილოგრამი ურანის სრული ენერგია, არც მეტი, არც ნაკლები.

— ვთქვათ, ყველაფერი ეს შესაძლოა, — დაეთანხმა კამარელი, — მაგრამ თქვენვე აკი ამბობთ, რომ თანამედროვე მეცნიერება ამ უსაზღვრო ენერგიის რეზერვუარის კარებთან დგას მხოლოდ და ჯერ შიგ ვერავინ შესულა! რა საფუძველი გაქვთ, იფიქროთ, რომ შვიდი თვის ვადაში მეცნიერება არაჩვეულებრივ ძალას გამოიჩენს და იერიშით აიღებს ამ დარკინულ ცისეს? მეტადრე ასლა, როცა კულტურის მაჯისცემა ასე მინელებულია საშინელი კატასტროფის მოლოდინში.

ვაისმანი ადგა და დაფიქრებულმა ოთახში სიარული დაიწყო.

— თქვენ მართალი სართ: კაცობრიობა ამჟამად უიმედო მდგომარეობაშია, მას სჭირდება გარეშე დახმარება.

კამარელი ჩვეული იყო ვაისმანისაგან ყოველგვარ მოულოდნელობებს, მაგრამ ეს ნამეტანი იყო.

— კარგად ვერ გავიგონე, რა სჭირდება? — ჰკითხა და თვალი ააყოლა ფანჯრისაკენ მიმავალ ვაისმანს.

ვაისმანი უცებ შემობრუნდა კამარელისაკენ და შუა ოთახში გაჩერდა. ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო და თავი ზურგისაკენ გადასარა. თითქო სათვალეს ქვემოდან უნდა შეხედოს კამარელსო. ერთ წუთს ისე იდგა, შემდეგ, თითქო პირიდან სიტყვების ნაცვლად ადუღებულ ლითონს აფურთხებსო, ხაზგასმით გაიმეორა:

— დედამიწას სჭირდება გარეშე ძალის დახმარება!

კამარელს თვალებში შიგნიდან ნიაღვარივით მოაწვა რაღაც. ხელები აიფარა თვალებზე და იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო.

დიდი ნებისყოფით საგანგებოდ დაჩრდილული და მოფარდული ეკრანი ისევ აენთო და თითქო მივიწყებული მარსელი ქალის სახე მოულოდნელად აიმართა კამარელის წინ. საკვირველია, როგორ შეძლო ამდენ ხანს ეკრანისათვის თვალის არიდება! გული უნდა ქცეულიყო ფერფლად, რომ დაეფარა შიგ ჩაზავებული სიყვარულის ღველფი და ჩრდილით დაებურა უსაზღვროების ფანჯრიდან შემოჭრილი საყვარელი ქალის ძვირფასი სახე. საბედისწერო პაემანის შემდეგ ერთხელაც არ მიჰკარებია კამარელი ჯადოსნურ ეკრანს და ყოველ ღონეს ხმარობდა, დავიწყებოდა განუხორციელებელი ოცნების მაცდური ჩვენება. რა საჭირო იყო სულის ჯამბაზური ვარჯიში, როცა წინდაწინვე ცხადი იყო მისი უაზრობა? კამარელის სიყვარულის რომანტიკა მისტიკურ საბურველს ეფარებოდა და ელექტრონით შთაგონებულ მეცნიერს აბრაზებდა ეს მოულოდნელი გადახრა. რა მოუქნელი და გულუბრყვილო გამოდდა ადამიანის ფსიქიკა! შეცდომებით გამოწვეულ სულის მოძრაობას, მიმართულებას ვერ შეუცვლიდა შეცდომის გამომჟღავნების შემდგომაც! თავიდანვე რომ სცოდნოდა, ეკრანის სარკიდან მარსელი ქალი იცქირებოდა, მისი გული გამოიჩენდა თავდაცვის უნარს და სიყვარულით არ მოიწამლებოდა. ქვეყნის დაღუპვის მოახლოებულ გრგვინვას დროზე რომ არ დაეძლია კამარელის გულში ახმაურებული მუსიკა, ვინ იცის შესძლებდა თუ არა იგი მომხიბვლელი ძახილის პასუხად ვაჟკაცურ დუმილს... ახლა კი, როცა ვაისმანი ისევ უფსკრულს

იქით იხედება, კამარელს ელდანაკრავივით უვლის სხეულში, გულში დამარსული სიყვარულის სხივი. ხომ შეიძლება ეკრანის საშუალებით დახმარების მიღება „გარეშე ძალთაგან“? აკი ვაისმანმა ი ქ ი დ ა ნ მიიღო ეკრანის გაუმჯობესების გასაოცარი ინსტრუქცია? მაგრამ განა სასიხარულოა ეს ამბავი? შესაძლოა ეკრანმა ააშოროს დედამიწას საშინელი სიფათი, მაგრამ ამით ხომ უფრო ახმაურდება დაუძლეველი სიყვარულის მიყუჩებული მუსიკა?

— რატომ ჩაფიქრდით? — ხანჯალივით გაჰკვეთა ვაისმანმა კამარელის ფიქრთა დენა.

კამარელი ფიქრებისაგან გამოერკვა. წამოდგა, თვალები მოიფშვნიტა და ნამძინარევივით დაბარბაცდა.

— მე სულ დამავიწყდა თქვენი ეკრანი, — ჩაილაპარაკა გაბზარული ხმით. — რა თქმა უნდა, შესაძლოა ი ქ ი დ ა ნ დახმარების მიღება.

— კარგად ვიცი, რატომ დაივიწყეთ თქვენ ეკრანი, — თქვა ვაისმანმა და წამოდგა.

კამარელს მოეჩვენა, რომ შავ სათვალეში ბოროტმა ალმა იელვა.

— გარწმუნებთ, ამისათვის საფუძველი არ გქონდათ, — დაუმატა ვაისმანმა. — ხვალ ამაში თქვენც დარწმუნდებით. ახლა წავალ, ხვალ დილით 10 საათზე ეკრანთან გელით.

და ვაისმანი ოთახიდან გავიდა.

გაბრუებული კამარელი დიდხანს იდგა შუა ოთახში გაქვავებულივით.

ტელეფონის ზარმა გამოარკვია.

ქუდი დაიხურა და გარეთ გავიდა.

მთელი დღე რეტდასხმულივით დაბორიალებდა ქალაქში და შინ გვიან დაბრუნდა.

შევიდა კაბინეტში და სავარძელში ჩაიკეცა...

* * *

რას უქადის კიდევ ახალს და გაუგონარს ეს დაუცხრომელი ჯადოქადრი? კიდევ რა საოცრება მოელის ხვალ სხვა ქვეყნის შუქით განათებულ ეკრანთან, ამ უსაზღვროების ღია თვალთან?

კამარელის თავში ათასი ფიქრი სცვლის ერთიმეორეს, თოვლის ფანტელებივით აფორიაქებული. დიდი წვალებითა და გულმოდგინებით მიხერგილი გრძნობა ამსხვრევს ყველა დაბრკოლებას, ცეცხლის სვეტად დგას და ანათებს კამარელის სულის სამყაროს ყოველ კუთხეს. ერთი სახე ბატონობს სხვა ყველა სახეთა შორის და ეს არის მარსელი ქალი.

კამარელი ცდილობს მოიკრიბოს მთელი ძალა, შთააგონოს თავის თავს ვაჟკაცური გამძლეობა და თავგანწირვა. მართლა და როგორ უნდა დააბას პირუტყვივით უმიზნო სიყვარულის ბაგაზე. რაღაც რადიომოჩვენებამ ბრძოლაში გაკაჟებული მეცნიერი? რამ ჩაუქრო საღი მოსაზრების უნარი და როგორ ვერ დათრგუნა ყოველგვარ აზრსა და შინაარსს მოკლებული გრძნობის ბავშვური ჟინიანობა.

და კამარელი ათასნაირად ასაბუთებს საკუთარი გრძნობის უსუსურობას. ის ხომ ბავშვი არ არის, ან გამოყეყეჩებული მეოცნებე, რომ აჰყვეს ავადმყოფურ გულისთქმას? რას უქადის მას ეს სიყვარული? — ცის ღია კარში დაუსრულებელ ჭვრიტინს. აი, სად სდება სასაცილო „შორით ელვა, შორით დაგვა“! ოდესმე, ვინ იცის, იქნება მოგვარდეს პლანეტათა შორის მიმოსვლის პრობლემა. მაგრამ დღეს გარდაუვალი უფსკრულის შავი დუმილია მათ შორის. მას უნდა ასსოვდეს თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე, მეტადრე ახლა, როცა გამოჩნდა კაცობრიობის გადარჩენის იმედი.

არა, კამარელი კიდევ უჩვენებს ქვეყანას, რომ არ გაბზარულა ჯერ მისი მოქალაქეობის ჯავშანი. კიდევ სჩქეფს მის ძარღვებში რევოლუციით ადუღებული სისხლი და მას შესწევს ღონე მკერდიდან ამოიგლიჯოს გული, თუ ასეთ დროს ის ყველაფერს დაივიწყებს და საკუთარ ბედნიერებაზე არ დაიწყებს უაზრო ოცნებას.

კამარელი ნელ-ნელა მშვიდდება.

ქარი ჩადგა და ფიქრთა კორიანტელი თანდათან თოვლივით დაეშვა.

კამარელს ეძინება. სავარძლის სახელურზე თავს დადებს და ღრმად ამოისუნთქავს. თანდათან ბურუსში იძირება გონება, მხოლოდ შორიდან მოჩანს განათებული ეკრანი და ძლივს გასაგონად ისმის მარსელი ქალის მელოდიური ღუღუნი: „Sanor den obra, ven gara obran, sanoren largo“...

* * *

მიუსედავად სავარძელში უსერსული წოლისა, კამარელს მთელი ღამე კარგად ეძინა და დილით ხალისიან გუნებაზე ადგა. სჯეროდა, რომ წუსანდელი სულიერი მღელვარება ძლეულ იქნა და ბრძოლისათვის ფრიად მომზადებული იყო.

თითქო ბინდი შემოეცალა მოჯადოებულ თვალებს და შვიდი თვის კოშმარული ძილის შემდეგ პირველად დაინახა გარემო — ქვეყანა ჩვეულებრივ სინათლეში.

ათ საათამდე კიდევ დიდი დრო იყო და დილის მზიანი სუფთა ჰაერი გარეთ იწვევდა.

მადიანად ისაუზმა და ქუჩაში გავიდა.

კარებთან იდგა მზის სხივებზე შავ სოჭოსავით მოლაპლაპე ავტომანქანა.

— დიდუბისკენ! — ესროლა შოფერს და მანქანაში ჩაჯდა.

ლეტარგინით სულჩადგმული ავტომანქანა მერცსალივით მისრიალებდა აურიალებულ ქუჩაში, მსუბუქი, უხმო და ელასტიური.

რუსთაველის გამზირზე ზარის დაუცხრომელი წკრიალით დაჰქროდნენ უმავთულო ტრამვაის უბიგელო რონოდები. ლეტარგინს სავსებით დაეპყრო ქუჩის მოძრაობა. აღარსად ჩანდა ტრამვაის, განათების და ტელეფონის უამრავი ბოძი და მავთულები, რითაც ობობას ქსელივით იყო დასლართული წინათ ქუჩები. მტკვარზე თეთრი გედებივით დასცურავდნენ წითელი დროშის იალქნიანი სამგზავრო და საბარგო მოტორიანი თეთრი ნავები. ვერის ხიდიდან აღარ მოჩანდა ძველი ელსადგურის მსრჩოლავი საკვამური, სადგური მოეხსნათ და იქ ახლა დიდი სუთსართულიანი სახლი შენდებოდა. პლეხანოვის ვიწრო და სწორი გამზირი, უმავთულო და უბოძო, უფრო განიერი და ნათელი ჩანდა.

დიდუბეში კამარელმა დაათვალიერა ახალი აეროდრომი. უკვე მიეღოთ ასლად აგებული უზარმაზარი საჰაერო ხომალდის ნაწილები და ამჟამად მუშაობა სწარმოებდა ხომალდის მოსაწყობად. ორსართულიანი გემის მსგავსი თვითმფრინავი თეთრი გველემაპივით იწვა შუა ეზოში სარაჩოების მოაჯირით შემოსალტული.

კამარელმა საჰაერო ხომალდის კედლის თეთრ ფონზე შო-

რიდანვე შენიშნა შავი წარწერა: „გედა“ ეს სახელწოდება ვაისმანის თხოვნით მიეცა ხომალდს. ისეთი მოწიწებით და სიფრთხილით სთხოვა ამის შესახებ ვაისმანმა, რომ კამარელმა უარი ვერ უთხრა, თუმცა მას სულ სხვა სახელი ჰქონდა მისთვის განზრახული. ვერც გამოჰკითხა, თუ რას ნიშნავდა ეს სახელი, ვინაიდან შეატყო, რომ ვაისმანი ყოველმხრივ ცდილობდა თავი აერიდებია ყოველგვარი შეკითხვებისათვის.

თვითმფრინავს ჰქონდა თხუთმეტი პროპელერი: ცხრა — ჰორიზონტალურ ღერძზე, სამ წყებად — მკერდზე, ექვსიც, ორწყებად — ვერტიკალზე, ხომალდის შუა ნაწილზე, ბაქანს ზემოთ. მექანიზმი ლეტარგინის გამოყენებაზე იყო დამყარებული: ჰაერივით ადვილად მისაწვდომმა ენერგიამ საშუალება მისცა კამარელს აეგო ისეთი მანქანა, რომ თითქმის სავსებით ჰადაჭრილიყო საჰაერო მიმოსვლის ძნელი და რთული პრობლემები. „გედას“ უნდა შესძლებოდა ვერტიკალურად აფრენაც და ძირს დაშვებაც საჭირო სიჩქარით, აგრეთვე ჰაერში გაჩერებაც ყოველგვარ სიმაღლეზე.

— „გედა“ ორი თვის წინათ უნდა ყოფილიყო მზად, მაგრამ მსოფლიო პანიკის უიმედო სულიერი განწყობილება აქაც შემოიჭრა და მოადუნა მშენებლობის ტემპი. მუშაობას სათანადოდ ეკარგებოდა პერსპექტივა და იშრიტებოდა შრომის ხალისი, რაც კეთდებოდა, ისიც უფრო ინერციის შედეგი იყო, ვიდრე ცოცხალი თაოსნობისა.

კამარელს შეეგება ახალგაზრდა ინჟინერ-პილოტი შავარდნაძე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა „გედას“ მშენებლობის ხელმძღვანელობა.

— შავარდენო! გაფრენას როდის ვაპირებთ? — ღიმილით მიესალმა კამარელი.

— „გედა“ ჯერ მხოლოდ ბარტყია შავარდენის, ერთ თვეში ფრთები წამოეზრდება და გაფრენასაც შესძლებს, — მიუგო მან კამარელს და სიყვარულით გადახედა ხარაჩოში ჩასმულ „გედას“ თეთრ ტანს.

ჰაერისა და მზისაგან დაჟანგული პირისახე, სწორი ცხვირი და მაღალი, ოდნავ დაქანებული შუბლი თითქო ჰაერის გასაკვეთად იყო ჩამოსხმული. ლურჯ თვალებში თითქო ცის ორი ნატეხი ჰქონდა ჩასმული, ელვის ნაპერწკლებით დაცხრილული. ახალგაზრდა ბაკური სწორედ ცაში სანავარდოდ იყო გა-

ჩენილი და კამარელმაც მიტომ აირჩია ის თავის თანაშემწედ, როგორც „გედას“ მომავალმა კაპიტანმა.

დაათვალიერეს თვითმფრინავის შინაგანი მოწყობილობა. ასი ოთხადგილიანი კაბინა მზად იყო, ორმოცდაათ-ორმოცდაათი ორივე მხარეზე. დარბაზი ჯერ არ იყო მორთული. ტალანში ეწყო ელექტროაბაზანის და სამზარეულოს მოწყობილობა.

— რა მდგომარეობაშია სამანქანო განყოფილება? — იკითხა კამარელმა.

— ერთ კვირაში გაიმართება, — მიუგო ბაკურმა და შეუძღვა კამარელს თვითმფრინავის წინა ნაწილში აგებულ ბროლის კედლებიან ოთახში. მარჯვნით და მარცხნივ ორი უზარმაზარი თვალივით გამობურთულიყო ორი ბროლის თვალი, სადაც უნდა მოთავსებულიყო სხვადასხვა აპარატი.

— სწორედ თვალებსა ჰგავს, — შენიშნა ბაკურმა. — წარმოდგენილი მაქვს, რა საუცხოო სანახავი იქნება ცაში აფრენილი „გედა“ ღამით, როცა ამ ვეება თვალებს ელექტრონით ააბრიალებს. მერე ამოიოხრა და დაუმატა:

— ცოდვა არ არის, ამ დასაქცევ დედამიწასთან ერთად ეს საოცარი ქმნილებაც დაიღუპოს!

კამარელმა საათს დახედა. ათს ათი წუთი უკლდა.

— ვინ იცის, იქნებ დედამიწამ კიდევ დიდხანს იქროლოს სივრცეში და მასთან ერთად „გედამაც“.

— როგორ? — გაიკვირვა ბაკურმა.

— არის იმედის შუქი, ცის უხილავი ფანჯრიდან შემოჭრილი.

— ეჰე! თქვენც ცის კარის გახსნას ელით? — ნაღვლიანი ღიმილით მოუჭრა ბაკურმა.

— ცის კარი უკვე გაიხსნა და ათი წუთის შემდეგ ანგელოზიც გამოჩნდება. მეც ასლა იქ უნდა გავეშურო, რათა ყურადღებით მოვისმინო ანგელოზის დარიგება.

კამარელი გამოემშვიდობა ბაკურს და მანქანისაკენ გასწია.

ბაკურს არ გაკვირვებია კამარელის სუმრობა, მას მხოლოდ შეშურდა მისი ხალისიანი გუნება, სიცილის წკრიალით რომ ავსებს საშინელი მოლოდინის ბნელ განცდებს.

* * *

ათი საათი შესრულდა და კამარელიც შინ დაბრუნდა.

გარეგებ შეიგვიანა კაბინეტში რამდენიმე წუთით: რაც უფრო უაზლოვდებოდა ეკრანს, მღელვარება თანდათან ძლიერდებოდა, გული დაშვრილი არწივივით ფართხალებდა და თვალებში იდგა ნათელი ნისლი.

დივანზე წამოწვა და აძგერებულ გულზე ხელი დაიდო. რამდენად უძლური ყოფილა ადამიანის საქები ნებისყოფა სულის ფარულ ძალთა შეუპოვარი იერიშის წინაშე! მცირე რამ ნაფოტი, ზღვის დაუდგრომელ ტალღებში. წეღანდელი გაბედული ქადილი უკვალოდ გაქრა და კამარელი გრძნობს, რომ სამარცხვინოდ გაიბზარა მისი გამძლეობის ჯავშანი, რომ მის ძარღვებში რევოლუციის ადუღებული სისხლის ნაცვლად სჩქეფს უიმედო მიჯნურის ნაღვლიანი ცრემლი და მას არ შესწევს ღონე მკერდიდან ამოგლიჯოს გული. ასეთ დროს რომ ყველაფერს ივიწყებს და საკუთარ ბედნიერებაზე უაზროდ ოცნებობს...

წამოდგა და ლასლასით გაემართა ლაბორატორიისაკენ: გლადიატორი გადიოდა ბრძოლის არენაზე, სიყვარულის საშინელი მხეცის წინააღმდეგ, უიარაღო, უძლური და შინაგანად უკვე დამარცხებული.

ვაისმანი მაგიდასთან იჯდა და წერდა.

— კარგია, მოხვედით, — რვეული უჯრაში ჩადო და წამოდგა, — იმედს ვკარგავდი, ნახევარი საათია გიცდით!

კამარელმა საათს დასედა, თერთმეტის ნახევარი იყო.

გაუკვირდა, ნუთუ, კაბინეტში რამდენიმე წუთის ნაცვლად ნახევარი საათი დაჰყო?

— მაპატიეთ! — მოიბოდიშა კამარელმა. — დიდუბეში ვიყავი და...

— „გედა“ როგორ არის? — გააწყვეტინა სიტყვა ვაისმანმა.

— ერთ თვეში მზად იქნება.

— სამი კვირით დაგვაგვიანდა.

— როგორ?

— ეს არის ცნობა მივიღე, რომ ერთ კავშირში შეიკვრება თბილისი-მოსკოვის ხაზი ლეტარგინის ზონებით საჰაერო მიმოსვლისათვის.

— ზონებსაც დაგვიანებია, — შენიშნა კამარელმა.

— „გედას“ უფრო დააგვიანდა, მაგრამ არაფერია, დაკარგულ დროს მალე ავინაზღაურებთ, — და ვაისმანმა ხელი წაავლო ეკრანის ფარდის ზონარს.

— ასლა თქვენს მეგობარ ქალს გამოვუძახოთ! იმედი მაქვს ეს შესვედრა უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე წინანდელი შემთხვევითი და უნებური პაემანი, — ამ სიტყვებთან ერთად ვაისმანმა ფარდა გასწია და ეკრანი გამოაჩინა.

კამარელს ცოტა ესამუშა ვაისმანის მბრძანებლური კილო.

„ხომ არაფერი მოსდა ჩემს აქ მოსვლამდე? — გაიფიქრა და ეკრანს მიუახლოვდა, — ან იქნებ დადგა დრო, როცა ნიღაბი საჭირო აღარ არის“...

— თქვენ მართალი ხართ, — მოულოდნელად მიასალა ვაისმანმა, — ნიღაბი უკვე საჭირო აღარ არის, მაგრამ მე მინდა ამ ფერისცვალებას დაესწროს შორეული ქალწული, — ვაისმანმა გააღო ეკრანის ყუთი და დარეკა.

კამარელს გააჟრჟოლა. რამდენიმეჯერ ჰქონდა შენიშნული, რომ ვაისმანი მის აზრს კითხულობდა, მაგრამ ასე აშკარად და მოურიდებლად ნადირობა მის ფარულ გულისთქმაზე გაუგებარი იყო და აუტანელი.

— თქვენ ჩემს აზრს კითხულობთ! — მოუფიქრებლად შესძახა გაფითრებულმა კამარელმა.

— ნუ გაგიკვირდებათ, — წყნარად მიუგო ვაისმანმა, — აზრი თავისთავად ძნელად ასახსნელი რამ არის, მაგრამ მისი ფიზიკური მოვლენა ისეთივე ბუნებრივ კანონებს ემყარება, როგორც ყოველგვარი ელექტრომაგნიტური სსივოსნობა.

— ნუთუ ყოველთვის კითხულობდით ჩემს აზრს? — ჰკითხა კამარელმა და წყრომით სავსე თვალები მიაპყრო ვაისმანს.

— როცა საჭიროდ ვცნობდი! — მიუგო ვაისმანმა.

კამარელი გაბრაზდა.

— მე უკვე აღარ ვიცი, ვინა ხართ ან რა მიზნით გადამეკიდეთ! მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი წრისა და კულტურის ადამიანისათვის სათაკილოა სხვის გულისთქმაში სელის ფათური.

ვაისმანმა ოდნავ შეარბილა კილო.

— ნუ გეწყინებათ. არასოდეს ბოროტად არ გამომიყენებია ჩემი „გულთმისნობა“.

— არც სიკეთეა მოსალოდნელი ამგვარი თავდასხმისაგან!..

— მე რომ თქვენი ფარული განზრახვა არ წამეკითხა, — განაგრძობდა ვაისმანი, — შარშან, 11 სექტემბერს, ამ ეკრანთან სიფათი რომ შეგეშთხვათ, არავინ გეყოლებოდათ მშველელი და ვინ იცის რა მოგივიდოდათ! — და დაუმატა, — თქვენს მეგობარ ქალსაც შეაწუხებდით!

კამარელმა იგრძნო საშინელი უსერსულობა. მთელი წლის განმავლობაში იგი ტყვედ ჰყოლია ვიღაც ჯადოქარს, ყოველი მისი ფიქრი და ფარული განზრახვა გაშლილი წიგნივით ედო წინ ამ გამოუცნობ პიროვნებას! ისეთმა გრძნობამ შეიპყრო თითქო შიშველი მიდიოდა ხალხით სავსე ქუჩაზე, ან ქურდობაში დაეჭიროს ვისმეს. იყო რაღაც შეურაცხმყოფელი და სამარცხვინო იმაში, რომ შუშასავით გამჭვირვალე და დაუფარავი იდგა ამ კაცის წინაშე და არ ჰქონდა თავდაცვის არავითარი საშუალება.

ვაისმანი დივანზე დაჯდა.

— დავსხდეთ, — უთხრა კამარელს, — კარგა ხანს მოგვისდება ლოდინი, სანამ ჩვენი მეზობელი ქალი ფანჯარას გამოაღებდეს.

კამარელმა ეკრანს შეხედა: შავი დაფა გრანიტივით კრიალებდა.

ისიც დაჯდა ოვალური სავარძლის მეორე კუთხეში, ვაისმანის პირდაპირ.

— იქნება არც გამოჩნდეს.

ვაისმანმა საათს დახედა და თქვა:

— ოცდახუთი წუთის შემდეგ გამოჩნდება.

— საიდან იცით ეს? — შეეკითხა კამარელი.

— გამოვიანგარიშე.

— როგორ?

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამჟამად მარსი ძალიან დაშორებულია დედამიწას, იგი იმყოფება მზის იქით, ცოტა მხარმარცხნივ ჩვენგან 350 მილიონ კილომეტრის მანძილზე. სხივი ამ გზას აქეთ და იქით გაივლის 39 წუთის განმავლობაში. 14 წუთია რაც დავრეკე. მაშასადამე, 25 წუთის შემდეგ ფანჯარა გაიღება.

— კამარელი ჩაფიქრდა.

— ანგარიში სწორია, მაგრამ შეიძლება ფანჯარა მაინც არ გაიღოს.

— რატომ?

— ხომ შესაძლოა ქალი ამ წუთს არ იყოს ეკრანთან?

— უთუოდ იქნება.

— საიდან იცით? — არ მოეშვა კამარელი.

— წინასწარ ვარ შეთანხმებული.

კამარელს გულში ნემსმა უჩხვლიტა.

— როგორც ჩანს, თქვენ ხშირად მართავთ პაემანს ამ ეკრანთან!

— კვირაში ორჯერ, სისტემატურად!

კამარელმა იგრძნო რაღაც ეჭვის მაგვარი, მაგრამ იმ წამსვე წარმოუდგა ამ გრძნობის სრული უადგილობა და გულში გაეცინა: სასაცილოა დედამიწაზე ორი ინჟინრის მამლაყინწური ქიშპობა მარსელი ქალის სიყვარულისათვის! იმდენად მიუწვდომელია ეს ქალი ორივესათვის, რომ იგი ღებულობს წმინდა აბსტრაქციას, განყენებული იდეის სახეს.

კამარელმა ეს კარგად იცოდა, მაგრამ ამ ქალზე ფიქრის დროს მუდამ განიცდიდა რაღაც შეუკავებელ მღელვარებას.

— უნდა ვიფიქროთ, — ოდნავ გესლნარევი ღიმილით წარმოთქვა კამარელმა, — რომ ამ სისტემატურ შეხვედრას ჰქონდა ღირსეული საბაბი.

— სრული სიმართლეა, — დაუდასტურა ვაისმანმა.

— და ნაყოფიერი შედეგიც!

— უთუოდ!

— რამდენადაც ვხვდები, დღესაც იმავე საბაბმა მოგვიყვანა აქ!

— სწორედ!

— მაშასადამე, საფიქრალია აგრეთვე, რომ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო კითხვის პასუხიცა გაქვთ.

— მაქვს!

კამარელს ეწყინა. ვაისმანის შავ სათვალეში დამცინავი ღიმილის კრთომა მოეჩვენა.

— მაშ, რა საჭირო იყო დღევანდელი სეანსი? — იკითხა წყრომით.

— რომ თქვენც იცოდეთ!

— თქვენ ვერ მეტყოდით?

— მე მინდა, თქვენც იმ თასიდან სვათ სიბრძნე, საიდანაც მე ვიგემე!

ჩამოვარდა სიჩუმე.

დივანზე ნასევრად წამოწოლილი ვაისმანი თავის განუყრელ რუს ფრენჩში გამრწკეპილი, ეკრანის კუთხეს მისჩერებოდა. ოდნავ შესამჩნევად თავს რიტმულად აქნევდა, თითქო რაღაცას ჩუმად ითვლისო, და პატარა მრგვალ მაგიდაზე ნერვულად ათამაშებდა მოუსვენარ თითებს.

კამარელი გახევებულივით იჯდა, თავი დივანის რბილ ზურგზე მიესვენებია და ატლასივით სუფთად გაპარსული ლოყები მღელვარებისაგან გაფითრებოდა.

ლაბორატორიაში იდგა მოლოდინით დატვირთული მყუდროება.

სიჩუმე დაარღვია კამარელმა.

— გუშინ რომ მითხარით, კარგად ვიცი, რატომ დაივიწყეთ ეკრანიო, რას გულისხმობდით ამ სიტყვებში.

— მე ვიცი, რომ თქვენ განგებ გაურბოდით ეკრანს.

— ალბათ ისიც იცით, რა მიზეზით?

— ვიცი!

კამარელი არ მოელოდა ასეთ გადაჭრილ პასუხს, თუმცა ახლა უკვე გრძნობდა, რომ შეცდა; არ უნდა მიეცა ამგვარი შეკითხვა. საჩქაროდ აუხვია გვერდი საშიშარ დიალოგს და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა, რადგან არც გაჩუმება ვარგოდა.

— კარგი, ამას თავი დავანებოთ. სთქვით, პირდაპირ გაქვთ თუ არა იმედი, რომ კატასტროფას თავს დავაღწევთ?

— თქვენ?

— მე რა?

— თქვენ გაქვთ თუ არა იმედი?

— იმედს საფუძველი სჭირია, რაც მე არ გამაჩნია.

— ეკრანი არ კმარა საფუძვლად?

— ეკრანი ჩემთვის გაუგებარი წიგნია, რომლის ავტორი თქვენ ხართ!

ვაისმანი არ განძრეულა, თითების თამაშიც შეაჩერა და ისე უთხრა კამარელს:

— ეკრანის ნამდვილი ავტორი თქვენ ხართ!

— რანაირად? — გაუკვირდა კამარელს.

— თქვენ გიყვართ მარსელი ქალი.

გული ყუმბარასავით გასკდა და კამარელი უეცრად კვამლსა და ალში ჩაიძირა. თავზე თითქო მდუღარე გადაესხა. ხომ იცოდა, რომ ვაისმანი მის აზრებს კითხულობდა? უნდა მორიდებოდა შეკითხვებს. რატომ არ იცოდა, რომ ისეთი მძლავრი სულიერი ქარიშხალი, რამაც კინაღამ დაწეწა მისი სულის სამყარო, არ გამოეპარებოდა ამ გულთმისანს? უთუოდ საშიშ ადამიანთან აქვს საქმე. ვინ იცის, შეიძლება თუ არა ამ ჯადოქარის რჩევას დაენდოს კაცობრიობა? იქნება უარეს რამეს უქადის დედამიწას ქვეყნის აღსასრულის ეს ავყია წინამორბედი! არავინ იცის, რა მიზანი აქვს მის საიდუმლო კავშირს მარსთან, რა ჯოჯოხეთურ გეგმას ამზადებს ეს ბოროტი სული!..

— კეთილი სული! — ისევ მოულოდნელად დაარღვია კამარელის ფიქრთა დენა ვაისმანმა.

კამარელი შიშმა აიტანა. ეს რა სატანას გადაეკიდა? სად დაემალოს ამ საშინელებას? რა ჯავშანი დაიფარავს მის გონებას ამ საკვირველი ადამიანის უსილავი მახვილისაგან?

კეთილი სული! — გაიმეორა ვაისმანმა და წამოდგა. — რა საფუძველი გაქვთ ამგვარი ეჭვებისათვის? განა საკმაო საბუთი არ მოგეცით ჩემი კეთილგანწყობილების დამამტკიცებლად? მე თქვენ დაგახმარეთ ჩემი შემოქმედება და ლეტარგინის უშრეტი ალით ავაძგერე თქვენი ქვეყნის რკინის გული! მე თქვენ დაგაყენეთ სიბრძნის ღია კართან და ცოდნის შუქი ჩავღვარე თქვენს გონებაში! მე გავანათე ბნელით მოსილი აუცილებლობა, რომ უფსკრულში გადავჩესო მოახლოებული სიკვდილი! მე თქვენთან მოვედი სიკეთით დატვირთული, დამეხმარეთ, რომ თქვენს სალაროში ჩავაწყო ძვირფასი განძი, რაც თქვენთვის წრფელი გულით მომიტანია.

— მეტი აღარ შემიძლია! — შეევედრა კამარელი. — მოხსენით საიდუმლოს უკანასკნელი საბურველი.

— დამშვიდდით, ნუ ღელავთ! — უთხრა ვაისმანმა. — იქონიეთ მოთმინება. საცაა თქვენი მეგობარიც დარეკავს.

— დავიღალე! ყველაფერს აქვს დასასრული!...

— მეტი რწმენა და გამძლეობაა საჭირო.

— ძნელია ბნელში სიარული! ოღონდ განათდეს და დავინახოთ, უხილავი მტრის არ მეშინია.

— სად არის შთაგონებისა და შემოქმედების ცეცხლი?

— ვიწვი ამ ცეცხლში, ფერფლიღა დავრჩი.

— არ გახარებთ ბედთან ბრძოლა და გამარჯვების მოლოდინი?

— დავიღალე! — გაიმეორა ღონემიხდილმა კამარელმა.

— სიყვარული მოგცემთ ძალას.

— ოჰ, სიყვარულო! — ამოიოხრა კამარელმა. — ბედი დამცინის საშინლად. ჩემი სიყვარული საბედისწეროა და განუხორციელებელი!

— სიყვარულისა და ბრძოლის კავშირი უძლეველია.

— დავიღალე!..

ვაისმანმა საათს დახედა:

— აბა, შეხედეთ ეკრანს! ვერა ხედავთ, როგორ სცემს დაბინდულ ჩარჩოზე შორეული ელვარების ალიონი? არ გესმით მიუვალ სივრცეში ახმაურებული ეტლის უცნაური გუგუნი? მოჰქრის თქვენი სატრფო და თვით ეროსს მიუცია მისთვის ფრთები! გახსენით გული სიყვარულისათვის და იფსიზლეთ: მოჰქრის რძალი სხივოსანი. ჯერ არავის გადაულახავს ესოდენ შორი მანძილი გულის სწორთან შესასვეედრად. არც ერთი მიჯნური არ გამოფრენილა სანატრელ პაემანზე ასეთი სისწრაფით. მოჰქრის თქვენი სატრფო სხივების ეტლზე მჯდარი, წამში სამასი ათასი კილომეტრის სიჩქარით! ცხრამეტ წუთში მან გადაანათა 350 მილიონ კილომეტრიანი სივრცე და საცაა, უჩინარ ელვითა და გრგვინვით შემოსილი, შემოანგრევს დედამიწის ლაჟვარდ სფეროს. აჰა! მოასკდა ზეცას აქაფებულ სხივთა ღვარი და ჰაერში სცვივა ბრწყინვალე თაღის ნამსხვრევები. შეხედეთ ეკრანის ნაპირებს! ვარდისფერი ალი მოადგა ჩარჩოებს და უკვე ისმის გაქანებული სხივების წკრიალი. მოფრინდა რძალი ზენაარი!

და უკანასკნელ სიტყვებთან ერთად ზარმა დაიწკრიალა და ეკრანი აინთო.

გამოჩნდა მარსელი ქალი თეთრი აბრეშუმის ნათელი ნისლით მოსილი.

კამარელის გულში მზე ამოვარდა და გაფანტა უიმედობის ბურუსი.

წამოდგა და ჰაერთან ერთად ღრმად ჩაისუნთქა ეკრანიდან მოვარდნილი სინათლე და სიყვარული.

ვაისმანმა ტელეფონის ორმაგი მილი თავზე წამოიცვა და კამარელსაც მიაწოდა.

კამარელს იმავ წამს მოესმა ქალის ნაცნობი ხმა და განცვიფრდა: ქალი ლაპარაკობდა ინგლისურად.

— გურგენ კამარელო! სალამი მეგობარს! რად დამივიწყეთ ამდენ ხანს? ნუთუ არ მოგენატრათ ჩემი ნახვა?

გაოცებულმა კამარელმა ძლივს მოახერხა ხმის ამოღება:

— არ ვიცი, თვალი მატყუებს თუ ყური?

— რამ გაგაკვირვათ? — მოესმა ვაისმანის ხმა. — მე შევასწავლე ორიოდე ინგლისური ფრაზა. ქართული კიდევ თქვენ ასწავლეთ, მე ბოდიშს ვიხდი, არ ვიცი!

— როგორ შეასწავლეთ? თქვენ განა იცით მარსული ენა?

ვაისმანმა ამ კითხვას ყურადღება არ მიაქცია.

— ახლა ნება მომეცით, გაგაცნოთ თქვენი უკვე ნაცნობი მეგობარი: გ ე დ ა ნ უ ა ვ ე. მარსის ცენტრალური ობსერვატორიის დირექტორი.

— გედა ნუავე! — გაიმეორა კამარელმა.

— თქვენს შესახებ ყველაფერი იცის, — დაუმატა ვაისმანმა, — რაც მე ვიცოდი — ვუამბე. დანარჩენი თქვენ უთხარით.

— გედა ნუავე! — კიდევ გაიმეორა კამარელმა, თითქო სურდა საყვარელი ქალის ამიერიდან ძვირფასი სახელის სამუდამოდ დატყვევება.

— ნება მიბოძეთ, მეც გაგაცნოთ ჩემი თავი, — ვაისმანმა სათვალე მოიხსნა. — ესეც ნიღაბი, თქვენ რომ მუდამ გაღელვებდათ.

კამარელს ელდა ეცა. ვაისმანის სახე სრულებით გამოიცვალა — საკვირველი გამომეტყველებით ბრწყინავდა ნაცნობი თვალები. თითქო სადღაც ენახა ეს თვალები, მაგრამ ვერ მოეგონა, სად!

უცებ გული შეეკუმშა და მთელ სხეულში დაურბინა თბილმა ურუანტელმა. ვაისმანს თვალი მოსწყვიტა და ეკრანზე გადაიტანა.

შეხედა ქალს, შემდეგ ისევ ვაისმანს, და მისთვის ცხადი გახდა, რომ ვაისმანიც იმ ქვეყნიდან იყო მოსული, საიდანაც ეს გასაოცარი ქალი იჭვრიტებოდა.

აფრენილი მტრედების გუნდივით აფრთქიალდა კამარელის აფორიაქებულ თავში ათასი ფიქრი. იმედი, სიხარული და გან-

ცვიფრება, ყაჩაღთა ბრბოსავით დაესხა შემკრთალ გონებას და დაიპყრო ყველა მისი სიმაგრე. ფანტასტიკური ოცნება სინამდვილედ იქცა.

მოესმა ქალის სიტყვები, ხავერდივით რბილი და ვერცხლივით წკრიალა. არსად, არასოდეს ასეთი ინგლისური არ სმენია კამარელს: მკაფიო, ნათელი და ულერადი.

— ვაისმანი გაჰყვა თავის სათვალეს, — ამბობდა ქალი, — თქვენთან დგას ასლა ლ ე ნ გ ო რ კ ა რ ო, მარსელი ინჟინერი, ორბეინ-ექსპედიციის პირველი ორგანიზატორი.

— ლენგორ კარო! — გაიმეორა კამარელმა და ვაისმანს გაუსწორა თვალები.

ვაისმანმა თავი დაუკრა კამარელს გაცნობის ნიშნად, მოიხსნა ტელეფონი და მაგიდას მიუჯდა.

— ასლა მე თქვენ დაგტოვებთ. ისაუბრეთ, რამდენიც გენებოთ.

გამოაღო მაგიდის უჯრა, ამოიღო პატარა რვეული და მაგიდაზე დადო.

— უეჭველია, მოისურვებთ ყველაფრის ახსნას. ეს არის ჩემი დღიური. წაიკითხეთ და საიდუმლოებასაც უკანასკნელი საბურველი აესდება.

ვაისმანი წამოდგა (უკანასკნელად ვახსენოთ ამ სახელით კარო), დაიხურა ქუდი და ლაბორატორიიდან გავიდა.

კამარელი ეკრანს მიუბრუნდა.

ქალმა გაუღიმა:

— თქვენებურად 11 სექტემბერი იყო.

— მახსოვს!

— ასლა კარგად ხართ?

— კარგად!

— სავარძელმა გიშველათ, თორემ თავს გაიტეხდით. ძალიან შევშინდი მაშინ.

— ეს კი არ მახსოვს, როდის შემოვიდა კარო?

— იმ წუთსვე, კარებთან მდგარიყო.

კამარელი ეკრანს მიეყრდნო, თითქო შიგ შესვლას აპირებსო.

— ვერ მეტყვით ორი სიტყვით, რისთვის გამოგზავნეს კარო დედამიწაზე?

— უმჯობესია კაროს დღიური წაიკითხოთ, — მიუგო ქალმა.

— სალტრიდ ხომ არ არის მოსული?
— კაროს დღიური წაიკითხეთ!
— ეს მაინც მითხარით, დაბრუნდება თუ არა კარო მარსზე?
— დაბრუნდება!
— კატასტროფამდე თუ შემდეგ?
— წაიკითხეთ კაროს დღიური და გაიგებთ, რას ფიქრობენ სანორენები.
— ვინ არიან სანორენები?
— მარსელები, მარსის ადამიანები.
— სანორ — მარსს ჰქვია?
— ჰო!
— ობრა რა არის?
— თქვენი პლანეტა, დედამიწა.
— ობრან?
— დედამიწის ადამიანი.
— კარო თქვენი რა არის? — მოულოდნელად ჰკითხა კამარელმა და სახე აეწვა.
— ვერ გავიგე, რას მეკითხებით? — მიუგო ქალმა.
— ძმა არის თქვენი, მეგობარი თუ კოლეგა?
— წაიკითხეთ დღიური, — უთხრა ქალმა და გაიღიმა.
კამარელს სახე გაებადრა.
— მე რა ვარ თქვენი? — ღიმილითვე ჰკითხა ქალმა.
კამარელს უკვირდა, როგორ იტევდა გული ამდენ სიხარულს, უნდოდა ეთქვა ისეთი რამ, რაც დაანახვებდა ქალს მისი გულის ბრწყინვალე ზეიმს, მაგრამ საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა და ბედნიერებისაგან რეტდასხმული მთვრალივით იდგა ეკრანთან.
— გედა ნუავე! — ამის თქმაღა მოასერხა.
— გურგენ კამარელი! — უპასუხა ქალმა.
— გედა! — ჩურჩულებდა კამარელი.
— გურგენ!
— ნუავე!
— კამარელი!... რა არის კამარელი? — ჰკითხა ქალმა.
— გვარი!
— რას ნიშნავს?
— არაფერს... ნუავე?
— თქვენებურად ნიშნავს „ცხრათვალას“.

— რად გეძახიან ასე?

— წაიკითხე კაროს დღიური!

კამარელს დღიურის წასაკითხად სული მისდიოდა, მაგრამ ვერც ეკრანს მოშორებოდა.

— იცით თუ არა, 11 სექტემბერს რატომ დავკარგე გრძნობა? — ჰკითხა კამარელმა და გული აუთრთოლდა: ბევრი რამ იყო დამოკიდებული ამ პასუხზე.

— ვიცი, — მიუგო ქალმა და ეკრანს მიასვენა გაბრწყინებული სახე.

კამარელსა და ქალს შორის იყო მხოლოდ ათი სანტიმეტრის სისქე სარკის მინა. კამარელი ხედავდა ქალის სახის ყოველ დეტალს: ოდნავ ღია ბაგეთაგან გამომკრთალ კბილებს, ცხვირის ვარდისფერ ნესტოებს, დიდი შუქისაგან გადიდებულ თვალებს და შავ აფარფალებულ წამწამებს: გარკვევით ესმოდა ქალის აჩქარებული სუნთქვა, ხედავდა მკერდის მღელვარე მოძრაობას და ალმოდებული ტანისამოსის რხევას.

გასაოცარი იყო ეს უტყუარი და ხელშესახები სიახლოვე უსაზომო სივრცით დაშორებული ქალის.

ეს იყო ფანტასტიკური პაემანი.

— გედა, მიყვარხარ! — მოულოდნელად წამოსცდა კამარელს.

— მიყვარხარ! — უპასუხა ქალმა და ხელები ფრთებივით გაშალა ეკრანზე.

კამარელმა წუთით თვალები დახუჭა.

მის წინ გაიხსნა დაულეველი ბნელი სივრცე.

დაინახა, როგორ გადაირბინა მარადიულმა ასალგაზრდობის ამ უკვდავმა სიტყვამ 350 მილიონ კილომეტრიან სივრცის უსინათლო და ცარიელი უფსკრული და სიყვარულის სხივით გადააბა ერთმანეთს ორი დასაბამით დაშორებული ქვეყანა.

VIII

ბედა ნუაბე

(ქაროს დღიური)

ძვირფასო გურგენ! ვიდრე ჩემი დღიურის კითხვას შეუდგებოდეთ, მინდა პატარა განმარტება წავუმძღვარო მას. ცხადია, როცა ამ დღიურს ვწერდი, მე სრულიად არ ვფიქრობდი, რომ ვინმე წაიკითხავდა; ამიტომ იგი, როგორც ყოველი დღიური, რომლის დანიშნულებას შეადგენს მეხსიერებისათვის საჭირო წერტილების აღნუსხვა, იწერებოდა მხოლოდ ავტორისათვის გასაგები, ნახევრად დაშიფრული ენით. მაგრამ გარემოებამ მოითხოვა, რომ ეს დღიური თქვენ წაგეკითხათ და მეც ავიღე და ვთარგმნე იგი თქვენთვის. თარგმნის დროს მე ვცდილობდი, რამდენადაც ეს ჩემთვის შესაძლებელი იყო, გამეადვილებია დღიურში მოთხრობილ ამბავთა გაგება. ამ მიზნით ბევრი გაუგებარი ადგილი სრულიად გამოვტოვე, ზოგიერთი ადგილი უფრო დეტალურად ავწერე და ზოგან საჭირო შენიშვნები ჩავურთე. ვხედავ, მიზანს სავსებით მაინც ვერ მივაღწიე: გაურკვეველი და ბუნდოვანი ბევრი რამ დარჩა დღიურში. მაგრამ ვფიქრობ, მოვლენათა მთავარი ნასკვი, რამაც მე თქვენს ქვეყანაში მომიყვანა, ნათელი გავხადე თქვენთვის. ყოველ შემთხვევაში მე ბოდიშს მომხდის ინგლისური ენის უცოდინარობა. სიტყვების მეტად მცირე მარაგი არ მაძლევს დიდ გასაქანს.

K–R

P. S. დღიური დათარიღებულია მარსის წელთაღრიცხვით. მოქმედების დედამიწაზე გადმოტანის შემდეგ თარიღიც აქაურია. საჭირო შემთხვევაში მარსის თარიღები შეფარდებულია დედამიწის წელთაღრიცხვასთან.

K–R

CD — 17–9. მეორეჯერ შევხვდი დღეს. შემდეგ წავიკითხე ერთი ძველი წიგნი. გამიკვირდა: რა დიდი განსხვავებაა ძველსა და ახალს შორის და ამავე დროს ზოგი რამ როგორ უცვლელად შენახულა ჩვენში!

დავიცდი. სადღაც, უჩინარ სამყაროში, შუქი მოძრაობს. მიჩანს მხოლოდ ჩრდილი, შუქის ჩრდილი.

დავიცდი, დრო გაივლის, პასუხიც მოვა.

— 17—11. თითქო ჩვეულებრივი შეხვედრა იყო, მაგრამ ახალი შუქით განათდა ჩვენი საუბარი.

— შენიშნე თუ არა, რა მშვენიერია ამ საღამოს ობრა?* — მკითხა გახარებულმა.

— გვიახლოვდება.

— მე კი არ ვარ მომზადებული, როგორც საჭიროა.

— რა გაკლია? შენი უკანასკნელი რეფრაკტორი ხომ მზად არის?

— მზად არის და შენი დახმარება მჭირია.

— ჩემი? — გამიკვირდა.

— დიახ, შენი. რამდენჯერ იყავ ედონზე?**

— ვინ დასთვლის?

— გუანაზე?

— მრავალჯერ.

— ცხადია, ჰაერი არც ერთზე არ არის.

— სამწუხაროდ.

— ამჟამად ჩემი მიზნებისათვის, პირიქით, ეს ფაქტი მეტად სასიხარულოა.

— არ მესმის!

— ჰაერი აბრკოლებს ჩემი რეფრაკტორის მუშაობას: ოდნავ აბრმავებს მას, აელამებს.

მე მივხვდი, რაც უნდოდა მას: რაც უფრო მეტად აახლოვებს ობიექტს ტელესკოპი, მით უფრო დიდია ატმოსფეროს უარყოფითი მოქმედება ინსტრუმენტზე. თუ ტელესკოპის დადგმა მოხერხდა უჰაერო მთვარეზე, მაშინ მოახლოებული ობრას შესწავლა გაცილებით უფრო ადვილი იქნება.

— ასლა კი მივხვდი, — მივუგე, — მაგრამ არ ვიცი, როგორ გინდა მოაწყო უჰაერო სსეულზე ობსერვატორიის სადგური? ტელესკოპს ხომ თან უნდა ახლდეს ცოცხალი არსებაც?

— ტელესკოპთან ჩვენ ვიქნებით! — მიპასუხა ქალმა.

— როგორ, ჩვენ?

— მე და შენ, რა თქმა უნდა, თუ დამთანხმდები.

---

* დედამიწა.

** ედონი და გუანა — მარსის ორი მთვარე, თქვენებურად ფობოსი და დეიმოსი.

— ნუთუ ჩემი ორი თვალიც დასჭირდა ნუავეს?*

— ცხრას თერთმეტი არა სჯობია? — ღიმილით მიპასუხა.

— სადგურს მთვარეზე როგორ მოაწყობ?

სადგურს აქ მოვაწყობთ და გადავიტანთ გუანაზე.

— რატომ გუანაზე და არა ედონზე?

— ედონი თუმცა უფრო ახლოა, მაგრამ მისი მეტის-მეტად ჩქარი მოძრაობა ტელესკოპის მუშაობას ხელს შეუშლის. როგორც იცი, ედონი ისე სწრაფად მიჰქრის, რომ დღე-ღამეში სამჯერ უვლის გარშემო ჩვენს პლანეტას, სოლო გუანა შედარებით უფრო ნელა მოძრაობს: მისი ბრუნვის პერიოდი უდრის 30 საათს.

— სადგურს როგორ მოაწყობ? — გავიმეორე ჩემი შეკითხვა.

— სადგურის შესახებ დიდი ხანია მაქვს გეგმა, მაგრამ არ ვიცი, გაიზიარებ თუ არა შენც ჩემს აზრს?

— მე გისმენ!

— ვშიშობ, უარი არ მითხრა.

ქალი მიცქეროდა მუდარით და ვგრძნობდი, რომ რაც უნდა ეთხოვა, უარს ვერ ვეტყოდი.

— ოღონდ შევძლო და მზადა ვარ!

— სადგური უნდა მოეწყოს შენს რაუნიტზე**.

მე დიდსანს არ დავფიქრებულვარ. ნუავეს აზრი რამდენად უბრალო იყო, იმდენადვე ბრწყინვალე და მიზანშეწონილი.

— მე ვკისრულობ რაუნიტზე შენი ტელესკოპის მოთავსებას, — ვუპასუხე გახარებულ ნუავეს, — ხვალიდანვე შევუდგები საჭირო სამზადისს.

ქალი წავიდა საამო ფიქრებით განათებული.

მეც გულში სინათლე ჩამიდგა.

კარგია, როცა გამბედაობა და ცოდნა ერთად არიან.

---

* ნუავე — ცხრათვალა". ასე უწოდეს იმიტომ, რომ მან ააგო გასაოცარი თვისების ტელესკოპი, ცხრა ლინზით მორთული. ლინზების მრავალგვარი კომბინაციის საშუალებით ტელესკოპში შეერთებული იყო რეფრაქტორისა და რეფლექტორის ფუნქციები. ლინზებში იყო სამი მიკროსკოპი და ორი სარკე.

** რაუნიტი — ჩემი კოსმიური რაკეტა.

— 17—25. რაუნიტი პატარა ობსერვატორიად გადაიქცა. ნუავე დარწმუნებულია, რომ პირველი მოძრავი ობსერვატორია იწყებს სამყაროს შესწავლის ახალ პერიოდს. მეც ვეთანხმები და მიხარია, რომ ეს გამარჯვება დაკავშირებული იქნება ჩემს რაუნიტთან.

— 17—31. ხვალ გავფრინდებით. ნუავემ გუშინ საღამოს გადაიღო ობრას სურათი.

მარწმუნებს, რომ აღმოაჩინა ახალი ხაზები და წერტილები, რაც წინანდელ ფოტოსურათებში არ არის.

მე განვაგრძობ ჩემი ძველი შეხედულების დაცვას.

გუანაზე შესაძლოა ბევრი რამ გამოირკვეს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ნუავეს გადაჭარბებული ოპტიმიზმი არ გამართლდება.

— 17—32. გუანას ბრუნვის პერიოდი უდრის 30 საათსა და 18 წუთს, ედონის — 7 საათსა და 39 წუთს, ხოლო სანორის დღე-ღამე შეიცავს 24 საათსა და 37 წუთს. ამის შედეგი ის არის, რომ ედონი დღე-ღამეში თითქმის სამჯერ შემოუვლის ჩვენს პლანეტას და უცნაური მიმართულება აქვს: ამოდის დასავლეთიდან და ჩადის აღმოსავლეთით. გუანა კი, ცოტა უფრო ნელა მოძრაობს, ვიდრე სანორი თავის ღერძის გარშემო, ამის გამო იქ თითქმის ორი დღე-ღამე დგას ცაში ამოსვლიდან ჩასვლამდე. ამიტომ არჩია ნუავემ ტელესკოპის გუანაზე გადატანა.

დილის 4 საათზე რაუნიტი უკვე პოლუსზე იყო.

4 ს. და 21 წ. პოლუსი დავტოვეთ.

წამოვედით იმ ანგარიშით, რომ გუანას შევხვედროდით ცის მეცხრე მერიდიანზე (ასე ვიყავით შეთანხმებული ჩრდილო-ობსერვატორიის დირექტორთან).

გზაზე შეუწყვეტლად გვესმოთ შორეული სილვის ეკრანი, რომლითაც ნუავე დაკავშირებული იყო ობსერვატორიასთან.

სწორედ დანიშნულ დროს დავეშვით გუანაზე.

გუანას უჰაერო ცის ერთი ნახევარი, ჰორიზონტიდან ზენიტამდე, დაფარული იყო სანორის უზარმაზარ ელვარე დის-

კოთი, სოლო მეორე ნახევარი შავი სავერდის კარავსავით იყო გაშლილი; შავ სავერდზე დასატულივით მოჩანდა აზა* და არაჩვეულებრივად აკაშკაშებული ვარსკვლავები.

ობსერვატორიას გადავეცით საჭირო ცნობები და ეკრანი ჩავაქრეთ. ობრა გუანას მეორე მხარეზე იყო და ჩვენც იქით გავსწიეთ. თანდათან ჩაიძირა სანორის დისკო და აზაც ჩავიდა.

რაუნიტი შევიდა გუანას უკუნეთ ღამეში და გამოჩნდა ლურჯად მოკამკამე ობრა.

ნუავემ მოიმარჯვა თავისი ცხრათვალა ტელესკოპი და მუშაობას შეუდგა.

— 17—35. ახლოვდება CD—18—27**. დიდი მზადებაა.

ეკრანების რიცხვი 2000-მდე აიყვანეს.

ნუავე მოუსვენრად მუშაობს.

მაოცებს მისი ენერგია და ენთუზიაზმი.

გუშინ მიჩვენა გუანაზე დამზადებული რუკების ალბომი. გულდასმით დავათვალიერე: სანუგეშო ვერაფერი ვპოვე, ეწყინა.

— მე არ ვამტკიცებ ობრაზე სიცოცხლის შეუძლებლობას, — შევარბილე ჩემი სკეპტიციზმი, — მაგრამ მეტად საეჭვოდ მიმაჩნია მისი მაღალი ხარისხი.

— რატომ ფიქრობ ასე? — გულნატკენად მკითხა.

— ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, — ვუთხარი მე, — ვერ წარმომიდგენია, სიცოცხლის, ჩვენთვის ცნობილი უმაღლესი ფორმის, არსებობა პლანეტაზე, სადაც ამდენი წყალია.

— განა ცოტაა სმელეთი?

— შეადარე ზღვას. ობრა თითქმის მხოლოდ ზღვაა, სმელეთის უმნიშვნელო კუნძულებით.

— ამ კუნძულზე მაინც არის მაღალი სიცოცხლე! — დაჟინებით წამოიძახა ნუავემ.

— სიცოცხლე შეიძლება არსებობდეს, მაგრამ არა სმელეთზე, არამედ წყალში. ობრაზე ბატონობს წყლის სტიქია. წყალში კი შეუძლებელია სიცოცხლის მაღალი ფორმა.

---

* აზა — მზე.

** 1924 წლის აგვისტო.

— ნუ გავიწყდება, რომ ობრას ხმელეთი იმდენად დიდი მაინც არის, რომ სანორის მთელ ზედაპირს უდრის. — თანდათან ცხარდება ნუავე. — თუ სანორზე ასე განვითარდა სიცოცხლე, რატომ არის ეს შეუძლებელი ობრაზე?

— ჩვენი პლანეტის ჰავა სხვაგვარია, — ვცხარდები მეც. — ობრაზე მუდამ ქუხს და ელავს. წარმოუდგენელი ძლიერების ერიგალი მძვინვარებს განუწყვეტლივ. მუდამ ბურუსიანი ჰაერი სავსეა გამანადგურებელი ძალებით. სიცოცხლის მაღალი ფორმა ვერ დამკვიდრდება ასეთ მერყევ და მძაფრ ნიადაგზე...

ახლა ვზივარ და ვფიქრობ:

— რატომ გავცხარდი? რატომ მაღელვებს ყოველთვის ნუავეს დაუსაბუთებელი გატაცება და დაუჯერებელი დასკვნები.

სადღაც, გულის უჩინარ კუთხეში, შუქი მოძრაობს. ჯერ მოჩანს მხოლოდ ჩრდილი, შუქის ჩრდილი.

დავიცდი.

დრო გაივლის, პასუხიც მოვა.

— 17—40. გუშინ სიგნალის მომწყობი სექციის სხდომა იყო.

დილის სხდომის წინ ნუავემ დამირეკა:

— ხომ იქნები სხდომაზე?

— ვიქნები!

— შენი ნახვა მინდა. დამიცადე. სხდომაზე ერთად წავიდეთ!

— სიამოვნებით.

შემოვიდა ჩუმად. ხელში ეჭირა მისი საყვარელი სუანერი*. ფანჯარასთან დაჯდა.

უნდოდა (არ ვიცი, რატომ) მოზღვავებული სიამის დაფარვა და ხრიდა წამწამებს.

— რაღაც კარგი გაქვს გულში დამალული, — ვკითხე.

შემომხედა: თვალებიდან თითქო ორი ფრინველი ამოფრინდა და სახეზე სხივების ფრთები მომანათა.

— შენ ჩემი ბრ გჯერა, მაგრამ მე ვხედავ ყველაფერს.

---

* ლურჯი ყვავილი „ობრას ყვავილად" წოდებული.

— რას ხედავ?

— მე ვხედავ, როგორ იბრძვის ობრაზე ჩვენი მსგავსი არსება და როგორ იკაფავს გზას ჩვენსკენ მისი მაღალი გონება.

— საჭიროა, ჩვენც დაგვანახო.

— გახსოვს, ორი თვის წინათ ობრას ჩრდილო-პოლუსზე ცეცხლის სვეტები რომ იქნა შენიშნული?

— მერე?

— მაშინ ის ვულკანურ მოვლენად ჩასთვალეს, მაგრამ ასლა სულ სხვა რამ ირკვევა.

უცებ წამოდგა და აივნის ფარდა გასწია.

ოთახში მოულოდნელ ნიაღვარივით შემოიჭრა ოქროს სხივების შადრევანი და თბილი შუქით შემოსა ქალი.

— მაინც რა ირკვევა? — შევეკითხე.

— ეგ ობრას შუქური სიგნალია.

აივანზე გავედით. აზა მაღლა აწეულიყო და ცხელი ღვარი გადაესხა ფართო ფოთლებიანი ბიმუდუს* ხეივნისათვის.

— როგორ დაასკვენი? — ვკითხე და სკამი შევთავაზე.

დაჯდა. მარჯვენა ხელი აივნის მოაჯირზე დააყრდნო, მარცხენა მე გამომიწოდა.

ჩამოვართვი პატარა, ჩიტივით აფართქალებული ხელი და ფრთხილად მუხლზე დავასვენე.

— შენ ჩემს დასკვნებს არ სწყალობ! ვიცი, არც ამას გაიზიარებ!

— პირიქით, მე ვციდილობ დავიჯერო, მაგრამ საკმაო საფუძველს ჯერ ვერ ვხედავ.

— მაინც გეტყვი ჩემს მოსაზრებას, რადგან შენი დახმარება მჭირია.

— მზადა ვარ, როგორც ყოველთვის!

— გუანაზე გადაღებული სურათებიდან ჩანს, რომ ობრას ჩრდილო-პოლუსის მიდამოები მუდმივი ყინულით არის მოჭედილი. ყინულის არე ვაკესავით სწორად არის გაშლილი და არსად ჩრდილის ლაქებს არ იძლევა. ეს ამტკიცებს, რომ ყინულს ქვეშ წყალია. ელვარება კი სწორედ ყინულოვან ზონაზე იქნა შენიშნული. აუცილებელია დასკვნა, რომ ცეცხლის ზოლები არ იყო ვულკანური წარმოშობის.

---

* ვაშლის მაგვარი ხილია.

— შენ ფიქრობ, მაშასადამე, რომ ეს იყო ხელოვნურად გამოწვეული ასხივება?

— სხვაგვარი ასსნა შეუძლებელია, მოქმედი ვულკანის ნიშნები მე იქ ვერ აღმოვაჩინე. ამას გარდა ძალიან დამაეჭვებელია სხივების ზოლების სიმეტრიულობა, — ვულკანი ამგვარად სივრცეს ვერ გაანათებდა*.

— როგორც მასსოვს, — ჩავურთე მორიდებით, რადგან არ მინდოდა კიდევ საზი გამესვა ჩემი სკეპტიკური განწყობილებისათვის, — ელვარების რადიუსი ძალიან დიდი იყო.

— ბევრად უფრო ნაკლები, ვიდრე ჩვენი სიგნალის სისტემაა, — მიპასუხა ნუავემ, სელი წამართვა და გამწყრალი თვალები მრისსანედ შემომანათა.

— მერე რას ნიშნავს ეს სიგნალი? — ვკითხე მეც პაუზის შემდეგ.

— საქმეც ის არის, რომ მათ ჩვენი სიგნალი ვერ გაუგიათ. ალბათ ჩვენს მუქ ზოლებს ისინი ჩვენი პლანეტის ბუნებრივ ხაზებად სთვლიან, ვინ იცის, იქნება მღინარეები ან მთები ჰგონიათ!

— კარგი მიხვედრაც ჰქონიათ! — წამომცდა ირონიული შენიშვნა, რამაც უფრო გააბრაზა ნუავე:

— ჩვენ არ ვიცით, როგორი ხელსაწყოებით სარგებლობენ ისინი და როგორ მოჩანს ჩვენი პლანეტა მათ ინსტრუმენტებში. ამიტომ უმჯობესია ნაჩქარევ დასკვნებს მოერიდო.

კარგად ვგრძნობდი, ვისი დასკვნები იყო ნაჩქარევი, მაგრამ ნუავეს შეუდრეკელი რწმენა თავისთავად იმდენად მიმზიდველი იყო, რომ ძალაუნებურად იმორჩილებდა ჩემს ეჭვიან სიფრთხილეს.

— ახლა უნდა გითხრა, რისთვის მოვედი შენთან, — მომმართა ნუავემ და გამწყრალ სახეზე ღიმილი აათამაშა, — დღევანდელ სხდომაზე შემომაქვს ერთი წინადადება, რაც მინდა წინასწარ გაგაცნო.

---

* ნუავეს ეს შემცდარი დასკვნა მე მხოლოდ აქ ჩაძოსვლის შემდეგ გამოვარკვიე. თქვენ, უეჭველია, მიხვდებით, რომ მარსიდან დედამიწის პოლუსზე შენიშნული სხივების ზოლები ნუავეს რომ ნიშანი ეგონა, იყო ეგრეთ წოდებული პოლარული ნათება. მარსის ატმოსფეროს განსხვავებული პირობების გამო ასეთი მოვლენა იქ შეუძლებელია და ამიტომ იყო ჩვენთვის ძნელი მისი ბუნების ახსნა.

— ჩვენი სიგნალის შესახებ?

— დიახ! როგორც ვითსარი, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ობრაზე ჩვენი სიგნალი ვერ გაიგეს. შეიძლება ეს, სხვათა შორის, იმათაც აისსნებოდეს, რომ ზოლები, მიუხედავად სისტემის ცვალებადობისა, მუდმივია. ამას შეეძლო ისეთი შეხედულების წარმოშობა, თითქოს ეს ზოლები პლანეტის ორგანული აღნაგობის თავისებური კონტურები იყოს.

— შენი მოსაზრება უთუოდ ანგარიშგასაწევია, — შევნიშნე მე, — მაგრამ როგორ გინდა გამოასწორო მდგომარეობა?

— ჩემი წინადადების აზრიც ეგ არის. ობრას მოასლოების დროს ჩვენ უნდა შევცვალოთ სიგნალიზაციის მეთოდი.

— როგორ?

— საჭიროა სიგნალმა ობრაზე შექმნას რიტმული ციალის შთაბეჭდილება. ამ მიზნით ყოველდღე 12 საათის განმავლობაში სიგნალიზაციის მთელი სისტემა უნდა ჩაქრეს. ფიგურების ციკლი უნდა გადაეცეს 12 დღეში, თითო ფიგურა ყოველდღე. ციკლის დამთავრების შემდეგ სიგნალი სრულებით უნდა მოიხსნას. თუ ობრაზე შენიშნული აქვთ ჩვენი სიგნალის ზოლები, შეუძლებელია გადაცემის ამ ცვლილებამ არ მიიპყროს ობრანთა ყურადღება.

ნუავეს გეგმა მართლაც მოსაწონია.

სიამოვნებით დავუდასტურე.

— სავსებით ვიზიარებ შენს მოსაზრებას და ვფიქრობ სექციაც მიიღებს მას, თუ რაიმე ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებამ არ შეუშალა ხელი.

— მე უკვე მქონდა ამის შესახებ საუბარი პროექტორების გამგესთან, — მითხრა ნუავემ, — ტექნიკურად ჩემს გეგმას არაფერი დააბრკოლებს.*

— მით უკეთესი! — ვუთხარი მე და წამოვდექ. სხდომაზე წასვლის დრო იყო.

სექციამ ერთხმად მიიღო ნუავეს წინადადება.

---

* სიგნალიზაციისათვის მოწყობილი იყო უზარმაზარ პროექტორთა სისტემა. პროექტორები მუშაობენ Zine — სხივებით, რომლის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს აზას სხივების შთანთქმა. Zine — სხივებით გაშუქებული არე მზის სხივებს არ აირეკლავს და შორიდან შავად მოსჩანს.

— 18.1. გეგმაზე მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ასტრონომიას უდიდესი პერსპექტივა გაეშალა. ობსერვატორიამ გადასწყვიტა ორივე მთვარეზე ააგოს ასტრონომიული სადგურები. ინჟინერმა გოუმ წარმოადგინა სადგურების გეგმა.

— 18—15. დღეიდან დაიწყო სიგნალიზაცია ნუაგეს გეგმით.

ობრა სწრაფად გვიახლოვდება. ამჟამად იგი უბრწყინვალესი ვარსკვლავია ჩვენს ცაზე.

ყველა აღელვებულია სასისარულო მოლოდინით.

ყველაზე მეტად ღელავს ნუავე.

— 18—27. გუშინ მოთავდა სიგნალიზაციის ციკლი*.

დღეს ობრა უახლოეს წერტილზე ბრწყინავს.

ორი ათასი ეკრანის უსინათლო თვალი ელექტროწამწამების შეუწყვეტელი ხამხამით მისჩერებია მოლურჯო ცეცხლით აბრიალებულ მნათობს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ანთებულა ჯერ შორეული ხილვის სიხარულით.

— 18—28. ორი დღეა გუანაზე ვმუშაობთ.

ნუავემ დაამზადა სურათების სერია.

ბევრი რამ არის ახალი და საგულისხმო.

პირველ ყოვლისა, გაკვირვებას იწვევს წყლის რაოდენობა.

მართლდება წინათაობათა მოლოდინი: ობრა, მართლაც, წყლის დაულეველი რეზერვუარია, რამაც უნდა გამოაცოცხლოს ჩვენი პლანეტის სისხლნაკლები სხეული და დაუბრუნოს მის დამშრალ ფესვებს ცხოველმყოფელი სინედლე.

---

* მარსის ეგრეთ წოდებული „არხების" წაკითხვის შესახებ თქვენთან რომ საუბარი მქონდა, მე ცოტა განსხვავებულად გადმოგეცით მაშინ ჩვენი სიგნალიზაციის გეგმა. მაგრამ მე იმ დროს ვლაპარაკობდი, როგორც თქვენი პლანეტის მკვიდრი და არ შემეძლო მეთქვა ის, რაც დედამიწის მეცნიერებისათვის უცნობი იყო. მე დღემდის არ ვიცი, თქვენმა ტელესკოპებმა რატომ ვერ შეამჩნიეს მაშინ მარსის სიგნალის ციალი და რად დაიღუპა უნაყოფოდ ნუავეს მახვილგონიერი გეგმა.

— 18—30. არის თუ არა ობრაზე გონიერი არსება?

ის მასალა, რაც დაგროვდა ამ ერთი თვის დაკვირვებით, სანუგეშოს არაფერს ამბობს. თუ არის სიცოცხლე, უთუოდ დაბალ საფეხურზე. მხოლოდ ერთადერთი ნუავეა დარწმუნებული, რომ სიგნალიზაციის უნაყოფობა ჯერ-ჯეროზით ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით არის გამოწვეული. მას სჯერა, რომ არსებობს მაღალგონიერი ობრანი. სჯერა გადაჭარბებული გატაცებით.

— სომ ხედავ ამ ნათელ ლაქებს? — მკითხა გუშინ, როცა მის მიერ შედგენილ რუკებს ვათვალიერებდით.

— ვხედავ, — ვუპასუხე, — მაგრამ ოაზისები საჭიროა უდაბნოში და არა ოკეანეზე.

— ეგ არის ობრანთა საცხოვრებელი ადგილი.

— მესმის.

— სოციალური ბუდეები.

— მეც ეს მაფიქრებს. ასე ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრება წყლით შემოსილ პლანეტაზე კულტურის დაბალი დონის მაჩვენებელია.

— როცა ამ რუკებს ათვალიერებ, — დამტუქსა ნუავემ, — უნდა მოიშორო ჩვენი დღევანდელი თვალსაზრისი. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა გზით მიდის იქაური კულტურის განვითარება.

— ამ მხრივ ორთავენი ერთნაირად ცუდ მდგომარეობაში ვართ, — შევნიშნე მე, — მოვლენის უცოდინარობა არ იძლევა არავითარ უპირატესობას მისი ან ავად ან კარგად შეფასებისათვის.

— შენ უკვე დასცინი ჩემს ოპტიმიზმს, — იწყინა ნუავემ და სახე მოიღრუბლა.

მე შევეცადე საჩქაროდ გამომესწორებია ჩემი უტაქტობა.

— მე სრულებით არ უარვყოფ ობრაზე სიცოცხლის ნიშნებს, — შევძახე გულწრფელად. — მე მხოლოდ ბოლომდის ვერ ვერკვევი, საიდან ღებულობ შინაგანი დაჯერების ეგზომ მოუდრეკავ პათოსს.

— ჩემი უბედურებაც ეგ არის, — მითხრა ქალმა, — მეცნიერულად გამართული არგუმენტები ჯერ არ მომეპოვება, მაგრამ შინაგანი დაჯერება მართლა იმდენი მაქვს, რომ უბრალო რამ ნიშანი ჩემთვის უფრო ბევრის მთქმელია, ვიდრე შენთვის თვალსაჩინო ფაქტების მთელი გროვა.

— სამწუსაროდ, ასეთ საქმეში მარტოოდენ ინტუიცია არ არის საკმარისი.

— არც მე ვემყარები მსოლოდ ინტუიციას: ობრას ასაკი, მისი ფიზიკურ-ქიმიური პირობები ერთი მხრივ, სოლო მეორეს მხრივ, სიცოცხლის ის ნიშნები, რაც შენთვისაც აშკარაა, განსაკუთრებით კი, შუქური სიგნალიზაციის ცდები, მე ვფიქრობ ყველაფერი ეს იძლევა ჩემი დასკვნებისათვის საკმაოდ დამაჯერებელ საფუძველს.

— შუქური სიგნალი მე ძალიან მეეჭვება, — ფრთხილად შეეკამარე სკეპტიციზმის წვეთი. — ეგ რომ მართალი სიგნალი ყოფილიყო, ასეთი მოასლოების დროს უფრო ნათლად და გარკვევით უნდა გამოჩენილიყო მისი ციმციმი.

შევატყვე, რომ ნუავე შეშფოთდა.

— ვიმეორებ, მე არ უარვყოფ ობრაზე სიცოცხლის არსებობას, — დავსძინე საჩქაროდ, რომ შემენელებია ჩემი უკანასკნელი სიტყვების შთაბეჭდილება, — მაგრამ, როგორც გითხარი, იქ წყლის სტიქია ბატონობს და სიცოცხლეც ამ სტიქიის შესაფერი იქნება.

— მაშასადამე? — ჩამეკითხა ნუავე.

— მაშასადამე შენი საყვარელი ობრანი ჩვენს მოკავშირედ ვერ გამოდგება, — მოულოდნელად წამომცდა მწარე დასკვნა.

ნუავე ისევ მოიღუშა.

— 19—7. ობრა ისეთივე სისწრაფით გვშორდებოდა, როგორითაც გვიასლოვდებოდა.

გამოქვეყნდა აუარებელი მასალა, მათ შორის განირჩევა ნუავეს დეტალურად გადამუშავებული რუკები.

რუკები კულტურის ნიშნების მისედვით ზონებად არის დაყოფილი.

ნუავე თავის განმარტებაში იძლევა მრავალ გონებამასვილურ და საგულისხმო მოსაზრებას, მაგრამ სჭარბობს ინტუიცია.

მე ვამზადებ გამოსაქვეყნებლად ჩემს დასკვნებს, მაგრამ (საოცარია) მერიდება ნუავესი.

ჩვენ შორის ბრძოლაა. მე ვგრძნობ, რომ ამ ბრძოლას აქვს არა მხოლოდ მეცნიერული საფუძველი, რაღაც სხვა რამ, მეც-

ნიერების გარე მყოფი, ამძაფრებს ჩვენს ურთიერთობას. მეცნიერული დავა თანდათან უახლოვდება პიროვნულ კონფლიქტს.

მე ვერიდები ამ კონფლიქტს და ამიტომ ჩემს წერილს ხელს არ მოვაწერ.

— 19—12. მე ვამტკიცებ, რომ G და D ზონები, სადაც ნუავეს მაღალი კულტურის ნიშნები მოეჩვენა, წარმოადგენს ობრას დასახიჩრებული კანის ნაწილს, რაც შედეგია გეოლოგიური ფორმაციის კატასტროფიული ხანის. ამ ზონებში შეუძლებელია სიცოცხლის არსებობა. რაც შეეხება B, C, K და R ზონებს, განსაკუთრებით K და R-ს მიდამოებს, მცირეოდენი დაძალებით შეიძლება დავასკვნათ, რომ აქ ობრას ზედაპირს მართლაც ეტყობა გონიერ არსებათა ზემოქმედების ნიშნები.

წერილს მივაწერე: K—R

— 19—14. დაიბეჭდა ჩემი წერილის პასუხი, ხელს აწერს ვინმე G—D დიდი ენერგიით ილაშქრებს ჩემი დასკვნების წინააღმდეგ.

— 19—30. კამათმა ფართო სასიათი მიიღო.

მეცნიერთა დიდი უმრავლესობა ჩემ ფრთხილ დასკვნებს უჭერს მხარს.

G—D-ს მხოლოდ ახალგაზრდობა მიემხრო.

— 19—35. დილით, როცა ჩემი რაუნიტი სანორს მოშორდა, კაბინაში შემოვიდა ნუავე.

— ხელი ხომ არ შეგიშალე? — მკითხა მორიდებით.

— შენს რუკებს ვათვალიერებ, — ვუპასუხე. — G—D-ს მოსაზრებებმა ცოტა დამაფიქრა, მაგრამ მაინც მე ვარ მართალი.

— მაშ, K—R შენ ყოფილხარ! — და ნუავემ ცბიერად გაიღიმა. — მე ეს დიდი ხანია ვიცი!

— მე ვიცი, ვინ არის, G—D

— Ka-re! Ge-da! — მე მომწონს ეს სახელები და უცებ დაუმატა:

— Karol რატომ მებრძვი, სომ გრძნობ, რომ მართალი ვარ?

— Gedal განა სულ ერთი არ არის, ვინ დარჩება მართალი?

— რატომ არის სულ ერთი? — მკითხა გაკვირვებით.

— მსოფლიო სავსეა სიცოცხლის თესლით. ზოგან მწიფეა ნაყოფი, ზოგან ასლა ისხამს ყვავილს ხე სიცოცხლისა. ალბათ არის ქვეყანა, სადაც მარადი მთესველი ასლა ჰყრის სიცოცხლის მარცვლებს. ყველგან არის სიცოცხლე და სულ ერთია, რა ასაკის არიან ობრანები.

გედა ჩაფიქრდა. კარგა ხანს იჯდა თავდახრილი.

— ჩემთვის არ არის სულ ერთი, — თქვა ბოლოს და შემომხედა მუდარით სავსე თვალებით, — მე ტყვედ ვყავარ მოუშორებელ წარმოდგენას. თვალწინ მიდგას შორეული მეგობრის სახე და მეძახის, მეძახის ბრწყინვალე მოჩვენების გაუქრობელი ლანდი! თითქო გასაჭირშია და ჩემგან ელის შველას. მე კი ვასკდები ყველა ფანჯარას, მაგრამ არ იღება არც ერთი, და ვფართხალებ გულცივ სამყაროს ოთხ კედელშუა. ვიცი, მასაც ვესიზმრები მე, მასაც ჩემკენ გაუწვდია ხელები, მაგრამ ბავშვია ჯერ იგი და ფრთებს ასლა ისხამს. მე მესმის მისი ძახილი, გაზაფხულის ქუხილივით რომ მოარღვევს ცას, ვხედავ, როგორ ელავს მის თვალებში ახალგაზრდობის ჭარბი სისხლი და მე მინდა მისი ნახვა, შენ კი არ გჯერა მისი არსებობაც...

გედა ნუავე დაემხო მაგიდაზე და აქვითინდა...

— რატომ ტირი, გედა? დაიცადე, როგორც მე ვიცდიდი. დრო გაივლის და შენი გულისთქმის პასუხიც მოვა...

— 22—7. დღეს საუბარი მქონდა წყალთა მოურავთან.

მკითხა, როდის მოხერხდება ობრაზე ექსპედიციის მოწყობაო.

— ტექნიკურ სექციას თავისი ამოცანა შესრულებული აქვს, — ვუპასუხე, — ჯერი ქიმიურ სექციაზეა.

— ჰაერის კონსერვები? — მკითხა მოურავმა.

— დიახ!

— აკი მოგვარდა შეკუმშული მუავბადის მომარაგების საკითხი?

— კოსმიური ფრენისთვის საჭირო ჰაერის დამზადებას გაუთვალისწინებელი დაბრკოლება შეხვდა.

— მაშ, როგორ დაფრინავთ გუანაზე?

— ჩვენი მანქანის საჰაერო აპარატის მუშაობა საკმარისია ახლო მანძილზე, მაგრამ დიდი მარშრუტებისთვის არ კმარა. ვინაიდან ცდებმა დაგვიმტკიცა, რომ სელოვნურად შეზავებული ჰაერით სარგებლობა კოსმიურ სივრცეში შესაძლებელია ხუთ თვემდე. შემდეგ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ჰაერი თანდათან უვარგისი ხდება.

— რას ამბობენ სპეციალისტები?

— მიზეზი ჯერ აუხსნელია. ჰაერის შემადგენელი ელემენტების პროპორცია არ ირღვევა, მაგრამ ჩნდება რაღაც ახალი ფაქტორი, რაც სცვლის ჰაერის თვისებებს.

— ცდებს სად აწარმოებენ? — შემეკითხა მოურავი.

— ედონზე. უჰაერო სივრცეში. სპეციალისტებს დაებადათ ერთი ჰიპოტეზა, რამაც შეიძლება ახსნას ეს გაუგებარი მოვლენა.

— რა ჰიპოტეზაა?

— ცნობილია, რომ სამყაროს უჰაერო სივრცეში დაჰქრის მრავალგვარი კოსმიური სხივები, რომელთაც „სიკვდილის სხივებს" ეძახიან, ორგანული ნივთიერებისათვის გამანადგურებელია ამ სხივების მოქმედება. ჩვენს პლანეტაზე ამ სხივებისაგან სიცოცხლეს იცავს ჰაერის საბურველი. მაგრამ უჰაერო სივრცეში მათ არაფერი აკავებს. ჩვენ საფრენ მანქანებს, როგორც იცით, აქვს ბროლის გუმბათი და წინა კედელი. მიუხედავად კარგად გაკეთებული ფარისა, როგორც ფიქრობენ, „სიკვდილის სხივების" ნაწილი მაინც ახერხებს მანქანაში შემოჭრას და წამლავს ჰაერს.

— ჰაერს რომ სწამლავდეს ეგ უჩინარი სხივები, განა ჩვენი პლანეტის ჰაერი, ყოველი მხრით ამ სხივებით რომ არის შემოსაზღვრული, აქამდის არ მოიწამლებოდა? — სამართლიანად იკითხა მოურავმა.

— ნუ დაგავიწყდება, — ვუპასუხე მე, — რომ ჩვენი ჰაერის ზედაფენები სრულებით არ ჰგავს იმ ჰაერს, რითაც ჩვენ ვსუნთქავთ. ამას გარდა, არ არის გამორკვეული, პირდაპირ ჰაერ-

ზე მოქმედებს ეს სხივები, თუ სხვა ნივთიერების დაშლით გამოწვეული ელემენტებით სწამლავს მას.

— საკულისსმო მოსაზრებაა, — თქვა მოურავმა, — მაგრამ რა საჭიროა მაინცდამაინც ფანჯრებიანი მანქანებით ფრენა? განა არ შეიძლებოდა მანქანების დახურვა?

— შორეული მარშრუტების დასაძლევად აუცილებელია მანქანას ჰქონდეს გეზის სამართავად ღია თვალები. დახურულ მანქანაში ფრენის დროს მოსალოდნელია ათასი სიფათი სამყაროში მოხეტიალე პატარა სხეულებთან შესვედრისას.

— ერთი წლის ვარაუდი მაინც რა საჭიროა ობრაზე გასაფრენად? — არ მოეშვა მოურავი.

— ასეთ დიდ მანძილზე ჯერ არ გავფრენილვართ, — მივუგე მე, — არ ვიცი, შეგვეძლება თუ არა ობრას ჰაერით სარგებლობა. უცნობია აგრეთვე ჩვენთვის იქაური სიცოცხლის სახე და ხასიათი: ვინ იცის, რა პირობებში მოვექცევით? იქნება ბრძოლაც მოგვიხდეს ობრანებთან. ყოველი შემთხვევისათვის ერთი წლის განმავლობაში უნდა შეგვეძლოს მანქანაში გაძლება.

— როგორც ჩანს, — დაღონებით წარმოთქვა წყალთა მოურავმა, — ვიდრე ეს დაბრკოლება არ მოიხსნება, ობრას წყლის რეზერვუარს ჩვენ ვერ გამოვიყენებთ?

— ამიტომაც სწარმოებს ლაბორატორიებში შეუწყვეტელი მუშაობა, — ვუპასუხე დაფიქრებულ მოურავს.

— 23—4: მიმძიმს გედასთან საუბარი.

ჩვენი გზები სცილდება ერთმანეთს.

გედა მეტეორივით მიჰქრის სადღაც.

მის მობრუნებას არც მოველი: ძალიან შორს გაჰყვა მაცდურ ოცნებას.

მე რას გავაწყობ?

— 23—30. რაუნიტს გამოვუცვალე თაღი და ფანჯრები ობსერვატორიის ლაბორატორიაში ახლად დამზადებული ბროლით, რომელიც უფრო გამჭვირვალე ლითონსა ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ მინას.

ვნახავ, დაგვიფარავს თუ არა ეს ახალი გამოგონება „სიკვდილის სხივებისაგან“.

გამოცდა მე მომანდეს.

— ისევ გუანაზე გამოსცდი? — მკითხა ნუავემ.

— არა, ამჟამად უფრო დიდ მანძილს ვირჩევ! — მივუგე.

— ობრა უკვე ძალიან დაგვშორდა, — თქვა მან დაღონებით.

— ვიდრე იგი მობრუნდებოდეს, მე მაქვს განზრახული ერთი ახალი მარშრუტი.

— რომელი? — მკითხა ნუავემ და ცნობისმოყვარეობით შემოიხედა.

— ცაში წყლის ახალი მარაგის საძებრად.

— რომელ წყალზე ლაპარაკობ? — გაუკვირდა ნუავეს.

— მცირე პლანეტა ზ ე რ B 17*.

— მაოცებს შენი გულუბრყვილობა, ცნობილია რომ ზერეზე წყალი არ არის.

ეს ჯერ კიდევ დამტკიცებული არ არის. ვინაიდან იქ ატმოსფეროს ნიშნები აღმოჩნდა, მე ვფიქრობ — მოსალოდნელია წყალიც იყოს.

— საეჭვოა, დიდ იმედებს ნუ იქონიებ, — მითხრა ნუავემ, — მაგრამ დავუშვათ, რომც იყოს, როგორ გინდა მიუახლოვდე ზერს? ის ხომ ობრაზე უფრო შორს არის ახლა ჩვენგან?

— მართალია, მაგრამ ამ დღეებში ჩვენს პლანეტას ახლოს გაუვლის ეტლი, რომელიც იკისრებს ჩვენს გასეირნებას მცირე პლანეტათა შორეულ მიდამოებში.

გედა ერთი წამით ჩაფიქრდა, შემდეგ თვალები შემომანათა:

— ნ ო გ ო ს უ?**

— დიახ, ნ ო გ ო ს უ, — ვუპასუხე და მოვშორდი, რადგან ვერ ავიტანე მის თვალებში ანთებული უზომო საყვედურის ალი.

რად მიცქერის აგრე? მე ხომ მისთვის არაფერი დამიშავებია?

პირიქით: მან დამიბინდა გულის მიუვალ კუთხეში ამოძრავებული შუქი და იქ ახლა მხოლოდ ჩრდილი დარჩა.

კარებთან წყალთა მოურავი დამეწია.

---

* თქვენებურად ასტეროიდი ვ ე ს ტ ა.

** ასტეროიდი ე რ ო ს ი.

— მე თქვენი საუბარი მესმოდა, — თქვა მან, — კარგად ვერ გავიგე, რა ეტლზე ლაპარაკობდით?

— ზეგ ნოგოსუ ჩვენსკენ იბრუნებს პირს, მინდა მას შევხვდე და მერე გავყვე თან.

— რატომ ობრაზე წასვლა არ ირჩიე?

— ობრა ძალიან დაგვშორდა და თანდათან უფრო გვშორდება. გარდა ამისა, ახალი ბროლის ღირსება ჯერ ნაცადი არ არის.

— ამ მხრივ არც ნოგოსუზე მგზავრობა არის ნაკლებად სასიფათო, განა იქაც უჰაერო სივრცეში არ იქნები?

— განსხვავება დიდია, ობრას მიმართულებით სულ თვალღია მანქანით უნდა მეფრინა და თუ ბროლი უვარგისი გამოდგებოდა, კატასტროფა აუცილებელი იქნებოდა.

— ნოგოსუზე რა უპირატესობა გექნება? — მკითხა მოურავმა.

— ნოგოსუ ხომ არაჩვეულებრივად მოძრაობს? მე მინდა გამოვიყენო მისი მოძრაობის უცნაურობა, როგორც ცნობილია, ჩვენი პლანეტისა და ნოგოსუს ორბიტები ჯაჭვის რგოლებივით არის გადაბმული ერთმანეთზე. ამიტომ ნოგოსუ შემოდის ჩვენი პლანეტის სფეროში და ასლო გაუვლის ჩვენს ორბიტს. მისი პერიგელიუმი ძევს ობრასთან ახლო, ხოლო აპოგეი მცირე პლანეტების მიდამოებში, ჩვენი ორბიტის მიღმა. ამჟამად იგი ჩვენი გზის აქეთ არის, ობრას საზღვრიდან დაბრუნებულა და ჩვენ გვიახლოვდება. მე ვაპირებ გზაში შეხვედრას. როცა ჩემს რაუნიტს ნოგოსუზე დავაბინავებ, შემეძლება ახალი ბროლის დამშვიდებით გამოცდა. თუ შევატყვე, რომ ბროლი კოსმიურ სხივებს ვერ აკავებს, მაშინვე დავხურავ მანქანას და ვიქნები შიგ უკან მობრუნებამდე. როცა სანორს მივუახლოვდებით, ავსდი რაუნიტს წამწამებს და ჩემს პლანეტაზე დავბრუნდები. მოასლოვებული ნოგოსუდან ჩვენ ქვეყნამდე შედარებით პატარა მანძილისათვის ჰაერი საკმარისი მექნება ჩემს რაუნიტში.

— წყალი? — იკითხა მოურავმა შეშფოთებით.

— წყალიც საკმაო მექნება.

— რაუნიტზე არ მოგახსენებ! — გაცსარდა მოურავი. — წყალს მოძებნი თუ არა?

— ზერს ყოველ შემთხვევაში დავზვერავ, — დავამშვიდე

მოურავი, — და თუ წყალი აღმოვაჩინე, ექსპედიციასაც მოვაწყობ.

კმაყოფილი მოშშორდა.

ზეგ მივდივარ!..

ვინაიდან ეროსზე (ნოგოსუ) ჩემს მგზავრობას არა აქვს პირდაპირი კავშირი თქვენთვის საინტერესო საკითხთან, მე გამოვტოვე დღიურის ის ადგილი, სადაც აწერილია ეს მგზავრობა. საჭიროდ მიმაჩნია მხოლოდ ერთი პატარა ეპიზოდის გადმოცემა, რომელმაც მისცა დასაბამი მოვლენათა სწრაფ განვითარებას.

ეროსმა ჩემი იმედი გაამართლა. კმაყოფილი ვბრუნდებოდი ორბიტის მეორე გვერდით ვესტას საზღვრიდან.

ვუასლოვდებოდი მარსს. დაბრუნებას არ ვაპირებდი, განზრასული მქონდა დედამიწის შესწავლა ახლო მანძილიდან. ამიტომ გადავწყვიტე გავყოლოდი ეროსს და მისი ორბიტის პერიგელიუმიდან დამეთვალიერებია დედამიწა და დაკვირვებით შემესწავლა გედას მიერ გადაღებულ სურათებში აღნიშნული რაიონები, განსაკუთრებით ის ადგილები, რომელთა ინიციალები: G—D და K—R ჩემი და ნუავეს სახელებად გადაიქცნენ.

მე განუწყვეტელი კავშირი მქონდა რაუნიტიდან ეკრანის საშუალებით მარსის ობსერვატორიასთან და ჩემმა ქვეყანამ ჩემი მგზავრობის ყოველი დეტალი კარგად იცოდა.

ეროსის ერთ მშვენიერ დილას, როცა ქრონომეტრს ვსინჯავდი მარსის თარიღის გამოსარკვევად, უცებ ეკრანმა დარეკა.

რამდენიმე წამის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდა ნუავე.

მომანათა შეშფოთებული თვალები.

— კარო, შენ ობრასაკენ მიემგზავრები? — მკითხა და პასუხი არც მაცალა ისე დაუმატა: — მე ვიცი, რომ ასე გაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ მინდა გთხოვო, შესცვალო მარშრუტი!

— რა მოხდა? — ვკითხე მე. — რად ხარ ასე აღელვებული?

— საჭიროა შენი აქ ყოფნა. შეწყვიტე მგზავრობა. დაბრუნდი!

შევატყვე, რომ ქალი სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი.

— მზადა ვარ დაგესმარო, ოღონდ მითხარი, რა მოხდა? — ანგარიშმიუცემლად შევაგებე თავაზიანი სიტყვები.

ნუავეს სახე გაუბრწყინდა.

— დაბრუნდები? მაშ, დაბრუნდები? — სიხარულით წამოიძახა და ხელები ფრთებივით შეათამაშა.

— დავბრუნდები!

— რაც შეიძლება მალე! დღესვე აუშვი რაუნიტი!

— ახლავე მოვიხსნები აქედან, მაგრამ რად არ იტყვი, რა მოხდა? — ვკითხე ხელმეორედ.

ქალმა თავი დაღუნა. დაფიქრდა.

უცებ ამართა თავი და შემომხედა. სიხარულის ნატამალი არ იყო მის გაფითრებულ სახეზე.

მუდარით სავსე თვალები შავი ცეცხლით იფერფლებოდა.

— ჩემი არავის სჯერა, — თქვა მან, — გოუ თავისას გაიტანს, თუ შენ არ დამიჭერ მხარს.

— რად არ იტყვი, რა მოხდა? — მოუთმენლად შევძახე.

— ობრას კოსმიური კატასტროფა ემუქრება, — ხაზგასმით წარმოთქვა მან და შეშინებული ბავშვივით გაუფართოვდა თვალები.

— რანაირად?

— კომეტა ცე უახლოვდება.

— ვინ ამტკიცებს?

— გოუ.

— ანგარიში სწორია?

— სწორია!

— მაშ დაჯახება აუცილებელია?

— აუცილებელია!

— როდის უნდა მოხდეს კატასტროფა?

— CK—5—18-ს*.

— საჩქარო არაფერი ყოფილა, — დამშვიდებით ვუთხარი.

— რომ ჩამოხვალ გაიგებ, საჩქაროა თუ არა.

— მაშ, ნახვამდის, ახლავ მოვიხსნები!

— გელი მოუთმენლად, — მომაძახა და ეკრანიც ჩაქრა.

---

* 1933 წლის ნოემბერი.

ერთი საათის შემდეგ ჩემი რაუნიტი სულმოუთქმელად მიჰქროდა მარსისაკენ.

...— 17—1. დღეს დილის 10 საათზე რაუნიტი გარაჟში დავაბინავე. გასაწმენდია ნოგოსუს ყვითელი ქვიშისა და უჰაერო სივრცის კოსმიური მტვერისაგან.

შეიტყო თუ არა ჩემი ჩამოსვლა, ნუავემ დამირეკა და იმწამსვე მესტუმრა.

ხვალ გოუ მოხსენებას კითხულობს მეცნიერთა კოლეგიაში ობრას კატასტროფის შესახებ.

ნუავე მარწმუნებს, რომ გოუ „გულგრილად" არის განწყობილი ობრას მიმართ და სრულიად არ აწუხებს მას ჩვენი მეზობლის მოსალოდნელი დაღუპვა.

მეცნიერებისათვის იშვიათი მოვლენის დემონსტრაციად თელის თურმე ამ კატასტროფას.

მთხოვს, მივემსრო მის მოსაზრებას, რომ ჩვენი მოვალეობაა მივეშველოთ გასაჭირში მყოფ, ჩვენს თანამოძმეს.

არის კი ვინმე მიშველების ღირსი?

ნუავე დარწმუნებულია ისევ, რომ ობრაზე ჩვენი თანამოძმენი ჩვენზე ფიქრობენ.

მე ძალიან მეეჭვება.

მაინც დავპირდი!

— თუმცა არა ვარ დარწმუნებული, რომ შენი მოსაზრება სწორია, — ვუთხარი მე, — მაგრამ განზრახვა იმდენად კეთილშობილურია, რომ მეც შენთან ვიქნები!

ნუავემ მადლობა მითხრა და წავიდა.

მეტეორივით დაჰქრის მისი გონება ობრას უცნობ ცაზე.

ვინ იცის, რა ელის მას?

იქნება მეტეორივით ჩაიწვას უსიცოცხლო ობრას მიუკარებელ ჰაერში ნათელი სიზმრით გატაცებული სული!..

— 17—2. სსდომამ საღამომდის გასტანა.

გოუს მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ ეს კატასტროფა იშვიათი და განუმეორებელი მოვლენაა ჩვენს სისტემაში და მთელი

რიგი პრობლემების გადასაჭრელად მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებაო.

ნუავე შეუპოვარი გაბედაობით და უმაგალითო პათოსით ებრძოდა გოუს მოსაზრებებს.

— რა უფლება გვაქვს ჩვენ, — ანთებდა იგი ცეცხლიანი სიტყვების კოცონს, — შორიდან გულზე ხელდაკრეფილი შევცქეროდეთ, როგორ იღუპება სამუდამოდ სიცოცხლით სავსე ქვეყანა, როგორ ისრისება უაზრო სტიქიონის ბრმა ძალისაგან ჩვენს გვერდით აყვავებული თავისებური სიცოცხლის ერთადერთი და განუმეორებელი სახე? განა მეცნიერებისათვის გეოლოგიისა და ელექტრომაგნიტური პრობლემების კატასტროფის პრიზმაში განხილვა უფრო საინტერესო და საჭირო, ვიდრე სიცოცხლის ახალი, ჩვენთვის უცნობი ფორმის გადარჩენა და შემდეგ მისი გაცნობა? შეიძლება ბევრს არ სჯეროდეს, რომ ობრაზე ამჟამად სიცოცხლის უმაღლესი სახე იყოს, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ის არ წარმოადგენს ჩვენთვის მიუწვდომელ მიღწევათა უდიდეს ასპარეზს სიცოცხლის მომავალი ფორმისათვის? ჩვენთან შედარებით ობრა ჯერ ჭაბუკობის ხანაშია. ვინ იტყვის, რას უმზადებს მსოფლიოს მისი დავაჟკაცება? როგორ შეგვიძლია ჩვენ ფიზიკურ მოვლენათა შესასწავლ ლაბორატორიად ვაქციოთ მსოფლიოს უდიდესი ტრაგედია; ჩვენ გვაქვს ტექნიკური საშუალება, გადავარჩინოთ დაღუპვას ჩვენი მოძმე ქვეყანა. მე მოგიწოდებთ თქვენ სიცოცხლის უზენაესი კანონის სახელით, ჩვენი მომავალი კავშირის სახელით, დავეხმაროთ ობრას და ვიხსნათ იგი სიკვდილისაგან.

გოუ აუღელვებლად, დამშვიდებით ასაბუთებდა თავის აზრს.

— რა საჭიროა უაღრესად მეცნიერული ხასიათის საკითხში რომანტიული გატაცება და სენტიმენტალური არგუმენტაცია? ვინ არ იცის, რომ სიცოცხლე ბევრგან არის შესაძლებელი? მაგრამ განა ყოველგვარ სიცოცხლეს ვიცავთ ჩვენ? სიცოცხლის უმაღლესი ფორმა იბრძვის არსებობისათვის და სპობს უმდაბლეს ფორმებს. ჩვენ მსოფლიოში სიცოცხლის უმაღლესი მწვერვალი გვიპყრია ჩვენ და ჩვენს ნებას ემორჩილება ჩვენს გარეშე მყოფი სიცოცხლის ყოველი სახე. რა არის ობრა? უბრალო პლანეტა, რომლის მსგავსი მრავალია

ჩვენს სისტემაში. იქ სიცოცხლე თუ არსებობს — უმდაბლესი სახის. რამდენი საუკუნეა ვცდილობთ ობრასთან კავშირის დამყარებას, მაგრამ არაფერი გამოდის, ვინაიდან ცდა ცალმხრივია: ობრას არ ესმის ჩვენი ძახილი და ვერც გაიგონებს, რამდენი ცხოველი დაღოლავს ჩვენს პლანეტაზე, მაგრამ ჩვენს მოკავშირეებად ისინი ვერ გამოდგებიან! მოსალოდნელი კატასტროფა კი ისეთ მასალას მისცემს მეცნიერებას, რომლის მნიშვნელობა განუზომელი იქნება. ჩვენ თვალწინ ორი ციური სხეული ერთმანეთს დაეჯახება. დაჯახება იქნება კატასტროფიული, სწორედ ამიტომ ნათელი გახდება ჩვენთვის ქვეყნის წარმოშობისა და მისი განვითარების ბევრი ბუნდოვანი მხარე. თქვენ გსურთ დაიცვათ ობრას მნიშვნელობა? მე ვამტკიცებ, რომ კატასტროფიული სიკვდილით ობრა მეტ სამსახურს გაუწევს სიცოცხლის უნივერსალურ განვითარებას, ვიდრე თავისი უბადრუკი პირველყოფილი პროტოპლაზმების უაზრო ცხოვრებით.

— თქვენ კლავთ ცოცხალ არსებას, — აენთო ისევ ნუავე, — კლავთ, რათა დოსტაქრის დანით გაკვეთოთ მისი სხეული და გაიგოთ, როგორ არის აშენებული მისი ჩონჩხი. მეცნიერება არ არის სიცოცხლის ბატონი, იგი მხოლოდ იარაღია მისთვის, თქვენ კი საშუალება მიზნად დაგისახავთ. ნუ ვიქნებით მკვლელები და დავიცვათ ობრა ხიფათისაგან!

— ჩვენ არავის ვკლავთ, — უპასუხა გოუმ, — ჩვენ მხოლოდ არ ვერევით კოსმიური პროცესის ბუნებრივ მსვლელობაში. თუ ობრა ატარებს მომავალი სიცოცხლის დიდ პოტენციას, კატასტროფა სამუდამოდ არ დაღუპავს ამ შესაძლებლობას. გაივლის ხანი და ანთებული პლანეტა ისევ გაცივდება და თავის მოწოდებას შეასრულებს. მარადიული სიცოცხლისათვის კი მნიშვნელობა არა აქვს რამდენიმე ათეულ მილიონ წელს. ამის გარდა, თუ ობრაზე, როგორც თქვენ ამტკიცებთ, არიან მაღალგონიერი არსებანი, ისინი თვითონ დაიცავენ თავის პლანეტას კატასტროფისაგან.

— თუ მოვალეობის გრძნობა თქვენზე არ მოქმედებს, — შეედავა ნუავე, — შებრალება მაინც იქონიეთ უმცროსი ძმის მიმართ. თუ ძალა შესწევს, თავს თვითონ დაიცავსო, — ამბობთ თქვენ. მითხარით, ვინ დაუწყებს შორიდან ცქერას, როცა ბავშვს მხეცი უახლოვდება და ვინ იტყვის: თუ შეუძლია

საფრთხეს გაუმკლავდესო? არ გესმით, როგორ კივის ბავშვი და გთხოვთ შველას? მე მესმის კივილი ბნელ სივრცეში საშინელი ხიფათის წინ მდგარი ბავშვის და მოგიწოდებთ თქვენ, მივეშველოთ მასს! მაგრამ თუ თქვენზე არც სიბრალულის გრძნობა მოქმედებს, გაიხსენეთ თქვენი საკუთარი გასაჭირი — უწყლობა. მოისაზრეთ, წყლის რა დაულეველ მარაგს კარგავთ ობრას დაღუპვით და ამ მიზნით მაინც დაიცავით თქვენთვის საჭირო მეზობელი.

— წყალი ზერზედაც აღმოჩნდა, — მიუგო მომხსენებელმა, — არის კიდევ წყლის უფრო დიდი რეზერვუარი, ვიდრე ობრაა, პლანეტა ნირი*. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მალე შეეძლებთ იქიდან წყლის მოტანას. შორეულ მომავალში, შემდეგ თაობათათვის ობრას წყალიც ჩადგება ისევ თავის კალაპოტში.

ვილაპარაკე მეც.

ვამტკიცებდი, რომ მართლა დაუშვებელია ამოდენა ქვეყნის დაღუპვა მეცნიერების პრობლემატური მიღწევებისათვის. ძნელი იქნება აგრეთვე წყლის საკითხის მოგვარება, თუ ობრა დაიღუპება. ზერი მცირე სხეულია და წყალიც ცოტაა იქ. რაც შეეხება ნირს, იქ, მართალია, წყალი ბევრია, მაგრამ ჩვენთვის ძალიან გაძნელდება ნირის კოლონიზაცია, ადგილობრივ კი, არავითარი ბაზა არ ექნება ჩვენს მოქმედებას პლანეტის პირველყოფილი მდგომარეობის გამო, ამიტომ მსარი დავუჭირე ნუავეს წინადადებას: ბაგზავნილ იქნას ობრაზე ექსპედიცია, რომელსაც მიენდოს ადგილობრივი პირობების მიხედვით დახმარების საკითხის გადაწყვეტა.

დიდი კამათის შემდეგ კოლეგიამ მიიღო ნუავეს წინადადება.

დაისვა საკითხი ექსპედიციის მეთაურის შესახებ.

ნუავემ მე დამასახელა.

მოპირდაპირე ჯგუფმა — გოუ.

ორივე კანდიდატმა სხდომა დავტოვეთ.

შინ დავბრუნდი.

მშვენიერი საღამო იდგა.

ჩემი ოთახის ღია აივანს დაჰკაშკაშებდა ბრწყინვალე ობრა.

---

* ვენერა.

თითქმის წელიწადი შესრულდა ნოგოსუზე ჩემი გამგზავრების შემდეგ*.

ამ ხნის განმავლობაში ობრამ ორჯერ შემოურბინა აზას და ახლა ისევ ჩვენს პირდაპირ დგას.

ათასი ფიქრი შემომესია.

ვიჯექ აივანზე. გავცქეროდი ლურჯად აბრიალებულ ობრას, აივნის მოაჯირზე თითებს ვათამაშებდი და ეს ღარიბი აკომპანიმენტი მუსიკის გრიალივით მისდევდა ჩემი ფიქრის უსინარ გრიალს...

— კარო, შენ გგზავნიან! — მომესმა უცებ გასარებული ჩურჩული და აივანზე ჩიტივით დაეშვა ქალი.

— გადაწყდა?

— თითქმის ერთხმად! — და ჩემს შუბლს გედას ხავერდოვანი თმა მოეფინა. — შენ უნდა შეასრულო დანაპირი, რადაც არ უნდა დაგიჯდეს!

მე მათრობს ქალის ცხელი სუნთქვა, გულში კი უწინრად მოძრაობს ჩრდილი, და ჩრდილი თითქო კვნესის: — ვისთვის, ვისთვის არის ეგ თვალები ანთებული? ვინ იტაცებს ამ სუნთქვას, უხილავი და უცნობი?..

— შევასრულებ! — ვეუბნები და წელზე ხელს ვხვევ.

ქალის სსეული კანკალებს, როგორც ხელში ჩაბღუჯული შაშვი და სწვავს ჩემს ხელს.

— ზედმეტად ღელავ, გედა! — ტკბილად ვეალერსები. — სიცხე გაქვს. შენ დასვენება გჭირია! მენდე, შევასრულებ! თუმცა ვიცი, საით მიქრის შენი ოცნება, გედა, რად იღუპავ თავს?

— კარო, ჩემო კარო! — ჩურჩულებს ქალი, — მე განწირული ვარ, მაგრამ ტკბილია ჩემი ტყვეობა!... დიდია უფსკრული, მაგრამ მე ვხედავ შორეულ ნაპირს და მესმის ძახილი, აუტანელი ბედნიერების დაუძლეველი ძახილი...

— შევასრულებ! — ვიმეორებ და ქალს თვალებში ჩავაცქერდები. — მაგრამ რომ დაიმსხვრას ოცნება? შორიდან მიმზიდველი ო ბ რ ა ნ პირუტყვივით რომ აბღავლდეს?

პაერში ოქროსთმიანი ხომალდი გაიშხუილებს და აივანს ელვა გაანათებს.

---

* დედამიწის ორი წელი.

— მაშინ დავიღუპები! — ძლივს გასაგონად ჩურჩულებს ქალი და ოცნებით ანთებულ თავს ყვავილის დამძიმებული ყლორტივით დახრის და მხარზე დამადებს.

ვინ იცის, რა მოელის ამ ქალს?

მეტეორივით იზიდავს მას უცხო ქვეყნის მომაჯადოებელი ელვარება.

რას ეძებს ობრაზე მისი დამშეული თვალები?

ვინ გადააბა მისი ზღაპრული სიყვარულით სავსე გული შორეულ ვარსკვლავებს გაუწყვეტი ჯაჭვით?

მეტეორივით დაჰქრის პატარა ქალის დიდი გული ობრას უცნობ ცაზე.

რა ელის იქ მას?

იქნება მეტეორივით ჩაიწვას უსიცოცხლო ობრას მიუკარებელ ჰაერში ნათელი სიზმრით გატაცებული სული!..

— 17—20. მივდივარ და თან მიმყვება გედას ანთებული თვალების ცეცხლოვანი მუდარა: „არ გასწირო ობრა, არ გაიმეტო დასაღუპავად აზას სხივების ახალი ყანა, რაც უნდა უმნიშვნელოდ გეჩვენოს ნათესი!“

— 17—36. მიჰქრის გამალებით რაუნიტი უნაპირო სივრცეში, წამში 50 კილომეტრის სისწრაფით.

სანორი ვარსკვლავივით ციმციმებს ვარსკვლავთა შორის.

პირდაპირ ჩემსკენ მოჰქრის ცის უმშვენიერესი ჟინჟღილი — ობრა.

არც დღე, არც ღამე.

უფრო ღამე.

ცა შავი, კრიალა ვარსკვლავებით მოფენილი.

უამრავი ვარსკვლავი შავი ცის ფონზე და შუაში აზა.

უკუნეთი ღამე, გაყინული სივრცე ირგვლივ და ცაში აზა, აუტანელად მცხუნვარე და სხივოსანი.

მიჰქრის რაუნიტი და ობრა თანდათან იზრდება.

უკვე მოჩანს პატარა ორე*, წიწილასავით რომ მისდევს გაფრენილ ობრას.

---

* ორე — მთვარე.

— 17—38. რაუნიტმა გადალახა 78 მილიონი კილომეტრი.
დარჩა ობრამდე კიდევ 5 მილიონი კილომეტრი.
მანქანა გრძნობს უკვე, რომ ობრას მიმზიდველობის სფეროში შევიჭერით.
რა პატარა ვარსკვლავია ახლა სანორ!
უზარმაზარი ობრა დღესავით ანათებს რაუნიტის გახურებულ ლითონს.
გეზი ჩრდილო პოლუსისაკენ!
მშვიდობით, სანორ! ტკბილო, სანორ!..

— 17—40. პოლუსის ყინულოვანი სივრცე ნისლით არის დაბურული.
ნისლით დახუთული ქარიშხალი საზარლად ღმუის და ყინულის ნამსხვრევებით სევს ღრუბლის აფრიალებულ კალთებს!
რაუნიტი მიჰქრის ეკვატორთან.
ვათვალიერებ ნუავეს რუკებს და ვეძებ დანიშნულ ადგილებს.

— საოცარია! მოულოდნელი!
მაგრამ ამაზე შემდეგ, როცა უფრო ასლო გავეცნობი ყველაფერს.
ნუავეს ვახარე გამარჯვება.
როგორ ელავდა ეკრანიდან მისი თვალები!

1928—27—XII K და R ჩრდილოეთ ამერიკის შუა ნაწილი აღმოჩნდა.
დავბინავდი ჩიკაგოში და ვსწავლობ ინგლისურს.

1929—3—III. კატასტროფას არავინ ელის.
— საჭირო ფრთხილი მოქმედება.
პირველყოვლისა უნდა მოვიპოვო ნდობა.

— 10—V. ვეძებ მოკავშირეს.

დამაინტერესა ინჟ. კამარელის წიგნაკმა: „ელექტრონული ენერგიის ცვალებადობა“.

კამარელი მუშაობს საბჭოთა კავშირში.

რევოლუცია შესაფერისი ნიადაგია ჩემი გეგმის განსახორციელებლად.

— 1—10. C და D ორ პატარა ზღვის შუა მდებარე მთებია. ჩიკაგოს განივზე, აღმოსავლეთით, კავკასიონი.

— 10 — XII. მაწუხებს სათვალისა და სიმძიმის შემნელებელი აპარატის მუდმივად ტარების აუცილებლობა. ადვილად ვიქანცები.

ვწერ წიგნს დედამიწის შესახებ.

ვფიქრობ, ნუავე კმაყოფილი დამრჩება.

1930—20—II. გასაოცარია სიცოცხლის ფორმების ერთგვაროობა მსოფლიოში! გარეგანი სახე თითქმის მრავალფერია, მაგრამ ეს სხვადასხვაობა ერთ პრინციპზეა აგებული. სულ რამდენიმე დედასახე განსაზღვრავს უთვალავ ფორმათა მოჩვენებით მრავალფეროვნებას.

ერთია მსოფლიოს შენების ფიზიკური საფუძველი. ერთია სიცოცხლის ფორმათა საფუძველიც.

— 2 — XI. დავასრულე ჩემი წიგნი. დარწმუნებული ვარ, მეცნიერთა კოლეგია გაიზიარებს ჩემს დასკვნებს და დედამიწის მიმართ საბოლოოდ გაიმარჯვებს ნუავეს პოლიტიკა.

— 4 — XII. ინჟ. კამარელი აღმოჩნდა ტომით ქართველი, C-D-ს რაიონში მცხოვრები.

გასაკვირია ეს შეხვედრა.

უნდა ვაცნობო გედას.

— 5 — XII. ჩემი წიგნი ეკრანიდან გადაიღო გედამ. ხვალ ჩააბარებს კოლეგიას.

მაჩქარებს კამარელის გაცნობას.

1931 — 15 — I. საქართველოში მიემგზავრება ინჟინერთა დელეგაცია. მეც ჩავეწერე.

ჩემი წიგნი კოლეგიამ მოიწონა.

— 6—II. რაუნიტი მოვათავსე მიუვალ ადგილას.

უკანასკნელად ვესაუბრე დღეს გედას: საქართველოში ჩასვლამდე ახალ ეკრანს ვერ აკეგებ?!*

— 12 — IV. ერთი კვირაა საქართველოში ვარ.

დღეს კამარელს წერილი გავუგზავნე.

14 აპრილს ვესტუმრები!

IX

დედამიწის დამუხრუჭება

კამარელმა გამოაქვეყნა კაროს დღიური და თავის მხრივ ვრცელი განმარტება წაუმძღვარა მას.

სხვა დროს იქნება არავის დაეჯერებია მარსელი ადამიანის დედამიწაზე ჩამოსვლის ამბავი და დღიური ფანტასტიკურ გამოგონებად ჩაეთვალათ, მაგრამ პანიკით შეპყრობილი სასოწარკვეთილი კაცობრიობა რელიგიური რწმენით დაეწაფა კამარელის განცხადებას და უეცრად გაცოცხლებული იმედის ფართხალით უპასუხა თბილისიდან მოულოდნელად მოფრენილ ცნობას.

თითქო მომაკვდავ სხეულს ელექსირი შეუშსაპუნესო, ქვეყნის მოდუნებულმა გულმა კვლავ იწყო ძგერა და შიშით დაბინდული გონება ოდნავ განათდა.

---

* თქვენ უკვე მიხვდებოდით, თუ რისთვის შევთხზე მე თქვენთან საუბრის დროს შორეული ხილვის ეკრანის აგების ისტორია. ჩემი წარმოდგენით დედამიწაზე ეკრანი სწორედ ისე უნდა აეგოთ, როგორც მე გადმოგეცით, მარსის სიგნალი რომ აუხსნელი არ დარჩენილიყო.

თბილისს გრიგალივით მოაწვა ყოველი მხრიდან რადიოს ცნობისმოყვარე ტალღები. მთელი ქვეყნის პრესა აივსო ათასგვარი ცნობებით და ევროპა და ამერიკა მოჰფინა კამარელისა და კაროს ურიცხვმა სურათებმა.

რადიოგრიგალს თან მოჰყვა უამრავ დელეგაციათა ქარავანი: ყველა, ვისაც შეეძლო, ცდილობდა საკუთარი თვალით ენახა მარსიდან მოსული საკვირველი არსება, და თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, იმ ქალაქისთვის მაინც მოეკრა თვალი, საიდანაც ამდენი ხანია ჰქროდა ქვეყნის შემზარავი შიშის ქარი და ახლა კი მოულოდნელად დაჰქროლა იმედისა და სიხარულის სიო...

კამარელმა და კარომ შეიმუშავეს მოქმედების გეგმა.

მაისის 20-ს თბილისში გაიხსნა მსოფლიო კონგრესი, რომელსაც დაესწრო ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი. ეს იყო ისტორიაში პირველი ყრილობა, სადაც მრავალი, ერთიმეორის საწინააღმდეგოდ მტრულად მიმართული სახელმწიფო პირველად ლაპარაკობდა გულახდილად და დაუფარავად, ერთმანეთისათვის გასაგები ენით და ყველასათვის თანაბრად საჭირო საგანზე.

კონგრესი გახსნა კამარელმა, პირველივე მისი სიტყვა ჰაერშივე მოიტაცა და შთანთქა ოვაციის უჩვეულო გრგვინვამ. დიდხანს ისმოდა ამღელვარებულ ქუჩებში სასახლის დარბაზიდან ქუსილივით მომსკდარი ყიჟინი.

დედამიწის ყველა კუთხისა და ერის წარმომადგენელნი, ერთი გულისთქმით შედუღებულნი, ზეიმობდნენ საერთო სიხარულით.

კამარელმა მოკლედ მოასსენა კონგრესს საქმის ვითარება და სიტყვა მისცა —

„მარსელ ინჟინერს, ჩვენს ძვირფას სტუმარს,
ობრან-ექსპედიციის მეთაურს ლენგონ კაროს“...
დარბაზში იგრიალა ტაშმა.

მაგრამ როცა ტრიბუნაზე გამოჩნდა თავისი ქვეყნის ელვარე ტანისამოსით უცნაურად მორთული, გასაოცარი თვალებით აბრიალებული კარო, კონგრესს გაკვირვებისაგან ელდა ეცა და დარბაზში უეცარი სიჩუმე ჩამოვარდა.

შარავანდედით მოსილი კარო ცეცხლის პორფიროსან

ზღაპრულ მეფესავით დადგა ტრიბუნაზე და ენაჩავარდნილ დელეგატებს პროუექტორებივით მიანათა თვალები.

უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში, როგორც ცარიელ ჭურჭელში, დაგუბდა მოზღვავებული გრძნობა და ერთი წამის შემდეგ სიჩუმე ყუმბარასავით გასკდა. ხუთასი დელეგატის გაშმაგებულმა ღრიალმა და ტაშმა ფანჯრის მინებს ზრიალი დააწყებინა. დარბაზიდან ოვაციის გრიალი და ათეულ ერაზე ამქუხარებული „ვაშა" დაიღვარა ქუჩებში და ქალაქი აავსო მიწისძვრისებური გუგუნით.

დედამიწის ყველა კუთხისა და ერის წარმომადგენელნი მარსელ ადამიანთან ერთად ზეიმობდნენ საერთო სიხარულით.

მაგრამ ასლა ეს არ იყო მარტო ინტერნაციონალური გამოვლინება საერთო გულისთქმათა, ეს თითქო უფრო მეტი იყო, რაღაც ახალი და ჯერ განუცდელი.

ეს იყო ინტერპლანეტარული კავშირის პირველი გაელვება და ქუხილი.

— მე ვარ თქვენი პლანეტის უფროსი ძმის, სანორის, თქვენებურად მარსის, წარმომადგენელი, — მიმართა კარომ კონგრესს, როცა დარბაზი ოდნავ დამშვიდდა, — სალამი ჭაბუკ დედამიწას, ჩვენი საყვარელი ობრას კაცობრიობის წარმომადგენელთა ყრილობას.

დარბაზში ისევ იფეთქა ოვაციამ.

— მე გამომგზავნა თქვენთან ჩემმა ქვეყანამ, — განაგრძო კარომ, — რათა დახმარება აღმოგიჩინოთ გასაჭირის დროს...

კარო ლაპარაკობდა დაბალი ხმით, ინგლისურის უცნაური ინტონაციით, და რომ არაფერი გამოპარვოდათ მისი სიტყვიდან, კისერწაწვდილი დელეგატები გატრუნულები მისჩერებოდნენ მას, მარჯვენა ყურზე ხელაფარებულნი.

კაროს ისევ ოვაციები გაუმართეს.

შემდეგ ილაპარაკეს სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა.

ყველა გამოთქვამდა უზომო სიხარულს საშინელი ხიფათისაგან თავის დაღწევის გამო და აღუთქვამდნენ მარსელ ინჟინერს მისი ყოველგვარი განკარგულების უსიტყვოდ შესრულებას.

— რა საჭიროა ლაპარაკი, —ამბობდა მოჭარბებული აისარულისაგან გაცსარებული ამერიკელი დელეგატი ბანკირი

დინგვეი, — მთელი ჩვენი სიცოცხლით, მთელი ჩვენი ქონებით ჩვენ ვეკუთვნით მარსის ბრწყინვალე წარმომადგენელს. მას შეუძლია ჩვენ ყურმოჭრილ მონებად გაგვიხადოს, ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ პირობას, ოღონდ სიცოცხლე შევინარჩუნოთ! საკითხი ის კი არ არის, რამდენად ვართ მზად მსხვერპლის გასაღებად, — უკვე რამდენიმე თვეა, რაც ჩვენ საბოლოოდ შევურიგდით ყველაზე უდიდესი განძის — სიცოცხლის დათმობას, საკითხია — შევძლებთ თუ არა ხიფათისაგან თავის დაღწევას, თუნდაც უდიდესი მსხვერპლის გაღებით, ჩვენ ერთხმად ვუცხადებთ მარსის ნათელმოსილ მოციქულს: მიიღეთ მთლიანად ჩვენი სული და ხორცი, გადაგვარჩინეთ და გვიყმეთ! არათუ წყალი, მიირთვით ჩვენი უბედური პლანეტის მთელი ავლადიდება ერთი პოლუსიდან მეორემდე, ოღონდ გვიხსენით განსაცდელისაგან და გვიპატრონეთ! უნდა ვთქვა აგრეთვე ორიოდე სიტყვა იმ სახელმწიფოს შესახებ, რომლის მიწაწყალზე ხდება ჩვენი მკვდრეთით აღდგომისათვის მზადება. ეს არის საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა.

ახლა ჩვენ გვეძლევა საშუალება შევაფასოთ ჩვენი პოლიტიკის ძველი პრინციპები და ახალი სიცოცხლის საზღვარს აქეთ დავტოვოთ ყველა ის გონებრივი სიბინძურე, რაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, უტიფარი ყოყოჩობით გვიტარებია ამდენ ხანს, როგორც ცივილიზაციის და პროგრესის ტვირთი. თუ ჩვენ გვიწერია ხიფათისაგან გადარჩენა, დაე, ახალი სიცოცხლისათვის მეორედ დაბადებულთ ნუ გაგვყვება თან ამ ქვეყანაზე ის უღირსი წარმოდგენა, რაც ასე ამძიმებდა კაცთმოძულეობის გრძნობით ჩვენს გონებას! საბჭოთა ქვეყანა იმარჯვებს. ჩვენ უნდა ვიცნოთ ამ ქვეყნის იდეურ-ზნეობრივი უპირატესობა და თავი დავხაროთ მის წინაშე.

ტაშისცემამ დაჰფარა დინგვეის სიტყვა, ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ დინგვეის მიერ გამოთქმული აზრების გაზიარებაში ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, იაპონიის და სხვათა წარმომადგენლები და საბჭოთა კავშირს სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცებოდნენ. კაპიტალისტური ევროპა და ამერიკა სოციალისტური ქვეყნის იდეურ უპირატესობას სცნობდა და ქედს იხრიდა მის წინ! ეს დაუჯერებელი მოვლენა იყო, მაგრამ კამარელი თავისი თვალებით ხედავდა

ამ საკვირველ დემონსტრაციას და გაოცებით შესცქეროდა მას. კამარელს გაუელვა აზრმა: შეიტანოს წინადადება, თუ კაპიტალისტური ქვეყნები მართლაც და გულწრფელად სცნობენ სოციალისტური წყობილების გამარჯვებას, დაუყოვნებლივ გაუკეთდეს ამას სათანადო დასკვნა. მაგრამ, მცირე მოფიქრების შემდეგ, კამარელმა თავი შეიკავა ასეთი წინადადების შეტანისგან. ის უზარმაზარი ამოცანა, რომელიც ამჟამად იდგა კაცობრიობის წინაშე, გაუგონარი და ფანტასტიკური გეგმა დედამიწის დამუხრუჭებისა, მოითხოვდა მთელი ყურადღებისა და ენერგიის აქეთკენ მიმართვას და ამ დროს კაპიტალისტურ მსოფლიოში რადიკალურ სოციალურ გადატრიალებას შესაძლოა გამოეწვია დროებით ენერგიის დაქსაქსვა. კამარელმა გადაწყვიტა სავსებით გამოეყენებია კონგრესის სულიერი განწყობილება მომავალი სამუშაოსათვის მტკიცე და საიმედო აპარატის შესაქმნელად.

კამარელმა დასკვნა გაუკეთა კამათს და რეზოლუციებს კენჭი უყარა.

კონგრესმა მთელი რიგი ტექნიკური ხასიათის დადგენილებათა მიღების შემდეგ, ერთხმად აირჩია, კაროს წინადადებით, ინჟინერი კამარელი — დედამიწის დამუხრუჭების სამუშაოთა მთავარ ხელმძღვანელად და უზენაესი ძალაუფლებით აღჭურვა იგი ამ საქმეში.

კონგრესი დასრულდა საღამოს 11 საათზე. ამ დროს სასახლესთან ჰაერში გამოჩნდა ელექტრონით გაჩირაღდნებული საჰაერო ხომალდი „გედა". უმთვარო ღამის ბნელ სივრცეში „გედა" ელვარებდა ზღაპრული ფრინველივით და ღამის ჰაერის შავ ცვერდზე ცეცხლით ამოქარგულივით მოსჩანდა. ხომალდი ნელ-ნელა დაეშვა დაბლა და სასახლის წინ ჰაერში გაჩერდა. ბაქანზე გამოვიდა გემის უფროსი ბაკურ შავარდნაძე და სასახლის აივნიდან „გედაში" გადასხა კონგრესის დელეგაციათა მეთაურები, ოცი კაცი. „გედა" ანთებულ მაშხალასავით ავარდა ჰაერში, ჩააქრო შუქი და უზარმაზარი შავი არწივივით გაფრინდა მყინვარისაკენ.

ხომალდს გეზი მოსკოვისაკენ ეჭირა.

X

კამარელის კაბინეტი

შემოდის კარო.

— შეიძლება ასლა მოგახსენოთ?

— გთხოვთ!

— თქვენ ასლა დედამიწის დიქტატორი ხართ, ნუკი მთხოვთ, მიბრძანეთ, — ღიმილით უთხრა კარომ კამარელს, და მაგიდაზე დააწყო ნახაზები და ცხრილები.

— დედამიწის ძალაუფლება თქვენზე არ ვრცელდება, — ღიმილითვე მიუგო კამარელმა. — თქვენ სხვა პლანეტის ქვეშევრდომი ხართ.

— ქვეშევრდომი მარსისათვის უცნობი და გაუგებარი სიტყვაა. — შენიშნა კარომ.

— უკაცრავად, მოქალაქე უნდა მეთქვა.

კამარელმა აიღო ნახაზი და დააცქერდა მიწის სფეროს ირგვლივ გაყოლებულ წერტილებს.

— გეგმის მთავარი პრინციპები ამ ნახაზშია გამოსახული, — თქვა კარომ და ნიკელის წვეტიანი ფანქარი გააყოლა ერთ ხაზს. ეს არის ჩრდილო განივის მე-60 პარალელი, ლენინგრადის პარალელი. ამ პარალელს ზევით ჩრდილო პოლუსამდე და აგრეთვე სამხრეთ განივის მე-60 პარალელს ქვემოთ სამხრეთ პოლუსამდე დედამიწის ტერიტორია ჩვენ არ გვაინტერესებს. ამ ორ წრეს შუა კი, ე. ი. — ეკვატორის წრიდან ორივე მხრით 120°-ს მანძილზე დედამიწის სფეროს უნდა შემოერტყას ფოლადის მუხრუჭების მტკიცედ ნაჭედი სარტყელი.

— რა გრდემლზე უნდა გაიჭედოს ასეთი სარტყელი? — გაიკვირვა კამარელმა.

— სარტყელი მთლიანი ხომ არ იქნება! დამზადდება 168 ცალკე მუხრუჭი და ფოლაქებივით დაეჭდობა დედამიწას გარშემო. ჯერ დააკვირდით ამ მერიდიანებს. დედამიწის 24 მერიდიანზე სოლებივით უნდა ჩაეჭდოს ეს მუხრუჭები, თითოეულ მერიდიანზე ერთ იმ წერტილზე, სადაც მერიდიანი გადაჭრის ეკვატორის წრეს. სამი ზევით, ჩრდილო განივის მე-60 პარალელამდე, სამიც ქვევით, სამხრეთ განივის მე-60

პარალელიზმი. მუხრუჭები ერთიმეორეს დაშორებული იქნებიან 20°-ით.

— თუით მუხრუჭის მოქმედება რა პრინციპზე იქნება აგებული? — იკითხა კამარელმა.

— ამის შესახებ, როგორც მახსოვს, ერთხელ გაკვრით მქონდა უკვე თქვენთან საუბარი!

— მაწყალისებური მანქანის რეაქტიული პრინციპი, — გაიხსენა კამარელმა.

— სწორედ, მუხრუჭი ღრმად და განიერად ჩაეჭდობა დედამიწის კანს და ოკეანეს ფილადის ბოძებით, ზედაპირებზე კი ვერტიკალურად მოეწყობა ზარბაზნების მაგვარი ლულიანი კოშკები, თითოეულ მუხრუჭზე თორმეტი. ეს ზარბაზნები დაიტენება არა დინამიტით, არამედ მილიონჯერ უფრო მძლავრი ენერგიით...

— ატომის ენერგიით, — წამოიძახა კამარელმა.

— ატომში ჩაქედილი ქარიშხლის გათავისუფლებით ჩვენ მივიღებთ განუზომელ ძალას, რომლითაც შეგვიძლია დედამიწას ლერგამი ამოვდოთ და ყალყზე შევაყენოთ, — განაგრძო კარომ.

— მე ჩემი ქვეყნის სახელით დიდი მადლობა მოგახსენებია თქვენთვის, — მოწიწებით წარმოთქვა კარომ, — შესაძლებელია სულ მალე ჩვენს შორის ისეთი ურთიერთობა დამყარდეს, რომ ორივე პლანეტის ტექნიკა და მეცნიერება გაერთიანდეს, მაგრამ ჯერ კი, თქვენებურად რომ ვთქვათ, ეს დიდი პოლიტიკის საკითხია.

— არც ვიფიქრეთ ამაზე შედავების, — თქვა კამარელმა, — მერწმუნეთ, ჩვენთვის სავსებით საკმარისია თქვენი პირადი ლვაწლი, ჩვენი პლანეტის გადასარჩენად გაწეული.

— ახლა დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს გეგმას. ხუთრუჭის 168 წერტილიანი სისტემა მზად უნდა იქნეს ნოემბრისათვის. ხუთი თვეა დაგვრჩა. საჭიროა მთელი თქვენი სამეცნიერო მეტალურგიული წარმოება ამ საქმეში ჩაებას დაუყოვნებლივ აი, გეგმები და ამოცანები, ყოველი ქვეყნისათვის ცალკე ყველა მკაცრი ქარხნის აღნიშვნით, დიაგრამებითა და ციფრებით აქრელებული.

კამარელმა ქაღალდებს გადახედა და ერთბასს დაფიქრე-

ბული იყო. მისი ანგარიშით ამდენი ფოლადის დამზადება თითქო შეუძლებელი იყო ამ ვადაში.

— ფოლადს აი ამ ფორმულით დაამზადებენ, — თქვა კარომ და მიაწოდა კამარელს ბლოკნოტიდან ამოხეული ქაღალდის პატარა ნაჭერი.

ქაღალდზე აღნიშნული იყო ფოლადის დამზადების კამარელისათვის სრულიად უცნობი წესი.

— მუხრუჭები, როგორც შენიშნავდით, ორი კატეგორიისაა, — განაგრძო კარომ, — ხმელეთისა და წყლის.

— ხმელეთის 73 და წყლის 95, — დაუმატა კამარელმა.

— დიახ! 24 მერიდიანიდან ორზე, დიდი ოკეანის სივრცეზე, ხმელეთის მუხრუჭი სულ არ იქნება, სამზე იქნებ თითო მუხრუჭი, ორზე — ორ-ორი, რვაზე — სამ-სამი, სამზე — ოთხ-ოთხი და ექვსზე — ხუთ-ხუთი. სულ 73. დანარჩენი 95 მუხრუჭი წყალზე უნდა მოეწყოს. წყლის მუხრუჭების სიმრავლე რამდენადმე არითულებს საქმეს, რადგანაც ოკეანეთა ზედაპირზე წნევის არაჩვეულებრივად გაძლიერება გამოიწვევს საშინელ შტორმს. მაგრამ სწორედ ამის საწინააღმდეგოდ, ყოველ შემთხვევაში, მისი ეფექტის შესანელებლად, ჩვენ მივიღებთ ღონისძიებას, რაც მე აღვნიშნე უკვე ჩემს სიტყვაში.

— ეგ რომელ ღონისძიებას გულისხმობთ? — შეეკითხა კამარელი.

— აზვირთებული წყალი სწრაფად უნდა აერთვას ოკეანეს, რათა ღელვა შენელდეს.

— მესმის! — წამოიძახა კამარელმა. — მისი გადაზიდვა თქვენს პლანეტაზე დედამიწის ტექნიკას არ დაევალება, — ღიმილით დაუმატა მან.

— რა თქმა უნდა, ამას ჩვენ თვითონ ვიკისრებთ!

— შტორმი, მე ვფიქრობ, მაინც საგანგებო იქნება, — თქვა კამარელმა და გლობუსი თავისკენ მოატრიალა. — საჭირო გახდება გამაფრთხილებელი ზომების მიღება წინასწარ! სამგზავრო ფლოტის მიმოსვლა იმ ხანებში მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ!

— გეთანხმებით!

— აგრეთვე ზღვის დაბალ ნაპირებზე მდებარე ქალაქებს საჭირო სიმაღლის ჯებირები უნდა აუშენდეს, რომ მოზღვავებულმა ტალღებმა ქალაქები არ წალეკოს.

— სწორია!

— ამას გარდა ნეპთვის კარგად არ არის ნათელი, რა ეფექტს გამოიწვევს დედამიწის ქერქზე მუსრუჭების მოქმედება.

— მოსალოდნელია მიწის ძვრათა ზონების ამოქმედება, — მიუგო კარომ, — თუ მოსერსდა, კარგი იქნება ამ ადგილების დროებითი ევაკუაცია.

— 168 მუსრუჭზე დადგმული იქნება 2016 საშინელი ძალის ზარბაზანი. ვაითუ ამ კოლოსალურმა ძალამ ჩალეწოს დედამიწის ქერქი და ამგვარად, ჩვენმა წამალმა ავადმყოფი უფრო ადრე მოკლას, ვიდრე მას ბუნებრივი სიკვდილი აისსვერპლებდა.

— მეტი რწმენა, მეგობარო, მეცნიერებისადმი! — ოდნავ ნაწყენი კილოთი შესძახა კარომ. — გეგმის შემუშავების დროს მსედველობაში მიღებული იყო დედამიწის ქერქის გამძლეობა. ამით აისსნება დამუხრუჭების ასე ნელი ტემპი, მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ 3 საათით. თქვენ ერთ შეცდომას უშვებთ აგრეთვე: ყველა მუხრუჭი ერთდროულად როდი იმოქმედებს. თუმცა ეს რომ ასე იყოს, მაშინ თქვენში შიში ზედმეტი იქნებოდა, რადგანაც ყოველმხრიდან მოწოლილი ენერგია დედამიწას არც დაამუხრუჭებდა და არც მის ქერქს დაუშავებდა რასმე. მოიგონეთ მუჭში ჩაბღუჯული კვერცხის ამბავი. საქმეც ისაა, რომ მუხრუჭების მოქმედება დედამიწის ქერქისათვის უფრო მტკივნეული იქნება, — მაგრამ არც იმგვარად სასიფათო. დედამიწის სფეროს თავის ორბიტზე სრბოლის დროს წინ უნდა ეღობებოდეს უკუმქცევი ძალა. თუ ყველა მერიდიანი ერთბაშად ამუშავდება, დედამიწა ამას ვერც კი შეიტყობს, ვინაიდან ერთიმეორის მოპირდაპირე ძალები ერთმანეთს გააბათილებენ. საჭიროა მუსრუჭების სისტემა ისე მუშაობდეს, თითქოს ეს სისტემა დედამიწის გარეთ იყოს, მას მზის გარშემო მოძრაობის დროს წინ ხვდებოდეს ცის სივრცეში. სწორედ ამ პრინციპზეა აშენებული ჩვენი გეგმა.

— მიკვირს, როგორ ავცდი ამ ელემენტარულ მოსაზრებას, — გაიკვირვა კამარელმა.

— მაშასადამე, ერთდროულად ამუშავდება არა 24, არამედ მხოლოდ 11 მერიდიანი.

— რატომ 11 და არა 12? — ჰკითხა კამარელმა.

— აი, რატომ: დედამიწა თავის ორბიტაზე მიიმართება ყოველთვის ნახევარსფეროთი — ეგ არის მერიდიანები შუაღამიდან შუაღამემდე. მეორე ნახევარი, ე. ი. შუადღიდან შუაღამემდე ყოველთვის დედამიწის ზურგია. მუსრუჭები იმუშავებენ ყოველთვის მიწის წინა სფეროზე, ასე ვთქვათ, მის მკერდზე.

— მაგრამ დედამიწა არა ბარტო მიჰქრის თავის ორბიტაზე, იგი ამავე დროს ხომ თავის ღერძის გარშემოც ტრიალებს? — შენიშნა კამარელმა.

— მართალია, დედამიწის მკერდი და ზურგი ერთმანეთს სცვლიან ყოველ დღე-ღამის განმავლობაში. ამიტომ არის ჩვენს გეგმაში აღებული 24 მერიდიანი, რაც უდრის დღე-ღამის 24 საათს. შუაღამისა და შუადღის მერიდიანები ერთიმეორის პირდაპირ არიან, ამიტომ მათი მუხრუჭების მუშაობა უშედეგო იქნებოდა. დარჩა მიწის წინა სფეროზე 11 მერიდიანი, ანუ 11 საათი, ღამის 1-დან დღის 11 საათამდე. აი, ეს მერიდიანები იმუშავებენ განუწყვეტლივ. მაგრამ, ვინაიდან ყოველი მერიდიანი იცვლის დროს, ჩვენი გეგმაც ითვალისწინებს ამ მდგომარეობას და ამიტომაც ყოველი საათის გავლის შემდეგ დღის მერიდიანებს წინა ხაზზე აკლდება ერთი მომუშავე მერიდიანი და ღამის მერიდიანებს უკანა ხაზზე ემატება ერთი ასეთი მერიდიანი. ამრიგად მოქმედებაში იქნება ყოველთვის 11 მერიდიანი თავისი 77 მუსრუჭითა და 924 ზარბაზნით დედამიწის წინა სფეროზე და მათი უკუმქცევი ძალა თანდათან და შეუწყვეტლად შეანელებს დედამიწის მოძრაობის სისწრაფეს.

— ერთი საკითხიღა დამრჩა გაურკვეველი, სხვა ყველაფერი გასაგებია ჩემთვის, — თქვა კამარელმა და ერთი ნაჩაზი აიღო ხელში, — აი, აქ თქვენ გამოანგარიშებული გაქვთ დედამიწის მასა, მისი მოძრაობის სიჩქარე და მუსრუჭების წნევის სიმძლავრე. ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ მუსრუჭების წნევა შეანელებს აგრეთვე დედამიწის საკუთარი ღერძის ირბცლივ ტრიალს, ე. ი. გაახანგრძლივებს დღე-ღამეს?

— თქვენი მოსაზრება სწორია, — მიუგო კარომ, — დღე-ღამის სანგრძლიობა ოდნავ მოიმატებს. მოსალოდნელია აგრეთვე დედამიწის ორბიტაში უმნიშვნელო ცვლილება.

— ასეთ „უმნიშვნელო“ მოვლენებს შეუძლია გამოიწვიოს დედამიწის კალენდარის შესწორება, — შენიშნა კამარელმა.

— ესეც სწორი ანგარიშია, — დაუდასტურა კარონი.

— მე სავსებით დაკმაყოფილებული ვარ, — დაასკვნა კამარელმა და წამოდგა. — რამდენადაც შესაძლოა ამ ბუმბერაზული და ფანტასტიკური გეგმის ეონების ფარგალში მოქცევა. ვფიქრობ, გავეცანი მას. ანგარიში და დასკვნები სწორია და უნაკლო, მიიღი გეგმა აშენებულია ჰარმონიული სიზუსტით. მაგრამ ეს არის გეგმის, ასე ვთქვათ, არქიტექტონიკა, მისი სხეული, ხოლო შინაგანი ენერგია ამ გეგმის, მისი სული ნემთვის ჯერჯერობით დაფარულია, მიუხედავად ამისა, მე იმედი მაქვს, რომ „ჯანსაღ სხეულში სულიც ჯანსაღია“.

მეორე დღიდან კამარელი შეუდგა თავისი მოკვლეობის ასრულებას. საბჭოთა კავშირის, ევროპისა და ამერიკის ინდუსტრიალურ გიგანტებში ავრცელდა ფოლადი... დაიწყო დედამიწისათვის სალაგმე ჯაჭვის დაუცხრომელი ქმედება.

XI

კატასტროფის მოლოდინში

სუთი თვის განმავლობაში შეუსვენებლად ზანზარებდა გრდემლი და ურონს ქვეშ კვნესოდა ცხელი რკინა. მთელი ქვეყნის საზღვაო და საჰაერო ფლოტი განუწყვეტლივ ეზიდებოდა მუსრუჭების დამზადებულ ნაწილებს დანიშნულადგილებზე და დედამიწის სხეული კეთროვანივით თანდათან იფარებოდა რკინის იარებით. მიუვალ კლდეებში სჭექდა დინამიტი და კვამლით დანისლულ სევებში ელავდა ელექტრონის ნაკადი. ოკეანეთა სივრცეზე ხან აქ, ხან იქ განკვიცრებით ხვდებოდნენ ხომალდები რკინის კომკერის უცნაურ კუნძულებს და შიშითა და მოკრძალებით ჩაუვლიდნენ მათ.

კაცობრიობა ემზადებოდა საშინელი სტუმრის დასახვედრად, მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა და ახლოვდებოდა საბედისწერო თარიღი, მით უფრო მძლავრდებოდა გულში ნარჩენილი შიში. კამარელის ყოველ განკარგულებას დიდი სალსსით და გულმოდგინებით ასრულებდნენ, მაგრამ

თავისთვის გულში მაინც ზრდიდნენ ეჭვებს და სულმოკლეობას. კაცობრიობის დასაშოშმინებლად ხომ არ არის გამოგონილი კამარელისა და კაროს ფანტასტიკური გეგმა, ვის გაუკონია დედამიწის დამუხრუჭება? ბავშვური თამაშით სურთ გაარიონ კაცობრიობა, რომ ჭიასავით ქვეყნის დაქცევამდე თვითონ არ დაითსარონ საკუთარი თვალები. ესეც პატიოსანი განზრახვაა, მაგრამ ერთხელ აზმორებული ეჭვი თანდათან ღონეს იკრებდა და აწრიალებული ბორგვით აღვიძებდა ოდნავ მიძინებულ შიშის ბანჯგვლიან მსეცს...

აგვისტოს დამლევს კარო სადღაც გაჰქრა და მარტოდ დარჩენილი კამარელი ბიბლიური ღვთაების სულივით დასტრიალებდა წყვდიადის შიშით მოცულ ქვეყანას, იგი არ ისვენებდა არც დღე, არც ღამე და მეტეორივით დაჰქროდა დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეზე. მას თავი წარმოედგინა ფანტასტიკური დუელის სეკუნდანტად. იგი აცმევდა თავის რაინდს ჯაჭვის პერანგს, უსინჯავდა მუზარადს, იარაღს და გულის ფანცქალით ელოდა უსაზღვროებიდან შემოჭრილ მტერთან მის შესვედრას. მას ღრმად სწამდა მისი გამარჯვება, უფრო გულით, ვიდრე გონებით, ვინაიდან ამ გამარჯვებასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული მისი ბრწყინვალე დღესასწაული...

ნოემბრის 15-ს, როცა ყველაფერი მზად იყო, კაროც გამოჩნდა: ღამის 12 საათზე დიდუბეში მოფრინდა და „გედასთან" დადგა კოსმიური მტვერით დაჭანგული „რაუნიტი". მეორე დღიდან ნოემბრის 25-მდე კარო დაჰქროდა თავის „რაუნიტით" და მუხრუჭების ზარბაზნებში ათავსებდა ლითონის ღუურჯად მოვარვარე კოლოფებს, თითქოს უცნაური რამ ფრინველი თავის ურიცხვ ბუდეებში კვერცხებს სდებსო... ამ კოლოფებში იყო ჩაჭედილი ის ჯადოსნური ძალა, რომელიც უნდა დასჯასებოდა დედამიწის შეუპოვარ სრბოლას...

თითოეული მერიდიანის შვიდივე მუხრუჭი ერთიმეორეზე იყო გადაბმული ელექტრონის მავთულით. ერთ-ერთ მუხრუჭთან მოთავსებული იყო მერიდიანის შტაბი, რომელსაც დავალებული ჰქონდა სასტიკი განრიგების მისედვით, მუხრუჭთა სისტემაში მერიდიანის თავის დროზე ჩართვა და ამორთვა.

მთავარ შტაბს ბინა თბილისში ჰქონდა და მუშაობდა კამარელის ხელმძღვანელობით.

შიშით, იმედითა და ეჭვებით დათასმული ქვეყანა მოუთმენლად ელოდა მუსრუჭების ამოქმედების დღეს, ნოემბრის 26-ს, რომ ცსადად დაენახა ჯადოსნურ მანქანათა მუშაობის რეალური ეფექტი და უფრო კონკრეტულად წარმოედგინა დამუსრუჭების მოსალოდნელი შედეგი. გეგმის მიხედვით მიღებული იყო ყოველგვარი წინასწარი გამაფრთხილებელი ზომები, მაგრამ მაინც იყო შიში, რომ ლურჯ კოლიფებში მთვლემარ უზინარ ძალთა აფეთქება დედამიწას შეატორტმანებდა და რაიმე საბედისწერო სიფათს შეამთხვევდა.

ნოემბრის 25-ს საღამოს 10 საათზე თბილისის რადიომ უკანასკნელად დაზვერა მერიდიანთა შტაბები. ღამის 1 საათზე თბილისის მერიდიანს, როგორც პირველს სისტემაში, უნდა მიეცა სიგნალი მუშაობის დასაწყებად. პირველ წყებაში ჩართული იყო მერიდიანები თბილისიდან აღმოსავლეთით დიდ ოკეანის შუა ზონამდე.

ნოემბრის 26-ს, სრულ 1 საათზე, თბილისის რადიოანძაზე ავარდა ელვა და მუსრუჭთა სისტემა ამუშავდა... ამუშავდა და იმავ წამს მიწა ატორტმანდა, დაბარბაცდა და გაბზარულ მინასავით იწყო ზრიალი, ყოველი მსრიდან საშინელი გრიალი და ქუსილის მაგვარი გუგუნი მოისმა. ამოვარდა ქარი და, თითქო ცა გაირღვაო, წვიმა მოდიოდა. აწიოკებულ ღრუბლებში ელვა დაიკლაკნა და გუგუნს გრუხუნი დაერთო.

— რას იტყვით? — ჩააცქერდა კამარელი კაროს.

— ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, — დამშვიდებით წარმოთქვა კარომ.

პირველ წამს ცოტათი შეშფოთებული კამარელი კაროს დინჯმა პასუხმა დაამშვიდა.

— მიწა იძვრის განუწყვეტლივ! ნუთუ ასე გაგრძელდება შეუჩერებლად? — კვლავ შეეკითხა კამარელი.

— მოქმედი მერიდიანების ზონაში დედამიწის ზედაპირი ასე იზრიალებს.

— ყველა მერიდიანი მოქმედია!

— ნაწილი ისვენებს!

კამარელი ისევ შეშფოთდა:

— მთელი წლის განმავლობაში დედამიწამ თუ ციებიანი

ავადმყოფივით ასე იკანკალა, რაღას ემგვანება წლის ბოლოს მისი ზედაპირი?

— ოღონდ თავი გადარჩეს და ამა თუ შეიტრუსება, არაფერია! ხანი გაივლის, ისევ წამოიზრდება, — გაიღიმა კარომ.

ამ დროს დაფეთებული ღრუბლებით აფორიაქებულ ცაზე სამჯერ ზედიზედ იჭექა.

— ნოემბერში ელვა-ქუხილი რა ამბავია? — წამოიძახა კამარელმა.

— დაცლილი ატომების ელექტრონი ატმოსფეროში გროვდება.

ერთი საათის შემდეგ მთავარმა შტაბმა მიიღო პირველი ცნობები. იაპონიაში, მცირე აზიაში და კალიფორნიაში მიწისძვრები დაიწყო. ახალ გვინეასა და ავსტრალიის აღმოსავლეთ ნაპირებს ოკეანე ემუქრება. უსვეულო შტორმი მძვინვარებს აგრეთვე ჩინეთის ნაპირებზე. ფილიპინების კუნძულების ჩრდილოეთ ნაპირზე ერთი მუხრუჭი წყალმა დაჰყარა და ამორთულ იქნა. მთელი ქვეყნის სეისმოგრაფები აღნიშნავდნენ უზარმაზარი რადიუსის, მაგრამ მცირე ძალის საერთო მიწისძვრებს.

მთავარ შტაბს საათში ერთსელ მოსდიოდა ყოველი მხრიდან დაწერილებითი ცნობები. მიწისწვრები თუმცა უმნიშვნელო ძალისა იყო, მაგრამ განუწყვეტელი მოქმედების გამო დიდ ზიანს აყენებდა მოსახლეობას. განსაკუთრებით მძლავრდებოდა ზღვათა ღელვა და ამის გამო ბევრგან მრავალი კატასტროფა მოსდა.

დილის 11 საათზე თბილისის მერიდიანი ამორთულ იქნა მოქმედ სისტემიდან და ცოტა ხნის შემდეგ გუგუნი ოდნავ მინელდა.

იმავ ღამეს 12 საათზე, კარო და კამარელი რაუნიტით გაემგზავრნენ მუხრუჭების დასათვალიერებლად და მიღებული ცნობების შესამოწმებლად.

დიდი ცნობისმოყვარეობით ადიოდა კამარელი „რაუნიტის“ ბაქანზე და ათასთვალგამოსსმული ტრიალებდა ხომალდის ნახევრად ბნელ ტალანში. მაგრამ კარომ ბევრი თვალის ცეცება არ დააცალა კამარელს და საჩქაროდ ერთ კაბინაში შეიყვანა. დასვა რბილ სავარძელზე და უთხრა ხელები მაგრად

ჩაეშვიდა სახელურებისათვის. თვითონ კაბინიდან გავიდა და კარები ჩაჰკეტა.

კამარელმა კაბინა კარგად დაათვალიერა და ბევრი რაი შეესინშნა საყურადღებო.

კაბინას ერთი მრგვალი ფანჯარა ჰქონდა, სქელი, მეტად გამჭვირვალე შუშისა. ვერ მოასწრო კამარელმა ფანჯარაში გახედვა, რომ უეცრად სარკმელს რაღაც შავი მოეფარა და კაბინაში საიდანღაც ელექტრონის მაგარი შუქი შემოვარდა. იმავ წამს კამარელმა იგრძნო, რომ რაუნიტი დაიძრა, და უცებ ისეთი ძალით მიეკრა სავარძელს, თითქოს ასფუთიანი ტვირთი დააწვა ზურგზეო. წუთიც, და თითქოს ხომალდი ჰაერში შეჩერდაო, ყოველგვარი მოძრაობის გრძნობა შეწყდა და კამარელმა ისეთი სიმსუბუქე იგრძნო, რომ სახელურებისათვის ხელი მაგრა რომ არ ჩაევლო, სავარძლის ზამბარა ზევით აისროდა. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა ორიოდე წუთს და შემდეგ კამარელი საშინელი სიმძლავრით დაეხალა ისევ სავარძელს და... ხომალდი გაქვავებულივით შედგა.

შემოვიდა კარო და კამარელი კაბინიდან გაიყვანა.

განცვიფრებული და თავბრუდასხმული კამარელი საკუთარ თვალებს არ უჯერეოდა: თბილისიდან აფრენის შემდეგ გავიდა რაღაც სამიოდე წუთი, ისინი კი, ამჟამად ამყოფეპოდნენ ეკვატორის 195-ე გრადუსზე, შუადღის მზის ქვეშ, ერთ-ერთი მუხრუჭის კოშკთან, წყნარ (ასლა კი საშინლად აზვირთებული) ოკეანის შუაგულში. კამარელი აქ ნამყოფი იყო, იცნო აქაურობა, თორემ ვერავინ დააჯერებდა, რომ ეს ღიდი ოკეანის ტალღებია და არა შავი ზღვის. აი, კოშკის ერთ გვერდზე № 75 და მარჯვნივ ესტრადისათვის ამართული პატარა მოედანი, ბეტონით ჩარკინული სვეტებით. აქ იდგა იგი ამ ერთი თვის წინათ თავისი 3000-ძალიანი ჰიდრო-თვითმფრინავით, როცა უკანასკნელად დაათვალიერა მუხრუჭის ნაგებობა.

კამარელმა უცებ მოისაზრა, თუ რა მოხდა:

„რაუნიტი" გასროლილ ტყვიასავით მოწყდა თბილისს, ავარდა ჰაერის ზედასფეროზე, სტრატოსფეროზე, და ითქმის უჰაერო სივრცის ზონაში თვალის დახამსახეპაზე გადიქროლა რამდენიმე ათეული ათასი კილომეტრის ბანძილი და

ფრთამოტეხილი ორბივით დაეცა დიდი ოკეანის შუა მერიდიანზე.

კამარელმა კარგად იცოდა, „რაუნიტი" საპლანეტათაშორისო მოგზაურობის ხომალდია, რომ მისი ლითონის მკერდი დაფერფლილია კოსმიური მტვერითა და დასაზულია მეტეორების ნაკვალევით, მაგრამ გაგონილსა და პირადად განცდილს შუა სომ დიდი მანძილია.

როცა განცვიფრებისაგან გამოეერკვა და კოშკის ბაქანზე ავიდა, მის თვალწინ წარმოუდგენელი სურათი გადაიშალა: ოკეანე დულდა და გადადიოდა, თითქო მას ქვემოდან ჯოჯოხეთური ცეცხლი უნთიაო და მოებისოდენა აქაფებულ ტალღებს ერთმანეთს ანარცხებდა გაშმაგებული ღრიალით და გრუხუნით. წყლის ზედაპირზე უზარმაზარ ბუშტებივით ქანაობდნენ სფერული ფორმის შავი ბურთები, რომლებითაც დაფარული იყო ოკეანე ვიდრემდის თვალი სწვდებოდა. რა უნდა ყოფილიყო ეს ბურთები, ზღაპრული ქვეყნის გოლიათურ გლობუსივით რომ ტრიალებდნენ ოკეანეზე.

კამარელმა თვალები მოიფშვნიტა, ქაფშეფრქვეული ჰაერის ნამიანი ბურუსი ხომ არ მატყუებსო. მაგრამ ამ დროს ერთ-ერთი სფერო მოუახლოვდა კოშკს და კამარელმა მის ვეებერთელა გვერდზე გარკვევით შენიშნა ნაჭედი ლურსმნის თავები. ნუთუ შესაძლებელია ადამიანის ხელით ლითონისაგან იყოს გაჭედილი ეს საკვირველი სიდიდის ბურთები, რომელთა დიამეტრი კილომეტრს აღემატება? კამარელმა მიხვედრილად ჩასთვალა მის წინ გადაშლილი სანახაობა და დაასკვნა, რომ ეს იყო მისთვის გაუგებარი ატმოსფერული მოვლენა დედამიწის დამუხრუჭებით გამოწვეული.

ციდრე კამარელი ამ უცნაური ამოცანის გასაღებს ეძებდა, ერთი სფერო, მისი მოცულობისათვის შეუსაბამო სიჩქარით, ავარდა ცაში და უმალვე ისე ამაღლდა, რომ ბავშვის საოამაშო ბუშტის ოდენად გამოჩნდა. მას მიჰყვა მეორე, მესამე და რამდენიმე წუთის განმავლობაში მთლიანად აიკრიფა ოკეანის პირიდან უცნაურ მოვლენათა თუ სხეულთა საოცარი ჯოგი და ცაში უკვალოდ გაქრა.

კამარელი მიუბრუნდა კაროს, იგი იდგა ცოტა მოშორებით, ბაქნის სვეტს მიყრდნობოდა და ნაღვლიანად გასცქეროდა შორეულ სივრცეს.

— ეგ რა სფეროები იყო? — ჰკითხა კამარელმა.

— მარსს გ ა ე გ ზ ა ვ ნ ა დედამიწიდან წყლის პირველი ტრანსპორტი, — მიუგო კარომ გაოცებულ კამარელს.

1933 წელმა შეშინებული თვალებით შემოაღო იანვრის კარები. ლაკამამოდებული დედამიწა მთვრალივით მიბარბაცებდა თავის მარადიულ გზაზე და თავსედური მუჯლუგუნებისაგან — გაკვირვებული და ბრაზმორეული ცეცხლსარევ დორბლს ჰყრიდა ვულკანის კრატერებიდან და გაცოფებული ტალღების წარღვნით ემუქრებოდა ადამიანთა მოდგმას. მას თითქო ერსია ცის მზიან სივრცეში სისარულით შეხვედროდა სამყაროს შორეული კუთხიდან გადმოფრილ კოსმიურ ნათესავს, აღტაცებით ჩაეკრა გულში მილიონი წლის უნახავი მეგობარი და ცეცხლში ამოებუგა მის კანზე მოფუსფუსე ათასი ჯურის პარაზიტი, განსაკუთრებით ის ორფეხა ცხოველი, რომლის შეურაცხმყოფელი წკიპურტებისაგან გაკაპასებული შემზარავი გუგუნითა და ღრიალით ტრიალებდა იგი ახლა თავისი ღერძის გარშემო.

კაცობრიობა კი სწორედ ამ „წკიპურტებზე" ამყარებდა თავისი გადარჩენის იმედს და მოუთმენლად ელოდა ობსერვატორიების დაკვირვებათა შედეგის გამოქვეყნებას, მაგრამ დედამიწის ზედაპირის შეუჩერებელი რყევის გამო ტელესკოპები ვერ მუშაობდნენ იმ სიზუსტით, როგორც საჭირო იყო დედამიწის მოძრაობის სიჩქარის ასე მცირე ცვლილების აღმოსაჩენად.

მსოლოდ ნახევარი წლის დაკვირვებათა შეჯამების შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი ზოგიერთ დასკვნათა გამოქვეყნება. მეცნიერთა უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ დედამიწის მოძრაობის შენელება იმდენად მცირე ტემპით ხდება, რომ წლის ბოლოს სასურველი ეფექტი მოსალოდნელი არ არისო. მათი გამოანგარიშებით, გეგმით ნავარაუდევ 10.000 კილომეტრის ნაცვლად კატასტროფის მომენტისათვის დედამიწა დაიხევდა მსოლოდ 15 კილომეტრით, ამას კი არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. უმცირესობა კი, სრულიად საწინააღმდეგო აზრს იცავდა და ოპტიმისტურად აფასებდა მიღებულ შედეგებს.

ამ დავამ ფართო საზოგადოებას უფრო შეუმცირა ისედაც მილეული იმედი და მწარე საგონებელში ჩააგდო. ნერ-

ვული ცასცვლით ადეკნებდა იგი თავლყურს დამუსრუშების შესახებ გამოქვეყნებულ ცნობათა ყოველგვარ გასმაურებას და უგუნებოდ ითელიდა დღეებს საშინელი კატასტროფის მოლოდინში.

XII

100%-ითი

მოახლოვდა კრიტიკული მომენტი.

დაჩეხქვილი და ფერდებნალეწილი დედამიწა, დაგრილ და გაძარცვულ ადამიანივით, ბალავილით მოგორავდა თავის აქამდე სწორსა და მართალს, ახლა კი, ოღროჩოღრო გზაზე.

ფრთადალეწილი ფრინველებივით უშნოდ და უსალამოდ გადაფრინდნენ ზაფხულის დამშეული თვეები და შუმჩნევლად ნაქრა ოქტომბრის ოქროვანი ელვარება.

ნოემბრის 19-ს ტელესკოპებმა ამცნეს ცაში კომეტის გამოჩენა და მესამე დღეს დამფრთხალი კაცობრიობა შიშზორეული გასცქეროდა საღამოს ცაზე აელვარებულ საშინელ სტუმარს.

კომეტა გამალებით უახლოვდებოდა დედამიწას.

ნოემბრის 24-ს, დილის 11 საათზე კამარელის განკარგულებით თბილისის მერიდიანთან ერთად ამორთულ იქნა მუსრუშების მთელი სისტემა.

ლიანდაგიდან აცილებული ვაგონივით აძიგძიგებული დედამიწა მყისვე ჩადგა კალაპოტში და უმალვე მიწყდა „ზარბაზნების“ გამაყრუებელი გრიალი.

ჰაერი თანდათან დამშვიდდა და ზღვის ნაპირებზე უკან დაიხია მოღლილმა ცოფშენელებულმა ტალღებმა.

გათენდა ნოემბრის 25, შიშის, სასოწარკვეთილებისა და ნერვული დაძაბულობის აპოგეი.

კამარელმა გამოაქვეყნა თავისი საბოლოო დასკვნები და მიულოცა კაცობრიობას დედამიწის დამუსრუშების გეგმის ბრწყინვალე გამარჯვება.

მანიფესტმა ყველა ქვეყნის სკეპტიკოსებს მწარე ღიმილი მოჰგვარა: თუ გამართლდა წინასწარმეტყველება — დიდება კამარელს! იუ არა და რას კარგავს კამარელი? ვინ უნდა ამ-

სილოს მისი შეცდომები ქვეყნის დაქცევის შემდეგ, როცა აღარ იქნება არც ბრალმდებელი და არც ბრალდებული?...

მაგრამ კამარელმა გაიმარჯვა.

ნოემბრის 25-ს, საღამოს 10 საათზე, კამარელმა ზეიმით აუწყა ორთავ ნახევარსფეროს მოსახლეობას, რომ ბიელას კომეტამ 9 საათსა და 45 წუთზე გადასჭრა დედამიწის ორბიტი 300.000 კილომეტრის სიშორეზე და ამჟამად ერთვიდობიანად მიჰქრის უსაზღვრო სივრცის შორეულ მიდამოებისაკენ...

იმავ წამს დედამიწის 24 მერიდიანის 2000 ზარბაზნის ღულებიდან ამოვარდა წითელი და მწვანე შუქის 2000 შადრევანი და საზეიმო ილუმინაციის ათიათას კიდეომეტრიანმა ჩირაღდნებმა გაანათეს გაოცებულ პლანეტათა და ასტეროიდთა ბნელი სივრცე.

XIII

რეაქცია

ხიფათმა ჩაიარა და კაცობრიობა უმალვე თავის ზვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. შიშისაგან გათავისუფლებულ გონებას ყოველდღიური ჭირ-ვარამი კვლავ დაეუფლა.

სასელმწიფოებს დაუბრუნდათ მოქმედების უნარი და როცა ირგვლივ მიმოისედეს, მათ წინ მეტად სავალალო სურათი გადაიშალა.

ამ სურათის სივალალეს მთავარი შტაბის მიერ გამოქვეყნებული მასალაც ამოწმებდა.

დედამიწა სახიფათო ბრძოლიდან თუმცა გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ ეს გამარჯვება მას მეტად ძვირად დაუჯდა. ახლა იგი ძალიან გავდა ღირსსახსოვარ რაინდს დონ კიხოტს ქარის წისქვილებთან ბრძოლის შემდეგ.

როგორც გამოირკვა, მიწისძვრებს, გრიგალსა და მობღვავებულ ტალღებს ბევრი ქვეყნისათვის აუნაზღაურებელი ზიანი მიეყენებია.

იაპონიაში მიწისძვრას დაუზიანებია 5 ქალაქი და სრულიად დაუნგრევია 18 სოფელი. წყალში ჩაძირულა კუნძული ფორმოზა, მთელი მადაგასკარი, ფლორიდა და კალიფორნია.

ასალი გვინეის აღმოსავლეთ ნაწილი და კამჩატკა წყალს დაუსილავს, ფილიპინების კუნძულის მთელი ჩრდილო ნაწილი ოკეანეს დაუფარავს. სუეცის არხი სილას ამოუვსია და შუაში მთა ამობურთულა. წყალს გაუნადგურებია აგრეთვე სამხრეთ-ამერიკის აღმოსავლეთ ნაპირები. ამას გარდა, მთელ რიგ ნავსადგურებში მოზღვავებულ ტალღებს წინასწარ აგებული ჯებირი დაუნგრევია და მრავალი გემი დაუღუპავს, ამას ზედ დაერთო კიდევ ერთი გასაკვირი ფაქტი, რომელიც თვალსაჩინო გახდა მხოლოდ ზღვის ღელვის სავსებით დაწყნარების შემდგომ: როგორც ირკვევა, ზღვის დონემ დაიკლო სამი მეტრით და ეს გარემოება აუწერელ ზიანს აყენებს მთელი ქვეყნის ნაოსნობას. მთელი რიგი ნავსადგურები მიუდგომი გახდა ოკეანის დიდი გემებისათვის, გამოუსადეგარი გახდა აგრეთვე ნავსადგურებში გემების მისადგომ ბაქანთა მთელი ნაგებობა.

ეს ფაქტი უვარგისად ხდიდა საუკუნეებით შესწავლილ და გამოცდილ საზღვაო გზებს, ვინაიდან წყლის დონის ეგზომ დაწევის გამო მრავალ ადგილას მოულოდნელად აღმოჩნდა წყალქვეშა კლდეები. ეს გარემოება, სუეცის არხის გაფუჭებასთან ერთად, ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობას დაკნინებას და განადგურებას უქადდა...

ამერიკისა და ევროპის მეცნიერები ზღვის დონის დაწევას მიაწერდნენ მარსზე წყლის გაგზავნას, თუმცა ზოგი მათგანი სსნიდა ამ ფაქტს დედამიწის ქერქის დეფორმაციით, რამაც გამოიწვია ფლორიდის, მადაგასკარისა და ბევრი კუნძულის ჩაძირვა.

ინგლისმა, იაპონიამ და ამერიკამ ითავეს ახლად წამოჭრილი ეკონომიური პრობლემების გადასაჭრელად თათბირის მოწვევა. თებერვლის 27-ს ლონდონში გაიხსნა ევროპა-ამერიკის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია.

კონფერენციამ მუშაობის გახსნის დღეს მისალმების დეპეშა გაუგზავნა კამარელს და აცნობა, რომ კონფერენციის დასრულების შემდეგ განსაკუთრებული საინფორმაციო დელეგაცია გაიგზავნებოდა თბილისში.

კონფერენციის მუშაობის პირველსავე დღეს ნათელი გახდა, რომ გადასაჭრელია ერთადერთი საკითხი, მარსთან მომავალი ურთიერთობის შესახებ.

დინგრეული ეკონომიკის აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებათა ხასიათის ლოგიკურობა გამომდინარეობდა მთავარი პრობლემის ამა თუ იმ გზის წარმართვისაგან.

მაგრამ მარსელებთან ურთიერთობის საკითხი მჭიდროდ იყო გადანასკვული საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულების გადაფასებასთან.

კონფერენცია შეუდგა მუშაობას დასურულ კარებში.

პირველად მოისმინეს მაკდონალდის მოხსენება.

საბოლოოდ ირკვეოდა, რომ ზღვის დონის დაწევა მარსზე წყლის გაგზავნით იყო გამოწვეული.

— შეცდომა იქნებოდა ეს ფაქტი აგვეხსნა, — ამბობდა მომხსენებელი, — მიწის ზედაპირის დეფორმაციით, როგორც ცდილობს ამ ვერსიის თავზე მოხვევას ზოგიერთი საეჭვო გამოკვლევა. ხმელეთის ნაწილის წყალში ჩაძირვის ფაქტი სრულიად არ მოწმობს ოკეანეთა ფსკერის საერთო დაწევას, ვინაიდან, თუ ერთ ადგილზე ხმელეთი ჩაწვა, მეორე ადგილზე ზღვაზე კუნძულმა ამოჰყო თავი. დედამიწის ზედაპირი ნაოჭდება და ეს პროცესი არ იწვევს ოკეანეთა მოცულობის სწრაფ ცვლილებას. ვინც გაეცნობა მარსზე გაგზავნილი წყლის პირველი ტრანსპორტის რაოდენობას, (ხმები: — რას ნიშნავს პირველი? განა მეორეც იქნება?) — როგორც დაბეჯითებით ირწმუნებიან, ახლო ხანში მოსალოდნელია მეორე ტრანსპორტის გაგზავნა. (ხმები: ოჰო! აი, რას გვიპირებენ!) — ვინც გაეცნობა იმ წყლის რაოდენობას, რაც მარსზე გაიგზავნა, მისთვის ცხადი იქნება ზღვის დონის დაწევის ნამდვილი მიზეზი. ყველას გვახსოვს ბრიტანეთის ადმირალიტეტის მიერ გამოქვეყნებული ცნობები 1932 წლის 27 ნოემბერს ინდოეთის ოკეანეზე მომხდარი კატასტროფის შესახებ. როგორც იცით, იმ დღეს მადაგასკარის მახლობლად, დღემდე გამოუცნობ მიზეზთა გამო, უცნაურად დაიღუპა ბრიტანეთის კრეისერი „ასკვიტი". აი, როგორ აღწევს ამ კატასტროფას ადმირალი კრიგი, რომლიც ამ დროს იმყოფებოდა დრედნაუტ „გალადსტონზე" და უფროსობდა ინდოეთის ესკადრას: „ნოებრის 24-ს ჩვენ გავედით ზანზიბარის ნავსადგურიდან, რათა ინსტრუქციის თანახმად, გაშლილ ზღვაში შევეებებოდით მოსალოდნელ შტორმს. 27 ნოემბერს დილის 11 საათზე ჩვენ უკვე მადაგასკარის აღმოსავლეთ ნაპირებს ჩავუარეთ.

შტორმი თანდათან ძლიერდებოდა და ჩვენც საინტერესოდ-სავლეთისაკენ ავიღეთ გეზი. იდგა მშვიანი დღე. უცებ ჰაერში გამოჩნდა რამდენიმე შავი უზარმაზარი სფერო. სამიოდე წუთში სფეროთა შავმა ღრუბელმა დაფარა ირგვლივ მთელი სივრცე და უეცრად ჩამობნელდა. სფეროები ეშვებოდნენ ოკეანეზე და უმალ იძირებოდნენ. მე დავკარგე კავშირი ჩემს გემებთან და სამი საათის განმავლობაში უნაყოფოდ ვებრძოლი ჩემთვის გაუგებარ მოვლენას. შუადღის 2 საათზე სფეროები მოულოდნელად აიკრიფნენ. როცა გემებთან კავშირი აღვადგინეთ, გამოირკვა, რომ კრეისერი „ასკვიტი" ჩაძირულიყო. დაიღუპა 162 მეზღვაური. დასმარების აღმოჩენა შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან გემებს არ ჰქონდათ კატასტროფის მომენტში საშუალება თავისუფალი მოძრაობისა". ბატონებო! ჩვენ მაშინ ისეთ მდგომარეობაში ვიყავით, რომ ამ კატასტროფისათვის დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია. ახლა კი, ჩვენთვის ცხადია ის „გაუგებარი მოვლენა", რამაც იმსხვერპლა კრეისერი „ასკვიტი". ჩვენ ვიცით, რა კოლოსალური ზომისა იყვნენ მარსიდან მოფრენილი სფეროები. ამგვარივე გიგანტური რეზერვუარებით იყო მაშინ მოფენილი ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეთა სივრცე. როგორც შემდეგ გამოიანგარიშეს, ამ ტრანსპორტმა წაართვა მსოფლიოს დაასლოებით ერთი მილიონი კუბიკური კილომეტრი წყალი. ამ დანაკლისს კი, როგორც სპეციალისტები ანგარიშობენ, სწორედ ისეთი შედეგი უნდა მოჰყოლოდა, როგორიც ჩვენ მივიღეთ. ზღვის დონემ დაიწია სამი მეტრით. როგორც ხედავთ, ზედმეტია სხვა მიზეზების ძებნა. მარსმა პირველი ტრანსპორტით წაიღო ჩვენგან ერთი ჩვენებური ზღვის მარაგი, დაასლოებით შავი ზღვის მოცულობისა.

გაიმართა კამათი.

ამერიკელმა დელეგატმა დინგვეიმ ფრთხილად მოაგონა კონფერენციას მარსელი ინჟინრის სიტყვა, თბილისის კონგრესზე წარმოთქმული და კონგრესის პასუხი ამ სიტყვაზე. ინჟინერი კარო ლაპარაკობდა მაშინ დედამიწისა და მარსის ინტერესთა ჰარმონიულ შეთანხმებაზე და ამაზე ამყარებდა იგი გამარჯვების იმედს. იმედი, როგორც ხედავთ, გაამართლდა და დედამიწა ხიფათს გადარჩა, მაგრამ „ინტერესთა ჰარმონიაში" დისონანსად ჟღერს ჩვენი პლანეტის დაშრობის

პერსპექტივა. ჩვენ მაშინ მარსის ბრწყინვალე დელეგაციას დავპირდით იმაზე მეტსაც, რაც მან მოითხოვა, მაგრამ ახლა ამის მოგონება მხოლოდ სირცხვილის გრძნობას აღვიძებს ჩვენში. საკითხი ამჟამად ასე დგას: მარსმა გადაარჩინა დედამიწა დაღუპვისაგან არა კაცთმოყვარული გრძნობის კარნასით, არამედ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ და მოსალოდნელია, რომ იგი ჩვენს პლანეტას თავის კოლონიად გადააქცევს. შესაძლებელია დედამიწის კოლონიზაციისათვის მარსელებს დასჭირდეთ ჩვენი კულტურის განადგურებაც, არაკინ იცის, რა ინტერესი აქოძრავებთ მარსელებს ჩვენი ქვეყნის მიმართ, ვფიქრობ, მარტო წყლით არ ამოიწურება ამ შემთხვევაში მათი „საგარეო" პოლიტიკა. როგორ უნდა გავუმკლავდეთ ჩვენ მარსის შემოტევას? როგორ დავიცვათ ჩვენი სამყაროს დამოუკიდებლობა? აი, კარდინალური საკითხი, რაც ამჟამად საშინელი სიმწვავით დგას ჩვენს წინაშე. ესუსის გაცემა ამ კითხვაზე მეძნელება, რადგანაც ძალიან კარგად ვიცი, რა ძალასთან გვექნება საქმე, თუ ჩვენ შორის ბრძოლა აუცილებელი შეიქნა.

სიტყვა აიღო არისტად ბრიანმა.

— მართალია, მარსელ ინჟინერს ჩვენ დავპირდით ჩვენი წყლის მარაგის განსაზღვრულ ნაწილს, მაგრამ ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, როგორ იყო დასაბუთებული ამ ღონისძიების აუცილებლობა: დედამიწის დამუხრუჭებისაგან მოსალოდნელი წარღვნის შესანელებლად საჭირო იყო ოკეანეებს ართმეოდათ ამქუსრებული ზედაპირი. ვფიქრობ, ამ ოპერაციის წინააღმდეგ არაფერი გვეთქმის, ვინაიდან, როგორც ახლა ყველასათვის ცხადია, ამ ღონისძიებამ მართლაც ისინი წარღვნისაგან სამყარო. მაგრამ წყლის მეორე ტრანსპორტს არავითარი გამართლება არ ექნება. ეს იქნება მარსელი ინჟინრის მიერ პირობის დარღვევა და ჩვენი პლანეტის დასაპყრობად აშკარად გადადგმული ნაბიჯი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეორე ტრანსპორტის შესახებ ცნობა სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდება.

კონფერენციის წევრებს იმედი მიეცათ.

ინჟინერი კარო ერთადერთი წარმომადგენელია ჩვენ ოვის უცნობი ქვეყნის. ვინ იცის, რამდენად სწორად გამოხატავს იგი თავისი ქვეყნის მიზნებს? ხომ შეიძლება მარსზე სხვადა-

სხვა კლასები არსებობდნენ, რომელთაც სხვადასხვა ინტერესები ამოძრავებდეს?

ცხარე და იმედმიცემული კამათის შემდეგ კონფერენციამ აირჩია დელეგაცია, რომელსაც მიანდო წარუდგეს კამარელს საინფორმაციო მოხსენებით და სცადოს კაროსთან მოლაპარაკება...

XIV

ორი ბანაკი

მარტის დაუნდობელი ცა დედოფალასავით ათამაშებს მზეს: ხან ოქროს ჯინჯილებით მორთულ ლურჯ აკვანში ჩააწვენს და თეთრი ნისლის აბრეშუმს გადააფარებს, ხან ყვითელ ბაიას ყვავილების კაბას ჩააცმევს და ბაღში მოსეირნე ბავშვივით გაატარებს ღრუბლის მოოქრულ კოშკებს შორის, ხან შავ ნაბადს წამოასხამს და მოტაცებულ მზეთუნახავივით წვიმიან ღრუბლის ტყეში დამალვას.

თბილისის ქუჩებიც ხან ტალახიანი ქეჩით ითალხება, ხან მზის ფარჩით იმოსება და ქალაქი, ნერვული ქალივით, ხანაც უმიზეზოდ გაიცინებს, ხან ასევე უმიზეზოდ ატირდება.

წვიმს.

გურგენ კამარელი თავის ოთახში უცხოელ სტუმრებს ელის.

ათვალიერებს ინგლისურ გაზეთებს. ეკალივით სჩხვლეტს გულს ლონდონის კონფერენციის შესახებ ამოკითხული ყალბად მორთული სტრიქონები.

რევოლუციამ შთააგონა კამარელს მისი მგზნებარე იდეები, მანვე დაუკავშირა იგი შორეული ქვეყნის მიუწვდომელ მწვერვალიდან მოფრენილ გენიას, დედამიწის საუკეთესო ფიქრთა და ზრახვათა ამ ცოცხალ განსასხიერებას. რევოლუციური პათოსით გათამამებულმა შემოქმედებამ აანთო მის წინაშე მომავალ დროთა ჯადოსნური სარკე, საიდანაც იელვა სიყვარულის, ბრძოლისა და მეცნიერების უკვდავმა შარავანდედმა.

დედამიწა ისსნა კატასტროფისაგან რევოლუციამ.

რევოლუციამ შეანგრია მისი ბრწყინვალე მომავლის კარები და საქვეყნოდ გამოაჩინა ბრძოლის პერსპექტივის დამაბრმავებელი ელვარება.

რევოლუციამ შემოარტყა დედამიწას ფოლადის სალტეები და შეასხა მძლეთა მძლე ენერგიის ფრთები, რათა სამუდამოდ მოიშოროს მან სტიქიურ ძალთა ბორკილები და საკუთარი ნებისყოფით გაიკვლიოს გზა მომავლისაკენ.

კამარელის გულში ჩასვავებულია სისარულის, რწმენისა და სიყვარულის ულევი მადანი.

რა გამოლევს მის ანთებულ ენთუზიაზმს და შეუნელებელ პათოსს?

მისი სხეული თითქო სავსე ჭურჭელია სიმტკიცის, შეუპოვრობისა და შეურიგებლობის, მისი კუნთების ყოველი უჯრედი დატენილია შემოქმედების დინამიტით.

მას თვალმოუშორებლად დასცქერის ციურ სარკიდან რევოლუციის ცოცხალი შთაგონება, გედა ნუავე, დედამიწის კეთილი სული და მომავალ საუკუნეთა ჩირაღდანი.

კამარელმა საათს დასედა.

— უკვე დროა.

ადგა და ფანჯარასთან მივიდა.

ამ დროს ჭავჭავაძის ქუჩაზე უსმოდ ასრიალდა ეანქანა, ოთხი ფარნის ნამიანი სათვალე ტრიბუნალის ქუჩისაკენ მოაბრუნა და კამარელის ბინის წინ მოწყვეტით შედგა.

გაიღო ავტოს კარი და ქურციკივით გადმოხტა ბაკურ შავარდნაძე.

მას ზანტად და დინჯად გადმოყვნენ ლონდონის კონფერენციის მიერ გამოგზავნილი დელეგაციის წევრები რაჩზეი მაკდონალდი, არისტიდ ბრიანი და მისტერ დინგვეი.

შავარდნაძე მათ კამარელთან შეუძღვა.

პირველი მისალმების შემდეგ მაკდონალდმა, როგორც დელეგაციის მეთაურმა, სიტყვით მიმართა კამარელს.

— მე წილად მხვდა, — თქვა მან, — უდიდესი პატივი, ცივილიზაციის სახელით მოგესალმოთ თქვენ, როგორც კაცობრიობის ახალ მესიას, და განათლებულ ხალხთა გულითადი მადლობის დაუშრეტელი გრძნობით შევმოსო თქვენი სახელი. მეოცე საუკუნის მაღალ ქედზე, ომების, რევოლუციებისა და კატასტროფის ქარიშხლით აგრიალებულ ჰაერში. თქვენი

სასე აღიმართება ბრინჯაოს ქანდაკებასავით და მომავალ საუკუნეთა მწკერვალები უფრო მაღლა ასწევენ მას, როგორც განთავისუფლებული კაცობრიობის უწმინდეს დროშას. თქვენმა გენიამ, მუშათა კლასის რევოლუციური აღმაფრენით ნაშობმა, ისსნა დედამიწა უმაგალითო განსაცდელისაგან, და ქვეყანა არ იქნებოდა გადარჩენის ღირსი, თუ ის მოწიწებით და თაყვანისცემით არ აღბეჭდავდა ისტორიაში თქვენს ღვაწლსა და ამაგს. მით უფრო სასიხარულოა ჩემთვის ამის თქმა, რომ აღზრდილი ვარ სწორედ იმ მუშათა კლასის სამსახურში, რომლის უდიდესმა შემოქმედებითმა ძალამ თქვენში იჩინა თავი. მადლობის გრძნობასთან ერთად ჩვენში მეტყველებს აგრეთვე მოვალეობის შეგნება. ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ ჩვენი გადარჩენის გენიოსური იდეა თქვენმა ქვეყანამ დაბადა და გამოკვება; რევოლუციის სამშობლოს ცხოველმყოფელ ნიადაგზე დაეცა ამ იდეის მარცვალი, რომლისგანაც აღორძინდა ჩვენი პლანეტის ფერისცვალებისათვის საჭირო ენერგია. ჩვენ მოწიწებით ვისრით თავს რევოლუციის კერის წინ და აღთქმას ვდებთ სამუდამოდ შევინარჩუნოთ თქვენი ქვეყნის მიმართ უდიდესი მადლობის, კეთილგანწყობილებისა და ერთგულების გრძნობა.

მაკდონალდმა თავი დასარა და მკერდზე მიიდო მარჯვენა ხელი.

არისტიდ ბრიანმა ჩაასველა ღა წამოდგა.

— მე ორიოდე სიტყვა უნდა დავუმატო ჩვენი დელეგაციის მეთაურისა და ჩემი მეგობრის ნათქვამს, — დაიწყო მან და ჯერ მაკდონალდს დაუკრა თავი და შემდეგ კამერელისაკენ მიბრუნდა, — თქვენ ისსენით ქვეყანა გარდაუვალი დაღუპვისაგან. ამ ღვაწლის საკმარისად შეფასება ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ სიკვდილს გადარჩენილმა კაცობრიობამ უნდა განაგრძოს ცხოვრება და მოქმედება. ცხოვრებას კი, თავისი კანონები აქვს და ცივილიზაციის იმ საფეხურს, რომელზედაც დღევანდელი კაცობრიობა დგას, თავისი განსაკუთრებული საჭიროებანი ახასიათებს. მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება იმ აფორიაქებულ ეკონომიურ მდგომარეობას, რომელშიაც ჩააყენა ქვეყანა კატასტროფის მოლოდინმა და მის ასაცილებლად მიღებულმა ღონისძიებამ. ჩვენ დაგვჭირდა დიდი მუშაობის შესრულება ამ მდგომარეობის გამოსაყო-

რებლად. ჩვენს შორის არსებული ზავი მეგობრობამ უნდა შესცვალოს, ჩვენ უნდა დავადგეთ თანამშრომლობის გზას და საერთო ძალ-ღონით აღვადგინოთ დარბეული მეურნეობა. დაე, ნუ შეგვაშინებს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირი და კაპიტალისტური ქვეყნები სხვადასხვა ეკონომიურ საფუძველზე დგანან, ეს არ გვიშლიდა ხელს დედამიწის დამუხრუჭების გრანდიოზული გეგმა საერთო მუშაობით შეგვესრულებია. ჩვენ მოგვაქვს თქვენთან ზავი, მეგობრობა და თანამშრომლობა.

აქამდე ყველანი ფეხზე იდგნენ.

ბრიანის სიტყვის შემდეგ კამარელმა სავარძელი შესთავაზა სტუმრებს და თვითონაც დაჯდა.

ნამოვარდა დუმილი.

— ეე პაღლობელი ვარ თქვენ მიერ ჩემი მუშაობის ეგზომ საზეიმო შეფასებისათვის, — თქვა კამარელმა მცირე პაუზის შემდეგ, — თქვენი განცხადება ფრიად საგულისხმოა და ჩვენ შესაფერ დასკვნას გავუკეთებთ მას, მაგრამ მე მინდა მოვისმინო თქვენგან ლონდონის კონფერენციის შესახებ უფრო კონკრეტულად. გაზეთებში დასურული სხდომები გამოქვეყნული არ არის, მაგრამ რამდენადაც მე გავიგე იქ ბატონობდა სულ სხვა განწყობილება, თქვენი დღევანდელი განცხადება კი თბილისის კონგრესის განწყობილებაზეა აგებული, რაც ლონდონმა, თუ არ ვცდები, უარყო და დაგმო...

ბრიანმა მაკდონალდს გადახედა.

— ჩვენ ლონდონის კონფერენციის მიერ ვართ თქვენთან წარმოგზავნილი, — თქვა მაკდონალდმა და გრძელი ულვაში გაისწორა, — მაშასადამე, ჩვენი განცხადება კონფერენციის აზრს გამოხატავს. კონფერენციის მუშაობაში იყო მტკივნეული მომენტები, მაგრამ ისინი გამოწვეულნი იყვნენ მდგომარეობის სიმწვავით და მთელ რიგ ქვეყნებში საჩქაროდ განსახორციელებელ ღონისძიებათა სიძნელით. რაც შეეხება თბილისის კონფერენციის მიერ არჩეულ გზას, კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ ლონდონს არათუ არ დუნეია იგი, პირიქით, მთელი მისი სამოქმედო პროგრამა ამ კონფერენციაზე განმტკიცებულ მეგობრულ ურთიერთობაზეა დამყარებული.

— მე ვიყავი ამ განწყობილების პირველი მეფრონტე, —

ჩაურთო სიტყვა აქამდე მდუმარედ მყოფმა დინგვეიმ, — და ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ თბილისს მიჰყვება ამ შემთხვევაში ლონდონი, პარიზი, ნიუ-იორკი...

— და ყველა განათლებული ხალხი, — დაუმატა ბრიანმა და წამოდგა. — მე მინდა ბოლომდე გულწრფელი ვიყო თქვენთან. — განაგრძო მან, — და ყველაფერი, რაც ჩვენ გვაფიქრებს, დაუფარავად მოგახსენოთ. ჩვენ რეაგირებ მოვიშუშებთ ჭრილობებს, უკუქცეული მხეცის ნაჭანგარს, სხეულს რომ ბუკივანი იარებით გვიფარავს...

— ბოდიშს ვისდით, მაგრამ სიტყვა უნდა შეეაწყვეტინოთ! — თქვა კამარელმა და წარბები შეიკრა. — გადაჭარბებულ გრძნობიერებას იჩენთ თქვენ ყველანი იმ ჭრილობის მიმართ, სამყაროს სხეულს უმაგალითო განსაცდელთან ბრძოლის შემდეგ რომ დაასნდა. საოცარია, რომ ასეთი გულჩვილობით ათვალიერებთ სხეულის გაკაწრულ ადგილებს, როცა კარგად იცით, რა საშინელი საფრთხე მოელოდა მას! რა მნიშვნელობა აქვს იმას, რაც დაიღუპა, შედარებით იმასთან, რაც გადარჩა?

— უკაცრავად! — იწყინა ბრიანმა და წელში გაიმართა, — აკი მოგახსენეთ, ძნელია შეფასება იმისი, რაც თქვენი მეთხებით მოხდა-მეთქი! ამას ჩვენ არ ვივიწყებთ, მაგრამ დედამიწა რომ დაღუპვას გადარჩა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცივილიზაციას არავითარი საფრთხე არ მოელის. შესაძლებელია ცივილიზაცია დაიღუპოს, თუ თავის დროზე ენერგიული, გაერთიანებული ზომები არ იქნება მიღებული კაცობრიობის მიერ.

— ამის შიში ჩვენ სრულიად არა გვაქვს, — გაიღიმა კამარელმა. — პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კაცობრიობის პროგრესისათვის არასოდეს ისეთი გაცხარებული ტემპებით არ უმუშავია ისტორიას, როგორც ჩვენს დროში.

— გუშინდელს და დღევანდელს ერთმანეთში ნუ ავრევთ, — თქვა ბრიანმა, — გუშინ ჩვენთვის გარკვეული იყო მოქმედ ძალთა ურთიერთობა და ყოველთვის შეგიძლია აგვეწონა და გაგვესაზღვრა მათი სიმძლავრე. დღეს ჩვენ, კაცობრიობის დიდ უმრავლესობას, ამისი საშუალება არა გვაქვს. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამ საკითხს ნათელი მოჰფინოთ

და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისტორიის ამ ასალ ფაქტორზე თქვენ მოახდენთ კაცობრიობისათვის სასურველ გავლენას.

ბრიანი დაჯდა.

— თქვენ კარგად იცით, რა ფაქტორზე მოგახსენებთ, — დაუმატა მაკდონალდმა, — ეს არის მესამე ძალა, რომლის შესახებ ჩვენ ოიოქმის არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ იგი შეიძლება ჩვენი ისტორიის მამოძრავებელ ძალთა შორის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი გახდეს.

— აი, ახლა კი პოლიტიკის ნამდვილ ნერვებს ჩასწვდეთ ხელი, — ისევ გაიღიმა კამარელმა, — აქამდე კი მწვერვალებზე და ბრინჯაოზე საუბარი მხოლოდ პოეტური შესავალი იყო. მე თქვენ თხოვნას დავაკმაყოფილებ და ვეცდები, ამ ფაქტორზე საჭირო გავლენა მოვახდინო.

უკანასკნელი ფრაზა კამარელმა ისეთი ტონით წარმოთქვა, რომ ძნელი იყო ირონიის შემჩნევა.

— ჩვენ გვაინტერესებს, — სიტყვა ჩაურთო დინგვეიმ, — ჩაერევიან თუ არა მარსელები ჩვენს ცხოვრებაში და თუ ჩაერევიან, რა მიმართულებას მისცემენ მას?

— ჩვენი ნების გარეშე მარსელები ჩვენს ცხოვრებაში არ ჩაერევიან, — მიუგო კამარელმა.

— ჩვენს ნებას ვინ გამოსახავს? — იკითხა ბრიანმა.

— ამაზე ჩვენ უნდა შევთანხმდეთ.

— არის ლაპარაკი წყლის მეორე ტრანსპორტის გაგზავნის შესახებ. რამდენად მართალია ეს? — იკითხა მაკდონალდმა და ულვაშზე თითები ნერვულად აათამაშა.

— შეიძლება მეორეც გაიგზავნოს და მესამეც, — დამშვიდებით მიუგო კამარელმა, — წყალი ჩვენ ბევრი გვაქვს. ყოველ შემთხვევაში შიში ნუ გაქვთ! მარსი იმდენად „მდიდარია“, რომ მასთან „ვაჭრობით“ ჩვენ არაფერს წავაგებთ.

დელეგაციის წევრები გაფითრდნენ.

მაკდონალდმა ულვაში თითქმის დაიწიწკნა აცახცახებული თითებით. ბრიანმა თვალები ისე ღონივრად დაახამხამა, რომ მარცხენა თვალის შესივებულ უპეში წამწამის ბეწვი ჩაუვარდა, ხელით დაისრისა და ცრემლი წამოსკდა. დინგვეის წვეტიან შუბლზე ოფლის ცვარი აუკამკამდა.

— პირველმა ტრანსპორტმა, — სცადა ლაპარაკი ბრიანმა, და ჩაახველა, — პირველმა ტრანსპორტმა ზღვის დონე დაბ-

წია სამი ბეტრით. წარმოგიდგენიათ თქვენ, რას დაემგვანება ჩვენი სრუტეები, ნაესადგურები და საზღვაო გზები მესამე ტრანსპორტის შემდეგ?

— წყლის მარაგი ჩვენს პლანეტაზე იმდენია, რომ სუთჯერ ეტიც რომ გავცეთ, ზღვის დონე შეგვიძლია მაინც საკურველ სიმაღლეზე შევანარჩუნოთ, — თქვა კამარელმა და გაფითრებულ დელეგატებს დინჯად გადახედა.

— ოკეანეთა გარეთ ხომ არსად გეგულებათ წყლის მარაგი? — ნაძალადევი ხუმრობის კილოთი იკითხა ბრიანმა.

— სწორედ ოკეანეთა გარეთ ძევს წყლის უდიდესი მარაგი, — სავსებით სერიოზულად მიუგო კამარელმა.

ეს კი ნამეტანი იყო.

დელეგაციის წევრები წამოდგნენ.

— მგონი ბევრი ლაპარაკით დაგღალეთ, — ცუდად დაფარული სარკაზმით შენიშნა მაკდონალდმა და თავი დაუკრა კამარელს. — გვაპატიეთ, რომ თავი მოგაბეზრეთ.

— დაგვრჩა უკანასკნელი თხოვნა: კონფერენციის დავალებით ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ინჟინერ კაროს. გთხოვთ, შეგვანვედინოთ!

— დღეს კარო აქ არ არის. ხვალ 12 საათზე იქნება. გადავცემ. პასუხს გაცნობებთ.

დელეგაციის წევრები გამოემშვიდობნენ კამარელს და წავიდნენ.

— ხომ მიაქციეთ ყურადღება, რა თქვა კამარელმა? — იმედიანად წამოიძახა უკვე გარეთ გამოსულმა ბრიანმა. — ჩვენს უნებურად ჩვენს საქმეებში მარსელები არ ჩაერევიანო. თუ ეს განცხადება მართალია, უმთავრესი დაბრკოლება მოხსნილად უნდა ჩაითვალოს.

— მე მგონია კამარელი ასე კატეგორიულად არ იტყოდა ამას, რომ დარწმუნებული არ იყოს მარსელების ნეიტრალობაში, — თქვა მაკდონალდმა. — მით უმეტეს ჩვენთან აუდიენციის დროს როგორც შევიტყვე, მას ინჟინერ კაროსთან ამ საკითხზე უთუოდ ჰქონდა ლაპარაკი და ჩვენც ალბათ კაროს აბრი გაგვიბრიარა.

— გასაკვირი კია ამ შემთხვევაში მისი გულგაშლილობა, — შენიშნა დინგვეიმ. — რაც უნდა ბევრი ვილაპარაკოთ ზავსა და მეგობრობაზე, შეუძლებელია ტკბილი სიტყვებით იმ

უფსკრულის ამოვსება, რომელიც პირღია სამარესავით უცდის ან ერთ ან მეორე ბანაკს. ბრძოლის აუცილებლობა კამარელისათვის აშკარაა და მე ვერ გამიგია, რად ასუსტებს თავის პოზიციას ასეთი განცხადებით.

— იქნება „ლეტარგინიც“ საკმარისად მიაჩნია, — წაიდუდუნა ბრიანმა და ჩაფიქრდა.

— „ლეტარგინი“ მართლა დიდ ძალას წარმოადგენდა. პოლონეთის საზღვრიდან თბილისში დელეგაცია „გედამ“ ჩამოიყვანა. ბრიანი კარგად ხედავდა, რა დიდი უპირატესობა ეძლევა საბჭოთა ავიაცია „ლეტარგინის“ მეოხებით, მაგრამ „რაუნიტის“ განუზომელი ძლიერებით დაშინებული, ყურადღებას არ აქცევდა მას. ასლა კი, როცა რამდენიმეედ მინელდა „რაუნიტის“ შიში, „გედას“ უცნაურმა საიდუმლოებამ მიიპყრო მისი გულისყური. რა მანძილზე ვრცელდება „ლეტარგინის“ ძალა, რამდენად იქნება შემოფარგლული „გედას“ მოქმედების რადიუსი მომავალ საჰაერო ბრძოლაში? სანამ ეს კითხვები არ გამოირკვევა, ძნელია ძალთა ურთიერთობის გათვალისწინება.

— როგორ ფიქრობთ თქვენ, — დაარღვია დუმილი ბრიანმა, — „გედას“ მოქმედების ზონა რამდენად გაფართოვდა „დამუხრუჭების“ პერიოდში?

— 1934 წელს, თბილისის კონგრესის დახურვის შემდეგ, — თქვა დინგვეიმ, — დელეგაციების მეთაურებმა ვიმგზავრეთ „გედათი“ თბილისიდან მოსკოვსა და ლენინგრადში. დაუბრუნდით ხარკოვ-ბაქოს ხაზით. კარგად მახსოვს, მაშინ პოლონეთის საზღვრებისაკენ „ლეტარგინის“ ზონა არ იყო გაყვანილი. ასლა, როგორც ეტყობა, საბჭოთა კავშირის თუ მთელ ტერიტორიაზე არა, დასავლეთის საზღვრებამდე მაინც, ჰაერი გაჟღენთილია „ლეტარგინით“.

— მე მაქვს ცნობები, — დაუმატა ბრიანმა, — რომ ბელორუსიაში აგებულია სამი დიდი სიმძლავრის ელექტრო-სადგური, რომელთა ენერგია დიდად აღემატება ადგილობრივი მრეწველობის საჭიროებას.

— ჩანს, ამ სადგურებს სხვა დანიშნულება აქვთ, — შენიშნა მაკდონალდმა. — ალბათ „ლეტარგინს“ ავრცელებენ.

— მეც ეს მაფიქრებს, — თქვა ბრიანმა, — ვინ იცის, იქნება უკვე ვარშავამდეა მოსული ამ ელსადგურებიდან გადეო-

ღვრილი „ლეტარგინის“ ტალღები? ჩვენ ხომ არა გვაქვს საშუალება აღმოვაჩინოთ ჰაერში „ლეტარგინის“ არსებობა?

— ყველაფერი ეს ზედმეტად ასაბუთებს ჩვენი გეგმის საჩქაროდ შესრულების აუცილებლობას, — დაუმატა დინგვეიმ და მანქანის კარი გააღო, ვინაიდან ისინი უკვე მიადგნენ სასტუმროს, სადაც მათ ჰქონდათ ბინა.

საღამოს გაიმართა დელეგაციის წევრების თათბირი.

გადასინჯულ იქნა მოქმედების გეგმის ყოველი დეტალი და შემუშავდა სვალინდელი აუდიენციის მოსალოდნელი პროგრამა.

მეორე დღეს, დილის 11 საათზე, კამარელმა აცნობა მათ, რომ 12 საათზე დელეგაციას უცდის თავის ბინაში ინჟინერი კარო.

კარომ თავაზიანად მიიღო დელეგაცია, გაცილებით უფრო თავაზიანად, როგორც დელეგაციის წევრებს მოეჩვენათ, ვიდრე კამარელმა. ამან ძალიან დააიმედა და გაამხნევა დელეგაციის წევრები, რომელნიც მეტად გაასარა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ კაროსთან კამარელი არ დასვდათ, რისიც მათ ძალიან ეშინოდათ.

დელეგაციის სახელით კაროს სიტყვებით მიმართა ბრიანმა, რომელმაც ხაზი გაუსვა მარსელი ინჟინრის ამიერიდან დაუვიწყარ ამაგს.

— კაცობრიობისათვის, — თქვა მან, — სრულიად მოულოდნელი იყო, როგორც კატასტროფის საშიშროება, ისე მეზობელ პლანეტიდან მოსული დასმარება. მარსი მოგვევლინა მფარველ ანგელოზად და ჩვენს მომავალ თაობას ჩვენ ისე აღვზრდით, რომ შთავუნერგოთ გულში ჩვენი ციური მეზობლისადმი ღვთაებრივი მოწიწებისა და თაყვანისცემის გრძნობა. ჩვენ ვერ გადავიხდით ამ დაუფასებელ ამაგს, მაგრამ ეფიქრობთ, საუკუნეთა მანძილზე ჩვენს შემდგომად მოსულნი უფრო ძლიერნი თაობანი შესძლებენ ნაწილობრივ მაინც გადაიხადონ სამაგიერო სიკეთე.

სიტყვის ბოლოში ბრიანმა მოხერხებულად ჩაურთო მოსაზრება ორ პლანეტას შორის უფრო მწყობრ და ფართო ურთიერთობის მოგვარების საჭიროების შესახებ.

— მე მოხარული ვიქნებოდი, — განაცხადა კარომ, — თუ შევძლებდი მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, მაგ-

რამ ამისათვის საჭირო სიტყვასა და საქმეს შორის არ იყოს წინააღმდეგობა.

— ჩვენი სიტყვა და საქმე ერთ მიზანს ემსახურება, — წარმოთქვა მაკდონალდმა.

— ვსახოთ!

მაკდონალდმა თვალით ანიშნა ბრიანს, მაგრამ ბრიანი თვითონაც მისვდა, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი — კითხვა პირდაპირ დაესვათ.

— თქვენი პასუხი ჩვენს შორის მეგობრული კავშირის ურყევი გარანტიაა, — მიმართა კაროს ბრიანმა, — და ჩვენ შევეცდებით ჩვენი მუშაობის ცენტრალურ იდეად გავხადოთ ამ კავშირის ირგვლივ კაცობრიობის მოწინავე ძალთა დარაზმვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით მარსის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ დედამიწამ საკუთარ სხეულზე იგრძნო მარსელი კაცობრიობის ტექნიკური ეკსტაზის მოქმედება, ბევრს მაინც არა სჯერა თქვენი რეალობა და უზენაეს ძალთა მიუწვდომელ საიდუმლოებას მიაწერს ყვეყნის გადარჩენას. ჩვენ ბედნიერად ჩავთვლიდით თავს, თუ შეეძლებდით მარსის უფრო ახლოს დანახვას.

— მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო! — თქვა კარომ.

— მანდატები გაქვთ?

— რისი მანდატები? — იკითხა გაოცებულმა ბრიანმა.

— მარსზე წარგზავნის, — უპასუხა კარომ.

დელეგატები დაიბნენ: არ მოელოდნენ საკითხის ასე უცებ მოკვეთას.

წამოდგა მაკდონალდი და მოწიწებით მოასსენა:

— იმ შემთხვევისათვის, თუ თქვენ კეთილ ინებებდით და ჩვენს სურვილს აასრულებდით, კონფერენციამ წინასწარ აღვაჭურვა ჩვენ, სამი კაცი, საჭირო მინდობილობით. კონფერენციაში მონაწილე 24 სახელმწიფო, ე. ი. საბჭოთა რესპუბლიკის გამოკლებით მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ აგვირჩია ჩვენ დედამიწის წარმომადგენლებად მარსთან ურთიერთობის ყველა საკითხის გადასაჭრელად. აი, ჩვენი მანდატები, — და მაკდონალდმა გადასცა კაროს დოკუმენტები. — მეოთხე წევრად დელეგაციას მოემატება საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი.

კარომ მანდატები გადაათვალიერა და გადადო.

— ხვალ კამარელს მოველაპარაკები და გამგზავრების დღესაც დავნიშნავთ! თქვენ ალბათ მზად სართ და თქვენს ქვეყანაში დაბრუნება აღარ დაგჭირდებათ!

— ჩვენ შეგვიძლია თუნდაც დღესვე გავემგზავროთ, — მიუგო მაკდონალდმა და წამოდგა.

დელეგატები გამოეთხოვნენ კარის და წავიდნენ.

როცა კამარელმა გაიგო მარსზე დელეგაციის გაგზავნის ამბავი, უცებ გაანეწყო საპლანეტთაშორისო ფრენისათვის. დიდი სიამოვნებით დაეთანხმა კაროს წინადადებას და ხალისიანად შეუდგა გაფრენისათვის მზადებას. წინდაწინ ტკბებოდა მარსის საიდუმლოებათა ფარდის ახდით და ვარსკვლავიანი დაშორებული სატრფოს პირისპირ ხილვით.

გაფრენის დღედ დაინიშნა მარტის 19.

XV

საოცარი ხომალდი

სამი დღეღა იყო დარჩენილი გაფრენამდე.

ამ ხანში კამარელს უამრავი საქმე უნდა მოეწესრიგებინა, რომ მისი აქ არ ყოფნის დროს არაფერი შეფერხებულიყო ენერგეტიკის მთავარ სამმართველოს მეტად რთული აპარატის მუშაობაში.

ჯარასავით დატრიალდა, დღე ღამეს გადააბა და მისი საყვარელი საქმე მწყობრ მანქანასავით ამუშავებული ჩააბარა თავის თანამშრომლებს.

მარტის 18-სათვის ყველაფერი მოწესრიგებული იყო და კამარელი სასწრაფოდ გაფრინდა მოსკოვს საჭირო ინსტრუქციების მისაღებად.

მეორე დღეს, საღამოს 5 საათზე, მოსკოვიდან დაბრუნებული „გედა“ თეთრი ღრუბლის ქულასავით მოსწყდა ზეცას და მსუბუქად დაეშვა დიდუბის აეროდრომზე.

იქვე იდგა გასაფრენად გამზადებული „რაუნიტი“. დელეგაციის წევრები კაროს ესაუბრებოდნენ, „რაუნიტზე“ ასავალ ბაქანზე მდგომნი.

კამარელი გამოემშვიდობა ბაკურ ჩავარდნაძეს, მზრუნვე-

ლობით ჩააბარა მას „გედა" და კაბინიდან პირდაპირ ბაქანზე გადმოვიდა.

— სწორედ დროზე დაბრუნდიო, — შორიდანვე მიაძახა კარომ და კამარელისაკენ წამოვიდა.

— ქარიკით მოჰქროდა „გედა", რომ „რაუნიტი" არ ღაეყოვნებინა, — უპასუხა კამარელმა და მიესალმა კაროს და დელეგაციის წევრებს.

— „გედა" უმცროსი დაა „რაუნიტისა" — თქვა კარომ, — და, რა თქმა უნდა, სირცხვილს არ სჭამდა. აბა, მობრძანდით, კაბინები თქვენთვის მზადაა!

კარო შეუძღვა დელეგატებს „რაუნიტში" და თითოეულს თავისი კაბინა უჩვენა.

ხომალდის ტალანში დღის სინათლე იდგა, თუმცა მგზავრებმა ფანჯრები ვერსად შენიშნეს.

კაბინას ფართო, მრგვალი, მთლიანი მინის (თუ მინისმაგვარი ლითონის?) ფანჯარა ჰქონდა, კედლებზე მიმწვანო ფერის რბილი სავერდი იყო გაკრული. მაგიდა, სამი საკარძელი და საწოლი იატაკზე იყო მიკრული. მაგიდის ზევრდით პატარა კარადა იდგა, ხოლო იქვე კუთხეში კედელზე ბიბაგრებული იყო ფაიფურის ბაქანი. ზედ დაშვერილი ნიკელის ონკანით. კედელს გარშემო კაცის სიმაღლეზე არშიასავით ხის მოაჯირი ჰქონდა შემოვლებული.

ყველას თავისი ზემოდანი კაბინაში დასცდა.

მგზავრები რამდენიმე წუთში საკუთით დალაგდნენ და შემდეგ საერთო კაბინაში შეიკრიბნენ, ეს კაბინა ხომალდის ბოლოში იყო და მრგვალი, შუშასავით გამჭვირვალე კედელი ჰქონდა, აქედან მშვენიერი გადასასედი იყო და დელეგაციის წევრები განუცდელი მღელვარებით გასცქეროდნენ დედამიწას, რომელსაც საცა იყო უნდა განშორებოდნენ და, ვინ იცის, დაუბრუნდებოდნენ თუ არა მას ოდესმე უკნესლად.

12 საათსა და 30 წუთზე „რაუნიტი" დაიძრა.

თითქო ლიფტი ასრიალდა, მგზავრებს იატაკი მძლავრად მოაწვა ფეხებზე და დედამიწა აქანავდა. წუთიც და მგზავრების თვალწინ დედამიწამ იწყო თანდათან ნაბიჯება.

— რა სიჩქარით მივფრინავთ, თუ იცით? — ჰკითხა მაკდონალდმა კამარელს.

— წამში ათი მეტრის ანჯარებით, — მიუგო კამარელმა. —

ასეთი ნელი ტემპით, როგორც კარო ამბობს, პირველად მიფრინავს „რაუნიტი". მაგრამ ეს „უცხო მგზავრია" პატივისცემით აიხსნება, თუმცა ეს სიჩქარე მაინც საკმაოდ დიდია: იგი უდრის დედამიწაზე სსეულის თავისუფლად ვარდნის სისწრაფეს.

— როგორ, დედამიწაზე ვეცემით, თუ ვშორდებით ეს? — შეეკითხა გაკვირვებული მაკდონალდი.

— ისეთი სიჩქარით ვშორდებით ჩვენ ახლა დედამიწას, რა სიჩქარითაც მივუახლოვდებოდით მას, ცის შორეული სივრციდან თავისუფლად რომ ვეცემოდეთ დედამიწის ზედაპირს. ყოველ წამს ჩვენი სიჩქარე მატულობს 10 მეტრით.

— ათი მეტრის სიჩქარე დიდია? — გაუკვირდა დინგვეის.

კამარელმა საათს დახედა.

— უკვე სამი წუთია რაც მივფრინავთ. პირველი წუთის შემდეგ ჩვენ მივქროდით წამში 600 მეტრის სიჩქარით, ახლა კი ჩვენი სიჩქარე უდრის 1.800 მეტრს, ე. ი. თითქმის ორ კილომეტრს წამში. ერთი საათის შემდეგ ჩვენ უკვე კოსმიური სსეულის სიჩქარეს მივაღწევთ — წამში 36 კილომეტრს.

დინგვეი გაფითრდა. ჯიბიდან ამოიღო აკანკალებული ხელით პატარა კოლოფი, გახსნა და ერთი თეთრი აბი გადაყლაპა.

— შეხედეთ, — წამოიძახა ბრიანმა, — როგორ დაგვშორდა დედამიწა და ამავე დროს იგი თითქო ბრუნავს.

— ჩვენ მივფრინავთ თბილისის მერიდიანით ჩრდილოეთის პოლუსისაკენ, — განუმარტა კამარელმა, — ამიტომ გვეჩვენება თითქო დედამიწა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ბრუნავდეს.

— პოლუსისაკენ რისთვის მივფრინავთ? — იკითხა ბრიანმა.

— ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო მანძილით დავშორდით დედამიწის ზედაპირს, მაინც ვღებულობთ მონაწილეობას დედამიწის ღერძის გარშემო ბრუნვაში. რომ ამ ტრიალს დააღწიოს თავი, „რაუნიტი" პოლუსიდან უნდა მოსწყდეს დედამიწას.

ამ დროს „რაუნიტი" უკვე ჰაერის ზედასფეროზე მიჰქროდა. დედამიწის ჩრდილო ნახევარი მზის სხივებით იყო შემოსილი და აქა-იქ ღრუბლის გროვა დამაბრმავებელი ელვარე-

ბით ბრწყინავდა. შორიდან მოჩანდა შავი და კასპიის ზღვების დაბინდული კონტურები და სხივნაფრქვევი კავკასიონი თვალისმომჭრელად ანათებდა. ჩრდილოეთიდან განთიადის ზოლივით გამოჩნდა ყინულოვანი ზღვის თეთრი ტილო და იელვეს გრენლანდიის ნაპირებმა. კიდევ რამდენიმე წუთი და „რაუნიტი“ პოლუსის დაღრუბლულ სიკრცეს მოეფცა ზეიდ, სწორედ იქ, სადაც დღე-ღამეს საზღვარი შუა ჰყოფს დედამიწას. ჩრდილოეთ-ამერიკის და ნუნარი ოკეანის მიდამოები ღამის ბურუსით იყო მოცული. ატლანტიკის ოკეანის დასავლეთისაკენ ზღვაში ჩაძირულივით მოჩანდა თეთრად მოელვარე მთვარე, რომელიც თანდათან ამოვიდა ზღვიდან და აფრენილი გედივით სცილდებოდა დედამიწას.

„რაუნიტმა“ აიღო სწორი გეზი და სიჩქარეს უმატა.

უფრო ძალუმად მოაწვა მგზავრებს იატაკი და კიდევ უფრო დამძიმდა მათი სხეული.

კამარელი იდგა გამჭვირვალე კედელს მიყრდნობილი და მთრთოლვარე გულით დასცქეროდა ქვეყანულში ჩაძირულ დედამიწას.

აჰა, ესეც საპლანეტათშორისო ფრენის ბევრჯერ ნანატრი განცდა! ჯერ კიდევ ყმაწვილობის დროს რამდენჯერ დამტკბარა იგი ფანტასტიკური რომანების კითხვით, სადაც მრავალი ვარიაციით აწერილი იყო ცის მიუვალი უდაბნოს დაპყრობა! რამდენჯერ აძგერებულა მისი გული ჟიულ ვერნისა და ჰერბერტ უელსის გმირთა გაბედული გეგმებით და მათთან ერთად მოსიბლულა ფანტასტიკური ოცნების რეალური განცდით! და აი, დღეს თვითონ ის მიფრინავს ვარსკვლავთა სამყაროში არა სიზმრით თვალდაბინდული, არა ოცნებით, არა წიგნით ხელში, არამედ ნამდვილად, ცსადად და საკუთარი ხელის შეხებით გრძნობს „რაუნიტის“ რეალობას, საკუთარი თვალებით ხედავს ცის უფსკრულში დანთქმულ დედამიწას.

კამარელმა შუბლზე ხელი გადაისვა და ირგვლივ მიმოიხედა. კაბინაში მის გარდა არავინ იყო.

სანამ „რაუნიტი“ პოლუსს მიაღწევდა, თუმცა ატმოსფეროს უმაღლეს ფენაზე მიჰქროდა იგი, მაინც დედამიწის სამფლობელოში გრძნობდნენ თავს მისი მგზავრები. მაგრამ როცა პოლუსიდან „რაუნიტი“ ვერტიკალური გეზით ავარდა და დედამიწა მოწყვეტილ ქვასავით ჩაეშვა უფსკერო სივრ-

ცეში, მგზავრებს გული შეეკუმშა უცნაურმა შიშმა და მათ არსებეს ამ მეტად არასეულებრივი სანსაციისათვის თვალია არიდება და თავიანთ კაბინებს მიაშურეს.

დინგვეის სერვეულად აკრეფოლებდა. ცაუსდეულად წამოწვა და პალტო წამოისურა.

მაკდონალდმა თავის ბემოდანს ღვედების შესსნა დაუწყო.

ბრიანმა თავის კაბინაში ვერ მოისვენა და მაკდონალდს ესტუბრა.

— რაღაც უცნაურად ვგრძნობ თავს, — უთხრა მან მაკდონალდს. — მარტო ყოფნა მეზარება.

— აქ დაისვენეთ! — მოიპატიჟა მაკდონალდმა.

ბრიანი საწოლზე წამოწვა. უბიდან ჭკვანე ამოიღო, ცხვირზე წამოიგო, გაშალა „Malin"-ის ნომერი და კითხვა დაიწყო!

კამარელი ისევ უცრავად იდგა შუშის კედელთან და მისნერებოდა სივრცეში ჩაძირულ დედამიწას.

ცას თანდათან მოაკლდა შუქი. მზე თუმცა ანათებდა უღრუბლო და უნისლო სივრცეში, მაგრამ კოსმიური ღამის უსაერო ჩრდილი თანდათან აჩუნდა ვარსკვლავებს და „რაუნიტის" წინა მხარეს შავი ხავერდის საბურველი ეფინებოდა ქვეშოდან. ბოლოდან კი სომალდს ღვარად ასკდებოდა დედამიწისა და მთვარის ელვარება, ხოლო ჩრდილი და სინათლე შა და თეორ ზოლებად გადაწოლილიყო ხომალდის სხეულზე, ზურგზე კი ჰაერით შეუსელეპელი მზის სხივები აკარვარებულ კოცონს ანთებდა.

კამარელი დაჯდა, სავარძლის სახელურს ხელი მოხვია და თავით ზედ დაეყრდნო.

უეცრად რაღაც უჩინარმა ჩრდილმა შავ ელვასავით გადაიკრიალა და „რაუნიტი" თითქო შეჯდა უცებ და სივრცეში უძრავად დაეკიდა.

კამარელს ყოველი მხრიდან სინათლესავით მოაწვა აბსოლუტური სიჩუმე და ყურებმა წივილი დაუწყო. მთელი სხეული აევსო ჰაეროვანი სიმსუბუქით.

და იმავ წამს დელეგატების კაბინიდან საშინელი ღრიალი მოესმა.

კამარელმა მყისვე მოისაზრა რაც მოხდა და განსაკუთრებული სიფრთხილით ჩასჭიდა ხელები ტალანის კედელზე ხა-

ზევით გაყოლებულ წითელი ხის მოაჯირს და ასლად ფეხადგმულ ბავშვივით ტაატითა და მოაჯირზე ხელების ფათურით შევიდა კაბინაში, საიდანაც ისმოდა გულის შემზარავი ყვირილი.

კაბინაში უცნაურ სურათს წააწყდა: გაფითრებული დინგვეი სასაცილოდ გაშლართულიყო, ჭერს მიკვროდა, ხელები მაგრა ჩაევლო ვენტილაციის ონკანისათვის და ფეხებს ჰაერში ბაყაყივით ასავსავებდა.

— მიშველეთ! ეს რა მოხდა? რა მომივიდა? — ღრიალებდა იგი და გაოცებული თვალებით მიშტერებოდა შუა კაბინაში ჰაერში უძრავად დაკიდულ პალტოს.

კამარელი გაჰყვა მოაჯირს კედელ-კედელ, მიუახლოვდა იმ კუთხეს, სადაც ჰაერში ეკიდა დინგვეი, ამოილო ჯიბიდან ცხვირსახოცი, აუქნია ზევით და უთხრა:

— ნუ ყვირით, ახლავე აგიხსნით რაც მოხდა. ჯერ ამ ცხვირსახოცს მოკიდეთ ხელი.

დინგვეიმ ცხვირსახოცს ორივე ხელი წაავლო, კამარელმა ძირს დასწია და საპნის ბუშტივით მსუბუქი და აფუმფულებული დელეგატი იატაკზე დასვა და ხელები მოაჯირთან მიუტანა.

— მოკიდეთ ამას ხელი და არ მოშორდეთ. მე კი დინარნენებს მივეშველები, მათაც უშირთ, როგორც ჩანს.

მარილაც, მეზობელ კაბინიდან ისმოდა ოხვრა და წყევლაკრულვა.

— პალტოს შეხედეთ, პალტოს! — დაიკნავლა შეშინებულმა დინგვეიმ. — პალტოს რა მოუვიდა?

— არაფერი უშავს პალტოს, — ამშვიდებდა კამარელი, — რა გენაღვლებათ, ეკიდოს ჰაერში.

კამარელი გაჰყვა მოაჯირს და მეზობელ კაბინაში შეჰყო თავი.

აქაც სასაცილო სურათი დასვდა.

ბრიანი ფანჯრის ასლო ჰაერში ეკიდა თავდალმა. ფეხები ჭერისაკენ პქონდა აშვერილი, ხოლო ხელებით იატაკს ეხეთქებოდა, მაგრამ ვერც ჭერს სწვდებოდა და ვერც იატაკს. „Matin"-ის ნომერი თეორი ღრუბელივით გაკვროდა ჭერს. პენსნე ცოტა მოშორებით ჰაერში იყო გაჩერებული.

მაკდონალდი ორივე ხელით მოსვეოდა უზარმაზარ ბეჭი-

დასს და მასთან ერთად მსუბუქად დასცურავდა ჭერსა და იატაკს შუა. ჭერს რომ თავს მიადებდა, იმწამსვე ნელი ფამფალით დაბლა დაეშვებოდა, იატაკს რომ ფეხს მიაკარებდა — მყისვე ათრთოლებულ ბუშტივით ჭერისკენ მიცურავდა.

— ღმერთმა დასწყევლოს მარსიცა და იქ წასვლის მოზეონიც! — იწყევლებოდა მაკდონალდი.

— ბ-ნო კამარელო! — დაიყვირა ბრიანმა, კამარელი რომ დაინახა. — რა არის ეს? რა მოსდა?

— არაფერია, დამშვიდდით! — მიუგო კამარელმა და კაბინაში შევიდა. სრულიად უსინებრივი მოვლენაა.

— რატომ არ გაგვაფრთხილეთ, თუ ეს მოგველოდა? — იწყინა ბრიანმა და ორივე ფეხი მოღუნა, მაგრამ ამ შერხევამ წისქვილის ბორბალივით დაატრიალა ჰაერში.

— ნუთუ, ასე უნდა ვიქანაო საათის ქანქარასავით ჭერსა და იატაკს შუა? — დაიკვნესა მაკდონალდმა.

— ახლავე მოგეშველებით! — მიაძახა კამარელმა და როცა მაკდონალდი ძირს დაეშვა, ხელი გაუწოდა.

— მომკიდეთ ხელი. ჩემოდანს ხელები გაუშვით!

— მაკდონალდმა ცალი ხელი კამარელს წაავლო, მეორეთი ჩემოდანი იატაკზე დადო.

ჩემოდანი ისევ ჰაერში აცურდა, სოლო მაკდონალდი კამარელმა მოაჯირს მიაყენა.

შემდეგ ჰაერში მბრუნავ ბრიანს სტაცა ხელი და ისიც მოაჯირს მიაშაგრა.

ბრიანმა ჰეპელასავით აფრენილი პენსნე დაიჭირა და უბეში ჩაიდო.

ამ დროს კაბინაში ოხვრიოა და ფორთხვით შემოძვრა დინგვეიც.

— მოქალაქენო! — მიმართა მგზავრებს კამარელმა. — აი, სამი სავარძელი, მაგიდა და საწოლი. ყოველი მათგანი საიმედოა, რადგან მიკრულია იატაკზე. მოჰკიდეთ ხელი, გინდ დაბრძანდით, გინდ დაწექით, გნებავთ დადექით, თუმცა. დგომასაც, წოლასაც და ჯდომასაც აქ ერთი ფასი აქვს.

— აგვიხსენით, რა მოხდა? — დაეღრიჯა კამარელს დინგვეი და ერთ-ერთ სავარძელს წაავლო ხელი, მაგრამ რამდენიც არ ეცადა, ვეღარ დაჯდა: ხან ერთი ფეხი აუცურდებოდა, ხან მეორე, ხანაც სავარძლის ზამბარა ზედ აისროდა.

ბრიანმა და მაკდონალდმა მოასერხეს, როგორც იყო, საკარძლებზე ტანის მომაგრება. ორივე სელიო სავარძელს ჩაფრენოდნენ სასელურებზე და ისხდნენ გაუნძრევლად.

— ეცადეთ არ გაინძრეთ და არ აცურდეთ, — თქვა კამარელმა. — როცა ამ მდგომარეობას შეეჩვევით, მერე არ გაგიძნელდებათ მორჩილებიდან გამოსული სხეულის დაურეკება.

— რატომ შედგა „რაუნიტი"? — იკითხა ბრიანმა. — ნუთუ ხიფათი რამ შეემთხვა?

— „რაუნიტი" კი არ შედგა, — მიუგო კამარელმა, — ჩიქარება შეწყვიტა, ვინაიდან მიაღწია საჭირო სისწრაფეს. ახლა იგი მიჰქრის წამში 600 კილომეტრის სიჩქარით. ამით აიხსნება ის მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით: „რაუნიტმა" დაჭარგა სიმძიმე. მოგეხსენებათ, რომ სივრცეში ინერციის ძალით თავისუფლად მქროლავი სხეული საკუთარ ჭარგავს სიმძიმეს.

— მაშ, ჩვენც სიმძიმე დავკარგეთ? — იკითხა დინგკეიმ.

— რა თქმა უნდა, ჩვენც, რადგანაც „რაუნიტთან" ერთად ჩვენც ისეთივე სისწრაფით მივქრით სივრცეში.

— განა დედამიწის მიზიდულობა არ მოქმედებს ახლა „რაუნიტზე?" — შეეკითხა მაკდონალდი.

— მოქმედებს, მაგრამ ერთი და იმავე ძალით მოქმედებს როგორც „რაუნიტზე", ისე შიგ მყოფ საგანზე, ამიტომ ხომალდის შიგნით, ასე ვთქვათ, მის სისტემაში, ეს მოქმედება არა ჩანს. თუ დედამიწის მიზიდულობის გავლენით „რაუნიტი" წამში ერთი მეტრით იწევს მიწისკენ, ჩვენც იმავე ძალის მეოხებით იმდენადვე ვიწევთ მისკენ, ასე რომ „რაუნიტის" იატაკსა და ჩვენს შორის მანძილი არ იცვლება.

— მაშ, ჩვენ რომ ახლა კარი გავაღოთ და ხომალდიდან დედამიწაზე გადავცვივდეთ, არ დავეცემით ჩვენს პლანეტაზე? — იკითხა ბრიანმა.

— რა თქმა უნდა არ დავეცემით! — მიუგო კამარელმა. — ჩვენც მოძრაობის ისეთივე ენერგია გვაქვს, როგორც „რაუნიტს" და, მაშასადამე, კიდეც რომ გადავხტეთ აქედან, ვავყვებით მას სივრცეში იმავე სიჩქარით და მიმართულებით.

— მაინც ვერ გავიგე კარგად, — თქვა დინგკეიმ. — თუ „რაუნიტს" დედამიწა იზიდავს, რატომ ჩვენც არ მიგვიზიდავს?

— მოვარესაც იზიდავს ხომ დედამიწა? მაგრამ მოვარიდან საგნები დედამიწაზე როდი ცვივა?

— მოვარეზე საგნებს მთვარე იზიდავს? — ჰკითხა დინგვეიმ.

— თუ გნებავთ, აქაც იგივე ხდება. „რაუნიტი“ ამ შეუსხვევაში შეიძლება პატარა ციურ სხეულად ჩაითვალოს. იგი ვვიზიდავს ჩვენ, მაგრამ მისი მასა იმდენად მცირეა, რომ მის მიზიდულობას ჩვენ ვერც კი ვგრძნობთ.

მგზავრები როგორც იყო დაშოშმინდნენ.

— მაგრამ, როგორ უნდა ვიცხოვროთ ასეთ ყოფაში? — ოხრავდა დინგვეი. — განა სიმძიმეს მოკლებულ არეს ჩვენი სხეული აიტანს?

— როგორც ჩანს, აიტანს, — თქვა კამარელმა. — დედამიწაზეც ხშირია ისეთი მდგომარეობა, თუმცა ძალიან მცირე ხნით, როცა ადამიანის სხეული სრულებით ჰკარგავს სიმძიმეს. ან არის ვარდნის დროს, ან როცა ადამიანი გადახტება ერთი ადგილიდან მეორეზე იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, როცა ადამიანი მოშორებულია საყრდენს და თავისუფლად ვარდება, იგი ჰკარგავს სიმძიმეს, მაგრამ ეს არ აყენებს ზიანს სხეულის არც ერთ ფუნქციას: სუნთქვას, სისხლის მოძრაობას და სხვა.

— ამაზე მეტი ზიანი შეიძლება? — წამოიძახა დინგვეიმ, რომელიც მთელი ამ საუბრის დროს ამაოდ ცდილობდა, როგორმე მიმაგრებულიყო სავარძელს და საცოდავად ფამფალებდა ფეხებაშვერილი. უცებ როგორღაც უსერხულად დაჰკრა ფეხი იატაკს იმ დროს, როცა სავარძელს ხელები მოაშორა და დინგვეი ჰაერში აცურდა. კამარელმა ცალი ხელი მიაშველა და ფანჯრის ასლო ჰაერში გააჩერა. შემდეგ ხელი გაუშვა და უთხრა:

— გაშალეთ ხელები, ფეხები, როგორც გნებავდეთ, და მოისვენეთ. სიმძიმის უქონლობის გამო ჰაერში დაკიდულიც ისევე მოისვენებთ, როგორც მსუბუქ საწოლზე. თავი ვინდ მაღლა დაიჭირეთ, გინდ დაბლა, აქ არ არსებობს „ზევით“ და „ქვევით“, ვინაიდან არ არსებობს სიმძიმის ცენტრი, რომელიც საზღვრავს მიმართულებას.

დინგვეი ჰაერში გაშეშდა თავდაღმა.

— მართლაც მოსვენებითა ვარ, — თქვა მან. — რად ეწვალობდი ამდენ-ხანს სავარძელთან?

— როგორც ჩანს, საპლანეტთაშორისო ფრენისათვის ზედმეტი ბარგი ყოფილა სკამი, მაგიდა, საწოლი და სხვა ავეჯი, — შენიშნა ბრიანმა, ამოიღო ჯიბიდან პორტსიგარი, გახსნა, ერთი სიგარა პირში ჩაიდო და გახსნილი პორტსიგარი ჰაერში დასტოვა.

— მიირთვით, — შესთავაზა სხვებსაც.

კამარელმა ერთი სიგარა ამოიღო და პორტსიგარი თავქვე გადმოაბრუნა.

— ნახეთ, თუ საოცრება არ არის! — დაიძახა ჰაერში უძრავად დაკიდებულმა დინგვეიმ. — სიგარები არ სცვივა.

ბრიანი კი ამ დროს ასანთს ასანოზე ანთებდა, მაგრამ სიგარას ცეცხლი ვერ მოუკიდა: ასანთი ვერ ასწრებდა ანთებას, მყისვე ქრებოდა.

— რა დაემართა, ნეტა, ამ ასანთს? — ბუზღუნებდა იგი და ჰაერში ისროდა ასანთის ღეროებს, რომლებიც უფრთო მწერებივით ნელი კანკალით მოძრაობდნენ კედლისაკენ.

— ალი ქრება საკუთარი წვის პროდუქტებისაგან, — შენიშნა კამარელმა. — ცხელი ნახშირმჟავა, რომელიც გამოიყოფა წვის დროს, უფრო მსუბუქია, ვინემ მის გარშემო მყოფი ჰაერი და ჩვეულებრივი სიმძიმის არეში უმალ ზევით მიილტვის, მის ადგილს მჟავბადი იჭერს, ამნაირად ალი საბრდოობს. მაგრამ აქ სიმძიმე არ არის და ნახშირმჟავა იქვე რჩება, სადაც ჩნდება, გარს ეკვრის ალს, არ უშვებს მასთან მჟავბადს და ალიც ქრება. შეუბერეთ და ხელოვნურად მოაშორეთ ალს ნახშირმჟავა.

ბრიანმა კიდევ აანთო ასანთი, მაკდონალდმა ნელა შეუბერა და მართლაც სიგარას მოეკიდა.

ამ დროს დინგვეიმ ფანჯრის ოვალურ ჩარჩოს ხელი ჩასჭიდა და ფანჯრისაკენ მიიწია. გაიხედა ფანჯარაში თუ არა საშინლად დაიღრიალა:

— ვაიმე,. მიშველეთ, სადა ვართ?

ფანჯრიდან ჩანდა განათებული დედამიწის უზარმაზარი ბურთი „რაუნიტს“ იმდენად დაშორებული, რომ დინგვეის გონებაში დაუძლეველი სევდა ჩაეღვარა და გული წაუვიდა.

— წყალი, წყალი! — დაიძახა ბრიანმა, წაავლო ცალი ხელი დინგვეის და ძირს დასწია.

გულწასელს თვალები დახუჭოდა და ტუჩები უთრთოდა.

— მე მაქვს წვეთები! — თქვა მაკდონალდმა და საჩქაროდ გახსნა თავისი ჩემოდანი. ამოიღო ყავისფერ სითხიანი პატარა შუშა და წვეთის სასმელი ჭიქა.

— დამიკავეთ ჭიქა! — მიმართა კამარელს.

— დადგით ჰაერზე, დაჭერა რად უნდა?

— ჰო, დამავიწყდა, — და მაკდონალდმა ჭიქა ჰაერში გააჩერა, მოხსნა შუშის საცობი და წყალი ფეხარა ჭიქის თავზე, რომ წვეთები დაეთვალა.

ბევრი ატრიალა, მაგრამ შუშიდან წვეთები არ იღვრებოდა. შუშა თვალთან ახლო მიიტანა და ვახედა.

— რა დაეხართა, ნეტა, სომ არ შედედდა?

სითხე ჩვეულებრივად კამკამებდა შუშაში.

— რად უნდა გადმოიღვაროს, რა ძალა ადგას? — თქვა კამარელმა. — შუშას ფსკერზე ხელი დაარტყით და სითხეც წამოვა.

მაკდონალდმა სამჯერ დაჭკრა თითი შუშის ფსკერს და იმ წამსვე შუშიდან ამოიბურთა ყავისფერი სითხე, კაკლის ოდენა ბუშტებივით ამოგორდა და იატაკისაკენ დაეშვა. მოხვდა თუ არა იატაკს, მაშინვე რგოლივით გაიშალა და ზედ შეეწოვა.

— ეს რა მოუვიდა? — გაუკვირდა მაკდონალდს.

— რაც უნდა მოსვლოდა, — უპასუხა კამარელმა, — სიმძიმეს მოკლებულ სივრცეში თავისუფლად მიშვებული სითხე სფერულ ფორმას იღებს. რაიმე სხეულს თუ მოსვდა, თუ ის გაქონილი არ არის,ზედ შეეწოვება.

— ჩვენი საშველი არ ყოფილა და ისაა! — სასოწარკვეთილებით წარმოთქვა მაკდონალდმა და ცარიელი შუშა გადაუგდო.

შუშა კედელს მოხვდა და ისევ მაკდონალდს დაუბრუნდა.

ამასობაში დინგვეი თვითონ მოვიდა გონზე და თვალები გაახილა.

— წყალი! — ძლივს გასაგონად წამოიძახა.

ბრიანმა მაგიდაზე შენიშნა წყლით სავსე გრაფინი, ლითონის სალტეში ჩასმული. ამოაძრო ბუდიდან, მოხადა საცობი და ქვემოდან ხელი ჰკრა.

გრაფინიდან ნელ-ნელა ამოიბუშტა წყალი და ერთ კეება წვეთად რსევითა და ციმციმით აცურდა ჰაერში.

— ვინ დაიჭერს ახლა ამ წყლის ბურთს, რომ ავადმყოფს პირი დავუსველოთ? — შეწუხდა მაკდონალდი.

— კიდეც რომ დაიჭიროთ, არაფერი გამოვა, — თქვა კამარელმა. — ასეთი ბურთის ჩაყლაპვა არც ისე ადვილია.

— მაშ ჩვენ აქ წყალი ვეღარ დაგვილევია? — გაბრაზდა მაკდონალდი.

— აქ სმისთვის სხვაგვარი სერხია საჭირო. ღვინო ხომ არავის აქვს? — იკითხა კამარელმა.

— მე მაქვს! — და ბრიანი თავის კაბინაში გაცოცდა და ერთი ბოთლი ფრანგული „ბორდო“ შემოიტანა, საცობი ამოაძრო და კამარელს გადასცა.

კამარელმა ჯიბიდან ამოიღო საიუთუნე მუნდშტუკი და დინგვეის პირში ჩაუდო. მერე ღვინიანი ბოთლი მუნდშტუკის მეორე ბოლოს ზედ დაამხო.

— მოსწოვეთ! — უთხრა დინგვეის და ბოთლს ხელი გაუშვა. როცა საკმაოდ შესვა, ბოთლი მოაშორა და მუნდშტუკიც პირიდან ამოაძრო.

დინგვეი ღვინომ ჯანზე მოიყვანა და ჭამის მადა გაუხსნა.

— ფასჯარასთან მდგარს მე ამის მეტად ვეღარ მნასავთ, — თქვა მან და მოაჯირს მოჰკიდა ხელი.

— ნუ ღელავთ, დაისვენეთ! — უთხრა კამარელმა. — ყველაფერს შეეჩვევით, დაისვენეთ! საშიში აქ არაფერია!

— მართალი ხართ. ახლა კარგად ვგრძნობ თავს. წარმოიდგინეთ, მომშივდა კიდეც.

— კუჭი თავის ჩვეულებას უჩვეულო პირობებშიაც არ იშლის, — შენიშნა მაკდონალდმა და უეცრად იკითხა: — ელექტრონი ხომ მოქმედებს აქ ჩვეულებრივად?

— ისევე, როგორც დედამიწაზე, — მიუგო კამარელმა.

— მადლობა ღმერთს! — წამოიძახა ბრიანმა. — მაგრამ საიდან არის ამდენი ენერგია ამ ხომალდზე, ნუთუ ყველაფერს ის ლურჯი კოლოფი ამოძრავებს?

— ენერგია აქ გამოულეველია, — მიუგო კამარელმა. — ლურჯი კოლოფი ხომ ატომის უსაზღვრო ენერგიის შეკუმშული რეზერვუარია, ულევი და საწყაო მიუდგომელი, მაგრამ სიიბოსა და ელექტრონს ხომალდი ღებულობს მზის სხივებისაგან განსაკუთრებული მოწყობილობის მეოხებით. აქ ხომ ეზე განუწყვეტლად ანათებს, ვინაიდან აქ „ღამე“ არ არის და არც ღრუბელი ეფარება მას.

— მაშ, არც ისე ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე, — წამოიძახა მაკდონალდმა. — მე თან მომაქვს ყოველ შემთხვევისათვის ელექტრონის სამზარეულო, თუ აქ სადმე შტეპსელს ვიპოვნით, — კაბინას ირგვლივ თვალი მოავლო, — აგერ, მაგიდასთან, ბარე ორი ერთად.

მაკდონალდი ისევ თავის ჩემოდანს მიუბრუნდა! ამოალაგა ელექტრონის სამკუთხა ღუმელი, ტაფა, საყავე, კონსერვები და სხვა სანოვაგე და დიდი სიფრთხილით, რომ მცირეოდენი ბიძგის ან შებურვისაგან ჰაერში არ აფრენილიყო ყველაფერი, უსუნთქავად დაიწყო მაგიდაზე და შეუდგა საუზმის მზადებას. თუმცა სულ ერთი იყო მაგიდაზე „დააწყობდა" სანოვაგეს თუ ჰაერზე, მაინც ფსიქოლოგიურად უფრო ჩვეულებრივი და ბუნებრივი იყო მაგიდასთან მუშაობა.

— ისეთი საბიფშტეკსე სუკი მაქვს თბილისიდან წამოღებული, რომ მოგეწონებათ! — ამბობდა დიდი ბრიტანეთის პრემიერი და მზარეულის როლით გატაცებული დიდ ფაციფუცში იყო.

ტაფაზე კარაქი აშუშუნდა. „მზარეულმა" ზედ სუკის ნაჭერი დადო, მაგრამ იმავ წამს კარაქის მკვრივმა ორთქლმა სუკი ააგდო.

ბრიანი, რომელიც რამდენიმედ უკვე შეეგუა უჩვეულო მდგომარეობას, გამოეკიდა გაფრენილ ბიფშტეკსს, დაიჭირა, კვლავ ტაფაზე მოათავსა და ზედ თეფში დაასურა.

— თეფშს თითი დააჭირეთ, — უთხრა კამარელმა, — და გიდრე ხორცი არ შეიწვება, ხელი არ შეუშვათ.

მაკდონალდმა თეფშს თითი დააჭირა, მაგრამ მაშინვე იატაკს მოშორდა და გრძელი ფეხებით ჰაერში გაიჭიმა.

კამარელმა ხელი სტაცა უხეირო მზარეულს, ძირს დასწია, აიღო ჩემოდნის ღვედი და მარჯვენა ფეხით მაგიდის ფეხზე მიაკრა.

— გიშველოთ ღმერთმა! — წამოიძახა მაკდონალდმა და უფრო იმედიანად და თავისუფლად შეუღგა თავისი ახალი მოვალეობის შესრულებას.

დიდი წვალებით, მაგრამ, როგორც იყო, სუკი შეიწვა და მგზავრები შეექცნენ უცნაურ საუზმეს.

დინგვეიმ ცხვირსახოცით მაგიდის მეორე ფეხზე მიიმაგრა თავისი აფარფატებული სხეული და ამგვარად მოიპოვა წო-

ნასწორობა, კამარელი და ბრიანი კი, ეკლესიის გუმბათზე მიხატული მოციქულებივით, ჭერქვეშ იყვნენ გაწოლილნი და ისე მიირთმევდნენ სუკის ნაჭერს.

მაკდონალდი ასლა ყავის სამზადისს შეუდგა. დინგვეი კაბინიდან წყლით სავსე გრაფინი გამოიტანა და წყლის ბეშტი დიდი წვალებით ჩასვა საყავეში. მაგრამ აქაც ჩვენს მზარეულს მარცხი შეემთხვა: საყავეს ორგვლივ მოედო წყლის თხელი შრე, ნაპირიდან გადმოეფინა და მაგიდაზე გაიშალა.

— საყავის კიდურს კარაქი წაუსვით და წყალი არ გადმოვა, — ურჩია კამარელმა.

— გადმოვიდა და ეგ არის, კი აღარაფერი დარჩა შიგ, — ბუზღუნებდა მაკდონალდი.

წყალი ბრიანის კაბინიდან მოიტანეს. საყავის გაქონილმა ნაპირებმა წყლის ბუშტი შიგ დააკავა და ცხელი ყავის დალევის იმედი ისევ გაცოცხლდა.

მაგრამ ვავიდა საკმაოდ დიდი დრო და საყავე დუღილს არ აპირებდა. არა თუ დუღილს, წყლის ოდნავ გათბობასაც ვერ ეღირსა გაოცებული მზარეული და ისევ აბუზღუნდა:

— ღუმელი ცხელია, საყავის ფსკერიც გავარვარებული და წყალი რად არ დუღს?

— ადუღდება, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ, — თქვა კამარელმა.

— როდისღა? — ხვალამდის ხომ ვერ დავიცდით?

— შესაძლოა ხვალამდეც არ ადუღდეს. თუმცა არ ვიცი რას ნიშნავს „ხვალ" იქ, საცა არც დღეა და არც ღამე.

— მაინც რა მოუვიდა წყალს, რომ სითბოს არ იკარებს?

— სიმძიმე დაჰკარგა.

— სიმძიმე რა შუაშია? — ჩაერია დინგვეი.

— მოიგონეთ, — თქვა კამარელმა, — როგორ დუღს წყალი ჩვეულებრივ პირობებში: გახურებული ფსკერიდან ცხელი წყალი ზევით იწევს, როგორც უფრო მსუბუქი, მის ადგილს ცივი წყალი იჭერს, ვიდრე გათბებოდეს, რომ შემდეგ ისევ მაღლა ავარდეს; ამგვარად თბილი და ცივი წყალი ურთიერთეორეს სცვლის, ჩქარა ცხელდება და იწყებს დუღილს. აქ კი ცხელი წყალი ფსკერზე რჩება და ზედა, ცივი ფენა შეიძლება გათბეს მხოლოდ სითბოგამტარობის მეოხებით. სითბოგამტარობა კი წყალს ძალიან მცირე აქვს. ჩვენს პირობებშიაც

ქვაბს რომ ცეცხლი ზევიდან ხუფზე დაუნთო, ასევე გვიან ადუღდება წყალი.

— ჰაერიც ცუდი გამტარია სითბოსი. როგორღა თბება კაბინა, შენიშნა მაკდონალდმა.

— დააკვირდით ამ კედელს, — მიუგო კამარელმა და ზევიდან გადმოხედა ფანჯრიდან კედელს, — მაგრამ ჯერ შეგეკითხებით: რითია გაკრული, თქვენი აზრით, კაბინის კედლები?

— სავერდით; ან მის მაგვარი ქსოვილით, — უპასუხა ბრიანმა.

— მეც ასე მეგონა პირველად, მაგრამ აბა, შეახეთ ხელი! ეს მომწვანო სავერდი ჩვენთვის უცნობი ლითონია, რომელიც ელექტრონის სითბოს აცრცელებს, მაგრამ თბილი ჰაერი კედლებს არ მოშორდებოდა და კაბინა დიდხანს არ გათბებოდა, ფანჯრის მსარეზე განსაკუთრებული აპარატი რომ არ იყოს მოწყობილი კედელზე. სომ ხედავთ მთელი კედლის გასწვრივ კარნიზივით გაყოლებულ სრიალას? მისი ტრიალი იწვევს ჰაერის შეუმჩნეველ მოძრაობას და თბილი ჰაერი განუწყვეტლივ სცილდება კედლებს და ათბობს მთელ კაბინას.

მგზავრებმა მხოლოდ ახლა შენიშნეს ყველაფერი ის, რაზედაც კამარელი მოუთხრობდა: სრიალას ზემოთ კუთხეებში ორი რაღაც პატარა მანქანა მოძრაობდა კიდევ.

— ეგ რაღა მანქანებია? — იკითხა დინგვეიმ.

— მარცხნივ რომ არის, ის მანქანა მუავბადით ჰკვებავს ჰაერს, მარჯვნივ კი ჰაერს სწმენდს, ნახშირმჟავას ისრუტავს.

მაკდონალდმა ყავა რომ ვეღარ აადუღა, თავი დაანება საყავეს.

— ღვინო მაინც დავლიოთ, — თქვა მან და „ბორდოს“ წაავლო ხელი.

შუნდშტუკით რიგრიგობით „მოსწიეს“ ღვინო და „წამოწვნენ“ დასასვენებლად.

— თქვენ ღღეს ჩემი სტუმრები ხართ, — მიმართა მაკდონალდმა კაბინაში მყოფთ, — რადგანაც ჩემს ოთახში ისვენებთ. ბოდიშს ვიხდი, რომ უკეთ ვერ მოგასვენეთ, — თქვა ეს თუ არა, ფეხზე ღვედი შეიხსნა და ჰაერში გაიშოტა. დინგვეიმაც

ფესი გაითავისუფლა და მაკდონალდის ქვემოთ თავდაღმა დაეკიდა.

კამარელი და ბრიანი ჭერთან ოდნავ ქანაობდნენ. ბრიანს თითქო ჩასძინებოდა, სოლო ჩაფიქრებული კამარელი ფანჯრიდან სივრცეს გასცქეროდა.

უცნაური „ცა“ მოჩანდა. სამყაროს წყვდიად ღამეში მზე ანათებდა, მაგრამ ბნელ ცას სინათლე არ ეფინებოდა. ასლად დაფერილივით ბრწყვიალებდნენ სსივგაყინული ვარსკვლავები, დედამიწა კი ბრწყინავდა, როგორც უზარმაზარი დისკო თეთრად ასსივებულ პოლუსით. მთვარე თეთრ შუქიანი ფარანივით წინ მიუძღოდა მას სამყაროს ბნელ უდაბნოში. ოკეანეთა შუქ სივრცეზე ნათელ ლაქებად ელავდა სმელეთის ნაწილები, ძლივს ირჩეოდა ციმბირის თოვლიანი ველი და კავკასიონის თეთრი ქედი. კამარელის ფიქრი თავს დასტრიალებდა ამჟამად ცის მანათობელ სსეულად გადაქცეულ დედამიწას, კაცობრიობის სისსლითა და ცრემლით, ნაღველითა და იმედით დატვირთულ სომალდს.

უცებ დედამიწა დაქანდა და სადღაც ნაიმსსვრა, ვარსკვლავები ხაზებად იქცნენ და კამარელმა იგრძნო, რომ იატაკზე ეცემა და იმავ წამს ოთხივე მგზავრი ძირს ვანირთხა, ჭერთან ჰაერში მოლივლივე ცარიელი ბოთლი იატაკს დაენარცხა და დაიმსსვრა.

— რა ამბავია? რა მოსდა? — წამოიძახეს გაოცებულმა დელეგატებმა და ფესზე წამოდგნენ.

— სიმძიმე დაგვიბრუნდა! — დაიღრიალა დინგვეიმ და კაბინაში თამამად და მძიმედ გაიარ-გამოიარა.

კამარელი კაროს კაბინაში გავარდა.

— ალბათ, რომელსამე დიდ პლანეტას მივუასლოვდით,— თქვა ბრიანმა.

— ჩვენ ირგვლივ დედამიწაზე უფრო დიდი ჯერ არაფერი მოჩანს, — მიუგო მაკდონალდმა.

— იქნება შედგა „რაუნიტი“ და ჩვენც მოძრაობის ინერცია დავკარგეთ?

— მაშინ დედამიწა მიგვიზიდავდა.

— რა იცით, იქნება დედამიწაზე ვვარდებით? — შეეშინდა ბრიანს.

ასეც რომ იყოს, სიმძიმე მაინც არ უნდა დაგვბრუნებო-

და, — უპასუხა მაკდონალდმა, — ვიდრე დავეცემით მიწაზე, ხომ თავისუფალი ინერციით ვიქროლებთ სივრცეში? მაშასადამე არც სიმძიმეს უნდა ვგრძნობდეთ.

— მაშ რა უნდა იყოს?

შემოვიდა კამარელი.

— მოქალაქენო! ინჟინერი კარო გითვლით სალამს და გთხოვთ, სადილად ეწვიოთ მას ერთი საათის შემდეგ.

— რა მოხდა? რამ შეცვალა ზდგომარეობა? — ეცნენ კამარელს ყოველი მხრიდან.

— რომ წყალმა იდინოს, ხორცი შეიწვას და ჩვენც შევვეიმლოს ჩვეულებრივ პირობებში ჭამა და მოსვენება, კაროს „რაუნიტი" ბისი ღერძის ირგვლივ დაატრიალა. ასე რომ ახლა „რაუნიტი" პაწაწინა ასტეროიდივით ბრუნავს.

— ზერე?

— სხვა არაფერი, — მიუგო კამარელმა.

— რამ დაიგვიბრუნა სიმძიმე? — ჰკითხა მაკდონალდმა.

— „რაუნიტის" ტრიალმა.

— რანაირად?

— ცენტრიდანული ძალის საშუალებით. სწრაფად მბრუნავმა „რაუნიტმა" შექმნა ცენტრიდანული ძალა, რომლის მოქმედებას განვიცდით ჩვენ ახლა, როგორც სიმძიმეს.

— ესე იგი ჩვენ მივისწრაფით მოვწყდეთ „რაუნიტს" და ვიქროლოთ მის გარეშე? — იკითხა მაკდონალდმა.

— სწორედ. ამიტომ ჩვენ ვაწვებით იატაკს ისე, თითქო მისი გარღვევა გვსურდეს.

— სრული ილუზიაა მსოფლიო მიზიდულობის, — თქვა ბრაანმა.

— აკი ამტკიცებს სასელგანთქმული აინშტაინი, რომ მსოფლიო მიზიდულობისა და ცენტრიდანულ ძალთა შორის ფრაქციონარი განსხვავება არ არსებობ! ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სელოვნურად შევქმენით მსოფლიო მიზიდულობის არე.

კამარელი კაროსთან წავიდა.

დინგვი თავის კაბინაში შევიდა. ონკანი ღია დარჩენოდა და წყალი ჩხრიალით იღვრებოდა ფაიფურის ბაკანში. გრაფინი ავსო, სიამოვნებით დალია ცივი წყალი და ისევ ტალანში გავიდა, სადაც ბრიანი და მაკდონალდი სეირნობდნენ და მათ შეუერთდა.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ ტალანში კამარელი გამოჩნდა.

— მასპინძელი გვიცდის, — შორიდანვე გაესმაურა იგი დელეგატებს, — სადილი მზად არის.

— ჩვენ მზადა ვართ, — შესძახა მაკდონალდმა ბრიანსა და დინგვეის და მეგობართა სამეული კამარელისკენ წამოვიდა.

კამარელი მათ კაროს კაბინაში შეუძღვა.

სუფრა უკვე გაშლილი იყო.

დელეგატები გააკვირვა პირველსარისსოვანმა table d' hote-მ და მადის აღმძვრელმა სურნელებამ. განიერი კაბინის გიშერივით შავი კედლებისა და ჭერის ფონზე იშვიათი ხელოვნებით შესრულებულ Nature Mort-ივით ბზინავდა დიდი ოსტატობით მორთული სუფრა, ფაიფურით, ბროლითა და ვერცხლით დამძიმებული. ოქროსფერ საცობიან ღვინის ბოთლებს შორის სუფრაზე იდგა სამი მაღალი ჩინური ლარნაკი ცოცხალი ყვავილების თაიგულებით. ყვავილთა შორის განირჩეოდნენ თეთრი ზამბახის მოზრდილი ფიალები, რომელნიც ელექტროსანათურებივით ანათებდნენ. ელვარე ყვავილებით გაოცებული დინგვეი მიუახლოვდა სუფრას და შეუმჩნევლად ხელი შეავლო ერთ-ერთ ზამბახს. თითებს მოხვდა ხავერდივით რბილი და სათუთი ფოთოლი. თითქო დინგვეის ნების გარეშე თითებმა მოულოდნელად ზამბახს ფოთლის ნახევარი აახიეს. დინგვეიმ ყვავილის ნახევარი თითებით სელისგულზე დაისრისა და ხელზე დაიხედა. ხელისგულზე და თითებზე გასრესილ ციცინათელას ნაკვალევივით ციმციმებდა ფოსფორული ზოლები. ცსადი იყო, თუმცა ძნელად დასაჯერებელი, რომ კაბინას ანათებდა ცოცხალი ყვავილის შუქი.

მეზობელ კაბინიდან გამოვიდა კარო და დელეგატებს მიესალმა.

— ხომ არ მოგწყენინდათ „რაუნიტზე?" — ჰკითხა მან მგზავრებს და სუფრაზე მიიპატიჟა.

— მოწყენას რა უნდა გაუგონარ ჯადოსნურ ფანტასტიკურ ბუდეში? — ღიმილით მიუგო დინგვეიმ, და ბრიანს მიუჯდა.

— თქვენ აქ დაბრძანდით, ჩემს გვერდით, — მიმართა კარომ კამარელს და სკამი შესთავაზა. — თქვენთვის მე აქ მომარაგებული მაქვს თქვენი საყვარელი ქართული საჭმელები. —

ფანტასტიკასა და ჯადოსნობას, — მიუბრუნდა იგი დინგვეი-ის, — ჩვენ არ ვიცნობთ. ყველაფერი, რასაც თქვენ „რაუნიტ-ზე" ხედავთ, ბუნებრივია და რეალური.

ყველანი დასხდნენ.

— ესეც ბუნებრივია? — წამოიძახა დინგვეიმ და მარცხენა ხელი ასწია. ხელისგულზე და თითებზე ჟანგივით აჩნდა სხი-ვოსანი ზამბახის მიმსგავსი სისხლი.

— სავსებით, — მიუგო კარომ და თაიგულიდან ერთი ზამ-ბახის ღერო ამოაძრო. ღეროს მოსწყდა ცეცხლივით აკრიალე-ბული წვეთი და სუფრაზე დაეცა. წვეთის წინწკლები სხივე-ბივით გაიფანტნენ. ირგვლივ. — ლარნაკში მოთავსებულია ფოსფორის სითხე, ლეტარგინით შეზავებული, — განაგრძო მან, — ამ სითხით იკვებება ყვავილი და მისი მეოხებით ყვა-ვილის ამ უჯრედებს, რომელნიც სურნელებას გამოსცემენ, ეძლევა სხივების ემანაციის ძალა. ამ უბრალო საშუალებით შესაძლებელია ყოველგვარი ცოცხალი სხეულის სინათლის წყაროდ გადაქცევა.

კარომ ზამბახი ბრიანს გადასცა. დელეგატებმა დიდი ცნო-ბისმოყვარეობით დაათვალიერეს ანთებული ყვავილი და კა-როს დაუბრუნეს, რომელმაც ისევ ლარნაკში ჩადო.

ყველაფერი გასაკვირი იყო და უჩვეულო ჩვენი მგზავრე-ბისათვის ამ საოცარ ხომალდზე, ამიტომ თავი შეიკავეს გან-ცვიფრებისაგან, როცა ყოველ დელეგატს სუფრაზე მისი საყ-ვარელი საჭმელების საგანგებოდ შერჩეული კერძები დახვ-და, ვინ დაამზადა ამ ხომალდზე ამდენი საჭმელი? როგორ მოასწრო ერთი საათის განმავლობაში მრავალგვარი კერძის დამზადება ან ვინ არის ის მზარეული, რომელიც ასეთს სას-წაულს ჩადის? მიუხედავად ამ კითხვათა სრული გაურკვევ-ლობისა, მგზავრები დიდი სალისითა და მადით შეუდგნენ სა-ღილობას. როცა ღვინომ სისხლი საკმაოდ შეასურა, ენამაც მეტი სარბიელი იპოვა და ბევრი ფარული გულისთქმა უნებ-ლიედ ამოაცოცა ბასუსმა.

— ბატონებო! — გრგვინავდა ბრიანი. — ბევრ ბანკეტს და-ვესწრებივარ, ბევრჯერ მჭერია ხელში ღვინით სავსე ჭიქა, როგორც ელვარე სმალი, და ბევრი სიტყვა მითქვამს დანასა-ვით მჭრელი და ტყვიასავით მძიმე, მაგრამ ამგვარი პასუხსა-გები და ჟრუანტელის მომგვრელი მომენტი მე ჯერ არ გან-

მიცდია. ყოველთვის, როცა სიტყვისთვის წამოიჭდებოდი ხოლმე, მე მხედველობაში მქონდა ტერიტორია, რომელზედაც ვ ადექი და დროშა, რომელიც ჩვენს თავზე ფრიალებდა. ვის მიწა-წყალზე ვდგავართ ახლა ჩვენ? ვისი დროშა გვმფარველობს? მე არაფერს ვამბობ მარსზე, რადგანაც ჩვენ მას უფრო დაშორებული ვართ, ვიდრე დედამიწას. სად არის ახლა დედამიწა? იგი ლამის ჩვენს თვალწინ ვარსკვლავად გადაიქცეს და მეც შეუცნობი შიშის განუცდელი გრძნობით მავსებს წარმოდგენა, რომ ჩვენ დედამიწის გავლენის გარეშე ვიმყოფებით. მაგრამ მე მჯერა ტექნიკის ყოვლის შემძლეობა. ჩვენ დავბრუნდებით ისევ ჩვენს პლანეტაზე ახალი ცოდნით, ახალი სიბრძნით შეიარაღებულნი და ჩვენი ქვეყნის დროშას ახალი სსივებით შევმოსავთ.

ბრიანმა ჭიქა გამოსცალა და კაროს თავი დაუკრა.

— თქვენი წესის მიხედვით სიტყვა მე მეკუთვნის, — თქვა კარომ, — მაგრამ მე სათქმელი არაფერი მაქვს, და თუმცა თამამად არ აგირჩევივართ, სიტყვას მაკდონალდს ვუთმობ.

მაკდონალდი ამ დროს წიწილის ფრთას ასრამუნებდა, საჩქაროდ გაისწორა ხელსასოცით ულვაში და წამოდგა.

— მეგობრებო! — დაიწყო მან ოდნავ ათრთოლებული სმით, — არასოდეს არ მიგრძვნია თავი ისეთი ნიადაგგაძოცლილი, როგორც ახლა, არასოდეს არ შევუპყრივარ მარტოობის გრძნობას ისე, როგორც ამჟამად. ყოველი პოლიტიკური მებრძოლი ანთეოსსა ჰგავს, მის ძალას ჰკვებავს უწინარეს ფესვებით ის სოციალური ნიადაგი, რომელზედაც ის აღორძინდა. სადა ვარ ახლა მე? სადღაც ჰაერში ვკიდივარ. უფრო მეტიც — ჰაერსაც მოშორებული ვარ. გაჩხირული ვარ სადღაც ცის სივრცეში ორ მსოფლიოს შუა. რა ძალას უნდა ვგრძნობდე ასეთ მდგომარეობაში? მაგრამ, მეგობრებო, მიუხედავად ამისა, არასოდეს არ მწამდა ხალხთა შორის სოლიდარობა ისე, როგორც ახლა. ვთქვათ გულწრფელად ყველაფერი, რასაც ვგრძნობთ. დრედნოუტებითა და ტანკებით გარშემორტყმულნი არა ვართ, არაფრის შიში არა გვაქვს, ვიქნეთ სავსებით გულახდილნი. იქნება ამ ზღაპრულმა დაშორებამ უფრო ღრმად ჩაგვახედოს ჩვენს საერთო ტკივილებში და მოგვცეს საღი აზროვნების უნარი. შევკრათ პირი, რომ დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ, ვიბრძოლებთ საერ-

თო ინტერესებისათვის, საერთო ძალ-ღონით და საბოლოოდ უკუვაგდებთ ურთიერთ სიძულვილსა და მტრობას. შეთანხმება ყოველთვის ჩემი დევიზი იყო და აქ განსაკუთრებული სიცხადით ვგრძნობ ამ დევიზის სიმართლეს. მხოლოდ შეთანხმებული მუშაობით არის შესაძლო იმ გრანდიოზული მიზნის მიღწევა, რაც ამჟამად ჩვენს წინაშე არის დასახული, მხოლოდ საერთო საქმის სიყვარულს ძალუძს აღამაღლოს ჩვენი დროშა იმ სიმაღლემდე, საიდანაც თანაბრად მოჩანს მთელი კაცობრიობა.

— მე ამკარად უნდა განვაცხადო, — თქვა დინგვეიმ, — რომ ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ყოველგვარი ირაციონალურისა და არასოდეს არ მომწყურებია გაუგებარის გაგება. ვიყავი ჩემთვის მკვიდრად, მყარად და სუთი თითივით ვიცოდი ქვეყნის ავ-კარგი, ასლა კი ისეთს ყოფაში ჩავვარდი, რომ აღარ ვიცი, რა სდება ჩემს გარშემო. სიმძიმესთან ერთად დავკარგე რეალობის გრძნობაც და ყოველ წუთს ველი გაუგონარს და უნასავს, ასე მგონია, საცა კარს შემოაღებს ცეცხლის მასვილიანი მთავარანგელოზი და მამა ღმერთის ბრძანებას გამომიცხადებს. ბრიანმა თქვა, აღარ ვიცი, ვის ტერიტორიაზე ვართ. მამაღმერთის ტერიტორიაზე ვართ, მეგობარო, და დროშაც რომ გვქონდეს, საეკლესიო ბაირაღი უნდა აგვემართა, სადაც სულიწმიდაა გამოსახული მტრედივით და საბაოდ ღმერთის ცალი თვალის სამკუთხედი. დედამიწასთან ერთად გაქრა ყოველგვარი რეალობა და ამ გაყინული სივრცის უდაბნოში ფანტასმაგორიაა ჩვენი ბანკეტი. მე არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ვინაიდან ყველამ ახსენეთ კაცობრიობის დროშა, მეც მინდა შევძახო: გაუმარჯოს ჩვენს დროშას!...

დინგვეი დაჯდა და ჭამა განაგრძო.

კარომ კამარელს გადახედა.

ჩამოვარდა სიჩუმე, რასაც დინგვეის კბილების რაკარუკი და ბრიანის მძიმე სვნეშა არღვევდა.

— მე მაქვს სამივე ორატორის მიმართ ერთი შეკითხვა, — თქვა კამარელმა, — მე მინდა ვიცოდე, რომელია ის დროშა, რამაც უნდა გაერთიანოს დედამიწაზე ჩვენი მუშაობა.

— ეს არის კაცობრიობის დროშა, — მიუგო ბრიანმა.

— რა წერია ამ დროშაზე?

— ცივილიზაცია და პროგრესი.

— ვინ ატარებს მას?

— განათლებული ქვეყნები.

— ყავას ხომ არ მიირთმევთ? — შეეკითხა დელეგატებს ჯარო.

დელეგატებმა ვერც კი მოასწრეს პასუხი, რომ სასეირო ცხელი ყავის ორთქლი ეცათ. წინ რომ დაისხედეს, შავი ყავით დაორთქლილი ფინჯნები შენიშნეს. ვინ მოიტანა, როდის? ნუთუ ლაპარაკით ასე გაერთხენ, რომ ყავის ჩამორიგება ვერ შეამჩნიეს? თუ ესეც ის ჯადოსნური თვალთმაქცობაა, რომლითაც სავსეა ეს საოცარი ხომალდი?

ამ დროს მოულოდნელად ასმაურდა რადიო აპარატი და კაბინაში გაისმა „რაუსიტის" ევროპელი სტუმრებისათვის ნაცნობი პარიზის ერთ-ერთი ფეშენებელური რესტორნის კონფერანსიეს თავაზიანი სიტყვები.

— ბატონებო! — აბმობდა კონფერანსიე, — ამ საღამოს ჩვენი კონცერტი მიეძღვნა ჩვენი ქვეყნის სახელოვან ბელადს არისტიდ ბრიანს. (გაისმა დარბაზის გუგუნი: Vive Brian!) ამჟამად, როგორც მოგეხსენებათ, ის მეთაურობს მარსზე წარგზავნილ დელეგაციას. ვინ იცის, სად არის ის ამ წუთს? იქნება უშორეს რაიმე ვარსკვლავთაშორის გაყინულ სივრცეში? მგზავრობა გაუგონარია, ათას ხიფათიანი და ფანტერაკიანი. მხოლოდ შეუდარებელ პატრიოტს, სწორუპოვარ ვაჟკაცს და უდრეკ პოლიტიკურ მოღვაწეს შეეძლო ასე თავის გაწირვა. ვუსურვოთ მას გამარჯვება და მშვიდობით დაბრუნება.

კაბინაში გაისმა რესტორნის დარბაზის გუგუნი: მოწონების ხმები, ტაში და ნელი ლირიული მუსიკა.

ბრიანს თვალში ნამი ჩაუდგა.

უხერხულობის გრძნობა შესცვალა სულ სხვა ემოციებმა.

— ესეც თქვენებური ნამცხვრები, — კარომ ბრიანსა და დინგვეის ევროპული ქადები გადააწოდა, — ეს კი თქვენი საჭაპური, — მიმართა კამარელს. — ესეც თქვენი საყვარელი ბისკვიტი, — და კარომ მაკდონალდს წინ დაუდო ინგლისური ბისკვიტით სავსე ლამბაქი.

ბისკვიტის ხსენებაზე მაკდონალდს ფერი ეცვალა და კამარელს გადახედა.

კამარელის თვალებში შეკავებული ღიმილი ფრთებს ილეწდა.

მაკდონალდმა ყავა ისე მოსვა, თითქო შხამიანი ფიალა დასცალო.

სადილი დასრულდა.

დელეგატებმა კაბინებს მიაშურეს და ღვინით აფორიაქებული სხეული ჩვეულებრივ საწოლზე დაასვენეს.

კამარელიც სიამოვნებით გაიშლართა დამძიმებული ტანით თავის საწოლზე.

იყო აბსოლუტური სიჩუმე და სრული უძრაობის შთაბეჭდილება.

კამარელს მალე ჩაეძინა.

უცბად თბილისში გაჩნდა.

ირგვლივ რატომღაც თოვლია და გაყინული ქარი ქრის.

კამარელი გარბის ამ თოვლის მინდორზე, მაგრამ ეს თოვლი კი არ არის, არამედ შუშასავით მაგარი და გაბეჭვირვალე ყინულია.

ქარი ყინულის ნამსხვრევებს აყრის სახეზე და სულს უხუთავს.

ყინულის ერთ ზიდზე სამი კაცი ზის.

— სად არიან სხვებიო! — უყვირის მათ კამარელი.

— დაიღუპნენ!

ერთს მათგანს ფესი დაჰზრობია და სამინლად გასივებია. უჭირავს ორივ ხელით ეს უზარმაზარი ფესი და ამბობს:

— მე ველარ ვიკლი! დამტოვეთ აქ! თქვენ მაინც უშველეთ თავს!

— გვებრალებით! — ეუბნებიან მას.

— თუ გებრალებით, ყინულზე პატარა ხიფლავი ამომიჭერით და შიგ მომათავსეთ!

— დათვმა რომ შეგჭამოს?

— სამარეც ძისთვის მინდა, რომ დათვმა ვერ მომნახოს.

ორი კაცი საჩქაროდ სჭრის ყინულს რკინის ბარებით.

ოდნავ ჩაღრმავებულ ყინულში აწვენენ ფესდამზრალს. ემშვიდობებიან და მიდიან. უცებ მობრუნდებიან.

— გვებრალებით! ვერ დაგტოვებთ!

— დამტოვეთ! შემიბრალეთ! — შიშისაგან აკანკალებული ხმით იძახის ფესდამზრალი.

— ვერ დაგტოვებთ! გაიხადეთ ტანზე! — მოულოდნელად უყვირის ერთი.

ფეხდამზრალი ტირის და ნელ-ნელა ისდის ტანზე.

სრულიად გაშიშვლებული წვება ყინულზე.

უცებ რევოლვერი იჭექებს და შიშველი ადამიანის უპლ-ზე სისხლი გამოყონავს.

— მკლავები ასლავე შევწვათ და შევჭამოთ, — ამბობს ერ-თი. — დანარჩენი ხორცი აქვე დავფლათ და შევინახოთ.

— კარგი, — ეთანხმება მეორე და ვეება დანით სჭრის მკლავს მხრის სახსარზე.

კამარელს გული ერევა და გარბის.

ხედავს ყინულში ჩაფლულ თვითმფრინავს.

გარს ესვევა სალხი, ეჭიდებიან, მაგრამ ადგილიდან ვერ დაუძრავთ.

კამარელი პროპელერს ატრიალებს და თვითმფრინავის ძრავაც ნელ-ნელა ამოძრავდება.

— დასხედით! — ყვირის ვიღაცა.

კამარელი შედის თვითმფრინავის კაბინაში, იქიდან ტა-ლანში გადის. სედავს, ვიღაცას კიბე მიუდგამს კედელზე და ფანჯარასთან წვალობს.

მიუახლოვდება.

ეს ხომ ბრიანია? „რაუნიტის" კედელზე.

მაკდონალდს კიბე უჭირავს და დინგვეიც იქვე დგას.

— არ გააღოთ ფანჯარა! — ყვირის კამარელი და კიბეს მი-ვარდება, — არ გააღოთ, თორემ „რაუნიტი" დაიღუპება.

მაგრამ, ამ დროს ბრიანი აღებს ფანჯარას და შიგ მიძვ-რება. საჩქაროდ აირბენენ მაკდონალდი და დინგვეი და ისი-ნიც გაძვრებიან ფანჯრიდან.

კამარელიც აჰყვება კიბეს და ფანჯარაში გაიხედავს.

ბრიანი, მაკდონალდი და დინგვეი მიფრინავენ სივრცეში საოცარი სისწრაფით. შორიდან მოჩანს უკვე მოახლოებული მარსი.

— მართლა, რა საჭიროა „რაუნიტი", როცა ისედაც ადგი-ლია ფრენა? — ფიქრობს კამარელი და ფანჯრიდან გადახტება.

აჰა, უკვე მარსზე არიან.

ოქროს ფოთლებით დაბურული ტყე აიმართება მათ წინ.

დელეგატები ტყეში შეირბენენ.

კამარელი ცდილობს დაეწიოს მათ, მაგრამ ვეღარ ეწევა. თვალს კი არ აშორებს.

გაქცეული დელეგატები ერთ დიდ ხეს ამოეფარებიან.

შურდულივით გაექანება ამ ხისკენ და მოულოდნელ სანასაობას წააწყდება: ცამდე ამართულა ბროლის მთა ძირს დაფენილი საფეხურებიანი ტერასებით. მწვერვალებზე დგას წითელი მოსასხამით შებურული კუბო, რომელზედაც დასვენებულია თეთრად მოელვარე ეზე. ბრიანი, მაკდონალდი და დინგვეი გამალებით არბიან ტერასიდან ტერასზე. წინ მირბის ბრიანი. მაკდონალდი ფეხებზე ეპოტინება მას ხელებით, მაგრამ ბრიანი წისლის კვრით იშორებს.

კამარელი სულმოუთქმელად ავარდება კიბეზე და სრიალით მისცურავს აღმა ბროლის აკრიალებულ საფეხურებზე. აღარ თავდება ტერასები და საფეხურებს ბოლო არ უჩანს.

მწვერვალზე წითლად შებურული კუბო შეირხევა და კამარელს ელვასავით გაანათებს გედას სახე. დგას გედა ბროლის კოშკზე და მზესავით ბრწყინავს მისი თმა. მკერდი ღია აქვს ჭრილობასავით და მოსჩანს, როგორ ფეთქავს შიგ გული. უცნაური ფერი აქვს ამ გულს! იგი ლურჯად კამკამებს, თითქოს ცის შეკუმშული შუქია შიგ ჩაღვრილი.

— არ მიეკარო! — კივის კამარელი და ხედავს, რომ მაკდონალდმა უკვე გაასწრო ბრიანსა და დინგვეის და რამდენიმე საფეხურიღა უკლია მწვერვალამდე.

უცებ გედა ამოიძრობს მკერდიდან მფეთქავ გულს და ხელში ანთებული ჩირაღდანივით დაიჭერს.

კამარელი ხედავს ახლა, რომ გედას ხელში გულის საცვლად „ლურჯი კოლოფი" უჭირავს.

— აი, რის მოტაცება უნდათ ამ არამზადებს! — ფიქრობს კამარელი და თაკგანწირულად მიიწევს აღმა. უცებ მიაგონდება, რომ მას შეუძლია ფრენა და ფრთებსავით გაშლის მკლავებს.

და იმავე წამს მოსწყდება საფეხურს და ჰაერივით მსუბუქი და ქარივით მალი ზედ მოექცევა აქლოშინებულ მაკდონალდს და...

კამარელს გამოეღვიძა.

საწოლს მოშორებული ჭერისკენ ბუმბულივით მისცურავდა.

— „რაუნიტი" უკვე აღარ ბრუსავს, — გაიფიქრა მან და ჭერს ხელი ჰკრა. — ირიბად გამოქანდა და კაბინის კართან

იატაკზე დაეშვა, გაჰქცა მოაჯირს და მინის კედლიან ოთახში გავიდა. გამჭვირვალე კედლიდან მკაფიო მობაზულობით მოჩანდა კრიალა და უირავი ვარსკვლავებით დატვირთული კოსმიური ღამე.

იმ კუთხიდან, საცა იგი იდგა, დედამიწა აღარ ჩანდა.

კამარელმა თკალი შეაელო ნაცნობ ვარსკვლავებს და სიყვარულით ჩააცქერდა შვიდვარსკვლავედს. არც ერთ ვარსკვლავს არ შეუცვლია თავისი ადგილი მიუჩედავად იმისა, რომ „რაუნიტი" რამდენიმე მილიონი კილომეტრით დაშორდა უკვე დედამიწას. ითქოს თბილისში იჯდეს თავისი ბინის აივანზე და ღამის ცას გასცქეროდეს. აი, პოლარული ვარსკვლავი (ასლა იგი უკვე აღარაა პოლარული), რომელსაც ზედ ღამხობია უზარმაზარი კოვზივით ბრწყინვალე შვიდვარსკვლავედი. მის პირდაპირ მეორე მსარეზე დგას ქალის ცარიელი სავარძელი — კასიოპეა. აი კაშკაშა ქნარი, ნარიყალას ნანგრევებზე რომ იცის ხოლმე გადმოდგომა შემოდგომაზე. აგერ დაღვლარეზიდი ღრანტალი მთაწმინდის ქედზე რომ უყვარს თავისი ზარამანი კუდის დასობა. ნაცნობი, მეტად ნაცნობი სურათია, ჩვენელი „ლედამიწური".

კამარელმა იავი მარილა თბილისში წარმოიდგინა. საკმარისია უკან მოიხედოს, რომ მისი თბილისის ღია ფანჯრიდან შემოანათოს. თითქო ქუჩიდან ესმის ავტომანქანის გუგუნი და შორეულ მოსასვენებში მოტრიალებული ტრამვაის ყრუ რასრასი. დაჰქროლა კოჯრის ნიავმა და კამარელს სახეზე ქინძის სურნელება შეაფრქვია. თბილისში ზაფხულის ღვართქაფა წვიმის შემდეგ დგას ასეთი სურნელება.

კამარელს გული შეეკუმშა და უზისარი ნაღველის თბილმა ტალღამ ჟრუანტელივით დაუარა სხეულში. დასუნჯა თვალები და თავი ძირს დახარა. ასე ჰგონია, თვალს გაახელს თუ არა, დაინახავს შიგ ჟინჟღილივით მდგარ კვიპაროსს და ბაღის ყურეში იასამნით აშრიალებულ ფანჩატურს. იასამნის ბუტეონებით დაბურულ საბურველიდან გამოჩნდება ელექტრონის მრგვალი ნათურა, რომელსაც თოვლის კორიანტელივით დასევია ღამის აცასცასებული თეთრი ფარვანა. ასე ჰგონია, რომ თავის ბატარა ბაღს გადასცქერის აივნიდან... და თვალებს გაახელს.

შემოანათებს შავი უფსკრული, ბილიონ ვარსკვლავიანი

აყვავებული ცა ღიაა ყოველი მხრიდან, ზევით, ქვევით და ირმის ნასტომის თეთრად დათოვლილი რგოლი უზარმაზარ სარტყელივით შემოჭდობია სამყაროს სხეულს. ჩრდილოეთის ნაცნობ ვარსკვლავებს ქვეყიდან ეალერსება სამხრეთის ცის მნათობები, რომელთა შორის ულამაზესია სამხრეთის ბრწყინვალე ჯვარი.

კამარელი კედლის მეორე კუთხეს მიუახლოვდა.

ღამის შავ სავერდის მოსასხამზე მიკრულ ვერცხლის უზარმაზარ ფოლაქივით გამოჩნდა დედამიწის დისკო, თეთრად ასხივებული სხელეთით და ლურჯად შესევადებულ ოკეანეთა სივრცით. ევროპის აღმოსავლეთი საღამოს ბურუსით იყო შემოსილი და კამარელი გულის ტკივილით აკვირდებოდა დისკოს, მარჯვენა კიდურის დაბინდულ კონტურებს, რომლის იქით, ღამის საფარველქვეშ, სუნთქავდა მისი საყვარელი საქართველო.

ყოველთვის, როცა უცსოელ თანამებრძოლთა ძმური სიყვარულით გამთბარი, საერთო მუშაობით გასარებული და ბუნების სხვადასხვა სანახაობით გამაძღარი ბრუნდებოდა, იგი საქართველოში, შორიდანვე ქართული მთების ჭაღარა ქედები რაღაც სხვანაირი სიყვარულის ელვით გმირავდნენ მის გულს და ჰგვრიდნენ მას ბავშვურ სისარულსა და სალამსიან მღელვარებას.

ახლაც, დედამიწას მრავალი მილიონი კილომეტრით დაშორებული, იგი მთელი სხეულით განიცდიდა სამყაროს ჰირველყოფილ მშვენიერებას, მისი თვალები ალერსით შესცქეროდნენ ცის მნათობად ქცეულ დედამიწას.

„რაუნიტის" გაყინულ სივრციდან კამარელი სიყვარულით დანამული თვალებით დასცქეროდა თბილი ელვარებით შემოსილ დედამიწას. სამხრეთ ამერიკის სამკუთხედი ბრწყინვალე დაღვივით ენთო დედამიწის დისკოზე და მისი ანარეკლის ციალი სარკესავით ემჩნეოდა კამარელის გულს. რა იყო მისთვის დედამიწაზე სამხრეთ ამერიკა, ყველა ეს კოლუმბია, პერუ, პარაგვაი და ურუგვაი? თითქმის მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინები. აქედან კი ყოველი მათგანის მოგონება უტკბესი მღელვარებით ავსებდა მას. ის თბილი და ჟრუანტელის მომგვრელი გრძნობა, რომლითაც იმსჭვალებოდა იგი საქართველოს მოგონების დროს, თანდათან, მისთვის შეუმჩნეც-

ლად სცილდებოდა პატარა საქართველოს საზღვრებს და სანძარივით გადადიოდა მეზობელ ქვეყნებზე, რათა ბოლოს მთელ დედამიწას მოსდებოდა მშობლიური სიყვარულის ალი.

კარო კი ამ დროს მისჩერებოდა ცის მეორე მსარეს, საიდანაც ასათებდა წითლად შეფერილი მარსი. კამარელს გაუკვირდა: ჯერ მას ერთხელაც არ მოჰგონებია მარსი! თითქო ბავშვი მისტირის შორს მიმავალ დედასო, ის ცრემლიან თვალებს არ აშორებდა დედამიწას. მხოლოდ ასლა მოისედა მარსისაკენ და ნათლად წარმოუდგა წითელ შუქში გასვეული გედა: დგას ბროლის მთაზე და ხელში ჩირაღდანივით უჭირავს ლურჯად მოკამკამე გული... მოაგონდა წუსანდელი სიზმარი და სანეტარო წინააღმდეგობამ შეიპყრო.

— წამოდით ნემთან! — დაარღვია დუმილი კარომ. — თორემ, ვსედავ, თქვენებური მელანქოლია გიახლოვდებათ

— პირიქით, შთაბეჭდილებათა სიუხვე, განცდათა სიჭარბე მქანცავს.

— ჩემთან დაისვენებთ.

კარომ კამარელი თავის კაბინაში შეიყვანა. აქედან მეზობელ კაბინაში გავიდნენ, საცა მრავალნაირი აპარატი იყო დადგმული. კარომ გაცნო ზოგიერთი აპარატის დანიშნულება.

— გინდათ თბილისი ნახოთ?

— საიდან? — გაესარდა კამარელს.

— აი, ჩახედეთ ამ მილს!

კამარელი დააცხრა ტელესკოპს და... მის წინ გაიშალა მზიანი თბილისი. ზაფხულის ასალი მწვანით შემოსილი. აი, ფუნიკულიორის ორი ვაგონი ორ შავ ხოჭოსავით მიცოცავენ ერთიმეორის შესასვედრად. აი რუსთაველის პროსპექტი უმავთულო ტრამვაით, ავტომანქანებითა და უამრავი ხალხით ამოძრავებული. ოპერის წინ თეთრსალათიანი პიონერების გუნდმა ჩაიარა. „რა დროა ნეტავ თბილისში! — გაიფიქრა კამარელმა. — თვის რომელი რიცხვია? ბევრს თეთრი აცვია".

კამარელი ძალიან ცდილობდა პირველ სანებში დროის სვლა ზუსტად აღენიშნა, მაგრამ დღე და ღამეს მოკლებულ „რაუნიტში" ვერ მისდია საათების უცნაურ დენას და დაკარგა დროის ანგარიში. თანაც ამ კოსმიური სიჩქარით მქროლავ სომალდსა და დედამიწას შორის დროის შეფარდების-

თვის აინშტაინის მოშველება იყო საჭირო. ამისათვის კი, მას ჯერ არ ეცალა. ამიტომ აკვირდებოდა თბილისის ქუჩებს ასე თვალდაცეცებული, მაგრამ კარომ უეცრად მოსწყვიტა იგი ტელესკოპს.

— ასლა ამ კაბინაში შედით და დაისვენეთ. მე ცოტა ხანს აპარატთან ვარ საჭირო, — თქვა მან და მესამე კაბინის კარი შეაღო. შემდეგ მობრუნდა და ერთ აპარატს მიუჯდა.

კამარელი დაღლილობას არ გრძნობდა, პირიქით, მთელი არსებით განიცდიდა სასიცოცხლო ენერგიის მოზღვავებას ამ გაუგონარსა და წარმოუდგენელ პირობებში, მაგრამ მაინც ეამა, როცა კარომ დასასვენებლად კაბინაში შეიპატიჟა. მოუნდა თავის ფიქრებთან მარტო დარჩენა, რათა აფორიაქებულ გონებაში მიმავალი დედამიწის ძასილი და მომავალი მარსის მოწოდება, ერთ მთლიან და ჰარმონიულ ნებისყოფად ექცია.

ენერგიულად ჰკრა ხელი ნახევრად შეღებილ კარს და კაბინაში შევიდა. შევიდა და მოულოდნელი სურათისაგან სახტად დარჩა: კაბინაში კუთხის პატარა მრგვალ მაგიდასთან ანთებულ ჟინჟღილივით იდგა გედა ნუავე და კამარელს სიყვარულით სავსე თვალებით შესცინოდა.

უმალვე მოულოდნელი სისარულით აღტაცებულმა განცვიფრებით შესძახა: — გედა! — გაემართა მისკენ და გაშლილი ხელები და მკერდი... კედელს მიახალა.

გედას ეკრანს იქით სიცილი წასკდა. კამარელსაც გაეცინა და იქვე გულწასულივით სავარძელს დაესვენა...

* * *

კამარელს არ ახსოვდა რამდენი ხანი დაჰყო მან ეკრანთან ტკბილ საუბარში, როცა ტალანში გამოვიდა, დინგვეის შეეფეთა.

— რამდენი ხანია დაგეძებთ, სად დაგვეკარგეთ? — მიახალა მან კამარელს.

გედასთან საუბრის შემდეგ კამარელი ისეთ მშვიდ, დაჯერებულ და ნათელ გუნებაზე იყო, რომ დინგვეის მეგობარივით მიეგება და ალერსიანად მიუგო:

— თქვენი თვალები მთელ ამერიკას ანათებს და ამ ერთ მტკაველ ხომალდზე როგორ ვერ მომნახეთ?

— რა ვიცი, არ დამიტოვებია არც ერთი კუთხე გაუსინჯავი, კაროსთანაც ვიყავი და თქვენ კი ვერსად გნახეთ.

— უჩინმაჩინის ქუდი მესურა, — გაეხუმრა კამარელი.

— არც გამიკვირდება! უთუოდ ისიც იქნება ამ ჯადოსნურ ხომალდზე.

— არის! ერთი მშვენიერი ქალი დაიარება ამ ხომალდზე, უჩინმაჩინის ქუდი ხურავს და ამიტომ ყველასათვის უჩინარია.

— თქვენ კი ნახულობთ, როცა მოისურვებთ?

— ახლა იმას ვესაუბრებოდი. დროდადრო ქუდს მოიხდის ხოლმე და დამენახვება.

— ნეტავი თქვენ!

ამ საუბარში ტალანი გაიარეს და საერთო კაბინაში გავიღნეს.

— ქალი თქვენ გყავდეთ, — თქვა დინგვეიმ, — ოღონდ ამიხსენით, რისთვის უნდა დაეცურავდეთ აკვარიუმის თევზებივით ამ დასაქცევ ხომალდში, თუკი შესაძლებელია ხელოვნურად სიმძიმის შექმნა? ვიყავით იმ სამ-ოთხ საათს დიდებულად. რატომ შეწყვიტა „რაუნიტმა“ ბრუნვა?

— როგორ გგონიათ, ამ უდაბნო სივრცეში მეტეორივით რომ მივქრით, გზას არ უნდა ვხედავდეთ, რომ არაფერს დავეჯახოთ? — თავის მხრით შეეკითხა კამარელი.

— რას უნდა დავეჯახოთ?

— ათასი ოხერი-ვაგაბუნდი დახეტიალობს ცაში, რომელთაც ასტრონომია მეტეორიტებს უწოდებს. ბეკრი მათგანი უმნიშვნელო მასას წარმოადგენს და ჩვენი „რაუნიტი“ ისე მიარღვევს მათ ბრბოს, როგორც სპილო კოღოების გუნდს. მაგრამ ხანდახან გამოერევა გვარიანი სიმძიმის ქვა ან რკინა და თუ მხედველობაში მიკიღებთ როგორც „რაუნიტს“, ისე მეტეორიტის კოსმიურ სიჩქარეს, მათი შეხვედრა არ იქნება ჩვენთვის მაინცდამაინც სასიამოვნო.

— მერე, ვინ გიშლით თვალი ადევნოთ მათ მოძრაობას?

— როცა „რაუნიტი“ ბრუნავს, ტელესკოპით სარგებლობა შეუძლებელია.

— რატომ? — გაუკვირდა დინგვეის.

— ცოტა მაინც დაუფიქრდით, თქვენს შეკითხვას. „რაუნიტის “ბრუნვის დროს არ გახსოვთ, რას დაემგვანენ ვარსკვლავები?

— მართლა, ნათელ რგოლებად შემოგვერტყნენ ირგვლივ, — მოაგონდა დინგვეის.

— მაშასადამე, ვერც ერთ ვარსკვლავს, და მით უმეტეს მოხეტიალე მეტეორიტს, ხომალდის ჩქარი ბრუნვის გამო, ტელესკოპი ვერ დაიჭერს.

დინგვეიმ თავი დასარა.

— ასლა მესმის, რატომ არის აუცილებელი ჩვენი სასაცილოდ ამჩატება და საპნის ბუშტივით ფარფატი.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ისევ მიმართა კამარელს:

— მე ამ საქმის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ მაინც მიკვირს, როგორ უნდა აღმოაჩინოს ტელესკოპმა ამ უსაზღვრო სივრცეში უგზო-უკვლოდ მოხეტიალე უმნიშვნელო სხეულები?

— სწორი კითხვაა, — მიუგო კამარელმა, — ტელესკოპით ძნელი იქნებოდა ეგზომ პატარა სხეულის აღმოჩენა, მაგრამ „რაუნიტში" არის ამ ციური „ხულიგნების" დასაჭერად მოწყობილი სპეციალური აპარატი, რომელიც ზუსტი სისწორით აღნიშნავს მოახლოებული მეტეორიტების მასას, მიმართულებასა და სიჩქარეს. ეს აპარატი აგებულია მატერიის ურთიერთ მიზიდულობის პრინციპზე.

ამ დროს, თითქო ხომალდს რაღაც დაეჯახაო, კამარელი და დინგვეი კაბინის მარცხენა კედელს მიენარცხნენ. იმავ წუთს იმავ ძალამ ისინი მარჯვენა კედლისკენ გადმოისროლა და უცბადვე ისევ შედგა თითქო ხომალდი და მგზავრებიც ჰაერში აცურდნენ.

— რა მოსდა? — ძლივს მოასწრო შეძახება დინგვეიმ.

— პირველი შეტაკება ციურ ავაზაკთან, — ღიმილით მიუგო კამარელმა დაფეთებულ დინგვეის. — „რაუნიტმა" გზა აუქცია მეტეორიტს. სწორედ იმ აპარატის მუშაობის დემონსტრაციაა, რომლის შესახებაც ჩვენ ახლა ვსაუბრობდით.

კაბინაში შემოცურდნენ ბრიანი და მაკდონალდი.

— კარგია, აქ ყოფილხართ! — მიმართა კამარელს ბრიანმა. — ეგ რა უცნაური რწევა სცოდნია ამ ხომალდს?

— ნება მომეცით, მე ავუხსნა ყველაფერი! — დაეღრიჯა კამარელს დინგვეი და შემოსულ დელეგატებს დაწვრილებით უამბო როგორც „რაუნიტის" შერყევის, ისე მისი ბრუნვის შეჩერების მიზეზი.

ვიდრე დინგვეი თავის განმარტებას დაამთავრებდა, კამარელი ღიმშეფენილი სახით მისჩერებოდა ჰაერში სასაცილოდ გაფარჩხულ მგზავრებს. მაკდონალდი რატომღაც სულ ქანაობდა, საერთო სურათი მარიოლა აკვარიუმს ემსგავსებოდა, სადაც ადამიანები თევზებივით მოძრაობდნენ ყოველ მიმართულებით.

დინგვეის მცირე „ლექციით" დამშვიდებული ბრიანი წყალში დამსრჩვალივით გაეკრა მინის კედელს და ნელ-ნელა ვაცურდა მარცხენა კუთხისკენ.

— თქვენ კარგად შეეგუეთ სიმძიმის დაკარგვას, — მიმართა კამარელმა ბრიანს, როცა დაინახა, როგორ მოხდენილად შეიცვალა მან მიმართულება კედელზე თითის ოდნავი მიკარებით.

— წარმოიდგინეთ, მე მომწონს კიდეც ასეთი მდგომარეობა, — თქვა ბრიანმა და ტანი ვერტიკალურად შეაყენა. — რა თქმა უნდა, ჯობდა ცოტაოდენი წონა შეგვრჩენოდა, მაგრამ დედამიწაზე, მართალი გითხრათ, მეტისმეტად ვართ დამძიმებულნი.

— მაშ, თქვენ მარსზე კარგად იგრძნობთ თავს. იქ სიმძიმე 2,5 ჯერ ნაკლებია.

— სწორედ ჩვენთვის ყოფილა იქაურობა შექმნილი!

— ნეტავ თუა სადმე უფრო მეტი სიმსუბუქე? — იკითხა დინგვეიმ.

— პლანეტებს შორის მარსზე ყველაზე მეტი სიმსუბუქეა, — მიუგო კამარელმა.

— როგორ? განა მერკური არ არის ყველაზე პატარა?

— ეგ არ არის დამოკიდებული თვით პლანეტის სიდიდეზე. მერკურზე ჩვენებური 100 კილო 52 კილოს იწონის, მარსზე კი 38 კილოგრამს იწონის.

— სიმძიმე განა სხეულის მასაზე არ არის დამოკიდებული? — გაიკვირვა დინგვეიმ. — რაც უფრო დიდი მასისაა სხეული, მით უფრო ძლიერია მისი მიზიდულობა. მგონი ასე იყო აქამდე.

— ეგ მართალია, მაგრამ სიმძიმეს ანელებს ცენტრიდანული ძალა, სოლო ამ ძალის მოქმედება განიზომება სხეულის ბრუნვის სიჩქარით. ამიტომ არის, რომ დედამიწის პოლუსებზე სიმძიმე მეტია, ვიდრე ეკვატორზე.

— დამვიწყებია. — დაეთანხმა დინგვეი.

— შესაძლებელია თუ არა დედამიწაზე სიმძიმის ხელოვნურად შენელება? — იკითხა ბრიანმა.

— რატომ არ შეიძლება? — მოულოდნელად წარმოთქვა აქამდე მდუმარედ მოქანავე მაკდონალდმა. — თუ დედამიწის დამუხრუჭება შესძლეს, მაგასაც მოვესწრებით.

— თეორიულად დიდი სანია გამოანგარიშებულია, — თქვა კამარელმა, — რომ დედამიწის ბრუნვის 17-ჯერ აჩქარება პილუსებიდან ეკვატორამდე სიმძიმეს თანდათან შეანელებს, სოლო ეკვატორზე სავსებით მოსპობს მას.

— პრაქტიკულად თუა შესაძლებელი ამის განხორციელება? — შეეკითხა ბრიანი.

— მაკდონალდის შენიშვნა სწორი იყო, — უპასუხა კამარელმა. — დამუხრუჭების გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ შესაძლოა დედამიწის ბრუნვის აჩქარებაცა და შენელებაც.

— ეკვატორზე მაშინ ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა, — შენიშნა დინგვეიმ.

— ყოველ შემთხვევაში მეტად საშიში იქნებოდა იქ სიარული, — დაეთანხმა კამარელი, — სიმძიმეს მოკლებული ადამიანი უბრალო ქუსლის კვრით მოსწყდებოდა დედამიწას და სამუდამოდ დაინთქმებოდა სივრცეში. ვერც მატარებელი, ავტომანქანა და გემი გაივლიდა ეკვატორის ზონას: საკუთარი მოძრაობის ინერციის ძალით უმალვე მოსწყდებოდა ზღვას თუ სმელეთს და უზარმაზარი ხომალდები, ექსპრესები თუ პატარა ავტოები მსუბუქ ფოთლებივით აფრინდებოდნენ ცაში და სამუდამოდ მოშორდებოდნენ დედამიწას.

— ღმერთო, გვიხსენი ამგვარ ცდისაგან! — თავისთვის ჩაილაპარაკა დინგვეიმ.

მაკდონალდმა ბრიანს გადახედა.

ბრიანი მიუსვდა მაკდონალდს გულისთქმას და კამარელს შეეკითხა:

— ერთი ეს მითხარით, როდის შეეუდგებით მუხრუჭების დაშლას? იმდენი ლითონია უქმად დაყრილი, ასლა ხომ მუხრუჭები არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენენ?

— მუხრუჭების დაშლას ჩვენ არ ვაპირებთ. პირიქით, უფრო უნდა მოვაწყოთ და გავაუმჯობესოთ ტექნიკურად.

— როდის დაგჭირდებათ კიდევ დედამიწის დამუხრუჭება?

— ამ წუთს ამაზე არ ვსაუბრობდით? — შეუტია კამარელმა. — ეგ მუსრუჭები კი არ არის ასლა, არამედ მოტორია, რომელმაც უნდა გადააქციოს დედამიწა სომალდად. ამ მოტორის საშუალებით ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენი პლანეტის თავისუფლად მართვა, რომ ჩვენი სურვილისა და ნების მიხედვით მოვაწესრიგოთ მისი მოძრაობა.

ბრიანმა, მაკდონალდმა და დინგვეიმ ერთმანეთს გადახედეს.

— მოტორს თუ ენერგია არ ექნა, — გაუბედავად შეედავა კამარელს ბრიანი, — როგორღა იმუშავებს?

— რად არ ექნება ენერგია? — გაუკვირდა კამარელს.

— რამდენადაც ვიცი „ლურჯი კოლოფის" საიდუმლოება ჯერჯერობით ჩვენ ხელთ არ არის.

კამარელს უცებ მოაგონდა სიზმარი: ბროლის მთაზე მდგარი გედა, „რაუნიტიდან" გაპარული დელეგატები, გედას ღია მკერდი და მის ხელში გულივით აძგერებული „ლურჯი კოლოფი".

— ჩვენსა და მარსს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, ვგონებ, არაფერი უნდა აბრკოლებდეს, — წყნარად და მკაფიოდ წარმოთქვა კამარელმა.

— ღმერთმა ქნას! — უგუნებოდ წამოცდა ბრიანს.

კამარელს გაეცინა:

— ღმერთს სად შეუძლია ამოდენა საქმის მოგვარება?!

ჩამოვარდა დუმილი.

მაკდონალდი მისვდა, რომ არ ვარგა ასეთ სათუთ და „საბედისწერო" თემებზე საუბარი და სცადა მისი უფრო ნეიტრალურ სფეროში გადატანა.

— ერთი რამ უნდა გკითხოთ, ბ-ნო კამარელო!

— ბრძანეთ.

— რამდენი ხანია ვაკვირდები ვარსკვლავებს და მაკვირვებს ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ათეულ მილიონ კილომეტრის მანძილით დავშორდით ჩვენ ქვეყანას, ვარსკვლავებს შორის მანძილი სრულებით არ შეცვლილა და აქაც ჩვენი ქვეყნის ნაცნობი ცა დაგვცქერის, თითქო დედამიწა დაინთქა სადღაც, ჩვენ კი უძრავად ვდგავართ იქვე, სადაც პირველად ჩავსხედით „რაუნიტში".

— ვარსკვლავები იმდენად არიან დაშორებული ჩვენი მზის

სისტემას, რომ ინსტრუმენტის დაუსმარებლად შეუძლებელია სივრცეში ასი მილიონი კილომეტრის გადანაცვლებით გამოწვეული ცვლილების შემჩნევა ვარსკვლავთა ურთიერთობაში. ჩვენ დედამიწაზე ყოველ წელს უფრო მეტ მანძილზე ვინაცვლებთ სოლმე სივრცეში, მაგრამ ვარსკვლავების მოხაზულობა ცაში არ იცვლება ჩვენთვის.

— ვერ გავიგე, ადგილის რომელ გადანაცვლებაზე ლაპარაკობთ.

— იანვრის 1-დან ივლისის 1-მდე დედამიწა გაივლის თავისი ორბიტის დიდი ღერძის მანძილს, დაახლოებით 300 მილიონ კილომეტრს. მიუხედავად ამისა ვარსკვლავების ურთიერთ მდებარეობა შეიარაღებული თვალისათვის ოდნავადაც არ იცვლება.

— ერთი შეკითხვა მაქვს კიდევ და მეტს არ შეგაწუხებთ.

— ბრძანეთ.

— ცას რომ ვაკვირდები, ვამჩნევ, რომ იგი ბრუნავს, თუმცა ძალიან ნელა, მაგრამ ვარსკვლავები მაინც ბრუნავენ ერთ რომელიღაც ღერძის გარშემო. მე მაკვირვებს ეს გარემოება: ჩვენ სომ დედამიწაზე არა ვართ. „რაუნიტი“ კი არ ბრუნავს. როგორ ავსსნა ეს მოვლენა, ნუთუ მართლა ზეცა ბრუნავს, ან თვალი მატყუებს?

— ამ შემთხვევაში თქვენი დაკვირვება სწორედ მოსაწონია, — შენიშნა კამარელმა. — „რაუნიტი“ ბრუნავს.

— როგორ თუ ბრუნავს? — გაუკვირდა მაკდონალდს, — ასლა ამაზე არ ვსაუბრობდით? „რაუნიტს“ რომ არაფერი ეტყობა?

— „რაუნიტს“ არც ის ეტყობა, რომ წამში 600 კილომეტრის სიჩქარით მიჰქრის კოსმიურ სივრცეში, მაგრამ ეს ხომ ფაქტია.

— „რაუნიტი“ როცა ბრუნავდა, ჩვენ სიმძიმეს ვგრძნობდით, — მიუგო მაკდონალდმა.

— მაშინ ისე სწრაფად ბრუნავდა, რომ ცენტრიდანული ძალა შეიქმნა, რამაც ჩვენ სიმძიმე დაგვიბრუნა. ასლა კი სულ სხვა მიზანი აქვს და ძალიან ნელა ბრუნავს.

— რა მიზანი აქვს?

— მზის სხივების მეტი-ნაკლები მცხუნვარების შენელება. უჰაერო სივრცეში მზის სხივებს არაფერი ანელებს და ხო-

მალდის ის მხარე, რომელსაც მზე ანათებს, ძალიან სურდება. მართალია, ეს სითბო გადადის ბანქანაში და სომალდის განათებისა და გათბობისათვის იხარჯება, მაგრამ სხივების მოქმედება იმდენად ძლიერია, რომ მაინც რჩება ზედმეტი სიმხურვალე, რომელსაც ანელებს „რაუნიტის" შეუმწნეველი ბრუნვა.

ესენი რომ ამ ლაპარაკში იყვნენ, ჯერ ბრიანი გავიდა კაბინიდან, შემდეგ დინგვეი. მაკდონალდმა ეს შენიშნა და ამიტომ აღარ განაგრძო ამჟამად მისთვის ინტერესმოკლებული საუბარი ვარსკვლავებსა და კოსმიურ სივრცეზე და უცებ მოსჭრა:

— გმადლობთ, ახლა მესმის ყველაფერი, — თვითონაც ბრიანის კაბინას მიაშურა.

ბრიანი და დინგვეი ცხარე ლაპარაკით იყვნენ გართული.

— მართალი ხართ, მართალი! — ამბობდა ბრიანი და ფანჯრის ჩარჩოს ნერვულად ებღაუჭებოდა. რა თქმა უნდა ადრეზე უნდა გვცოდნოდა, ვისთან გვაქვს საქმე და უნდა გაგვეთვალისწინებია ყოველგვარი შესაძლებლობა.

— მე მაინც მაქვს იმედი, — რეტდასხმულივით დაბორიალებდა დინგვეი, — იმედი მაქვს, რომ ჩვენებიც მისვდებიან, რაა გასაკეთებელი.

— რაზე დაობთ? გაბაგებინეთ! — ჩაერია მაკდონალდი.

— ხომ გესმით, რა მაქვა? — ეცა ბრიანი. — ხომ ხედავთ რას გვიპირებენ თურმე, თუ დასცალდათ?

— მუსრუჭებზე ლაპარაკობთ?

— უკაცრავად, ახლა მოტორია და არა მუსრუჭი. მოესურვებათ მიწას წაღმა მოაბრუნებენ, მოესურვებათ — უკუღმა. შეიძლება მთლად მოსსნან დედამიწა მზეს და სადმე ბნელ უფსკრულში გადასხეხონ! — ცხარობდა ბრიანი და ჰაერში ტლინკებს ისროდა.

— ჩვენ ვწუხვართ, — დაუმატა დინგვეიმ, — რომ წამოსვლის წინ არ გავეცით განკარგულება, რომ მუსრუჭები მოეთხარათ ყველგან, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ უჩვენოდაც მიხვდებიან.

— რას მისვდებიან, საქმე არა გაქვთ? — ბრაზობდა ბრიანი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მასთან ერთად მოშორდა დედამიწას მთელი პოლიტიკური სიბრძნე და გამჭრიახობა.

— მომენტი კი მეტად შესაფერია ამჟამად დედამიწაზე, — განაგრძო დინგვეიმ. — კარო თავისი „რაუნიტით“ და მისი მარჯვენა ხელი კამარელიც აქ არიან, მაშასადამე, ჩვენები თუ ივარგებენ, არა მარტო მუხრუჭს, ბევრ სხვა შსამიან ფესვსაც ამოსთხრიან.

— კი, მაგრამ, რატომ გინდათ რომ მუხრუჭები მოეხსნას დედამიწას? — იკითხა მაკდონალდმა. — განა ჩვენ არ გამოგვადგება ეგ მოტორი?

ბრიანს ცოტა მოეშვა.

— ოღონდ გავიმარჯვოთ და მუხრუჭებს ხელმეორედ ვერ დავდგამთ განა?

— ეპე-ჰე! პესიმიზმი შეგპარვიათ! — გაუცინა მაკდონალდმა. — მე კი დარწმუნებული ვარ, რომ მუხრუჭებიც ჩვენ დაგვრჩება და „ლურჯი კოლოფიც“.

ბრიანს გული სარკესავით გაუნათდა და მშვენიერ გუნებაზე დადგა.

— შაქარი თქვენს პირს! თაფლი და შარბათი!

— რაც შეეხება მიწის ბრუნვის აჩქარებას, — ეანაგრძო შემპარავი ღიმილით მაკდონალდმა — არც მე ვარ ამის წინააღმდეგი. თქვენ რას იტყვით?

— როგორ?

— გსურთ თუ არა 17-ჯერ მეტი სიჩქარით დატრიალდეს თავის ღერძზე ჩვენი საწყალი ქვეყანა?

— არ ვიცი, რა საჭირო ეს კაცობრიობისათვის — ვერ მიხვდა ბრიანი მაკდონალდის შეკითხვას.

— რად გვინდა ნეტავ დედაშიწას ირგვლივ სარტყელივით შემოერტყას საშინელი ორმო ღია საფლავივით? — გაუკვირდა დინგვეის მაკდონალდის ხუმრობა.

— თქვენ ვერ მიმიხვდით, ახლა მე მაცალეთ, — თქვა მაკდონალდმა და იატაკს ფესი დაჰკრა. ავარდა ჭერზე, ხელი ჩაავლო სრიალას ჩარჩოს და ჰაერში დაეკიდა.

— თუ ჩემი პროექტი არ მოგწონთ, მე უკან მიმაქვს, მაგრამ ჯერ მომისმინეთ.

ბრიანი და დინგვეი ფანჯარასთან „წამოწვნენ“.

— ჩვენ ყურს გიგდებთ.

— ჩვენ ვბრუნდებით ჩვენს პლანეტაზე, — დაიწყო მაკდონალდმა ხმამაღლა ოცნება, — გამარჯვებულნი და ახალი იარა-

ღით აღჭურვილნი. მოტორი იწყებს მუშაობას და ჩვენი დაბრუნებით გასარეცხული დედამიწა საზეიმოდ ცეკვავს და რეტდასხმულივით ტრიალებს. სიმსუბუქე და ჰაეროვნება შეიჭრება ჩვენს სხეულში და გაიხარებს გამარჯვებით გამაძღარი გული ჩვენი. ეკვატორის ზონაზე ზღაპრულ გველივით შემოერტყმის დედამიწას ღია უფსკრული, შესაზარი და დაუნდობელი. მაგრამ ეს ზონა ჩაკეტილია და ჩვენს ხელო არის გასაღები. არ გვეშინია ჩვენ ამ უფსკრულის, რადგანაც ჩვენა ვართ ბატონი და მბრძანებელი ზესკნელისა და ქვესკნელისა. გვეჭირდება ჩვენ ეს უფსკრული ისე, როგორც კარგად მოწყობილ ქალაქს კანალიზაცია... დედამიწასაც უნდა ჰქონდეს საშუალება რადიკალურად მოაწყოს თავისი ასენიზაცია. მიაქეს დედამიწას ამ ზონაზე ყოველი სიბინძურე და ნაგავი და ჰყრის ამ უფსკრულში. ჩვენი მოტორის სასწაულმოქმედი ძალა სწმენდს დედამიწის სისხლსა და ნაწლავებს ყოველგვარ შხამისა და უწმინდურებისაგან და კოსმიური სივრცის ხვრელში, როგორც კანალიზაციის მილში, ჰყრის ამ ნაგავს...

— მესმის, მესმის! — ღრიალებს ბრიანი, ავარდება ჭერზე და მაკდონალდს გადაეხვევა. — ახლა მე მომეცით სიტყვა, მე განვაგრძობ!

და ბრიანი განაგრძობს მაკდონალდის პროექტს.

— იწმინდება კაცობრიობა ყოველგვარი სიბინძურისაგან და მთელდება და საღდება ავადმყოფი სხეული. მისი ყველა მავნე მიკრობი სივრცის გაყინულ უფსკრულში ცვივა.

•

განვლო საჭირო დრომ, „რაუნიტი“ შეუსვენებლად მიეჭროდა დასახულ მიზნისაკენ. დედამიწის დისკო თანდათან დაცხრა, დამგლეოდა და ლურჯად აკიაფებულ ვარსკვლავად იქცა, სოლო მარსი გადიდდა და მისი სპილენძისფერი დისკო მთვარესავით გაიზარდა.

ერთსელ, საერთო სადილის შემდეგ, კარომ კამარელი თავის კაბინაში მიიწვია.

— რამდენიმე საათიღა დაგვრჩა, მეგობარო!

— როგორ? — და სასე გაუნათდა კამარელს.

— ვუასლოვდებით მარსს. მალე „რაუნიტი“ უნდა დავამუხრუჭო.

— ვაშა! — შესძახა კამარელმა, ბავშვივით შესტაცა და ჰაერში ბზრიალასავით დატრიალდა.

— მარსი ელის დედამიწის დელეგაციას და მიღებს კიდეც. ასლა კი, წადით და ისინიც გააფრთხილეთ: დამუხრუჭებას ვიწყებ.

კამარელი გავიდა.

მგზავრები საერთო კაბინაში შეიყარნენ და სავარძელზე ჩამოსხდნენ.

ატოკდა „რაუნიტი“, თითქო უჩინარს რამეს სხეულს დაეჯახა. მგზავრებმა სავარძლების ზამბარა მძლავრად ჩაღუნეს.

უფსკრულიდან თანდათან ამოფუვდა უცხო ქვეყნის ზედაპირი. რამდენიმე წუთის განმავლობაში ზღაპრული სიჩქარით გაიბერა და გასივდა გოლიათი ჯადოსანის მიერ გასროლილი ციური ბურთი და „რაუნიტისკენ“ დაეშვა. გამოჩნდა ნარინჯისფრად შებურვილი ველები და ჰაერში თეთრი ღრუბლებივით აფრენილი უცხაური კოშკები. უეცრად კოშკები აენთო და ჰაერი აივსო ცისარტყელას ნამსხვრევით. მარსი სხივების სალუტით ეგებებოდა დედამიწის დელეგაციას. კიდევ რამდენიმე წუთიც და „რაუნიტის“ ყრუ კედლები შეანგრია ქუხილივით აგრიალებულმა მუსიკამ და ფანჯრებს უზარმაზარი პეპლებივით მოასკდა მფრინავი ყვავილები.

„რაუნიტი“ მსუბუქად შესრიალდა მუსიკის, სხივებისა და ყვავილების ზღვაში.

XVI

* * *

„რაუნიტი“ უზარმაზარი ზღაპრული ფრინველივით შეფრინდა ღრუბელივით ამართული სადგურის თეთრად დაბაბთულ ბუდეში, სადაც გრიალებდა მუსიკა და ყვავილების ზღვა იყო. იელვა ცისფრად ხომალდის ირგვლივ და ოთხივ კუთხიდან ოთხი რკინის ურდული ელვარე ხმალივით ჩაეგო გვირაბის ქარქაშში.

ხომალდზე ორი მარსელი ამოვიდა.

დელეგატები კაბინიდან შუშაბანდში გაიყვანეს, გადასხეს ლიფტზე და ჩაუშვეს გუმბათივით მორკალული ბროლის სადგურის ერთ განიერ დარბაზში.

პირველი შთაბეჭდილებით გაბრუებული მგზავრები უდიდესი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ ყველაფერს, რაც მათს გარშემო სდებოდა, მაგრამ მდგომარეობა იმდენად უსვეულო იყო მათთვის, რომ გონებას უძნელდებოდა აფორიაქებულად აღბეჭდილი სურათის წესიერად დალაგება.

კამარელი მღელვარებით ელოდა გედასთან შესვედრას და დამშეული თვალებით აცქერდებოდა ყველა მარსელს, მაგრამ ჯერ გედა არსად ჩანდა და მას იპყრობდა გაუგებარი შიში. „რაუნიტზე" ათასჯერ წინასწარ განცდილი სურათი, სანატრელი პაემანისა, მოულოდნელად ირღვეოდა, ოცნებით შექმნილ ნათელ ხაზებში მოუთმენლობის ბინდი იჭრებოდა.

— მეგობრებო! — მიმართა დელეგატებს კარომ. — თქვენ აქ გამოგიცვლიან ტანისამოსს, რადგან ჩვენს ატმოსფერულ პირობებში თქვენი ჩაცმულობა აღარ გამოდგება.

— ჯერჯერობით განსხვავებას ვერ ვამჩნევ, — მოურიდებლად წარმოსთქვა მაკდონალდმა.

— ამ დარბაზში ხელოვნურად არის შექმნილი დედამიწის ატმოსფერული პირობები, — განმარტა კარომ, — მაგრამ აქედან რომ სათანადოდ მოუკაზმავი გასვიდეთ, ისეკე იგრძნობთ თავს, როგორც ღრმა წყლიდან ამოყვანილი თევზი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ აქ ჰაერი მეტად თხელია: თქვენებური ბარომეტრი თუ 750 მილიმეტრის წნევას იძლევა, აქაური ატმოსფეროს წნევა ჯერ-ჯერობით მხოლოდ 50 მილიმეტრს. თქვენი შინაგანი წნევა კი შეკავშირებულია დედამიწის ატმოსფეროსთან.

— რა მოგვიკვ, ასე რომ გავიდეთ? — იკითხა შეშინებულმა დინგვეიმ.

— მეტად ცრასასიამოვნო ამბავი. — ღიმილით უპასუხა კარომ. — სხეული ბუშტივით გაიბერება, დასკდება და სისხლისაგან დაიწრიტება.

ამ საუბარში მარსელებმა დარბაზში შემოიტანეს ჩვენებური ტილოს მაგვარი მთლიანი საცვლები და მაგიდაზე დაუწყვეს.

— ამას ჩაიცვამთ შიშველ ტანზე, — განაგრძობდა კარო, —

სხვა არაფერია საჭირო. წნევასაც და სითბოსაც მოგვრის თქვენ სხეულს საჭიროების მიხედვით. თქვენი ტანისამოსი თქვენთვის გამზადებულ ბინაში დაგხვდებათ, სადაც თქვენთვის ჩვეულ პირობებში იქნებით.

დელეგატებმა ტანთ გაიხადეს და ჩაიცვეს მარსელებისგან ნაბოძები უცნაური ტილოს სამოსი.

— ეგ არის მაგნიტის ძაფებით ნაქსოვი, — უხსნიდა კარო, — ჩვენი ქვეყნის სასწაულმოქმედი ლითონი, რომელიც თქვენში ჯერჯერობით უცნობია. შეერთებულია ჩვენი ჰაერის ლეტარგინთან და შეუძლია თქვენი სხეულის შინაგან წნევას გარედან ავტომატურად მიაგებოს შეფარდებული წნევა. ამავე დროს გამოჰყოფს საჭირო სითბოსაც.

უცებ, ერთს წუთს, დარბაზში სავსებით დაბნელდა, და როცა ისევ განათდა, დელეგატებმა ერთმანეთი ვერ იცნეს: მარსელებთან ერთად იდგა დედამიწის ოთხი წარგზავნილი უცნაური, გრილი ალით ანთებული ბრწყინვალე და შარავანდედით მოსილნი.

იმავ წამს გაიხსნა წინა კედელი და გამოჩნდა მარსის ცა და ქვეყანა, მოოქრული ველი და ჰაერში აფრენილი თეთრი კოშკები, უზარმაზარი ყვავილების მფრინავი თაიგულები და თეთრად მოელვარე მარსელები, სომალდებზე და კოშკებზე შემდგარნი, ჰაერში მფრინავი და დარბაზის წინ მოედანზე ზღაპრული ყვავილებივით დარაზმულნი.

უცებ ისევ დაბნელდა. დელეგატები მოსწყდნენ იატაკს და სადღაც გაცურდნენ. როცა განათდა, ისინი იდგნენ ევროპულად მორთულ ოთახში, იქვე დივანზე ეწყო მათი ტანსაცმელი.

შემოვიდა კარო.

— ესეც თქვენი ბინა. შეგიძლიათ ჩაიცვათ თქვენი ტანისამოსი და მოიქცეთ ისე, როგორც საკუთარ სახლში. თქვენს ბარგს თქვენს ოთახებში იპოვით. თუ რამე დაგჭირდეთ — დარეკეთ.

კარომ სტუმრებს თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

— მგონი გათავდა ოფიციალური ცერემონია, — ჩუმად ჩაილაპარაკა მაკდონალდმა. — პარადი დიდებული იყო, მაგრამ ძალიან ჩქარა დასრულდა.

— მე მიკვირს, რატომ არავინ მოგვეგება სიტყვით? — იკითხა ბრიანმა.

— მართლა, სად არის ადგილობრივი მთავრობა? — გაიკვირვა მაკდონალდმა. — ალბათ აქაური წესები და დიპლომატიური ურთიერთობა სულ სხვანაირია.

ამ ლაპარაკში დელეგატებმა ტანისამოსი გამოიცვალეს და თავიანთ ოთახებს მიაშურეს.

მთელი სასლი წარმოადგენდა ევროპულად მორთულ ეშვეინიერ ვილას, ყოველგვარი მოწყობილობით, აივნებითა და პატარა ბაღით. ამრიგად სტუმრებს საშუალება ეძლეოდათ ისე გაეტარებინათ აქ დრო, რომ არც კი ეგრძნოთ უჩვეო ქვეყანაში ყოფნა. მთელი ვილა, თავისი ბაღითა და ეზოთი, ნასმული იყო ვეებერთელა ბროლის გუმბათში, ასე რომ სტუმრებს თავისუფლად შეეძლოთ ბაღში სეირნობა სრულიად უშიშრად, ჰაერი და სითბოც ისეთივე იყო, როგორც დედამიწაზე. გუმბათს გარეთ კი მათ გასვლა აღარ შეეძლოთ.

კამარელი დაბინავდა თავის ოთახში, იბანავა, ტანისამოსი გამოიცვალა და ფანჯარასთან დაჯდა. გამჭვირვალე უნისლო ჰაერში თვალის მომჭრელად ელვარებდა თეთრი მზე, კაშკაშა და სხივოსანი, როგორც კოსმიურ სივრცეში. შავი ხავერდის ცა აქ ოდნავ შელურჯებულიყო, მაგრამ ცხელი ჰაერის საბურველი ვერ აკავებდა შორეულ მნათობებს და ალაგ-ალაგ თეთრად წვეთავდა ვარსკვლავების შუქი.

უცებ სადღაც ტალანში ზარმა დაიწკრიალა.

დაუსრულებელი მოლოდინით აწრიალებული კამარელი წამოსტა და ოთახის კარი გააღო.

არავინ ჩანდა, ზარი კი განაგრძობდა წკრიალს.

ტალანში გამოვიდნენ ჯერ დინგვეი, შემდეგ მაკდონალდი და ბოლოს ბრიანი.

ყველანი ერთად შეიყარნენ და ზარისკენ გაემართნენ.

ზარმა ისინი შეიყვანა ღია სასადილოში, სადაც მათთვის გაშლილი იყო საუზმე.

ერთი მარსელი ქანდაკებასავით იდგა სუფრასთან — ევროპელი კამერდინერივით ჩაცმული.

— ამათაც ჩვენებური საჭმელები ჰქონიათ. — გაკვირვებით წამოიძახა დინგვეიმ და სუფრას მიუჯდა.

— არა მგონია, — შენიშნა კამარელმა, — ამათი კვება უთუოდ სულ სხვანაირია, ეს საჭმელები კი სპეციალურად ჩვენთვის არის დამზადებული.

— უთუოდ ასეა, — კვერი დაუკრა ბრიანმა. — ხომ გასსოვთ, როგორ გაგვიმასპინძლდა კარო „რაუნიტზე“?

სტუმრები სუფრას მიუსხდნენ.

საუზმის დროს მათი საუბრის ერთადერთ თემას წარმოადგენდა მარსელთა შეხვედრის უცნაურობა.

— სწორედ პატიმრებსა ვგავართ, — ამბობდა მაკდონალდი. — ვართ გამომწყვდეულები ციხესავით დახშულ ბინაში და არავინ გვეკარება.

— იქნებ მართლაც დაპატიმრებულნი ვართ? — შეეშინდა დინგვეის.

— რისთვის უნდა დაგვაპატიმრონ? — იკითხა კამარელმა.

— ვინ გაიგებს მათ ზრასვებს! — შიშნარევი ხმით წარმოთქვა ბრიანმა, რომელიც ჭარბი შთაბეჭდილებებისაგან მოქანცულად და უგუნებოდ გრძნობდა თავს.

ჩამოვარდა დუმილი.

კამარელმა ჭიქაში ღვინო დაისხა და დალია.

— მთავრობას ჩვენი მიღება არ უნდა ალბათ, — თქვა მან, ღვინის ბოთლი ხელში აიღო და ეტიკეტს სინჯვა დაუწყო, — ვიდრე კაროს მოსსენებას არ მოისმენს.

— წარმოიდგინეთ, ღვინოც თბილისიდან არის წამოღებული, — დაუმატა მან და ბოთლი სუფრაზე დადო, — პირდაპირ საოცარია, რა მზარეულობას იჩენენ ჩვენს მიმართ ჩვენი უზენაესი მასპინძლები.

— ნაადრევი დასკვნებისაგან თავი შეიკავეთ! — გააფრთხილა მაკდონალდმა. — რა იცით, რისთვის დაგვჩერებია თავს ჩვენებური პოლისმენივით ეს გაქვავებული მარსელი? ჩვენ მისი არაფერი გვესმის და ამას ჩვენი.

— თუ ჩვენი არაფერი ესმის, როგორ უნდა გვიდარაჯოს? — კითხვა შეუბრუნა კამარელმა.

— ჩვენს მოქმედებას ადეკნებს თვალყურს. შეხედეთ, როგორ უელავს თვალები!

— ვინ იცის, იქნება ესმის კიდეც ჩვენი საუბარი, — თქვა ბრიანმა.

— შეუძლებელია! — წამოიძახა მაკდონალდმა და უცებ მარსელისაკენ მოტრიალდა.

— მეგობარო! რომელი საათია თქვენი დროით?..

— თოთსმეტი! — გარკვევით წარმოთქვა მარსელმა ინგლისურად.

იმდენად მოულოდნელი იყო ამ გაშეშებული მარსელისგან ინგლისური სიტყვა, რომ ეს სრულიად უწყინარი და მშვიდობიანი „fourteen" ყუმბარასავით გასკდა და გაოცება გამოიწვია.

— გმადლობთ! — წაიბუტბუტა მაკდონალდმა, წამოვარდა და სასადილოდან გავიდა. მას მიჰყვნენ ბრიანი და დინგვეი.

კამარელი მარტო დარჩა სუფრასთან.

მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილს თვალებზე ხელი აეფარებინა და ფიქრებს გაეტაცა.

მას არ გაკვირვებია, როცა მარსელმა ინგლისურად დაილაპარაკა. იგი მაშინვე მისვდა, რომ ეს გედას მიერ მოწყობილი საქმე იყო. მსოლოდ ის უკვირდა, რომ აქამდე გედა არ გამოჩნდა და ესოდენ ნანატრი პაემანის წუთი ასე გაუვებრად იგვიანებდა. „უთუოდ რაღაც მოხდა, — ფიქრობდა იგი, — რაც გედას ართმევს ჩემი ნახვის საშუალებას".

— მოსვენებას ხომ არ ინებებთ? — მოულოდნელად შეეკითხა კაპელდინერი სუფრაზე ნაღვლიანად დამსობილ კამარელს.

კამარელი შეკრთა, თითქო საიდანღაც ნაცნობი ხმა მოესმაო, და გაკვირვებით ჩააცქერდა მარსელ ლაქიას.

უცნობი სახის გულგრილმა გამომეტყველებამ შეანელა კამარელის ცნობისმოყვარეობა.

— მივდივარ, — თქვა კამარელმა და წამოდგა.

მარსელმა თავი დაუკრა და ტალანში გავიდა. კამარელიც თან გაჰყვა.

კამარელის ოთახის კართან მარსელი შედგა, შემდეგ კარი შეაღო, ჯერ კამარელი შეუშვა და მერე თვითონვე შევიდა.

— ხომ არაფერს დამავალებთ? — ჰკითხა კამარელს, კარი მიხურა და ისევ ჯარისკაცივით აიტუზა.

— გმადლობთ, არაფერი მინდა, — უგუნებოდ უპასუხა კამარელმა და თან გაიფიქრა: „ამ ციხეშიაც თვალს გვადევნებენ. რად დასჭირდათ ამგვარი სიფრთხილე?"

მარსელი კი, თითქო კამარელის ფარულ გაფიქრებას ადასტურებსო, უძრავად იდგა კართან და არაფრით არ ამჟღავნებდა წასვლის სურვილს.

— იდგეს, ვიდრე არ მობეზრდება, — თქვა თავის გულში კამარელმა. წამოწვა სავარძელზე, თვალებზე მარჯვენა მკლავი დაიფარა და ისევ ფიქრებს მიეცა. „შეიძლება აქ არ არის ამჟამად... მაგრამ რატომ არ გამაფრთხილა წინასწარ?.. კარო მაინც მოვიდოდეს მალე. უთუოდ ვკითხავ!..“

და უცებ მოულოდნელმა ფიქრმა ისარივით გაუარა გულში: „ვაითუ ეკრანი მოჩვენება იყო და გედა არც არსებობს“...

ამ შემზარავმა ეჭვმა ელვასავით გაურბინა გონებაში და ფიზიკური ტკივილი აკრძნობინა. გველნაკბენივით წამოვარდა ზეზე და... უეცარი გულისტკივილი გააქრო უეცარმა სიხარულმა: კამერდინერის ნაცვლად კართან იდგა ნათლით მოსილი გედა ნუავე, სწორედ იმ სახით, როგორითაც მრავალჯერ უნახავს ჯადოსნურ ეკრანზე.

ახლა ცხადი გახდა, რომ ეს არ იყო მოჩვენება, არც ეკრანზე აღბეჭდილი სახე შორეულ პლანეტელ ქალისა; მათ შორის უკვე აღარ იყო გაუვალი უფსკრული კოსმიური ღამისა, — ეს იყო ცოცხალი გედა ნუავე, სისხლით აჩქროლებული მკერდით მსუნთქავი, ელვარე ჰაერის ნისლით შემოსილი, მიმზიდველი განუზომლად და დაუთრგუნველი ვნებით დამათრობელი.

იდგა ჟინჟღილივით ანთებული, მღელვარე სხეულის ცეცხლოვან ნაკვთების შუქმფენად მჩენი, და შავი ალით დაფერფლილ თვალებს შავ ბეპელასავით აფარფალებდა.

კამარელი ნელი ნაბიჯით გაემართა მისკენ, უსიტყვოდ, გულისცემისაგან შინაგანად აკანკალებული, მოურევნელი სიამისაგან ენადაბმული.

გედამაც გადადგა მისკენ ორიოდე ნაბიჯი და ორი ანთებული სხეული ერთ კოცონად აბრიალდა...

როცა პირველი ალერსის თავბრუდამხვევი ალმური ოდნავ მინელდა, გედა უეცრად წამოდგა, „მალე გნახავ“, — წასჩურჩულა ყურში კამარელს და ელვასავით გაკრთა და გაუჩინარდა.

დიდსანს იჯდა კამარელი დივანზე გარინდული, გაოცებული და ჯერ კიდევ შერჩენოდა მის მკლავებს, მის მკერდსა და სახეს საყვარელი ქალის სითბო და სურნელი, სუნთქვა და სიმძიმე...

კამარელს უყვარს გედა, გედასაც უყვარს კამარელი.

კამარელი ხელს თხოვს გედას. გედა თანახმაა.

კამარელი ხელს უწვდის გედას.

კამარელს ელვიძება...

მის წინ თავდახრილი დგას მოახლე და ხელზე ხელს უჭერს. ულიმის.

კამარელი შეშფოთებულია, გამოერკვეველი შესცქერის მოახლეს. მას გრძელი, საოცარი სიზმარი უნახავს...

— ვიღაც კაცი გეწვიათ!

კამარელმა გაოფლილ შუბლზე ხელი გადაისვა და შემდეგ თმაში შეიცურა თითები.

გასაოცარი, გამოუცნობი გრძნობა მორეოდა.

— სთხოვეთ.

მოახლე გავიდა...

* *

შემოდის საშუალო ტანის მამაკაცი მისთვის ნაცნობ ტანსაცმელში და შავად მოელვარე უზარმაზარი სათვალით.

კამარელი წამოდგა. უცნობმა ხელი გაუწოდა კამარელს და თავი გააცნო.

— ინჟინერი ვაისმანი!!!...

ივანე
ყიფიანი

ფანტასტიკური რომანი



გაზაფხული იწურებოდა. მთებში ჩამჯდარ ტფილისისოვის მზეს სანძარი გაეჩინა. მოქალაქენი ბაღებში ხეების ჩრდილებს შეჰფარებოდნენ. მოსიარულეთა ნატერფალი მოასფალტებულ ქუჩებს დაღივით აჩნდა.

როდესაც გავარვარებული მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, მისმა მცხუნვარებამ თანდათან იკლო.

დასვენების დღე იყო.

სიცხისაგან გულშეწუხებული ექიმი გიორგი მოგელი თავის პატარა აივანზე მკერდგაღეღილი დიდხანს იჯდა. მან ჯერ ჩამავალ მზეს თვალი გააყოლა და მერე თავისი ყურადღება აღმოსავლეთს მიაპყრო. იგი ბუნების სიმშვენიერემ გაიტაცა და სრულებით არ შეუმჩნევია, რომ ცოტა ხნის შემდეგ ცაზე ვარსკვლავები მარგალიტებად აციმციმდნენ. მისმა სსეულმა ოდნავი შვება მხოლოდ მაშინ იგრძნო, როდესაც კოჯრიდან ერილმა ნიავმა დაუბერა.

როდესაც კარგად დაბნელდა, გიორგიმ აივანს თავი დაანება, კაბინეტს მიაშურა და მაგიდას საწერად მიუჯდა. მაგრამ, სანამ წერას შეუდგებოდა, წამით შეჩერდა და ერთ წერტილს დააშტერდა.

გიორგი მოგელი თავის განზრახული მოხსენების შესავლისათვის ლამაზ და დამაჯერებელ სიტყვებს ეძებდა.

იგი მეტად საყურადღებო შინაარსის მოხსენებას ამზადებდა. ეს მოხსენება მკვლრების დაბალზამების ისტორიასა და ამ დარგში მის აღმოჩენას შეეხებოდა.

„დიდ იდეასა და დიდ აღმოჩენას ფორმაც შესაფერისი უნდაო“, — სამართლიანად ფიქრობდა გიორგი. ამჟამად სათანადო სიტყვებისათვის მას ვერ მიეგნო და პირველი წინადადების დაწერა ისე უძნელდებოდა, როგორც ქალს პირველი მშობიარობა.

მაგრამ სწორედ იმ წუთში, როდესაც გიორგის აზროვნებაში დამთავრებული წინადადება ჩაისახა და იგი ქაღალდზე

უნდა გამოსასულიყო, უეცრად ელექტრონის ზარმა დაიწკრიალა. გიორგიმ, თითქოს მოულოდნელად ცივი წყალი გადასასხესო, უცებ კალამს ხელი უშვა და უკმაყოფილოდ გაიფიქრა:

„ალბათ, სადმე ავადმყოფთან მიწვევენ“.

მან თითქოს პირველად იგრძნო თავის სელობის სიმძიმე.

მაგრამ, როდესაც უცხო კაცს კარი გაუღეს და მან დერეფანში ფეხი შემოდგა, გიორგის შემოესმა ძველი მეგობრის, სარდიონ მინდოდაურის, რისიანი ხმა. იგი გიორგის პატარა ვაჟს მოლკინალს ელაპარაკებოდა.

— შენი სახელი და გვარი, ვაჟკაცო? — ეკითხებოდა სტუმარი კარებში შეფეთებულ ბავშვს.

— მე მოლკინალი ვარ, — უპასუხებდა იგი.

— ხა, ხა, ხა, ხა, მოლკინალი. ყოჩაღ, ვაჟკაცო, — იცინოდა ხმამაღლა სტუმარი და ბავშვს სიყვარულით ხელს უთათუნებდა.

— სად არის მამაშენი?

— მამა მუშაობს.

— კარგი, წადი უთხარი, მუშაობას ცოტა ხნით თავი დაანებე, სარდიონ მინდოდაური გესტუმრა-თქო.

გიორგი თავის ოთახიდან პერანგის ამარა გამოეგება სარდიონს და ხელი მაგრად ჩამოართვა.

— ჩემო ჰერკულეს, არ გრცხვენია, რომ დაგვივიწყე? რა ამბავია, ნუთუ სრულებით არ მოგაგონდით?

— წარმოიდგინე, სამი სამსახური, აუარებელი საქმე და დიდი ოჯახი. ყველაფერი ეს ზურგზე მძიმე ტვირთად მაწვება.

— არა უშავს, შენი ჯანი და ბეჭები ათს მაგოდენას ზიდავს, — ხუმრობით უთხრა გიორგიმ და მის ბუმბერაზ ტანს თვალი სიამოვნებით შეავლო.

გიორგიმ სარდიონი სასტუმრო ოთახში შეიყვანა, სადაც მალე გიორგის მეუღლე მზიაც გამოჩნდა.

მზია ლამაზი ქალი იყო.

მისი გიშრისფერი თვალები და გრძელი წამწამების ჩრდილი მნახველს იზიდავდა. იგი ოცდაათი წლის თუ იქნებოდა. ყვითელი აბრეშუმის კაბა ეცვა.

სარდიონმა, როგორც კი მზია დაინახა, უმალვე ფეხზე წა-

მოიშრა და მიესალმა. მზიამაც უსაყვედურა სტუმარს გვიან გახსენებისათვის.

გიორგი გულღიად დაუსვდა თავის მეგობარს. მათ დიდხანს ისაუბრეს. გაიხსენეს ძველი დრო, სტუდენტობა, გამოცდები, პროფესორები, ამხანაგები, ანეგდოტები და შემდეგ გადავიდნენ გიორგის უკანასკნელ სამუშაოზე.

სარდიონს განსაკუთრებით აინტერესებდა გიორგის კარგახნის წინათ დაწყებული მუშაობა უხრწნელობის დარგში, და ამიტომ შეეკითხა მას:

— მახსოვს, ერთ დროს დაინტერესებული იყავი დაბალზამების საკითხით. ვიცი, ასლაც ამაზე მუშაობ. არ შეიძლება გავეცნო შენ მიერ მიღწეულ შედეგებს?

— ჩემ მიერ მიღწეულ შედეგებს? — ოდნავ გასაგონად გაიმეორა გიორგიმ და ჩაფიქრდა, თითქოს თავს ეკითხებოდა: შესაძლებელია თუ არა ჩემი საიდუმლოება სარდიონს გავაცნოო?

იგი ერთხანს სარდიონის მსუქან თითებს მისჩერებოდა. შემდეგ უცებ თავი ასწია და მეგობრული თავაზიანობით წარმოთქვა:

— როგორ არა? თუ ძალიან გაინტერესებს ჩემი მიღწევა, შევიდეთ ჩემს სამუშაო ოთახში.

— ძალიან კარგი, წავიდეთ! — წამოდგა სარდიონი.

გიორგიმ სარდიონი თავის სამუშაო ოთახში შეიყვანა. შესვლისთანავე მან გამოაღო ერთი დიდი კარადის კარი. ამ კარადაში სარდიონმა დაინახა დიდძალი სხვადასხვა ცხოველი და ფრინველი.

— აი, შეხედე ამ ნადირებსა და ფრინველებს, ესენი ბლოზად მოჰქონდა ჩემთან ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ ერთ მეგობარ მონადირეს. ეს ნანადირევი ცხოველები იყვნენ ჩემი საცდელი ობიექტები. ესენი ჩემ მიერ არიან დაბალზამებული. აბა, დახედე, ამათ დაბალზამებიდან რამდენიმე წელიწადია გასული, ამჩნევ რაიმე ცვლილებას ახლადმოკლულსა და ამათ შორის?

სარდიონი ცხოველებსა და ფრინველებს კარგად დააკვირდა.

— შეიძლება გეგონია, რომ მე ცხოველებს იმგვარად ვაბალზამებ, როგორც უწინ? შეხედე ამ კურდღელს, — და გი-

ორგიმ კარადის ქვედა უჯრიდან გამოიღო შუაზე გაჭრილი კურდღელი; მას ტვინი და შიგნეულობა უნდა. — რვა წელი იქნება, რაც ეს კურდღელი ამგვარადაა დაბალზამებული, და ამ რვა წლის განმავლობაში თუ ოდნავად შეცვლილა მისი გარეგნობა, შენ თვითონ თქვი, შენ ხომ ძველი ექიმი ხარ!

სარდიონმა დიდსანს ათვალიერა კურდღელი. დაყნოსა, ხელითაც შეეხო, მისი ტვინის ნაწილები მიკროსკოპითაც გასინჯა, მაგრამ ვერავითარი ცვლილება ვერ იპოვა ახლადმოკლულსა და დაბალზამებულ კურდღელს შორის.

— ეს დიდებულია. მაგრამ ადამიანის დაბალზამება ხომ არ გიცდია? — ჰკითხა სარდიონმა.

— როგორ არა! გნებავს, გიჩვენებ ჩემ ნაადრევად დაბადებულ და გარდაცვლილ ვაჟის სხეულს: იგი ექვსი წლის წინათ მოკვდა.

გიორგიმ გამოაღო მეორე კარადა, სადაც იყო მის მიერ დაბალზამებული ვაჟიშვილი თავისი ტვინითა და ყველა შინაგანი ორგანოებით.

სარდიონმა დიდსანს ათვალიერა გიორგის სხვა ნამუშევარი, მიღწეული შედეგით გაოცებული დარჩა და გიორგის შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— შენ გადაგიწყვეტია თანამედროვე მედიცინისათვის ჯერ კიდევ საკვლევით გადაუჭრელი საკითხი. შენ ხომ არ გიხმარია დღევანდელი საექიმო მეცნიერებისათვის ნაცნობი საშუალებანი?

— რა თქმა უნდა, არა. — უპასუხა გიორგიმ. — ამ საშუალების აღმოჩენა დიდ შრომად დამიჯდა. ხომ გახსოვს, მე არ დავუჯერე დაბალზამების ნაცნობ რეცეპტებს, რომლებითაც მდიდარია წარსული და თანამედროვე საექიმო ლიტერატურა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი ის, რაც მედიცინამ ამ დარგში იცოდა, საკმარისი არ იყო, თუნდაც, იმგვარი დაბალზამებისათვის, როგორც ეს იცოდნენ ძველ ეგვიპტეში. მინდოდა გავცნობოდი დაბალზამების პროცესს ეგვიპტის ჰავასთან დაკავშირებით და, როგორც ხედავ, ჩემმა ცდამ მოულოდნელი ნაყოფი გამოიღო. მე აღმოვაჩინე ბევრად უკეთესი წამალი დაბალზამებისა, ვიდრე ეს იცოდა კაცობრიობამ. შენ გახსოვს ჩემი მოგზაურობა ინგლისსა და ეგვიპტეში. იქ შევისწავლე ყველა არსებული მუმია, შევისწავლე ეგვიპ-

ტის ყველა მცენარე; მინდოდა გავცნობოდი მკვლევრების დაბალზამებას, ძველ ეგვიპტელთა ამ უდიდეს ხელობას, არა, ხელობას კი არა, ხელოვნებას, და, როგორც ხედავ, მე ამას მივაღწიე.

— მაშასადამე, უხრწნელობის პრობლემა შენ მიერ გადაჭრილია, — უთხრა სარდიონმა. — სად არის ასლა ჰომიროსი, პლატონი, რუსთველი, ნიუტონი, კანტი და ათასი სხვა დიდებული ადამიანი, რომ მათი სხეული სიკვდილისაგან გახრწნას გადავარჩინოთ და მარადის ცოცხლებივით დავსტოვოთ.

— რაც წავიდა, იმას ვერაფრით ვერ დაეწევი. მერე იცი, როგორ გამიძნელდა დასაბალზამებელ წამლის აღმოჩენა?

— წარმოდგენილი მაქვს.

— მაგრამ ათასგვარი ანალიზებითა და შეუდრეკელი ნებისყოფით შევძელი ბოლოსდაბოლოს მიმეგნო ამ წამლისათვის. ეს ჯერჯერობით საიდუმლოდ ითვლება. იგი ჩემ კაბინეტში აფარებს თავს. რა თქმა უნდა, ყველამ იცის, რომ დიდიხანია ამ საკითხზე ვმუშაობ; ისიც იციან, რომ მნიშვნელოვან შედეგებსაც მივაღწიე, მაგრამ საბოლოოდ არ ჩამომისსნია ფარდა ამ საიდუმლოებისათვის. გადაწყვეტილი მაქვს, სწორედ ამ დღეებში გაგაცნოთ ჩემს მიღწევებს. რამდენად უბრალო არის ეს აღმოჩენა ერთი შეხედვით, მაგრამ რამდენი ძებნა მოუნდა!..

— სწორედ გასაოცარია, გასაოცარი! — იმეორებდა მართლაც განცვიფრებული სარდიონი — შენი აღმოჩენა სენსაციას გამოიწვევს, საერთო სენსაციას.

— დრო და ჰაერი ჩემ მიერ დაბალზამებულ სხეულზე ვერ მოახდენს დამღუპველ გავლენას, — განაგრძობდა გიორგი. — ნემი მეთოდით დაბალზამებული გვამი — ისევე იქნება სამი, ხუთი, ათი ათასი წლის განმავლობაში, როგორც დღეს არის. ზედმეტია ლაპარაკი ორგანიზმის უჯრედების რაიმე გადაგვარებაზე, რაც ასასიათებდა ძველ მუმიებს. ეს აღმოჩენა ამ მოკლე დროიდან ჩემი ასლო მეგობრებისათვის დაფარული ალარ იქნება.

— მაშასადამე, მეც მეტყვი, როგორ და რით აბალზამებ, არა?

გიორგი წუთით დაჩუმდა. ეტყობოდა არ სურდა ამჟამად საიდუმლოების გამხელა.

— რა თქმა უნდა, არა თუ შენ, არამედ ყველა ექიმს გავაცნობ ჩემ მიღწევას.

სარდიონი მეტად დაინტერესდა: მას უნდოდა დღესვე შეეტყო ეს ამბავი.

— შეიძლება შენ გეშინია გამხელის, მაგრამ, გარწმუნებ, არაფერს მივითვისებ.

გიორგიმ უხერხულობა იგრძნო, ის თუმცა ყველაფერში ენდობოდა სარდიონს, მაგრამ მისთვის საიდუმლოს გამხელა ნაადრევად მიაჩნდა. ცოტა ყოყმანის შემდეგ მან გაბედულად უპასუხა:

— თუ ძალიან გაინტერესებს, შემიძლია დღესვე გაგიმარტო, მაგრამ ერთსა გთხოვ: თუ ჩემი მეგობარი ხარ, ნუ გაამჟღავნებ ჯერ-ჯერობით ამ საიდუმლოებას. შემდეგ კვირას დანიშნულია ექიმების სამეცნიერო ყრილობა. იქ მინდა მოხსენებით გამოვიდე ჩემი აღმოჩენის შესახებ და ნიმუშიც წარვადგინო. მანამდე კი ხმა გაიკმინდე.

გიორგიმ დაწვრილებით აუხსნა სარდიონს, თუ როგორ და რისგან კეთდებოდა ეს წამალი და შემდეგ ამ წამლით დაბალზამების ხერხი.

— დიდებული აღმოჩენაა, დიდებული! — იმეორებდა სარდიონი.

შუმიების დათვალიერების შემდეგ ორივემ ხელი დაიბანა და ნაუცბათევ ვახშამს შეუდგნენ.

გიორგის მიღწევებით აღფრთოვანებულმა სარდიონმა ღვინით სავსე ჭიქით გიორგის კიდევ მრავალ წელს ჯანმრთელობა და მის აღმოჩენას ბრწყინვალე გამარჯვება უსურვა.

გიორგიმ მას მადლობა გადაუხადა და ხუმრობით უთხრა:

— მე, ძმაო, მეტი არაფერი მინდა — ათასი წლის შემდეგ კვლავ ჩემ ძვირფას ცოლ-შვილსა და მეგობრებს შემახვედრა.

— შენი აღმოჩენის შემდეგ ეს საკითხი თავისთავად გადაჭრილია, — უპასუხა სრული სერიოზულობით სარდიონმა.

საუბარი დიდხანს გაგრძელდა. როდესაც ვახშამი გათავდა, სარდიონი მასპინძლებს გამოემშვიდობა და შინ დაბრუნდა. გზაზე სულ გიორგის აღმოჩენაზე ფიქრობდა. მართალია, სარდიონი ამ აღმოჩენას ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უცქეროდა, მაგრამ გიორგის მიერ წარმოდგენილი საბუთები დიდად საინტერესოდ ეჩვენებოდა.

დაბალზამების საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით მას მოსვენებას არ აძლევდა აზრი:

„როგორ სასეს მიიღებს მომავალში მუმიების სამარსი?'

გ რ ი გ ა ლ ი

გიორგი მოგელმა ვერც მეორე დღეს შესძლო განზრასული საქმის დაწყება.

მან ადრე ისადილა. მაგრამ მაშინვე მძიმე ავადმყოფთან გაიწვიეს. ჯერ შინ არ დაბრუნებულიყო, რომ მეორესთან წასვლა სთხოვეს. მეორედან მესამესთან წაიყვანეს. ავადმყოფთა ჭირისუფლები ისე დასდევდნენ მას, როგორც ფუტკარი თაფლს და დატყვევებულივით დაჰყავდათ.

როდესაც გიორგი მორიგე ავადმყოფიდან ბრუნდებოდა, უკვე საღამო იყო. წყნარი ამინდი იდგა. მან ვერის დაღმართიდან დასავლეთისკენ მიიხედა. თვალი მოატანა ფოლადისფერ შავ ღრუბელს. იკი ტფილისს უახლოვდებოდა.

გიორგის ოპერის ბილეთების შეძენა სურდა. ამიტომ ეტლი ოპერის თეატრთან გაისტუმრა და თვითონ ბილეთის სალარისაკენ გასწია. ბილეთები აიღო და გარეთ გამოვიდა. რადგან მისი სასლი ახლოს იყო, გადაწყვიტა ფესით გაესეირნა. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ საშინელი გრიგალის მოახლოება შეამჩნია. ის იყო, თეატრის პირდაპირ გადავიდა, რომ გრიგალის მიერ რკინის ფრთებით ჰაერში ახვეტილი მტვერით ქალაქის გარეუბნები ყვითლად შეიღება. ერთი წუთის შემდეგ გრიგალი დაჭრილ ლომსავით გიორგის წინ შემოეფეთა. ქვიშამ და მტვერმა ქუჩაში მიმავალ მგზავრებს თვალები დაუვსო. გიორგიმ ქუდი თავზე მაგრად ჩამოიფსატა, ცსვირსახოცი ამოიღო და თვალები ამოიწმინდა. უცებ გაძლიერებულმა გრიგალმა გიორგი ბუმბლივით მაღლა ასწია, და მას რომ მახლობელ მოაჯირისათვის არ ჩაევლო ხელი, უსათუოდ ქვაფენილიდან გადააგდებდა. გიორგიმ დარაბის მოაჯირს ხელი მაგრად ჩასჭიდა, მაგრამ აქ მას დამსხვრეული ფანჯრის ნატეხები თავზე დაეყარა. ის გაიქცა და ასლა სსვაგან დაიწყო თავშესაფრის ძებნა.

ჰაერში უკვე დიდი სნიდან მბორგავი, მოყვითალო გველები თანდათან მოახლოვდნენ. შორიდან წამოსულმა შავმა ღრუბელმა დღის სინათლე შთანთქეს.

სიბნელეს საშინელი გრგვინვა მოჰყვა. ცა აზანზარდა, ერთი საოცრად დაიქუხა და ცეცხლის ისარი გიორგის თვალწინ, ოცდაათი ფეხის ნაპიჯზე ხეს ჩაერჭო. დამსხვრეული და აღმოდებული ხე მიწაზე წაიქცა. გიორგის ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქოს მთელი ქალაქი ააფეთქესო. მეხის გავარდნა და მაღლიდან კვერცხისოდენა სეტყვის წამოსვლა ერთი იყო.

გიორგიმ რომელიღაც სახლის აივანს შეაფარა თავი და გაჩერდა საკმაოდ შემკრთალი

— წმინდა არს! წმინდა არს! — მოესმა მას გვერდში მდგომ მოხუცის შეშინებული ხმა. მოხუცი პირჯვარს იწერდა. მალე აივნის ქვეშ ტევა აღარ იყო. მაგრამ მოქალაქეები მაინც ამ ადგილს შეშინებული წიწილებივით აწყდებოდნენ. გიორგის წინ სეტყვა რიყის ქვებივით სცვიოდა. ზოგიც ქვაფენილზე რეზინის ბურთებივით ხტოდა. ზოგი კი შაბივით იმსხვრეოდა. ამწვანებულ ხეებიდან ფოთლები ტოტებიანად ძირს ჩამოდიოდა. ტელეფონის მავთულები დაწყდა და ქალის თმებივით დაიბურდა. სასლის სასურავებს თითქოს ათასი ხურო რკინის ჩაქუჩებს ურტყამდა. ჯიჯგოსეთური ხმაური იდგა. ავტო და ეტლი გაქრა. ტრამვაი გაჩერდა. ათი წუთის შემდეგ ქუჩებში ყინულის იმდენი კაკლები ეყარა, რომ კაცს წვივამდის მისწვდებოდა. მერე კოკისპირული წვიმა დაუშვა, და ქუჩები მდინარეებად იქცა.

წარღვნამ დიდსანს გასტანა. დასველებული გიორგი დიდის ვაივაგლახით მივიდა შინ.

მეორე დღეს გიორგის აუარებელი საქმე ჰქონდა: ლექციები, ლაბორატორიები, კონსულტაციები და სხვ. შუალამემდის ერთი წუთი არ შეუსვენია. შუალამეზე დაწვა და დაეძინა, მაგრამ, წინა დღით გაცივებულ გიორგი მოგელს, ძილი ჯოჯოხეთად ექცა... სრულებით მოულოდნელად მის სხეულს ცეცხლი მოეკიდა. კარგა ხანს გიორგი ძილში ბორგავდა. ბოლოს საცვლების ამარა ზეზე წამოიჭრა და გიჟივით ფანჯარასთან მივარდა, მაგრამ უეცრად გამოღვიძებულმა მზიამ ქმარი ფანჯრიდან ეადავარდნას გადაარჩინა.

მზიამ გიორგი დიდი ხვეწნითა და მუდარით ისევ დააწვინა. გიორგის სამინელი სიცხე ჰქონდა. თერმომეტრი 41 გრადუსს უჩვენებდა.

გარდაცვალება

კარგად არ იყო გათენებული, როდესაც მზიამ ქალაქის გამოწენილი ექიმები მოიწვია.

— რა დაემართა გიორგის? რა მოუვიდა? — კითხულობდნენ ისინი.

მზია საქმის გარემოებას უყვებოდა, და თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— ნუ გეშინიათ, ჯერ ვნახოთ, — ამშვიდებდნენ ისინი.

მართლაც, ავადმყოფი გულდასმით გასინჯეს და ორივე ფილტვის კრუპოზული ანთება დაუდასტურეს.

მზიას შიშმა ერთიორად იმატა; მან კარგად იცოდა, რომ გიორგის, გამუდმებულ მუშაობისა და მეცადინეობის გამო, გული ძლიერ დასუსტებული ჰქონდა.

— არაფერია, ასალგაზრდა კაცია, გადაიტანს, — უთხრა მას მოხუცმა პროფესორმა.

მზია ცდილობდა ექიმების იქ ყოფნის დროს მაინც გამაგრებულიყო და თვალზე მომდგარ ცრემლებს იკავებდა.

— დიდად გმადლობთ, — უთხრა ექიმებსა და პროფესორს გამომშვიდობებისას და, გამობრუნებულს, თვალთაგან ცრემლების მდუღარება წასკდა.

გავიდა სამი-ოთხი დღე. გიორგი თანდათან სუსტდებოდა. სიცხისაგან დანისლულ თვალს იგი თავის გარშემო მდებარე ნივთებს ხშირად დააშტერებდა ხოლმე. აი ხედავს წამლიან შუშებს. ისინი მის ახლო მდგარ მაგიდაზე ჩამწკრივებულან. გიორგის ეს შუშები ხან მოწყალების დებად ეჩვენებოდა, ხან თეთრნაბდიან ვაჟკაცებად ელანდებოდა. ისინი თითქოს გიორგის ჯანმრთელობის საგუშაგოზე იდგნენ.

მესუთე დღეზე გიორგის უკვე ვეღარ სცნობდნენ. მისი სანდომიანი სახე და ცეცხლიანი თვალები სადღაც გამქრალიყო. ტუჩები ნაგვალავ მიწასავით დასკდომოდა. შეუცვლელი იყო მხოლოდ დღე და ღამე ყინულის პარკით დაფარული მისი

ფართოდ გადაშლილი შუბლი, ოდნავ მოხრილი, თხელნესტო-ებიანი ცხვირი და შუაზე გაყოფილი ნიკაპი, რომელიც თან-დაყოლილ სქელი წვერით ემოსებოდა. გიორგიმ მეექვსე დღეს გრძნობა სრულიად დაკარგა და მეშვიდე დღეს სულიც განუ-ტევა.

გიორგის გარდაცვალებამ თავზარი დასცა მის ცოლშვილსა და მეგობრებს და მეტად დააღონა ყველა მისი ნაცნობი. გან-საკუთრებით მძიმე იყო მეგობრის დაკარგვა სარდიონ მინ-დოღაურისათვის, რადგან გიორგი მისი სიყრმის მეგობარი იყო. სარდიონმა კარგად იცოდა თუ როგორი სახელი და დი-დება მოჰყვებოდა გიორგის აღმოჩენის გამომეღავნებას, რა საერთო აღტაცებას გამოიწვევდა იგი მეცნიერთა შორის. რა-საკვირველია, სარდიონი ამის შესახებ ქვეყანას ამცნობს, მაგ-რამ გიორგის რა?

სარდიონმა იცის დაბალზამების წამალი და ხერხი, იკი, რასაკვირველია, დაწვრილებით აღწერს გიორგის მრავალი წლის შრომასა და მაღწევას მიცვალებულთა დაბალზამების საქმეში და მით სამარადისო ძეგლს დაუდგამს მის სსოვნას.

მიცვალებულისადმი სარდიონმა განსაკუთრებული ყუ-რ დღება გამოიჩინა: მან დიდი მზრუნველობით მოუარა გი-ორგის სხეულს. გარდაცვალების მეორე დღესვე მისი სხეუ-ლი მისივე წამლითა და ხერხით დააბალზამა. მორჩენილი წა-მალი გიორგის ტანისამოსსაც კი მოაპკურა. სარდიონი დარ-წმუნებული იყო, რომ გიორგის დაბალზამებული ორგანიზმი რამდენიმე ასეულ და ათას წელს უცვლელად შეინახებოდა: ჰაერი და დრო გვამზე ოდნავად ვერ იმოქმედებდა. საჭირო იყო საუკუნეთა გამძლე კუბო. დიდი ძებნის შემდეგ, სარდი-ონმა მიაგნო დაუჟანგავ ნივთიერებას. სანამ კუბოს გერმეტიუ-ლად დახურავდნენ, სარდიონმა გიორგის ჩაატანა პერგამენ-ტზე დაწერილი მოკლე ბიოგრაფია, სადაც აღნიშნული იყო მისი დამსახურება მეცნიერების წინაშე და აგრეთვე მისი სურვილი, რომ იგი ათასი წლის შემდეგ გამოეღვიძებიათ.

„ვინ იცის, — ფიქრობდა სარდიონი, — იქნება მართლაც დადგეს ისეთი დრო, როცა მკვდრის გაცოცხლება შესაძლე-ბელი იქნება? ამაზე ოცნებობდა ხომ გიორგი?“

გიორგის სამარე ჯერ კიდევ არ იყო მიწით ამოვსებული, რომ სარდიონის ყურადღება მისი ვაჟის გაფითრებულმა სახემ მიიპყრო. მან შვილი გვერდზე გაიხმო და გაკვირვებით შეეკითხა:

— რა დაგემართა? რა ამბავია?

— არაფერი, მამა, ბათომიდან ელვა-დეპეშა მივიღეთ რუსუდანის უეცარ მძიმე ავადმყოფობის შესახებ, გითვლიან ჩამოდიო.

— რას ამბობ? რუსუდანის? — ელდა ეცა სარდიონს. — რა მოუვიდა იმ ბავშვს? უბედურება ხომ არ შეემთხვა რამე? — გაიფიქრა მან.

რუსუდანი იყო სარდიონის ასული. ის ბათომში სტუმრად იყო მამიდასთან.

სარდიონი იმავე ღამესვე საჩქაროდ ბათომში უნდა წასულიყო რუსუდანის სანახავად.

სასაფლაოდან დაბრუნებულ ხალხს წინ გაუსწრო. მზიას არც-კი დამშვიდობებია. საღამოს სარდიონი უკვე მატარებელში იჯდა. ყოველი წუთი მას საუკუნედ ეჩვენებოდა. როგორც იქნა მატარებელი დაიძრა.

სარდიონმა მატარებლის კედელს თავი მიაყრდნო და გაირინდა.

„ნეტა რა ამბავია? რა მოხდა? რა დაემართა რუსუდანს?“

სარდიონს მოსვენებას. არ აძლევდა მწარე ფიქრები.

„რუსუდან! რუსუდან! რუსუდან! — უხმოდ ეძახოდა ის საყვარელ ასულს. — რა დაგემართა, ჩემო მშვენიერო გოგონავ? ვაი, თუ ისე ხარ ავად, რომ შენ მორჩენაზე ფიქრიც ზედმეტია. ვაი, თუ ცოცხალიც აღარ ხარ? მაშინ რაღა უნდა ქნას სარდიონმა? განა სარდიონს გიორგის სიკვდილი არ ეყოფოდა, რომ ასლა ასეთი უბედურება თავს არ დასტეხოდა?“

მატარებელი მიპქროდა.

აპა ლიხიც დასტოვეს. მატარებელი წიფის გვირაბს მიადგა. მწუხარე სარდიონს ძილი არ ეკარებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი გვირაბს იქით, იმერეთის საზღვარში იქნება. მას ესმის ზარის ხმა. ეს ხმა მგზავრებს ამცნობს, რომ ისინი უკვე გასცდნენ ნასეკარ გვირაბს. მალე სარდიონის ვაგონის

ქვეშაც გაისმა ზარის რეკა. განსაკუთრებული იყო ეს ხმა. სარდიონს ცუდად ენიშნა.

სარდიონი კვლავ ფიქრებში იყო წასული, როდესაც მატარებელმა ცივი ხმით დაიკივლა, მაგრამ ეს მას არ შეუმჩნევია. ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ამ თავდაღმართში? მემანქანე გაფრთხილების ნიშანს აძლევს კონდუქტორებს, რომ ისინი დროზე და საჭიროებისამებრ ამუხრუჭებდნენ ვაგონებს.

სარდიონის წინ მჯდომმა ერთმა ქალმა თქვა:

— მე წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ბათომის გზაზე გვირაბი შეგვხვდებოდა. ესე რომ მგონებოდა, ადგილიდან ფეხს რა დავძრავდი.

ეს ქალი რუსეთიდან მოდიოდა. იმას თავის დღეში მთა არ ენახა და ისიც გამოშიგნული.

მატარებელმა სისწრაფეს უმატა, თითქოს სარდიონის გულის ნადებს მიუხვდა და სურდა ჩქარა მიეყვანა იგი რუსუდანთან.

მატარებელი ისარივით გაიჭრა გვირაბიდან. სარდიონმა უგულოდ გაჰხედა ვაგონის ფანჯრიდან ბნელ სივრცეს.

მატარებელმა უეცრად განუწყვეტლივ კივილი გააბა. ვაგონები თითქოს ჰაერში მიქროდნენ.

მგზავრები შიშმა შეიპყრო. შეიქნა ჩოჩქოლი. სარდიონიც გამოფხიზლდა.

— უსათუოდ საფრთხე მოგველის, საფრთხე! — შემკრთალი სახით გაიძახოდნენ სარდიონის მეზობლები.

— რა ამბავია? საფრთხე მოგველის? — სიზმრებიდან ახლადგამორკვეულ ადამიანივით კითხულობს სარდიონი.

— თუ მემანქანემ ცოტა ხანში ვერ შესძლო მატარებლის შეჩერება, უსათუოდ საფრთხის წინაშე დავდგებით, — ამბობს ვიღაცა და აქეთ-იქით უმწეოდ ისედება.

სარდიონმა წარმოიდგინა ამ ადგილებში 1918 წელს თურქი ჯარისკაცების დაღუპვა და კიდევ სხვა მარცხი. ის თითქოს ხედავს, რომ მატარებელმა წიფის სადგურს ელვასავით გაურბინა და მთელი სისწრაფით შეღმართს შეუდგა, მაგრამ სარდიონის აზრით, ვეღარც ეს შეღმართი იხსნის მატარებელს. იგი უთუოდ დაიმსხვრევა, დაიღუპება სარდიონიც რუსუდანის უნახავად.

„უნდა გადავხტე და თავს ვუშველო, უნდა გადავხტე, უნდა გადავხტე!“ — ეს აზრი სარდიონს სოლივით გაუჯდა თავში.

იგი ერთ წუთში კარებთან გაჩნდა. კარები გიჟივით გამოაღო და თვალის დახამხამებაში მატარებლიდან გადახტა. მატარებელმა ჩიხის აღმართზე თანდათან უკლო სვლას და ბოლოს ქმენით გაჩერდა.

მატარებელი გადარჩა კატასტროფას, დაიღუპა მხოლოდ სარდიონი, გიორგის ერთადერთი მესაიდუმლე. მასთან ერთად დაიღუპა საექიმო მეცნიერების უდიდესი აღმოჩენაც.

ათასი წლის ფემდეგ

გიორგი მაგრად შეიშმუშნა და გამოეღვიძა. მან თვალების გახელა სცადა, მაგრამ ისევ მალე დახუჭა. სინათლე თვალსა სჭრიდა. კარგასანს თვალების ხამხამის შემდეგ ჭერს შესედა, მაგრამ ეუცხოვა. ჭერიდან მზერა კედლებზე გადიტანა. კედლებიც სულ სხვა აღმოჩნდა. გიორგიმ თვალები ერთხელ კიდევ მაგრად მოისრისა და ოთახი შეათვალიერა, ყველაფერი ეუცხოვა. მას მზიასთვის დაძახება სურდა, მაგრამ როდესაც გარშემო ერთხელ კიდევ მიმოიხედა, დარწმუნდა, რომ იგი თავის ოთახში არ იმყოფებოდა. მან ტანისამოსის მეტი ვერაფერი იცნო.

— „ეს რა ამბავია! — წამოიძახა გაოცებულმა გიორგიმ და ზეზე წამოვარდა.

„სადა ვარ?“ — გაუელვა თავში. — „გუშინ ხომ ავად ვიყავი. ტანისამოსი არ მცმია. ან რად მინდოდა იგი ლოგინში?“

გიორგიმ უნებურად ხელებზე დაიხედა, უეცრად თვალები აუბრჭყვიალდა: მარჯვენა ხელის შუა თითზე გაკეთებულ ოქროს ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი მკვეთრად კიაფობდა.

მან კიდევ დახედა ამ ქვას და თავის ფრჩხილებს, რომლებიც ძალიან წამოზრდოდა. გიორგის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, იგი ერთ წუთს გაშტერებული იდგა; ფიქრობდა, ამუამად სად უნდა ყოფილიყო? მდგომარეობის გამოსარკვევად მან ფანჯარაში გაიხედა, მაგრამ იქ დიდი ხეების მეტი ვერაფერი დაინახა, გიორგიმ ფანჯრიდან უკან დაიხია და და-

ფიქრდა; თავის გუშინდელ და დღევანდელ მდგომარეობას ერთმანეთს ადარებდა და ასეთი უეცარი ცვლილება საშინლად აკვირვებდა.

„თავს სრულიად ჯანმრთელად ვგრძნობ. მიკვირს ასეთი უეცარი ცვლილება. არა, გასაოცარია, სად ვარ, ან ვისას? ან ეს ბეჭედი როგორ გაჩნდა ჩემს თითზე?"

გიორგიმ კვლავ ფანჯარაში გასედვა დააპირა.

უცებ შეამჩნია, რომ ოთახში მარტო არ არის, თითქოს კიდევ სხვა დაიარება. განცვიფრებული შედგა. ის კაციც გაჩერდა. ისინი წამით ერთმანეთს მიაჩერდნენ, თითქოს ერთიმეორეს ვინაობას ეკითხებოდნენ, თითქოს ნაცნობნი იყვნენ.

კარგა ხანს უცქირეს ერთმანეთს და ბოლოს გიორგის აღმოხდა:

„ნუთუ ეს მე ვარ? როგორ გამოცვლილა ჩემი სახე, რას ვგავარ?" — და ორეულს სიბრალულით მიაჩერდა.

საფეთქლებზე ძარღვები კომშის წნელებივით უჩანდა. სახეზე გამხდარიყო. წვერი ოდნავ მოზრდოდა. თვალები თითქოს ჩაბნელებოდა, მაგრამ მაინც ადრინდელი ცეცხლით ანათებდნენ. თავი შორეულ ნაცნობად მოეჩვენა და გაეხარდა.

გარედან საამური ლაპარაკი და სიცილი მოესმა. გიორგიმ კარებისაკენ ფეხი გადადგა. კარები უცებ თავისთავად გაიღო. გიორგიმ მიმოიხედა, გაუკვირდა, მაგრამ წინ უფრო მეტი საკვირველება მოელოდა. მის თვალწინ გამოჩნდა უზარმაზარი ეზო და ქუჩა ზღვა ხალხით.

— სადა ვარ? — გაოცებით კითხულობდა გიორგი. იგი რამდენიმე წუთს ამ ხალხის მოძრაობას გაშტერებით მისჩერებოდა.

„ალბათ, სიზმარში ვარ, მაგრამ ყველაფერს რომ ცხადად ვგრძნობ და ვხედავ?" — გაიფიქრა მან.

თავის უცნაური მდგომარეობის გამოსარკვევად იგი პირველი სართულიდან რუხ მარმარილოს კიბეზე დაეშვა და გარეთ გამოვიდა. მან თვალი მოავლო იმ შენობას, რომელშიაც ღამე გაეთია. გიორგი გააოცა ამ შენობამ, არა იმდენად სართულების სიმრავლემ და მისმა მოცულობამ, არამედ მისმა ნაგებობამ. ეს სახლი მეტად უცხო სტილით იყო აშენებული. მას მთლიანი კედლები და ჩვეულებრივი ფან-

ჯრები არ ჰქონდა. ქუჩაც არ ჰგავდა ქუჩას. გიორგიმ შეატყო, ხალხიც მისთვის უცხო ენაზე ლაპარაკობდა. მეტისმეტად გაოცებულმა, ერთი უცნობი შეაჩერა და მოკრძალებით ქართულად ჰკითხა:

— უკაცრავად, ეს რა ქვეყანაა? ან ამ ქალაქს რას ეძახით?

უცნობმა მისი სიტყვების ვერაფერი გაიგო, მსოლოდ თავაზიანად გაუღიმა გაუგებარ ენაზე მოლაპარაკეს. მაშინ გიორგიმ რუსულად მიმართა, ვერც ახლა გააგებია რამე. შემდეგ ივივე კითხვა სხვა ენაზე გაუმეორა, მაგრამ უცნობი გაოცებით მისჩერებოდა მას, მხრებს და ხელებს გაკვირვებით მაღლა სწევდა, თან მხოლოდ ერთადერთ სიტყვას „ამონ"-ს ამბობდა.

გიორგი უცნობს დანაღვლიანებული მოშორდა და ხალხში გაერია. მას ირგვლივ ესმოდა ერთიდაიგივე მუსიკალური ენა. ხანდახან თითქოს მისი მშობლიური სიტყვებიც გაისმოდა.

„სადა ვარ, სად?!" — გაოცებით ეკითხებოდა გიორგი თავის თავს. მას მოაგონდა, რომ ქუდი ოთახში დარჩა. უკან დაბრუნდა და ოთახში შესვლა დააპირა. კარი უეცრად გაიღო და გიორგის თვალწინ გამოჩნდა ლამაზი ქალი, რომელიც სარკეში თმას ისწორებდა. გიორგი შეკრთა და უკან დაიხია. კარები დაიხურა, გიორგის უნდოდა ამ ქალის წინაშე ბოდიშის მოხდა და დაუცადა ქალს, სანამ ოთახიდან გამოვიდოდა, თან გაიფიქრა:

„ალბათ, ოთახი შემეშალა, მაგრამ ჩემი ქუდი რომ დავინახე?"

ქალი ოთახიდან ცალე გამოვიდა, გიორგიმ ბოდიში მოიხადა. ქალმა გაუღიმა. მოკლედ უთხრა „ალმა", თითქოს არაფერიაო, და საჩქაროდ წავიდა. გიორგიმ თვალი გააყოლა მშვენიერ ქალს. იგი კოხტად მიაბიჯებდა. გიორგიმ შეამჩნია, რომ ქალს დაჭმუჭნილი თეთრი კაბა ეცვა.

გიორგიმ წუთით ისარგებლა და ოთახში შევიდა. ქუდი გამოიტანა და ხალხში გაერია. მას ძლიერ აოცებდა: ეს ხალხი, თავის უცნაური გამოღვიძება, ლამაზი ქალის მის ოთახში ყოფნა, უცხო ენა, ბრილიანტის ბეჭედი, შენობის სტილი და ყველაფერი, რაც მან ნახა. იგი თითქოს სიზმარში გრძნობდა თავს. ხალხის მოძრაობის ინერციამ გაიტაცა. უეცრად მისი ყურადღება წინ ზიმავალი კაცის დაჭმუჭვნილმა შარვალ-

მა მიიპყრო. შესელა მეორეს, მესამეს... და ყველას ასეთივე დაჭმუჭვნილი ტანსაცმელი ეცვა. გაიფიქრა:

„ალბათ, თავშესაფარში მოვხვდი, მაგრამ ამდენი ხალხი! ნუთუ ყველა იქ ათევდა ღამეს? ეს ქალები, რომელთაც აცვიათ თეთრი, მაგრამ დაჭმუჭვნილი ტანსაცმელი, ტანთგაუსდელნი ხომ არ იწვნენ?"

კვლავ მიაჩერდა ხალხის სხვა წყებას. მათაც ეს დაღი განუშორებლად აწნდათ. გიორგი საწინააღმდეგო მიმართულებით მომდინარე ხალხს უახლოვდება. აკვირდება მათ ტანსაცმელს, მაგრამ ამ დაღს აქ ვერ ხედავს.

„რა ამბავია?" — ფიქრობს ის, მაგრამ კითხვა უპასუხოდ რჩება.

სულ ორასი ნაბიჯი თუ ექნებოდა გიორგის გადადგმული, რომ უცებ სხვებთან ერთად შენერდა. ეს ხალხი რაღაც დიდსა და შავ ოთახში შედიოდა. ამ ოთახს გემის მოყვანილობა ჰქონდა. გიორგი ხალხს თან შეჰყვა. მან ქალებს თვალი მოავლო; ისინი ერთიმეორეზე ლამაზები იყვნენ. თითოეულ მათგანს მეტისმეტი სინაზე და სისალისე ასასიათებდა. გიორგი ერთ-ერთ მათგანს პირდაპირ დაუჯდა და მის ნაზ რსევასა და სიცოცხლით სავსე ლაპარაკს სიამოვნებით თვალყურს ადევნებდა. ოთახი სალხით მალე გაივსო. კარები უეცრად დაიხურა და გიორგიმ იგრძნო, რომ ისინი სადღაც გაფრინდნენ. არ გასულა წუთიც, რომ კარები გაიღო და ხალხმა გამოსვლა დაიწყო. გიორგიმ მიდამოს თვალი მოავლო და საშინლად ეაოცდა. იგი სულ სხვა გარემოში იმყოფებოდა. გემიდან საჩქაროდ გამოვიდა და მიდამოებს განცვიფრებით დააკვირდა. შეამჩნია, რომ მომაღლო ადგილს გაჩერებულიყვნენ.

საკვირველება საკვირველებას ემატება

გიორგის თვალწინ გადაიშალა ვეებერთელა გასაოცარი სილამაზის ქალაქი, მრავალგვარი სტილისა და ფერის სახლებით.

პირველ ყოვლისა, გიორგი ამ ქალაქის მოძრავმა ქუჩებმა გააკვირვა. ქუჩები დიდძალი ხალხით იყო სავსე. გიორგიმ

გაიფიქრა: „ალბათ, ამერიკის უმთავრეს ქალაქ ნიუ-იორკში მოვხვდიო". თვალი გადაავლო მიდამოებსა და შენობებს და თავისთვის დაასკვნა: „არა, ეს მიდამოები ნიუ-იორკისას არ უნდა წააგავდეს, რაღაც სხვა ქალაქში უნდა ვიმყოფებოდე". მის წინ იშლებოდა ბრწყინვალე და გასაოცარი ქალაქი, რომელს-ც კიდე არ უჩნდა, მხოლოდ შორს, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, თოვლიანი მთები კირში ამოსვრილ ვეშაპებივით გაწოლილიყვნენ.

ქუჩებში ცაცხვის, მუხის, წაბლისა და სხვა ჯიშის ხეები რამდენიმე წყებად იყო დარგული. გზაჯვარედინებთან ქუჩები გრძელი გადასასვლელი სიღებით იყო მორთული. ეს ხიდები მიაგავდა მოოქრულ შვილდებს.

ყოველ სახლს წინ ყვავილებითა და მცენარეულობით შემკული პატარა ეზო ამშვენებდა.

— ეს რა ქალაქია? — ეკითხება იგი ერთ-ერთ უცნობს და ხელით ამ ქალაქზე მიუთითებს.

უცნობს არ ესმის მისი ლაპარაკი, მაგრამ მის აბრს სვდება და მოწყვეტით ეუბნება:

— სტომ, სტომ.

ეკითხება მეორეს. ამგვარსავე პასუხს იღებს. „სტომი", ალბათ, ქალაქის სახელია. მაგრამ ასეთი სახელწოდების ქალაქი მას არ ახსოვს. აკვირდება ქუჩების მოძრაობას, მაგრამ მათი მოძრაობისაგან გიორგის თვალი აუჭრელდა და თავბრუ დაესხა. თვალები დახუჭა. ოდნავ დაისვენა. შემდეგ სხვა ხალხთან ერთად ქუჩასთან მივიდა და ფროხილად მასზე ფეხი შედგა. ამ ქუჩაზე ხალხი ნაკლებად იყო, მას ნელი მდინარის მოძრაობა ჰქონდა. ცოტა ხნის შემდეგ გიორგი დააინტერესა მეორე, უფრო სწრაფმოძრავმა ქუჩამ. ამ ქუჩაზედაც სულ ადვილად გადავიდა, შემდეგ უფროდაუფრო სწრაფ ქუჩებზე გადასვლა სცადა, რაც მას სრულებით არ გასჭირებია. ქუჩებში სავარძლები და გადახურული ადგილებიც ბლომად იყო. გიორგი ისევ დაუბრუნდა ნელი მოძრაობის ქუჩას. რბილ სავარძელზე დაჯდა და ამ ახალსა და უცნობ ქალაქს მიაჩერდა.

გიორგის ამ ქალაქის გარეგნობა ძალიან მოსწონდა, მაგრამ აწვალებდა დღევანდელ უცხო გარემოში მისი გამოღვიძების ამბავი და აგრეთვე ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოხვდა იგი ამ ქალაქში.

— „ასლავე მზიას დეპეშით უნდა ვაცნობო, რომ ცოცხალი და კარგად ვარ". — გადაწყვიტა მან.

ამისთვის ქუჩიდან გადმოვიდა და ტელეგრაფს დაუწყო ძებნა. მას თვალს სჭრიდა ბრილიანტის ბეჭედი.

„ვისია ნეტავი? — გაიფიქრა მან. — ამ უცხო ქალაქში ათასი გაიძვერა იქნება, შეიძლება დამეკარგოს, ხვალ კი პატრონი კარზე მომადგეს და მომთხოვოს. არა, სჯობია კარგად შევინახო", — და ბეჭედი სელიდან წამოიძრო და პიჯაკის ჯიბეში შეინახა.

— უკაცრავად, — შეაჩერა მან ერთი მგზავრი, — ტელეგრაფი სად იქნება?

— ტელეგრაფი? — გაიმეორა მხრების აწევით უნობმა. ეტყობოდა მას ეს სიტყვა ეუცხოვა. — ტელეგრაფი? — კიდევ გაკვირვებით გაიმეორა უცნობმა, მან სახისა და ხელების მოძრაობით აცნობა გიორგის, რომ ვერაფერს მისვლა და თავაზიანად მოშორდა.

გიორგიმ ასეთივე კითხვით კიდევ რამდენიმეს მიმართა, მაგრამ მათგან ვერავითარი პასუხი ვერ მიიღო.

„დასწყევლოს ღმერთმა, ნუთუ სიტყვა ტელეგრაფი ამათთვის უცხოა?" — ამბობს გაჯავრებული გიორგი.

ქუჩას ფეხით დაუყვა იმ იმედით, რომ სადმე ტელეგრაფს შეამჩნევდა. გზაზე ყოველ შენობას დიდი ინტერესით ათვალიერებდა. სახლები ერთიმეორეზე ძვირფასად მორთული და გამოჩუქურთმებული იყო. აქ შეხვდებოდით კლასიკურ, რენესანსის, ამპირისა და კიდევ უცნობი სტილის შენობებს ბევრი მათგანი სრულებით სადა იყო, ბევრი თვალისმომჭრელი სიმბოლიური ბარელიეფებითა და ქანდაკებებით შემკული. ზოგი შენობის ფართო აივნებს გოლიათური ტანადობის დაგრეხილ კუნთებიანი კარიატიდები შესდგომოდენ. ქუჩებში მრავლად იყო შადრევნები და ფერადი თევზებით სავსე აუზები.

გიორგის ერთი რამ მეტად აოცებდა: არსად არ იყო არცერთი დუქანი თუ კოოპერატივი, სადაც კაცი შესძლებდა თუნდ პაპიროსის ან ასანთის შეძენას, არც საპარიკმახეროები მოჩანდა სადმე. ვერსად ვერც ერთ ეტლსა და ავტომობილს ვერ ხედავდა.

— უკაცრავად, სად შეიძენს კაცი გაზეთს? — შეეკითხა გამვლელს.

გამვლელი გაკვირვებული შედგა, იგი თითქოს გიორგის ეკითხება, რა გნებავთო.

— გაზეთი, გაზეთი, გაზეთი! — სამჯერ გაიმეორა გიორგიმ ეს სიტყვა.

უცნობი მიხვდა, ჯიბიდან ამოიღო რაღაც ფოშავო, თხელი რკინა, რომელიც გიორგის პირველად შაურიანი ეგონა და დააპირა მისთვის ამ ნივთის გადაცემა.

„ალბათ, გაზეთის მისაღები მარკაა", — იფიქრა გიორგიმ, უცნობს დიდი მადლობა გადაუხადა, ხოლო მარკა არ გამოართვა.

ინტერნაციონალური დილა

გიორგი განაგრძობდა ტელეგრაფის ძებნას, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს მიადგა ერთ ვეებერთელა შენობას, სადაც ხალხი მაღალი კიბით სხვადასხვა კარებიდან განუწყვეტლივ შედიოდა და გამოდიოდა. უცებ მან დაინახა ლენინისა და სტალინის ძეგლები. გიორგის გულს მოეშვა, თავი თითქოს საკუთარ სახლში იგრძნო. ძეგლებთან გახარებული მიკიდა:

„არ გამიკვირდა! საბჭოთა კავშირში ვყოფილვარ", — სასარულით ფიქრობდა გიორგი, — მაგრამ რომელ ქალაქში?

ცდილობდა მოგონებას, მაგრამ ვერ ახერხებდა. ალბათ, მას რაიმე მოუვიდა, თორემ საბჭოეთის ხალხს თითქმის ყველას იცნობს, ყველა უნახავს, უთუოდ მხარი ექცა ან თვალები ატყუებს.

გიორგი დაინტერესებულია ტელეგრაფით. ამ შენობაში სხვა ხალხთან ერთად შევიდა. თვალი მოავლო უზარმაზარ დარბაზს, სადაც ორმოცდაათი ათასი კაცი დაეტეოდა. ეს დარბაზი მალე ხალხით გაივსო. მოქალაქენი სავარძლებში ისხდნენ. გიორგის შესვლისას ყველა სცენას მიაშტერდა. გიორგიმ ადგილის დაკავება ძლივს მოასწრო, რომ ვიღაც ბრმა მოხუცი თავისებური ჩანგით სცენაზე გამოვიდა. მან ბერძნულ ენაზე „ილიადა"-დან ლექსების სიმღერით კითხვა დაიწყო.

„ეს კაცი ვინ უნდა იყოს?" — ეკითხება თავის თავს გიორგი.

ბრმა მოხუცმა ლექსების კითხვა დაამთავრა და სცენიდან

ჩამოვიდა. მთელ დარბაზში ორმოცდაათი ათასი კაცის მძლავრი გრიალი გაისმა.

— ჰომიროს მარა! ჰომიროს, მარა! მარა, მარაა...

„ეგ რა უნდა იყოს? თითქოს ჰომიროსს ესალმებიან? როგორ დიდებულად შეუსწავლია ამ აქტიორს ძველი ბერძნული!"

ცოტა ხნის შემდეგ სცენაზე თითქოს რომაელი პოეტი ოვიდიუსი გამოვიდა. მისი ლექსების კითხვასაც დიდი ტაშითა და ზეიმით შეეგებნენ. ოვიდიუსს მოჰყვნენ სხვადასხვა ქვეყნის პოეტები თავის ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებით.

„როგორც ეტყობა, აქ პოეზიის ინტერნაციონალური დილაა. რა კარგი იქნება, ქართველი მწერალიც გამოვიდოდეს"... — ფიქრობს გიორგი.

სცენაზე ერთი ქვეყნის პოეტი მეორეს სცვლის. უეცრად მან თვალი მოჰკრა ვრცელ მინდორზე მოჯირითე მხედარს. მხედარი მოუახლოვდა ხალხს, ცხენიდან ჩამოხტა.

— შოთა რუსთველი მარაა, შოთა მარაა. — გაისმა უზარმაზარ დარბაზში აღფრთოვანებული ყვირილი და ტაში.

„შოთა რუსთველი?" — გიორგის ტანში ჟრუანტელმა დაუარა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. შოთამ მაღალი ხმით ვეფხისტყაოსნის კითხვა დაიწყო.

გიორგის გული სიხარულით აევსო, როდესაც სცენაზე ქარიულის მცოდნე მსახიობი დაინახა. იფიქრა: აქ ქართველები იქნებიან, რადგანაც ქართველი პოეტის ნაწარმოებს ისმენენო. და, ვინაიდან მას ძლიერ აინტერესებდა იმის გაგება, თუ რომელ ქალაქში იმყოფებოდა და რა ხდებოდა მის გარშემო, გადაწყვიტა უშუალოდ ენახა თვითონ ეს მსახიობი, რომელიც შოთას ნაწარმოებს ასეთი მიმზიდველობით კითხულობდა.

გიორგი ზეზე წამოიჭრა და სცენისაკენ გაეშურა. შეწუხებისათვის ყველასთან ბოდიშს იხდიდა და წინ მიიწევდა. აჰა, იგი სცენას მიუახლოვდა. მსახიობმა კითხვა დაასრულა, სცენიდან ჩამოვიდა, მზად იყო ისევ ცხენზე შემჯდარიყო და ჰორიზონტიდან გამქრალიყო. გიორგი მას გამოედევნა და, რადგანაც სახელი არ იცოდა, დაუძახა:

— შოთა! შოთა! — კიდევ რამდენიმე ნაბიჯი დარჩა გიორგის შოთამდე მისაღწევად, მაგრამ იგი რაღაცას დაეჯახა და უგრძნობლად ჩაიკეცა.

ამ უეცარი მარცხის გამო მთელი დარბაზი შეშფოთდა. გიორგი წამოაყენეს და ახლო სავარძელში ჩასვეს. გიორგი რამდენიმე წანს გაბრუებული იყო. შემდეგ გონს მოვიდა, სურდა გაეგო, თუ რა დაემართა. მიაჩერდა მის წინ ამართულ კედელს და მიხვდა, რომ ამ კედლის მსხვერპლი გამხდარიყო.

ეგ რა უცნაური დღე გაუთენდა გიორგის? რა ემართება დღეს მას?!

უცნობ ხალხში

ვიღაც ექიმი ქალი მას უვლიდა და გასაოცარი სუნის წვეთებს ასმევდა.

გიორგი ამ უცხო სალხში შერცხვა. იგი თავის ექიმს ფრთხილად მისჩერებოდა. ცხვირზე და შუბლზე მიუთითა, ღ.-ზიანებული ხომ არ მაქვსო; ქალმა მსიარულად გაიცინა და დაამშვიდა. შემდეგ ქალმა ხელით ანიშნა, თუ ვინ არის იგი. გიორგი მიხვდა ქალის ნიშანს და უპასუხა:

— მე გასლავართ ექიმი გიორგი მოგელი.

— გიორგი მოგელი? — განცვიფრებით წამოიძახა ქალმა და უკან დაიხია, თითქოს სურდა ეს პიროვნება უფრო კარგად დაენახა. — გიორგი მოგელი? — გაიმეორა მან.

— დიახ, მე გასლავართ! — უპასუხა გიორგიმ.

ქალი გაშინვე სცენაზე შეხტა და საზოგადოებას უცხო ენაზე მიმართა. მან თავის სიტყვაში მოგელის სახელი და გვარი რამდენჯერმე ახსენა. შემდეგ თვით გიორგის სთხოვა სცენაზე ასულიყო. გიორგის ეს არ უნდოდა, მაგრამ ხათრი ვეღარ გაუტეხა ექიმ ქალს და სცენაზე ავიდა.

— გიორგი მოგელი? გიორგი მოგელი? — გაისმა მთელ დარბაზში გაკვირვების ხმა. იგი ელექტრონის სისწრაფით ყველას მოედო. ერთ წუთში მთელი დარბაზი სიხარულით ამოძრავდა. ორმოცდაათიათასი კაცის თვალი აღტაცებით აინთო და გიორგის მიაშტერდა. მთელი დარბაზი მოულოდნელად ფეხზე წამოდგა და გაისმა მრავალი ათასი კაცის ძლიერი შეძახილი.

— გიორგი მოგელი მარაა! გიორგი მოგელი მარაა! — ამას მოჰყვა რამდენიმე ორატორის სცენაზე გამოსვლა. ისინი

უცხო ენაზე ესალმებოდნენ გიორგის. სიტყვის შემდეგ საზეიმო ჰიმნი გაისმოდა.

გიორგი დაიბნა. გაშტერებული დგას და არ იცის, თუ როგორ მოიქცეს. მხოლოდ წამდაუწუმ უაზროდ იმეორებს:

— რა ამბავია ჩემს თავზე? რა მოხდა? ძველად ასე ეგებებოდნენ მხოლოდ ტრიუმფატორებსა და გამარჯვებულ სარდლებს.

გიორგი თანდათან რწმუნდება, რომ ხალხი შეცდა, რომ იგი შემთხვევით ვიღაცას დაამსგავსეს.

„ბაგრამ... გიორგი მოგელი და ჩემგვარი გარეგნობის გიორგი მოგელი ვინ უნდა იყოს კიდევ?“

უეცრად მან თვალი მოჰკრა, რომ ხალხში ვიღაც დაიძრა და სწრაფი ნაბიჯით მისკენ გამოეშურა. იგი სცენაზე ამოვიდა, გიორგის ხელი გაუწოდა, მეგობრულად გადაეხვია და მშვენიერი ქართულით მიმართა:

— სრულებით მოულოდნელი და მეტად სასიამოვნოა, პატივცემულო გიორგი, თქვენი შეხვედრა.

გიორგის თავისი ვაჟის — მორკინალის დაბადება არ გახარებია ისე, როგორც ამ უცნობ ქართველის ნახვა. აღელვებული ხმით შეეკითხა ამ კაცს:

— სად ვარ? რა ამბავია? ღვთის გულისათვის მიამბეთ, ამიხსენით!

უცნობმა დაამშვიდა:

— ნუ ღელავთ, დაწყნარდით, შეხვედრა გათავდეს, შემდეგ გამომყევით და ყველაფერს აგიხსნით.

სიხარულით აღელვებული გიორგი სცენიდან ჩამოვიდა.

ამ კაცმა გიორგი გარეთ გამოიყვანა და ტკბილად უთხრა:

— ცოტა დამშვიდდით, ახლავე შინ მივალთ და რაც გაინტერესებთ, ყველაფერს შეგატყობინებთ.

უცნობმა გარეტიანებული გიორგი ჩქარ ქუჩაზე შეიყვანა და დიდ სავარძელში ჩასვა. ქალაქი მას უკვე აღარ აინტერესებდა, თავი დაბლა დახარა და დღევანდელი ამბების გარჩევას შეუდგა. ამდენი საოცრებისაგან გონს ვერ მოსულიყო: თავს გამოფიტულად გრძნობდა. ამგვარ მდგომარეობაში რამდენიმე წუთს დაჰყო. უცნობმა ნერვების დასაწყნარებლად რაღაც აბი შესთავაზა. გიორგიმ დიდი მადლობა გადაუხადა, აბი გამოართვა და გადაყლაპა.

— რას სჩადიხართ?! — გაოცებით შესძახა უცნობმა და გიორგის თვალებში ჩახედა.

— აბი გადავყლაპე, — უპასუხა გულგრილად გიორგიმ და კვლავ ნასულისაგან მიღებულმა შთაბეჭდილებებმა გაიტაცა.

„ო, ეს რა მომივიდა! — შეშოიკრა თავში ხელი უცნობმა, — ალბათ, წამალი ეგონა! მე კი ნერვების დასაწყნარებლად და გასამხიარულებლად ქურთულ ენაზე სინდიოფალას იუმორისტულ ლექსთა კრებული შევიავაზე. ჩანს, ჩვენს წიგნთა რეფორმაზე მას წარმოდგენაც კი არა აქვს“.

ამის შემდეგ მას ლაპარაკი აღარ გაუგრძელებია. კარგად ხედავდა შთაბეჭდილებათა გამო გიორგის ნერვების დასუსტებას. საჭირო იყო მას ოდნავ დაესვენა, რადგან დღეს კიდევ მრავალი ახალი ამბავი მოელოდა.

გიორგი ნერვულად თითებს წვერზე ისობდა. ეტყობოდა წვერი აწუხებდა. თანამგზავრმა ეს შენიშნა. მან უცხო ენაზე რაღაც დაიძახა და გაჩუნდა. გიორგი შეაჩერდა მას.

— არაფერია, — თქვა მან ქართულად. — ახლავე მოგაშორებთ, რაც თქვენ გაწუხებთ.

ერთ წუთში მაგიდაზე გამოჩნდა სარკე, შუშა წყლისფერი სითხით, პუდრი, მალამო, მაკრატელი და სხვ.

— სითხე წვერს მოგაცლით, მაკრატელი ფრჩხილებს, — უთხრა მას თანამგზავრმა და გიორგის მოწიწებით ამ ნივთებზე მიუთითა.

გიორგიმ შუშა აიღო და დააკვირდა.

„ვაი თუ წყლისფერი ტაროა“, — გაიფიქრა მან.

მაგრამ ბევრი აღარ უჭოჭმანებია, შუშა გასსნა, თითი დაისველა. ერთ წუთში სახე წვერისაგან გაითავისუფლა. პუდრი და მალამო წაისო და სახე დაუამდა. გრძელი ფრჩხილები დაიმოკლა.

გიორგი და უცნობი ამასობაში დანიშნულ ადგილს მიუახლოვდნენ.

— გადმობრძანდით, მოვედით, — თქვა უცნობმა, და გიორგის ხელი ფრთხილად მოჰკიდა, და ერთი ქუჩიდან მეორეზე გადაიყვანა.

შემდეგ ისინი უმოძრაო ქუჩაზე შედგნენ; გიორგიმ თავის წინ სისხლისფერი, სამსართულიანი შესანიშნავი სასახლე დაინახა. ამ სასახლის კიბესთან ორი პირდაღებული ლაქი

დარაჯად იწვა. როდესაც გიორგიმ მასპინძელთან ერთად კიბეზე ფეხი შედგა, ეს ლომები უეცრად გაცოცხლდნენ, მარდად ფეხზე წამოიჭრნენ, კბილები გაბრაზებით დაახრჭიალეს და მათ იმგვარად შეუტიეს, რომ გიორგიმ ინსტინქტურად უკან დაიხია. გულმა საშინლად ცემა დაუწყო. მასპინძელს კი ნათი ღრენისათვის იოტის ოდენა ყურადღებაც არ მიუქცევია, მხოლოდ გაუკვირდა გიორგის უეცარი უკან დახევა.

— რა დაგემართათ? ამობრძანდით. — მიუბრუნდა იგი გიორგის.

— არა, გმადლობთ, — და გიორგიმ ფრთხილად უკან დახევა იწყო. მასპინძელი ძირს ჩამოვიდა და ლომები თავის ადგილას დაწვნენ.

— უკაცრავად, სად მიბრძანდებით? — მიმართა მასპინძელმა.

გიორგიმ მას გაკვირვებით შეხედა.

— რა გნებავთ? დაჭერას ხომ არ მიპირებთ?

ამ კაცს ძალაუნებურად გაეღიმა. მან გიორგის ასლა ზედმეტი სიფრთხილითა და თავაზიანობით მიმართა:

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო გიორგი!

ამ სიტყვებზე გიორგი ცოტა შედგა. კილოზე შეამჩნია, რომ მას არავინ დაჭერას არ უპირებდა.

— მე არ მეგონა, თუ თქვენ ასეთი საშინელი მხეცები გყავდათ, თორემ აქ ჩემ ფეხს ვერ ნახავდით, — უთხრა გაფიორებულმა გიორგიმ, თან ლომებს გაფაციცებით მისჩერებოდა, და წამიდან წამზე ელოდა მათ საშინელ შემოტევას. გიორგის მრავალი ლომი უნახავს, მაგრამ ასეთი დიდები კი არსად. საკმარისი იყო ამ ლომების ერთი კუდის შემოქნევაც კი, რომ გიორგი უსულოდ მიწაზე წაქცეულიყო. რაღა დარჩებოდა მისგან, რომ ლომებს მის წინააღმდეგ თავისი ბასრი კბილები და ფოლადის თათები ესმარათ?

ეტყობოდა, მასპინძელს ძალიან სურდა სიცილის შეკავება, მაგრამ ვეღარ შეძლო, გულიანად გადაისარხარა. ამ დროს ფანჯარა გაიღო და მაღლიდან ქალმა გადმოისედა.

— აირა, შესედე, ვინ მოგიყვანე! — მიმართა ქალს ქართულად უცნობმა ვაჟმა.

— ვინ არის? — იკითხა ქალმა ქართულადვე. ერთი წამით სტუმარს დააკვირდა და იცნო იგი.

— გიორგი მოგელი?! — თქვა მან და გაკვირვების ნიშნად ლოყაში ხელი შემოიკრა.

— დიახ, სწორედ ის არის, — უპასუხა უცნობმა და მერე გიორგის მოუბრუნდა:

— ლომები კი, თქვენ რომ ცოცხალი გგონიათ, ავტომატურია.

— ავტომატური ლომები?! — და გიორგიმ განცვიფრებისაგან პირი დააღო.

— დიახ, იმგვარივე, როგორიც, ალბათ, ბევრი შეგხვედრიათ.

გიორგი მასპინძელთან ერთად კიბეზე შედგა და გულდასმით დაათვალიერა ეს ქანდაკებანი, რომლებმაც იგი ასე საშინლად დააშინეს. ასეთი რეალობით გამოქანდაკებული ლომები მას აოცებდა.

— საინტერესოა, ვინ არის ამის შემოქმედი?

— განა ეს მოსაწონია?

— დიდებული ნამუშევარია, ვისია?

— თქვენი მონა მორჩილის, — უთხრა უცნობმა. — ეს ლომები ზარის მაგიერობას ასრულებენ, — განუმარტა მანვე.

— ვიცი, და ამის შემდეგ აღარ გამაცივებს, — ჩაილაპარაკა გიორგიმ.

— ხა, ხა, ხა, სა, ხა! — გაიცინა უცნობმა.

— წარმოიდგინეთ, პირველად თქვენ ლომების მწვრთნელი მეგონეთ.

— ხა, ხა, ხა, ხა, — იცინოდა უცნობი. — თქენ კიდევ რაღა ლომების დაგლეჯა გესაჭიროებოდათ, კაცი ათას ლომს გადაურჩით, ათასი გაჭირვება გადაგიტანიათ.

— მართალია, მართალი, — ეუბნებოდა გიორგი და თან უკვირდა:

„საიდან იცის ამ უცნობმა ჩემი მძიმე მდგომარეობა, ჩემ მიერ გადატანილი გასაჭირი?“

კიბეზე ავიდნენ. მისაღები ოთახი გაიარეს და სასტუმროში შევიდნენ.

— აირა მოლ, — გაეცნო ეს ქალი გიორგის და ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა. გიორგიმ შესედა მას და ამ ქალის გასაოცარმა სილამაზემ სრულიად მოსიბლა.

— გიორგი მოგელი, — წაილუღლუღა მან და ქალს მოუჩიწებით ხელზე ეამბორა.

— ჩემი ცოლი გახლავთ, — გააცნო უცნობმა.

— ფრიად სასიამოვნოა...

— დაბრძანდით, — მიმართა მათ აირამ.

ისინი დასხდნენ. გიორგიმ ოთახს თვალი მიმოავლო. ოთახი იყო საკმაოდ დიდი და მაღალი, ფერად ქვებისაგან გაკეთებულ სტატუეტებით მორთული, აქ რამდენიმე ყვავილიც ყვაოდა, იდგა მოყვითალო ფერის სხვადასხვა ზომის მაგიდა, ერთგვარი აბრეშუმით დაფარული სავარძლები, მაგრამ ყველაფერი ეს გიორგის იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც ამ ქალის, აირას გასაოცარი სილამაზე. მას იგი თავისდაუნებურად თვალს ვერ აშორებდა.

აირა საშუალო ტანის ქალი იყო. სადა კაბაში გამოკრთოდა მისი ჯანმრთელი, ახალგაზრდა ტანი და ახლად აკოკრილი ძუძუები. ტუჩები ფარული ნდომით ჰქონდა ანთებული და თვალები — უძირო ზღვის ფერი.

გიორგიმ პირი მასპინძლისაკენ მიაბრუნა. იგი გზაში მას არ დაკვირვებია. პირველყოვლისა, მის ყურადღებას იქცევდა ამ კაცის მაღალი, წინწამოწეული და თხელი შუბლი, განზე გადავარცხნილი შავი თმა, უცნაური მიმზიდველობით ანთებული, მოშავო თვალები და ანტიკური ცხვირი. ლაპარაკის დროს მის საფეთქლებზე თითქოს ნერვები თამაშობდნენ. სქელი ტუჩები ამტკიცებდა მის ვნებიანობას. ატარებდა მოკლედ შეკრეჭილ ულვაშებს. ხმა საკმაოდ მკვეთრი და მუსიკალური ჰქონდა, ლაპარაკი — დამაჯერებელი. ეტყობოდა, იგი მეტად ზრდილობიანი და ამაყი იყო. მის სახეს, ქცევასა და გარეგნობაში მჟღავნდებოდა დიდი კულტურა და ჭკუა, რასაც მისი თვალებიც ადასტურებდა. ისინი, წინ წამოწეულ შუბლის ქვეშ, ძვირფასი თვლებივით ელვარებდნენ. ამ ადამიანის გამოხედვამ გიორგი სრულებით დაიპყრო.

— დიდი ხანია მოუთმენლად გელოდით, — მომჯადოებელი ხმით მიმართა გიორგის აირამ, — და დღეს კარიოზ დარიალმა ასე მოულოდნელად მოგიყვანათ.

— დიახ, ჩემთვის მოულოდნელია ჩემი დღევანდელი ამბავი, — უპასუხა გიორგიმ, და თვალი ერთ წერტილს მიაპყრო, ეტყობოდა თავის თავადასავალს იგონებდა. აირას უკანასკნელმა სიტყვებმა იგი გააცა! იფიქრა: „საიდან მომელოდნენ ესენი ასე მოუთმენლად? ალბათ, ჩემი ნაცნობნი არიან, შე-

იძლება აღარ მახსოვს, ან ვინ დაიმახსოვრებს ყველა პაციენტს, როდესაც ათას მოქალაქესთან გაქვს საქმე.

— წარმოიდგინეთ დღევანდელი დღის საკვირველება, — დაიწყო გიორგიმ, — გუშინ მძიმე ავად ვიყავი. მახსოვს, ორჯერ გულიც შემიწუსდა, და მეგობრები რომ თავს არ მდგომოდნენ, დარწმუნებული ვარ სიცოცხლესაც გამოვეთხოვებოდი. დღეს კი, სრულიად ჯანსაღი, უცხო გარემოსა და ქალაქში მოვხვდი, სადაც ყველაფერი გასაკვირველია. არ ვიცი, ჰიპნოზი გამიკეთეს თუ რა დამემართა, აქამდის ვერ გამოვრკვეულვარ. ვხედავ, რომ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ქალაქში უნდა ვიყო, მაგრამ საშინლად მაკვირვებს ეს საუცხოო ქალაქი. მისი მოძრავი ქუჩები, ის ვეებერთელა სასლები, სადაც დღეს დილით გამოვიღვიძე, და აგრეთვე სადაც მრავალმა ათასმა კაცმა მე, გიორგი მოგელს, საზეიმო შეხვედრა მოიწყო. ამ შთაბეჭდილებებისაგან გონს ვერ მოვსულვარ. სადა ვარ: რა მოხდა? ნუთუ არ შეგიძლიათ განმიმარტოთ? მითხარით სიმართლე, თორემ თავს ისე ვგრძნობ, ლამის გავგიჟდე, — ეს თხოვნა გიორგიმ სასოწარკვეთილი ხმით დაამთავრა.

— მაინც გასაოცარი ამბავია! — თქვა აირამ უცხო ენაზე და კარიოზს მიაშტერდა.

— მორიგეს შეცდომის ბრალია, — უპასუხა კარიოზმა.

— ერთი თვის შემდეგ მოველოდით ამის გაღვიძებას და ერთი თვით ადრე გამოუღვიძებიათ.

— დიახ, სამწუხაროდ.

მერე კარიოზი მიუბრუნდა გიორგის და ქართულად შეეკითხა:

— თქვენ ავად როლის გახდით?

— მე მგონია გუშინ, აგვისტოს ოცს.

— რით იყავით ავად?

— კარგად არ ვიცი, მაგრამ გავცივდი, მგონია.

— თქვენ ბავშვი არა ხართ, სიმართლე უნდა იცოდეთ, გეტყვით რა ამბავიც არის, მაგრამ გთხოვთ თავი შეიკავოთ.

— გისმენთ! — წამოიძახა შემკრთალმა გიორგიმ და შეშინებული სახე წინ წამოწია.

— იმდენი არაფერი, მაგრამ თქვენ ამუამად იმყოფებით სხვა ქვეყანაში, სხვა გარემოსა და სხვა დროში.

გიორგი რომ სხვა ქვეყანასა და სხვა გარემოში იყო, ამას

თვითონაც კარგად ხედავდა, მაგრამ სხვა დროში კი თავი ვერ წარმოედგინა.

— სხვა დროში?! როგორ გავიგო ეს სიტყვა? — იკითხა გაოცებულმა გიორგიმ.

— იმ დროს, რომელშიც თქვენ ცხოვრობდით და მოღვაწეობდით, საკმაო მანძილით, დაასლოებით, ათასი წლითა სართ დაშორებული, — უთხრა კარიოზმა.

გიორგი გარეტებული ზეზე წამოდგა. დიდხანს უსიტყვოდ იდგა და შემდეგ ხმაწასულმა ჩაილუღლუღა: — ათასი წელი!.. ათასი წელი... მე მოვმკვდარვარ...

გიორგი ისევ დაჯდა, მოქანცული, უღონოდ, უფიქროდ. გულის სიღრმიდან მოისმა მწარე ამონაკვნესი...

— ჩემო მზია!.. მორკინალო!.. — შემდეგ უეცრად ქვითინი აუვარდა. გული შეუწუხდა. მასპინძლების მიერ მიღებულმა ზომებმა იგი მალე გამოაფხიზლეს. მან თვალი ნელ-ნელა გაახილა და ამოძრავდა. მასპინძლებისვე დახმარებით იგი სავარძელში ჩაჯდა და თავი მწუხარებას მისცა. წარსულის უეცარი დაკარგვა მისი ორგანიზმის უდიდესი ნაწილის მოკვეთას უდრიდა. ეს ბნელი ამბავი მას ინკვიზიტორივით თავს დასდგომოდა, სულსა და ხორცს უხუთავდა. დიდხანს ვერ შერიგებოდა თავის ცოლ-შვილისა და მეგობრების დაკარგვას.

ბოლოს, ცრემლისა და მწუხარების შემდეგ, კარიოზს კითხვით მიმართა:

— თქვენს თქმით, მე ათასი წალიწადია, რაც მკვდარი ვარ...

— დიახ, სრული ათასი წელი... გარდაცვლილხართ 1930 წლის 27 აგვისტოს, ახლა კი არის 2930 წლის 27 ივლისი.

მწარე მოგონება

„ათასი წელი? ასი საუკუნე? — განცვიფრებით იმეორებდა გიორგი. — ათასი წელი, ათასი წელი! ამ ხნის განმავლობაში რამდენ ცვლილებას ექნებოდა ადგილი, რამდენი კაცი მოკვდებოდა, რამდენი ხე გაიზრდებოდა და გახმებოდა, რამდენი მთა და კლდე შეიცვლებოდა და დაინგრეოდა. ათასი წელი!..

ათასი წელი!.. ვინ იცის, ჩემი მორკინალი სად არის? ვინ იცის, სად იქნება ასლა ჩემი მშვენიერი ცოლი? რა გულგრილ-ვავია და საშინელი წარსული!" — მოგონებანი კვლავ მძიმე ლოდად დააწვა გიორგის. ბევრი ეცადა, რომ ეს სიმძიმე შეემსუბუქებია. ბევრგვარად იცვალა მხარი, მაგრამ ლოდი თანდათან მძიმდებოდა და მას გასრესით ემუქრებოდა. მწარე ფიქრები კვლავ ყორნებივით შემოესია.

„ჩვენს შთამომავლობას, ალბათ, მრავალი გაჭირვება, შიში, მწუხარება და უბედურება გადაუტანია. ალბათ, დიდძალი ცრემლი და სისხლი ღაუღვრიათ ლუკმა-პურის ძებნაში, ახალი საქმეების მისაღწევად, ახალი იდეებისათვის საბრძოლველად! — ათასი წელი! ათასი წელი!.. ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში რამდენი ერი გადაშენდა, რამდენმა სახე შეიცვალა, გადაგვარდა. განა ისტორიაში ამის მაგალითები ცოტა არის? მაგრამ ქართველი ერი, როგორც ჩანს, თავის ნიადაგზე კიდევ ძელქვასავით მაგრადა დგას. ამის ცოცხალი საბუთია, თუ გნებავთ, აირა და კარიოზი, რომელნიც მე მშვენიერი ქართულით მეგაასებიან".

გიორგის თავისი შთამომავლობა განსაკუთრებით აინტერესებდა. მორკინალი მან დაარქვა თავის ვაჟს ზამის ხელობის პატივსაცემად (მამამისი მჭედელი იყო) და, მეორე მხრივ, სიშშნად ძველი ქართული რაინდობისა. იმედია, მორკინალი შთამომავლობას დასტოვებდა. მაგრამ გიორგის თითქოს ველმა უკბინაო, გაიფიქრა: შესაძლებელია იგი ნაადრევ სიკვდილის მსხვერპლი გახდა? თუ ეს მართალი გამოდგა, მაშინ საკითხი გიორგის შთამომავლობის შესახებ თავისთავად იხსნება. მაგრამ შეიძლება მორკინალი გაიზარდა, დავაჟკაცდა და ცოლი შეიროთ. მაშინაც შესაძლებელია მის შთამომავლობას რაიმე უბედურება მოსვლოდა. ყოველ შემთხვევაში, გიორგი თავის შთამომავლობის ბედით ძლიერ იყო დაინტერესებული.

„ვინ იცის, — ფიქრობდა ის, — შეიძლება, მთელი ჩემი გვარი, ან ერთიანად ან ნაწილობრივ, რაიმე საქვეყნო უბედურების მსხვერპლი გახდა? შესაძლებელია, ისინი მიწის ძვრამ, რაიმე ჭირმა ან საშინელმა ომებმა იმსხვერპლა? ვინ იცის, ვინ? მაგრამ ხომ არის მოსალოდნელი, რომ პირიქით მოვლენას ჰქონდეს ადგილი? რად არ შეიძლება, რომ ჩემი

შტო გადიდებულიყო, გაზრდილიყო, გამრავლებულიყო?.. მაგრამ ახლა ვის უნდა ვკითხო ჩემი შთამომავლობის ბედის შესახებ? ვის?“

გიორგისათვის მისი გვამის ამბავი დღემდის უცნობი იყო. ალბათ, მას სხეული დაუბალზამეს. მაგრამ ვინ? გიორგი ხომ თვითონ მუშაობდა დაბალზამების საკითხზე, და ამ საქმეში მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია, მაგრამ მის მეტმა ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. შესაძლებელია, დაბალზამების დარგში გიორგისთან ერთად, პარალელურად, იმავე შედეგს სხვა ვინმემ მიაღწია და იგივე წამალი გამოიგონა? ან ვინმემ ეს აღმოჩენა მას მოჰპარა და მიითვისა? ვინ იცის? მაგრამ... მას აგონდება, რომ თავისი საიდუმლოება ვიღაცას გაუმჟღავნა. გიორგიმ დაძაბა თავისი მესსიერება, ბევრი ეძია ის, ვისაც გაუმჟღავნა აღმოჩენილი წამლის კეთების წესი და თვით დაბალზამების პროცესი. მოკრიბა მთელი თავის გონივრული ძალის სხივები და შეაშუქა მესსიერების ყველა ბნელ კუნჭულში. მაგრამ მას რაღაც უსილავი ძალა ხელს აფარებდა, და როდესაც გიორგის ეგონა, რომ მიაგნო, ის ისევ სადღაც ჯურღმულში იმალებოდა. დიდხანს სდია მან ფიქრს, ძალიან დიდხანს და, ბოლოს, რომ ვეღარ მიაგნო, დასვენება განიზრახა. სწორედ ამ დროს მეხსიერების ერთ კუნჭულში თითქოს შუქმა იელვა. გიორგიმ კინაღამ წამოიძახა:

„სარდიონ! სარდიონ!“

როგორ არ ახსოვს? განა სარდიონთან უკანასკნელი ლაპარაკი მას დაავიწყდებოდა? განა თავის საიდუმლოება სარდიონს არ გაანდო? სარდიონს ხომ გიორგი ისე ენდობოდა, როგორც თავის მარჯვენას?

გიორგი ათრთოლებული ხმით ეკითხება კარიოზს:

— შემთხვევით, სარდიონ მინდოდაურს ხომ არ იცნობთ?

კარიოზსა და აირას გიორგის ხმა ეუცხოვათ.

— ვის? — იკითხა აირამ და თვალები ფართოდ გააღო.

— სარდიონ მინდოდაურს. — გაიმეორა გიორგიმ.

აირამ გაკვირვებით ტუჩი მაღლა ასწია.

— მე ბევრი მიშრომია ისტორიის, ლიტერატურის, ლინგვისტიკის, საექიმო მეცნიერებისა და სხვა დარგებში, მაგ-

რამ ასეთი პიროვნების სახელი არ მსმენია, — თქვა კარიოზმა.

— ვინ იყო ის ადამიანი? — დაინტერესდა აირა.

— ეგ იყო ჩემი უსლოესი მეგობართაგანი, ბავშვთა ექიმი, ძალიან კეთილი ადამიანი, — უპასუხა გიორგიმ, და სარდიონის კეთილშობილი სახე წინ წამოუდგა.

— ასლა თქვენი მეგობრის ატომი თუ იქნება სადმე, თორემ სინამდვილეში მისი აჩრდილიც არ დარჩენილა. თქვენ ხართ თქვენი ეპოქის ერთადერთი ადამიანი, რომელმაც დღემდის მოაღწიეთ, — ჩაფიქრებით წარმოთქვა კარიოზმა.

გიორგი ამ გარემოებამაც კიდევ უფრო დააფიქრა.

„გასაოცარია, ჩემი დროის ადამიანთა შორის მარტო მე აღმოუჩენივართ. საკვირველია, სადღა არის ჩემი შთამომავლობა? სადღა არის თვითონ სარდიონი? მან ხომ იცოდა ეს საიდუმლოება? როგორც ჩანს, დაბალზამების ხერხი მას ჩემ მიმართ გამოუყენებია. თავის თავმა რა დაუშავა? განა გარდაცვალების შემდეგ ამავე საშუალებას თავის თავზე არ აცდევინებდა? რისი უნდა შეშინებოდა გარდაცვალების მერე; ჩემი ეპოქის ერთადერთი ადამიანი, რომელმაც დღემდის მოაღწია, კარიოზის სიტყვით, მე ვყოფილვარ. რატომ? სად გაქრენ სხვები? სარდიონის პირით მაინც გაიგებდნენ დაბალზამების საიდუმლოებას, და, დარწმუნებული ვარ, თავის მიმართაც გამოიყენებდნენ. შესაძლებელია, მათი დაბალზამებული სხეული სადმე დაფარულ ადგილას მარხია? ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ამ გამოგონების ამბავი შთამომავლობიდან შთამომავლობამდის არ გადასულიყო. ყოველ შემთხვევაში, ამ უცხო ხალხს ამ ამბავს ვკითხავ“, — გადასწყვიტა გიორგიმ და კარიოზს მიმართა:

— ნუ თუ, მოქალაქე კარიოზ, ჩემს გარდა ჩემი ეპოქის კაცი ჩემსავით დაბალზამებული არ შეგხვედრიათ?

— ადამიანის გვამი, ამგვარად დაბალზამებული, როგორც თქვენ იყავით, თქვენს შემდეგ ორას წლამდის არ შეგვხვედრია; მხოლოდ თქვენი გარდაცვალებიდან ორასი წლის შემდეგ გვხვდება დაბალზამებულ ადამიანთა გვამები. ეს დაბალზამება შემდეგ ხანებში საყოველთაო ხასიათს იღებს და დღემდის გრძელდება.

გიორგი კვლავ ჩაფიქრდა.

„მაშ ორასი წელი ჩემს აღმოჩენას კიდევ სძინებია. ჩემი აღმოჩენა ჩემთან ერთად მიწის სიღრმეში დამალულა... მაგრამ მას რაღაც შემთხვევით კვლავ გამოუღვიძნია, კვლავ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებულა. სარდიონი, ალბათ, რაიმე უეცარ შემთხვევის მსხვერპლი გახდა, ან შეიძლება ჩემ აღმოჩენას ეჭვით დაუწყო მზერა, ან იფიქრა. რა საჭიროა დაბალზამება, როდესაც გაცოცხლებით მაინც ვერავის გააცოცხლებენო, ამასთან ყოველი ადამიანი დაბალზამებას მოისურვებს, რის გამო დედამიწა მკვდარ ადამიანთა გვამებით აივსება, და მერე რად და რისთვის იქნება ეს საჭიროო“.

ასე მსჯელობდა გიორგი თავის აღმოჩენის შესახებ, მაგრამ მაინც აკვირვებდა, თუ ვისმა აზრმა მიიყვანა ხელასლა კაცობრიობა ამ აღმოჩენასთან.

— ვის მიაწერს ხალხი დაბალზამების ასალი წამლის აღმოჩენას? — შეეკითხა მათ გიორგი.

— ექიმ-მარდის, — უპასუხა აირამ. — სამწუხაროდ, არაფრიდან არ ჩანდა, რომ ორასი წლით უფრო ადრე სცხოვრობდით თქვენ, რომელმაც მარდიზე ადრე აღმოაჩინეთ საბალზამო წამალი. მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენ მიერ აღმოჩენილი წამალი მარდის საშუალებებზე უკეთესად მიიჩნიეს, კაცობრიობა თქვენი სისტემით აწარმოებდა დაბალზამებას.

— ძალიან კარგი, მაგრამ საიდან გაიგეთ ჩემი ბალზამის შეშადგენლობა? — დაინტერესდა გიორგი.

— მაგისთვის საკმარისი იყო, თუნდაც, მარტო თქვენი გვამის პოვნა. მაგრამ, ამასთან ერთად, კუბოში ჩატანებული აღმოგაჩნდათ თქვენ მიერ აღმოჩენილი წამლის რეცეპტი. თქვენი მოკლე ბიოგრაფია და ეს რეცეპტი საუკუნო ქაღალდზე იყო მოთავსებული.

— ვინ უნდა ყოფილიყო ამის დამწერი? — იკითხა გიორგიმ.

— ალბათ, თქვენი რომელიმე ასლო მეგობარი იქნებოდა. — უპასუხა კარიოზმა.

— დიახ, დიახ, უთუოდ, — თქვა გიორგიმ და გულში გაიფიქრა: — „რა თქმა უნდა, სარდიონი იქნებოდა“.

— ნუ თუ ჩართლა ამდენ სანს გაძლო ჩემი წამლით დაბალზამებულმა სხეულმა? — გაიოცა გიორგიმ.

— თქვენი ხერხით დაბალზამებული სხეული უცვლელად კიდევ დიდხანს გაძლებდა, — მიუგო კარიოზმა.

შავფრთიანი მოგონებანი კვლავ უთვალავ მტაცებელ ფრინველებად დატრიალდა. ამ ფრინველებმა გიორგის მეუღლე მზია და ვაჟი მორკინალი სადღაც გაიტაცეს...

გიორგი სინამდვილეს დაუბრუნდა.

— გასაოცარია, როგორ მიპოვეს? — გულგრილად წარმოთქვა მან.

— სრულებით უეცარმა შემთხვევამ აღმოაჩინა თქვენი გვამი, — უპასუხა მას თბილი ხმით აირამ. — სწორედ იმ ადგილზე, სადაც თქვენ განისვენებდით, მთელი დედამიწის დიამეტრის სიგრძეზე ჭაბურღილის გათხრას იწყებდნენ.

— ჭაბურღილის გათხრას? — დაინტერესდა გიორგი.

— დიახ, ჭაბურღილის; ამაზე უზარმაზარი მანქანები მოეწყობოდა. მასთან, მრავალი ათასი ფაბრიკა-ქარხანა და ლაბორატორია იქნებოდა შეერთებული. ეს სხვადასხვა საქმის შესასრულებლად დიდძალ ენერგიას მოგვაწვდიდა.

— რა დიდებული და გასაოცარი ამბავია დედამიწის დიამეტრით გაჭრა, გაბურღვა, — გაიკვირა გიორგიმ, და ახალი ფიქრების მდინარემ იგი შორს გაიტაცა.

აირამ სტუმრის წინაშე ბოდიში მოიხადა.

— ნება მიბოძეთ, ცოტა ხნით დაგტოვოთ, — თქვა მან და ოთახიდან ნაბი რხევით გავიდა.

სიმფონია

გიორგი ზეზე წამოდგა და ფანჯარაში გაიხედა. მაგრამ იქ თავის მოგონებების მეტს ვერაფერს მზერდა. წარსულის ლანდმა და აწმყოს საკვირველებამ იგი კვლავ ფიქრებში გაახვია, ათასი წელი, ამ გასაოცარი ჭაბურღილით, ერთ ადგილას გახვრეტილიყო, ამ ხვრელში გიორგი სასწაულით გაძვრა. ათასი წელი ათასსაფეხურიან კიბეს დაემსგავსა. იგი ამ კიბის თავში აღმოჩნდა.

გიორგი ისევ დაჯდა, ვერ ისვენებდა.

მწუსარებაში მყოფ გიორგის კარიოზი თანაგრძნობით მისჩერებოდა. ბოლოს კარიოზმა განიზრახა ამ მდუმარების დარღვევა და წარსულის მოგონებებით გამთბარ გიორგის შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— ახლა პროზაზე გადავიდეთ.

აბ სიტყვებზე გიორგიმ თავი მაღლა ასწია და გამოფხიზლდა.

„პროზაზე? — გაიფიქრა მან. — რომელ პროზაზე?“ და წარბი შეიჭმუხვნა.

— შორის გზიდან მოდისართ, პატივცემულო გიორგი. დარწმუნებული ვარ, საგზალი შემოგაკლდებოდათ, — უთხრა კარიოზმა.

გიორგი მიხვდა რაზედაც იყო ლაპარაკი.

— მართლაც, შორიდან მოვდივარ, ძალიან შორიდან, — ეიუგო მან.

— წინასწარ ბოდიშს ვისდი, შეიძლება თქვენი საკადრისი პატივი ვერ გცეთ; მაგრამ, იმედია, გვაპატიებთ, — მოიბოდიშა კარიოზმა.

— ჩემთვის მაინც და მაინც თავს ნუ შეიწუხებთ. მარტო პური და ლობიო როცა მქონებია — მაშინაც კმაყოფილება მიგრძვნია. მსუნაგი არასოდეს ვყოფილვარ. რასაკვირველია, ამგვარ ღარიბ სადილს მერჩია, როდესაც სუფრას ამშვენებ-და ხიზილალა, ხმელი ან ნედლი თევზეული, ყველი, მწვანილი, ცოცხალი კიტრები, შამფურზე შემწვარი გოჭი, ინდაური, ცხვრის მწვადები და კახური ან სვირული ღვინო. ეეხ, რა შშვენიერება იყო! — რაღაც სინანულით თქვა გიორგიმ.

— ასეთ პატივს დღეს ვეღარ გცემთ, — უთხრა კარიოზმა.

— არაფერია, ბოლოს და ბოლოს პურს ხომ მიშოვით?

— წარმოიდგინეთ, ამჟამად ვერც მაგ ნატვრას შეგისრულებთ.

გიორგი, ცოტა არ იყოს, გაჯავრდა.

— მაშ რას მიპირებთ?

— ჩვენ გვაქვს სულ სხვაგვარი საკვები. იგი შეიძლება მოგეწონოთ და შეიძლება არა.

— საკვები ხომ არის? — გაუბრწყინდა სახე გიორგის.

მას გაეხარდა საკვების არსებობა, მის ღირსებას აღარ დაეძებდა. მგელივით შიოდა.

— მაშ, შევიდეთ სიმფონიაში! — მიმართა კარიოზმა.

— სიმფონიაში? ეს კიდევ რაღა არის? — გიორგის ეწყინა, რომ კარიოზმა საჭმლის საკითხს ასე უცებ გადაუხვია და რაღაც სიმფონიაზე გადავიდა. — ღმერთმა დასწყევლოს ყოველ-

გვარი სიმფონია! რა დროს მუსიკაზეა ლაპარაკი, კაცს შიმშილით სული მხდება, — ჩაილაპარაკა თავისთვის გიორგიმ, და პირსახე იმგვარად მოექცა, რომ ყველა მისვდებოდა, თუ რა აწუხებდა ამ კაცს.

— სიმფონია. ნუთუ არ იცით? — კარიოზი ერთ წუთს ჩაფიქრდა. ეტყობოდა, ამ სიტყვის ისტორიას იხსენებდა.

— სიმფონია მუსიკალურ ნაწარმოებს ერქვა, — მიუგო გაღიზიანებულმა გიორგიმ.

— სავსებით მართალი ხართ, მაგრამ ეს სახელწოდება შემდეგ სასადილო ოთახზე გადაიტანეს.

— ეგ ჩემთვის პირველი გაგონებაა.

— დიახ, სასადილოს უწოდეს სიმფონია. მაგრამ ჯერ ამ ოთახში შებრძანდით.

კარიოზმა მეზობელ ოთახის კარს ხელი მიაღვა. კარი უეცრად გაიღო. გიორგი და კარიოზი ოთახში აღმოჩნდნენ. ოთახი საკმაო მოცულობის იყო. გიორგიმ დაინახა რამდენიმე დივანი და სავარძელი. კედლები იყო მოლურჯო ფერის, ოქროთი მოვარაყებული ყვავილებით. მარჯვენა კედელზე ეკიდა სურათი. იგი გამოსატავდა გრძელრქებიანი ირმების ჭიდაობას. იქვე იდგა რამდენიმე მოყვითალო კარადა; მათში ბლომად ელაგა ოქროსა და ბრილიანტის ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები; ფერადი წამლებით სავსე მრავალგვარი ზომისა და მოყვანილობის შუშები და სხვა.

გიორგის პირველი წარმოდგენით, ეს იყო სალარო ან აფთიაქი. ალბათ, ამ ძვირფასი ქვებით კარიოზს თავისი სტუმრის გაკვირვება სურსო, ფიქრობდა გიორგი.

— ახლა კი ვხედავ, რა მდიდარიცა ყოფილხართ, — უთხრა გიორგიმ თავის მასპინძელს.

— ჩემი სიმდიდრე ისეთივეა, როგორც ყველასი. განსაკუთრებულ ფუფუნებას ჩვენში ყველა გაურბის, — მიუგო თავმდაბლად კარიოზმა.

— როგორ? ფუფუნების საგნებს იძენთ და ფუფუნებას გაურბით? ეგ ჩემთვის რაღაც გაუგებარია, — ირონიით ჩაილაპარაკა გიორგიმ.

— ოქრო და ბრილიანტები ფუფუნების საგნები გგონიათ? ეგ არ შეეფერება სინამდვილეს.

გიორგის ეს ამბავი გაუკვირდა, მაგრამ შიმშილი ისე აწუხებდა, რომ ერთი ლუკმა საჭმელი ათას ოქროს ერჩია!

კარიოზმა სთხოვა გიორგის დამჯდარიყო. გიორგის სურდა საჭმლისათვის მოეკრა სადმე თვალი. მართალია, ამ ოთახში არც გაჩლილი სასადილო მაგიდა და არც სკამები არ მოჩანდა, მაგრამ გიორგისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მზად იყო საჭმელი ხელში დაეკავებია და მშიერი მწყემსივით ეჭამა. კარიოზმა გიორგის ასლოს სულ პატარა მაგიდა მიიტანა. ძვირფასი ქვების სამკაულები გამოიღო და გიორგის სთხოვა, რომელიც სურდა ამოერჩია. გიორგი რომ ძუნწი ყოფილიყო, იგი ამ ნივთების ხილვით გაგიჟდებოდა, ყველაფერს მოინდომებდა, მაგრამ იგი ძუნწი არასდროს არ ყოფილა. იგი არც გასათხოვარი ქალი იყო, რომ ამ სამკაულებით დაფეთებულიყო. მას არც კი ესიამოვნა ასეთ დროს კარიოზისაგან ნივთების შემოთავაზება და, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოდ შეეკითხა:

— არ შეიძლება გავიგოთ, რა მიზანი აქვს თქვენ წინადადებას?

— მიზანი ის არის, რისთვისაც აქ შემოვედით.

— აქ უნდა იყოს სასადილო, თქვენი თქმით სიმფონია, არა?

— დიახ, სწორედ ამ მიზანს ემსახურება ეს ქვები და ლითონები.

— საინტერესოა როგორ?

— ამოირჩიეთ, რომელიც გნებავთ, — და კარიოზმა კვლავ ქვებზე მიუთითა.

— სულერთია, აი, თუნდაც, ეს ზურმუხტის ბეჭედი, — თქვა გულგრილად გიორგიმ და იქვე მდებარე ზურმუხტის ქვას ხელი მოჰკიდა. იგი გიორგის ცერის სიმსხო მაინც იქნებოდა. ბეჭედზე გამოხატული იყო ოფოფი, რომელიც ბუზანკალს იჭერდა.

კარიოზმა გიორგის ბეჭედი გამოართვა, მერმე რაღაც პატარა ზუში გახსნა; მასში მოწითალო ფერის სითხე ესხა. ამ სითხეში ბეჭედი დაასველა და ისევ გიორგის გადასცა.

— თითოეული ამ ქვათაგანი იმგვარად არის მოწყობილი,

რომ საშმელი ორგანიზმში ადვილად შევიდეს, და ჩვენს საშ-მელს ხომ შესედეთ, როგორია?

— განა, მაგ სითხეს ხმარობთ საშმლის მაგივრად?

— დიახ, ასეთ სითხეებს, — კარიოზმა ხელი მიუშვირა კა-რადებზე.

გიორგიმ ბეჭედი შუა თითზე გაიკეთა. არ გასულა ერთი წუთი, რომ მას სხეულში სიამოვნება შეეპარა. რაც ხანი გა-დიოდა, ეს სიამე იზრდებოდა, ორგანიზმს თანდათან ღონე ემატებოდა, მან თითქოს გაისსენა პირველი სიმთვრალე, პირველი ახალგაზრდობა, პირველი სიყვარული და ნეტარება. მისი აღფრთოვანება მწვერვალებს ასცდა; თითქოს ფრთები გამოესხა და ვარსკვლავების უსაზღვრო სივრცისაკენ მიპ-ქროდა; იგი ამ ნეტარებით დათვრა. მიუხედავად ამისა, ყველა-ფერი მშვენივრად ესმოდა და კარიოზის ყოველ კითხვაზე არაჩვეულებრივი სიზუსტით უპასუხებდა.

ეს ნეტარება ოც წუთს გაგრძელდა. შემდეგ ამ ჯადო-ბე-ჭედმა თავისი მოქმედება შეაჩერა.

— გათავდა, — წარმოთქვა კარიოზმა.

— გათავდა? — წყენით იკითხა გიორგიმ. — რა მშვენიერი იყო ეს წუთები, რა ძვირფასი.

და ამ წუთების ნეტარებას გამოფხიზლებული გიორგის ფიქრები უკან დაედევნა.

— ალარ გშიათ?

— წარმოიდგინეთ, არა თუ მშია, პირდაპირ ვერ აგი-წერთ, ჩემ კუჭთან ერთად ყოველი ჩემი ნაკვთი და უჯრედი როგორ არის დაკმაყოფილებული.

— მაშასადამე, თქვენი სკეპტიციზმი დაძლეულია არა? — იკითხა თითქოს მოწინააღმდეგეზე გამარჯვებულმა კარიოზმა.

— რასაკვირველია; რა დიდებულია ეს თქვენი მიღწევა, რა დიდებული!

— ეს მიღწევა ჩვენი არ არის, მაგით თანამედროვე კაცობ-რიობა ვერ დაიკვეხნის. ქიმიური საკვების იდეა თქვენ ეკ-კუთვნით, მაგრამ სინამდვილეში იგი თქვენმა ზომდევნო თა-ობამ განახორციელა.

— პირველი ნაბიჯები საშმლის ღირსების გაუმჯობესება-ში ჩემ დროსვე იყო გადადგმული, — დაიწყო გიორგიმ. — ჩვე-ნი კომუნისტური მთავრობა ამ მსრივ სერიოზულ ზომებს მი-

მართავდა. მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა ხომ მის უმთავრეს საქმეს წარმოადგენდა. თავდაპირველად ეს ზრუნვა მოსავლის რაოდენობასა და ღირსებას შეეხებოდა. საერთოდ, ჩემი ცხოვრების მესამე ათეულ წლებში თუ სოფლის მეურნეობა კუს ნაბიჯით მიღოღავდა, თუ იგი ისეთივე ჩამორჩენილი იყო, როგორც ეგვიპტის ფარაონებისა და ნაბუქოდონოსორის დროს, ჩემი ცხოვრების მეოთხე ათეული წლის მანძილზე სრულებით გადასხვაფერდა, გამოკეთდა, გაჯანსაღდა. — საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობას უდიდესი ყურადღება ექცეოდა. ხდებოდა მისი საფუძვლის ძირეული შეცვლა: კოლექტივიზაცია, მექანიზაცია, ქიმიზაცია. გლეხობას ასწავლიდნენ როდის, რა და როგორ უნდა ეთესა, დაერგო და მოეყვანა. გლეხს შრომა შეუმსუბუქეს. ათი და ასი კაცის მაგიერ მუშაობდა ერთი მანქანა: ერთი ტრაქტორი, ერთი ტრიერი, ერთი კომბაინი...

— თქვენს შემდგომ ხანებში კაცობრიობამ მიაღწია იმას, რომ მოსავალი უფრო საადრიო გახადა, — განაგრძო კარიოზმა. — მაგალითად, თუ პური და სიმინდი ოთხიდან ცხრა თვემდე მოსავალს უცდიდა, ახლა თესლის შერჩევა-შეჯვარებისა, ნიადაგის განოყიერებისა და ჰაერის ქიმიურად გამდიდრების წყალობით, მოსავლის მიღება ორი კვირიდან ერთ თვემდის დაიწყეს. არავინ ფიქრობდა ქიმიურ კვებაზე, რადგანაც საზრდოს ისედაც ბლომად შოვნილობდნენ? პური და ხორცი საკმაო იყო. თავს არავინ იტკივებდა ბუნებრივ საქმლის რაღაც საეჭვო ღირსების ქიმიურ საკვებზე შეცვლით. და ასე გაგრძელდა დიდხანს, სანამ არ მოხდა კატასტროფა...

კატასტროფის ხსენებაზე გიორგიმ თვალები დაჭყიტა, მაგრამ მალე მიხვდა, თუ საქმე რაშიც იქნებოდა.

— ალბათ, შიმშილი, არა? — იკითხა მან.

— დიახ, შიმშილი.

— შიმშილი, შიმშილი, შიმშილი, — მწუხარედ ამოიოხრა გიორგიმ და თავი ჩაჰკიდა. — ჩემს შეგნებაში შიმშილისა და სიკვდილის აზრდილი შინაარსით ერთი და იგივეა და ფორმით სხვადასხვა, — დაიწყო მან. — ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, რომ ჩემ მოგონებებზე ვაჩერებ თქვენ ყურადღებას; მაგრამ, შესაძლებელია, თქვენ არ გიგრძვნიათ ის, თუ რა ხდებოდა ქვეყნად ჩემამდის და ჩემ დროს შიმშილობის ნიადაგზე. წე-

ღან შიმშილი სიკვდილს შევადარე, მაგრამ შეეცდი. ჩვეულებრივი სიკვდილი შიმშილით ტანჯვა-წამებასთან შედარებით ბედნიერად ჩაითვლებოდა. — და გიორგი მოჰყვა, თუ რა ხდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში შიმშილობის ნიადაგზე. რა ძვირად უჯდებოდა დამშეულ ხალხს ეს სანატრელი აღსასრული...

გიორგი ქიმიური საკვების შემოღებას ჩაუფიქრდა. იგი მას სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა, მაგრამ დაინტერესდა, თუ როგორ ღებულობდა ორგანიზმი ამ საკვებს წინათ და ისტორიულად რა ცვლილებები განიცადა მისმა მიღებამ.

კარიოზმა განუმარტა, რომ ეს პროცესი თავდაპირველად ხდებოდა კუჭ-ნაწლავების შემწეობით, ე. ი. შეწოვით, შემდეგ კანქვეშ შეშხაპუნებით, ან სისხლში უშუალო შესხმით და ბოლოს იონიზაციით.

გიორგი ამ განმარტებით დაკმაყოფილდა.

— ქიმიური საკვების სმარებისას იგულისხმება მთელი მომნელებელი აპარატის მოქმედების შესუსტება, — თქვა გიორგიმ. — აშკარაა, ის ორგანო, რომელიც სისტემატურად არ ვარჯიშობს, თანდათან გადაგვარების გზას ადგება. ეს არის ცხოვრების კანონი, რაზედაც ემყარება სხვადასხვა სახეთა ევოლუციური განვითარების თეორია.

— მართალი სართ. ამ თეორიის დასამტკიცებლად შორს არ მოგიხდებათ წასვლა. საკმარისია ჩვენი საზოგადოების რომელიმე წევრი გასინჯოთ, რომ თქვენი მოსაზრების სისწორეში დარწმუნდეთ. თუ გნებავთ მე შემომხედეთ.

კარიოზმა პიჯაკი შეიხსნა და გულსა და მუცელზე ხელი დაისვა.

გიორგიმ მას მწევარივით პატარა მუცელი შეამჩნია. სახესა და ხელებზე კარიოზს საკმაო სიწმუქნე ეტყობოდა, მუცელი კი მართლაც ძალიან დაპატარავებოდა.

მაგრამ საკვირველი იყო კბილების ამბავი, ისინი ყველას, ვინც კი გიორგიმ ნახა, ბროლივით უბრწყინავდა. კარიოზმა მოაგონა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა კბილებს სხვადასხვა ბგერის სისწორით გამოთქმისათვის. სანამ ეს ბგერები კიდევ არსებობდა და კაცობრიობა აზრთა ურთიერთ გაზიარების საქმეში სხვა რაიმე სისტემაზე არ გადასულიყო, მანამ კბილებს იმგვარსავე მდგომარეობაში სტოვებდნენ, როგორშიც ის ძველად იყო. კარიოზმა ისიც განუმარტა, რომ თანამედროვე ადა-

მიანს სავსებით არც ჭამა გადაუგდიაო. მართალია, ადამიანი დღეს სახორცედ ცხოველებს აღარ ჰკლავს და პურეული მცენარეულობაც სავალდებულო ბეგარისაგან გაუთავისუფლებია, მაგრამ ხილეულობას დიდი სიამოვნებით ღებულობსო. ყველა ამას დასაღეჭად კბილი სჭირდებაო. ქიმიურ საკვებს კბილების გასამაგრებლად ძვალისა და მინანქრის ნივთიერებას უმატებენო.

— საოცარია, საოცარი! — ჩაილაპარაკა გიორგიმ.

— ასლა დესერტზე მობრძანდით, — მოულოდნელად მიმართა კარიოზმა და ხელი კედელს მიადო.

კედელი უცებ გაიწია და გაჩინდა მეორე ოთახი, სადაც ათასგვარი ხილით გაწყობილი მაგიდა იდგა.

— დაბრძანდით და მიირთვით, — მიიპატიჟა სუფრაზე კარიოზმა.

გიორგი სავარძელში ჩაჯდა, ატმები აიღო, მარჯნისტარიან დანით გათალა და კარიოზსაც შესთავაზა.

— გმადლობთ, — უთხრა კარიოზმა. — ლეღვი არ გიყვართ? აი, გრენლანდიის ლეღვი. გასინჯეთ, რა მშვენიერია!

„გრენლანდიის ლეღვი?" — განცვიფრებით შეეკითხა თავის თავს გიორგი და მოწოდებულ ხილს ხელი მოჰკიდა.

— აი, ბანანები და ფინიკები ფრანც იოსების მიწიდან. რა კარგია, ნახეთ! — ეუბნებოდა კარიოზი და ხილს სთავაზობდა.

„ეს რა ამბავია? — ჰკითხავდა თავის თავს გიორგი. — არა, უსათუოდ გეოგრაფიული სახელწოდებანი შეუცვლიათ, თორემ ეს როგორ იქნება? ფრანც იოსების მიწაზე არა თუ ბანანები ,და ფინიკები იზრდებოდა, ვგონებ, ზაფხულობით ბალახიც კი არ ამოდიოდა. უსათუოდ დედამიწის ზურგზე რაღაც მომხდარა, შესაძლებელია, პოლუსებმა ეკვატორის ადგილი დაიჭირეს".

— გასაოცარია გრენლანდიაში ლეღვისა და ფრანც იოსების მიწაზე ბანანებისა და ფინიკების არსებობა. მითხარით, ეს მიწები იმავე ადგილზე არის, როგორც ამ ათასი წლის წინათ იყო, თუ ადგილი შეიცვალა? — იკითხა გიორგიმ.

— რასაკვირველია, იმავე ადგილზე, მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ: არაფერი არ გაგიკვირდეთ; გახსოვდეთ, რომ ამჟამად მეოცდაათე საუკუნეში იმყოფებით, — უთხრა მას კარიოზმა.

— კი, ბატონო, მაგრამ როგორ ახერხებთ იმ სიცივეში ასეთი სათუთი სეების გაშენებას. ეს მცენარეები უსათუოდ მოითხოვს დიდ სითბოსა და მზის სხივების საკმაო რაოდენობას.

— მოთმინება იქონიეთ, პატივცემულო გიორგი, და თავის დროზე ყველაფერი ნათელი შეიქნება თქვენთვის... მაგრამ ჯერ ეს მიირთვით, — და კარიოზი გიორგის ხან ერთ ხილს სთავაზობდა და ხან მეორეს.

გიორგი ხილით დაკმაყოფილდა, ზეზე წამოდგა და კარიოზს მადლობა გადაუხადა.

როდესაც სასადილოში შევიდნენ, გიორგიმ კარიოზს მიმართა:

— ერთი ესეც მითხარით: რა მიზანი ჰქონდა თქვენ გამოთქმას, როდესაც სასადილოს სიმფონიას არქმევდით?

კარიოზმა ხმა გამოიცვალა.

— რა თქმა უნდა, ამ გამოთქმის ავტორებს სიმფონიის მაგივრად ოამამად შეეძლოთ სხვა სიტყვის ხმარებაც, მაგრამ აქ სიტყვებში კი არ არის საქმე, არამედ ქიმიური საკვების შინაარსში.

— როგორ?

— აი, რაგორ. ყოველგვარ ქიმიურ საკვებს თავისი მოქმედების ყავლი აქვს. ზოგი ქიმიური საკვები ორკვირეულს ერთი დღის განმავლობაში ყოფნის, ზოგი ორ-სამ დღეს. ზოგიც ერთ კვირამდის და ერთ თვემდის. მაგრამ ეს არაფერია. საქმე თვით ქიმიური საკვების დამზადებაშია.

— ესე იგი კულინარიაზეა დამოკიდებული, არა? — იკითხა გიორგიმ.

— დიახ, კულინარიაზე, ათი ათასნაირად შეიძლება ამ საკვების დამზადება.

გიორგიმ თავისთვის გაიფიქრა:

„ათი ათასი საკვები ნივთიერების ერთმანეთში იმგვარად არევა, რომ სასურველი შედეგი მიიღო, ეს ჭადრაკის დაუსრულებელ კომბინაციებს მაგონებს".

— დიახ, უმთავრესად საკმლის მიღებაზე არის დამოკიდებული ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ფიზიკური არსებობა, — თქვა კარიოზმა. — დღეს შეიძლება, უმთავრესად, ორგვარად ისადილო: ჩვეულებრივად და არაჩვეულებრივად, ან აღფრთოვა-

ნებულად. ეს გააჩნია იმას, თუ რა დროს, რა განწყობილებაში გსურთ ყოფნა. მაგრამ დიდი ხნის საგზალს ერთად რომ იღებთ, მაშინვე უნდა გამოარკვიოთ, თუ რომელ დღეებში რა მდგომარეობაში გინდათ იყოთ. დღეების მიხედვით ერთგვარ ცხრილს ადგენთ და შესაფერ საკვებს ირჩევთ. ქიმიურ საკვებში ბევრია ისეთი ღირსების საკვები, რომელიც ამა თუ იმ დღეს ამა თუ იმ ეფექტს იძლევა. მაგალითად, თუ გსურთ ჩვეულებრივ მდგომარეობაში დარჩეთ — იღებთ საკვებს დაასლოებით იმგვარივე რეცეპტით, როგორიც წელან თქვენ მიიღეთ. თუ გსურთ მეტი აღფრთოვანება განიცადოთ, მაგალითად, ზეგ, ან უფრო ცოტა გვიან, მაშინ სხვაგვარს და ასე.

ქიმიური საკვების ასეთი თვისება გიორგის ძალიან აგონებდა ღელეებში უსვად გაფანტულ ციცინათელებს: ისინი, როდესაც უნდოდათ, აენთებოდნენ და მერე თითქოს ჩაქრებოდნენ. ეს საკვები ნივთიერებანი მის შეგნებაში წარმოადგენდნენ ჯოჯოხეთის მანქანას: მას დანიშნულ დროს აფეთქებდნენ. როგორც კარიოზის სიტყვებიდან ჩანდა, ეს ნივთიერებანი ორგანიზმში თითქოს განაბული იყო განსაზღვრულ დრომდის. გადიოდა დღეები და დანიშნულ ვადაზე ის ღვივდებოდა და ჰქმნიდა აღფრთოვანებას. შემდეგ კვლავ იძინებდა და ასე ბოლომდის, სანამ სრულებით არ გამოელეოდა ძალა.

— ჩემი აზრით, მართალი ყოფილა ის, ვისაც სასადილო ოთახისათვის პირველად სიმფონიის სახელწოდება მიუცია. მაშასადამე, წინასწარ გათვალისწინებული გაქვთ, როგორც ნოტებზე, თქვენი განწყობილების რყევა. ეგ სრულებით გასაგებია ჩემთვის. მაგრამ მაინც კიდევ კარგად არა მაქვს წარმოდგენილი: თქვენი არაჩვეულებრივი კვება და ჩვენი თრობა ერთსა და იმავეს ხომ არ ნიშნავს? — იკითხა გიორგიმ და კარიოზს მიაჩერდა.

— რა თქმა უნდა, ეს არის ერთგვარი თრობა, მაგრამ არა ლოთობა, — უპასუხა კარიოზმა. — ეს არის სულიერი განწყობილების ერთგვარი ამაღლება და გონების დაკარგვას სრულებით არ ნიშნავს.

ერთი წუთი დუმილის შემდეგ გიორგიმ იკითხა:

— კარგი, მაგრამ, როგორ არის სასმელის საკითხი?

— აჰა, თქვენ არ იცით როგორია ჩვენი სასმელები? წამობრძანდით. — და კარიოზმა გიორგი კუთხეში მდგარ ერთი კარადის უკან პატარა ოქროს ონკანთან მიიყვანა. ამ ონკანს ქვეშ ოქროსავე ტაშტი იდგა. მასზე ათასნიშნიანი სადაფის ციფერბლატი იყო გაკეთებული.

— თქვენ რომელი წყალი მოგწონდათ?

— ჩემთვის ერთი იყო ყველა სუფთა წყაროს წყალი. მაგრამ განსაკუთრებულ პატივს ვცემდი ჩვენი ქვეყნის მადნეულ წყლებს.

— იქნება ბორჯომის წყალი უფრო დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნილებას?

— სულერთია.

კარიოზმა ციფერბლატის ისარი შეატრიალა, რაღაც ნომერზე დააყენა და ონკანში წამოვიდა ბორჯომის წყალი, სწორედ იმგვარი, როგორიც გიორგის ბევრჯერ დაულევია.

— ახლა შეიძლება ნარზანი გასინჯოთ?

— ვნახოთ.

ციფერბლატის ისარს მან ნომერი გამოუცვალა და ცივი ნარზანი ჩუხჩუხით წამოვიდა.

— ყველა ეს წყალი ხელოვნურია, მაგრამ ისეთი შემადგენლობისაა, როგორც სინამდვილეში იყო. ეთელი დედამიწის ბუნებრივი წყლების გარდა გვაქვს აგრეთვე სხვა მრავალგვარი ნამდვილი ხელოვნური წყალი: ესენი ბუნებრივზე უფრო კარგია და ორგანიზმისათვის მეტად სასარგებლო.

— არ შეიძლება ისიც გავსინჯოთ?

— როგორ არა, ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა თქვენი სურვილის დაკმაყოფილება. აი, თუნდაც, ავიღოთ ნომერი 348-შ, — კარიოზმა ისარი სწორედ ამ ნომერზე დააყენა. უეცრად რაღაცამ იშხუილა და ჭიქა ათასი ჰაეროვანი ბუშტულით გაივსო.

— განა, ესეც სასმელებს ეკუთვნის? — იკითხა გიორგიმ და ჭიქას ეჭვის თვალით შეხედა.

— ინებეთ და თქვენი აზრი მერე მითხარით.

კარიოზმა გიორგის სავსე ჭიქა გაუწოდა. ამ ჭიქაში ბუშტულები ერთმანეთს ეცილებოდნენ, იბრძოდნენ, სკდებოდნენ და ისევ ჩნდებოდნენ.

„რაღაც გაზია, რა თქმა უნდა, ნასშირმჟავა იქნება, — გაი-

ფიქრა გიორგიმ", — კარიოზს ჭიქა გამოართვა და უცბად გადაჰკრა.

გადაჰკრა და უეცრად იგრძნო, თითქოს სადღაც გაფრინდა. ამ სასმელმა იმდენი გასაოცარი გრძნობა გამოიწვია, რომ გიორგის მოეჩვენა, თითქოს მის ტანს საფრინდა ათასობით წვრილი ფრინველი, მისი სხეული ასწიეს და სადღაც გააქროლეს. თბილი და ტკბილი ნისკარტებით ნაკუწ-ნაკუწად აქციეს, დაჰკენკეს და გადაყლაპეს. შემდეგ კვლავ ერთიმეორეს შეუერთეს და მიწას დაუბრუნეს.

— გასაოცარი ოსტატები ყოფილხართ, — შენიშნა გიორგიმ და ამ საკვირველმა შთაბეჭდილებამ გაიტაცა.

— თქვენ მხოლოდ ერთი წყალი იგემეთ, უნდა ნახოთ კიდევ სხვები და ჩვენ ოსტატობას მაშინ მიხვდებით.

უეცრად ვილაცამ კარზე დააკაკუნა.

— მობრძანდით, — დაუძახა კარიოზმა.

კარი გაიღო და აირას ხუჭუჭი თავი გამოჩნდა. გიორგის თითქოს პირველად შეეხედოს აირასათვის. მის მოძრაობას იმდენი სილაღე და მოქნილობა ახასიათებდა, რომ გიორგიმ მისი შემოსვლით რაღაც ჯადოს მოასლოება იგრძნო.

— ჩვენთვის სწორედ ის არის საინტერესო, — შემოსვლისთანავე მხიარულად დაიწყო აირამ, — რომ თქვენ, პატივცემულო გიორგი, შორეულ ქვეყნიდან ასე მოულოდნელად გვესტუმრეთ.

— შესაძლებელია, მე თქვენი ვის საინტერესო ვარ, როგორც უცხო ცხოველი, — დაღონებული ხმით უპასუხა გიორგიმ.

— არა, სრულებითაც არა, — ეს სიტყვები აირამ ისეთი გულკეთილობითა და გრძნობით წარმოთქვა, რომ გიორგის ასე ეგონა, თითქოს თავზე თბილი და ნაზი ხელი გადაუსვესო, — ჩვენთვის საინტერესო ხართ, როგორც შორიდან მოსული მგზავრი, პილიგრიმი, რომელიც ჩვენს ახალ სამლოცველოებს ათვალიერებს.

— დიახ, იქნება მაგრეც იყოს, — უპასუხა გიორგიმ, — თქვენი ეპოქა მაოცებს თავისი ბუმბერაზობით.

— მეოცე საუკუნის ადამიანისათვის მართლაც ბევრი რამ იქნება გასაკვირველი, — თქვა აირამ.

— დაგვცინით, არა?

— დასაცინი რა არის! მე მხოლოდ სიმართლეს მოგასსენებთ.

— სავსებით მართალი ბრძანდებით, — მიუგო გიორგიმ. — მეოცე საუკუნე, როგორც ვატყობ, ბავშვის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს თქვენს მაღალ კულტურასთან შედარებით.

— არ ვიცი, მაგრამ ერთი კი ცხადია: მეოცე საუკუნეში დაიწყო ის უდიდესი კულტურული გარდატეხა, რამაც კაცობრიობა დღევანდელ დონემდის მიიყვანა.

— შესაძლებელია, — თქვა გიორგიმ.

ცოტა ხნის შემდეგ კარიოზმა აირას სახოვა მომენტის შესაფერისი რაიმე დაეკრა.

— სიამოვნებით, — უპასუხა აირამ და კედლის ყურეში მივიდა.

აქ იდგა გიშერივით შავი მომაღლო ყუთი.

„ალბათ, როიალია", — გაიფიქრა გიორგიმ.

— „ჰიმნი თქვენს მოსვლას", — მიმართა აირამ გიორგის და ჯადოსნურად გაიღიმა.

— გმადლობთ.

აირას თითების შეთამაშებისთანავე გიორგი თავისდაუნებურად ზეზე წამოიჭრა და დიდ ფანჯრებს მიაშტერდა.

— რა ამბავია? — შეეკითხა მას ზეზე მდგომი კარიოზი.

გიორგის მოესმა ათასი ხმისა და ათასი საკრავის ერთად გალობა. თითქოს სულ ახლოს, აქვე ფანჯარასთან, მას ულოცავენ, ესალმებიან.

— ვინ მესალმება? — იკითხა მან.

— მხოლოდ ჩვენ, — მიუგო კარიოზმა.

ჰიმნი გათავდა.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ!

შემდეგ გიორგიმ მოისმინა მრავალგვარი სიმფონია, მელოდია და სიმღერა; ისინი ხან უმდაბლესი, თითქოს გაუგონარი ტონიდან უმაღლეს ტონამდის ადიოდნენ.

დღევანდელი დღე გრძნობათა მღელვარებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ის ცამეტი ათასი დღე, რომლებიც გიორგის ასსოვდა. იგი შთაბეჭდილებებმა გააბრუა და საშინელ დაღლილობას გრძნობდა. დიასასლისის წინაშე მან დიდი ბოდიში მოიხადა, გამოემშვიდობა და კარიოზს მოსვენება სთხოვა.

კარიოზმა იგი ერთ მეზობელ ოთახში შეიყვანა და უთხრა:

— პატივცემულო გიორგი, მოისვენეთ, აი, აქ დაწევით — და კედელს ხელი მიადო. ძვირფასი მატერიით დაფარული რბილი ლოგინი გადმოიშალა. გიორგი ლოგინთან მივიდა, გაისადა და დაწვა. მალე ჩაეძინა. მაგრამ მთელ ღამის განმავლობაში მას აწვალებდა წარსულის ლანდები ახალ სინამდვილესთან გადახლართული.

სიზმარში თავისი მორკინალი დაინახა; იგი თითქოს შავ ტაიჭზე იჯდა და თავის დაკარგულ მამას ეძებდა.

— აქა ვარ, შვილო, აქ! — ეძახდა მას გიორგი. მორკინალი მისჩერებოდა სივრცეს, მაგრამ ამ სივრცეში მისთვის არაფერი მოჩანდა და კვლავ მამის აჩრდილს ეძებდა.

გიორგი კვლავ ეძახის თავის ვაჟს. მას თითქოს მამის ძახილი ესმის, მოისწრაფის მისკენ გახარებული, მაგრამ მას ველარ აღწევს და თავისი ტაიჭით უფსკრულში ვარდება.

აგერ მზიაც გამოჩნდა, იგი ლამაზია და მშვენიერი. პენელოპასავით გიორგის თბილ ხელთათმანს უქსოვს. დღისით ნამუშევარს ღამით არღვევს. ალბათ, გიორგის უცდის და შემოსულ საქმროებს ამით ატყუებს. სურს, რომ დრო გავიდეს. იქნებ სადმე გიორგიც გამოჩნდეს. მზია მწარედ ტირის.

— რა გატირებს, ჩემო მშვენიერო? — ანუგეშებს მას აირა და თვალებს უკოცნის. — რა გატირებს? განა არ იცი, რომ გიორგი ჩვენი სტუმარია? დიას, გიორგი ჩვენი სტუმარია, ჩემია და მას მშვენივრად მოვუვლი...

სიზმრები ერთიმეორეს ელვისებურად სცვლის

ტეროსკოპი

გიორგიმ არ იცის, რამდენ ხანს იყო იგი მძინარე. შესაძლებელია კიდევ ათასი, ან ათი ათასი წელი. შეიძლება კიდევ შეიცვალა ქვეყანა, ან გადიდდა, ან მიკროსკოპულად დაპატარავდა ადამიანი, ვინ იცის? მაგრამ მას იმავე ოთახში და იმავე გარემოში გამოეღვიძა. გაეხარდა; იგი თითქოს ოცი წლით გაახალგაზრდავებას გრძნობდა, კუნთებში თითქოს ახალი სისხლი ჩაესხათ, გულში — სიხალისე და მთელ ორგანიზმში — დაუსრულებელი ენერგია.

— რა მშვენიერია ცხოვრება, რა მშვენიერი! რა ბედნიე-

რებას ვგრძნობ ამ გამოღვიძების შემდეგ! — სისარულით ამბობდა გიორგი.

საჩქაროდ მივიდა პირსაბანთან, რომელიც მისი ოთახის გვერდით იყო, პირი დაიბანა, ტანთ ჩაიცვა და მასპინძლების შესახვედრად მოემზადა.

— პატივცემულო გიორგი, — მოესმა კედლიდან ხმა, — თუ მზად ხართ, სასტუმრო ოთახში გამობრძანდით.

გიორგიმ იცნო კარიოზის ხმა, დააკვირდა კედელს, მაგრამ ტელეფონის მილი ვერსად შეამჩნია.

— ახლავე გეახლებით, — დაუძახა მან.

— გიცდით! — მოესმა პასუხი.

გიორგი გავიდა სასტუმრო ოთახში, სადაც დაინახა მისი მომლოდინე კარიოზი.

— დილა მშვიდობისა, კარიოზ.

— დილა მშვიდობის, მობრძანდით!

გიორგი დივანზე დაჯდა და პირდაპირ კედელს მიაჩერდა. მერე კარიოზს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— მე ჯერაც არ ვიცი, სადა ვარ. თქვენი სიტყვებიდან მე გავიგე, რომ ვარ ქალაქ სტომში და ამონის ქვეყანაში, მაგრამ — სად არის ეს ქალაქი, ქვეყნის რომელ ნაწილში — ეს ჩემთვის უცნობია.

— მართალია, თქვენ არ იცით სტომის ისტორია, მაგრამ მოითმინეთ და ყველაფერს თავის დროზე აგიხსნით. — დიახ, ვუშინ იმას მოგახსენებდით, — დაიწყო კარიოზმა, — რომ თქვენი გვამი აღმოაჩინეს იმ უზარმაზარი გვირაბის ადგილზე, რომელსაც დედამიწისათვის შამფურივით უნდა გაევლო. ჩვენს არქეოლოგებს ძალიან გაუკვირდათ: როგორ გამოგვრჩა ეს ადგილი დაუთვალიერებელიო. დღეს მთელ სისტემაზე არ მოიპოვება ისეთი კუთხე, რომ იგი მეცნიერებს შესწავლილი არ ჰქონდეთ. მით უმეტეს დედამიწაზე არსებული ტფილისი, სადაც ოდესმე თქვენ მოღვაწეობდით.

— თქვენი ნათქვამი არ არის ჩემთვის საკვირველი იმდენად, რამდენადაც თქვენ დედამიწის გარეგან შესწავლას ეხებით. ჩვენს დროშიც მრავალი გეოგრაფიული საზოგადოება არსებობდა; ეს საზოგადოებანი მიზნად ისახავდნენ ქვეყნის შესწავლას.

გიორგი ჩაფიქრდა. მან გაიხსენა თავისი ახალგაზრდობა

და პირველი ტურისტობა. ეს იყო სვანეთში მოგზაურობა. ამ მსარისა და სსვათა შესახებ გიორგის ბავშობისას ბევრი რამ სმენოდა და გულში ღრმად ჩარჩენოდა. იგი ნატრულობდა წამოზრდას იმ მიზნით, რომ მოგზაურობა დაეწყო თავის ქვეყანაში და ღირსშესანიშნავი ძეგლები ენახა. ბოლოს, მან აღისრულა თავისი ნატვრა, გიორგის ეეთაურობით რამდენიმე ასალგაზრდამ გადაწყვიტა ემოგზაურათ თავიანთ ქვეყანაში. პირველად მათ ჩრდილოეთისაკენ ჰქნეს პირი. მათ ოცნებას იტაცებდა კავკასიის მუდამ თოვლით დაფარული მწვერვალები. სვანეთში მოგზაურობა აირჩიეს. გიორგიმ და მისმა ამსანაგებმა ერთ მშვენიერ მაისის დილას ქუთაისი დასტოვეს და ჩრდილოეთისაკენ გზას გაუდგნენ. იმავე დღეს მიადგნენ იმ მთას, რომელიც ქუთაისს ჯავშნოსანივით თავს გადმოჰყურებს. ეს არის სვამლის მთა. ხალხის გადმოცემით ამ მთაზე მიჯაჭვული ყოფილა პრომეთე; პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და ხალხს მისი საიდუმლოება ასწავლა. ამიტომ განრისხებულმა ღმერთებმა იგი დასაჯეს და ამ მთას სამუდამოდ მიაჯაჭვეს. მიუხედავად იმისა, რომ ყვავ-ყორნები მას გამუდმებით ეცევიან და მის სხეულსა და გულს სჯიჯგნიან, იგი მაინც უკვდავია. პრომეთე ელის იმ დროს, როდესაც ღმერთებს სამაგიეროს გადაუხდის. იგი ხალხის საყვარელი გმირია. ავიდნენ ამ მთის მწვერვალზე, გიორგის სურვილია, რომ პრომეთეს ლეგენდას ხორცი შეესხას. ის გაფაციცებით ათვალიერებს უზარმაზარ კლდეებს, ნაპრალებს და ბუმბერაზ ტყეებს, სადაც სურს ტანჯულ პრომეთეს თვალი მოჰკრას. როგორ უნდა ამ შემთხვევაში ლომად ან ფასკუნჯად იქცეს, რომ ამ წუწკ ცხოველებსა და ფრინველებს დაეძგეროს, მიჰფანტ-მოჰფანტოს ისინი და პრომეთე მძიმე გასაჭირისაგან თუნდ ერთი დღით მაინც გაათავისუფლოს.

გიორგი დიდ მანძილზე ჩამორჩა ამხანაგებს. მან ერთ დაკიდებულ კლდეში თავის ხასალგაზრდა, მაგარ მკერდიდან მაშხალასავით გადააფრინა ძლიერი ხმები:

— პრომეთე! პრომეთე!..

ეს ხმები ნაპრალებში შხუილით გადადიოდა, გველივით იკლაკნებოდა. ხან წამიერად მოსწყდებოდა, ხან რომელიმე კლდეზე მიეჯახებოდა, ბუმერანგივით უკან ბრუნდებოდა და შემდეგ მწვანე ნაბადმოსხმულ გორებში დნებოდა.

რამდენჯერმე განმეორდა ეს ძახილი.

— ჰეეიი! — მოესმა მას ამხანაგების პასუხი.

— აქეთ ვაართ! აქეთ წამოდი!

და გიორგიც ამხანაგებისაკენ წავიდა.

მან თავისი ჟინი შეისრულა.

ისინი წინ მიდიან. მდინარე ცხენისწყლის ნაპირით მალე გაიკლიან მთების ძირას გაშენებულ პატარა ქალაქს ცაგერს და მიადგებიან ქვემო-სვანეთს, საცა ბუნებას კალთა უსვიდ დაუბერტყია, საცა ათასგვარი მეავე წყაროს წყლები ყოველ ნაბიჯზე ჰაერში შადრევნებად სცვენს. აქ არის უზარმაზარი ტყეები. ყოველი ხე სასასლეს ეყოფა.

საცაა ისინი თავისუფალ სვანეთში ავლენ. მაგრამ იქ გადასვლამდის საჭიროა უზარმაზარი, მუდამ თოვლიან ლატფარის გადალახვა. ეს მთა გიორგის ხსოვნაში მუდამ სასიამოვნო მოგონებად დარჩება. ეს იყო ბუნების ერთ-ერთი გასაოცარი სურათი, რომელიც კი გიორგის თდესმე უნახავს. სიტყვის მრავალი გენიალური ოსტატის ენაც რომ გამოებას გიორგის, იგი მაინც ვერ გამოთქვამს და ვერ ასწერს იმ შთაბეჭდილებას, რაც აქ ნახულმა მის სულზე მოახდინა. ჯერ, სანამ მარადიულ თოვლზე ფეხს შეიდგამდნენ, მათ წინ მრავალ კილომეტრზე გადაჭიმული ალპური მცენარეულობა გადაიშ ლა. აქ თითქოს ხელოვნურად გაშენებული ბაღი იყო; ამ ბაღს ცისარტყელას ყველა ფერის ყვავილები ამშვენებდა! შემდეგ თოვლზე შედგნენ და გადასასვლელისაკენ გზა განაგრძეს. როდესაც მწვერვალს მიაღწიეს და გიორგიმ იქით გადაიხედა, იგი სანახაობის ბრწყინვალებამ უეცრად დააბარბაცა. მას ელექტრონის ნაკადივით რაღაცამ თავში დაჰკრა და მთელ ტანში ფეხებამდის ჟრუანტელად დაუარა. ეს იყო რაღაც საოცრება, რაღაც ფანტასტიკა. მდევებივით აღმართულიყვნენ კავკასიის უზარმაზარი მთები შავი ზღვიდან ფასის მთით გათავებული, იქვე, წინ, ზეციასთეის თავი მიეკრულა თეთრულდს: იგი ჩამოსსხულ შაქრის თავს ჰგავდა. ჩრდილო-დ სავლეთისაკენ ორწვერიანი უშბა მოჩანდა. როგორ სურდა ყველა ამ მთას კისერზე მოსვეოდა, სურდა გამოეშმაგდა არწივის ფრთეები, რათა ერთ წუთში გადაფრენილიყო ამ მწვერვალიდან იმ მწვერვალზე, რომ ყველას ერთიანად შეხებოდა და მათთვის სიყვარული გაემეღავნებია.

კიდევ რამდენი მშვენიერი წუთი ახსოვს ტურისტულ მოგზაურობიდან!

გიორგი უცებ გამოფსიზლდა. კარიოზის წინაშე ბოდიში მოისადა და სთხოვა, დაწყებული საუბარი გაეგრძელებია.

კარიოზმაც განაგრძო:

— არა მარტო დედამიწის ზედაპირია ყოველმხრივ შესწავლილი და გამორკვეული, არამედ თვით მიწის გული მთელ თავის სიღრმეზე. ამას ახერხებენ განსაკუთრებული იარაღის — ტეროსკოპის საშუალებით.

— ტეროსკოპის?

— დიახ, ტეროსკოპის საშუალებით. საკმარისია ტეროსკოპში ჩაიხედოთ, რომ დედამიწაში დაინახოთ ყველაფერი, რაც კი შიგ არსებობს.

— საოცარია. მაშასადამე, დედამიწის ბნელ მასაში იხედებიან?

— დიახ, ეს ხდება იმგვარად, როგორც თქვენ იღებდით რენტგენის აპარატით ადამიანის სურათს. მაგრამ ჩვენი ტეროსკოპი ბევრჯერ უფრო ნათელ სურათს იძლევა, ვიდრე თქვენი რენტგენი. ტეროსკოპის აღმოჩენამ მაშინდელ კაცობრიობის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში მთელი გადატრიალება მოახდინა. რა თქმა უნდა, ტეროსკოპი თანდათან გაუმჯობესდა. იგი პირველ ხანებში ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე! მისი ხედვის მანძილი სულ რამდენიმე ასეულ მეტრით განიზომებოდა. მაგრამ ესეც საკმარისი იყო ერთგვარი გადატრიალების მოსახდენად. ჯერ ერთი, მისი დასმარებით შესაძლებელი შეიქნა დიდძალი ლითონების აღმოჩენა; ეს ლითონები მიწის ზედაპირთან ახლოს მდებარეობდნენ. მაგრამ უბრალო თვალი მათ ვერ ამჩნევდა. ნუთუ არ გახსოვთ, რას წარმოადგენდა თქვენ დროს ოქრო, ალმასი და სხვა ძვირფასი ქვები და ლითონები? საჭირო იყო ტეროსკოპის დასმარება, რომ მაშინვე აღმოჩენილიყო ამ ძვირფასი ლითონებისა და ქვების ახალი მარაგი. მერე ისეთ ადგილებში, სადაც წინათ ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონებიათ, თუ იქ რაიმე არსებობდა. გარდა ამისა, აღმოჩენილ იქნა მრავალი ახალი წყარო ქვანახშირისა და ნავთისა. ესენიც არა ნაკლები პატივით სარგებლობდნენ მაშინდელ სახელმწიფოების ცხოვრებაში. ტეროსკოპის აღმოჩენამ მთელი რევოლუცია გამოიწვია. კა-

ცობრიობის წინაშე დაისვა საკითხი ეკონომიკის აუცილებელი გადასინჯვის შესახებ. ღღესაც ტეროსკოპით დიდად არის დაინტერესებული მთელი სისტემის კაცობრიობა, მისი დახმარებით ყველა პლანეტის მთლიანი შემადგენლობის სურათი ვაქვს...

— შემდეგ შესაძლებელი შეიქნა, — განაგრძობდა კარიოში, — ისტორიული ნაშთების, ისტორიული განძეულობის აღმოჩენა. მოგეხსენებათ, ადამიანთა კულტურის ნაშთები მიწაში ეყლობოდა იმიტომ, რომ მიწის იქით არსად წასულა ძველი კაცობრიობა; იგი მიწაზე იყო მიჯაჭვული და მან, რაც შექმნა თავის ცხოვრების განმავლობაში, აქვე დასტოვა. დიდებული სასახლეები, უზარმაზარი კოშკები თუ პირამიდები, ძვირფასი ძეგლები, იარაღი თუ ფული, ეს ყველაფერი მიწაზე შეიქმნა და მიწაზედვე დარჩა. აბა მითხარით, საცოდავ კაცს ეს ნივთები სად უნდა წაეღო და შესანახად ვისთვის უნდა მიებარებია? რა თქმა უნდა, მიწა იყო ერთადერთი ჭირისუფალი და მეანდერძე კაცობრიობისა. ჩვენ ვსედავთ ძველი კულტურის ხელშესახებ მასალას, ისტორიულ ნაშთებს. ტეროსკოპმა ნათლად გვიჩვენა, თუ სად რა განძეული იყო დამარხული, სად რა უნდა გვეძებნა. მისი საშუალებით ვიპოვეთ მრავალი ნივთი, თქვენი დროის კაცობრიობისათვის სრულებით უცნობი, მაგრამ თქვენზე უფრო ადრინდელი, თქვენზე უხნესი.

— რა იპოვეთ, მაგალითად? — იკითხა ცნობისმოყვარეობით გიორგიმ.

— ვიპოვეთ ძველი ჩინეთის, ინდოეთის, ქალდეელების, ეგვიპტელებისა და ასურეთ-ბაბილონის კულტურის ნაშთები. ვნახეთ ძველი ძეგლები, ფულები, საომარი იარაღები; მისი დახმარებით აღვადგინეთ სასახლეები, სფინქსები და სხვ., შევისწავლეთ დედამიწის შინაგანი და გარეგანი შემადგენლობა და მისი ისტორიული ცვალებადობა. ერთი სიტყვით, ამ აპარატმა ჩვენ ბევრად უფრო მეტი სარგებლობა მოგვიტანა, ვიდრე იოანე გუტენბერგის გამოგონებამ და ქრისტოფორე კოლუმბის აღმოჩენამ... მაგრამ დროა ეს ტეროსკოპი განზე გადავდოთ. ღიახ, თქვენ გაინტერესებთ თქვენი გვამის პოვნის ამბავი, არა?

— დიახ, რასაკვირველია!

— თქვენ, როგორც მოგასსენეთ, შემთხვევით გიპოვნეს ოდესმე საქართველოს ქალაქ ტფილისის ტერიტორიაზე.

გიორგი უცებ ფესზე წამოიჭრა:

— რას ნიშნავს ოდესმე? რა აზრით ისმარეთ მოქალაქე კარიოზ ეს სიტყვა? მე ყურში რაღაც სხვაგვარად ჩამესმა. ნუთუ არ შეიძლება გავიგო ჩემი სამშობლოს ამბები?

გაკვირვებული და შეშფოთებული სახე მან წინ წასწია.

— გთხოვთ, დაწყნარდეთ, — მიმართა კარიოზმა დამამშვიდებელი კილოთი, — ნუ ღელავთ, მაგასაც მოგახსენებთ.

სამუზეოლოს აჩრდილი

— პატივცემულო გიორგი, — წარმოთქვა კარიოზმა, — ის, რისი თქმაც ახლა მსურს, რასაკვირველია, თქვენთვის მეტად საწყენი იქნება. მგონი თქვენ კიდეც იგრძენით ეს ამბავი, მაგრამ უკვე წარსულის კანონზომიერ მსვლელობას თქვენი გრძნობათა დღევანდელი მღელვარება ვეღარ შეაჩერებს.

გიორგი გაფითრდა. აშკარა იყო, უდიდეს სულიერ მღელვარებას განიცდიდა.

გიორგი თითქოს ხედავდა მოახლოებულ საშინელებას, რომელსაც მის წინააღმდეგ ხმალი აღემართა, მაგრამ რა უნდა ექნა? რით უნდა შებრძოლებოდა ამ ამბავს, რომელიც ისტორიის სიღრმეში მიმალულიყო?..

— წარმოიდგინეთ, საუკუნეთა განმავლობაში ბევრი რამ ისეთი გასაკვირველი ამბავი მოსდა, რომ მეოცე საუკუნის კაცი კი არ დაიჯერებს ამას, — განაგრძობდა კარიოზი. — დღეს აღარ არსებობს ეროვნული განსხვავება კაცობრიობაში და, მაშასადამე, აღარ არიან ქართველები ისევე, როგორც რუსები, ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, იაპონელები, ჩინელები და ათასი სხვა ერი.

გაოცდა. გიორგიმ იგრძნო საშინელების მაგარი ხელი, მას თითქოს ტანთ გახადეს და პროკრუსტის საწოლზე გააწვინეს.

— ქართველები აღარ არსებობენ? — ზარდაცემული შეეკითხა გიორგი.

— დიას, ქართველი ერი, როგორც ცალკეული ერთეული, აღარ არსებობს, მაგრამ საქართველო, როგორც გეოგრაფი-

ული ერთეული, მთელი ქვეყნის ერთ უმშვენიერეს კუთხედ დარჩა.

გიორგი დიდხანს იყო გარინდებული, იგი ღრმა ფიქრებს მისცემოდა. მისთვის არავითარ სუგეშს არ წარმოადგენდა საქართველოს უმშვენიერეს გეოგრ. ფიულ ერთეულად დარჩენა, არავითარს.

მისი გონება გაისლართა საქ.რთველოს ისტორიის უღრმეს ფესვებში, მაგრამ საიდან იწყებოდა ეს ფესვები, ისეთი ბუნდოვანობით. იყო მოცული, როგორც სხვა ერების ისტორიის დასაწყისი. ყოველ შემთხვევაში, გაიხსენა მის დროშდის შენახული საბუთები. მას კარგად ახსოვდა ქსენოფონტეს, ჰიპოკრატეს, სტრაბონისა და ასეულ სხვა მოგზაურთა და გეოგრაფთა ცნობები საქართველოს შესახებ. მოაგონდა მოსე წინასწარმეტყველის ერთი გამოთქმა: „თუბალი არის კვერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა"-ო. თუბალები, ქართველთა ტაგებით, მათ წინაპართა შტო იყო. და ეს სიტყვა აკრობატივით დატრიალდა გიორგის შეგნებაში: თუბალი, თიბერი, ჰიბერი, ივერი. განა ივერიელების სახელწოდებით არ იყვნენ ცნობილი ქართველები? მაშასადამე, მოსეს დროს, ე. ი. ქრისტიანობის ერამდის თექვსმეტი საუკუნის წინ, ქართველები რკინას ამუშავებდნენ. ხშირად, როდესაც გიორგი წინაპრებს მოიგონებდა, იტყოდა სოლმე:

— მამაჩემო, გაგიმარჯოს შენ, რადგანაც ჩვენი ძველი ეროვნული სელობა არ დაგვიწყნიაო.

რამდენიმე ათასი წლის წინათ ქართველთა წინაპრები სხვადასხვა ხალხის ზღვაში ისტორიის ფსიზელ გუშაგებს შეუმჩნევლად არ დარჩენიათ. მას შემდეგ ქართველები უსაზღვრო და უნაპირო ოკეანეში მოდიოდნენ, რისი მოწამეც მრავალია. გიორგიმ ამ მანძილის სიღრმეში გაიხედა და დაინახა საქართველოს გემი; ეს გემი მის დროს მეოცე საუკუნის ნავთსადგურში ჯავშნოსანივით შეიჭრა. მეცხრამეტე საუკუნის მე-90 წლებში იგი ამ გემზე ავიდა და სიკვდილამდის მას ემსახურებოდა, მის კეთილდღეობაზე ზრუნავდა. ამ გემის ზურმუხტოვან ქიმზე ცეცხლის ასოებით ეწერა: „კულტურა და მშვიდობიანობა". თვალით უხილავმა ძალამ გიორგი გემიდან სწორედ მაშინ ასწია და გადმოაგდო, როდესაც იგი ამ დიდი მისიის შესრულებისაკენ მიისწრაფოდა.

მოაგონდა უძველესი ქალდეველები. ქართველები მათ შთამომავლად ითვლებოდნენ. წარმოიდგინა ქალდეველი მწყემსი: იგი სალამურის ტკბილი დუდუნით მისცერებია ცაზე ვარსკვლავებს. ჯოგი კი იქვე ისვენებს. უცებ კომეტამ გაანათა და გრძელი, ციცხლიანი კუდი ხმალივით მაღლა აღმართა.

„ეს რა არის?" — გაიფიქრა გაოცებულმა მწყემსმა და სალამური უცებ შეაწყვეტა. მისი ფიქრი ამ კომეტამ მიიპყრო. ამგვარად ჩაისახა პირველად ინტერესი ზეცისადმი; შემდეგ იგი დამეშავდა ზუსტ მეცნიერებად — ვარსკვლავთმრიცხველობად. გიორგის დიდსანს აწვალებდა წარსული საუკუნეების მოგონება. რამდენი ცრემლი და სისხლია დაღვრილი ისტორიის ამ უშორეს ეტრატზე? რამდენჯერ მწარედ აქვითინებულა ქართველი დედა თავის განწირულ შვილთა საფლავზე?

„რად ჭლეტდნენ ერთიმეორეს, რისთვის ებრძოდა ეს ხალხი?" — შეეკითხა თავის თავს გიორგი და ცოტა ხნის შემდეგ თვითვე უპასუხა:

„ეს იყო ბრძოლა ბრსებობისათვის, თავის სახის შენარჩუნებისათვის და ამ ბრძოლის დროს არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ".

განა ერთი და ორი ამბავი ახსოვს გიორგის სხვადასხვა ხალხისაგან ერთიმეორის განადგურებისა? მრავალი, ძალიან მრავალი! გიორგის აზროვნების შორ ჰორიზონტზე არწივივით გამოჩნდა ქალდეს ლანდი და მოჩვენებასავით გაჰქრა. ყველაფერი დღევანდელი ხომ ხვალისათვის წარსული იქნება?

გიორგიმ წარმოიდგინა საქართველოს ძველი ცხოვრება. გიორგი გრძნობს, თუ როგორი სისასტიკით გადაიარეს მის ზურგზე ეგვიპტელებმა, ასურ-ბაბილონელებმა, ირანელებმა, არაბებმა, მონღოლებმა, თურქებმა და ათასმა სხვა ხალხმა. მათი აქლემები და ცხენები თითქოს თავის ბასრ ჩლიქებს გიორგის ტვინსა და გულში აბიჯებდნენ. მან განიცადა ამ შემოტევათა მთელი საშინელება. მტრების წვეტიანი ისრების შსუილი, მათი გალესილი სმლების ელვარება, ხანჯლების ტრიალი, დაინახა ურდოები. მათი დათვლა გიორგის შეგნებას აღემატებოდა. ესენი, როგორც ღრუბები, მიისწრაფოდნენ მისკენ დასაგლეჯად. მისი სხეული ათასმა მტერმა დაპგლიჯა, ნაკუწ-ნაკუწად აქცია და ისიც მიკროსკოპულად დაპატარავებული კავკასიის მაღალ მთებს ამოეფარა და გადარჩა. უკ-

ვირს გიორგის, როგორ გადაურჩა იგი ამდენი ხალხის სიმძიმეს. მათ მისი სხეული თითქოს გზად და ხიდად გაისადეს. რატომ სრულებით არ გაიჭყლიტა ის ამდენ ორომტრიალში, ამდენ შესლა-შემოსლაში, რომელშიც იგი ძალაუნებურად ასე აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მაგრამ მას მაგრად ეჭირა ძლიერი ფარი, კავკასიის მთები, და ამ ფარს იგი მოსერსებულად სმაროდა. სწორედ ამ ფარმა იხსნა განადგურებისაგან.

— დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ის სანა, როდესაც სხვადასხვა ერი არსებობდა დედამიწაზე, არასოდეს არ დაბრუნდება. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებმა ჩვენ გაერთიანებას ხელი შეუწყო. დღეს დედამიწაზე არცერთი ერი აღარ არსებობს, ყველა ისტორიის ბორბალს გადაჰყვა, — განაგრძობდა კარიოზი დამაჯერებელი კილოთი.

გიორგის მწარე ფიქრები დაკარგულ სამშობლოს შესახებ კარგა ხანს გაგრძელდა, ამ ამბავმა მის გულს ღრმა ჭრილობა დაამნნია.

— რა თქმა უნდა, თქვენ ახლა მაუწყეთ მეტად სამძიმო ამბავი, რაც ჩემთვის ადვილი მოსანელებელი არ არის, — დაიწყო გიორგიმ. — ჩვენ დროსაც კი გრძნობდა კაცობრიობა საერთო ენის საჭიროებას, მაგრამ, თუ მესხიერება არ მღალატობს, ერთმანეთში სრულ გათქვეფაზე არავითარი ლაპარაკი არ იყო. მე მეწყინა საერთო საკაცობრიო თვალსაზრისით ეროვნებათა მოსპობა, რადგან, ჩვენის აზრით, სხვადასხვა ერის არსებობა მრავალფეროვანებასა და სილამაზეს წარმოადგენდა.

— ეროვნებათა გაერთიანების პროცესი, — ჩამოართვა სიტყვა კარიოზმა, — საერთო ენის შემოღებამაც გამოიწვია. კაცობრიობა ისე შეეჩვია ამ უმდიდრეს, ყველაზე კეთილსმოვან და ელასტიკურ საერთო ენას, რომ ბოლოს სულ ამ ენაზე დაიწყო წერა-კითხვა და ლაპარაკი. თქვენი წარმოდგენით ეროვნება ყვავილს ან რომელიმე საკრავ იარაღს წარმოადგენდა. ჩვენ კი გვგონია, რომ ძველი ეროვნება იყო კედელი, იგი სხვადასხვა ხალხს უშლიდა ერთმანეთთან დაახლოვებას, ერთმანეთის გაგებასა და სათანადო დაფასებას. ძველად ეროვნება იყო არა ყვავილი, არამედ ეკალი. ამ ეკალს დაუსჯელად ვერ მიეკარებოდი, იგი საშინლად იჩხვლიტებოდა. დიდი სანია, რაც ცხოვრებამ ეროვნებათა მოსპობა ბუნებრივად გამო-

იწვია. ეს, რასაკვირველია, სხვადასხვა ხალხის ერთიმეორეში გათქვეფას სრულებით არ ნიშნავს.

გიორგი ამ საკითხის წინაშე დიდხანს დამუნჯებული იდგა, შემდეგ ხელი ჩააქნია და თქვა:

— ეგ, რა თქმა უნდა, აგრე იქნება... ბოლოს და ბოლოს, არც კი მიკვირს ის გარემოება, რომ კაცობრიობა ერთ ენაზე ლაპარაკობს, მაგრამ რა ჰქვია იმ ენას, რომელმაც ასე მოსიბლა ყველა და თავის საკუთარი ენა გადაავიწყა?

— ამონთა ენა.

— ამონთა ენა? — იკითხა გიორგიმ.

— დიახ, ამონთა, — უპასუხა კარიოზმა.

— ამონთა ენა, ამონთა ენა! — რამდენჯერმე გაკვირვებით გაიმეორა ეს სიტყვები გიორგიმ. ბევრი იფიქრა, ბევრი ეძება თავის მესსიერების სალაროში ამონები, მაგრამ, როდესაც ისინი ვერ მოსძებნა, კარიოზს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— რასაკვირველია, რამდენადაც ვიცი, ჩემს დროს ასეთი სასელწოდების ერი არ არსებობდა, და საიდან გაჩნდა ეს ხალხი თქვენ დროს?

— ცხადია, თქვენთვის უცხოა ამონები და ამონთა ენა. მაგრამ სანამ იმას გაიგებდეთ, ეინ არიან ამონები, გთხოვთ გამომყვეთ ჩემ ბიბლიოთეკაში. იქ გაეცნობით ჩვენს ენასა და ჩვენი კულტურის მიღწევებს წიგნების გადაკეთების დარგში.

— დიდი სიამოვნებით, — უპასუხა გიორგიმ, და ამ დროს მოაგონდა გამოღვიძების შემდეგ ლაპარაკი უცნობთან, რომელიც სიტყვა „ამონს“ იმეორებდა.

წიგნის რეფორმა

შებინდდა. აქამდის საგნებთან ახლო მყოფი ჩრდილები მათ ნელნელა დაშორდა. ჩრდილები მზეს ემალებოდნენ, მაგრამ ყოველგვარ საგანს გამუდმებით უკან დასდევდნენ. ახალა, მთელი დღის დარაჯობით დაღლილთ, მათ ოდნავ მოერთსათ. მზე თავდაღმართში დაეშვა. ჩრდილები სიხარულით გაიზარდნენ, მძიმე ტანი ველარ ზიდეს და უხმოდ მიწაზე გაიშლართნენ. როდესაც მზე კლდეში გადაიჩეხა, ერთიანი საბანი მოისურეს და გულიანი ხვრინვაც ამოუშვეს.

მაგრამ ამ ტკბილმა ძილმა სულ ნახევარ საათს გასტანა. შემდეგ, როდესაც მოულოდნელად შუა ცაზე მზე არწივივით ამოფრინდა, ჩრდილები უეცრად დაპატარავდნენ, დამფრთხალ წიწილებივით ხეებს, სახლებსა და სხვა საგნებს მიაშურეს და მათ ამოეკრნენ.

— რა მოსდა?

— ამას შემდეგ გავიგებთ.

გიორგი და კარიოზი წამოდგნენ და ბიბლიოთეკისაკენ წავიდნენ. გზაში გიორგის აწვალებდა ფიქრი, საიდან იცოდნენ კარიოზმა და აირამ ქართული ენა ასე მშვენივრად და წიგნების როგორ გადაკეთებაზე იყო ლაპარაკი.

მან ველარ მოითმინა და წინ ჩიმავალ კარიოზს შეეკითხა:

— თქვენ წელან თქვით, რომ არცერთი ერი დედამიწაზე აღარ არსებობს. მერე და, თუ ეს ცნობა სიმართლეს შეეფერება, ძალიან მაინტერესებს, საიდან იცით თქვენ ასეთი წმინდა ქართული?

კარიოზი უცებ შემოტრიალდა და გიორგის მორცხვებით მიმართა:

— უნდა გაუწყოთ, რომ ჩვენ ქართული ენის საუკეთესო მასწავლებლები და მშვენიერი მოსაუბრენი გვყავდნენ. ქართული ლაპარაკი სწორედ მათგან შევისწავლეთ.

— საკვირველია, ვინ იყვნენ ეს მასწავლებლები თქვენს დროს? გასაოცარია, აქამდის რომელმა მოსაუბრემ გასძლო.

კარიოზმა უპასუხა:

— დღეს უფრო ბევრად მეტი ვიცით, ვიდრე თქვენ თქვენი ეპოქისა და, თუნდაც, ქართული ენის შესახებ.

გიორგიმ არ იცოდა, ასეთი პასუხი სწყენოდა თუ გახარებოდა.

— ტეროსკოპის დასმარებით, არა? — იკითხა მან.

— ნაწილობრივ ტეროსკოპითაც, მაგრამ ცოცხალი ენის შესწავლის საქმეში ტეროსკოპი უმწეოა. საიდან და როგორ, ამის ერთ-ერთ საშუალებას ასლავე დაგანახვებთ. დანარჩენი შემდეგისათვის იყოს. ქართულ ენას გვასწავლიდნენ თქვენი გამოჩენილი პოეტები და მწერლები.

გიორგის დროს თითქმის ყოველგვარ ისტორიულ ძეგლების წარწერებს კითხულობდნენ. იმ ერის ისტორია და ლიტერატურა, რომელმაც მეოცე საუკუნემდის მიაღწია, რა თქმა

უნდა, ამათთვის ნაცნობი იქნებოდა. ამაში მაინც და მაინც გასაკვირველი არაფერი იყო, მაგრამ ცოცხალი ენა კიდევ სხვაა.

— წარმოიდგინეთ, რომ დღეს თქვენი დროისა და უფრო ადრინდელ პირებთან უშუალო ლაპარაკი წარმოუდგებს.

— როგორ? არ მესმის, რომელ ლაპარაკზე ბრძანებთ? — დაიბნა გიორგი.

— ასლაკე გაიგებთ.

და ისინი ერთ დიდ ოთახში შევიდნენ. როდესაც მაგიდას მიუახლოვდნენ, კარიოზმა სთხოვა, იქვე მდგარ სავარძელში ჩამჯდარიყო.

გიორგი ოთახს განცვიფრებული მისჩერებოდა. ფიქრობდა:

„კარიოზი წელან ბიბლიოთეკის ჩვენებას დამპირდა. მაგრამ ამ ოთახში რა უნდა მაჩვენოს არ ვიცი. ეს უზარმაზარი ოთახი უფრო რკინეულობის მაღაზიას წააგავს, ვიდრე რომელიმე ბიბლიოთეკას. ალბათ, სხვა ოთახში შევიდით და ბიბლიოთეკა შემდეგ იქნება“.

— ჩვენ, მგონი, ბიბლიოთეკაში შესვლას ვაპირებდით, — გაუბედავად შენიშნა გიორგიმ.

— დიახ, სწორედ ბიბლიოთეკაში ვიმყოფებით, — უპასუხა კარიოზმა.

გიორგის თვალები გაუგანიერდა, იფიქრა: დავბრმავდი თუ რა დამემართა, ერთ წიგნს რომ ვერ ვუყურებო, თვალები მოიფშვნიტა, ოთახის კედლებს გაფაციცებით მიაჩერდა, მაგრამ ამ ოთახში რკინეულობის მეტს ვერაფერს ხედავდა.

კარიოზმა ფანქარივით გრძელი ერთი შუშა თაროდან გადმოიღო და იქიდან პატარა აბი გადმოაგორა.

— აი, ხომ ხედავთ ამ ფირფიტას? ეს არის ჩვენი წიგნი.

— ეს არის თქვენი წიგნი? — იკითხა განცვიფრებულმა გიორგიმ.

კარიოზს ფირფიტა გამოართვა და დააკვირდა.

— დიახ, ეს არის.

— მერე ამას როგორ კითხულობთ?

— იმგვარადვე, როგორც თქვენ კითხულობდით.

— ამაზე ხომ თვალი ვერაფერს გაარჩევს?

— უბრალო თვალი, რასაკვირველია, ვერაფერს ამოიკი-

თსავს, მაგრამ ჩვენ გვაქვს გამადიდებელი აპარატები. ეს აპარატები საშუალებას გვაძლევს ყველაფერი გავარჩიოთ. აბა, შემოსედეთ!

კარიოზმა ფირფიტა გამოართვა და პატარა ყუთში ჩაუშვა. ყუთის დანახვისას გიორგის თვალწინ წარმოუდგა მორკისალის პატარა ტიკინა. იგი მომღიმარე ზანგს გამოსატავდა.

ყუთში წიგნის ჩაშვებამ და მისმა წამიერმა სმაურმა გიორგის მთელი რიგი მოგონებები გაუცოცხლა. მას ძალიან სურდა ამ მოგონებებს გადევნებოდა, მაგრამ გამოაფხიზლა კარიოზის მიერ დირიჟორის ჯოხივით მაღლა აწეულმა ფითმა, რომელიც მას პირდაპირ კედელზე უჩვენებდა.

გიორგიმ გამოუცდელ მომღერალივით ამ ჯოხს თვალი გააყოლა და დაინახა მსხვილი ასოებით ქართული წარწერა: „ვეფხის-ტყაოსანი“.

გიორგი სიხარულმა შეიპყრო. თითქოს მას ენახოს სატრფო, რომლის გარდაცვალების ამბავი უკვე დაიჯერა, მაგრამ იგი ცოცხალი აღმოჩნდა.

კარიოზმა მას აუხსნა, თუ რამ გამოიწვია ასეთი რეფორმა. კაცობრიობას შეგნებულ ცხოვრების განმავლობაში უამრავი წიგნები შეუთხზავს. მილიონობით სიტყვის ოსტატები: პოეტები, პროზაიკოსები, ისტორიკოსები, სოციოლოგები და ათასი სხვა ხელობის ხალხი თავის წმინდა მოვალეობად სთვლიდნენ რაიმე სიტყვიერი განძი დაეტოვებიათ. ამგვარად, წიგნის მთები შეიქნა, უამრავი ნაბეჭდი მასალა დაგროვდა. ეს კი მძიმე ტვირთად აწვებოდა ძველ წიგნსაცავებს. განსაკუთრებით იმატა წიგნების რიცხვმა მეოცე საუკუნიდანო.

— გაითვალისწინეთ, თუ გნებავთ, — ეუბნებოდა კარიოზი, — თითო ეკზემპლარი ყოველი ნაწარმოებისა, რაც ამა თუ იმ ეპოქაში იბეჭდებოდა და დათვალეთ დაახლოებით რამდენი იქნებოდა ამ ნაწარმოებთა რიცხვი თქვენ დრომდის, როდესაც წერა-კითხვას არ ჰქონდა ჯერ კიდევ მასობრივი ხასიათი და წარმოიდგინეთ რამდენი იქნებოდა თქვენს შემდეგ, როდესაც ხალხის განათლებამ ბუმბერაზული ნაბიჯით დაიწყო წინსვლა.

გიორგის კიდევ შეეძლო წარმოედგინა მის დრომდის ნაბეჭდი ლიტერატურა: მას სულ ოთხასიოდე წლის ისტორია ჰქონდა, — თუ მსედველობაში არ მივიღებთ დაუბეჭდავ ხელ-

ნაწერებს, — მაგრამ რა უნდა ყოფილიყო მომავალში, მეოცე საუკუნის შემდეგ, ამ ათასი წლის განმავლობაში, ამის დაახლოვებით გამოანგარიშებაც კი გიორგის შეგნებას აღემატებოდა. ამიტომ გაჩუმება არჩია.

— განსაკუთრებული ნაყოფიერებით სასიათდება მწერლობა ადამიანის ცხოვრების გასანგრძლივების შემდეგ, — განაგრძობდა კარიოზი, — როდესაც სხვადასხვა ავადმყოფობასთან ბრძოლა ჩვენი სრული გამარჯვებით დასრულდა და კვების საქმე გაუმჯობესდა. თქვენ დროს, როდესაც ყოველ ადამიანს დღეში საშუალოდ რვა საათზე მეტ სანს შემოქმედებითი მუშაობა არ შეეძლო და ამ პირობებში თავის სელით დაწერილ მრავალ ათას ფურცელს სტოვებდა, რა გასაკვირველია, თუ ჩვენ ეპოქაში სიცოცხლის გასანგრძლივების, ავადმყოფობათა მოსპობის, წერის ტექნიკისა და სხვა პირობათა გაუმჯობესების გამო, ყოველ ადამიანს შეუძლია მრავალი ასი ათასისა და ბილიონი ამგვარი ფურცლის დატოვება. მერე თქვენ როგორ გგონიათ? სად უნდა დატეულიყო ამდენი სალიტერატურო განძი? როგორ უნდა გაზრდილიყო მაშინ ბიბლიოთეკები? ამ შემთხვევაში არ იკმარებდა არა თუ ერთი ან ათი შენობა, არამედ თქვენი დროის მთელი ლონდონის ყველა შენობა. გაჩნდებოდა ნაბეჭდი ნაწარმოების უზარმაზარი მთები. სწორედ ამ გარემოებამ დაბადა წიგნების გარდაქმნის საჭიროება.

კარიოზმა გიორგის პერანგის ღილის ოდენა ფირფიტა აჩვენა. ეს ფირფიტა მის ხელში მიკროსკოპულად მოჩანდა და მასზე ტოლსტოის „ომი და ზავი“ ეტეოდა.

— ეს უთუოდ გენიალური მიღწევაა; როგორც ჩანს, თქვენ ძალიან მდიდარ ბიბლიოთეკის პატრონი ყოფილხართ. თუ ასეთ პატარა ღილზე ტოლსტოის „ომი და ზავი“ თავსდება, წარმოდგენილი მაქვს, რას იტევს ეს უზარმაზარი დარბაზი.

— რაც შეეხება მხატვრულ ლიტერატურას, მე სულ ღარიბი ბიბლიოთეკის პატრონი გახლავართ. უფრო დაინტერესებული ვიყავი ენებით და ამ დარგში ვცდილობდი წიგნების შერჩევას. ენათა განყოფილება მეორე, უფრო დიდ ოთახში მაქვს. აქ კი მოთავსებულია ზოგიერთი კლასიკოსის ნაწარმოები, რომელ ერსაც და ეპოქასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ეს დარბაზი ათასჯერ მეტ ნაწარმოებს იტევს, ვიდრე თქვენი დროის სახელგანთქმული

ბრიტანეთის ბიბლიოთეკა. მაგრამ ეს თქვენ არ გაგიკვირდებათ.

— ეგ ყველაფერი კარგი, მოქალაქე კარიოს, — მაგრამ ეს მაუწყეთ: როგორა გაქვთ გაზეთების საქმე მოწყობილი? ქვეყნის ამბებს როგორ გებულობთ? ძალიან მინდოდა გუშინ საღამე რაიმე გაზეთი დამენახა, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

— მთელ სისტემაში გამოდის ერთადერთი გაზეთი. ამ გაზეთში იბეჭდება ყოველგვარი ამბები და წერილები. ეს გაზეთი რამდენიმე ათასჯერ მეტია თქვენი დროის გაზეთებზე. მას ეძახიან „სამყაროს". ყველაფერი ახალი და საყურადღებო აქ გამოძახილს პოულობს. თქვენ დროს რომ ამგვარი ყოველდღიური გაზეთი გამოსულიყო, მას ერთ თვესაც არ ეყოფოდა თქვენი ეპოქის მთელი ქაღალდის მარაგი. წარმოიდგინეთ მისი სიდიდე!

კარიოზმა კედლიდან გადმოიღო თხელი ფირფიტა: იგი სიდიდით შაურიანისოდენა თუ იქნებოდა. გიორგის მოუგონდა გუშინდელი გაზეთის ძებნის ამბავი, და მეტად აინტერესებდა, თუ როგორ არჩევდნენ ამ ფირფიტაზე იმას, რაც უნდა წაეკითხათ.

კარიოზმა აუხსნა:

— იგი დაყოფილია თავებად, ეს თავები განსაკუთრებულად იწყობა. მაგალითად: ქრონიკა, ტექნიკა, გამოგონება და სხვა. მაგალითად, ჰუმორისტ ზ-ს ლექსს ეძებთ? ჯერ ფირფიტას დააყენებთ ხელოვნებაზე, შემდეგ პოეზიაზე, ჰუმორზე, ზ-ზე და ხელად იპოვით მას, რასაც ეძებდით.

გიორგიმ იკითხა, თუ სად იბეჭდებოდა ეს გაზეთები და წიგნები.

— წიგნები იბეჭდება საგანგებო ფაბრიკებში და გაზეთები კი შინ.

— როგორ? შინა გაქვთ ფაბრიკები?..

— დიახ, აი ეს აპარატი, — და კარიოზმა ხელი დაადვა გარედან უმნიშვნელო ყუთს, — ცნობებსა და წერილებს ელვის უმალვე იღებს, აგზავნის და ავტომატურად ბეჭდავს.

გიორგი იმასაც გეუბულობს, რომ თანამედროვე გაზეთში არ არიან რედაქტორები, რომ თანამედროვე წიგნს თვით ავტორები ხელმძღვანელობენ. პატრონობა და წინამძღოლობა არცერთ სრულ ასაკიან მოქალაქეს აღარ სჭირდება და სხვა.

კარიოზმა გაზეთი მანქანის სისწრაფით გადაატრიალა და ერთ ადგილას შეჩერდა.

— ეს არის მზის ერთ-ერთ უშორეს თანამგზავრზე ჩვენი მოგზაურის დაშვების სურათოვანი ამბავი.

გიორგიმ დაინახა ასლად ძირს დაშვებული საპლანეტო გემი თავის მფრინავით. მას საოცარი, ვეებერთელა ცხოველები ეხვიენ გარს.

— აი ჩვენი პილოტი გაი. მას ესალმებიან და ეფერებიან ეს თქვენთვის გასაოცარი ცხოველები. მთელ ამ პლანეტაზე ესენი არიან უჭკვიანესი და უძლიერესი ცხოველები. შეხედეთ, როგორ სიამოვნებით ეგებებიან ჩვენს პილოტს.

— დაუჯერებელი და წარმოუდგენელი სურათია, — თქვა გიორგიმ.

კარიოზმა აპარატი შეაჩერა.

გიორგის განსაკუთრებით ქაღალდის საქმე აინტერესებდა.

— თქვენი ნაჩვენებიდან და ნათქვამიდან წიგნების შესახებ აშკარაა ქაღალდის საჭიროების უარყოფა, — თქვა მან. — წარმოიდგინეთ, რა ბედნიერი ვიქნებოდით ჩვენ, წიგნებისა და გაზეთების ბეჭდვის ასეთი ხერხი რომ გვცოდნოდა. მაგრამ საკითხავია: ნუთუ ქაღალდი თქვენ დროში სრულიად მოისპო? ნუთუ მის შესახებ შორეული წარმოდგენაც კი დაიკარგა და მისი საჭიროება კაცობრიობის მახსოვრობიდან სრულებით ამოიშალა? ანდა რაზე სწარმოებს წერა?

კარიოზმა აუხსნა:

— ღღეისდღეს კაცობრიობას ქაღალდი იმდენი აქვს, რამდენიც ესაჭიროება. არ არიან არც მსატვრები დავიწყებულნი. ესენი თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ენიშვნელოვან როლს თამაშობენ. იმათ საკმაოდ აქვთ ქაღალდი, ტილოები და საღებავები. მაგრამ წერის შესახებ კი რა მოგახსენოთ. წერა იმ სახით, როგორც თქვენ გქონდათ წარმოდგენილი, თითქმის აღარ არსებობს.

გიორგი საშინლად გაოცდა.

— განა ნაწერი არ იყო ის წიგნები და გაზეთები, რომლებიც თქვენ მიჩვენეთ? არაფერი არ მესმის!

— უნდა მოგახსენოთ, რომ წერის ტექნიკა სრულებით შეიცვალა, — განუმარტა კარიოზმა: — ღღეს საჭირო აღარ არის მაინც და მაინც ასოების ხატვის ცოდნა. თავის დროზე

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ახლა ჩვენს საზოგადოებაში ბევრს შევხვდებით ისეთ პირს, რომელსაც არასოდეს კალმისთვის ხელი არ მოუკიდია, მაგრამ შთამომავლობისათვის დიდძალი ლიტერატურული ნაწარმოები დაუტოვებია. ამისათვის საჭიროა მსოლოდ საღი აზროვნება და მსჯელობა. საკმარისია თავში რაიმე აზრი მოგივიდეთ, მას ამ მანქანას უკარნახებთ და იგი დასწერს.

კარიოზმა კვლავ პატარა ყუთს დაადვა ხელი.

გიორგის ექვი იპყრობდა:

— სიმ შესაძლებელია, რომ ადამიანმა აზრი სწორად ვერ გამოთქვას, რომ წერტილი დაუსვას იქ, სადაც საჭირო არ იქნება, ან წამოსცდეს რაიმე სიტყვა, რომელიც აღსაბეჭდი არაა და ის კი შემთხვევით დაიწერება, და მერე ხომ არ შეიძლება ასე დასტოვოს? მაშასადამე, იგივე აზრები ამ მანქანას მან ხელახლა უნდა უკარნახოს, და ამგვარ წერას განა მეტი დრო არ დასჭირდება, ვიდრე კალმით ბუშაობას?

ამ ეჭვის გასაფანტავად კარიოზმა მანქანას რაღაც წინადადება უკარნახა, იგი დაიწერა. ამ წინადადებაში ერთი სიტყვა გამოსაცვლელი იყო.

მან რაღაც ღილს ხელი დააჭირა და გიორგის მანქანის ნაწერი კვლავ დაანახა. ეს სიტყვა ამოშლილი იყო.

გიორგიმ გაიგო, რომ არსებობდა სამუშაო და სამკაზავრო აპარატებიც. საკითხავი და საწერი ერთად. მისი წონა დაასლოებით ერთი ასანთის კოლოფის ოდენა თუ იქნებოდა.

გარდაცვლილთა ხმა

კარიოზს, ალბათ, დასცხა. მან ბოღიშით თეთრი პიჯაკი გაიხადა, იქვე საკრძალზე დასდვა და კონფერანსიესავით დაიწყო:

— ახლა ნება მიბოძეთ, მრავალი საუკუნის წინათ გარდაცვლილ მწერალთა ხმები გაგაგონოთ.

გიორგი უცებ შეკრთა. ოინბაზობა იწყებოდა, მაგრამ გიორგი თითქოს მიხვდა ამ ნომრის შინაარს და კარიოზს შეეკითხა:

— გრამაფონის ფირფიტებზე გადაღებული?

უარყოფის ნიშნად კარიოზმა თავი გააქნია.

— არავითარი მაგის მსგავსი.

— მაშ, როგორ?

— დაგანახვებთ უშუალოდ მწერლებს, რომელნიც თქვენ დროს და უადრეს ხანაში ცხოვრობდნენ.

ყოველი მწერალი არის თავის თავის, თავის განცდებისა და ფიქრების გამომსატველი. ყოველი მისი სიტყვა, ყველა მის გვირთა უბრალო მიმოხვრაც კი მის შინაგან და გარეგან ბუნებას გამოხატავს. ამ მოსაზრებას დაეყრდნო ამ აპარატის გამომგონებელი. — და კარიოზმა ხელი დაადვა კიდევ ერთ აპარატს. — მან მართლა განსაცვიფრებელ შედეგს მიაღწია. გნებავთ, გამოვიწვიოთ თქვენი ნაცნობი პოეტები? მაგალითად, ვაჟა?

გიორგის ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— ვაჟა? — იკითხა მან განცვიფრებით.

— დიახ, თუ გნებავთ?

— ვაჟა! ვაჟა! — უაზროდ იმეორებდა გიორგი ამ სახელს. — განა ვაჟას გარეგნობა და ხმა კიდევ სადმე არსებობს? ვაჟას დასაფლავების უშუალო მოწმე ვიყავი. მის საფლავს მოწიწებით ერთი მუჭა მიწა მეც მივაყარე. ნუ თუ ვაჟას კიდევ სადმე ვიპოვნი? კიდევ სადმე შევხედავ? მისი ხმა მეჩვენებოდა სან ბულბულის ენაზეს გალობად, სან დარიალის მორყეულ კლდეების ხმაურად. მისი ხმა ხან გულუბრყვილო იყო, ხან მრისხანე, როგორც გოგოთურ და აფშინას ხელჩართული ბრძოლა. მაგრამ ეს იყო წინათ, დიდიხნის წინათ. ამდენი საუკუნის შემდეგ ნუთუ კვლავ შესაძლებელია მისი ხმის გაგონება? საოცარია, საოცარი.

უცებ დარბაზში დაბნელდა. აპარატიდან მოისმა საშინელი ხმაური, თითქოს ყაზბეგის წვერიდან ათასი წლების ყინული დაიძრა და გამალებით თერგში ჩაიჩეხა.

— ახლა გამოჩნდება ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელთაგანი ვაჟა, — წარმოთქვა კარიოზმა.

მართლაც, ამ სიტყვების დასრულებისთანავე ვაჟაც გამოჩნდა. გიორგის მოულოდნელობისაგან ტანში დაბურძგლა; იგი ზეზე გიჟივით წამოიჭრა. ვაჟამ თითქოს გაიღიმა და დაიწყო:

არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა!
ცალ მხარს მიწაზე მიითრევს,
გულის პირს სისხლი სცხებოდა,
ვაი, თქვენს დედას ყოველბო,
ოა დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაწლილს, გაფანტულს ველადა.

ლექსი თქვა და ვაუაც მიიმალა.

ამგვარადვე მოისმისა გიორგიმ შექსპირი, რუსთველი, გოეთე და სხვ.

— მაშასადამე, კიდევ ერთი ნასკვი გაიხსნა, — თქვა მხიარულად კარიოზმა.

— რომელ ნასკვზე ლაპარაკობთ?

— აი, გუშინდელი დღის თქვენთვის უცსო შთაბეჭდილებების შესახებ მოგახსენებთ.

— მართალია, თქვენ თითქოს ერთ ნასკვს სსნით, მაგრამ ზლაპრული გველეშაპის მოკვეთილ თავივით, ერთის მაგიერ ათი სხვა ჩნდება.

— ყველაფერს განგიმარტავთ, — მიუგო კმაყოფილებით კარიოზმა და შუბლზე სელი გადაისვა.

გუშინდელი ინტერნაციონალური დილის მონაწილეობა ვინაობა გიორგისათვის გამოირკვა. მას ეგონა, რომ მასში მსახიობები ღებულობდნენ მონაწილეობას. ის რომ სცოდნოდა, რომ თვითონ ავტორები კითხულობდნენ თავის ნაწარმოებს, უსათუოდ ჭკუას დაკარგავდა, მაგრამ სწორედ ბედზე გამოუჩნდა მას კარიოზი.

კარიოზისათვისაც მოულოდნელი იყო გიორგის შეხვედრა. მას ერთი თვის შემდეგ მოელოდნენ. ის და აირა სათანადოდ შესახვედრად ემზადებოდენ. მისი ეპოქის შესაფერის გარემოს ამზადებდნენ, უნდოდათ გამოღვიძება სულ სხვანაირად მოეწყოთ, მაგრამ პანთეონის მორიგემ უღიდესი შეცდომა დაუშვა. გიორგი უნდა გაეღვიძებინათ 29 $\frac{27}{VIII}$ 30 წელში, პანთეონის მორიგემ კი უნებლიედ გიორგი დანიშნულ ვადაზე ერთი თვით ადრე გააცოცხლა. ეს ამბავი ელვის

სისწრაფით მოედო მთელ დედამიწასა და პლანეტებს. მას დაეძებდნენ; მისი უეცარი გაცოცხლება და დაკარგვა ყველაზე დიდ გაოცებას იწვევდა. და, როდესაც მოულოდნელად იგი კლუბში აღმოჩნდა, მაშინ ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა...

ამ ცნობის შემდეგ გიორგისათვის ნათელი შეიქმნა ეუშინდელი დაბურდული ამბების დიდი ნაწილის შინაარსი. მან გაიგო, რომ პანთეონის შენობაში გამოუღვიძია. მიხვდა იმასაც, თუ რად ეცვა დაჭმუჭვნილი ტანისამოსი იქიდან მომავალ ხალხს. მისთვის აშკარა შეიქნა ლამაზი ქალის მის ოთახში აღმოჩენის ამბავიც... გაახსენდა აირას გაოცება მისი დანახვისას, გაახსენდა კარიოზისა და აირას პირველი სიტყვები, რომელიც გიორგის მოულოდნელ გამოჩენას აღნიშნავდა.

მაგრამ, საინტერესოა, ვისი უნდა იყოს გიორგის ბიერ ჯიბეში შენახული ბრილიანტის ბეჭედი? ვინ გაუკეთებდა მას ხელზე? ამ საკითხის გამოსარკვევად კარიოზს მიმართა. კარიოზმა აუხსნა, თუ რა როლს ასრულებს ეს ბეჭედი მკვდრების გაცოცხლების საქმეში, გაახსენა იონიზაცია.

გიორგისათვის ბუნდოვანი იყო, თუ რად სცეს მას გუშინ ასეთი პატივი და რისთვის აფასებდა მას თანამედროვე ეპოქა.

კარიოზის განმარტებით — იმიტომ, რომ მან მიცვალებულთა საუკეთესო ბალზამი და მუმიების შენახვის ხერხი აღმოაჩინა, და აგრეთვე იმიტომ, რომ იგი არის დღევანდელ ეპოქაში უხნიერესი ცოცხალი კაცი.

შემდეგ გიორგი ისევ რეპროდუქტორს დაუბრუნდა.

ამ აპარატმა მას უდიდესი კმაყოფილება აგრძნობინა. ცოტა ხნის შემდეგ:

— თქვენ წელან თქვით, ყოველი სიტყვა ადამიანის შინაგანი ცხოვრების გამომხატველიაო. რასაკვირველია, ეგ სიმართლეა, მაგრამ ამიხსენით, როგორ შეძლო თქვენმა ეცნიერებამ ამ შინაგანი ცხოვრების გარეგნულ სახესთან დაკავშირება. ხომ შესაძლებელია შინაგანი, ე. წ. სულიერი სიმდიდრე და იმავე დროს გარეგნული სიღატაკე. ყოველთვის ხომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს შინაგანი და გარეგანი ცხოვრების პირდაპირი შეთანაბრება. უამრავია იმის მაგალითები, რომ შინაგანი ცხოვრებით მაღალი, კე-

თილშობილი და ფაქიზი გარეგნულად ყოვლად უშნო არსება ყოფილა, და პირიქით.

— თქვენ მეტად საინტერესო საკითხს შეეხეთ, — უპასუხა კარიოზმა, — მაგრამ ჩვენთვის აშკარაა ერთი რამ: ადამიანის შინაგანსა და გარეგან ცხოვრებას ერთი დასაწყისი აქვს. თუ როგორ ვითარდება იგი შემდეგში, ეს სხვა საკითხია, მაგრამ მწერლების სული გამოხატულია მათ ნაწარმოებში. წარმოიდგინეთ ამ უსულო გამოგონების საოცრება; იგი ისტორიულ სინამდვილეს თვალწინ ცოცხლად წარმოგვიდგენს. წარსული საუკუნეების მწერალთა მარტო დაკარგულ სურათების აღდგენაში კი არ არის საქმე, არამედ თქვენს გაოცებას, ალბათ, იწვევს დაკარგულ ხმების აღდგენაც. მაგრამ ჯერ მხოლოდ ერთს გეტყვით: ბუნებაში არაფერი არ იკარგება, ყველაფერი დღევანდელი თავისებურად აღიბეჭდება. რა ვუყოთ მერე, რომ ამა თუ იმ საგანსა და მოვლენას თავის გარეგნობა თუ შინაარსი შეუცვლია და ერთი შეხედვით სრულებით გადაგვარებულად გვეჩვენება. საჭიროა ამა თუ იმ დროში, ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის მიკვლევა და დაჭერა. ამ აპარატის გამომგონებელმა ეს შეძლო და ამით ჩვენს საზოგადოებას დიდი სამსახური გაუწია. ამას კაცობრიობა კარგა ხანია ეძებდა, მრავალ ადამიანს თავისი სიცოცხლე ამ აპარატის უშედეგო ძებნაში დაუღამებია, ბოლოსდაბოლოს, როგორც სედავთ მისმა გონებამ სურვილს მიაღწია. მაგრამ თქვენთვის მეტად საინტერესო იქნება, თუ ამის გამომგონებელი რა პრინციპს დაეყრდნო.

— რასაკვირველია, ძალიან.

— თქვენ დროს ხომ ააშკარავებდნენ თითის ანაბეჭდის მისედვით პიროვნებას?

— ამ სწავლას ერქვა დაქტილოსკოპია. სავსებით მსგავსი თითის ნაოჭები დედამიწაზე მგონია ორ პირს არ შეიძლებოდა რომ ჰქონოდა. თითების ანაბეჭდის მიხედვით ადვილი იყო ბოროტმოქმედის მიგნება. ამ ნიადაგზე ჩემს დროს იჭერდნენ ქურდებსა და კაცისმკვლელებს.

— თითქმის ასეთივე ამბავი ხდება მწერლების ვინაობის გამომჟღავნების საქმეში. ნაწარმოები წარმოადგენს მწერლის სულიერ და ხორციელ ანაბეჭდს, რის გამო ამა თუ იმ მწერლის რეალური სახე აშკარავდება.

— როგორ ხდება ეგ? — იკითხა გიორგიმ.

— თქვენ ხომ მოგეხსენებათ ერთი ენერგიის მეორეში გადასვლის კანონი? მაგალითად, მოძრაობის ენერგიის სითბოში, სითბოს ენერგიის — სინათლისაში, სინათლის — ხმის ენერგიაში და სხვ.

— სიმართლე მოგახსენოთ, ენერგეტიკისა და ტექნიკის საკითხებში ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ისე კი მაქვს წარმოდგენა ასეთ რამეებზე.

— გამომგონებელმა რამდენიმე გზა სცადა წარსულ ხანათა მწერლების აღსადგენად. ყველაზე უმჯობესი — ენერგიის ცვალებადობის კანონი გამოდგა: სიტყვიდან — ნებისყოფა, ნებისყოფიდან — სახე, სახიდან — მთელი ორგანიზმი, ორგანიზმიდან ხმა და მწერლის უტყუარი სურათი მზად არის.

— სწორედ გენიალურია, გენიალური, — ამბობდა გაოცებული და თან სისარულით აღფრთოვანებული გიორგი, — მე არავითარი საშუალება არა მაქვს, რომ დღევანდელი სიამოვნებისათვის მადლობა გადაგიხადოთ, გარდა წრფელი გრძნობისა.

— გამომგონებელს მეტი ჯილდო, გარდა საერთო აღფრთოვანებისა და დაფასებისა, არც ჩვენგან მიუღია, — მიუგო კარიოზმა.

— თქვენ ისეთი რამ მაჩვენეთ, რასაც ჩემი დროის კაცობრიობა ვერ წარმოიდგენდა, ან კიდეც რომ ენასა, სასწაულად ჩასთვლიდა.

სტილი რომ ავტორია, ნაწერი რომ შემოქმედია, ეს, რასაკვირველია, ცხადი იყო, მაგრამ ამას თუ ასე გააზღაპრებდნენ, გიორგის არ ეგონა.

კარიოზმა გიორგის უთხრა: თანამედროვე ტექნიკას ჯერ არ მიუღწევია იმ ზომამდე, რომ ყველა წარსული ეპოქის პირი დღეს ცოცხლად წარმოგვიდგინოსო. ისეთის გამოწვევა, რომელზედაც არავითარი, ან ძალიან მცირე წარმოდგენა გვაქვს, რომელსაც მდიდარი ორიგინალური სალიტერატურო განძი არ დაუტოვებია, ჯერჯერობით უნაყოფო ოცნება არისო.

ამის შემდეგ გიორგი და კარიოზი დაბრუნდნენ სასტუმრო ოთახში, დასხდნენ, დაისვენეს. ცოტა ხნის შემდეგ გიორგიმ კმაყოფილებით თქვა:

— დღევანდელ დემონსტრაციის დროს, გარდა ნაცნობე-

ბისა, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე ქართველმა მწერლებმა: მერანიძემ, ასიანმა, ბაკურიშვილმა და ნაბადურმა; ისინი ჩემს შემდეგ სანას ეკუთვნიან.

— ნაბადური, რუსთველთან ერთად, მეორე მწვერვალია, მისი სიმაღლე რუსთველისას არ ჩამოუვარდება.

— ჯერ არავითარი საბუთი არა მაქვს, რომ ერთმანეთს შევადარო რუსთველი და ნაბადური, მაგრამ სიმართლე უნდა მოგახსენოთ, ჩემზე ნაბადურმა რუსთველზე არა ნაკლები შთაბეჭდილება დატოვა.

გიორგიმ შორი მთის მწვერვალს შეხედა.

„ნაბადური, რუსთველი... ბალბუზი და მყინვარი, ორივე დიდია, მაგრამ რომელი სჯობს?" — თავისთვის გაიფიქრა მან.

— არა, გასაოცარია, სად მოძებნა ნაბადურმა ამდენი მუსიკალობის მქონე სიტყვები, ამდენი შეფარება, პოემის გმირია დიდებული სახეები?

— ნაბადური არის მეორე და უსათუოდ ახალი რუსთველი ქართულ ლიტერატურაში... მაგრამ ნუ თუ ჩვენ მწერლებში არცერთი არ მოგეწონათ? — ჰკითხა კარიოზმა და გიორგის ცნობისმოყვარე თვალით მიაჩერდა.

— თქვენს მწერლებში? რაკი არ არა. მაგრამ ჩემმა ენის უცოდინარობამ დაჰფარა თქვენი მწერლების ნამდვილი სახე.

— მაინც?

— მიუხედავად ამისა, ენის უცოდინარობისა უდიდესი ნიჭი შევამჩნიე რომანისტებს: კერიმას, ლონეს და პოეტ ქალ ნომელას. განსაკუთრებით მომეწონა ეს უკანასკნელი.

— თქვენ ყურადღებას კიდევ რამდენიმე მწერალი გამორჩენია, მაგრამ არაფერია, მათ თავის დროზე გაიცნობთ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნომელას ლანდმა გიორგის სულის სიმშვიდე დაურღვია. ნომელა 16 წლის ქალის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მას ახასიათებდა: შესანიშნავი ტანი და სახე, ორიგინალური ხალი მარცხენა ლოყაზე, პატარა ტუჩები, ოდნავ მოლუზული ცხვირი და არაჩვეულებრივად ბრწყინვალე გიშრისფერი თვალები. ლექსების კითხვის დროს მისი ხმა შესანიშნავ მუსიკალობით ჟღერდა. ეს უსაზღვრო ქალი მსმენელს ჯადოქრულად იზიდავდა.

ლაპარაკის მსვლელობის დროს გამოირკვა, რომ ნომელა, ეს შესანიშნავი პოეტი ქალი, დიდისანია რაც სტომის ჰორი-

ზონტს მოშორებოდა. იგი თურმე ერთი ადამიანისადმი ძლიერი ტრფობით იწოდა და მისმა სიყვარულმა ამონის საზოგადოებას მისი თავი ასე უდროოდ დააცილა.

ამ ლაპარაკში იყვნენ გართული, რომ აირას ხმა მოისმა:

— შეიძლება?

— მობრძანდით, — დაუძახა კარიოზმა.

აირა ოთახში შემოვიდა. მას ეცვა ცისფერი აბრეშუმის კაბა, იგი ხანდახან ფოლადისფერად ელვარებდა. შუბლზე ახლად მოსდილ ქუდის მოვარდისფერო ზოლი ემჩნია. გიორგი უცებ ზრდილობიანად ფეხზე წამოიჭრა. ერთმანეთს ხელები გაუწოდეს.

გიორგი მოწიწებით ემთხვია აირას სურნელოვან თითებს, იგი ათასჯერაც აკოცებდა ამ თითებს, მაგრამ... აირა ხომ სხვას ეკუთვნის. და გიორგიმ კარიოზს ფარული შურით შეხედა.

— დიდი ბოდიში უნდა მოგისადო ჩვენ სტუმართან, — დაიწყო აირამ, — მაგრამ ხანდახან ჩემი უკანასკნელი სამუშაოს გამო ხშირად მიხდება სხვადასხვა ადგილას გამგზავრება.

— ჩემთან ბოდიში სრულებით ზედმეტია, — უპასუხა ზრდილობიანად გიორგიმ, — პირიქით, საბოდიშო მე მაქვს თქვენთან, რომ შეიძლება ბევრ დროს გართმევთ და სამუშაოს გაცდენთ.

— თქვენთან უშუალო ლაპარაკი ჩვენთვის დიდი საქმის კეთებას უდრის, — უპასუხა კარიოზმა.

— როგორც ეტყობა, აირას უკანასკნელ სამუშაოს ვაბრკოლებ.

— სრულებითაც არა, — თქვა აირამ, — მართალია, ამჟამად აღებული მაქვს დიდი თემა, სასელდობრ ვკარნახობ ქალთა მოდის ისტორიას, მაგრამ ამ საქმეში თქვენ არა თუ ხელს მიშლით, არამედ, იმედი მაქვს, რომ დამეხმარებით.

— სიამოვნებით, თუ კი რამე ვიცი, — უპასუხა გიორგიმ.

— დავიწყე ძველი ჩინური, ინდიური, ეგვიპტური და სხვა ქვეყნების ქალთა ყოფილ მოდებიდან და თანდათანობით ეს ისტორია მეათე საუკუნემდის მოვიყვანე, მაგრამ აქ შევჩერდი, არ იქნა და ამ საქმემ წინ ვეღარ წაიწია.

— რა არის ამის მიზეზი? — შეეკითხა გიორგი.

— ჩემთვის ბუნდოვანებით არის მოცული საკითხი, თუ

სადღესასწაულოდ როგორ ტანსაცმელს იცვამდნენ მეათე საუკუნის პირველ ნახევარში გლეხთა ცოლები იაპონიასა და საქართველოში, ან თავზე რა ესურათ.

— მაგის გამორკვევა მართლაც ძნელი საქმეა, — თქვა გიორგიმ.

— ნუ თუ თქვენ მაინც არავითარი ცნობა არ მოგეპოვებათ იმ დროის ქართველ გლეხ ქალთა სადღესასწაულო ტანისამოსის შესახებ? — შეეკითხა გიორგის აირა.

გიორგიმ არა თუ მეათე საუკუნის მოდები იცოდა, არამედ მისდროინდელ უკანასკნელ მოდაზეც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა.

— სამწუხაროდ, არავითარი, — უპასუხა გიორგიმ და დაკვირდა აირას თითებს, რომელთაც სადაფის ფრჩხილები ამშვენებდა!

— მე ერთადერთი იმედი თქვენი მქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, გამიცრუვდა, — მწუხარედ თქვა აირამ და თავი სასოწარკვეთილებით ჩაჰკიდა.

— ნუთუ ტეროსკოპმა ვერავითარი პასუხი ვერ მოგცათ მაგ საკითხის გამოსარკვევად?

— ვერავითარი. პირდაპირ უფსკრულის წინაშე ვდგევარ, არ ვიცი როგორ მოვიქცე! გამოეტოვო ეს საუკუნე სრულიად, თუ რა ვქნა? — უიმედოდ დაასრულა აირამ.

— მე მგონია, ჩვენ ძველ ეკლესიებში იქნება მაგის საბუთი.

აირამ თ. ვი ასწია და გიორგის შეხედა.

— ძველი ეკლესიები და მათი ყოველგვარი მსატვრობა ვიცი, მაგრამ იქ გლეხობა სრულებით არ მოჩანს, უმთავრესად თავადაზნაურობის ქალები არიან.

გიორგი სხვა წყაროების შესახებ დაფიქრდა, მაგრამ ვერაფერი მოიგონა.

— მაგას ბევრად ვერჩიათ ისევ გეომეტრიაზე გემუშავათ, — უთხრა კარიოზმა.

აირამ ხელი ჩაიქნია და თქვა:

— გეომეტრია ძალიან საინტერესო საგანია. მას ჩემი საუკეთესო წლები შევსწირე. მრავალი ასალი თეორემა შევიტანე შიგ, რასაც, მე-მგონი, კაცობრიობა არ დაივიწყებს, მაგრამ, ხომ იცით, ბოსტანეულია ერთი რომელიმე დარ-

გში მუდმივად მუშაობა, განსაკუთრებით ჩვენთვის, ქალებისათვის. წინათ გეომეტრიაში ვმუშაობდი, ახლა მოდების ისტორიას ვწერ, ხვალ რაღაც სხვა გამოჩნდება და ასე გაივლის წუთისოფელი.

— მართალია, — დაუდასტურა გიორგიმ.

— მაგრამ თავი დავანებოთ ახლა ამ მძიმე ამბებს, — თქვა აირამ მსიარულად. — პატივცემულ სტუმარს შესვენება სჭირდება. გნებავთ გავისეირნოთ? — მიმართა მან გიორგის.

— დიდი სიამოვნებით.

— მაშ წავიდეთ, — და გიორგის მკლავი გაუწოდა.

— მე ვერ წამოვალ, ცოტა საქმე მაქვს, — თქვა კარიოზმა.

— ჩვენ წავალთ, — უთხრა აირამ.

გიორგი აირამ მარმარილოს კიბით ეზოში გაიყვანა, ეზოს გვერდით ყვავილებისა და ხილის ბაღი იყო. გზაზე აირა გიორგის უჩვენებდა ამა თუ იმ ხეს და უსსნიდა, თუ რა ჯიშს ეკუთვნოდა.

გიორგი აირას უკან მიჰყვებოდა. იგი მისმა ტანმა პირველი დანახვისთანავე მოსიბლა. როდესაც აირა მას რამეს ჰკითხავდა, გიორგი შეყვარებულ ბავშვივით თრთოდა. მას ეჯადოებდა მისი სახე, ცისფერი თვალები, ბროწეულის ტუჩები და თითქოს ხელუსლები ძუძუები... გიორგის საშინლად აღიზიანებდა აირას ყოველი მისვრამოსვრა.

აირა სულ უბრალო ჩანდა. ის თითქოს გიორგის დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყოს. მას ყველაფერზე თავისუფლად ელაპარაკებოდა. ისინი ბაღის ერთ მწვანე სკამზე დასხდნენ და რამდენიმე ხანს უბრალო საკითხებზე ისაუბრეს. ბოლოს აირა ზეზე წამოდგა და გიორგის მიმართა:

— ალბათ, თავი მოგაბეზრეთ ამდენი საუბრით. თანასმა ხართ თუ არა უკან დაბრუნებისა?

გიორგი უკვე ზეზე იყო.

— თქვენთან საუბარი მეტად სასიამოვნოა, მაგრამ თქვენი წინადადების წინააღმდეგ ვის შეუძლია გაილაშქროს? — უპასუხა მან თავაზიანად და ოდნავი გადაკვრით.

— ჩემი წინადადების წინააღმდეგ? — იკითხა აირამ. — ვნახოთ, მე ვგონებ, ასეთებიც აღმოჩნდებიან. — ორაზროვნად წარმოთქვა მან.

ელექტრებივით ზევით აზიდული გუნდის ხეები გიორგის თვალს იტაცებდა.

გიორგი სასლს დააკვირდა. მშვენიერი იყო ფართო ფანჯრები, მსატვრულად მორთული აივნები და თვით სასლის ტანი, რომელიც თითქოს ცოცსალი უჯრედებისაგან შედგებოდა. მის სისსლისფერ ქვებს მთელ სივრცეზე თითქოს მოლურჯო არტერიები ემჩნეოდა; თავზე ოქროს სასურავი ყვითელ ქუდად ესურა.

ისინი ლაპარაკით სასლს უასლოვდებოდნენ. აირა გიორგის შეეკითხა, თუ რას აპირებდა იგი ხვალისთვის.

— ჯერ ვინ იცის? ხვალამდის კიდევ ბევრი დრო არის, — მიუგო გიორგიმ.

— რაღა დროა? დღევანდელი დღე უკვე თავდება, — მოუჭრა აირამ.

— გიორგიმ მას გაკვირვებით შეხედა.

— როგორ თუ თავდება? — იკითხა მან.

— ჩვენთვის დასვენება ასლა იწყება.

— მერე რა დრომდის გრძელდება?

— დილამდის.

გიორგის შუადღეზე მეტი არ ეგონა; მზეს შეხედა; იგი მას პირდაპირ თავზე დასცქეროდა.

— მართალია, ოდნავ დაღლილობას მეც ვგრძნობდი, მაგრამ, ალბათ, ეს ჩემი დიდიხნის ძილს, ან ჩემი ორგანიზმის დაბერებას მიეწერება.

— სა, სა, სა, სა, — გადიკისკისა აირამ. — თქვენ ორგანიზმს ტყუილა ემდურებით. თქვენთვის, რა თქმა უნდა, უცსოა ის ამბავი, რომ ასლა სამდვილად ბუნებრივი ღამეა და არა დღე.

— ეგ, რასაკვირველია, ხუმრობაა!

აირამ სერიოზული სახე მიიღო.

— სრულებითაც არ გესუმრებით, სინამდვილეს გეუბნებით. გნებავთ ნამდვილ დროს მოგასსენებთ, — ასლა არის ჩვენი დროით ღამის ორი საათი.

— ღამის ორი საათი? — გაკვირვებით წამოიძახა გიორგიმ.

— თქვენი საათი ტყუის, — უთხრა მას მოურიდებლად გიორგიმ.

აირას არ სწყენია.

— იგი საუკეთესო სრონომეტრია.

— ვეჭვობ. მართალია, თქვენ ბევრ დაუჯერებელ რამეებს მელაპარაკებოდით, მაგრამ დღისა და ღამის გარჩევაში თუ ეჭვს შემატანინებდით, ეს კი აღარ მეგონა. განა ჩემ დროში დღე მაინც არ არსებობდა? დღეს როგორ არ ვიცნობ? — არა, ასეთი დაუჯერებელი რამე აბა როგორ დავიჯერო: ამჟამად ღამეა და არა დღეო, როდესაც სსივოსან მზეს ცაზე ვხედავ?

გიორგის გაოცება აირასათვის მოსალოდნელი იყო. მან აუხსნა:

— თქვენ ახლა რომ მზეს უცქერით და დღე გგონიათ, ეს არის ჩვენი მზე, ჩვენი საკუთარი მზე.

— არ მესმის რა შუაშია აქ თქვენი მზე? მზე სომ ერთია ყველასათვის, ყველას უნათებს, ყველას ათბობს, ყველას ეფერება? ვერ გამიგია, რას ნიშნავს თქვენი მზე და რას ნიშნავს სხვისი მზე? მე არ ვიცი, ამ ხნის განმავლობაში შესაძლებელია რაიმე შემთხვევით მზეც შუაზე ან მეტ ნაწილად გაიყო და დედამიწას ერთი ნაწილი განსაკუთრებით დაუახლოვდა, ამიტომ მას თქვენ მზეს ეძახდეთ, მაგრამ, რამდენადაც ჩვენი ასტრონომიიდან ვიცოდი, ამგვარი რამ მოსალოდნელი არ იყო არა თუ ასეთ მოკლე დროის განმავლობაში, არამედ რამდენიმე მილიონი წლის შემდეგ.

— ვინ იცის ასეთი ჰიპოთეზა სანამდის მიგიყვანთ! მე ვახსენე ჩვენი მზე, ე. ი. მზის სსივები ჩვენ მიერ დაჭერილი. შეხედეთ, თუ იგი ნამდვილ მზესავით არ ანათებს?

— მზის სსივებს იჭერთ? ამას როგორ ახერხებთ?

— ამას შემდეგ აგიხსნით. ახლა მინდოდა მეცნობებია თქვენთვის, ამ მოვლენასთან დაკავშირებით, საექიმო მეცნიერების ერთი გამარჯვება. ღამე განათებას სომ თქვენც მიმართავდით?

— რასაკვირველია.

— ამას აღწევდა კაცობრიობა ცეცხლის გამოგონების დროიდან. თქვენ დროს ელექტრონის გამოგონებით მეტი შესაძლებლობა არსებობდა სიბნელესთან საბრძოლველად. მაგრამ თქვენი ელექტროსადგურების სიძლიერე ჩირაღდნებს მაინცა-

დამაინც არ გასცილებია. მსოლოდ შემდეგ საუკუნეებში შეიქმნა შესაძლებელი მზის სხივების საშუალებით სიბნელესთან ბრძოლა. წინათ კი ბნელოდა და ღამე იდგა.

— მართალია, მაგრამ მეტი სინათლე საჭიროც არ იყო. ღამე დასვენების საუკეთესო დროდ ითვლებოდა.

— სწორედ მაგ დასვენების, ე. ი. ძილის დროის ოთხ საათამდის შემოკლებამ თავისთავად დასვა საკითხი ძველ ღამეთა სანგრძლივობის მოსპობის შესახებ.

გიორგი აირას ნათქვამს ღრმად ჩაუფიქრდა. მართლაც, დიდი გამარჯვება მოუპოებია მედიცინას, თუ ოთხ საათამდის შეამოკლა ადამიანის დასვენება. მაგრამ ასლა შეკითხვებისათვის დრო არ არის, ამას იგი შემდეგში გაიგებს.

— ასლა კი მესმის, — თქვა გიორგიმ, — მაგრამ ეს მითხარით: ერთი ასეთი მზე გყოფნით, თუ კიდევ არის სხვები?

— ასეთი მზე არის ქვეყნის ყოველ კუთხეში, საღაც საჭიროა, — უპასუხა აირამ.

გიორგიმ კიდევ გაისედა ამ ზზისკენ. დიდხანს თვალჭუტვით აკვირდებოდა მას, თითქოს სწავლობდა მის ბუნებას. აოცებდა კაცია გენია, რომელსაც ყოველივე გადაელახა და მზეც კი თავის ნებაზე გამოეყენებია.

შემდეგ მარადა დაღლილობა იგრძნო, აირას თბილ ხელზე აკოცა, გამოეშვიდობა და ღასაძინებლად წავიდა. ის-ის იყო გიორგიმ გასდა მოასწრო, რომ მზემ ნელ-ნელა ქრობა დაიწყო და ცოტა ხნის შემდეგ დაბნელდა. გიორგი ლოგინში შეწვა და მალე დაეძინა.

მოულოდნელი საჩუქარი

გათენდა. მზემ მიდამოს ვარდისფერი სისხლი მოაპკურა. ამ სისხლის ერთი წვეთი გიორგის უპეზე დაეცა, რამაც ძილი დაუფრთხო და თვალიც გაახილა. გიორგი ზეზე წამოდგა: თავის ტანსაცმელს ძებნა დაუწყო, მაგრამ ვერსად იპოვა. სამაგიეროდ იქვე ელაგა ახალი საცვლები, თეთრი, ძვირფასი კოსტუმი, ყელსახვევი, წინდები, ასალივე ქუდი და ფეხსაცმელები.

„ვინ მომიტანა ეს ნივთები?“ — შეეკითხა თავის თავს.

თოვლივით თეთრი კოსტუმი გიორგის ძალიან მოეწონა. მისი უკვე დაძველებული იყო. ან როგორ არ დაძველდებოდა ათასი წლის მანძილზე? იფიქრა: ალბათ, ჩემთვის შეუკვეთიათ, მაგრამ ზომა რომ არ მიმიცია?

გიორგიმ კოსტუმი ჩაიცვა. ძვირფასი ქვებით შემკულ სარკესთან მივიდა, ჩაისედა და გაუკვირდა, როდესაც თავის ტანზე მორგებული შარვალი და ფიჯაკი დაინახა.

„ალბათ, მძინარს გადამიღეს ზომა, შესანიშნავადა მაქვს მორგებული, მშვენიერია!" — და გიორგი სარკესთან რამდენჯერმე შემოტრიალდა, შემდეგ მივიდა მაგიდასთან, სადაც ძვირფასი ოქროს საათი დაინახა, მოწიწებით ხელში აიღო, დაათვალიერა, მეტად მოეწონა. საათს ბრილიანტის, ზურმუხტისა და ლალის ქვები ამშვენებდა. იგი ისევ ძველ ადგილას დასდო, თან გაიფიქრა: — ალბათ, მასპინძლების იქნებაო.

შემდეგ პირი დაიბანა, საყელო და მშვენიერი ყელსასვევი გაიკეთა და აივანზე გავიდა. მზე თანდათან მაღლა იწევდა. ზაფხულის დღე მშრალი და კრიალა იყო. ქუჩები უზარმაზარი გველებივით დასრიალებდნენ. თითქოს სადღესასწაულოდ მორთული აუარებელი ქალი და კაცი სადღაც და საიდანღაც განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდა. საამური ხმაური და სიცილი ისმოდა. გიორგის აკვირვებდა, სად იყო ამდენი ასალგაზრდობა, ამდენი ლამაზი ხალხი. მას თითქოს დაავიწყდა თავისი წარსული. იგი აივანზე დაჯდა და მის წინ ფერად მდინარეებად მიმავალ ქუჩებს დააკვირდა. ეს ჭრელი არშიები მას ხიბლავდა.

გიორგის მეტისმეტად აინტერესებდა თუ სად, ქვეყნის რომელ ნაწილში იმყოფებოდა ეს მშვენიერი ქალაქი და თვით ამონი. მან ამის გაგება გუშინწინვე სცადა, მაგრამ მას კარიოზი ჰპირდებოდა, რომ თავის დროზე ყველაფერს შეატყობინებდა.

„მოთმინება კარგი საქონელია, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი საზღვარი აქვს?" — ფიქრობდა გიორგი.

ამ დროს კარებზე კაკუნი შემოესმა.

— შეიძლება?

— მობრძანდით, — გასძახა გიორგიმ; მან იცნო კარიოზის ხმა.

კარიოზმა კარი შემოაღო და აივნისკენ გამოსწია. გიორ-

გი შეეგება მას და ხელი ჩამოართვა. კარიოზი გიორგის გვერდით დაჯდა.

გიორგიმ, პირველ ყოვლისა, დიდი მადლობა გადაუხადა მას ახალი ტანისამოსის შეკვეთისათვის და მისადმი მზრუნველობის გამოჩენისათვის.

კარიოზმა დამნაშავის სახე მიიღო და გიორგისთან ბოდიში მოისადა თავის შეცდომისათვის იმაში, რომ დროზე ვერ აჩვენა, თუ სად იმყოფებოდა მისი ტანისამოსი.

— ჩვენ გვეგონა, თქვენი სურვილი იყო ძველ ტანისამოსში გევლოთ, მაგრამ, როდესაც მივხვდით, რომ ამაში დამნაშავე ჩვენ ვიყავით, მაშინ ვცადეთ შეცდომა ამგვარად გამოგვესწორებინა.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ ყურადღებისათვის, — და გიორგიმ მადლობის ნიშნად თავი დაუკრა.

მას უცებ გაახსენდა საათი.

— შემთხვევით, ჩემს მაგიდაზე ქვებით მოჭედილი ოქროს საათი დაგრჩენიათ, ახლავე მოგიტანთ, — და მან ზეზე წამოდგომა დააპირა.

— მოითმინეთ, — შეაჩერა კარიოზმა, — ის საათიც თქვენია.

— ჩემია? — გაუკვირდა გიორგის.

— დიახ, თქვენი.

— დიდი მადლობელი ვარ ყველაფრისათვის, ძალიან დიდი, მაგრამ მეტად გამიჭირდება ამის გადახდა.

— რა თქვით? — შეეკითხა კარიოზი.

— გამიჭირდება სამაგიეროს გადახდა. საინტერესოა, ყველაფერი ეს რამდენი დაგიჯდათ?

კარიოზმა შუბლზე ხელი მიიდვა და თავის წინ რაღაცას დააშტერდა. ეტყობოდა, ამ სიტყვის შინაარსი ვერ გაეგო.

— საინტერესოა, ამ ნივთებში რამდენი გადაიხადეთ? — განუმეორა კითხვა გიორგიმ.

— რა უნდა გადაგვეხადა? — გულუბრყვილოდ იკითხა კარიოზმა.

— ფული.

— ფული? — ჩაჰკითხა გაკვირვებით კარიოზმა და ახლა ამ სიტყვას ჩაუფიქრდა. — აჰა, მესმის, თქვენ ფულის შესახებ ლაპარაკობთ არა?

— დიახ, სწორედ ფულზე მოგახსენებთ!

— დიდისანია, რაც ფული დავიწყებას მიეცა. ფული რომ დღეს უთხრათ ვინმეს, რომელიც ისტორიითა და არქეოლოგიით არ არის დაინტერესებული, ვერაფერს ვერ გაიგებს. დღეს მისი აზრდილიც გაქრა ჩვენი საზოგადოების მახსოვრობიდან.

— მაშ, ფული სრულებით მოისპო? მაშ, თქვენ რისთვის შრომობთ, ან რა ჯილდოს იღებთ ფულის მაგიერ?

— ჩვენთვის გაუგებარია რაიმე ჯილდოს აღება ყოველდღიური შრომისათვის. ჩვენი შრომა ჩვენი მოთხოვნილებაა. ჩვენ ჯილდოს ვღებულობთ დიდი რაიმე ნაშრომისათვის, დიდი რაიმე აღმოჩენისათვის, დიდი გამოგონებისათვის ცხოვრებისა და მეცნიერების ამა თუ იმ დარგში.

— როგორი სახის ჯილდოს? — დაინტერესდა გიორგი.

— ეს ჯილდო გამოიხატება საერთო დაფასებაში, საერთო ყურადღებაში.

— აჰა, გაიხსენა გიორგიმ, — ჩვენი წარმოდგენით ოდესმე ფული უნდა მოსპობილიყო, მაგრამ ფულის სამაგიერო ნიშანი — ჩეკი უნდა დარჩენილიყო.

— ჩეკიც ისეთივე არქაული სიტყვაა, როგორც ფული. ჩეკი და ფული სრულებით ამოშლილია თანამედროვე ცოცხალი ენის ლექსიკონიდან.

— მაშ, რა საზომი არსებობს ამ ცნებების სამაგიერო?

— ჩვენთვის ერთადერთი მარტივი საზომი არსებობს, — ეს არის სურვილი.

— სურვილი? — გაუკვირდა გიორგის. — კარგი, მაგრამ ეს სურვილი ხომ უნდა იყოს გამოხატული რაიმე რეალურ ნივთში? ვთქვათ, ქაღალდში? ან ლითონში? ან სხვა რამეში. და განა ეს იგივე ფული ან ჩეკი არ იქნება?

— არა, უბრალო სურვილი, სიტყვით გამოთქმული.

— სურვილი! სურვილი! სურვილი! — რამდენჯერმე გაიმეორა ეს სიტყვა გიორგიმ. — „სურვილი აქტიური ფსიქიური პროცესია. სურვილი ფულის მაგივრად?“ — გაიფიქრა გიორგიმ.

— ძალიან მაინტერესებს იმის გაგება, — დაიწყო გიორგიმ, — თუ რა საზომი არსებობს ქვეყანათა შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის შემთხვევაში ფულის მაგივრად? როგორ აწარმოებთ ვაჭრობას? არსებობს საქონლის პირდაპირი გაც-

ვლა-გამოცვლის პირველყოფილი წესი, თუ რაიმე სხვაგვარი?

ამ სიტყვებზე კარიოსს გაეღიმა.

— ვიტყობ, რომ პოლიტიკურ ეკონომიაში თქვენ ოდნავ მოისუსტებთ. არავითარი საქონელი დღეს აღარ არსებობს, დღეს არის მხოლოდ ესა თუ ის ნივთი.

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ნივთები ხომ არის? მაშ რა წესით, ან რაზე ხდება მითი გაცვლა-გამოცვლა, ანუ ვაჭრობა?

— არავითარი ვაჭრობა არ არსებობს. ტყუილა დაუწყებთ ჩვენ ქალაქში სავაჭროებს ძებნას

გიორგის გაასხენდა გუშინწინდელი დღე და სავაჭროების უშედეგო ძებნა.

— არც კოოპერატივები გაქვთ?

— არავითარი მაგის მსგავსი!

— საიდან იძენთ ნივთებს?

— უშუალოდ ფაბრიკებიდან. შეიცვალა როგორც დრო, ისე წარმოდგენა და მით უფრო ეკონომიკა. მაგრამ ამაზე შემდეგ! ჯერ ეს საკითხი განუმარტავი დარჩეს მანამდის, სანამ თქვენი თვალით არ გაიცნობთ ჩვენ ფაბრიკა-ქარხნებს და არ ვისაუბრებთ ჩვენ საზოგადოებრივ წყობილებაზე.

„საზოგადოებრივი წყობილება, რასაკვირველია, ბევრ რამეს გამოარკვევს, მაგრამ რა შუაშია ფაბრიკა-ქარხნები?“ — გაიფიქრა გიორგიმ.

— კარგი, ძალიან კარგი...

კარიოზი მეორე თემაზე გადავიდა.

— თქვენ ამჟამად, ალბათ, მეტად გაინტერესებთ იმის გაგება, თუ სად იმყოფებით, სად არის ამონის ქვეყანა და ეს ქალაქი სტომი, რომელიც თქვენს წინაშე უზარმაზარ სფინქსივით გაწოლილა.

— მოთმინებისაგან სული დამელია! რა თქმა უნდა, ძალიან მაინტერესებს.

— მეც ვგრძნობდი ამის განმარტების საჭიროებას, მაგრამ ჩვენ გვისდებოდა ისეთ საკითხებზე შენერება, რომელთა გაშუქებაც თქვენთვის აუცილებლობას წარმოადგენდა და დრო აღარ დაგვრჩა ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ მდგომარეობაზე გვეპაასა. ასლა სწორედ მინდა ამ საკითხს შევეხო.

— დიდი ყურადღებით გისმენთ.

— ეს მოხდა მეოცე საუკუნის დამლევს, — დაიწყო კარიოზმა. — სეისმიურმა შიკრიკებმა...

— უკაცრავად, ვის? — ჩაჰკითხა ეიორგიმ და უსებლიედ ყურზე სელი მიიდვა.

— ...სეისმიურმა შიკრიკებმა. ბოდიშს ვისდი, დამავიწყდა. მეგონა, თუ თქვენთვის ნაცნობი იყო ეს იარაღები: ისინი წინასწარ იტყობინებოდნენ სად, როდის და როგორი მიწის ძვრა იყო მოსალოდნელი.

— რა ბედნიერება იქნებოდა, ჩვენ დროში ასეთი იარაღები რომ გვქონოდა! ის აუარებელი მსხვერპლი, რომელიც მიწისძვრებს თან სდევდა, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც შემცირდებოდა. ჩვენი სეისმოლოგები ძალიან დაინტერესებული იყვნენ მოსალოდნელ მიწის ძვრის წინასწარი გამორკვევით, მაგრამ ჩემ დროს ეს მიზანი მიუღწეველი დარჩა. იარაღებისათვის მშვენიერი სახელი დაგირქმევიათ. შიკრიკები, არა?

— დიახ, სეისმიური შიკრიკი, რადგან ის გვატყობინებს მოსალოდნელ მიწისძვრებს. სწორედ ამ შიკრიკებმა უკვე სამი წლით ადრე იგრძნეს დიდი მიწისძვრის მოახლოება, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროებზე. თვით მიწისძვრის დაწყებამდის ერთი წლით ადრე მათ აღნიშნეს მიწისძვრის დღე, საათი, წუთები და მოგვცეს უდიდესი ბალი. აშკარა იყო საშიშროების სერიოზული სახე. ევროპისა და აზიის მოსახლეობა ზოგი ამერიკაში და ზოგი პლანეტებზე ისიზნებოდა. საჰაერო და საპლანეტო საზოგადოებებმა წინასწარი ზომები თავის დროზე მიიღეს. დადგა გადამჭრელი მომენტი. შუალამე გადავიდა. დედამიწა თითქოს სამშობიაროდ ემზადებაო, წინასწარ ისე შეწუხდა. შემდეგ მან სასიკვდილოდ დაჭრილი გველეშაპივით ერთი სასტიკად დაიგმინა და დაიგრიხა. უეცრად მის ზურგზე საშინელმა ტაიფუნმა გადაიარა. ვეება სახლები თვალის დახამხამებაში დაემხო და ფერფლად იქცა. დედამიწის გული მოულოდნელად გასკდა. მიწამ წყალს შეუტია. წყალი ასეთ თავდასხმას არ მოელოდა. მისი შევიწროებული ტალღები ერთი კილომეტრის სიმაღლეზე ხტოდა. ზვის ტალღათა რაზმები მიწას მკერდით აწვებოდნენ. წყალი

მარცხდებოდა, მაგრამ იარაღს მაინც არა ყრიდა. იგი ერთი უბნიდან მეორეზე გადადიოდა და იქ იბრძოდა. გაიღვიძა ათასი წლობით მძინარე კავკასიონის დიდმა ვულკანებმა: იალბუზმა, ყაზბეგმა, უშბამ და თეთნულდმა. მათი ცეცხლოვანი სასა რამდენიმე დღის განმავლობაში ზარბაზნებივით გრიალებდა. ბოლოს წყალი დამარცხდა და ტერიტორია მიწას დაუთმო. წყალმა დაბლობები წალეკა. ბევრ ადგილს იგი აკვარსალებულ მდულარედ იქცა. ერთმანეთში არეული კვამლი, წყალი, მიწა, ქვა და რკინა მსოფლიოს ახალი ფორმის ჩამოსასხმელად მოეკლინა. გავარვარებული შადრევნები ბნელ ღამეში ჰორიზონტის ოთხივე მხარეზე ცისარტყელებად გადაისლართა. ნიადაგის ფენები ერთიმეორეს შეაჯდა. უზარმაზარ მთებმა ზეცას თავი მიაბჯინეს. ვეებერთელა ველები გადაიჭიმა, მდინარეებმა თავის კალაპოტი და მიმართულება შეცვალეს და თითქოს სასწაულით გაჩნდა ის ქვეყანა, სადაც ახლა თქვენ იმყოფებით, ე. ი. ამონის ქვეყანა...

— რა საშინელი სურათი დახატეთ, — თქვა შეძრწუნებულმა გიორგიმ და ამ სურათს დიდხანს გონების თვალით სჭვრეტდა.

— დედამიწამ ეს ახლად ნაშობი ბავშვი შავი ზღვის ადგილას წამოაგდო.

— განა შავი ზღვის სივრცეზეა ამონი? — იკითხა გიორგიმ და გაკვირვების ნიშნად ტაში შემოჰკრა.

— სწორედ ყოფილ შავი ზღვის სივრცეზე.

გიორგი გაიტაცა ამონის წარმოშობის ამბავმა. იგი დიდსანს დაფიქრებული იჯდა.

— მაშ, შავი ზღვა სრულებით მოისპო? — იკითხა დაგვიანებით მან.

— დიახ, გაჰქრა, მაგრამ ამონის დასავლეთით, მოზრდილ ტბა არის დარჩენილი.

— სად წავიდა შავი ზღვა?

— შავი ზღვაა? — გააგრძელა კითხვა კარიოზმა. — იგი შეუერთდა ხმელთაშუა ზღვას.

— მდინარე რიონი, ენგური, ჭოროხი და სხვა? — იკითხა გიორგიმ.

— შეხედეთ ჩვენ ქალაქს, — კარიოზი ფეხზე წამოდგა და გიორგის ხელით ანიშნა, — მას შუაზე ჩაუდის საკმაოდ მოზრ-

დილი მდინარე. აი, სწორედ ამან შეიერთა ყველა ისინი; ამას ჩვენ ვუწოდებთ ახალ რიონს, ანუ არიონს.

— არიონი! — გაიმეორა გიორგიმ.

— არიონი, დიახ, არიონი, — განუმეორა კარიონმა.

— რა მშვენიერი სახელწოდებაა! როგორ მინდა კიდევ ერთხელ შევხედო ჩემ მშობლიურ მდინარეს.

გიორგი აივანზე ხალისიანად წამოდგა და ამონის მიდამოებს თვალი მოავლო. მას გული ბავშვივით უფართქალებდა.

— ის რა მთაა? ამ ველს რა ჰქვია? — კითხულობდა იგი.

— ის მაღალი მთა ატარებს მესურას სახელწოდებას, ეს ველი — დილიანის, იმ მთის გვერდში კი შორს, შორს თქვენი თეთრწვერა კავკასიონი იწყება. ეს მთების პირდაპირი გაგრძელებაა.

გიორგი ვერ ძღებოდა ამ ქვეყნის სიმშვენიერით. იგი სარბად ისუნთქავდა ჰაერს, თითქოს სურდა მთელი ამ ბუნების სიდიადე ნესტოებით ეგრძნო.

— მაშასადამე, შავი ზღვის მოსპობით გაზრდილა საქართველოსა და მის მოსაზღვრე სახელმწიფოთა ტერიტორია?

— დიახ, გაიზარდა ამონის ტერიტორია. ფაქტიურად პირველი ამონელები თქვენ იყავით. მაგრამ ამ სახელწოდებამ დაიგვიანა მანამდის, სანამ თქვენ ახალი ტერიტორია შემოგემატებოდათ. თქვენს ირგვლივ ახალი საერთაშორისო ენისა, პოლიტიკური წყობილებისა და კულტურის გავლენით სხვადასხვა ერი ბუნებრივად გაერთიანდა. ამონი და თანამედროვე კაცობრიობა ერთი და იგივეა.

— ჩემი სამშობლო ტფილისი ამონის მთავარ ქალაქ სტომის მეზობელი ყოფილა, — თქვა გასარებულმა გიორგიმ.

უზარმაზარი მესურას მთა გიორგის თვალში ნელნელა დაპატარავდა, შემდეგ წერტილად იქცა და ბოლოს სულ დადნა.

— ჩემი ტფილისი. გასაოცარი ტფილისი, — იმეორებდა გიორგი, და თავის ქროის ტფილისი მას თვალწინ დღესავით ნათლად წარმოუდგა. იგი ტფილისს თითქოს მამადავითის მთიდან მისჩერებოდა.

იგი სატაურა ჯიქივით მწვანით შემოსილ მთებს შორის ჩაწოლილიყო და ხავერდოვან ზურგით სამხრეთის ცხელ მზეს ეფიცხებოდა.

გიორგის ცხოვრების უკანასკნელ წლებში ტფილისი სა-

ბურთალოს ტრიალ მინდვრებს სცილდებოდა. აღმოსავლეთით კი ნავთლუღის რადიო-ანძას შემოხვეოდა.

ძველად დაბურდული მისი ქუსები გიორგის თვალწინ ისევე წამოიჭრა. ცოცხალი ევკლიდი ან პითაგორი ძველი ტფილისის ქუსებში დაინახავდნენ რაღაც გეომეტრიულ ნახაზს, მაგრამ ეს ნახაზი არცერთი მათი თეორემების დასამტკიცებლად არ გამოდგებოდა.

გიორგის დროს ორთაჭალის ბაღებიდან აღარ ისმოდა საიათნოვას გულდამწველი ჰანგები და ღიპიან მიკიტანთა მაგიერ იქ ჩამდგარიყო ახალი ქვეყნის აღმშენებელთა უძლეველი ნებისყოფა და პათოსი.

გიორგი ხედავს როგორი გააფთრებით დაჰქრიან ავტომობილები და გაბრაზებული ძაღლებივით უღრენენ გზაზე შეფეთებულ მოქალაქეებს.

მას ესმის ორთქლმავლების გაბმული კივილი, ისინი მიდამოებს საშინელი ხმით ამცნობდნენ თავის მოსვლას და წასვლას.

გიორგის წარმოუდგა ტფილისის ერთ-ერთი ღამე: მახათის მთის ძირას უცებ შიშველი მკლავივით აღიმართება მძლავრი პროჟექტორის შუქი. იგი თითქმის ხან ცის სივრცეში მტერთა ანრდილებს დაეძებს, ხან კი მეფარიკავე მეომარივით ვარჯიშობს. მეორე წუთში ის მღებავის გრძელტარიან ფუნჯს წააგავს. ეს ფუნჯი შორი მთის ქედებსა და ქალაქის ფაბრიკათა წვეროებს ღამის ჭვარტლისაგან სწმენდს და ათეთრებს. ხან იგი სასლის თავებიდან შორს, ღრუბლებამდის ქორივით დაფრინავს... და გიორგი უყურებს თავის სასლს, თავის ოჯახს, მზიას, მორკინალს, მეგობრებს, ნაცნობებს...

— დიას, ტფილისი. და ამონის დედაქალაქი სტომი უახლოესი მეზობლებია, — თქვა კარიოზმა, და ოცნებით სადღაც გადაკარგული გიორგი ისევ სინამდვილეს დაუბრუნა.

— რა ბედნიერებას ვგრძნობ, — ახლადგამოღვიძებულივით წამოიძახა გიორგიმ და მაღლა აიხედა.

— ...თავის ადგილიდან განდევნილი შავი ზღვა დარდანელის სრუტეზე გავლით ესტუმრა უფროს დას — სმელთაშუა-ზღვას და მასთან დარჩა მანამდის, სანამ იგი თავის ადგილას იყო, — განაგრძობდა კარიოზი.

— განა, სმელთაშუა-ზღვამ თავისი ადგილი გამოიცვალა? — განცვიფრებით შეეკითხა გიორგი.

კარიოზმა წყნარად უპასუხა.

— არა, იგი გარდაიცვალა!

გიორგი გაოცდა.

— როგორ თუ გარდაიცვალა? რა გარდაცვლიდა ზღვას, ან როგორ შეიძლება ზღვის სიკვდილი, ეს ჩემთვის ყოვლად წარმოუდგენელია.

— მაგას ახლავე მოგახსენებთ.

და კარიოზმა დაიწყო:

— მგონი თქვენ დროსვე არსებობდა იდეა წყლის აფეთქებისა.

გიორგიმ თავი გააქნია.

— არ ვიცი, არ გამიგონია!

— დიას, შემდეგ სანებში კაცობრიობამ ამ საქმეში სასურველ შედეგს მიაღწია. ახლა წყლის აფეთქება ისეთივე ადვილი საქმეა ჩვენთვის, როგორც თქვენ დროს ასანთის ანთება იყო.

— წყლის აფეთქება? ეგ როგორ შეიძლება? მაშინ ხომ კაცობრიობას გადაუღებელი წვიმების გამო წარღვნა წალეკავდა? — შენიშნა გიორგიმ.

— თქვენ მართალი ხართ. ადვილია ასანთის ანთება, მაგრამ ისიც ვიცით, მას რა ზარალის მოტანა შეუძლია, — უპასუხა დამშვიდებით კარიოზმა. — ერთი ასანთი ეყოფა მთელ დედამიწას გადასაწვავად. ერომა ასანთმა კაცობრიობას შეუძლია უდიდესი ზარალი მიაყენოს, რასაკვირველია, ცეცხლის გაღვივებას რომ ხელი შეეუწყოთ. საშინელება იქნებოდა დედამიწაზე არსებულ ყველა წყლის მარაგის: ოკეანეების, ზღვებისა და მდინარეების ერთდროული აფეთქება იმ მოსაზრების გამო, რომელიც თქვენ წელან გამოთქვით. მაგრამ სმელთაშუა-ზღვის აფეთქება, მოსასლეობის გადიდების გა-

მო, აუცილებლად სცნეს. მეცნიერების წინასწარი გამოანგარიშებით აფეთქებას არავითარი საფრთხე არ მოჰყვებოდა, თუმცა ზოგიერთმა ეჭვიც გამოთქვა. ერთ მშვენიერ დღეს, მეოცდაერთე საუკუნის მიწურულში, როდესაც, ყოველ შემთხვევაში, მიწის მცხოვრებთა წინასწარი ემიგრაცია მოხდა მთვარესა და მარსზე, სმელთაშუა-ზღვა აიფეთქეს. ამგვარად, ეს უზარმაზარი ვეშაპი, სმელთაშუა-ზღვა მოკლეს. მას თავი ჰიბრალტარის სრუტესთან იმგვარად ჰქონდა მიბჯენილი, თითქოს ეს არის ოკეანეში აპირებს გაძრომასო. აფეთქების დროს ჰიბრალტარის სრუტე და სუეცის არხი შეკრული იყო, რადგანაც ეშინოდათ, ცეცხლი იქით არ გადასულიყო. შემდეგ ამ ადგილებში დასასლდა სალსი და ცხოვრება გაზაღდა. ამგვარად, დაუკავშირდა ერთიმეორეს ორი მეზობელი მიწა — აფრიკა და ევროპა.

გიორგის სურდა წარმოეღგინა ევროპისა და აფრიკის ბუნებრივი შეერთება, მაგრამ დიდად უჭირდა.

— კარგი, მაგრამ სად წავიდა ამ ზღვის ამოშრობით გამოწვეული სინესტე? — იკითხა მან შემდეგ.

— ის წვიმების სახით მეზობელ ატლანტის ოკეანეში გადავიდა, — მიუგო კარიოზმა.

— რატომ იქვე არ გამოიწვია ამ სინესტემ წკიცა და ადგილობრივ არ მოხდა წარღვნა? — კითხულობდა დაინტერესებულ მოსწავლესავით გიორგი.

— ამ აფეთქების შემდეგ, როდესაც ევროპას მძიმე ნისლი თავს დაეჩვა და მართლაც წარღვნა უნდა გამეორებულიყო, ჩვენი ბუმბერაზი ელსადგურები ამუშავდა, დასავლეთისკენ ქარებმა დაუბერა, და ეს ნისლი დამფრთხალი ფრინველებივით ატლანტის ოკეანეში გადარეკა.

გიორგი დაფიქრდა.

— ეგ ყველაფერი ოსტატურად მოგიწყვიათ, მაგრამ დასავლეთ აზიის სანაპიროებსა და ევროპის სამხრეთს რაღას უშვრებით? ეს ტერიტორია სომ უდაბნოდ გიქცევიათ?

— როგორ თუ უდაბნოდ? — გაიკვირვა კარიოზმა. — აბ, მასსოვს, თქვენ უდაბნოს ეძახდით უმცენარო, უწყლო და სიცხიან ადგილს, არა?

— დიახ! მაგრამ მიკვირს, ეგ აქბავი როგორ მოგვიდათ თქვენ, რომელნიც თქვენი კულტურით სამართლიანად იკვეხ-

ნიო. რასაკვირველია, ეს ზღვა ერთი შეხედვით თითქოს ზედმეტ ბარკად გეჩვენებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, იცით რა სარგებლობა მოჰქონდა მას, თუ გნებავთ, იტალიისათვის, საფრანგეთისათვის, რუსეთისათვისა და ათეულ სხვა მის მეზობლად მდებარე ქვეყნისათვის? სადღა იქნებოდა ამ ზღვის მოსაზღვრე ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ნაზი და სათუთი მცენარეულობა? თქვენ ჩაგიდენიათ ათასჯერ და ათიათასჯერ უარესი ბარბაროსობა ვიდრე ატილას, ჩინგის-სანსა და თემურლენგს. თქვენ მოგისპიათ და გაგინაბეგურებიათ ეს მიდამოები სამუდამოდ.

— არც მაგრეა საქმე, პატივცემულო გიორგი, — უპასუხა კარიოზმა. — დღეს ყოფილ საქართველოს, რუსეთისა და ხმელთაშუა ზღვის მონაპირე სხვა სახელმწიფოების კლიმატური პირობები ბევრად უკეთესია, ვიდრე ოდესმე.

— როგორ? ამიხსენით, — დაინტერესებით მოითხოვდა პასუხს გიორგი. კარიოზმაც არ დააყოვნა.

— ამ ზღვის აფეთქების იდეა დაიბადა მაშინ, როდესაც კაცობრიობამ სელოვნურ წვიმას მიაღწია. თანამედროვე ეპოქაში წვიმის მოყვანა ისე ადვილია, როგორც თქვენ დროს — ონკანიდან წყლის გამოშვება. საკმარისია ვინმემ საჭიროდ მიიჩნიოს ამა თუ იმ ადგილში წვიმის მოყვანა, რომ იგი ხელაღ გაჩნდეს.

გიორგიმ ამოიოხრა:

— რა ბედნიერი იქნებოდა აფრიკის უდაბნოებში წყურვილით მომაკვდავი ხალხი, რომ ეს ხერხი სცოდნოდათ?

კარიოზი ერთი წუთით შეჩერდა. წამოდგა და წყალი დალია.

— მაგრამ ჩვენ ამონის შესახებ ვლაპარაკობდით, — განაგრძო მან.

— დიახ, მაინტერესებს ამ ქვეყნის სახელწოდება, საიდან წარმოიშვა ან რას ნიშნავს იგი?

— ამონი ორი სიტყვისაგან შედგება, მისი ლინგვისტური ძირი ქართულსა და ლათინურ ენაში უნდა ვეძიოთ. „ა" ხომ თითქმის ყველა ენის პირველ ასოდ ითვლება, მაშასადამე „პირველი", ქართულად „ახალი", „მონ", ლათინური „mundus", ფრანგული „le monde", ქვეყანა. საერთოდ კი ახალი, ანუ პირველი ქვეყანა, — დაასრულა ლაპარაკი კარიოზმა.

— ამონი, ამონი, — იმეორებდა ამ სიტყვას გიორგი. დიდხანს გატაცებით იგონებდა მისი გაჩენისა და სმელთაშეაზღვის აფეთქების ამბავს.

კარიოზი გიორგის სასეს დამშვიდებით უცქერიდა.

— ამონი, ამონი, — თავისთვის ბუტბუტებდა გიორგი და თავი ვერ წაერთმია ამ სურათისათვის.

ჩამოვარდა სიჩუმე. გიორგი და კარიოზი რაღაც ოცნებამ გაიტაცა. სიჩუმე დაარღვია კარიოზის ფეხზე წამოდგომამ და აირას შემოსვლამ.

რამდენიმე წუთის შემდეგ კარიოზმა ბოდიში მოისადა გიორგის წინაშე: ის სადღაც აპირებდა წასვლას. გიორგიმ მას მადლობა გადაუხადა დღევანდელი საუბრისათვის და შემოსულ აირას მიაწიწებით მიესალმა.

აირა გიორგის გვერდით დაჯდა.

„რა მშვენიერია ეს ქალი", — გაიფიქრა გიორგიმ.

ქალაქი სტომი

— თქვენ, მეგონი, ამონის შესახებ საუბრობდით? — იკითხა ცნობისმოყვარეობით აირამ.

— დიახ.

— სტომის შესახებ არ გისაუბრიათ? არაფერი იცით?

— არაფერი, გარდა იმისა, რომ მისი გარეგნობა მაკვირვებს, — მიუგო გიორგიმ.

— მაშ წამომყევით, სტომის შესახებ ორიოდე სიტყვას გეტყვით და მერმე თქვენ თვითონ დაათვალიერეთ. — უთხრა აირამ.

— ძალიან დამავალებთ, — მიუგო გიორგიმ და აირას ოთახში შეჰყვა.

ოთახში შესვლისას აირამ გიორგი სავარძელში ჩააჯინა, რაღაც ფოლაქი მოძებნა, აპარატს გაუკეთა, თვითონ გვერდში მიუჯდა, კედელზე მიუთითა და მუსიკალური სმით უთხრა:

— აი, ჩვენი ქალაქი სტომი. იგი უღერო სოკოს ანუ ფარს წააგავს.

გიორგიმ სსვადასხვაგვარად გადაღებული ქალაქის რუკა მთელი კედლის სივრცეზე ნათლად დაინახა. იგი მართლაც

ფარს და ღიდ სოკოს წააგავდა. ქუჩები მას გარშემო რგოლებად უვლიდა და რადიუსებით სჭრიდა. იგი ამ ქუჩებით მრავალ თანასწორ ნაწილად იყო დანერილი.

— ნამდვილი მზე-ქალაქია, — თქვა დაწყნარებით გიორგიმ და მას კიდევ მიაჩერდა.

— თითქმის გეომეტრიული წრეა, — უპასუხა აირამ. — შეხედეთ, მისი რადიალური ქუჩები თუ მართლაც მზის სხივებს არ მიაგავს?

გიორგი ქალაქს დააკვირდა. მას დიამეტრალურად 64 ქუჩა სჭრიდა. ყოველი ბეჭდისებური კვარტალის შუა ნაწილიდან პირდაპირი ქუჩა გამოდიოდა. ეს ქუჩები ქალაქის ბოლოსაკენ ისარივით მიემართებოდნენ. ქალაქი მოთავსებული იყო ერთ უზარმაზარ, თითქმის ვაკე ადგილზე, მაგრამ მისი ზურგი ნაგებობათა სახით აწეულიყო.

— ქუდი, სვანური ქუდი, — თქვა გიორგიმ.

— დიახ, სტომის გარეგნობა სწორედ ქუდს მოგვაგონებს. შესედეთ მის შუა ნაწილს, რა უზარმაზარი შენობებია. მათი სიმაღლე ნახევარ კილომეტრამდის ადის. აქ უდიდესი სასტუმროებია გაშენებული, სხვადასხვა ქვეყნის მოგზაურთათვის, ახლად გაღვიძებულ ადამიანთათვის და სხვ. აქვეა მოთავსებული ჩვენი შრომისა და მეცნიერულ-მსატვრული ორგანიზაციები, თეატრები, საჰაერო და საპლანეტათაშორისო სადგურები და სხვ. ეს არის ჩვენი ტექნიკისა და მეცნიერების ცენტრი. აქვე არის ქალაქის ცენტრალური ბაღი. ამ ბაღის რადიუსი კილომეტრს უდრის. საერთოდ, როგორც სედავთ, სტომი ბაღებით არის გარშემორტყმული. ყოველ სახლს და კვარტალს თავისი პატარა ბაღჩა აქვს, მაგრამ ასლა ამგვარი ქალაქების აშენების საჭიროება უარყოფილია.

— როგორ?

— ამას შემდეგში გაიგებთ, მაგრამ სტომი ეს ძველი კონსტრუქციის ქალაქია. ჯერჯერობით იმავე სახით არის დატოვებული, როგორც ამ რამდენიმე საუკუნის წინათ იყო, და შეიძლება, როგორც სამუზეუმო ქალაქი, მუდმივადაც ასე დარჩეს.

— საკვირველია, — თქვა გიორგიმ.

— როდესაც გაეცნობით ახალ ქალაქებსა და ჩვენ მიღწევებს, თქვენთვის ყველაფერი ნათელი შეიქნება. მანამდის კი

შეიძლება ეს აზრი გასაკვირველად მოგეჩვენოთ. მაგრამ ახლა ამაზე ამით დავათავოთ. საჭიროა გაიცნოთ ქალაქის მოძრაობა და ჩვენი სატრანსპორტო საშუალებანი.

და აირამ გიორგის ყოველგვარი გზები და ტრანსპორტი უჩვენა. გიორგის განცვიფრება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ რკინიგზებს და სამგზავრო ავტოებს ვერსად ხედავდა.

„ალბათ, ისინი ამ ქალაქში საჭირო არ ყოფილან". — თავისთვის დასკვნა გიორგიმ.

— ერთი ქუჩიდან მეორეზე გადასვლა სულ ადვილად ხდება, — უხსნიდა აირა. — ალბათ, დაინახავდით. სასურველ ქუჩაზე შეგიძლიათ პირდაპირ ფეხითაც გადახვიდეთ ან თქვენი ხამებით გადაფრინდეთ. მაგრამ ყველაფერ ამაზე უმჯობესი იქნება, თუ ქუჩებს თქვენ თვითონ დაათვალიერებთ.

— კარგი, წავიდეთ და ვნახოთ, — წინადადებით მიმართა გიორგიმ და ნელ-ნელა ზეზე წამოდგა.

— წავიდეთ, — უპასუხა აირამ და წასასვლელად მოემზადა.

გიორგიმ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი აირას ტანსაცმელს და მოძრაობას.

„მშვენიერია, როგორც ჯეირანი, ბრძენია და ეშხით სავსე", — ფიქრობდა თავისთვის გიორგი.

ისინი სასლიდან გამოვიდნენ, ეზო გაიარეს და ქუჩის პირას მივიდნენ. გიორგი, თითქოს ადიდებულ მდინარესთან მისულიყო, ქუჩის პირას დადგა და მის მოძრაობას დააკვირდა, მაგრამ თვალი აუბნეველდა. აირამ მას ხელი მკლავში გაუყარა და ქუჩაზე შეიყვანა. ისინი გადასურულ ადგილას ისხდნენ. გიორგი მიდამოებს დააკვირდა. ყველგან გასაოცარი სილამაზის სასლები მოჩანდა, სხვადასხვა სტილზე და დიდის გემოვნებით აგებული.

ზ ე ი მ ი

— დღეს დიდი დღესასწაული იქნება, — თქვა გზაზე, თითქოს სხვათა შორის, აირამ.

— ვისი დღესასწაული? — იკითხა გიორგიმ.

— ქალაქი სტომი დღესასწაულობს თქვენ გაღვიძებას.

— ჩემ გაღვიძებას? — განცვიფრდა გიორგი.

— დიას.

გაკვირვებულმა გიორგიმ თვალები ფართოდ გააღო და შემდეგ ტანისამოსზე დაიხედა.

— რად არ შემატყობინეთ, თუ სტომი დღესასწაულის გამართვას მიპირებდა?

— ძოულოდნელი საჩუქარი სჯობს მოსალოდნელს.

— მართალია, — დაეთანხმა გიორგი და გაჩუმდა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ შეცვლილი ხმით იკითხა: — მაშასადამე, ჩვენ ახლა ჩემ დღესასწაულზე დასასწრებად მივდივართ?

— დიახ, ხომ არ ღელავთ?

— საკმაოდ.

— არაფერია, ზეიმს მალე მოვრჩებით, მერე ჩვენ კიდევ სხვა საქმეები გვაქვს.

გიორგი დუმდა. იგი თითქოს ზეიმისთვის ემზადებოდა. თანდათან მაღალი შენობები გამოჩნდა. ისინი ცენტრს უახლოვდებოდნენ. შენობების სიმაღლემ უეცრად იმატა. გიორგის მოეჩვენა, თითქოს იგი დარიალის კლდეებში იმყოფებოდა, და გარშემო იდგა უზარმაზარი თოვლიანი მთები მუქი ფანჯრებით. ცოტა ხნის შემდეგ ისინი ერთ ამ მთათაგანს მიადგნენ. აირამ გიორგი ქუჩიდან გადმოიყვანა და შენობისაკენ წაიყვანა. ძვირფას ლიფტში ჩასხდნენ. როდესაც დანიშნულ სართულს მიაღწიეს, აირამ ლიფტის კარი გამოაღო, კიბე და დერეფანი გაიარეს და მოულოდნელად დიდ დარბაზში აღმოჩნდნენ. ამ დარბაზში ასამდის კაცი და ქალი იყო. ყველანი უეცრად ფეხზე წამოდგნენ და აირასა და გიორგის შეეგებნენ.

— მობრძანდით, პატივცემულნო, — მოესმათ მათ ქართულად მისალმება.

გიორგი ყურს არ უჯერდა.

— ქართველები ბრძანდებით? — იკითხა მან უცებ.

— დიახ, ქართულის მცოდნენი, — თითქმის ერთხმად უპასუხეს მას.

გიორგის მეტად გაესარდა ქართველების შესვედრა.

— ბედნიერი ვარ თქვენის ნახვით, — წარმოთქვა გიორგიმ და ყველას მიესალმა.

გიორგი საგანგებოდ მორთულ სავარძელში ჩააჯინეს. დამსვდურნი ირგვლივ შემოერტყნენ. გიორგის ქართველები

მოეწონა. ყველას თავის განსაკუთრებული ბიმზიდველობა ჰქონდა. მან კარგად არ იცოდა თუ რა თემაზე დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ აირა მიეშველა.

— გიორგისათვის მეტად საინტერესო იქნება მის მშობლიურ ენაზე მოსაუბრეებთან შესვედრა.

— დიახ, მე ფრიად მოსარულია ვარ თქვენთან შესვედრის, — თქვა გიორგიმ.

— ჩვენც, ჩვენც, — გაისმა აქეთ-იქიდან ხმები.

— მართალი მოგასსენოთ, ამბავმა დედამიწაზე კარიოზ დარიალისა და აირა ბოლის მეტი ქართულის კარგი მცოდნე არავინ შეეფონა, — დაიწყო გიორგიმ.

— ნუ თუ მართლა? — იკითხა ყავა-რძისფერ კაბიანმა ახალგაზრდა ქალმა და მშვენიერი თვალები დაწკურა. ეს თვალები გიორგის ნაცნობად ეჩვენებოდა. იგი წამით დაფიქრდა და იგონებდა მის ყოფილ ნაცნობთა შორის ამგვარი თვალები ვის უნდა ჰქონოდა,მაგრამ ვერ მოიგონა.

— რას ბრძანებთ? — შეეკითხა მას მეორე, კიდევ უფრო უნაზესი წითელკაბიანი ქალი და გაღიმებული პირიდან ბროლის კრიალა კბილები გამოაჩინა.

— დაუჯერებელი არაფერია, — წარმოთქვა ერთმა, თითქოს გაბრაზებულმა ყმაწვილმა. მას ბოშავი ფერის თმა და ფართო წარბები ჰქონდა. აშკარად ეტყობოდა, იგი წმინდა ქართული შთამომავლობის არ იყო.

— დღეს დედამიწაზე ასჯერ უფრო მეტი იქნება ქართულად მოლაპარაკე, ვიდრე თქვენ დროს იყო საქართველოში, — თქვა ფართეშუბლიანმა მელოტმა კაცმა. ამ კაცს თვალები გადმოსურულ შუბლის კლდეში ჰქონდა დამალული. გიორგის წარმოუდგა, თითქოს მას ვინმე ვაგონის ფანჯრიდან ელაპარაკებოდა.

— რას ამბობთ? — გაეხარდა გიორგის.

— მართალს მოგასსენებთ.

— მაინტერესებს თქვენი ქალაქის სახელწოდება, საიდან წარმოდგება იგი? — იკითხა გიორგიმ.

— სტომის სახელწოდება თქვენი დროის გამოჩენილ ქალაქთა პირველი ასოების შეჯამებით წარმოიშვა, — თქვა აქამდის გაჩუმებულმა ზანგმა.

— ჩვენი ქალაქის სრული სახელწოდება მეტად უხეშია, —

შენიშნა უცხო ტომის ასალგაზრდამ, — იგი გამოითქმის „სტომპელბარნად“.

— სტომპელბარნადში შედის თქვენი დროის განსაკუთრებული თვისებებით აღჭურვილ ქალაქთა სასელი. — თქვა ფართეშუბლიანმა კაცმა.

— ასო ს-ზე: სოფია, სტამბული, სან-სტეფანო, სტოკჰოლმი და სხ.

„ტ-ზე — ტფილისი, ტოკიო და სხვ.

„ო-ზე — ოსლო, ოდესა, ოსაკა, ოპორტო...

„მ-ზე — მოსკოვი, მანჩესტერი, მელბურნი, მადრიდი...

„პ-ზე — პარიზი, პრაგა, პორტსმუტი და სხვ...

აი, ამრიგად წარმოიშვა ჩვენი ქალაქის სახელწოდება.

შაგრამ ამ დროს თითქოს ყველასთვის მოულოდნელად ღია ფანჯარაში მერცხალივით შეიოიჭრა გაბმული მუსიკალური გამმა; ეს ხმა სამჯერ განმეორდა. იგი თითქოს ჭერში აფრინდა და იქ სასიამოდ დადნა.

— სიგნალია, — თქვა აირამ. — ხუთ წუთში მოედნის კეთებას შეუდგებიან.

— დიახ, სიგნალია! — გაიმეორა ყველამ, ფეხზე ადგნენ და მოედანს გადახედეს. გიორგიც წამოდგა და მოედანს გადახედა. გადახედა, გაოცდა და უკან დაიხია. ისინი საოცარ სიმაღლეზე იმყოფებოდნენ. სულ უკანასკნელი, ნახევარი კილომეტრით იქნებოდნენ მიწას დაშორებულნი. ირგვლივ უზარმაზარი სასლები ვეება აისბერგებივით იდგა. ქვევით ადამიანები ჭიანჭველებივით მოჩანდნენ. დიდი მოედანი ათასნაირი ფორმის ბაღად გადაშლილიყო. ამ ბაღის სხვადასხვა ნაწილს უხვი მცენარეულობა ასასიათებდა. გიორგი დიდხანს იდგა მოედნის ბუმბერაზობით გაკვირვებული, ათვალიერებდა გასაოცარი სტილით ნაგებ შენობებს.

— გნებავთ, უკეთ დაათვალიეროთ ეს ბაღი და შენობები? გავიდეთ აივანზე! — მიმართა გიორგის თსელცხვირიანმა ახალგაზრდამ.

გიორგი და დამსვდურნი ფართო აივანზე გავიდნენ. გიორგიმ თავი წარმოიდგინა უზარმაზარ ზედრედნოუტის ბაქანზე. იგი საპატიო ადგილზე დაავჯინეს და თვითონ გარს შემოუსხდნენ. მას ხელში ბინოკლი მისცეს. გიორგიმ შენობებსა და ბაღს გადახედა, დიდხანს უცქირა. ბაღის უხვი სხვა-

დასსვაგვარი მცენარეულობა მეტად მოეწონა. შემდეგ შემოტრიალდა, მის უკან მსხდომ ვაჟთა და ქალთათვის შთაბეჭდილებების გასაზიარებლად, და რამდენიმე ხანს შენობების გასაოცარ სტილსა და მათ ბუმბერაზულ სიმაღლეზე ილაპარაკა. გიორგის ამ ბაღის ცენტრალური ნაწილის ყვავილნარი უფრო მოსწონებოდა. ქვევიდან რაღაც შრიალი ესმოდა, მაგრამ მისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

— გასაოცარია, რამდენი ცისფერი ყვავილები მოჩანს? — მიმართა მან ქალებს.

— სად? — იკითხეს თიოქოს დიდი ცნობისმოყვარეობით ქალებმა.

— აი იქ, — გიორგი შემოტრიალდა, და გაშვერილი თითი თიოქოს უცებ შეასმა. იგი განცვიფრდა მიდამოს უეცარი ცვლილებით. უსვი მცენარეულობის მაგიერ მის წინ თითქოს უზარმაზარი ჭრელი თეფში დაედვათ. იქ აღარც ადამიანთა მოძრაობა, აღარც რაიმე მცენარეულობა მოჩანდა. მათ მაგიერ ამაღლებულიყო უზარმაზარი ცირკის კედლები. გიორგი ზეზე წამოიჭრა და მიდამოს გიჟივით მიაჩერდა.

— დასწყევლოს ღმერთმა! სად გაჰქრა ეს ბაღები? — წამოიძახა გაშტერებულმა გიორგიმ.

— თქვენ გეუცხოვათ ასეთი მეტამორფოზა? — შეეკითხნენ უწყინარი ღიმილით ქალები.

— გაკვირვებული ვარ. — უპასუხა მან და ხელსახოცი ამოიღო თვალების ამოსაწმენდათ.

— დაბრძანდით, საკვირველი არაფერია, — უთხრა აირამ. — როდესაც თქვენ ბაღს ზურგი უჩვენეთ, მაშინ მოხდა სწორედ ღეკორაციული შეცვლა.

— როგორ? სად გაქრა ქუჩები, ხალხი და მცენარეულობა?

— ყველა თავის ადგილზე იმყოფება.

— რას მელაპარაკებით? რომ არ მოჩანს, ამიხსენით რა მოხდა? — კითხულობდა განცვიფრებული გიორგი.

აირამ საქმის გარემოება დაწვრილებით აუხსნა:

— მოედნის სახე ავტომატურად იცვლება. ჩვენი ქალაქის ბაღი იმგვარად არის მოწყობილი, რომ საჭიროების დროს იგი ამნაირ სახეს მიიღებს. საჭიროა მხოლოდ სათანადო განკარგულება. ქალაქის მორიგე კომენდანტი ღილზე ხელის და-

ჭერით ამ განკარგულებას იძლევა. საკმარისია ოიიი ამ ღილს შეეხოს, რომ მიწაში ჩამარხული ავტომატური სვეტები წამოდგნენ და მას მიწის სიღრმეშივე დასვეული რკინის სასურავი ანუ, ამ შემთხვევაში, იატაკი თავის ავტომატურივე სკამებით გაუკეთდეს:

— მაშასადამე, ქვევით დარჩენილა როგორც ბაღი, აგრეთვე ქუჩები და ადამიანები, არა?

— ღიის, ეს ამფითეატრი მიწიდან დაშორებულია ორმოცდაათი ეტრიდან მოყოლებული ჩვენამდის, ე. ი. შენობის მეახე სართულამდის.

— მესმის, მესმის, — გაიმეორა გიორგიმ და ირგვლივ კვლავ მიმოისედა. იგი თეთრი ვარდივით გაშლილ უზარმაზარ ცირკის მოედანს მისჩერებოდა.

სიგნალის სმა ახლა უფრო გარკვევით, მაგრამ განსხვავებული მუსიკით მოისმა.

— აღლუმზე მოდიან, — თქვა წითელკაბიანმა.

ავტომატური ქუჩები ცირკის მოედანზე სწრაფად დაიძრნენ და ხალხი შემოიყვანეს. ამას დაერთო ამა თუ იმ ადგილას აეროპლანების უხმოდ ჩამოფრენა. მათ არა ნაკლები ხალხი მოიყვანეს. გარეგნულად ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მტერი თავს დაესხა ქალაქს.

აეროპლანები მოედანს კალიასავით დაესია. რამდენიმე წუთის განმავლობაში მათ მზეს სინათლე ჩაუქრეს. მოედანი უკვე ხალხით გაივსო ნაშუადღევის ორი საათი სრულდებოდა. ზაფხულის მზე თაკარას აფრქვევდა.

— მზე ძალიან გვიშენს, — თქვა გიორგიმ. — მე მგონია, ხალხი შეწუხდება.

— სამიში არაფერია, სიგრილე საკმაოდ იქნება. მალე ბუნებრივი ქოლგა დაგეფარავს, — მიუგო ჯაგარივით სქელთმიანმა ახალგაზრდამ. იგი გიორგის ცოტა ბრუციანად მოეჩვენა. მართლაც, იმავე წუთში თითქოს აგრილდა და მოწმენდილ ცაზე ჯერ თხელი და შემდეგ სქელი ღრუბელი გამოჩნდა.

— მე მგონია, გაწვიმდება კიდეც, — ნაილაპარაკა გიორგიმ და ცას გამოცდილი მეტეოროლოგივით მიაჩერდა.

— არა, წვიმა არ მოვა. ეგ ღრუბელი ზეიმის გათავებამდის იქნება, შემდეგ კვლავ მზე გამოვა.

მზადების პერიოდი სუთ წუთს გაგრძელდა. ცირკი სალ-

ხით გაიშვედა, ქუჩებისა და აეროპლანების მოძრაობა შეჩერდა. გაისმა კვლავ სიგნალის ხმა.

— ზეიმი იწყება, — თქვა ვიღაცამ.

რამდენიმე მილიონი კაცი უცებ ისე გაინაბა, თითქოს ცირკში ჯამბაზი სახიფათო ნომრებს აკეთებდა. აეროპლანები, ერთის მეტი, ყველა გაჰქრა. ეს აეროპლანი მოპირდაპირე მოედნის ბოლოდან გამოემართა იმ აივნისკენ, სადაც გიორგი იმყოფებოდა. უცებ მოედნის სხვადასხვა კუთხიდან ჰაერში ააფრინეს ათასობით ფერადი ყვავილები. მათ ამფითეატრის თავზე ჩამოასხეს უზარმაზარი სახე და ტანი და გააკეთეს თაღი წარწერით ქართულ ენაზე:

„სალამი და სიყვარული გიორგი მოგელს“.

გიორგი საშინლად ღელავდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მან ნერვულად ბინოკლს ხელი ჩაავლო და ამ ამბავს მორცხვად მისჩერებოდა.

აეროპლანი ასლოვდებოდა.

— ჩვენკენ მოდის. — თქვა გიორგიმ და აეროპლანს შესცქერა.

— სტომის საპატიო დელეგაციით, — დაუმატა ვიღაცამ.

აეროპლანი სულ ახლო მოვიდა. შიგ სუთი კაცი იდგა. როდესაც აივანს მიუახლოვდნენ, მათ ქუდები მოიხადეს და გიორგის მიესალმნენ. გიორგი ზეზე წამოდგა და მათ მოწიწებით მადლობა გადაუხადა, შემდეგ ქალაქის კომენდანტმა ქართულ ენაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. გიორგი ისე იყო გაბრუებული, რომ არც კი ესმოდა რას ელაპარაკებოდნენ — მისასალმებელი სიტყვები სურნელოვან ყვავილებად ეპკურებოდა.

კომენდანტმა სიტყვა გაათავა თუ არა, ქვევიდან გიორგის თითქოს მიწისძვრის ხმა შემოესმა. ჰაერი მილიონთა ძლიერი შეძახილით შეტორტმანდა. „გიორგი მოგელი მარა, მარა, მარა“. უძლიერესი გუნდისა და მუსიკის საზეიმო ჰიმნი გაისმა.

აეროპლანი აივანს მოაყენეს და სთხოვეს გიორგის შიგ ჩამსდარიყო. ცოტა არ იყოს, ეს გადასვლის ეშინოდა, მაგრამ აირამ გაათამამა. მოაჯირი მოისნა, და აირამ და გიორგიმ აეროპლანში ფეხი შედეგს. ისინი აივანს მსწრაფლ მოშორდნენ. გიორგიმ ქართული ენის მცოდნეებთან გამომშვიდო-

ბებაც ვერ მოასწრო. მხოლოდ საერთოდ მოუსადა მათ ქუდი. იგი სტომის დელეგაციასთან ერთად მოედნის შუაგულისკენ მიჰქროდა. აქ გიორგის ექვსმა კაცმა სიტყვა უთხრა. ყოველი სიტყვის გათავებისას დამსწრე საზოგადოების საშინელი ტაშის გრიალი გაისმოდა. შემდეგ უნაზესი მუსიკა გიორგის შამპანიურივით ათრობდა...

გიორგიმ სტომის მოქალაქეებს სტუმართმოყვარეობისათვის ქართულად უღრმესი მადლობა გადაუხადა. გაკვირვება გამოთქვა მათ კულტურულ მიღწევათა გამო და კიდევ უფრო მეტი წინმსვლელობა უსურვა. კიდევ გაისმა მილიონების ძლიერი მარაა და მუსიკის ხმები. ამის შემდეგ გიორგი მთელ ამფითეატრს სპირალისებურად დაუყვა. გიორგის ამა თუ იმ ადგილას გავლა ქარიშხალისებურ ყიჟინას იწვევდა. აეროპლანი ქალებმა ვარდისა და მიხაკის ყვავილებით აავსეს, სოლო ვაჟებმა გამარჯვების შეძახილით. შემდეგ მათ გასწიეს იმ შენობისაკენ, საიდანაც წელან აეროპლანი გამოფრინდა. სიგნალი ბისცეს.

— ზეიმი გათავდა, — თქვა აირამ.

— ასლა ჩვენთან მოსრძანდით, — დაპატიჟა გიორგი ქალაქის კომენდანტმა.

— დიდად გმადლობთ, — და გიორგიმ დაპატიჟება მიიღო. ისინი აივანს მიადგნენ. გიორგის გადასვლა სთხოვეს.

— ცოტა აქ აივანზე მოვიცადოთ, — თქვა გიორგიმ და მოედანს გადასედა. იგი საჩქაროდ იცლებოდა. აეროპლანები, თითქოს სამტროდ, მოედანს კვლავ დაესხნენ და სათითაოდ და ჯგუფ-ჯგუფად ხალხი მტაცებელ ფრინველებივით სადღაც გააქროლეს.

მოედანი სუთ წუთში დაცარიელდა. გიორგი მოგელის სატრიუმფო თაღიც ერთ წუთში დაიშალა. შემდეგ ცირკიც უცებ ზოლ-ზოლად დაირღვა, მისი კედლები ერთმანეთს მოშორდნენ და თავ-თავის სოროში გველური სისინით შეძვრნენ. უზარმაზარი სვეტები მიწაზე ნელა წაიქცა და გიორგის თვალწინ ისევ ის სხვადასხვანაირად მოქარგული ბაღები გადაიშალა.

— სიზმარია, თუ სინამდვილე ყველაფერი ეს? — ჰკითხა გიორგიმ აირას.

ეტყობოდა, აირას გაცინება გულით სურდა, მაგრამ თავი შეიკავა.

— სამსიარულოდ თუ სამწუხაროდ სინამდვილეა, — ღიმილით უპასუხა მან.

დიდ დარბაზში შევიდნენ, გიორგი თითქმის მოიქანცა ღღევანდელი შთაბეჭდილებებით. მას თავი აღარა ჰქონდა ვისმესთვის რაიმე ეკითხა. ქალაქის მორიგე მას სხვადასხვა თემაზე ელაპარაკებოდა, მაგრამ გიორგი მას ყურს ვეღარ უგდებდა. აირამ ეს შეამჩნია, და წინადადება მისცა მას წასულიყვნენ. ისინი მორიგეს გამოემშვიდობნენ, ლიფტით სასწრაფოდ ძირს დაეშვნენ, ქუჩაში შედგნენ და სადღაც გასწიეს.

— სად მივდივართ? — იკითხა გიორგიმ.

— ვისვენებთ და თან ქალაქს ვათვალიერებთ, — უპასუხა აირამ.

სატრანსპორტო მუზეუმი

ამ სეირნობის დროს მათ, თითქოს სხვათა შორის, სატრანსპორტო მუზეუმში შეუხვიეს.

აქ გიორგის ყურადღება მიიპყრო, ჯერ ერთი, ყოველი საგნის შესახებ ავტომატების ამომწურავმა ახსნა-განმარტებამ. ავტომატები რთულ შეკითხვებზედაც სავსებით დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლეოდნენ. შემდეგ გიორგის განცვიფრება გამოიწვია მისი დროის მატარებლების ამ მუზეუმში მოთავსებამ. ისინი დიდი ხნის წინათ არქივს ჩაბარებოდნენ. ერთ დროს კი მათთვის სულერთი იყო დღე და ღამე, დარი თუ ავდარი, შორი და ახლო. ისინი გულშეწუხებული კრუხებივით ბათომიდან არქანგელსკამდის და ვლადივოსტოკიდან ჰავრის ნავსადგურამდის დაჰქაქანობდნენ, ფოლადის მკერდებით სუნოქავდნენ, და ღამე სამთვალიან მოჩვენებასავით იცქირებოდნენ.

მათთვის არ იყო ძილი და მოსვენება.

ახლა კი მოუსვენიათ სამუდამოდ, და გიორგიმ მათ სიბრალულით გადაავლო თვალი.

სატრანსპორტო მუზეუმის დასავლეთით იყო საკმაოდ დი-

დი ტბა. ამ ტბაზე ყოველგვარი ჯურის გემი დაცურავდა. დაწყებული ძველი საბერძნეთისა და ფინიკიის უფრო ადრინდელი ეპოქიდან გათავებული უკანასკნელი ტიპის ელექტრონისა და რადიოს ძალით მოძრავ გემებით.

— შეხედეთ, პატივცემულო გიორგი, — მიმართა აირამ, — ამ ძველ გემებში განსაკუთრებით განირჩევა ეს ეს სასპორტო გემი, — და აირამ მას ერთ-ერთ სასპორტო გემზე მიუთითა — საყურადღებოა ამ გემის მოწყობილობა. ქრონოლოგიურად იგი ეკუთვნის თქვენს შემდგომ სანას, დაახლოებით მეოცე საუკუნის მეორმოცე წლებს, გამომგონებელი დაეყრდნო წყალზე მოძრაობის ბუნებრივ პრინციპს და მან გედის ფეხები კაცს გაუკეთა.

გიორგის გაეცინა:

— აქ საქმე გვაქვს დოსტაქრულ მიღწევასთან, — თქვა მან. — როგორ წარმოვიდგინო ასეთი ოპერაციის ჩატარება?.. ადამიანი გედის ფეხებით. წარმოიდგინეთ რამდენი რამ სასაცილო ხდება ცხოვრებაში! ადამიანი-გედი? რა მშვენიერი სანახავი იქნება? სა, სა, სა, — გადაიხარხარა მან. — მერე მარტო ფეხები ხომ არ ეყოფოდა? საჭირო შეიქნებოდა კიდევ მაღალი ყელი და რაც უმთავრესია ფრთები, და ეს ადამიანისმაგვარი ფრინველი შემდეგ ჰაერში ფრენას დაიწყებდა. მართლაც საინტერესო იქნებოდა.

— ნამდვილი გედის ფეხები კი არ მიუბამს იმას კაცისათვის, არამედ ხელოვნური, — უთხრა აირამ.

— რა თქმა უნდა, მანქანა არა? უკაცრავად. მე ვიხუმრე, — თქვა ბოდიშით გიორგიმ.

— თქვენ, მგონია, გეცოდინებათ ადამიანის ცურვის ტექნიკა? — შეეკითხა მას აირა.

— მე ერთ დროს ცურვაში პირველობაგანი ვიყავი. მიცურავს ისეთ მდინარეებში, როგორიც იყო ჩვენი გიჟი რიონი, ცოფიანი ენგური, წყნარი ვოლგა და ნევა; მიცურავს შავ, კასპიისა და ბალტიის ზღვებში. წარმოიდგინეთ, ხშირად, განსაკუთრებით ზღვებში, მე დავრჩენილვარ ხუთიდან რვა საათზე მეტ სანს წყლიდან ამოუსვლელად. რამდენი ადამიანი გადამირჩენია დახრჩობასა! ვინ მოსთვლის, მახსოვს ერთი ამბავი, გნებავთ მოგიყვებით.

— საინტერესოა, მოყევით.

— გაზაფხული იყო, ტყეში ფრინველები მთელი დღე გალობდნენ, ეს იყო მათი სიყვარულისა და ტრფობის დრო. მალე გუგულიც აპირებდა სოფლისათვის თავის მინებებას და მთაში გაფრენას. ყანებში სიმინდი კურდღლის ბოცორივით ყურებაცქვეტილი გამოიყურებოდა. ქალაქში იასამნის სუნი გვათრობდა, ყოველი ბალახის ამოსვლა სასიამოვნო იყო. მაისმა ჯადოსნური ფერადი ქოლგა გაშალა.

მე მაშინ ქუთაისის ერთ-ერთ სასწავლებელში ვსწავლობდი. მესსოვს, მეთოთხმეტე წელში ვიყავი. წინა დღეებში კოკისპირული წვიმა წამოვიდა. იმ დღეს მზიანი ამინდი დადგა.

ჩვენი სასწავლებელი მდინარის პირას მდებარეობდა. ერთ-ერთ გაკვეთილს ვუსმენდით. უცებ რაღაც ყვირილი შემოგვესმა, მაღე ამ სმამ იმატა, ასე რომ, ასლა გარკვევით გვესმოდა:

„არიქა! დახვდით! უშველეთ!"

„რა ამბავია!" — თქვა მასწავლებელმა და ფანჯრისაკენ გაიხედა.

ერთ წუთში მთელი მოწაფეები ფანჯარასთან მიცვივდნენ და მდინარისკენ ცქერა დაიწყეს. არაფერი არ მოჩანდა, მხოლოდ სიდზე და მდინარის ნაპირას შეკრებილი ხალხის ყვირილი ისმოდა.

„ალბათ, ვინმეს წყალი მოიტაცებდა", — თქვა მასწავლებელმა. საკმარისი იყო ამ სიტყვის წარმოთქმა, რომ ჩვენ, მიუხედავად მასწავლებლის დაშლისა, გაკვეთილი დავტოვეთ და ყვალანი გარეთ გამოვცვივდით. ერთ წუთში ჩვენი ეზო და მდინარის პირი მოწაფეებით გაივსო. მდინარე აღიდებული იყო. მისი ყვითელი ტალღები მრისხანედ მიგორავდა.

გამოირკვა, რომ წყლის ამოსაღებად გამოგზავნილი პატარა ბიჭი მდინარეში გადავარდნილიყო, ფესი ასცდენოდა. საჭირო იყო მისი გადარჩენა, მაგრამ როგორ? ვის ჰქონდა თავი განწირული?

„ბავშვი ისრჩობა! ბავშვი!" — წიოდნენ ქალები, და ამ სმამ გულში ლახვარივით გამიარა.

ტანთ გავიხადე, წყალში გადავეშვი... არ მიფიქრია იმაზე თუ ამ ძლიერ ტალღებს როგორ შევებრძოლებოდი. ჩემმა თავგანწირვამ ნაყოფი გამოიღო. ბავშვი დახრჩობას გადავაჩინე. მდინარესთან ბრძოლამ რამდენიმე წუთს გასტანა და

მე სასწავლებლიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით აღმოვჩნდი. ამ ამბის შემდეგ გმირის სახელი დავიმსახურე. უდიდესი კმაყოფილება განვიცადე, როდესაც მეორე დღეს, სკოლაში მისვლისას, მასწავლებლებმა ხელი ჩამომართვეს, სასწავლებლის გამგემ შუბლში მაკოცა და მითხრა:

„ყოჩაღ, გიორგი, ყოჩაღ! ვინ იცოდა თუ ჩვენს სასწავლებელში ამისთანა გმირი გვყავდა".

წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც ერთ დღეს დირექტორმა ათას მოსწავლესთან ამ რაინდობის აღსანიშნავად პატარა ვერცხლის მედალი გადმომცა. იგი მას წყალზე გადამრჩენ საზოგადოებისაგან მიეღო.

ამ დღიდან ამ მედალს ვინახავდი, როგორც ჩემი პირველი გამარჯვების სიმბოლოს.

— დიას, ადამიანი ცურვის დროს უმთავრესად ხელებითა და ფეხებით მოქმედებდა, — განაგრძო აირამ, — განსაკუთრებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ფეხებს.

გიორგიმ უნებლიედ აირას ჩამოსხმულ ფეხებს შეხედა.

— გამომგონებელმა ეს მოწყობილობა ადამიანს სწორედ ფეხებზე გაუკეთა. თვით აპარატი ძალიან მარტივი იყო. წარმოიდგინეთ, ფეხისგულზე მიმაგრებული ფრთები ან წიგნის ყდა. ეს ფრთები თავისუფლად იხსნებოდა ასოთხმოც გრადუსამდის და იკეცებოდა ოც გრადუსამდის. ცურვაში ამის ხმარება არავითარ სიძნელეს არ იწვევდა, პირიქით, მას შველოდა.

როდესაც კაცი წინ მიდიოდა და ფეხს წყალზე დასარტყამად გაშლიდა, ფრთები ასოთხმოც გრადუსამდის იშლებოდა. ისე რომ, ფეხისგულის სიფართოეს ორჯერ მაინც ადიდებდა, წყლის უფრო მეტ სივრცეს აწვებოდა, ვიდრე მარტო ფეხი და, მაშასადამე, მცურავს საშუალებას აძლევდა ტანი შორს გაეტყორცნა, რადგან დასაყრდენი მეტი ჰქონდა... როდესაც მცურავი ფეხს წინ გასწევდა, მაშინ აპარატი თავისთავად იკუმშებოდა.

— მცურავებს ეს დიდ შეღავათს მისცემდა და ცურვის სისწრაფეს გააძლიერებდა.

— სწორედ ამ პრინციპზეა აგებული აი ეს გემი. გნებავთ, შიგ ჩავსხდეთ და ამ ტბაზე გავისეირნოთ.

ერთ წუთში გიორგი და აირა გემში ჩასხდნენ. გემი ადგი-

ლიდან ისე მოსსლტა, როგორც ფრინველი. გემს უკან გაკეთებული ჰქონდა ნიშბები; ეს ორმაგი ნიშბები ავტომატურად იშლებოდნენ ასოთხმოც გრადუსამდის და იკეცებოდნენ ოც გრადუსამდის. ნიშბები გასაოცარ სისწრაფით მუშაობდნენ.

— მართლაც, ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს გემი ცურავს, — თქვა გიორგიმ და აზვირთებულ ტალღებს თვალი გააყოლა.

— წარმოიდგინეთ, ასეთ სისტემით მოწყობილი გემის სისწრაფე ბევრად აღემატება, თქვენი დროის სრახნილიან გემთა სისწრაფეს.

სტომის ტბაზე კარგა სანს ისეირნეს, შემდეგ გადმოვიდნენ და შინ რადიო-ნავით გასწიეს. ერთ წუთში შინ მივიდნენ და, რადგანაც მალე უნდა დალამებულიყო, ერთმანეთს გამოეთხოვენ.

ბუნებრივაზული ნაბიჯით

მეორე დღეს გიორგი თავის ოთახში დაუიქრებული იჯდა, იგი თითქოს ფანჯარას მისჩერებოდა, მაგრამ მისი ფიქრები ამ გარემოს შორს გასცილებოდა. მის წინაშე გადაშლილიყო ეს ფანტასტიკური ქვეყანა ათასი საოცრებით, იგი თავს ასლადდაბადებულ ბავშვივით გრძნობდა. მისთვის საკვირველი იყო ყველაფერი, რასაც აქ ნახულობდა. უამრავი შთაბეჭდილება მის თავში ერთიმეორეს კინომატოგრაფიული სისწრაფით სცვლიდა.

უცებ მას თითქოს თვალში რაღაც ჩაუვარდა. მისი ოცნება რაღაცამ ბევი ხაზით გასერა. გიორგი ამ ახალ შთაბეჭდილებას დააკვირდა. ბროლის მინასთან ატლასისკაბიანი პეპელა გამოჩნდა. იგი ფანჯარას უაზროდ ესეთქებოდა, გასავალს ეძებდა, მაგრამ უშედეგოდ. ამ პეპელამ შორს წასული გიორგის ფიქრები ისევ ოთახში დააბრუნა. გიორგი თითქოს გამოფხიზლდა, ზეზე წამოდგა და ფანჯრისაკენ წაიწია. მასში თვალი გაასილა დავიწყებულმა ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ.

პეპელა ზევით აფრინდა და გასასვლელის ძებნას შეუდგა. გიორგის მიასლოვებით შეშინებულმა, მან ოთახში რამდენიმე კამარა გააკეთა და ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდა.

ერთი დაძგერება ისეთი ძლიერი იყო, რომ პეპელასთვის საბედისწერო შეიქნა. მას ფრთები და ფესები დაუბიანდა და ძირს ჩამოვარდა.

გიორგი პეპელას დასწვდა, ხელში აიყვანა და მის დაზიანებულ სხეულს დააკვირდა.

ამ დროს კარიოზმაც დააკაკუნა კარებზე.

— მობრძანდით, — გასძახა გიორგიმ.

კარიოზი შემოვიდა და გიორგის ხელში პეპელა შეამჩნია.

— შესედეთ, რა გასაოცარი კაბით არის შემკული? — მიმართა გიორგიმ კარიოზს და მომაკვდავ პეპელაზე მიუთითა.

— ბოდიშს ვიხდი, ამას ბავშვობაში ნუ ჩამომმართმევთ, სიცოცხლე და სიმშვენიერე ყველგან არსებობს, პატარა იქნება ცხოველი თუ დიდი.

— მართალია!

— რამდენი იბრძოლა მან, რამდენი! — განაგრძობდა გიორგი, — გასასვლელს ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა და ახლა, სიმ ხედავთ, უკვე კვდება.

— განა სიკვდილი საკვირველია? — შეეკითხა კარიოზი.

— არა, სრულიადაც არა. სიკვდილი თავის დროზე უნდა მოვიდეს, მაგრამ ნაადრევი სიკვდილი საზიზღარია.

მან მომაკვდავ პეპელას შეხედა და თითქოს თავისთვის თქვა:

— ასეთია ადამიანის ბედიც.

— მაგრამ ჩვენ მაგ მოვლენასაც ვებრძვით და, როგორც დაინახავთ, საკმაოდ ნაყოფიერადაც, — უთხრა კარიოზმა.

გიორგიმ პეპელა ხელიდან გაუშვა, კარიოზის პირდაპირ დაჯდა და ასე მიმართა:

— საინტერესოა იმის გაგება, თუ რა შედეგებს მიაღწია მედიცინამ ამ ათასი წლის განმავლობაში.

გიორგიმ მოინდომა ათასკილომეტრიან ნაპრალში ჩაეხედა. მაგრამ მისი თვალები ძალიან სუსტი გამოდგა. ის ამ ნაპრალში ვერაფერს ვერ ხედავდა გარკვევით. თვითონ კარგად იცოდა თავის დროის მედიცინის მიღწევები. გიორგის სჯეროდა, რომ მედიცინა ამ ათასი წლის განმავლობაში დიდ მწვერვალებს მიაღწევდა, შეიძლება იგი მესურას ან ევერესტს გაუთანასწორდა. ვინ იცის?

კარიოზს ამ კითხვაზე სახე გაუბრწყინდა.

— რა თქმა უნდა, ამ საკითხს ისე, როგორც სხვა საკითხებს, ერთ საუბარში ვერ გავაშუქებთ; ეს მოხდება ჩვენი საუბრების პროცესში თანდათანობით. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მეცნიერებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. დავიწყოთ, თუ გნებავთ, ქირურგიიდან, — მცირე პაუზის შემდეგ თქვა კარიოზმა. — დიდი სენსაცია გამოიწვია ექიმ დარიალის ქირურგიულმა მიღწევამ. ეს ამბავი, რომელზეღაც ასლა ვაპირებ თქვენი ყურადღების შეჩერებას, მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მოხდა. თქვენ გეცოდინებათ, რომ ადამიანის თუ ცხოველის სიკვდილის დროს ყველა ორგანო ერთად არ კვდება. იმ დროს, როდესაც ერთი ორგანო დაიღუპა, მეორეში სიცოცხლე კვლავ ღვივის. საჭირო ა ამ ცოცხალი ორგანოს სხვა სხეულში გადატანა, რომ მან იქ განაგრძოს თავისი ცხოვრება.

— უკაცრავად, ნება მიბოძეთ ამ საკითხზე ჩემი დროის მედიცინის აზრიც მოგახსენოთ, — ბოდიშით ჩამოართვა სიტყვა გიორგიმ.

— ბრძანეთ, — მიმართა კარიოზმა ღიმილით.

— ყველაზე უფრო ადვილად ადგილის გამოცვლას ეგუებოდა ადამიანის კანი, — დაიწყო გიორგიმ, — კანის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის გარდა, ჩვენი დროის მედიცინისათვის ნაცნობი იყო მთელი რიგი სხვა ორგანოების, მაგალითად კუნთების, სისხლის მილებისა და კბილების გადანერგვაც ერთი ორგანიზმიდან მეორესათვის. წარმატებით მთავრდებოდა ზოგიერთი ცხოველისათვის თვალების შეცვლა (მაგალითად, ვირთაგვებისათვის), აგრეთვე თავების გადანერგვა ზოგიერთ მწერებისათვის. ახლა თავები აღადგენდნენ კავშირს მთელ ორგანიზმთან მოქრაობის, სუნთქვის, კვებისა და სხვა ფუნქციებში. სწარმოებდა აგრეთვე გადანერგვა თირკმლების, კუჭისა და სხვ. დიდი ინტერესი გამოიწვია ჩემ დროს მოხდენილმა ცდამ, რაც შემდეგში გამოიყენებოდა: მკვდარი ადამიანის ფეხის ძვალი გადაუნერგეს ცოცხალ ადამიანს და ამ ძვალის შესორცებამ დიდი სიხარული გამოიწვია ყველა ექიმში. ეს ოპერაციები დიდ პერსპექტივებს უხსნიდა მეცნიერებას.

— სწორედ მაგ მიღწევებზე დაეყრდნო ექიმი დარიალიც, — თითქოს გაესარდა კარიოზს გიორგის ნალაპარაკევი, — დარი-

ალმა კარგად იცოდა ასლად მიცვალებულთა გაცოცხლების საიდუმლოება და ამ ნიადაგზე შესანიშნავი ოპერაციით ორი მკვდარი ორგანიზმი ერთ ცოცხალ ორგანიზმად აქცია.

— როგორ? — გიორგი განცვიფრდა.

— რა თქმა უნდა, აჯობებდა ორი მკვდრის ნაცვლად ორი გაეცოცხლებია, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში ორი ადამიანის დაკარგვას ისევ ერთის დაკარგვა სჯობია.

— რასაკვირველია!

— დარიალი იყო უნიჭიერესი დოსტაქარი, — განაგრძო კარიოზმა, — იგი ითვლებოდა ცენტრალურ კლინიკის გამგედ ტფილისში, მოსდა ისე, რომ თითქმის ერთსა და იმავე დროს მოიტანეს ამ საავადმყოფოში ორი დაღუპული ადამიანის გვამი. ერთი გვამი იყო სპორტსმენის და მეორე ინჟინრის (მათი პროფესია შემდეგ გამოირკვა). სპორტსმენს თავის ძვლები სრულებით დაფშვნილი ჰქონდა, მას თავში რაღაც დიდი სიმძიმე დასცემოდა, მთელი ტანი კი უვნებლად გადარჩენოდა. ინჟინერს მუცელი გადაჭრილი და ფეხები სრულებით დამსხვრეული ჰქონდა. თავი კი დაუზიანებელი აღმოჩნდა. დარიალმა მოინდომა ამ ორი დამსხვრეული სხეულისაგან ერთი მთელი კაცის გამოჭრა. მან მოიწვია თანაშემწეები, აუხსნა თავისი მიზანი და საჩქაროდ შეუდგა ოპერაციას. დარიალმა იტვირთა მეტად დიდი საქმე. მან მოინდომა ინჟინრის თავი მოება სპორტსმენის სხეულისათვის. რამდენიმე წუთში მან თავი მოკვეთა ინჟინერსა და სპორტსმენს, მიიტანა ინჟინრის თავი სპორტსმენის სხეულთან და ისე ოსტატურად მიაბა, რომ არა თუ მისი თანაშემწეები, არამედ მთელი საექიმო საზოგადოება განცვიფრებული დარჩა ამ ბრწყინვალე ოპერაციით. შემდეგ, საჭირო იყო ამ მკვდარი სხეულის გაცოცხლება. ეს მან შეძლო განსაკუთრებული ფიზიოლოგიური ხსნარის, დონორებისა და სხვ. საშუალებით. რამდენიმე წუთში ახალმა ადამიანმა დაიწყო მძიმედ სუნთქვა, და ორი კვირის შემდეგ ფეხზე გაიარა. ადვილად წარმოიდგენთ, როგორი დღესასწაული იქნებოდა ეს ამბავი ქირურგიისა და, საერთოდ, მედიცინისათვის.

— მართლაც, შესანიშნავ შედეგისათვის მიულწევია, — თქვა გიორგიმ.

— რა თქმა უნდა, ამას დარიალი ვერ გაბედავდა, რომ შე-

საფერი მაგალითები წინ არ ჰქონოდა, — გამოიცვალა კილო კარიოზმა, — ქირურგიის პირველი დღესასწაული 1975 წელს მოხდა. გამოჩენილმა ექიმმა ჯანიძემ გულის გადატანა მთახერსა მკვდარი ადამიანიდან მომაკვდავ ადამიანის სხეულში. გული გადაიტანა და ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა. ეს იყო პირველი ზეიმი საექიმო მეცნიერებისა. ამას ლოგიკურად მოჰყვა შემდეგი გამაოგნებელი: ორი მკვდარი სხეულიდან ერთი ადამიანის გაცოცხლება ექიმ დარიალის მიერ. ამ ახალ ალეპიასს, რომელიც შემდეგ საუბრებში შეგვხვდება, გვარი გამოუცვალეს და დარიალი უწოდეს. დიას, ეს გასლდათ სილო დარიალი, უდიდესი ინჟინერი მეოცე საუკუნისა, — განაგრძობდა კარიოზი, — მის სახელს ყველა მოქალაქე დღესაც დიდის მოწიწებით ისსენიებს. გეტყვით მხოლოდ, რომ ის იყო უდიდესი და უმშვენიერესი პროექტების ავტორი. მას უწოდებდნენ ინჟინერ-პოეტს. სილო დარიალი შეიქმნა ექიმ დარიალის ხელით, დარიალის გასაოცარი ოსტატობის წყალობით.

როგორც მოგახსენეთ, ორ კვირაზე მან ფესი აიღება. წარმოდგენილი გექნებათ დარიალის მაშინდელი გულის ფეთქა, როგორი სიძლიერით უნდა ეოსწოლოდა მის გულსა და მის ნერვებს სისარული, რომელიც გამოწვეული იყო ეიზნის მიღწევით. რამდენი თვალი შურით შეჰყურებდა ამას, რამდენი აღფრთოვანებითა და მოწიწებით. ერთი თვის შემდეგ სილო დარიალი თავს ისე გრძნობდა, როგორც არასოდეს. იგი გაჯანსაღდა, გაძლიერდა ფიზიკურად და გონებრივად. წინათ თუ იგი ხშირად უჩიოდა სევრასტენიას, მალარიას, ფეხის ტკივილს, თირკმლების ავადმყოფობას და მუდამ კვნესოდა, ახლა სრულებით გაუქრა ამ ავადმყოფობათა ყოველგვარი ნიშანი. რამდენიმე კვირის განმავლობაში სილომ არაფერი არ იცოდა, ახსოვდა ეხოლოდ, რომ იგი ღამე, ქარბუქში, რკინიგზის ლიანდაგით შინისაკენ მიეჩქარებოდა. გზაზე შეუმჩნევლად მატარებელი წამოსწეოდა, მატარებლის პირველი დაკივლებისთანავე სილომ მოინდომა განზე გადასვევა, მაგრამ უეცრად ფესი თოვლში გაუსხლტა და ლიანდაგზე გაიშალა. ყველაფერი დანარჩენი, რაც შემდეგ მოხდა, მისთვის ბურუსით იყო მოცული. ახსოვდა აგრეთვე ის წუთიც, როდესაც პირველად თვალი გაახილა ამ საავადმყოფოში. წინათ, ცოტა

არ იყოს, რაღაც სიმძიმეს გრძნობდა ყელში, კისერში, მაგრამ მალე გაუარა; ალბათ, გავცივდი და ანგინა დამემართაო, — ფიქრობდა. შემდეგ კი სრულიად ჯანმრთელად გრძნობდა თავს. მაგრამ მეტად აოცებდა ტანის შედარებითი სიდიდე, მტკივან ფესვების სიჯანმრთელე, კუნთების არაჩვეულებრივი მოქნილობა, სიძლიერე, და განსაკუთრებული ნიშანი ძუძუს თავზე. პირდაპირ ვერ მიმსვდარიყო, რით იყო გამოწვეული ყოველივე ეს

ერთ დილას პროფესორი დარიალი ექიმების თანხლებით შემოვიდა სილოს ოთახში; ეს ოთახი საკუჭნაოს კამერას ჰგავდა. თეთრ სალათებში გამოწყობილი ექიმები სილოსათვის უცნობი არ იყვნენ. სილოს მობეზრდა საავადმყოფოში წოლა. იგი ოცნებობდა, თუ როდის მოშორდებოდა ამ სულემისა და კარბოლის ხსნარით გაწმენდილ მაგიდებს, შუშებს, ტანსაცმელსა და სხვ.

ერთი თვე სრულდებოდა, რაც სილო ამ ცხენში იყო და ამხნის განმავლობაში არ მისცეს საშუალება თავისი ცოლ-შვილი ენახა. ახლა, როდესაც პროფესორმა მის კამერაში ფეხი შემოდგა, სილომ გადასწყვიტა ეთხოვა საავადმყოფოდან მისი გამოწერა. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა პროფესორს:

„— პატივცემულო პროფესორო! ნუ თუ დიდხანს გასტანს კიდევ ჩემი ტყვეობა. რა დანაშაული მიმიძღვის თქვენს წინაშე, რომ აქამდის არ გამსადეთ ღირსი ჩემი ცოლ-შვილის ნახვისა?

დარიალს გაეცინა და უთხრა:

„— დიახ, სწორედ იმ უდიდესი დანაშაულისათვის სართ თქვენ დასჯილი, რომელიც მე ჩავიდინე. მე მოვკალი კაცი თქვენი გულისათვის“.

„— არ მესმის, თქვენ კაცი მოკალით ჩემი გულისათვის? ვინ? როდის? რატომ?.. მერე, თქვენ კაცი მოკალით და მე უნდა დავისაჯო?.. არ მესმის, არაფერი არ მესმის“. — შეშფოთებულად იმეორებდა იგი.

„— დაწყნარდით, საიდუმლოებას ასლავე გაიგებთ“. — უთხრა პროფესორმა და მხიარულად გაუღიმა.

„— გეევედრებით, ამისსენით, რაშია საქმე. თავი დავანებოთ სუმრობას“, — უთხრა სილომ.

„— თქვენა ხართ ასალი ადამიანი, თქვენ წარმოდგებით სპორტსმენ კ-საგან და ინკეინერ ჩაფიანისაგან“.

„— სპორტსმენი არასოდეს არ ვყოფილვარ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ფესები ბავშობიდანვე დაზიანებული მქონდა“.

„— თქვენ ვერ გაიგეთ. მე გეუბნებით, რომ თქვენი დღევანდელი ორგანიზმი შედგება ორი ადამიანის ორგანიზმის ნაწილებისაგან. თქვენს ორგანიზმში არის სპორტსმენ კ-ის ტანი და ინკეინერ ჩაფიანის თავი. ეს ორი სხეული ჩემის ხელით გაერთიანდა დღევანდელ თქვენს სახეში, ე. ი. თქვენი თავი დავამყენით სპორტსმენის ტანზე და, როგორც ხედავთ, გაისარა“.

„— ჩემი თავი დაამყენით სხვა ადამიანის სხეულზე? — უაზროდ იმეორებდა ამ სიტყვების სილო. მას ვერასგზით ვერ წარმოედგინა ეს ამბავი. — მაშასადამე, მე მოვმკვდარვარ! მაშასადამე, გავუსრესივარ მატარებელს?!“

თქვა მან შეშფოთებით ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მისვდა საქმის გარემოებას.

„— დიას, თქვენი გასრესილი სხეული მოიტანეს ამ საავადმყოფოში. თქვენი ტანი ნაფლეთებად ექცია მატარებელს, თქვენდა იღბლად მხოლოდ თქვენი თავი გადარჩენოდა დამსხვრევას. ეს თავი მიება იმავე დღესვე თავდამსხვრეულ სპორტსმენ კ-ის ტანს და შეიქმენით თქვენ.

სილო დიდხანს იდგა დამუნჯებული. მას უნდოდა შეჩვეოდა ამ სიტყვების აზრს, მაგრამ უჭირდა იმის წარმოდგენა, რომ მისი თავი სხვის ტანს ება. მართლაც, გაიხსენა თავისი ავადმყოფი სხეული, შეადარა თავის ახლანდელ ტანს, გაიხსენა აგრეთვე ძუძუს თავზე განსაკუთრებული ნიშანი, რომელიც ძველად არ ჰქონდა და მისთვის ყველაფერი აშკარა შეიქნა.

„— თქვენ მართალი უნდა იყოთ. მე ჩემს თავს ვეღარ ვსცნობ... — თქვა დაფიქრებულმა სილომ.

„— დიას, თქვენა სართ განასლებული სილო“, — მიუგო პროფესორმა.

სილო სისარულით კინაღამ გაგიჟდა. იგი ეცა პროფესორს და მადლობის ნიშნად ხელზე ემთსვია. ექიმებმა ის დაამშვიდეს.

პროფესორმა სთხოვა სილოს ნასევარი საათით გაჰყოლო-

და უნივერსიტეტში. იგი მიხვდა, რომ დარიალს იგი საღემონსტრაციოდ მიჰყავდა.

სილო წასასვლელად მოემზადა. საავადმყოფოს დერეფანში გამოსვლისას ავადმყოფებმა დარიალს დიდი საზეიმო დემონსტრაცია მოუწყვეს.

მაგრამ საავადმყოფო მათ მალე დასტოვეს და გარეთ გამოვიდნენ. აქ დიდ პროსპექტზე მოგროვილი ხალხი პირდაღებული მისჩერებოდა წითელჯვრიან ლურჯ ავტოს, სადაც, მათი აზრით, იჯდა ადამიანი, რომლის ორგანიზმის შექმნით საექიმო მეცნიერებას ნამდვილი სასწაული მოესდინა. ავტომ ჩქარა გადაუარა ჩელუსკინელთა ხიდს და უნივერსიტეტის კარებს მიადგა. დილის თერთმეტი საათიდან უნივერსიტეტისაკენ ქალაქიდან მიმავალი გზა — ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩები — ხალხით იყო გაჭედილი. იგი ზღვასავით ტორტმანობდა. მოელოდნენ ახალ კაცს, დარიალის ოსტატობის ნაყოფს. ამ საექიმო გამარჯვებას ყველა ერთმანეთს ულოცავდა. აინტერესებდათ იმის გაგება, რამდენად შეეფერებოდა სინამდვილეს ეს ხმები. ბევრს ეს ამბავი მოგონილი ეგონა. დარიალს არ უყვარდა თავის გამარჯვების შესახებ დიდი ხმაური. იგი ყოველთვის განირჩეოდა თავმდაბლობით. რათა დემონსტრაცია თავიდან აეცილებია, მან ავტო ჩელუსკინელთა ხიდიდან უნივერსიტეტის უკანა კარებთან მიიყვანა.

დარიალი და მისი შექმნილი კაცი დიდი გაჭირვებით შეიყვანეს უნივერსიტეტში. ექიმ დარიალის გამოჩენაზე გაისმა აღფრთოვანებული ყიჟინა და ტაში.

„— დაწყნარდით, ამხანაგებო!" — მიმართა კრების თავმჯდომარემ ათი ათასიან აუდიტორიას.

„— ვაშა, ვაშა ექიმ დარიალს!.."

ქარიშხალივით გადაიარა ამ აღელვებულმა ხმებმა უნივერსიტეტის დარბაზიდან ეზოში და ქუჩაში.

„— თქვენ გსურთ იხილოთ ის ადამიანი, რომელიც მე გავაცოცხლე? — გაისმა დარიალის ზარსავით წკრიალა ხმა ამ უზარმაზარ დარბაზში. — აი, შეხედეთ ამ ვაჟკაცს!"

და დარიალმა აუდიტორიის წინაშე სილო გამოიყვანა.

აღელვებულმა ხალხმა დარიალს აღარ დააცალა სიტყვის დამთავრება. იგი ხელში აიტაცეს და დიდხანს ჰაერში ბურთივით ისროდნენ. ბოლოს, როდესაც პროფესორი ხელიდან

გაუშვეს, მან მოკლე სიტყვაში აღნიშნა თავის წინამორბედთა ცდები და განსაკუთრებით ჯანიძის ცდა გულის გადანერგვის დარგში, შემდეგ გადავიდა მის მიერ მოსდენილ თავის ოპერაციაზე, დაახასიათა ამ ოპერაციის მთავარი მომენტები, გაცოცხლებულ ადამიანის მორჩენის სხვადასხვა ეტაპი და ტრიბუნიდან ჩამოვიდა. აღფრთოვანებული ტაშისა და შეძახილისაგან კიდევ ერთხელ შეირხა კედლები. სილო გაშეშებულივით იდგა. ბოლოს, როცა სიწყნარე ჩამოვარდა, მან სიტყვის თქმის უფლება ითხოვა.

„— ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, — დაიწყო სილომ, — დღეიდან ჩემი თავი დარიალის შვილად გამოვაცხადო"... — ეს სიტყვები კვლავ ძლიერმა ტაშმა დაჰფარა, — იმიტომ, რომ მე ვარ სწორედ მისი გასაოცარი ოსტატობის ნაყოფი, მისი გენიალობის შედეგი", — და სილო დარიალისაკენ გაიწია.

„— ვაშა, ვაშა, დარიალს!" — კიდევ გაისმა ქარიშხალისებური ხმები. შემდეგ მთელი დარბაზი ერთი კაცივით ფეხზე წამოდგა ვაშას ძახილით.

ტყილისის საზოგადოებამ იდღესასწაულა საქართველო მეცნიერების ეს უდიდესი გამარჯვება, რომელიც ოქროს ასოებით არის აღნიშნული კაცობრიობის კულტურის ისტორიაში, — დაასრულა მოთხრობა კარიოზმა.

გიორგი გულდასმით ეურს უგდებდა ამ საკვირველ ოპერაციის ისტორიას.

— რამდენად განვითარებულა მედიცინა სამოცი წლის განმავლობაში!

— დიას, ეს ამბავი მოხდა სამოცი წლის შემდეგ თქვენი გარდაცვალებიდან.

— მე მგონია, პროფესორ დარიალს დიდ დახმარებას გაუწევდნენ სილოს გაცოცხლებაში დონორებიც.

— რა თქმა უნდა, დონორებმაც შეუწყვეს ხელი სილოს გაცოცხლებას. მაგრამ ამჟამად არ არის საჭირო სისხლის გამოსაღებად ადამიანის შეწუხება.

— როგორ?

— საჭირო სისხლს დღეს უკვე ამზადებენ ადამიანის ორგანიზმის გარეშე. ამისათვის არსებობს საგანგებო ლაბორატორიები.

— რას ამბობთ?! — გაოცებით შეეკითხა გიორგი.

— სიმართლეს მოგასსენებთ.

— როგორ, ადამიანის ორგანიზმის გარეშე შესაძლებელია არსებობდეს სისხლი?

— დიახ, არის ლაბორატორიები, სადაც ამზადებენ ადამიანისათვის საჭირო უნივერსალურ სისხლს.

— მერე და ამ ხელოვნური სისხლით ჰკვებავენ ორგანიზმს?

— დიახ, ჰკვებავენ.

— არა, პირდაპირ წარმოუდგენელი ამბავია! ადამიანის სისხლს ამზადებენ ადამიანის ორგანიზმის გარეშე, ლაბორატორიაში!

— არა მარტო სისხლს ამზადებენ ჩვენი ლაბორატორიები და ფაბრიკები, არამედ ორგანიზმის ყოველ ნაწილს, ყოველ უჯრედს.

— საოცარია, საოცარი, — თქვა გიორგიმ და ჩაფიქრდა.

— თუ ორგანიზმის რომელიმე ნაწილი დაზიანდა, მაშინ ჩვენი ლაბორატორია, ფაბრიკები გვაწვდიან მას მოთხოვნილებისამებრ. — განაგრძობდა კარიოზი.

— მაშ, ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილების გამოცვლა თუ შეიძლება, სისხლი თუ საკმაოდ გაქვთ და სხვ. თითქმის უკვდავებისათვის მიგიღწევიათ?!

გიორგიმ წყლის დალევა მოინდომა. ბროლის გრაფინს ხელი მოჰკიდა, მაგრამ ცარიელი აღმოჩნდა.

— ასლავე, — უთხრა კარიოზმა და გრაფინი გიორგის გამოართვა.

— ნუ სწუხდებით.

— არაფერია, რომელი წყალი გნებავთ?

— სულერთია.

კარიოზი მალე დაბრუნდა, ჭიქა წყლით აავსო და გიორგის გაუწოდა.

— მაგრამ, — განაგრძო კარიოზმა დაწყებული საუბარი, — მარტო სისხლის განახლებით ადამიანი უკვდავებას ვერ მიაღწევს; მართალია, თქვენ ეპოქასთან შედარებით ახლა ორგანიზმი მეტ ხანს ძლებს, მაგრამ...

— საინტერესოა, რამდენ ხანს ძლებს დღევანდელი ადამიანი? — შეაწყვეტინა გიორგიმ სიტყვა.

— დაახლოებით სამას წლამდის.

— სამას წლამდის?! — გიორგი განცვიფრებით შეაშტერდა კარიოზს და ჭიქა ხელიდან გაუვარდა.

— ბოდიშს ვიხდი, — თქვა მან დარცხვენით.

— ნუ სწუხართ, არაფერია, ახლავე მოვაწმენდინებ .მსახურს.

გიორგის ძლიერ გაუკვირდა ასეთი პასუხი.

— როგორ? მოსამსახურეებიცა გყავთ? — იკითხა მან.

— მაშ, როგორ გგონიათ? — შესაძლებელია, განა, ადამიანმა კმაყოფილებითა და განცხრომით იცხოვროს ისე, რომ ერთი მოსამსახურეც არ ჰყავდეს?

— მე ამჟამად ყოველგვარი მოსამსახურეობისაგან სრულიად თავისუფალი მეგონა ადამიანი. მიკვირს, ძველებური შრომის ექსპლოატაცია რომ დღემდის დარჩენილა.

— პიროვნების სრული თავისუფლება და შრომის ექსპლოატაცია არ უარყოფს ერთი მეორეს.

— კარგად არ მესმის თქვენი აზრი?

— ადამიანის შრომით კი არ ვსარგებლობთ, არამედ მანქანების, — ღიმილით მიუგო კარიოზმა და განაგრძო: — ჩვენ ადამიანის ცხოვრების გასანგრძლივებაზე ვლაპარაკობდით.

— სამასი წელი? სამასი წელი? — გაკვირვებით ეაიმეორა კვლავ რამდენჯერმე გიორგიმ. სამას წლამდის ძლებს დღევანდელი ადამიანის ორგანიზმი?

— დიახ, სამას წლამდის. არსებობს ბევრგვარი სამუალება ადამიანის გაახალგაზრდავებისა. აღმოჩენილია მრავალგვარი ნივთიერება, რომელიც ადამიანის ორგანიზმში იწვევს სისხლის გადახალისებასა და ძვალ-კუნთების განახლებას.

— სისხლით შეგიძლიათ ლაბორატორიებიდან ისარგებლოთ, — ჩაურთო გიორგიმ.

— რა თქმა უნდა, საჭიროების შემთხვევაში. არსებობს ბევრგვარი ქიმიური და ფიზიკური წესი ადამიანის გაახალგაზრდავებისა. აღმოაჩინეს სხვადასხვაგვარი სხივი, რომელიც ამა თუ იმ ავადმყოფობის ბაქტერიებს ანადგურებს და ორგანიზმის განახლებას იწვევს. სიმწიფის ასაკის მიღწევის შემდეგ, ყოველ სამ წელში, სისტემატურად სდება ჩვენი ორგანიზმის გადახალისება. სიბერის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი — სკლეროზი, ჩვენი სხეულის არცერთ ნაწილს არ ახასიათებს 280 წლამდის. ამ ხნიდან კი თანდათან წყდება

ყოველგვარ ავადმყოფობასთან ბრძოლა და ბუნებრივი სიკვდილიც მოახლოვებულია. ამ დროს ადამიანის ორგანიზმი სავსებით დამწიფებულია, დაბერებულია და თავის კანონიერ მომკრეფს უცდის. მაგრამ ეს სიბერე ადამიანს იმგვარი მოხერხებით ეპარება, რომ მისი ორგანიზმი აღარ სთვლის საჭიროდ მასთან შებრძოლებას. ეს პროცესი ისე ბუნებრივად ხდება, როგორც დამწიფებული ვაშლების შემოდგომაზე ხიდან ჩამოცვენა. თქვენ უკვე იცით, რომ ჩვენ დიდისანია შევებრძოლეთ ამ ვაშლის ადრე დამწიფებას, და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ, მაგრამ ეს ვაშლი ოდესმე უნდა დამწიფდეს და თავისით ჩამოვარდეს. რასაკვირველია, ჩვენ მოვსპეთ მრავალი განუკურნავი ავადმყოფობა, როგორც მაგალითად: ჭლექი, კიბო, კეთრი და ათასგვარი ანთებანი და ინფექციები. დღეს ყოველ ადამიანს აქვს იმის სრული გარანტია, რომ ამგვარ ავადმყოფობისაგან დაცული იქნება. ყოველი ადამიანი ცხოვრობს კმაყოფილებაში, საჭმელ-სასმელი არ აკლია და სხვა სიამოვნება, მაგრამ სიკვდილი ძველ მეკვლესავით კაცთან მაინც მოდის. სიკვდილი, რასაკვირველია, სიკვდილია, მაგრამ დღეს მისი გარეგნობა შეცვლილია. იგი ადამიანთან მოდის არა იმ საშინელი სახით — ცელით ხელში, როგორც ეს ჰქონდათ ოდესმე წარმოდგენილი, არამედ ტკბილად მომღიმარი. ჩვენს საზოგადოებაში, ბუნებრივ სიკვდილთან ერთად, არის შემოსვევები უეცარი და შემოსვევითი სიკვდილისა.

გაფენიჭესგა

— მაშასადამე, — დაასკვნა გიორგიმ, — თუ დღევანდელი ადამიანი სამას წლამდის ძლებს, თითქმის უკდავებისათვის მიგიღწევიათ.

— დიდი ხანია სიკვდილი ჩვენთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. საერთოდ, მკვლელობა ჩვენში არ არსებობს, მაგრამ მკვლელობაც რომ იყოს, დანა, სანჯალი და ტყვია ჩვენთვის უშიშარი იარაღი იქნებოდა. ჩვენთვის დასრნობაც არ არის საშიში, რა სახისაც არ უნდა იყოს ის. გვაფრთხობდა მხოლოდ ცეცხლში დაწვა. ორგანიზმის ქიმიურად შეცვლა. მასთან ბრძოლა ჩვენ ძალას აღემატებოდა, თორემ თუ ორ-

განიზმი კიდევ არსებობდა მთლიანად დაუშლელი, მისი აღდგენის გარანტია ჩვენს ხელთ იყო და არის, მაგრამ ახლა ორგანიზმის ქიმიურად დაშლასაც შევებრძოლეთ.

— როგორ? — წამოიძახა გიორგიმ და ადგილიდან წამოიჭრა.

— დღეს მტკიცე საფუძველზე დგას ცდები ადამიანის გაფენიქსებისა.

— გაფენიქსებისა?! — გაოცებით იკითხა გიორგიმ.

— გაფენიქსებისა, — გაიმეორა კარიოზმა.

— ჩემთვის ზღაპრული ამბავია ფენიქსის აღორძინება, და საინტერესოა, თქვენმა მეცნიერებამ როგორ გამოიყენა ეს ზღაპარი?

კარიოზი არ ჩქარობდა.

— თითქმის იმავე აზრით, როგორც ეს ლეგენდაში არის მოთხრობილი.

გიორგიმ ლეგენდა მოიგონა.

— გემახსოვრებათ ეს ძველი, მგონი ეგვიპტური ლეგენდა. ყოველ ხუთას და ათას წელში საბერძნეთის ქალაქ ილიოპოლში ფენიქსი მოფრინდებოდა მამამისის საფლავზე, რომელიც იმყოფებოდა კვერცხის გულში. იჯავრებდა მამას და ბოლოს დაიფერფლებოდა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ განაახლებდა ცხოვრებას ამ ფერფლიდან. ისევ გაფრინდებოდა, კელავ გავიდოდა ხუთასი თუ ათასი წელი, კელავ მოფრინდებოდა და ასე დაუსრულებლად.

— მართალია, — უთხრა კარიოზმა, — მაგრამ ჯერ საჭიროა იცოდეთ, რომ გაფენიქსების იდეა წამოიჭრა მას შემდეგ, როდესაც კაცობრიობამ მიაღწია თქვენთვის წარმოუდგენელ იარაღებისა და, პირველ ყოვლისა, გაუმჯობესებულ მიკროსკოპის გამოგონებას.

გიორგის ეს ამბავი მაინცდამაინც არ გაუკვირდა.

— ჩვენ დროსაც არსებობდა მიკროსკოპები და ტელესკოპები, ჩვენ დროსაც საკმაოდ ვიდიდებდით საგნებს.

— თქვენ დროს ეს დარგი ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხშირად ვერ ამჩნევდით ისეთ რამეს, რასაც უშუალო მიზეზობრივი კავშირი ჰქონდა თქვენ არსებობასთან, და რა იყო იმის იქით, როგორი მიკროსკოპი — ამას ვერ სწვდებოდა თქვენი იარაღები. მაგრამ საკმარისი იყო ადამი-

ანის გინებას ელექტრონის ენერგია გამოეყენებია ამ საქმეში, რომ მთელი ბუნების საიდუმლოება ჩვენთვის ნათელი გამხდარიყო.

გიორგის ეს უკანასკნელი აზრი გაუკვირდა და მოეწონა:

— გასაოცარია, — თქვა მან, — მაშასადამე, ელექტრონით ისე ამუქებთ თვალით უხილავ საგნებს, რომ მათ დასანახავად ხდით?

— რა თქმა უნდა, დასანახავად ვხდით, ობიექტის გადიდებით.

— როგორ?

— ელექტრონის ენერგია თქვენ დროსაც არსებობდა, მაგრამ ყველა მისი თვისება თქვენთვის მიუღწეველი დარჩა. მხოლოდ თქვენ შთამომავლობას ერგო წილად მისი ყოველგვარი საიდუმლოების გაგება და ამ საიდუმლოებათა ღირსეული გამოყენება. განცვიფრება გამოიწვია მაშინდელ კაცობრიობაში ელექტრონის ენერგიის მიკროსკოპიაში გამოყენების იდეამ, იგი ეკუთვნოდა ვინმე კორიელს. კორიელმა ეს იდეა წამოაყენა, მაგრამ პრაქტიკული განხორციელება ვერ შეძლო უეცარი დაღუპვის გამო. საზოგადოებამ მას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და თითქოს დაივიწყა კიდეც. მაგრამ საკმარისი იყო ეროი დიდი გამომგონებლის მიერ ამ საქმისადმი პრაქტიკულად ხელის მოკიდება, რომ ხორცი შეესხა ამ იდეას. ამ გამოგონებით კაცობრიობამ მიაღწია ზღაპრულ შედეგებს. ჯერ ერთი, ამგვარი მიკროსკოპებით შესაძლებელი შეიქმნა არა რამდენიმე ასეულჯერ გადიდება ამა თუ იმ საგნისა, არამედ რამდენიმე მილიონჯერ და კიდევ მეტი. ელექტრონის ენერგია გამოყენებულ იქნა ტელესკოპიაში და თუ დღეს გვაქვს მსოფლიოს სრული სურათი, ამას ზემოხსენებულ გამოგონებას უნდა ვუმადლოდეთ. თუ როგორ არის ეს იარაღები აგებული, ამას ჩვენ შემდეგ ვნახავთ. საგნის გადიდება ამ იარაღებით შესაძლებელია იმგვარად, როგორც შესაძლებელია პატარა სანათის მრავალათასსანთლიან სანათით შეცვალა. ამგვარად, მეცნიერებამ მიაღწია იმ დონეს, როდესაც ელექტრონი გამოიყენა ბუნების საიდუმლოების გამოსაცნობად. ამის შემდეგ აღარ იყო დაფარული საიდუმლოებით ატომისა და ელექტრონის შინაგანი წყობა, ადამიანის ორგანიზმის უჯრედების შენების პროცესი და სხვა. თავი და თავი

ის არის, რომ ამ იარაღის გამოგონების შემდეგ ფარდა ჩამოეხსნა ადამიანის სიცოცხლის საიდუმლოებას: მასსოვრობისა და ნიჭის აქამდის დასურულ კარებს. ფენიქსოლოგია უმთავრესად ამ ინსტრუმენტის გამოგონებასთან არის დაკავშირებული. ფენიქსოლოგები ცდილობენ აღადგინონ ორგანიზმი მთელი თავისი პირვანდელი სახით ცოცხალი მატერიისაგან.

— როგორ ხდება ეგ? როგორ? — კითხულობდა მოუთმენლად გიორგი. და, როგორც ბავშვი, ხარბად მისჩერებოდა კარიოზს. კარიოზი განაგრძობდა:

— დღეს არსებობს ჩვენს საქიმო მუზეუმში ყოველი ადამიანის ტვინისა და მთელი ორგანიზმის სრული სურათი. ამ სურათებზე დაწვრილებით არის აღნიშნული ვის რამდენი და როგორი ნაოჭები აქვს ტვინზე. ამჟამად წარმოებს მუშაობა ორგანიზმის იმგვარად აგებისათვის, როგორც ეს იყო წინათ, უმთავრესად ტვინის ასაგებად. თქვენ მოგეხსენებათ, რომ სიცოცხლის დედა-აზრი ტვინზეა დამყარებული, მაგრამ საქმის სიძნელე ორგანიზმის უჯრედების აგებაში კი არ არის, არამედ უწინდელი ცხოვრების მასსოვრობისა და განცდილის აღდგენაში, ე. ი. ადამიანის უკვდავებაში. ფენიქსოლოგიამ დღეს თითქმის უკვე გაიმარჯვა, მალე არნახული ზეიმის გადახდა მართებს კაცობრიობას. იმედი გვაქვს, რომ შემდეგში მიღწეული იქნება ყველაფერი ის, რაც აქამდის მიუღწევლად მოჩანდა. პირველ ყოვლისა, იმ უსაზღვროდ დაშორებულ ვარსკვლავთა ცხოვრების უშუალო გაცნობა, რომლებამდის მისვლასაც მრავალი თაობის ცხოვრება სჭირდებოდა და აგრეთვე ვინ იცის კიდევ რამდენი რა? შემდეგში უკვე თამამად შეიძლება ადამიანმა დაიტრაბახოს, რომ იგი არის ღმერთი და მსოფლიოს ბატონ-პატრონი.

გიორგი ხარბად იჭერდა კარიოზის თითოეულ სიტყვას, იგი ხედავდა, რომ მეოცდაათე საუკუნის კულტურა მისი დროის ყოველგვარ მიუვალ მწვერვალებს ასცდენოდა. ამ კულტურის წინაშე ადამიანისათვის წინათ უდაბნოდ მიჩნეული ადგილები უმშვენიერეს ბაღებად გადამლილიყო.

გიორგი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო. მას პირდაპირ ვერ წარმოედგინა, თუ ასეთი სასწაული განსორციელდებოდა — ადამიანის უკვდავება, ღმერთობა. მისი დაბალზამების

მეთოდი ფენიქსოლოგიასთან მიკრობად თუ გამოჩნდებოდა, იგი დიდსანს იყო ჩაფიქრებული. ბოლოს გამოერკვა, სიხარულით გული აუტოკდა და აღტაცებით მიმართა კარიოზს:

— ნება მომეცით მივესალმო თქვენს ზღაპრულ გამარჯვებებსა და მიღწევებს საექიმო მეცნიერების დარგში. — და გიორგიმ კარიოზს აღფრთოვანებით ჩამოართვა ხელი.

ადამიანის ფაბრიკა

მთელი დღე გიორგი ადამიანის გაფენიქსებაზე ფიქრობდა. ძილში ესიზმრა:

ოთხ ტანსაცმელში გამოწყობილი კარიოზი მის პირდაპირ დაუდგა. მან იქით-აქეთ მიისედ-მოისედა, თითქოს რაღაცის თქმა უნდა და ვერ გაუბედნიაო.

— თქვით, პატივცემულო კარიოზ, თქვით. — წაათამამა გიორგიმ.

კარიოზმა გიორგის ჰკითხა:

— თქვენ ხომ მოგეხსენებათ მატრიცა?

— მატრიცა? როგორ არა. ერთი მატრიცის სამუშაოებით ორმოცდაათიათასი ცალი გაზეთი იბეჭდებოდა ჩვენს საროტაციო მანქანაზე.

— დიახ, მატრიცა, ადამიანის მატრიცა, — ჩაილაპარაკა კარიოზმა.

— ეგ მეტად საკვირველი ამბავია, — თქვა გიორგიმ და ამ სიტყვებში გამოწვეულ ფიქრს ისე გაედევნა, როგორც ბავშვი პეპელას, — ადამიანის ტვინის ანაბეჭდი! — განცვიფრებით იმეორებდა იგი.

— კიდევ მეტი, მთელი ორგანიზმის.

— მთელი ორგანიზმის?

— დიახ, — მოკლედ მოუჭრა კარიოზმა.

მაგრამ სიტყვა ასე ადვილად არ გათავდა. მოწყვეტილი აღმოჩნდა ათასი ეკვანი. ამ ეკვანთა ერთად დაკავება გიორგიმ ვერ შეძლო, ისინი თავდაღმართზე დაგორდნენ და თავიანთი ჟღარუნით გიორგის ოცნებაც გაიყოლიეს.

მან მრავალ ნაკადს დასაწყისი მისცა.

სიჩუმე ჩამოვარდა... შემდეგ გიორგიმ მდუმარება დაარღვია.

— მატრიცა სომ ფორმის ამსახველია?

— გაუმჯობესებული მატრიცა, ფორმისა და შინაარსის აღმნიშვნელი.

— წარმოვიდგინოთ მთელ ქვეყანაზე რამდენიმე ერთიდაიგივე ადამიანი, ვთქვათ ჰეგელი, პაგანინი, კარიოზი ან გიორგი მოგელი? ხა, ხა, ხა! — გაიცინა გიორგიმ.

— დიახ, შეიძლება.

— არა, მაგას სჯობდა ისევ ჩვენი დრო, როდესაც მილიონ ადამიანში ორ მსგავს პიროვნებასაც იშვიათად შეხვდებოდით.

— შესაძლებელია დედამიწაზე გვყავდეს მილიონობით ჰეგელი და პაგანინი, მაგრამ თქვენ გგონიათ მეორე დღესვე მათში განსხვავება არ აღმოჩნდება?..

— არ ვიცი, ვერ წარმომიდგენია! შეიძლება პიროვნებაში სხვადასხვა გარემომ ოდნავი ცვლილება შეიტანოს, მაგრამ ძირითადად ყოველი პიროვნება გადაუგვარებელი დარჩება, — მიუგო გიორგიმ დაბეჯითებით. თან გაიფიქრა: — „სისულელეა“.

იგი ამის შემდეგ ადამიანის ფაბრიკაში აღმოჩნდა. დაინახა, რომ ადამიანის საროტაციო ქარსანა შეუწყვეტლად მუშაობდა.

გიორგის თვალწინ მან რამდენიმე წუთის განმავლობაში ორმოცდაათიათასი რუსთველი გამოუშვა, შემდეგ ორმოცდაათიათასი ჭავჭავაძე, ბარათაშვილი, ორბელიანი, აკაკი და გიორგი წერეთელები, ჭონქაძე, ნინოშვილი და სხვ. ეს აუარებელი ხალხი შეუჩერებლად სწერდა ერთსა და იმავეს.

— ამდენი ხალხი ერთი და იგივე საქმის გასაკეთებლად საჭირო არ არის, — ბრძანა გიორგიმ და თითქოს ერთი ხელის მოსმით ფერფლად აქცია ყველა ეს მწერალი.

ადამიანის საროტაციო ქარსანა კვლავ მუშაობს. მას მატრიცას განსაზღვრულ დროში უცვლიან. იგი ამჟამად ათასობით უშვებს დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, ვახტანგ VI-ეს, ირაკლი II-ს და სხვა.

გიორგის სრულებით ზედმეტად მიაჩნია ამ, თავის დროზე, საქართველოს უძლიერესს მეფეთა განმეორება.

— არ გვინდა მეფეები! — დააბაკუნა ფეხი გიორგიმ და — თითქოს პაპიროსის ქაღალდისაგან ყოფილიყვნენ გაკეთებული ეს მეფეები — უეცრად გიორგის ბრძანებაზე გაქრნენ.

როტაცია გამალებით მუშაობს. ქვეყანა თითქოს საომრად ემზადება. ათასობით ჩნდებიან სარდლები: ალექსანდრე მაკედონელი, სპარტაკი, ცეზარი, ატილა, ალარიხი, სარგისი და ივანე მხარგრძელი, თემურლენგი, ჩინგის-სანი, ნაპოლეონი გიორგი სააკაძე და სხვები. თვალუწვდენელ მოედნებზე უზარმაზარ კორპუსებად გაიშალა მათი გაათასებული სახეები.

ამ სარდლების გამოჩენა და ქიშპი პირველობისათვის ერთი იყო. ყოველი მათგანი ესწრაფოდა პირველობას. ომების აჩრდილი სინამდვილედ უნდა გადაქცეულიყო. მათი საჭურველისა და ძლიერი ტანის სიმძიმით მინდორ-ველი თრთოდა. ომების მოლოდინში მთანი და კლდენი ირყეოდნენ. დედამიწას ამონის წარმოშობის ისტორია მოელოდა.

მაგრამ გამოჩნდა უეცრად ქვეყნის მსსნელი. ეს იყო გიორგი — დიდი ზევესი. მან ბრძანა:

— ძირს ომი! გაუმარჯოს მშვიდობიანობასო! და ეს ხალხი თითქოს მიწამ ჩაყლაპა.

— დატოვეთ ერთი მათგანი! — დაუმატა მან და გასაქროობად მომზადებულ სპარტაკს სიყვარულით ხელი მოჰსვია.

— გმადლობთ! — მოუბრუნდა მას თავმდაბლად რკინის მუზარადიანი სპარტაკი. ხმალის მაგივრად მან, სალამის ნიშნად, მარჯვენა ხელი ზევით ასწია და გიორგის წინაშე თავი მოწიწებით დახარა:

— მიგულვეთ, ყოველთვის თქვენთან ვიქნები! — წარმოთქვა მან.

— დარჩით, მე თქვენ ყოველთვის პატივს გცემდით, — მიუგო გიორგიმ და სპარტაკს სიამოვნებით შეხედა.

როტაცია პერპეტუუმმობილედ იქცა. კვლავ შეუჩერებლად მუშაობს.

ათასობით ჩნდებიან გამოჩენილი ფილოსოფოსები, ორატორები, ექიმები, ინჟინრები, გამომგონებლები და სხვ.

— ორ-ორის მეტი არაა საჭირო, — ბრძანებს გიორგი.

— ზედმეტი საჭირო არ არის, შეიძლება ვნებაც მოიტანოს! — შემოესმა ძილში გიორგის ვიღაცის ხმა.

გიორგის უცებ ეამოეღვიძა. მან თვალები ამოიფშვნიტა და ზეზე წამოიჭრა.

— უკაცრავად, შეიძლება? — მოესმა მას კარიოზის ხმა.

— ამ წუთში!

გიორგიმ ტანსაცმელი ძალე ჩაიცვა და კარიოზს სიხოვა ოთახში შემოსვლა.

კარიოზი შემოვიდა.მან გიორგის მსიარულად შესედა და უთხრა:

— უკაცრავად, რომ გაგაღვიძეთ, მაგრამ დღეს გაღვიძება მეტად დაგაგვიანდათ. ამიტომ გავბედე თქვენი შეწუხება.

— დიდი მადლობელი ვარ...

— სამადლობელი არაფერია, მე მხოლოდ ჩემი ძოვალეობა შევასრულე. კარებთან აირა შემხვდა, თქვენი ძილის შესახებ იმას ველაპარაკებოდი. ზედმეტმა ძილმა შეიძლება ვნებაც მოგიტანოთ.

— დიახ, მართალია, მართალი. მაგრამ ცუშინდელმა თქვენმა საუბარმა ჩემზე ისე იმოქმედა, რომ თავის დროზე არ დამაძინა. ძილიც სწორედ ამიტომ გამიგრძელდა. სუთ წუთში მზად ვიქნები.

— მაინცდამაინც ნუ აჩქარდებით. ასლა ვიცი, რომ უვნებლად ხართ. შეგიძლიათ მომზადებას ათი წუთიც მოანდომოთ. ამასობაში გაზეთს წავიკითხავ.

კარიოზმა ხალათის ჯიბიდან შაურიანისოდენა ფირფიტა ამოიღო, თეთრი მარაო გადაშალა, წასაკითხავი ინსტრუმენტი მოაწყო და კითხვას შეუდგა.

კარიოზის ზთამოთავლობა ანუ კაცი ინკუბატორიდან

საღამო იყო. გიორგი აივანზე გამოვიდა და ბუნებას დაკვირდა.

ღრუბელი დასავლეთიდან ზანტად მოგორავდა, გზაში ხან უზარმაზარ თოვლიან მთად იქცეოდა, ხან გამჭვირვალე ლეჩაქს დაემსგავსებოდა.

გიდევნებიათ თვალ-ყური ამ ცის ლურჯ მინდორზე ფრთხილი ნაბიჯით მოსიარულე ღრუბლებისათვის?

გასაოცარი მოქანდაკეა ბუნება!

შესედეთ აი ამ ღრუბელს... იგი ცის ტატნობზე იალბუზივით ატყორცნილა. მზე არ მოჩანს, დასავლეთისაკენ გადამალულა. თითქოს დიდი მუშაობით დაღლილ მზეს ფრთები დამსხვრეოდეს და ეთერის უსაზღვრო ოკეანეს ტალღებში უიმედოდ დარჩენილიყოს. მაგრამ მის ამაგს როგორ დაივიწყებს ჩისი შვილი ღრუბელი? აჰა, მას იგი თავის ფარფო ბეჭებზე შეუსვამს და აღმოსავლეთისაკენ მოჰყავს.

შეხედეთ ზეცას, დასტკბით ჰაერში ასულ ღრუბლის ბუმბერაზობით. ეგერ თითქოს თეთრი ლომის თავი მოჩანს, გაშლილი ფაფარი... თათებიც თავის ბრჭყალებით, შემდეგ მას თანდათან მუცელი ისე ებერება, თითქოს წყალმანკი დამართოდეს, თათები მუცელს ეწებება, თავიც სინდიოფალასავით უგრძელდება და შემდეგ ლომიდან მოგონებაღა რჩება.

ეგერ ღრუბლებიდან გამოიკვეთა აკაკი წერეთლის სახე!

ცოცხალი, მოძრავი, თეთრწვერა აკაკი. იგი მაღლიდან, თითქოს კვარცხლბეკიდან, გადმომდგარა და შეკრებილ ხალხს თავის საყვარელ ლექსს უკითხავს:

ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო.

ეს ლექსი ჯერ აკაკიმ ერთ დროს უძღვნა დიმიტრი ყიფიანს. აკაკის აჩრდილი ამ ღრუბლის ტალღებს მოჰყვება; მალე ღრუბლის ტანს უერთდება.

ცოტა ხნის შემდეგ:

ეგერ ხუჭუჭთმიანი, შიშველი, მობანავე აირა. იქნება თქვენ გრცხვენიათ მისი სიშიშვლის, მას ოდნავ არ ერიდება. აჰა, იმან ტანი ღრუბლის მუქი ნაგლეჯით დაიფარა. ალბათ, შერცხვა რომ კარიოზთან ერთად გიორგიც დაინახა.

სად არის ახლა ფიდიუსი ან პრაქსიტელი!

შემდეგ გიორგი კარიოზის სამუშაო ოთახში შევიდა. მისი ყურადღება კედელზე დაკიდებულმა ერთადერთმა სურათმა მიიპყრო.

კარიოზმა ეს შენიშნა, გიორგის მიუბრუნდა, სურათზე მიუთითა და უთხრა:

— გაიცანით, ეს არის დედაჩემი.

გიორგის გაეცინა.

— ვინ? — იკითხა მან.

— აი, სწორედ ეს შენობა არის დედაჩემი, — თქვა კარიოზმა.

— თქვენ ხუმრობთ, — უთხრა გიორგიმ და კარიოზს შეხედა.

— სრულებითაც არა. ეს ზრუნავდა ჩემ გაჩენაზე და პირველ გამოკვებაზე, მე ძის საშოში ჩავისახე. ამ შენობას ჰქვია ევგენიკური ინსტიტუტი, — სერიოზულად უპასუხა კარიოზმა.

— ევგენიკა ხომ მეცნიერებაა, რომელიც ადამიანთა მოდგმის გაუმჯობესებაზე ზრუნავს?

— დიახ.

— მაგრამ რაღა ევგენიკურ ინსტიტუტში დაიბადეთ, განა სამშობიარო'ში არ შეიძლებოდა დედათქვენის წაყვანა? ან შეიძლება უეცრად ავად გახდა და საავადმყოფოში წაყვანა ვეღარ მოასწრეს? — ასკვნიდა გიორგი. — ყოველ შემთხვევაში, დედათქვენი, ალბათ, იმ დროს იქ მუშაობდა, ან შემთხვევითი სტუმარი იყო, არა?

კარიოზმა თავი გააქნია.

— არა, დედაჩემი ცოცხალი აღარ იყო, როდესაც მე დავიბადე.

— მშობიარობის დროს გარდაიცვალა? — შებრალებით იკითხა გიორგიმ. — ასეთი შემთხვევები ხშირად ხდებოდა ჩვენ დროსაც.

— არა, სრულებითაც არა. დედაჩემი მკვდარი იყო ჩემ გაჩენამდე ასი წლით ადრე, ისე როგორც მამაჩემი სამასით ადრე.

გიორგიმ ამ სიტყვებზე ირონიულად გაიღიმა, განზე გაიხედა. ეტყობოდა, რომ კარიოზი მას ეხუმრებოდა ან ატყუებდა.

— ჰმ, ჰმ.

კარიოზი დაჯერებით ლაპარაკობდა. მას გიორგის ეჭვისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია. ეტყობოდა, იგი არ ხუმრობდა. გიორგიმ მოლაპარაკე კარიოზს შეხედა, და გულცივად დააკვირდა. კარიოზი განაგრძობდა. გიორგის გული მოუვიდა, მაგრამ რამდენადაც შეიძლებოდა, ჯერ თავი შეიკავა და კარიოზს ცივად მიახალა:

— არ მესმის! თქვენ სრულებით დამაბნიეთ. ვგონებ ზღაპრებს მიყვებით.

კარიოზმა დაწყნარებით მიუგო:

— ბევრი ზღაპარი თქვენმა მიღწევებმა ხომ სინამდვილედ აქცია, მაგალითად, აეროპლანის, ელექტრონის, რადიოსა და სხვა აღმოჩენა-გამოგონებით?..

გიორგიმ ხელი ნერვულად გაშალა:

— აბა როგორ შეიძლება ცოლ-ქმარის გარდაცვალებიდან ასი-სამასი წელი გავიდეს და შვილი შემდეგ დაიბადოს?! ეს ყოვლად წარმოუდგენელია! ამის დაჯერება სრულებით წარმოუდგენელია, მოქალაქე კარიოზ!

— მოითმინეთ და მალე დარწმუნდებით ჩემი ნათქვამის სინამდვილეში.

კარიოზის ასეთმა აუღელვებელმა ლაპარაკმა გიორგი გააბრაზა, მაგრამ თავი დაიჭირა და კარიოზს ცივად მიმართა:

— არა, პატივცემულო კარიოზ! ისეთ რამეს ნუ მეტყვით, რაც აზრს მოკლებულია და ყოველგვარ ლოგიკას ეწინააღმდეგება. მაშ, როგორ წარმოვიდგინო უდედმამო კაცის გაჩენა, როგორ? ჩვენი ბიბლიური წარმოდგენით არსებობდა ერთი უმამო კაცი — იესო ქრისტე; იგი კაცობრიობამ ღმერთად იწამა და ჩემ დრომდის ეთაყვანებოდა. თქვენ კი ამბობთ, რომ ცოცხალი არც მამა გყოლიათ და არც დედა, და ისე გაჩნდით! ეს ხომ ზღაპარია! ბავშვად ნუ ჩამთვლით. ჩვენც გვქონდა წარმოდგენა ცივილიზაციის გაუმჯობესებაზე. ნუ დაგავიწყდებათ, მოქალაქე კარიოზ, რომ თქვენ საქმე გაქვთ ძველი დროის განათლებულ კაცთან: მედიცინის დოქტორთან, მასწავლებელთან, გამომგონებელთან; თქვენი მიღწევები დიდია, გასაოცარია, მაგრამ რასაც ახლა მეუბნებით გონებას ოდნავ არ უახლოვდება და ნება მიბოძეთ ამაში ეჭვი შევიტანო.

— უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს, საერთოდ, ცოტას ლაპარაკობენ და ბევრს ფიქრობენ და აკეთებენ, — უთხრა დამშვიდებით კარიოზმა. — რადგან ჩემ ნალაპარაკევში ეჭვი შეგაქვთ, გეტყვით მოჭრით: თქვენ ხომ გამოიგონეთ დაბალზამების ხერხი?

— მერე?

— თქვენ ხომ გაძელით მრავალი საუკუნე და დღეს სიცოცხლეს დაუბრუნდით?

— მერე?

— ნუ თუ თქვენ უნდა გიკვირდეთ, რომ თქვენს შემდეგ,

რამდენიმე საუკუნის მანძილზე, კაცობრიობა გამოიყენებდა, თუ გნებავთ, თქვენ აღმოჩენას სხეულის შენახვის დარგში? მერე და ის, რომ ადამიანმა შეიძლო თესლის და კვერცხების შენახვა საუკუნიდან საუკუნემდის და სწორედ ამ თესლის შედეგი მე გახლავართ.

მსოლოდ ამ ერთმა წინადადებამ გიორგი თითქოს გააქვავა. კარიოზის სქელ ტუჩებს შიშითა და მოკრძალებით მიაჩერდა. გიორგის ნიადაგი ფეხქვეშ გამოეცალა, სავარძელში უღონოდ ჩაჯდა, კარიოზს თვალი მოაშორა და, დაფიქრებულმა, თავი ჩაჰკიდა და იატაკს მიაჩერდა, თითქოს ახალი ქვეყნის საოცარი ამბების ასსნა-განმარტება აქ სურდა ამოეკითხა.

ცოტა ხნის შემდეგ მან მაღლა აიხედა, განცვიფრებულმა, პირჯვარი გადაიწერა, თუმცა ღმერთი არასოდეს არ სწამდა; შემდეგ სავარძლიდან ძლივსძლივობით ამოძვრა, კარიოზს ბოდიში მოუსადა და ცსარე სიტყვებისათვის პატიება სთხოვა.

— ნუ სწუხართ, — უპასუხა კარიოზმა, — თქვენ ყველაფერი მოგეტევებათ, გასაკვირველი არ არის, თუ ჩვენი მიღწევები გეუცსოვათ.

— ჩემთვის წარმოუდგენელია, თუ ადამიანი როგორ იბადება უდედოდ, — წარმოთქვა გიორგიმ.

— აი სწორედ მაგისთვის გვაქვს მოწყობილი საგანგებო ინსტიტუტი, მისი შენობაც თქვენ ამ წუთში აქ დაინახეთ. ამ დაწესებულებაში ხდება თესლის შენახვასთან ერთად ხელოვნური განაყოფიერება, ნაყოფის შენახვა და დაბადება, — თქვა წყნარად კარიოზმა.

— თქვენ ისეთ რამისთვის მიგიღწევიათ, რის წარმოდგენას ოცნებაშიც ვერ გაბედავდა ჩვენი დროის კაცობრიობა. საინტერესოა, ერთნაირად ინახება ნაყოფი დედის მუცელსა და თქვენს ლაბორატორიებში თუ არა? — იკითხა ცნობისმოყვარეობით გიორგიმ.

— ბევრად უკეთ, ვიდრე დედის მუცელში.

— მაშ, ქალები ამჟამად შვილის შობისაგან თავისუფალნი ყოფილან, — დაასკვნა თავისებურად გიორგიმ.

— რა თქმა უნდა, შვილის შობას დაეკარგა ის მძიმე და მწარე განცდები, რაც მშობიარობას ასასიათებდა. მაგრამ ქალები შვილის შობისაგან თავისუფალნი სრულებით არ არიან.

შვილის შობა თანამედროვე ქალისათვის უდიდესი დღესასწაულია.

გიორგი ოცნებამ შორს გააფრინა.

— გამრავლების საკითხში სრული თავისუფლებაა, — თქვა კარიოზმა.

— ჩვენი სახელმწიფო ხელს უწყობდა მოსახლეობის გამრავლებას, — დაიწყო გიორგიმ. — იგი ეხმარებოდა მშობლებს, ათასობით ხსნიდა სამშობიაროებს, ბავშვთა ბაგებს, აგებდა თავშესაფრებს, სანატორიუმებს, სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც სწავლა უსასყიდლოდ სწარმოებდა.

— საბჭოთა კავშირში?.. რა თქმა უნდა, — უპასუხა კარიოზმა, — მაგრამ სხვაგან ხომ მასეთი წესი არ ყოფილა? მაშინ თქვენთან საამური ცხოვრება იწყებოდა, თქვენ უკვე სოციალიზმის მიჯნასთან იმყოფებოდით, შვილის ყოლა თქვენ ზედმეტ ტვირთად კი აღარ გეჩვენებოდათ, როგორც ეს იყო კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ სასიამოვნო მოვლენად. ამას გარდა, თქვენ გქონდათ უზარმაზარი ტერიტორია, სადაც კვების ძველ პირობებშიც ათჯერ უფრო მეტ მოსახლეობას დაარჩენდით.

— მოსახლეობის გამრავლება დიდი ხანია აწვალებდა სხვადასხვა სახელმწიფოს. გეცოდინებათ, რომ ამ მიზნით ჩვენი ღროის მუსულმანურ სახელმწიფოებში მრავალცოლიანობასაც კი მიმართავდნენ.

— სიმართლეა, მაგრამ მათ სულ სხვაგვარი მიზანი ასულდგმულებდათ. მათ თავისი ხალხის გამრავლება სურდათ ომებისათვის, მოლოხისათვის, იმისათვის, რომ მეტი მონები ჰყოლოდათ.

— სავსებით სწორი ბრძანდებით, — მიუგო გიორგიმ.

შემდეგ კარიოზმა განაგრძო:

— უცოლოდ ძვირად თუ ვინმე რჩება. მამაკაცები და დედაკაცები სრულებით დამოუკიდებლად ცხოვრობენ. ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე, როგორც მოესურვებათ.

— დიახ, მე გავწნდი ევგენიკურ ინსტიტუტის ჩანასახთა ბანყოფილებაში, — განაგრძო ავტობიოგრაფია კარიოზმა, — თავის დროზე უნიჭიერეს ადამიან ბასესა და ლამაზი ქალის დიანასაგან, ბასე ცხოვრობდა მეოცდახუთე საუკუნეში, დიანა კი მეოცდაშვიდეში. თუ ვინ იყო ბასე, იმას თქვენ მომავალში უკეთ გაიცნობთ, მაგრამ მოკლედ გეტყვით: დღეს ნათლად გარკვეული საპლანეტო გზები თუ არსებობს, უმთავრესად ბასეს უნდა დავუმადლოთ. იმან გაუმჯობესებულ ტელესკოპებამდის სისწორით გამოიკვლია სად, როდის შეიძლებოდა გაფრენა. წინათ კი, საპლანეტო მიმოსვლის დროს, ავარიები სისტემატურად ხდებოდა. ამას გარდა, მას მრავალი უმუშავნია ფიზიკასა და ქიმიაში და დატოვებული აქვს ბეკრი ორიგინალური ნაწარმოები. თავის წინაპრად იგი ასახელებს მეოცე საუკუნის გამოჩენილ ექიმს დარიალს... გარდაცვალებიდან სამასი წლის შემდეგ ბასეს სპერმატოზოიდი შეხვდა ულამაზეს ქალის დიანას კვერცხს და ჩავისახე მე. ცხრა თვის შემდეგ დავიბადე ამ ინსტიტუტის შენობაში. ამიტომ ნამდვილ ჩემ დედად წეღან მე ვახსენე ეგ ინსტიტუტი. იმან ითავა ჩემი განენა, ის ზრუნავდა ჩემზე, იგი მინახავდა, მივლიდა ჩანასახში და იმანვე დამბადა. ასლადდაბადებული გამაგზავნეს საბავშვო ბაგაში, რამდენიმე ხნის შემდეგ ბავშვთა თავშესაფარმა მიმიღო. სამი წლის ვიქნებოდი, როდესაც ლაპარაკი და კითხვა ვისწავლე. ხუთი წლისამ ბევრად მეტი ვიცოდი, ვიდრე თქვენი დროის 10 წლის ყმაწვილმა. იქნება გგონიათ, რომ მარტო მე ვიყავი ამგვარი ნიჭის? არა, სრულებითაც არა!

— საინტერესოა, რამდენი წლის იყავით, როდესაც საშუალო ან უმაღლესი სკოლა დაამთავრეთ.

კარიოზს გაუკვირდა.

— რას ნიშნავს სკოლის დამთავრება? — იკითხა მან და ცნობისმოყვარეობით გიორგის მიაჩერდა.

გიორგი არ მოელოდა ასეთ კითხვას.

— რას ნიშნავს და... ცოდნის მიღებას.

კარიოზი წამით დაფიქრდა.

— აი, ჩვენი სკოლა. — თქვა კარიოზმა და ჰაერი იმგვარად მოხაზა, თითქოს ცა და დედამიწა ხელში დაიჭირაო.

გიორგი ვერ მიხვდა.

კარიოზმა განაგრძო:

— არავითარი სავალდებულო სწავლა არ არსებობს. თვით ცხოვრება მოითხოვს ჩვენგან .მის სხვადასხვა მხარეთა შესწავლას. ამიტომ მუდამ ვსწავლობთ.

კარიოზმა განაგრძო:

— შემდეგ ხელი მოვკიდე ვარსკვლავომრიცხველობას, მერე მედიცინას და ბოლოს ენათმცოდნეობას. მეცნიერების ამ დარგებმა შეიწირეს ჩემი საუკეთესო დღენი, აწი მალე სიბერეც მოვა და მერე ხომ იცით!..

— ჯერ რა უნდა თქვენთან სიბერეს? თქვეს, ჩემი აზრით, არ უნდა იყვეთ ოცდაათ წელზე მეტი ხნისა.

— არ შეიძლება მაგ ციფრი ხუთჯერ გავამრავლოთ? — ღიმილით უთხრა კარიოზმა.

— უკაცრავად, კარგად ვერ გავიგონე, ხუთი მივუმატოთ თუ ხუთჯერ გავამრავლოთ? — იკითხა გიორგიმ.

— უნდა გაამრავლოთ.

— რას ამბობთ? — გიორგი განცვიფრებისაგან ზეზე წამოსტა. — ასორმოცდაათი წლის?.. — თვალიი აწონ-დაწონა იგი. — ნუ თუ თქვენ ასორმოცდაათი წლის ხართ?

— დიახ, ასორმოცდაათის.

გიორგიმ განცვიფრებისაგან უკან დაიხია, და კარიოზს გაკვირვებით დაუწყო თვალიერება.

— მე ვნახე ჩვენში ასორმოცდაათი წლის მოხუცი, — თქვა გიორგიმ ცოტა ხნის შემდეგ. — იგი მთიელი იყო და საქართველოს მთავრობას ესტუმრა თავისი ფეხით. მაგრამ ის იყო ერთად-ერთი ადამიანი არა მარტო ჩვენში, არამედ შეიძლება მთელ მსოფლიოშიც. იგი, ალბათ, სიკვდილმა დაივიწყა. მერე და სად მისი დახავსებული სახე და სად თქვენი, სად მისი თვალები, ფერი და მოძრაობა და სად თქვენი? იმას თქვენ მეექვსე მოდგმად თუ შეეფერებოდით.

— ჩემი ხნის ხალხი დღეს შუახნის კაცებად ითვლებიან. არავითარი სიბერის ნიშნები, როგორც თქვენ თვითონ ხედავთ, არ მემჩნევა და არც მახასიათებს.

— კიდევ დიდსანს იყოვით კარგად! — უსურვა მას ჯანმრთელობა გიორგიმ.

— დიდად ვმადლობთ, — კარიოზმა თავი დახარა.

შემდეგ წამოდგა და გაიარა, თითქოს სურდა გიორგისათვის დაემტკიცებია თავისი ტანის მოქნილობა. გიორგი სიამოვნებით მისჩერებოდა მას. ცოტა ხნის შემდეგ კარიოზმა განაგრძო:

— ჩემი ცოლი, აირა, ჩემზე უადრეს ხანას ეკუთვნის, მაგრამ ჩემზე უფრო ახალგაზრდაა.

გიორგი აირას ხსენებამ ტკბილად ააღელვა.

„აირა კარიოზზე უფროსია? მაშასადამე, ასორმოცდაათ წელზე მეტი ხნის არის? — იფიქრა თავისთვის გიორგიმ. — მერე მისი სახე, ფერი, ძუძუები, კუნთები, გულუბრყვილო ჭიკჭიკი? არა, ეს ყოვლად შეუძლებელია, ამას კი ვერას გზით ვერ დავიჯერებ. აირა თვრამეტ წელზე მეტის არ უნდა იყოს, ცხადია! მაგრამ საჭიროა კარიოზს თითქოს მაინც დავუჯერო ეს ამბავი".

— რასაკვირველია, ეს აგრე იყო ყოველთვის. ზოგი ადრე ხუცდებოდა და ზოგი გვიან. მე მახსოვს, ბევრი ჩემზე ახალგაზრდა ჩემზე უხნესად გამოიყურებოდა. მეორმოცე წელში ვიყავი და, როგორც ხედავთ, თეთრი არა მაქვს გამორეული, ბევრს კი ოცდასუთი წლიდან თეთრი თმები ამშვენებდა. ეს დამოკიდებული იყო, მოდგმასთან ერთად, ცხოვრების სხვადასხვა პირობებზე. ახლა კი ასეთ განსხვავებას, ჩემი აზრით, ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

— რა თქმა უნდა, ნაკლებად, მაგრამ ფაქტი კი ფაქტად რჩება.

— ყოველკვარ მოვლენას აქვს თავისი მიზეზები. თქვენ არ შეიძლება მაგის მიზეზი არ იცოდეთ. მაშასადამე, თქვენ ამბობთ: აირა თქვენზე უხნესია, მაგრამ თქვენზე უფრო ახალგაზრდაა. მე მგონია აქ სიტყვების რაღაც თამაშთან გვაქვს საქმე, თორემ სინამდვილეში ეგ არასოდეს არ იქნება.

— თქვენ ეს არა გჯერათ? — თითქოს გაიცებით ჩაჰკითხა კარიოზმა.

— დიახ, ჩემი აზრით, ეგ ან შეცდომაა, ან სიტყვების თამაში.

— ხა, ხა, ხა, ხა! — გადაიხარხარა გულიანად კარიოზმა.

— რა გაცინებთ? — გაკვირვებით შეეკითხა გიორგი.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თავი ვეღარ შევიკავე... ამასთან დაკავშირებით მინდა გაგახსენოთ მხოლოდ თქვენი ამბავი.

გიორგი ვერც ახლა მიხვდა, მხოლოდ გაურკვევლად თვალებს აცეცებდა.

„რა შუაშია ჩემი გაცოცხლების ამბავი?“ — ფიქრობდა ის.

— გულწრფელად ვაღიარებ, რომ ვერ გავიგე თქვენი სიტყვები.

— რა არის აქ გაურკვეველი? პირადად თქვენ ჩემზე უადრეს ხანას, ე. ი. მეოცე საუკუნეს ეკუთვნით, მაგრამ წლებით ჩემზე ნაკლებ ხანს გიცხოვრიათ.

გიორგის გულს თითქოს მძიმე ლოდი მოშორებოდეს, მან თავისუფლად ამოისუნთქა. თავში სელი შემოიკრა და თქვა:

— როგორ დავკარგე საღი აზროვნების უნარი! რა მემართება?

— არა უშავს რა, — დაამშვიდა კარიოზმა, — მე წელან სწორედ იმაზე გამეცინა, რომ ამტკიცებდით იმას, რასაც თქვენივე ფაქტები ეწინააღმდეგებოდა.

— მე ისე მომივიდა, რომ იტყოდნენ: სესიკას ჩიბუხი პირში ჰქონდა და ჩიბუხს ეძებდაო.

— ასეთი შეცდომისაგან არც ჩვენ ვართ დაზღვეული, — თითქოს ბოდიში მოხადა გიორგის კარიოზმა.

— დიახ, იმას მოგახსენებდით, — დაუბრუნდა წინანდელ საუბარს კარიოზი. — აირა გახლავთ მეოცდაექვსე საუკუნის ქალი და მე კი მეოცდარვესი.

— მაშ, აირა ჩემსავით ყოფილა დაბალზამებული? — დაინტერესდა გიორგი.

— აირამ დაბალზამებას ანაბიოზი, ე. ი. გაყინვა არჩია.

— ანაბიოზი?

— სწორედ ანაბიოზი, და ამ გაყინულ მდგომარეობაში იყო მთელი ოთხასი წლის განმავლობაში იყო. მერე იმგვარად, როგორც, საერთოდ, გაყინული მწერები, ცხოველები და თევზები ცოცხლდებიან, ისიც, თანახმად მისი ანდერძისა, გააცოცხლეს.

კარგა ხანია, რაც გიორგის გამოეღვიძა. მან ხელ-პირი უკვე დაიბანა, აბაზანა მიიღო და ახალ ტანისამოსში გამოეწყო. ძვირფასი სარკის წინ თმას ივარცხნიდა. შემდეგ სავარცხელი მაგიდაზე დადო და ფანჯრიდან ქუჩის მოძრაობას დააკვირდა, თითქოს მისთვის ახლა პირველად შეეხედოს.

მოგონების ფრთებმა იგი უცებ საქართველოს ოდესმე ყოფილ დედაქალაქ მცხეთაში გააფრინა. მწვანე ნაბადმოსხმული მცხეთა ამ ქვეყანას გამუდმებით უანგაროდ ესახურებოდა. ოთხი გზა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ჯვარივით სჭრიდა, ერთიმეორეს სწორედ აქ გადაეჭდობოდა. ყოველ მგზავრს, ვისაც კი საქართველოში შემოსვლა სურდა, მცხეთა უნდა გაევლო.

იმ შემთხვევაში, როდესაც მცხეთას სამტროდ გარსშემორტყმულ ხალხთან გამკლავება გაუჭირდებოდა, მაშინ ამ ოთხ თოკს ისე ძლიერად მოჰქაჩავდა, რომ დარიალის კლდეებიდან არტაანის მთებამდის და ზაქათალიდან შავ ზღვამდის საქართველოს ზარები ერთხმად საგანგაშოდ აგრიალდებოდნენ.

გიორგი ხედავს ამ განგაშის სმაზე როგორ წყდება საქართველოს მინდორ-ველზე მუშაობა. მისჩერებია, თუ ციცაბო კლდეებზე როგორ ეშვებიან ნაჯასებით, ცულითა და ნამგლით შეიარაღებული გლეხები. ისინი მცხეთის დასახმარებლად მორბიან. მესამე საუკუნიდან მცხეთამ წმინდა ნინოს მეოხებით ქრისტიანულ ეკლესიათა გუმბათების ქუდი დაისურა.

და ასე იყო, სანამ — მეხუთე საუკუნეში — ვახტანგ გორგასლანმა სატახტო ქალაქი მცხეთიდან ტფილისში არ გადმოიტანა.

გიორგი ხედავს, რომ საქართველოში თითქოს ძეელად დატოვებულ პომპეუსის ხიდს მტკვარმა გადაუარა და არსენა ოძელაშვილის საფლავს ტალღა სტყორცნა. მტკვარს კარგად ახსოვს, როდესაც არსენამ არაბული ცხენით ახლო მიდამოებს სიმღერით ჩაუარა, მცხეთასთან ფონი გადასჭრა და სადღაც გაჰქრა. მტკვარს ეგონა რომ იგი ნადავლით მალე უკან დაბრუნდებოდა, შაგრამ დახეთ, თურმე იგი მოსტყუვდა. არსენა მცხეთას დარაჯად დასდგომია და ერთი წუთით წასძინებია. მტკვარი ცნობისმოყვარეობით ცერებზე დამდგარა, რომ მძი-

ნარე არსენას შესედოს და ზუმად უკან იხევს სანამ იგი ზაპესის კაშხალს თავს არ მიაჯახებს და შემდეგ მის ტურბინებს გონებაარეული არ დაეძგერება.

მთის კორტოსზე წამოდგმული ჯვარის მონასტერი ამ ამბავს განცვიფრებით მისჩერებია. მას მესუთე საუკუნიდან ნატარები ჯვარი თავიდან მოუსსნია და ადამიანის მარჯვენას შეჰღაღადებს.

ზაპესიდან გიორგის ოცნება საქართველოს სხვა ჰესებზე გადადის.

წარმოიდგენს მომავალ საქართველოს ჰიდროელსადგურებს. ისინი მაღალ მთებს ისრებივით გაჰკვეთენ, რომ მოსახლეობას სინათლე, სითბო და მოძრაობა მისცენ.

გიორგის გული სისარულით ივსება.

ამ დროს კარიოზიც შემოდის, მიესალმება და სავარძელში დაჯდომას აპირებს. გიორგი მას ქუჩებზე მიუთითებს და ეუბნება:

— მე წარმოდგენილიც არა მაქვს, თუ რამდენი ენერგია იქნება საჭირო ამ ქუჩების მოძრაობაში მოსაყვანად. თქვენი ფაბრიკა-ქარხნების ასამუშავებლად, თქვენი განათება-გათბობისათვის.

— დიდი, ძალიან დიდი...

— საწყალი მდინარე არიონი, რამდენ ადგილას მას კისერზე კაშხალები მძიმე უღლად ექნება დადგმული, რამდენჯერ მან რკინის ტურბინებში მწარედ უნდა დაიკვნესოს!

კარიოზს სახე გაეხსნა.

— თქვენ დროს დიდი მუშაობა წარმოებდა იაფი ელექტროენერგიის მისაღებად, — დაიწყო მან. — ამაში მნიშვნელოვან დასმარებას გიწევდათ მდიდარი ბუნება: ჩქარი მდინარეები, მთის მწკერვალებზე მოთავსებული ტბები და ელსადგურების გასაკეთებლად მოხერხებული ადგილები. თეთრ ნახშირს საკმაოდ აგროვებდით. თქვენი ეპოქა იყო ეპოქა დიადი მშენებლობისა. თქვენი დროის სახელმწიფოებრივ სიმდიდრეს სამართლიანად წარმოადგენდა ნავთისა და ქვანახშირის დიდი მარაგი და უზარმაზარი ელსადგურები. დიდი შრომა გეხარჯებოდათ ამ საქმეთა კეთილად დასაგვირგვინებლად. მაგრამ რადგანაც იგი თქვენთვის აუცილებელი იყო, მიზანს მაინც აღწევდით.

— მართალია, — უპასუხა გიორგიმ და კარიოზის პერანგზე მოკიაფე საფირონს მიაჩერდა.

— თქვენი ეპოქა უმთავრესად ელექტრონისა და რადიოს ეპოქა იყო. იცით, ინჟინერმა სილო დარიალმა როგორი წვლილი შეიტანა იაფი ელენერგიის მიღების საქმეში?

— აჰა, მახსოვს, — მოიგონა გიორგიმ სილო დარიალი. — რაგორი?

— თქვენ გეცოდინებათ კავკასიის მთების სიმაღლე, გეცოდინებათ ისიც, რომ ბარისა და ქალაქების ცხოვრებაში ეს მთები თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ.

— დიახ, არ იღებდნენ.

— თითქოს ეს მთები მიწისათვის უცხო სტუმრები ყოფილიყვნენ, ისინი თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილნი სავარძლებში გაუნძრევლად ისხდნენ და მისტიკური თვალებით ზეცას მისჩერებოდნენ. ძვირად, თუ ისინი მიწისაკენ დაიხედავდნენ და თუ დაიხედავდნენ — უსათუოდ რისხვით. დარიალმა გადაწყვიტა მთებიც დაეხმარებია ქვეყნის საქმეთა კეთებაში. დარიალის აზრით, საჭირო იყო მოგვეხადა ის მუდმივი ჩადრი მთებისათვის, რომელიც მათ ნამდვილ სახეს ფარავდა და ამ ჩადრით გვესარგებლებია.

— ესე იგი ყინულით?

— დიახ, ყინულით. საჭირო იყო, მისი აზრით, მთებზე ყინულის გადნობა, მათი წყლად ქცევა და ბარში გადმოსროლა, — ვინ უნდა მოსმარებოდა ამ საქმეში დარიალს? — იკითხა კარიოზმა. — ერთადერთი მზე, მაგრამ მზე ამ ყინულებს ისედაც ხომ ყოველთვის უმზერდა და ადნობდა, შემდეგ ბარს მდინარეებად ევლინებოდა. დნებოდა ყინულთა ქვემო ნაწილი, ზემო ნაწილი კი თითქმის სელუხლებელი რჩებოდა.

— ეს მართალია, — გააწყვეტინა გიორგიმ, — მაგრამ ზემო ნაწილის გასადნობად საჭირო იქნებოდა იმდენი სითბო, რომლის დახარჯვას ვერ აანაზღაურებდა ამ ყინულის გადნობა და ენერგიის მისაღებად გამოყენება.

— დარიალის ზუსტმა გამოანგარიშებამ უარყო მაგ მოსაზრების სისწორე.

და კარიოზი გიორგის მოუყვა, თუ როგორ მოაწყო საქმე სილო დარიალმა:

— ჯერ ერთი, მეტად ძნელი იყო ამ მიზნის შესრულება

იმის გამო, რომ მთებთან ბარი ისე ასლოს არ იყო. და მერე, კიდევაც ახლოც რომ ყოფილიყო, წყლის ჩამოსაშვებად მთის მწვერვალიდან ბარამდე საჭირო იყო უზარმაზარი ტურბინები, რომლებსაც ვერავითარი ლითონი ვერ გაუძლებდა. ყველა ამ სიძნელეთა დაძლევა რამდენად შეიძლო დარიალმა, ამას ახლავე ვნახავთ.

პირველ ყოვლისა, დარიალი დაინტერესდა იდეით, როგორ გაემრავლებია მზის ენერგია მთებზე თოვლის გასადნობად. იგი შეჩერდა ამ საქმეში სოლარიუმის გამოყენებაზე. სოლარიუმის, ანუ მზის ენერგიის შემკრებ აპარატების მოწყობის ცდას მეცნიერები ძველ დროშიც ასდენდნენ, მაგრამ ამ ცდის შედეგები სრულებით უმნიშვნელო იყო. სილო დარიალმა სოლარიუმებით მზის ენერგიის შეკრების საქმე გააუმჯობესა, მაგრამ ეს საქმე ჯერ კიდევ საოანადო სიმაღლეზე ვერ იდგა. მართალია, იმ, შედარებით ჩამორჩენილ, დროში შესაძლებელი იყო ენერგიის შორ მანძილზე რადიო-გადაცემა, მაგრამ საამისო აპარატები ვერ იყო ისე გაუმჯობესებული, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, სილომ შეძლო სოლარიუმის ენერგიის გამოყენებით შორ მანძილზე მდებარე ყინულის გადნობა, მაშასადამე, პირველი და უმთავრესი სიმაგრე აღებული იქნა.

— ერთი მითხარით, ეს ყინულები დაულეველი ხომ არ იყო? ერთხელ ხომ ისინი გადნებოდა? მათ ხელასლა გაჩენამდის საჭირო იქნებოდა, მაშასადამე, მოცდა და საღეურის შეჩერება.

— დაუსრულებელი არაფერია, — თქვა მან, — მაგრამ წყალი რომ ამ სადგურს ყოველთვის საკმაოზე მეტი ჰქონდა, ეს ცხადია.

— საიდან?

— თქვენ ხომ იცით ქარების გაჩენის მიზეზი?

გიორგიმ ქარების გაჩენის მიზეზები გაიხსენა.

— ჩვენი დაკვირვებით, ქარი ჩნდებოდა ჰაერის სხვადასხვა ტემპერატურის ცვალებადობით. მაგალითად, ამა თუ იმ ადგილას ჰაერის ძალიან გახურება გამჩატებული ჰაერის ზეეით აწევასა და მის ადგილზე ცივი ჰაერის მოწოლას იწვევდა. ჰაერის ასეთი ცელილება ქარების გამომწვევ მიზეზად ითვლებოდა. ქარი ტემპერატურის ერთგვარი გამათანაბრებელი იყო.

— სწორედ მაგ მოვლენამ გამოიწვია ამ მდინარის სათავესთან თოვლისა და წყლის მარაგის მუდმივი არსებობა. ამ სიმაღლეზე თოვლის გადნობით გახურებული ჰაერი ზევით იწევდა, მის ადგილას ცივი ქარები ჩნდებოდნენ. ამ ქარებს, შავი ზღვის სიახლოვის გამო, ღრუბლები ბლოკად მოაქონდა. მთის მიახლოებისას ეს ღრუბლები განუწყვეტლივ წვიმად იღვრებოდა და ეს წვიმა ავსებდა იმ დანაკლისს, რომელიც თქვენ წელან ასსენეთ. თქვენ იცით, როდესაც ცეცხლისმფრქვეველი მთა ამოხეთქავდა, მაშინ ბუნება ტირიდა, ეანუწყვეტლივ წვიმდა.

გიორგიმ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— არ მინახავს, მხოლოდ წამიკითხავს, გამიგონია.

— დიას, ყინულების ცეცხლის მოკიდებამ უფრო მეტი ნალექი გამოიწვია და ეს სადგური რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შეუჩერებლად მუშაობდა.

— მაშასადამე, როგორც თქვენი სიტყვებიდან ჩანს, შეძლეს ეს სადგური გაჩერებულა ან გაფუჭებულა, არა?

— წარმოიდგინეთ, რომ არა, იგი კვლავ მრავალ წელს უვნებლად დარჩა, მაგრამ ახალმა დრომ ახალი გამოგონება მოიტანა.

— კიდევ ამ დარგში?

— დიას, დიდი გადატრიალება მოასდინა ღრუბელთა წველამ, — განაგრძო კარიოზმა.

— როგორ თუ ღრუბელთა წველამ?

კარიოზს გაეღიმა და ნახევრად სუმრობით დაიწყო:

— ღრუბელს თქვენი მომდევნო კაცობრიობა სწველიდა დაასლოებით იმგვარად, როგორც თქვენ თხებს, კამეჩებს, ძროხებს.

გიორგიმ ღიმილითვე უპასუხა:

— საინტერესოა, რად სჭირდებოდა კაცობრიობას ღრუბელთა ნაწველი? წყალი ხომ დედამიწაზე თითქმის ყველგან საყოფი იყო და მით უმეტეს საქართველოში.

კარიოზმა სერიოზული სახე მიიღო.

— ადამიანი ეძებდა უფრო იაფ და უსვ ელექტროენერგიის მისაღებ წყალსაც.

გიორგის ცოტა გაუკვირდა.

— კი, მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ღრუბელთა წვეულს ელექტრონთან.

— აი რა: ღრუბლები ყოველთვის მაღლა დაცურავენ. ხანდახან ისინი ორმოცდაათ კილომეტრის სიმაღლეზე არიან მიწის პირიდან დაშორებული.

კარიოზმა აპარატი აამუშავა.

გიორგიმ შეხედა შორიდან რაღაც უზარმაზარი კონუსის მაგვარ სოკოს, რომელიც იქვე დახატულ მთების მწვერვალებზე ბევრად უფრო მაღალი მოჩანდა.

— ეს რა არის? — იკითხა გიორგიმ.

— ეს არის დარიალის მიერ გაუმჯობესებული მეორე ელსადგურის ტურბინა, — აუხსნა კარიოზმა.

ეს ტურბინები ძაბრიან ბოთლს ჩამოჰგავდა. აქ, ამ თოვლიან თავზე ხდებოდა ღრუბლების გამოწველა, ე. ი. ღრუბელთა იმგვარი შეკუმშვა, რომ ისინი თოვლად და წვიმად იღვრებოდა. ეს თოვლი და წვიმა ამ გადაბრუნებული თეთრი ქოლგის ანუ ძაბრის საშუალებით თავს იყრიდა ტურბინაში.

სურათი თანდათან ახლოვდებოდა, მატულობდა, ბოლოს მან რეალურ სიდიდემდის მიაღწია. გიორგიმ ნათლად დაინახა ამ ბუმბერაზ ტურბინის მოცულობა. მისი სიმაღლე შვიდ კილომეტრამდის იქნებოდა, დიამეტრი ერთი კილომეტრი.

თავზე მას თვალუწვდენ ყინულის მინდვრების უზარმაზარი ქუდი ეხურა. ამ მინდვრებზე თოვლი დნებოდა და ღრუბლები იწველებოდა. ეს ნაწველი ამ ტურბინაში ჩადიოდა.

— მაგრამ ამ ზღვაში, ამ შუა ზღვაში როგორ მოაწყვეს ეს ელსადგური? — იკითხა გიორგიმ.

— იგი ააგეს ზღვაში ადგილის ეკონომიისათვის. მართალია, თავისუფალი ადგილები მრავლად მოიპოვებოდა, მაგრამ უფრო მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ამ ელსადგურის [illegible] ზღვაში.

— [illegible] სწორია. მაგრამ სად არის ეს სადგური მოწ[illegible]?

— [illegible] ელსადგური იმყოფებოდა შავ ზღვაში, საქართველოს [illegible], ქ. ბათუმიდან ოცსმოცი კილომეტრის დაშორებულ [illegible] საინტერესო იყო ამ ელსადგურის მუშაობის [illegible].

[illegible] ერთ თითი მიადვა. გამოჩნდა ჰაერში [illegible]

მცურავი თეთრფრთიანი ღრუბლები, როგორც დიდი ფრინველები. ამ ტურბინის თავზე ისინი უეცრად დაეშვნენ. აქ დიდ ველზე გაიშლართნენ და საშინელი ხმით აქუსდნენ. მათი კოკისპირული წვიმა უზარმაზარ მდინარეებად გროვდებოდა ქუდზე, საიდანაც პირდაღებულ ვეება ტურბინაში გამალებით ეშვებოდა.

ქვევით მოთავსებული უზარმაზარი ელექტრომოტორები თავბრუდამხვევი სისწრაფით ბრუნავდნენ.

მზე-სადგურები

— დღეს, როდესაც კაცობრიობამ ბუნების მოვლენათა გამოყენების საქმეში ბევრად წინ წაიწია, — განაგრძობდა დაწყებულ თემაზე ლაპარაკს კარიოზი. — ჩვენი ეპოქა უფრო იაფ და დაულეველ ენერგიაზე გადავიდა. ამაში დიდ დახმარებას გვიწევენ ჩვენი მზის „ყაჩაღები"...

— როგორ? — გაკვირვებით იკითხა გიორგიმ. — ვინ არის მზის ყაჩაღი, ან განა შეიძლება მზეზე ყაჩაღობა?

— შეიძლება და აი როგორ, — დაიწყო ახსნა-განმარტება კარიოზმა, — თქვენ დროსაც არსებობდა ხელოვნური სოლარიუმი. იგი მზის სხივებს იჭერდა, როგორც სმელეთზე, ისე ზღვაში. მას შორ ოკეანებშიც ჰქონდა თავისი ხორთუმები გაწვდილი. დღეს იმდენად გააუმჯობესეს ეს აპარატი, რომ იგი მზისაგან ენერგიას პირდაპირ ყაჩაღურად იტაცებს.

— როგორ?

— ახლავე მოგახსენებთ. ეს ყაჩაღები ატმოსფეროში შორს გაფანტულ სხივებს პირდაპირ ანდამატურად იზიდავენ და, ხომ მოგეხსენებათ, რა ძალის მქონეა ეს სხივები. ამ ყაჩაღებმა საუკუნოდ დაუკარგეს ძველი დროის ინჟინერიის მიღწევებს თავისი ძალა. ყაჩაღების ენერგიასთან შედარებით პატარა მოჩანს უზარმაზარი ელექტროსადგურები, რომლებიც მოქმედებდნენ ქვანახშირის, მდინარეების, ზღვების, ოკეანეების, ქარების, დარიალის ტურბინებისა და სხვათა საშუალებით. ამჟამად ჩვენ გვაქვს დაუსრულებელი ენერგია იმდენად, რამდენადაც დაუსრულებელია კაცობრიობის ცხოვრება და თვით მზის ცხოვრებაც.

ცოტა ხნის ჩაფიქრების შემდეგ გიორგიმ იკითხა:

— რაგორ ძაღლიეთ ამას? საინტერესოა, რას ნარმოადგენს ეს ყაჩაღები? ან რა ნივთიერებაა, მზის სხივებს რომ იტაცებს?

— Tiranium, — უპასუხა კარიოზმა.

გიორგი კვლავ ჩაფიქრდა. ცოტა ხნის შემდეგ მან მიმართა კარიოზს:

— თქვენთვის ცნობილი იქნება მსოფლიოს შემადგენელ ელემენტთა პერიოდიულობის კანონი, რუს მეცნიერის მენდელეევის მიერ დადგენილი. ჩემ დრომდის ოთხმოცდათორმეტი ელემენტი იყო აღმოჩენილი. მე გადავთვალე ყველა ელემენტი, მაგრამ ვერცერთი ვერ მოვძებნე Tiranium-ის სახელწოდების.

— მართალია, ვერ მოძებნიდით, — მიუგო კარიოზმა. უკვე დიდი ხნიდან შემჩნეული იყო, რომ ესა თუ ის ნივთიერება მზის სხივებს ერთგვარად არ იღებდა, — დაიწყო კარიოზმა. — ზოგი მას თითქმის სრულებით არ იკარებდა და ზოგი კი სიხარბით ყლაპავდა. ერთ მშვენიერ დღეს, თქვენი გარდაცვალებიდან, დაახლოვებით, ორასი წლის შემდეგ, იმ საქვეყნო კონცერტში, რომელშიაც ასცხრამეტი სხვადასხვა ელემენტი ღებულობდა მონაწილეობას და რომელსაც ორასი წლის წინათ გარდაცვლილი პროფესორი მენდელეევი ლოტბარობდა, სრულებით მოულოდნელად განსხვავებული სმის მქონე მეასოცე ელემენტი გამოჩნდა. იგი იყო უაღრესად მზის თაყვანისმცემელი და რადგანაც სხვების მოტაცებას არ ერიდებოდა, მას ბერძნულ-ლათინური სახელი Tiranus-ი უწოდეს.

— ასოცი ელემენტისაგან შედგება მსოფლიო? — იკითხა გიორგიმ.

— ბევრად უფრო მეტისაგან, მაგრამ ამაზე შემდეგ, — მოკლედ მოუჭრა კარიოზმა. — ამ ნივთიერების აღმოჩენამ კაცობრიობას შესაძლებლობა მისცა მზის ენერგიის მოტაცებისა. მაგრამ ახლა თვით ამ აპარატს შესედეთ.

გიორგის წინაშე გამოჩნდა წყალი, იგი თითქოს დუღდა, ოხშივარი სქელ ღრუბლებად ასდიოდა. გიორგიმ ამ ღრუბლებში დამაბრმავებელი ლითონის მოედანი გაარჩია მის თავზე მზის სხივების უზარმაზარი მდინარე ცისარტყელების ჩანჩქერებად დაკიდებულიყო. მილიარდი ბრილიანტი მოედ-

ნის მუცელში იკარგებოდა და სამაგიეროდ დაუსრულებლად ასალი ჩნდებოდა.

— რეალურ ფერებში ამ აპარატისა და სსივთა მდინარის ხილვა ყოვლად შეუძლებელია, — თქვა კარიოზმა, — იმიტომ რომ, ვერავითარი თვალი, თუნდ ათასვარი სათვალეებით შეიარაღებული, მას ვერ გაუძლებს. მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება განსაკუთრებული მოწყობილობანი, რომელთა საშუალებით ამ აპარატის მუშაობას ვაწესრიგებთ.

ცოტა ხნის შემდეგ გიორგიმ იკითხა:

— ეს ყაჩაღები რომელ ზღვაში იმყოფებიან, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეკვატორზე იქნებიან, რადგანაც ისინი მზის ენერგიას ეკვატორზე უფრო ბლომად მოაგროვებენ.

— არა, სრულებითაც არა, — მიუგო კარიოზმა. — ეს ყაჩაღები დგანან პოლუსებზე.

— პოლუსებზე? — გაუკვირდა გიორგის. — პოლუსებზე სომ მუდმივი ყინული იყო. ახლა, ვხედავ, პოლუსები გაგიეკვატორებიათ. მაგ ყაჩაღთა დახმარებით ყინული სრულებით გამდნარა. მართალია, თუ არა?

— სწორია, მაგრამ არა ყველგან.

— თქვენი საქმისათვის უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ეს ყაჩაღები მდგარიყვნენ არა პოლუსებზე, არამედ ეკვატორზე?

— არა.

— პოლუსებზე მზის სსივები ნაკლებად არის, ეკვატორზე კი პირდაპირ ყველაფერს წვავს. მე მგონია, ეკვატორზე ეს აპარატები უფრო მეტ სსივებს შეაგროვებდნენ, ვიდრე პოლუსებზე, — თქვა გიორგიმ.

— ჩვენთვის სრულიად საკმარისია მზე-სადგურების მიერ მოწოდებული ენერგია. ეკვატორი და პოლუსი ამ აპარატებისათვის სულ ერთია. განა სისსლი თითიდან არ ამოიწურება? რა საჭიროა მაინცდამაინც მისი გულიდან ამოწურვა?

— მართალია, — უპასუხა გიორგიმ.

— ამ ყაჩაღებმა ხელი შეუწყვეს პოლუსებისა და მთელი დედამიწის ბუნების გამოცვლას. დღეს, მაგალითად, ასალ ზელანდიასა და ფრანც იოსების მიწაზე იმავარიეე ბუნებაა, როგორიც ეკვატორიალურ აფრიკაში, აზიაში და ამერიკაში.

გიორგის გაასსენდა გრენლანდიის ლეღვი და ბანანები, რასაც მას წარსულ ღღეებში სუურაზე სთავაზობდნენ და მის-

თვის ყველაფერი ნათელი შეიქნა. მაგრამ ერთი საკითხი მაინც აფიქრებდა და ისევ კითხვით მიმართა კარიოზს:

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ პოლუსებზე ხომ ყოველთვის მზე არ არის, ექვს თვეს დღეა და ექვს თვეს ღამე?

— ეს მართალია, და სწორედ ამიტომ მზის ყაჩაღები მოწყობილია ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე. როდესაც ერთ ადგილას ბნელა, მეორე ადგილას თენდება. პოლუსების ყოველ მხარეზე ეს აპარატები დგას. ყაჩაღების პირ შეკრებილი ენერგია დანიშნულ ადგილას მოთხოვნილებისამებრ გადაეცემა. ყაჩაღები იმდენ ენერგიას აგროვებენ, რამდენიც კაცობრიობას სჭირდება.

კარიოზმა ლაპარაკი დაასრულა და გიორგის გამოეთხოვა. სადღაც მიეჩქარებოდა. გიორგი ძვირფას მერხზე წამოწვა და თავი ოცნებას მისცა.

„ნეტავი ჩემი გული იყოს მზის ყაჩაღი, რომ მას შეეძლოს იმ მშვენიერი მნათობის მიზიდვა, რომელიც ჩემდა სატანჯველად გაჩენილა“, — ინატრა გიორგიმ და უხილავი ბადე აირასკენ გადაისროლა.

მეორე ქვეყანაში

კარიოზისა და აირას საუბრებში დღეები შეუმჩნევლად მიჰქროდნენ. მაგრამ კალენდარი — დროის ერთგული მოანგარიშე, — დღეთა სირბილს უტყუარად აღნიშნავდა. ერთ დილას, როდესაც გიორგი ზეზე წამოდგა, თავისდაუნებურად ავტომატურ კალენდარს მიაჩერდა. დაინახა, რომ მისი გამოღვიძებიდან ცხრა დღე გასულიყო. მას ეგონა, თუ გუშინ მოევლინა ამ ქვეყანას და ყველაფერი, რაც იცოდა, წუსელი სიზმარში ნახა. კიდევ რამდენი ასეთი სიზმარი უნდა ნახოს გიორგიმ, კიდევ რამდენი საგანია ამ მიწაზე მისთვის ბუნდოვანი და გამოსარკვევი?

კარიოზი და აირა თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ იმაში, თუ რომელი მათ შორის უფრო გასაკვირველ რამეს უჩვენებდა გიორგის.

ამ დილას გიორგის ოთახს ესტუმრა აირა.

აირა, იისფერ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი, კეკლუ-

ცად შემოვიდა და გიორგის პირდაპირ რბილ სავარძელში ჩაჯდა. ცოტა გაბაასების შემდეგ გიორგი მეტად საინტერესო საკითხის გამორკვევას შეუდგა.

— პატივცემულო აირა, — დაიწყო მან, თითქოს თხოვნით, — უკვე მეათე დღე გადის, რაც თქვენს ქვეყანაში ფესი შემოვდგი და ჯერ არ მინახავს თქვენი ფაბრიკა-ქარხნები. ძალიან მაინტერესებს მათი დათვალიერება. ვიცი, ისინი ჩვენ ქარხნებზე უკეთ იქნებიან მოწყობილნი.

— მე და კარიოზს უფრო საყურადღებო საქმედ მიგვაჩნდა თქვენთვის სხვა რამეების ჩვენება. ალბათ, ამით აიხსნება თქვენი სურვილის დაუკმაყოფილებლობა.

— სად გაქვთ ფაბრიკა-ქარხნები გაშენებული?

— ისინი ჩვენგან ახლოს არიან, დაახლოვებით, ორ კილომეტრზე, — უპასუხა აირამ.

— ორ კილომეტრზე? — გაუკვირდა გიორგის.

ამ ქალაქში გიორგის არსად შეუმჩნევია ფაბრიკა-ქარხნები. რომელთა მილებიდან ძველ დროს დღედაღამე განუწყვეტლივ შავი კვამლი ამოდიოდა; ეს ჭვარტლი სულს უხუთავდა მას ისეთ ქალაქებში, როგორიც იყო მის დროს: ქებული ლონდონი, ლენინგრადი, ბაქო და სხვა. ჰაერი სავსე იყო ჭვარტლით.

— თუ ძალიან გაინტერესებთ მათი ნახვა — წავიდეთ, — თქვა აირამ.

— დიდი მადლობელი ვიქნები, თუ მაჩვენებთ.

აირა და გიორგი წასასვლელად მოემზადნენ. გარეთ გამოვიდნენ და კიბესთან გაკეთებულ ლიფტში ჩასხდნენ.

გიორგის გაუკვირდა, თუ რა საჭირო იყო ლიფტში ჩაჯდომა, როდესაც კიბითაც მალე ჩავიდოდნენ, მაგრამ არაფერი თქვა. აირამ თითი დააჭირა ლიფტის რომელიღაც ნომერს და ისინი სწრაფად დაეშვნენ ქვევით. რამდენიმე წუთის შემდეგ ლიფტი გაჩერდა და ისინი გარეთ გამოვიდნენ. გიორგიმ გარემოს მიმოავლო თვალი და საშინლად გაოცდა. მას ეგონა, რომ დაინახავდა კარიოზის სახლის ეზოს, ყვავილებს, ხეებს, მაგრამ მან სულ სხვა ეზოები, სხვა მცენარეულობა და სხვა სახლები დაინახა.

— სადა ვართ? — იკითხა ასლადგამოღვიძებულივით გიორგიმ.

— მეორე სტომში, — უპასუხა აირამ.

— სტომი ხომ ერთია მთელ დედამიწაზე? — გაოცებით წამოიძახა გიორგიმ.

— ერთია, მაგრამ მეორე პირი აქვს. — უპასუხა ლაკონიურად აირამ.

— როგორ თუ მეორე პირი?

— ისე როგორც თქვენი დროის ფულს ან მედალს.

გიორგის აწვალებდა მეორე სტომის ადგილმდებარეობის საკითხი. სტომი ერთი ყოფილა, მაგრამ ორპირიანი! რას ნიშნავს ეს როგორ შეიძლება ამის გაგება?

— სტომი ხომ უბრალო ნივთი არ არის, რომ იგი ფულივით შეატრიალო?

— სწორედ ფულის მაგვარია და თუ არ არის, თქვენ თვითონ დაათვალიერეთ და თქვით.

— ჩვენ მიწაში ჩავეშვით? — კითხულობდა განცვიფრებული გიორგი.

— დიახ, სწორედ მიწაშია ეს მეორე სტომი თავის ფაბრიკა-ქარხნებითა და მრავალი ექსპერიმენტალური სადგურით; ეს დაწესებულებანი ზედა სტომში ვერ თავსდება.

გიორგიმ თვალი კარგად გაახილა: გარშემო, ზევითა და ქვევით მიმოიხედა, — კიდევ უფრო გაოცდა: მან ზევით იგივე ცა და მზე დაინახა, მიწაზე — იგივე მცენარეულობა, რაც ზევით, იმგვარივე ქუჩები, როგორც სტომში იმგვარივე, მაგრამ უზარმაზარი, უკედლო სახლები და სხვა.

— აქ გარეგნულად იგივე მდგომარეობაა, რაც მიწის ზევით; — აუხსნა აირამ, — განსხვავება იმაშია, რომ აქ უბრალო თვალით ვერ იხილავთ თქვენთვის ნაცნობ მოწმენდილ ღამეებს, მოკაშკაშე ვარსკვლავებსა და ყვითელ მთვარეს. ეს ქალაქი, როგორც ხედავთ, მიწაშია ჩამარხული. ამაშია უმთავრესი განსხვავება ქვემო სტომსა და ზემო სტომს შორის. აქაური სიბნელე უარესი უნდა ყოფილიყო მიწის ზევით არსებულ სიბნელეზე, მაგრამ აქ არასოდეს არ ბნელა. აქ მუდამ მუშაობენ. აქ არის უდიდესი ქარხნები და ფაბრიკები. ისინი ამზადებენ ყველაფერს, რაც სჭირდება სტომის მოქალაქეებს.

გიორგი მიხვდა საქმის გარემოებას.

— კარგი, მაგრამ როგორ შეძელით ფაბრიკა-ქარხნების ამ მიწის გულში მოწყობა? რამდენი შრომა დასჭირდებოდა ამ

ხელოვნურ გვირაბის ეათხრას? ან იქნებ ეს გვირაბი ბუნებრივად არსებობდა ამონის გაჩენიდან?

— არა, ეგ გვირაბი არის ჩვენი შრომისა და ოსტატობის ნაყოფი. შეხედეთ ამ უზარმაზარ ფაბრიკა-ქალაქს.

— ეტყობა, ძალიან დიდ სივრცეზე უნდა იყოს ეს ქალაქი გადაჭიმული.

— დიახ, ამ გვირაბის სიმაღლე კი დაახლოებით ერთ კილომეტრს უდრის, — განაგრძობდა აირა.

გიორგის აკვირვებდა ამ ადგილზე ქალაქის მოწყობა, მისი გარეგანი და შინაგანი მხარე. იგი აირას წამდაუწუმ შეკითხვებს აძლევდა.

— თქვენ წელან თქვით, რომ ფაბრიკა-ქარხნები ჩვენგან, დაახლოვებით, ორ კილომეტრზე იმყოფებიანო. მაშასადამე, ჩვენ ამჟამად ვყოფილვართ მიწის ზედაპირიდან, დაახლოვებით, ორ კილომეტრზე. რად არ გეშინიათ, ჯერ ერთი იმის, რომ ოდესმე ზედა სტომი მსხვერპლი გასდება ქვედა სტომში ჩაქცევისა?

— ასეთი შიში სრულებით უსაფუძვლოა, რაც დაამტკიცა მრავალმა მიწის ძვრამ და ქვედა სტომში მოხდენილმა აფეთქებამ. ეს გამორკვეული იყო თავიდანვე, როდესაც ამ ქალაქის გაკეთების იდეა დაიბადა. ამის პროექტი შემუშავებული იყო ვამოჩენილ ინჟინრების მიერ. ქალაქი აგებულია ჩვენი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ცის ჭერი ისეა შეკრული, რომ მას ვერავითარი სიმძიმე ვერ ჩამოანგრევს. ეს არის, თუ გნებავთ, ჩვენი დიდი სამუშაო ოთახი, — უთხრა აირამ.

— კარგი ოთახია, თქმა არ უნდა, — ხუმრობით თქვა გიორგიმ.

აირას ღიმილით ბაგე გაეხსნა.

— რაც არ უნდა იყოს, მიწის ამ სიღრმეში ადამიანის ჩაყვანა დასჯას უდრის. — ჩაილაპარაკა თითქოს თავისთვის გიორგიმ.

— თანამედროვე ხანისათვის, განა, სიძნელეს წარმოადგენს ჰაერის იმგვარი შეზავება, რომ ის ადამიანთა ჯანმრთელობისათვის მისაღები და მოსახდენი იყოს?

— მაშასადამე, ამ ქალაქში ატმოსფერო იმგვარივეა, როგორც ზედა სტომში?

— დიახ!

გიორგი დადუმდა. მაგრამ ერთი წამით.

— მაოცებს მშვენიერი ბაღები და ყვავილნარები ამ დედამიწის გულში, — თქვა მან და აღფრთოვანებული თვალები ამ ასალსა და საოცარ მიწის ფლორას მიაპყრო.

— სადაც ძუ არის, იქ ყველგან ცხოვრებაა, სადაც არის ცხოვრება, იქ ხალისია... გნებავთ, შევისვენოთ აი იმ ბაღში? — და აირამ ერთ მშვენიერ ბაღზე მიუთითა.

— დიდი სიამოვნებით.

ბაღში შეუსვიეს. ბაღი მშვენიერი ძეგლებით იყო მორთული. გარეული ცხოველები აქა-იქ თითქოს მსხვერპლს უცდიდნენ, მაგრამ სანამდვილეში უმეტესი მათგანი არ იძროდა. წყლიდან ამოსული პოლარული ლომი და ძაღლი ერთმანეთის მეგობრულად უცქეროდნენ. აქვე იყო ცოცხალი შიმპანზე, კენგურუ, ყანჩები და სხვ.

— ასეთი მშვენიერი ბაღი, მგონი თვით სტოკშიაც არ იქნება, — თქვა გიორგიმ.

— კარგი ბაღია, არა უშავს, — დაუდასტურა აირამ.

ისინი ცისფერ სავარძლებში ჩასხდნენ და გარემოს დაუწყეს ცქერა.

— მშვენიერი შადრევნებია. შეხედეთ, ამ ხის ტოტებზე რამდენი ჩიტი ტკბილად გალობს! ბულბულები უნდა იყვნენ, — და გიორგიმ აირას ერთ ვარდის ბუჩქზე მიუთითა. — წარმოიდგინეთ, ქალაქ სტოკში არცერთი პატარა ფრინველი არ მინახავს.

— სტოკში ბევრია ფრინველი, მაგრამ თქვენი ყურადღება სხვა რამეებით უფრო იყო გატაცებული და ფრინველები ვერ შეამჩნიეთ, — უთხრა აირამ.

— არ ვიცი, შესაძლებელია.

— აქ მრავალი საცდელი სადგურია. ეს ფრინველები, რამდენადაც ვიცი, ეკუთვნის ცნობილ მეფრინველე ნორელს, — თქვა აირამ. — მას, როგორც გაზეთიდან ვიცი, დასასული აქვს დიდი მნიშვნელობის მეცნიერული მიზანი. მან შეისწავლა წვრილი ფრინველების ტვინი და სულიერი მდგომარეობა; შეისწავლა მათი კრიმანჭულებიც: როდესაც ნორელი სტვენს, ბულბულის გალობაში ვერ გამოარჩევთ.

გიორგი დააკვირდა ამ ფრინველთა გალობას და მის გაო-

ცეპას საზღვარი არ ჰქონდა: მთელი გუნდი სხვადასხვა სმით, მაკრამ შეწყობილად ერთ რაღაცას გალობდა.

— გუნდი გალობს, გუნდი! — წამოიძახა გიორგიმ.

— ეს ნორელის სასწაულია! — თქვა აირამ.

ცეცხლის მოახლოება

აირამ ნაზად გადახედა გიორგის.

გიორგის ტანში თითქოს ცეცხლმა დაუარა.

ეს ცეცხლი დაინთო გიორგის გულში აირას პირველი შეხედვიდანვე. გიორგის უნდოდა ამ გრძნობის როგორმე თავიდან მოშორება, მისი ჩაკვლა. ეს მან ვერ შეძლო. გიორგი ატყობს, რომ ეს გრძნობა დღითიდღე იზრდება. ეს გარეგნობა აკვირვებს მას. რამ დაურღვია სულის სიმშვიდე? წინათ, ძველ ცხოვრებაში, არასოდეს ასეთი გახელება არ სცოდნია, ახლა კი რამ იმოქმედა ასეთი სიძლიერით მასზე? არასოდეს არ გიუდებოდა მაინცადამაინც ქალების გულისათვის და ბოლო ხანებში გულგრილად უცქეროდა მათ. იქნებ განახლებულმა ცხოვრებამ მოახდინა მასზე გავლენა? როგორ უნდა მოიქცეს იგი, სად უნდა წავიდეს? ვის უნდა გაუმჟღავნოს თავისი გულის ტკივილი? ყველა გზა მისთვის ჯერჯერობით დახშულია. ამ ახალ ქვეყანაში არავის არ იცნობს. რა კარგია ასეთ შემთხვევაში კაცს რომ ჰყავდეს გულითადი მეგობარი, რომელიც გაიზიარებს შენ გულის ტკივილს. მაგრამ სად არის ასეთი მეგობარი? ამ ახალსა და დიდ ქვეყანაში ტანჯვაც მეტი ყოფილა, — ფიქრობს ის.

აირას სახე მას განუწყვეტლივ აჩრდილივით დასდევს. იგი ტკივნს უმღვრევს და მოსვენებას არ აძლევს. კარიოზი შესანიშნავი კაცია. კარიოზი რომ არ გამოსჩენოდა გიორგის — იგი უტარო დანასავით დაიკარგებოდა ამ ახალსა და უზარმაზარ ქვეყანაში, სადმე გაიჭყლიტებოდა ან დაიწვებოდა. მერმე და მისი ცოლის სიყვარულზე...

გიორგის აზრები ამ სიტყვებზე წყდებოდა. თმაში ხელს ივლებდა და თავის ოთახში მოუსვენრად დადიოდა. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი არ ჩანდა. ახლა თითქოს დადგა ამ საკითხის გადაჭრის მომენტი. გიორგი ატყობს, რომ ქარიშხა-

ლი მოდის, მაგრამ როგორ გაუძლოს მის შემოტევას? ქარიშ-
სალი ყველაფერს წალეკს, მაგრამ მეგობრობა? მფარველო-
ბა? დასსსა? მეგობრობის გულისათვის ძველი ადამიანები
თავს სდებდნენ, სიცოცხლეს სწირავდნენ. მას პოეტები შეა-
ქებდნენ და მომღერლები უგალობდნენ. გაისსენა რუსთველის
გმირები: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, მათი უმწიკ-
ვლო მეგობრობა, მათი სულის კეთილშობილება გიორგისთან
ერთად მრავალს ხიბლავდა.

„ის, რაც ზნეობრივ საკითხში მიუღებელი იყო ჩემ დროს
და ჩემზე ადრინდელ ხანებში, დღესაც მიუღებელი იქნება, —
ფიქრობს თავისთვის გიორგი. — მართალია, სხვადასხვა გა-
რემოებათა გამო პირობები რაიმეგვარად შეიცვლებოდა, მაგ-
რამ სიყვარული, კარიოზის თქმით, ხანგრძლივად არსებულა.
უსიყვარულოდ სომ ცხოვრება თავის აზრსა და მიმზიდველო-
ბას ჰკარგავს, უსიყვარულოდ ცხოვრება არარაობა იქნება;
ვის რად უნდა სახელი და უკვდავება უსიყვარულოდ?"

— რად სდუმხართ?

გიორგი აირას სიტყვებმა წამით გამოაფხიზლა და თავი
ისევ გრძნობათა და ფიქრთა ტალღებს მისცა. იგი ხედავს, რომ
აქედან ცოცხალი ვეღარ გამოვა, რომ მას უეჭველად დაღუპვა
მოელის.

მაგრამ რა ჰქნას? მის მიკროსკოპულ მკლავებს როგორ შე-
უძლია გაუძლოს ამ რკინის დამმსსვრევი ტალღების მოწო-
ლას, მათთან შებრძოლებას? ხედავს, რომ რაც წინათ ურყე-
ვად მიაჩნდა, დღეს მის თვალწინ იმსხვრევა, ილეწება.

— რა უფრო მოგწონთ ჩვენს სტომში, რა უფრო გიყ-
ვართ? — მოულოდნელად ჰკითხა აირამ.

— სიყვარულით მე თქვენ ქვეყანაში ბევრი რამ მიყვარს,
ბევრი რამ მსიბლავს, მაგრამ სელს მიშლის თქვენი ქვეყნის
მრავალფეროვნება და დიდკულტუროსნობა. მას ოდნავად
მაინც უნდა მივუახლოვდე და შევისწავლო, რათა შემდეგ ჩემს
არსებაში სიყვარულის გრძნობა გაიშალოს უსაზღვროებამ-
დის, — წარმოთქვა ტრაგიკული ხმით გიორგიმ.

— არაფერი მესმის... — თქვა ნახევრად უაზროდ აირამ და
თავი ჩაჰკიდა.

გიორგი თითქოს გადაურჩა ქარიშხალის პირველ შემოტე-
ვას, მაგრამ დიდი ხნით?

ცოტა ხნის შემდეგ აირა და გიორგი წამოდგნენ და დაუბრებულებივით ხმაამოუღებლივ ბაღიდან გამოვიდნენ. შედგნენ ერთ ქუჩაზე, და გასწიეს ფაბრიკებისაკენ. გზაზე მათ შორის საუბარი კვლავ გამოცოცხლდა. მალე ერთ უზარმაზარ შენობას მიუახლოვდნენ, ქუჩიდან გადმოვიდნენ და შენობისაკენ გასწიეს.

— ეს შენობები ჩვენს სასმობებს მაგონებს. ისინიც ასე უკედლო იყვნენ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ფაბრიკა-ქარხნებისათვის დასურული კედელი აჯობებდა, — თქვა გიორგიმ.

— მიწის სიღრმეში, სადაც არ არის არც ძლიერი ქარი, არც დიდი წვიმა და სიცივე, კედლიანი შენობა ზედმეტია, — უპასუხა აირამ.

— კი, მაგრამ კედელი არა მარტო მაგ ბუნებრივ მოვლენათა წინააღმდეგ არის საჭირო! ის შეანელებს მანქანათა ხმაურობასაც.

— ჩვენი მანქანები სრულებით არ ხმაურობენ, აბა ყური კარგად დაუგდეთ?

გიორგი დააკვირდა. მანქანების არავითარი ხმაური არ ისმოდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკვე რაღაც ფაბრიკის ეზოში შევიდნენ.

— საოცარია! — თქვა გიორგიმ. — წარმოიდგინეთ, მე აქამდის არ მიმიქცევია ყურადღება ამისათვის. ისეთ შეკრულ დიდ ოთახში, როგორსაც წარმოადგენს თქვენი მეორე სტოში, მანქანების მოძრაობისაგან ისეთი ძლიერი ხმაური უნდა იყოს, რომ აქ არა თუ ფრინველთა გალობა, არამედ ულიღესი ყუბარის აფეთქებაც არ უნდა ისმოდეს.

— მართალია, მაგრამ გვაქვს ამ ხმების შემრბილებელი საშუალებანი.

და შემდეგ განაგრძო:

— ჩვენ ამჟამად ვესტუმრებით ერთ-ერთ საქსოვ ფაბრიკას.

— ვნასოთ, საინტერესოა.

— მაგრამ ყველაფრის დათვალიერებას დღეს ვერ მოვასწრებთ.

— გთხოვთ მაჩვენოთ უმთავრესი, რაც თქვენ ფაბრიკებს ახასიათებს.

ცოტა სნის შემდეგ ფაბრიკის კიბეს მიუახლოვდნენ.

— მე დარწმუნებული ვარ, თქვენთვის ნაცნობი იქნება, თუნდაც დაახლოებით, ქსოვის ტექნიკა, — მიმართა გიორგის აირამ.

— ვიცნობ ოდნავად.

— მთავარი, რაც ახასიათებს ჩვენ ფაბრიკა-ქარხნებს, ეს არის მიწის მეტამორფოზა, მიწის ცვლილება.

— რას ნიშნავს მიწის მეტამორფოზა, ან რა შუაშია მიწა ამ ფაბრიკის მუშაობასთან?

— არა მარტო შუაში, არამედ მას მთავარი ადგილი უჭირავს. მიწა აწვდის ამ ფაბრიკას ნედლეულს.

— ნედლეულს? — გაიცინა გიორგიმ.

— წარმოიდგინეთ, განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს ჩვენ ფაბრიკებსა და მიწას შორის, სრულიად განსხვავებული, ვიდრე თქვენ შეგეძლოთ წარმოგედგინათ.

გიორგი უცებ შეჩერდა. ამ სიტყვებს დაუფიქრდა და შემდეგ აირას ჰკითხა:

— ნედლეულის მიწოდების მსრივ? რას ქსოვს ეს ფაბრიკა? შალეულს, ჩითეულს, აბრეშუმს თუ სხვას?

— აი, ამგვარ მატერიას, — და აირამ გიორგის პერანგზე მიუთითა.

გიორგი პერანგს დააკვირდა.

— ეგ აბრეშუმი უნდა იყოს, მაგრამ აბრეშუმს ბევრადა სჯობს.

— არ ვიცი, რასაც გნებავთ, იმას შეადარეთ. მსოლოდ, ჩვენს ენაზე სხვა სახელწოდებას ატარებს.

— ამის ნედლეული სულ ადვილად მზადდებოდა. მახსოვს, ჩვენი ქვეყნიდან ყოველწლიურად მრავალი ათასი ტონა აბრეშუმი გადიოდა. ძველ დროს ჩვენი აბრეშუმის ნედლეულს ბლომად იპოვიდით რომის, ლიონის, პარიზისა და ლონდონის ბირჟებზე; იგი სხვადასხვა ქვეყნებს გაჰქონდათ, მაგრამ ბოლო დროს თვით ჩვენში გააკეთეს მრავალი საქსოვი ფაბრიკა, სადაც ამ ნედლეულიდან ამზადებდნენ ათასგვარ ქსოვილებს: სამოსელს, წინდებს, ყელსახვევებს და სხვ. არ მესმის, რაში უნდა იყოს განსხვავება ჩვენსა და თქვენს ნედლეულს შორის?

აირა კიბეზე ადიოდა, გიორგი ერთი საფეხურით უკან ჩამორჩა.

— წინათ რამდენ ხანს უნდებოდით აბრეშუმის პარკის დამზადებას? — ჰკითხა აირამ და შემოტრიალდა.

— ექვს კვირას, ორ თვეს, — სწრაფად უპასუხა გიორგიმ.

— წინათ რამდენ ხანს უნდებოდა თქვენი ბამბა გაზრდას, დამწიფებასა და მოსავლის მოცემას?

— კარგად არ მახსოვს, მაგრამ დაახლოვებით ხუთ-ექვს თვეს. მაგრამ რად კითხულობთ ამას?

— დღეს რამდენიმე წუთში მზადდება ის აბრეშუმი, რომელსაც თქვენ ექვსი კვირიდან ორ თვემდის უნდებოდით, დღეს რამდენიმე წუთია საჭირო, რომ მოვიყვანოთ ის ბამბა, რომელსაც თქვენ ხუთი თუ ექვსი თვის განმავლობაში უცდიდით, — უთხრა აირამ.

— როგორ? როგორ? — მოუთმენლად ეკითხებოდა გიორგი.

— სულ ადვილად, ასლავე განახვებთ.

და აირამ გიორგი გაიყვანა ფაბრიკის შენობის უკან, უზარმაზარ მოედანზე.

— მაგრამ, სანამ ამას გავეცნობოდეთ, წინასწარ ერთი რამე უნდა გითხრათ. თქვენ, რასაკვირველია, მოგესმენებათ მზის სხივების სასწაულმოქმედი ძალა. მზის სხივები გვაძლევს სიცოცხლეს. მისი წყალობით ვარსებობთ.

— ცხადია.

— საკმარისია მისი სხივები ჰაერთან ერთად შეეხოს მკვდარ ბუნებას, რომ იგი გააცოცხლოს. აქედან დასკვნა ადვილია: სადაც მზის სხივები ეცემა, მხოლოდ ის არე ცოცხლობს.

— ეს უდაო ჭეშმარიტებაა.

— დიახ, ამ ჭეშმარიტებაზე დაეყრდნენ ახალი ქვეყნის მშენებლები და მზის ენერგიის ამ გვირაბში შემოიტანნი. მათ დიდიხანია, რაც სცადეს ხელოვნური გზით მცენარეულობის ნაყოფის წარმოშობა. დიდი ბრძოლა მოუხდათ მათ ამ მიზნის მისაღწევად. დიდხანს იბრძოდა ქიმია ამისათვის, მაგრამ, მრავალი დამარცხების შემდეგ, მიზანს მაინც მიაღწია.

— მაშასადამე?..

— ქიმიური წესით პირდაპირ მიწიდან იღებენ იმ მცენარის ნაყოფს, რომელიც სურთ და ბევრად უფრო მოკლე დრო-

ის ვანშავლობაში, ვიდრე ამას იძლეოდა თვით ბუნება. ბამბა, სელი, კასაფი, აბრეშუმი და სხვა უშუალოდ მიწიდან იმდენი კეთდება ჩვენს ფაბრიკებში, რამდენიც საჭიროა.

გიორგის ეკვირვებისაგან ენა დაება, გაჩუმდა და აირას უკანასკნელ სიტყვებს ჩაუფიქრდა.

— ეგ სასწაულია! — წამოიძახა მან.

— შეხედეთ ზევით ამ ავტომატურ გზებს, რამდენი მიწა მოაქვთ?

გიორგის ყურადღება ახლა ამ გზებმა მიიპყრო. ესათ მიწის მთები მოჰქონდათ. ამ მიწას ისინი ელვის სისწრაფით უშვებდნენ უზარმაზარ აუზში, საიდანაც შემდეგში იგი უნაწილდებოდა ქვაბებს. აუზსა და ქვაბებში იდგა დამაბრმავებელი მზის ენერგია. მზის სხივებისაგან თვალების დასაცავად აირამ გიორგის წინასწარ ფერადი სათვალეები გადასცა. შემდეგ აირამ გიორგის აუხსნა, თუ როგორი სისწრაფით იშლებოდა ეს მიწა და, ათასგვარ ქვაბში გავლის შემდეგ, იგი თოვლივით თეთრ აბრეშუმად იქცეოდა. მერმე გიორგი მიიყვანა ქვაბებთან, საიდანაც განუწყვეტლივ აქაფებულ მდინარესავით ამ საუცხოო აბრეშუმის ძაფი გამოდიოდა. ეს ძაფი შემდეგ გადადიოდა სხვა სართულებში, სადაც იგი ავტომატურად ჯერ ივრისებოდა, მერმე იქსელებოდა, იქსოვებოდა, ილებებოდა და უთოვდებოდა. იგი ათასგვარ ცვლილებას განიცდიდა, სანამ სასურველ მატერიის სახეს მიიღებდა.

— ეგ უთუოდ სასწაულია! — გაიმეორა გიორგიმ.

— ჩვენ მორიგეს ოთახთან ვიმყოფებით, — თქვა აირამ და გიორგის სთხოვა შეჩერებულიყო.

— სად არის მორიგე?

— აი, ამ ოთახში, — ხელით ანიშნა აირამ. — ჩვენ შეგვიძლია თამამად მივიდეთ იქ.

გიორგი და აირა ამ ოთახს მიუახლოვდნენ. თეთრ ხალათში გამოწყობილი და თავშიშველი კაცი თავის წინ რაღაც დაფას განუწყვეტლივ მისჩერებოდა. მის წინ იქვე იყო რაღაც სასიგნალო აპარატი. ამ აპარატს ეს კაცი გამუდმებით ხელს აჭერდა. დაფაზე ციფრები უეცრად ჩნდებოდა და თვალის დახამხამებაში ჰქრებოდა.

როცა ამ კაცს საკმაო მანძილით დაშორდნენ, გიორგიმ იკითხა:

— რას მისჩერებოდა ის კაცი? და ან ვის აძლევედა სიგნალს?

— მთელი ფაბრიკის მაჯისცემის ყურისგდება არც ისე ადვილი საქმეა. ის არის გამგე და პასუხისმგებელი მთელი ამ ფაბრიკის მუშაობისა ერთი საათის განმავლობაში.

აირა და გიორგი მეორე ოთახს მიადგნენ.

— ამ ოთახში შეკვეთებს იღებენ. აი, ის დაფა მორიგეს უჩვენებს, თუ მოქალაქეებს რამდენი „აბრეშუმი" სჭირდებათ, როგორი ფერისა და სარისხის.

განაგრძეს გზა.

— აი, აქ ზის ფაბრიკის ტექნიკოსი, — ანიშნა აირამ ერთ ოთახზე, რომელშიც დიდთავიანი კაცი იჯდა და ბავშვს ეთამაშებოდა.

აირამ გიორგი მის ოთახში შეიპატიჟა.

— შეიძლება? — იკითხა გიორგიმ.

კაცი უცებ ზეზე წამოიჭრა და სტუმრებს თავაზიანად მიეგება. ბავშვი სადღაც გაჰქრა.

„სად წავიდა ბავშვი?" — გაიფიქრა გიორგიმ. — ალბათ, სადღაც გაიქცა".

— მობრძანდით! — შეიპატიჟა ამ კაცმა სტუმრები.

გიორგი და აირა ოთახში შევიდნენ. გიორგიმ დააპირა ამ კაცისათვის ხელის ჩამორთმევა. წინ წაიწია და ხელი გაუწოდა.

— არ შეიძლება, — წამოიძახა აირამ.

გიორგის გაწვდილი ხელი ჰაერში შერჩა. მან შეურაცხყოფა იგრძნო.

— უკაცრავად, — თქვა ამ კაცმა, რომელსაც აირამ ჟარო უწოდა, — მაგრამ თქვენი ხელის ჩამორთმევის შესაძლებლობა ამჟამად არ მაქვს. დაბრძანდით, ვისაუბროთ, სანამ გამიწვევდნენ.

— დიდ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, — უპასუხა შეურაცხყოფილმა გიორგიმ, — მაგრამ მე მეგონა...

ჟაროს ულვაშებში ჩაეცინა. გიორგიმ უარესი შეურაცხყოფა იგრძნო და მოღუშულმა ძირს დაიხედა.

— თქვენ მგონია გიკვირთ ჩემი ასეთი მიღება? — იკითხა თავაზიანი ხმით ჟარომ.

— სრულებითაც არა! — შეაგება სიტყვა გიორგიმ. — მე ვიცი, რომ თქვენ ამჟამად ფაბრიკაში მუშაობთ.

— ვმორიგეობ, მაგრამ არ ვმუშაობ, რადგანაც სამუშაო არა მაქვს. აქ სხვა ამბავია, რასაც, თუ კარგად დააკვირდებით, ადვილად მიხვდებით.

გიორგი დაინტერესდა.

— როგორ უნდა გავიგო ეს სიტყვები? — თქვა მან და ჟაროს მიაჩერდა. შეურაცხყოფის ადგილი ცნობისმოყვარეობამ დაიჭირა. გიორგი ამ კაცს დიდხანს მისჩერებოდა, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია.

აირა ჟაროს სხვადასხვა კითხვას აძლევდა. ამ დროს კედლიდან ზარის ხმა მოისმა. პატარა დაფაზე რაღაც ნიშანი გამოჩნდა. ჟარომ საჩქაროდ ბოდიში მოიხადა და უხმაუროდ გაჰქრა.

გიორგი კიდევ უფრო გაოცდა.

— რა მოხდა? — იკითხა მან ცოტა დაგვიანებით.

— ჟარო მანქანამ შესაკეთებლად გაიწვია...

— ასე უცებ, ასე უხმაუროდ?

აირას სახეზე ღიმი გაუბრწყინდა.

— ნუ თუ გგონიათ, ჟარო ნამდვილად ჩვენს გვერდით იმყოფებოდა?

— მაშ როგორ? — იკითხა გიორგიმ.

— ჩვენ ვესაუბრებოდით რადიოს საშუალებით მხოლოდ ჟაროს ლანდს. იგი ზედა სტომში იჯდა.

— რას მელაპარაკებით?!

— კედელზე მყოფი დაფა ფაბრიკის მანქანათა მდგომარეობას გამოხატავს. ვთქვათ, რომელიმე ადგილას რომელიმე დაზგა ან ჭანჭიკი გაფუჭდა, იგი ხელად ავტომატურად აღიბეჭდება ამ დაფაზე და მორიგეც მას მიეშველება. მაინცდამაინც აქ ყოფნა საჭირო არ არის. შეიძლება ფაბრიკის მუშაობას შორიდან უსელმძღვანელოთ. როდესაც საჭიროება მოითხოვს — მხოლოდ მაშინ უნდა გამოცხადდეთ.

— შესანიშნავია. — შენიშნა გიორგიმ.

— საკმარისია შრომის მომწესრიგებელ ორგანიზაციას მიაწოდონ ერთი ასო „ს“, რომ მაშინვე აქ გაჩნდეს ხალხი, რამდენიც საჭიროა, — განაგრძო აირამ. — მაუალითად, ფაბრიკას ათი კაცის დახმარება სჭირდება. შრომის მომწესრიგებელ

ორგანიზაციაშა არის მორიგე, ამგვარივე დაფით, იგი მას მისცერებია; ვთქვათ, მოვიდა ცნობა „ს-10“, ათი კაცი იმ წუთ-შივე ფაბრიკაში გაჩნდება.

— საამქროები, რაღა თქმა უნდა, საკმარისი იქნება, მუ-შები მით უმეტეს?

— საამქროები რამდენიმე არის, მუშები კი არცერთი.

— უმუშო ფაბრიკა ვის წარმოუდგენია?

— ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები თავის საქმეს უმუშოდაც მშვე-ნივრად ასრულებენ, მუშების მაგიერობას თვით მანქანები სწევენ.

— საოცარია... — იმეორებდა გიორგი.

ცოტა გაიარეს. შემდეგ გიორგი აირას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— მე წელან დამავიწყდა თქვენთვის მეკითხა, სად მიდის ამ ფაბრიკისათვის გამოუსადეგარი მიწის ნაწილი?

— რა თქმა უნდა, ყველა მიწა არ გამოდგება „აბრეშუმის“ მისაღებად. ჩვენი ფაბრიკა იტოვებს იმას, რაც მას გამოად-გება, დანარჩენს იგი შერჩევით ავტომატურად გადასცემს ამა თუ იმ ფაბრიკას.

გიორგი წარმოუდგენლად კმაყოფილი და აღფრთოვანებუ-ლი იყო აქ ნახულით.

— დღეს ამით დავამთავროთ ჩვენი მოგზაურობა, — თქვა აირამ.

— კეთილი. დიდად გმადლობთ ყოველივე ნახულისათვის!

— ეს ზედმეტია, — მიუგო აირამ ნაზი ხმით, — მოკლე დროში ჩვენ მოგვისდება კიდევ უფრო შორი მგზავრობა ამ მიმართულებით.

— მზადა ვარ, თუნდ ჯოჯოხეთში წამოგყვეთ, — უპასუხა გიორგიმ აღელვებული ხმით.

ისინი ფაბრიკიდან შინისკენ გაემგზავრნენ.

სიუვარული თუ მწუხარება

ერთ დღეს აირა და გიორგი სტომის ერთ-ერთ უზარმაზარ ბაღში შევიდნენ. შუადღის მზე ოქროს ნიაღვარად ეფრქვე-ოდა მიწას.

მწვანით მოსილი ხეები ნაზი სიოს ქროლვაზე ფოთლებს ნელა არხევდნენ. ფოთლები ერთიმეორეს თითქოს აღვიძებდნენ, ეალერსებოდნენ. ზოგი მათგანი სიხარულით თრთოდა, სანდახან თეთრ, ბრწყინვალე გულს მონავარდე თევზივით გამოაჩენდა და ისევ მალავდა.

გიორგიმ და აირამ თითქოს განვებ ამოარჩიეს მოფარებული ადგილი, სადაც არავინ იყო, მოვიდნენ იქ და გრძელ სკამზე გვერდი-გვერდ დასხდნენ. ბაღში ათასგვარი ყვავილი ჰყვაოდა.

გიორგიმ აირას ყვავილების მოწყვეტის ნება სთხოვა, თითქოს ამ ბაღის მესაკუთრე იგი ყოფილიყო.

— შეგიძლიათ, რამდენიც გნებავთ. დამშლელი არავინ არის, — უპასუხა აირამ.

გიორგი მუქ ცისფერ ჰელიოტროპების კვალს მიუახლოვდა, რამდენიმე ცალი მოწყვიტა, თაიგულად შეკრა და აირას შესთავაზა.

— გმადლობთ!

აირამ ყვავილებს ბროლის თითები მოჰხვია.

გიორგიმ კიდევ სხვა ყვავილები მოწყვიტა და აირას წინაშე დაყარა.

— რა მშვენიერია ამ ყვავილების ცხოვრება! სანამ ცოცხლობენ, შესანიშნავ სურნელებას აფრქვევენ და როდესაც მოსწყვეტ — უცებ კვდებიან.

— დიახ, აყვავება ბუნების უმშვენიერესი მოვლენაა. მაგრამ დასედეთ ამ ჰელიოტროპებს, როგორ სტირიან?

— ყოველგვარ სიხარულს მწუხარებაც თან სდევს.

— სამწუხაროა, როდესაც ვინმეს სიცოცხლეს აცლით, — თქვა აირამ და გიორგის შეხედა.

— სიცოცხლე უძვირფასესი მოვლენაა, — მიუგო გიორგიმ. — რა ბედნიერი ხალხი სართ თქვენ, მეოცდაათე საუკუნის ადამიანები, იმით, რომ შეგიძლიათ სიცოცხლით ხანგრძლივად ისარგებლოთ. ხანგრძლივად დასტკბეთ.

— სიცოცხლე კარგია, როდესაც ყოველ ნატვრას შეისრულებ, როდესაც რაც გინდა, იმას მიაღწევ, დასტკბები, თორემ ისე რა აზრი აქვს ადამიანის არსებობას, თუნდაც ათას და ათი ათას წლებამდის? — თქვა მოწყენით აირამ.

გიორგი ვერ მისცდა თუ რა იყო აირას მოწყენის მიზეზი და რა აწუხებდა მას.

— მე არ ვიცი, რით უნდა იყოს უკმაყოფილო კაცი ახლანდელ პირობებში.

— ასე ფიქრობთ?

— მე მგონია, მატერიალური უზრუნველყოფა იწვევს სულის კმაყოფილებას.

— ნაწილობრივ, მაგრამ სული კიდევ სხვა რამეა, სულ სხვაა...

გიორგიმ ალვის ხეს შესედა:

— სწორია!

— მე შავ ბედზე ვარ გაჩენილი და ჩემი საქმეც, მე მგონია, უფსკრულით დასრულდება, — თქვა თავჩაღუნულმა აირამ.

გიორგი ამ სიტყვებმა საშინლად შეაშფოთა. მას უნდოდა როგორმე დაემშვიდებია ეს დაჩაგრული ნიმფა, მაგრამ როგორი ნუგეში ეცა მისთვის, მან არ იცოდა.

გიორგიმ ბევრი ეძება ამ მდგომარეობიდან გამოსავალი, მაგრამ ვერ იპოვა. მან მხოლოდ დაბალი ხმით, თითქოს თსოვნით ჰკითხა აირას:

— რით ან ვისით ხართ დაჩაგრული?

აირამ პირი გიორგისაკენ ოდნავ მოიბრუნა და მოკლედ უპასუხა:

— ცხოვრებით...

აირამ ნერვული ხელით ჰელიოტროპის ერთი ყვავილი ნამცეცებად აქცია. გიორგი ვერაფერს მიხვდა. იგი კვლავ გაურკვევლობის წინაშე დადგა.

„ცხოვრებით? — გაიმეორა თავისთვის აირას სიტყვები. — ცხოვრებაში შეიძლება კაცი ათასგვარად დაიჩაგროს. ცხოვრება სომ ბევრ რამეს შეიცავს?". —

გიორგიმ არ იცის, თუ რა არის აირას დამჩაგვრელი. ყოველ შემთხვევაში, იგი მზად არის რითაც კი შეუძლია დაეხმაროს მას.

— არ შეიძლება გავიგოთ, რა გაწუხებთ? — იკითხა გაუბედავად გიორგიმ და ფეხზე წამოდგა. მას ეშინოდა, რომ აირას დამალულ გრძნობებს არ შეხებოდა. შესაძლებელია ამ გრძნობებს იგი კარიოზსაც არ უმხელდა.

აირამ ნაზად შეხედა გიორგის და უპასუხა:

— სიყვარული.

„ვისი სიყვარული? — შეეკითხა თავის თავს გიორგი. ნუ თუ ჩემი? მაგრამ განა ეს შესაძლებელი არის?“

დიდიხანია იგი ამჩნევდა სიყვარულს აირას ცისფერ თვალებში. აირას ცეცხლიანი ტუჩები, ათრთოლებული ტანი და ვნებიანი მზერა გიორგის ღამითაც მოსვენებას არ აძლევდა. გაიხსენა ქვედა სტომის ბაღში ლაპარაკი, აირას ფარული ისრებით შემოტევა, განსაკუთრებული გულთბილი მოპყრობა და ერთ წუთში თითქოს მისთვის ყველაფერი აშკარა შეიქნა.

გიორგის გული დიდიხანია ინთება ამ ცეცხლით. ეს ცეცხლი მის სხეულს სანთელივით ადნობს და სწვავს. ერთ დროს მას უნდოდა ჩაექრო ეს გრძნობა, წყალს ასხამდა მას, მაგრამ ამაოდ.

განა იგი წარსულ ღამეს სიზმარში აირას არ ეხვეოდა? როგორც ჭაბუკმა, თრთოლვით ხელი მოჰხვია და გულში ჩაიკრა.

— სიყვარული... უძლიერესი და ულამაზესი გრძნობაა, — გაიმეორა გიორგიმ, თითქოს ახალი რამ ეთქვას და აირას მიაჩერდა.

— ბევრი მწუხარებისა და ტანჯვის მომყენებელი არის, — განაგრძო აირამ.

— მართალია, ტანჯვისაც, — გაიმეორა გიორგიმ. — განა კარიოზი არ გიყვართ? — გაუბედავად შეეკითხა ბოლოს გიორგი.

— კარიოზი კარგი ადამიანია. ის კი, ვინც მე მაწვალებს, უფრო მეტად, სულ სხვანაირად მიყვარს...

ერთი წუთიც და გიორგი მზად იყო დაეძახა: „აირა“ და მას ფეხებში ჩავარდნოდა. მაგრამ აირამ მისი გრძნობები უეცრად გაანადგურა; აირამ გიორგის გულს, როგორც დაფას მოსწავლემ, სველი ღრუბელი წაუსვა და თავის ნაწერი მოშალა.

— ის მე დიდი ხნის წინათ, ჩემი ასალგაზრდობის გაღვიძების პირველი გაზაფხულიდან შევიყვარე. წარმოგიდგენიათ, ოთხას წელზე მეტი ხნის სიყვარული?

— ოთხას წელზე მეტი ხნის სიყვარული? — უაზროდ გაიმეორა გიორგიმ. მან უეცრად გაიხსენა კარიოზის ნალაპარაკევი, რომ აირა მეოცდაექვსე საუკუნეს ეკუთვნისო. რასაკ-

ვირველია, ამ საუკუნის შემდეგ სწორედ ოთხასი წელია გასული. ალბათ, სხვა ვინმე ჰყვარებია აირას, უეჭველად, თორემ გიორგი როგორ იქნებოდა მისი სიყვარულის საგანი?

გიორგის გულში მწარედ წაეცინა. სად აირა და სად გიორგი? სად აფროდიტა და სად იონიელი მენავე? როგორ შეურაცხყოფას მიაყენებდა ამ ღმერთქალს, რომ მის წინაშე თავისი გული და გრძნობები გაღაეხსნა? თუნდაც, მისთვის ოდნავად ეგრძნობინებია, რომ იგი გიორგის არა თუ მოსწონს, არამედ გაგიჟებით უყვარს.

როგორც უცებ გაგითენდა, ისე უეცრად დაგიბნელდება", — ფიქრობს გიორგი.

„ოთხასი წლის წინათ ვინ იცოდა, სად იყო ჩემი სხეული?.. ჩემი მესაიდუმლე მხოლოდ მიწა, ტფილისის მიწა იყო. კარიოზის სიტყვების მისედვით მე სულ რამდენიმე კვირის, თვის, თუ წლის ნაპოვნი უსდა ვიყო. ოთხასი წლის წინათ მე იმგვარადვე ვიქნებოდი კაცობრიობისათვის დაკარგული, როგორც არიან ჩემი ცოლ-შვილი და ახლო მეგობრები".

— ოთხასი წელი რომ ადამიანს ეტრფოდე, მიცვალებული რომ ამ ადამიანის გვერდში იწვე და მან გაცოცხლების შემდეგ ერთი საიმედო შემოხედვა არ გაღირსოს, მეტი ტანჯვა კიდევ იქნება? — თქვა აირამ და გიშრის ქუთუთოებზე ალმასის წვეთები დაეკიდა.

გიორგი ამ ამბით შეწუხდა, საშინლად შეწუხდა.

ეს შეწუხება აირამ შეატყო და თითქოს გაზაფხულის მზის სხივებმა გამოანათაო — სისარულით სახე გაუბრწყინდა. აირას თვალებმა ბრწყინვალებით ციმციმი დაიწყო, ლოყაზე ღიმი აუთამაშდა.

გიორგის გაესარდა ასეთი უეცარი ცვლილების გამოწვევა ოავის თანამგზავრსა და მეგობარში. მაგრამ ვერ მიხვდა, რამ გამოიწვია სულიერი განწყობილების ელვისებური შეცვლა. გიორგის უხარია, რომ აირას ცრემლებს აღარ უყურებს, მაგრამ ამასთანავე სწყინს საკუთარ გრძნობათა დაჩაგვრა. ირკვევა, რომ იგი აირას არ ჰყვარებია; როგორ მოსტყუვდა წინათგრძნობაში, როგორ? მან უკვე არ იცის იტიროს თუ იცინოს, სასისარულო მაინცდამაინც რა აქვს იმის მეტი, რომ აირა დამშვიდდა, კარიოზთან მეგობრობა არ შეიბღალა, თვითონ სამარცხვინო გულისთქმას გადაურჩა და სიყვარული არ

გამოამეღავნა? მაგრამ სამწუხარო უფრო მეტი აქვს: მისი გრძნობები გაითელა. აირას იგი არ ჰყვარებია. გიორგის უცებ ძლიერად მოედვა ეს ცეცხლი და მწარედ დაღონდა.

— რამ შეგაწუხათ, გიორგი? — მზრუნველობით შეეკითხა აირა და ხელი პატარა ბავშვივით მოჰხვია.

გიორგი შეეცადა მწუხარება არ დამჩნეოდა და აირას მიუგო:

— არაფერმა, სრულებით არაფერმა.

გრძნობათა უეცარმა შემოტევამ სწრაფად განვლო, მაგრამ მის გულში აირას სათუთი ხელით მიყენებული ჭრილობა განუკურნელი დარჩა.

ამონელთა წუობილება

კარიოზთან დამშვიდებული საუბარი გიორგის გულზე მალამოდ ეცხებოდა.

გიორგის არასოდეს არ დაავიწყდება საზეიმო შესვედრები. მაშინ მან თავის თავი სულ სხვა ატმოსფეროში იგრძნო.

ასოციაციით წარმოიდგინა ძველი ორატორები: დემოსთენი, ციცერონი, მირაბო და კიდევ სხვები; მათაც იცოდნენ ხალხის გულისა და ნების დამორჩილება, ისინიც თავის დროისთვის უძლიერესი ჰიპნოტიზორები და უდიდესი სიტყვის ოსტატები იყვნენ. მათ იცოდნენ ამა თუ იმ ეფექტის გამოსაწვევად თუ როგორი სიტყვები უნდა ეთქვათ, რომ მოწყურებული ხალხი მათ მოწოდებას ღვინოსავით დაწაფებოდა.

აქ ნასული ორატორები ერთი შესედვით თითქმის იმავე შთაბეჭდილებას სტოვებენ, როგორსაც ძველები, მაგრამ ამათ ახასიათებთ შინაგანი ძლიერება, დამაჯერებლობა და ჩაუქრობელი სიტყვის ხანძარი.

„რამდენი დიდი ნიჭი და უდიდესი ორატორი იქნება დღეს?“ — ფიქრობს გიორგი.

უკვე რამდენიმე დღეა, რაც გიორგი ქალაქის ქუჩებში დასეირნობს და მას რაიმე უწესრიგობა ერთხელაც არ შეუმჩნევია. არც ჯარისკაცები დგანან სადმე, არც მილიციონერები. საერთოდ, მეტად საინტერესოა ამონელების სახელმწიფოებრივი ცხოვრება, პარლამენტარული წყობა აქვთ, სოცია-

ლიზმი არსებობს თუ კომუნიზმის მეორე საფეხური? რა პრინციპს ემყარება მათი მართვა-გამგეობა, ვინ არის ამჟამად სახელმწიფოს სათავეში?

ამ საკითხების გამორკვევის მიზნით გიორგიმ ერთ დღეს მასთან შემოსულ კარიოზს შემდეგი კითხვით მიმართა:

— მე, როგორც ცოტად თუ ბევრად პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულ პიროვნებას, მაქვს სურვილი ვიცოდე, — როგორ სახელმწიფოში მოვსვდი, რა საფუძველზეა აგებული თქვენი მართვა-გამგებლობა?

კარიოზმა შუბლზე ხელი გადაისვა და დაიწყო:

— მრავალი ადამიანის სისხლისა და სიცოცხლის შეწირვით, ასრულდა თქვენი ეპოქის ბრწყინვალე მიზანი. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვით თქვენი დროის რევოლუციონერებს. დღეს მთელ სისტემაზე არის პიროვნების თავისუფლება. მან არ იცის ძალადობა ადამიანზე, ძალადობას, საზოგადოების ერთი კლასისაგან მეორე კლასის დაჩაგვრას, რომელსაც ადგილი ჰქონდა უშორეს წარსულში, დღეს ადგილი აღარ აქვს, რადგანაც საზოგადოების კლასად დაყოფა დიდიხანია მოისპო. დღეს ყოველი ადამიანი არის თავისი მთავრობა, ის თავის საქმეებს განაგებს ისე, როგორც მას უკეთ მოუხდება, მაგრამ არა სხვების საზიანოდ, საზოგადოების პრინციპებთან შეთანხმებულად.

— კარგი, ძალიან კარგი, — თქვა გიორგიმ — თქვენში არ არსებობს სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი აპარატი თავის ჯარებით, ეკლესიითა და ადმინისტრაციით, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს თუნდ სახელმწიფოს გარეშე რაიმეგვარი სასამართლო? ხომ არის ყველასათვის სავალდებულო საზოგადო წესები, რომელთა დამრღვევნი პასუხისმგებელნი იქნებიან თქვენს წინაშე? ხომ ყოველ საზოგადოებაში არიან ამა თუ იმ საქმეში დამნაშავე პირები, ამა თუ იმ თქვენი წამოწყების თუ უფლება-ჩვეულების მოწინააღმდეგე ელემენტები? მათი დროებით მაინც დასჯა ან გაკიცხვა საზოგადოებისათვის, ალბათ, აუცილებლობას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოება იზოლაციას უშვრებოდა ზოგიერთ პირებს და ხანდახან გაუსწორებლობის გამო მათ სასტიკადაც კი სჯიდა. რასაკვირველია, ჩვენი პროლეტარული მთავრობა იშვიათად მიმართავდა ამ უკიდურეს ზომებს, ვინაიდან მან იცო-

და, რომ ყოველგვარ მოვლენას აქვს თავისი სოციალური მიზეზი, ამიტომ ჩვენი ცისფერები წარმოადგენდნენ აღმზრდელობით ორგანიზაციებს, მეორე სასწავლებლებს, სადაც დამნაშავენი შრომის სწორი ორგანიზაციით ნელ-ნელა სწორდებოდნენ და საზოგადოებრივ ცხოვრებას უბრუნდებოდნენ. ნუთუ თქვენს საზოგადოებაში არაა შრომის დეზერტირი, ან სულით ავადმყოფი, ან ბოროტმოქმედი. მათ ერთგვარი აღზრდა ან იზოლაცია დასჭირდებათ; შეიძლება დროული, მაგრამ მაინც იზოლაცია.

კარიოზმა გულდასმით მოუსმინა გიორგის.

— ყოველგვარ ისტორიულ მოვლენას თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს, — დაიწყო კარიოზმა. — თავიდან ბოლომდის სწორი იყო თქვენი მთავრობა, როდესაც თქვენ მიერ აღნიშნულ ზომებს მიმართავდა. მაგრამ დღეს პირობები ძირეულად შეიცვალა. გასამართლება. — განაგრძო მან, — წარმოუდგენელია ჩვენი საზოგადოებისათვის. ეს რომ ვინმეს უთხრათ — გაეცინება და ამ ამბავს ვერც კი წარმოიდგენს. დღეს, როდესაც კაცობრიობის რიცხვი მრავალჯერ აღემატება თქვენი დროისას, — განაგრძო კარიოზმა, — ვერ შესვდებით ორ საკვებით მსგავს პიროვნებას. ყველას ახასიათებს რაღაც განსაკუთრებული თვისება ან აზროვნებაში, ან ფერში, ან ხმაში, ან სიდიდეში და ან სხვა რამეში. ყოველი პიროვნება არის ორიგინალური და ბუნებრივად განუმეორებელი. მაგრამ ყველანი თანაბრად ემორჩილებიან საზოგადოებას, მის წესებს.

— ხომ შეიძლება რამეში ოდესმე შეცდეთ?

— რასაკვირველია, მაგრამ ყოველგვარ შეცდომას ყოველმხრივად სწავლობს თვით შეცდომის ჩამდენი; არკვევს, რა გარემოება უწყობდა ხელს ამ შეცდომას, რომ მომავალში ასეთი მარცხი არსად შეემთხვეს.

— თუ ვერ ამჩნევს თავის შეცდომას?

— ამ შემთხვევაში არსებობს სხვისი თვალებიც.

— ავადმყოფობა ხომ არსებობს? თუნდაც შეძენილი? მაგალითად, უეცარი მარცხის გამო?

— არსებობს, იშვიათად. წინა საუბრებში ხომ აგისსენით, როგორ ვმკურნალობთ მას?

— ვიცი.

გიორგი ჩაფიქრდა.

— იმ დროიდან, როდესაც შესაძლებელი შეიქნა ყოველის მმართველობის, ანუ ჰეკასტოარქიის დამკვიდრება მას ბუნებრივად მოჰყვა უმართველობა. ამას აღარ დასჭირვებია ბრძოლა. ეს იმგვარად მოხდა, როგორც კვერცხიდან წიწილას გამოსვლა ხდება.

„უმართველობა კომუნიზმის მეორე საფეხურზე იყო შესაძლებელი. მაშასადამე, სრული კომუნიზმი დიდიხანია, რაც განხორციელებულა". — თავისთვის დაასკვნა გიორგიმ.

— სახელმწიფოებრივი მეთვალყურეობის ორგანო, როგორც ჩანს, აღარ არსებობს, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ გიორგიმ. — მაგრამ ხომ არის მაინც ისეთი ორგანო, სადაც არის გამგეობა, მაგალითად, სახალხო მეურნეობა — საქონლის დამამზადებელი და განმანაწილებელი დაწესებულება, ჯანმრთელობისა და განათლების საქმეთა მომწესრიგებელი ორგანიზაცია?

— ყოველგვარ საქმეში მაინც საჭიროა ერთგვარი წინამძღოლობა, — დაუბრუნდა თავის სიტყვას კარიოზი. — ათასი შესანიშნავი მუსიკოსი ერთად რომ შეიკრიბოს, ულტბაროდ მაინც ვერაფერს დაუკრავს. შრომის სწორი განაწილება ჩვენი საზოგადოებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს. ჩვენ გვყავს მუდმივად ამ საზოგადო საქმის მომწესრიგებელი მორიგენი. ხომ იცით, ჩვენი გზები, მუზეუმები, თავშესაფარები, ფაბრიკა-ქარხნები და სხვა, ყველა ამ დაწესებულებას სჭირდება მომუშავეთა განსაზღვრული რიცხვი. მართალია, როგორც მოგახსენეთ, ყველამ იცის თავისი მუშაობის დრო, მაგრამ შესაძლებელია ან მორიგე დაიღუპოს, ან სადმე რაიმე მარცხი მოუხდეს. სახალხო მეურნეობის ფუნქციებს კი ასრულებს ნაწილობრივ გაზეთი „სამყარო" და ნაწილობრივ ქარხნები. საქონლის დამზადება და დარიგება უშუალოდ ქარხნების მიერ ავტომატურად ხდება. ადამიანები საქონლის დამზადება-განაწილებაში ფაქტიურად ასრულებენ უბრალო გადამრთველის როლს, მეტი არაფერი.

— საინტერესოა, როგორ წყვეტთ საერთო საკითხებს? — იკითხა გიორგიმ შეგვიანებით.

— ყოველგვარი საერთო საკითხი თავდაპირველად შუქდება გაზეთ „სამყაროში"; თუ ვინმეს ამ საკითხის საწინააღმდე-

გო აქვს, ისიც ამ გაზეთში ჰპოვებს გამოხატულებას. პროექტის ავტორის მიერ ინიშნება დღე ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისა, მაგრამ არა უადრეს ერთი თვისა საკითხის აღძვრიდან.

ჩამოვარდა დუმილი.

დუმილი კარიოზმა დაარღვია.

— ჩვენში ისეა გადაჯაჭვული პიროვნებისა და მთელი კაცობრიობის ინტერესები, რომ მათი ერთი მეორისაგან დაცილება ყოვლად წარმოუდგენელია. ყველას საქმეს აკეთებს ერთი და ერთის საქმეს აკეთებს ყველა. არავითარი დარღვევა ამ წესისა, რომელიც ბუნებრივ კანონად იქცა ჩვენთვის, არ არსებობს. დღევანდელ საზოგადოების პრინციპია:

„ყველასგან რამდენიც გვინდა, ყველას სურვილისდა მიხედვით“.

კარიოზი შეჩერდა. გიორგიმ თავი ჩაჰკიდა და იატაკს ჩაშტერდა. ცოტა ხნის შემდეგ თავი მაღლა ასწია და კარიოზს მიმართა:

— უკაცრავად, მაგრამ უნდა მოგახსენოთ: ჩემი გაგებით, მაგ პრინციპის მიხედვით პიროვნება თქვენ უფრო შეგიბორკავთ, როდესაც ყველასაგან მოითხოვთ იმდენი საქმის შესრულებას, რამდენიც თქვენ მოგესურვებათ; მაგალითად, ხომ არის შესაძლებელი, რომ თქვენი საზოგადოების რომელიმე წევრმა მოინდომოს ისეთი ან იმდენი რამ, რისი დაკმაყოფილებაც არც ისე ადვილი საქმე იქნება?

— ყველამ იცის, რომ მისი სურვილი დაკმაყოფილდება შესაძლებლობის ფარგლებში. დიას, იმას გეუბნებოდით, — განაგრძობდა კარიოზი. — დღევანდელ ადამიანს მუშაობის უდიდესი შესაძლებლობა აქვს, თქვენ გაეცნობით ჩვენ საზოგადოებას, მის ყოველგვარ მიღწევებს და გაიგებთ, თუ რამდენი კაცის მუდმივი ძალა იქნება საჭირო იმისათვის, რომ მთელი კაცობრიობის მოთხოვნილება გადამეტებით დაკმაყოფილდეს; ადამიანმა დღეში, საშუალოდ, სულ დიდი ერთი საათი რომ იშრომოს, სრულებით საკმარისია ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

გიორგი კმაყოფილებას გრძნობდა ამონელოა საზოგადოებრივი წყობით, კარიოზის უკანასკნელ სიტყვებს ჩაუფიქრდა, უეცრად შუბლი შეკმუსნა:

— თქვენი ნათქვამიდან, აშკარაა, რომ დღევანდელ საზოგადოებაში დიდი უმუშევრობაა, როდესაც ისეთი მცირე შრომით, როგორც თქვენ აქ აღნიშნეთ, კმაყოფილდება მთელი თქვენი მოთხოვნილება.

— მაგრე უიმედოდ როგორ წარმოგიდგენიათ მეოცდაათე საუკუნის ხალხი, ჩვენი საზოგადოება, თქვენი შვილები? როგორ გგონიათ, თუ თქვენ ზრუნავდით მანქანებზე და ცხოვრების სხვა პირობათა გაუმჯობესებაზე, ნუ თუ იმას ვერ მოიგონებდა თქვენზე კულტურულად უფრო მაღლა მდგომი საზოგადოება, თუ რა ეშუშავნა ადამიანს თავისუფალ დროს? დღეს ყოველი წუთი განსაზღვრული გვაქვს, ყოველ წუთს რაიმე საქმეს ვაკეთებთ: ან საზოგადო საქმეზე ვმუშაობთ ან ვვარჯიშობთ ფიზიკურად და გონებრივად, ან ვიკვლევთ და ვიგონებთ რაიმეს და სხვ.

— კიდევ გაქვთ სურვილი გამოიგონოთ რამე?

— დღევანდელი ეპოქა ხასიათდება პატიოსანი და დიდი სახელისათვის ზრუნვით.

გიორგი დადუმდა. იგი მადლობით იხსენებდა დიდ კომუნისტთა სახელებს და მათ უანგარო მოღვაწეობას კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

კანთეონი

გიორგიმ ამ დილით, როგორც ყოველთვის, ცივი აბაზანა მიიღო. კუნთებში არაჩვეულებრივ ძალას გრძნობდა. თსელი სალათი ჩაიცვა და აივანზე გამოვიდა.

მას სიცოცხლე უსაროდა. კმაყოფილებით გადახედა ქალაქს და ქუჩებს. მისი ყურადღება მიიპყრო ლამაზმა ქალმა. ქალი მათი სახლის ახლო მიდიოდა. გიორგის მოაგონდა ახალგაზრდობა: მას რატომღაც მოუნდა, რომ ქალს შეეხედა მისთვის და ჩაახველა. მაგრამ ქალმა მას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ცოტა ხნის შემდეგ აივანზე თეთრკაბიანი აირა გამოჩნდა და გიორგის მიესალმა. აირას დანახვამ, მისმა სალამმა, აჟღერებულმა დილამ და საკუთარი სხეულის ჯანმრთელობის გრძნობამ გიორგის გული სიხარულით აავსო.

— ახალი ამბავი იცით? — მოესმა გიორგის აირას ხმა.

— არა, ვინ მეტყოდა?

— მართლაც, თქვენ ამონელთა ენა ჯერ კიდევ სუსტად იცით! გაზეთს ვერ წაიკითხავდით.

— ძალიან ვწუხვარ, რომ ამ მსრივ უმწეო ვარ, იმედია ახალ ამბავს თქვენ მიამბობთ.

— მაინცდამაინც არაფერია. კარიოზი ამ ღილით მარსზე გაფრინდა.

— მარსზე?!

— დიახ, იქ აღმოუჩენიათ მარსელთა ერთი გადაშენებული ტომის, სასელდობრ ბაქირთა უძველესი ნაწერების ნიმუში. კარიოზიც სწორედ იმიტომ გაუწვევიათ, რომ მათი ნაწერები წაიკითხოს. იგი მარსზე სვალამდის დარჩება.

გიორგის გაოცებისაგან ლაპარაკის უნარი წაერთვა. დადუმებული უცქერდა აირას და არ იცოდა რა ეთქვა.

აირა განაგრძობდა:

— თქვენ ჩემთან იქნებით, მე გაგიწევთ წინამძღოლობას. რა უფრო გაინტერესებთ დღეს? — შეეკითხა თვალთმაქცური ღიმილით აირა.

— ყველაფერი.

— მაგრამ ყველაფერი ხომ ერთად არ შეიძლება? დღეს სადმე ქალაქ გარეთ გავისეირნოთ, რას იტყვით ამაზე?

— ძალიან კარგი!

— მართლა, თქვენ ხომ არ გინახავთ ჩვენი პანთეონი? თუ სურვილი გაქვთ, წავიდეთ, დავათვალიეროთ.

გიორგი სიამოვნებით დათანხმდა.

აირა და გიორგი წასასვლელად მოემზადნენ. აირა დაწინაურდა. გასავალ კარებთან აირამ პატარა ოთახის კარები შეაღო და ისინი ლიფტში აღმოჩნდნენ.

— ახლა მეორე სტომში ჩავალთ. — და აირამ თითი განაპირა ღილს დააჭირა.

— პანთეონი მეორე სტომშია?

— დიახ, ქვედა სტომის განაპირას.

— აჰა, მეორე სტომიც.

— დიახ,

სულ რამდენიმე წინადადების წარმოთქმა მოასწრეს, როდესაც ლიფტი ეაჩერდა.

აირამ ლიფტის კარები გააღო.

ისინი მოძრავ ქუჩით გაემგზავრნენ პანთეონისაკენ.

— აქაც მზე და სიცოცხლეა. სიკვდილის აჩრდილს აქ რა უნდა? — წამოიძახა გიორგიმ.

— სამუდამო სიკვდილი არც არის ჩვენ პანთეონში, აქ არის ძილი განსაზღვრული ვადით.

— ვინც საუდამოდ კვდება, მათთვის სასაფლაო ცალკე არსებობს?

— ისინი თოვლიან მთის — მეხურას ძირას განისვენებენ.

— მაშ, მთები მათ ძეგლებად გაგიხდიათ?

— დიახ, მათ სამარადისო ძილს მეხურას მწვერვალი დარაჯობს. აქ კი არის დაძინებული ცხოვრება.

— წარმოდგენაც კი არა მაქვს, რა ზომის იქნება პანთეონი. რამდენი ადამიანი იქნება შიგ დაძინებული.

— არც ისე დიდია. განსვენებულ ადამიანთა რიცხვი არც ისე უანგარიშოა. სტომში დაახლოებით მუდმივად ორმოცდაათი მილიონი მცხოვრებია. ყოველწლიურად ორასათასამდე კაცი იბადება და იღვიძებს.

— მაინც დიდი ყოფილა.

— დაძინებული ხალხი არ მოქმედებს, გაჩერებულია, და ამიტომ ტერიტორია არც იმდენი სჭირდება.

შორით გიორგიმ თვალი მოატანა უზარმაზარ, ნახევრად ღია შენობას და აირას შეეკითხა:

— მგონი პანთეონი მოჩანს?.. — და გიორგიმ ხელი შენობისაკენ გაიშვირა.

— დიახ, ის არის, მალე მივალთ და ვნახოთ.

რამდენიმე წუთში ისინი აღმოჩნდნენ ამ შენობასთან. ქუჩიდან გადმოვიდნენ და შენობისაკენ გასწიეს. გზაზე დიდძალი ხალხი ხვდებოდათ.

— ეს პანთეონი ატარებს თქვენს სახელს, რადგანაც თქვენ პირველად მიაღწიეთ ადამიანის ორგანიზმის უცვლელად შენახვას მრავალ საუკუნის განმავლობაში.

— ჩემ სახელს? — გაიკვირვა გიორგიმ, და სახე სიხარულით გაუბრწყინდა.

— დიახ, თქვენ სახელს! — ღიმილით უპასუხა აირამ და ხელი მკლავში გაუყარა.

ისინი შევიდნენ პანთეონის უდიდეს დარბაზებში. გიორგის თვალწინ გადაეშალა მიცვალებულთა თვალუწვდენი რი-

გები, ყოველი მიცვალებული მოთავსებული იყო ცალკე, ბროლის, ძვირფასი ქვებისა და ლითონის კუბოებში. კუბოები დასურული იყო, მაგრამ ყოველ მიცვალებულს სახე მაინც უჩანდა. მიცვალებულთა თავთან იზრდებოდა ათასნაირი ყვავილი. მათგან დაკმეული სურნელება მთელ დარბაზებს ეფინებოდა. იქვე იყო აგრეთვე ძვირფასი ქვებისა და ლითონების დაფები, რომლებზედაც აღნიშნული იყო ვინ როდის დაიბადა, როდის გარდაიცვალა და როდის შეიძლება გაღვიძება.

— როგორც უკვე მოგახსენეთ, აქ სამუდამოდ არც ერთი არ არის დაძინებული, არამედ დროებით განისვენებს. თუ როგორ აღვიძებენ მათ, ახლავე გაჩვენებთ.

აირამ აუხსნა გიორგის გაღვიძების სხვადასხვა წესი და ადგილი.

— ზოგს აქვე, ამ კუბოებში აღვიძებენ, ზოგს აი ამ დარბაზებში. მივიდეთ, ვნახოთ მორიგე.

— ძალიან კარგი.

და ისინი ერთი კაცის წინ შეჩერდნენ. ამ კაცმა მათ მიწიწებით ქუდი მოუხადა და სთხოვა იქვე სკამზე დამსხდარიყვნენ.

— ეს მიცვალებული, როგორც თქვენც კარგად ხედავთ, — დაიწყო მორიგემ, — მეოცდაექვსე საუკუნის ადამიანია. მის თავთან სწერია: „გამაღვიძეთ ოთხასი წლის შემდეგ". დღეს შესრულდა სწორედ ოთხასი წელი მისი გარდაცვალებიდან. ახლა ვაღვიძებთ.

მან სამაჯური რაღაც სითხეში ამოავლო, მიცვალებულს ხელზე გაუკეთა და ყურში ჩასძახა:

— გაიღვიძეთ, ალექსანდრე! ძილი გეყოფათ.

ორი წუთის შემდეგ მიცვალებული მაგრად შეიშმუშნა, თვალები ამოიწმინდა და ზეზე წამოდგა.

— უკაცრავად, — თქვა მან და აირას, გიორგისა და მორიგეს შეაცქერდა.

მორიგემ ის თავაზიანად გაიყვანა მეორე დარბაზში.

გიორგი მივიდა კიდევ ერთ კუბოსთან.

მან ბროლის კუბოში მიცვალებულის მაგივრად თეთრი თლილი ქვა დაინახა.

— საფლავის ქვაა? — თქვა მან.

— არა, ეგ არის თვით ამ ადამიანის საფლავი, — მიუგო აირამ.

გიორგი ახლოს მივიდა და დააკვირდა. მართლაც, საფლავის ქვის ოდენა ყინული გამოჩნდა. ამ ყინულში კი ვიღაც ქალი იმყოფებოდა. ეს ქალი ისე მოჩანდა, როგორც სქელ ბოთლში გაკეთებული სათამაშო ნივთი. მას სხეულის სხვადასხვა ნაწილი თითქოს დამსსვრეული მოუჩანდა.

— ამას ანაბიოზი ჰქონია გაკეთებული, — თქვა გიორგიმ.

— დიახ, წელანდელი მიცვალებული კი დაბალზამებული იყო, — უპასუხა აირამ.

აირამ ზევით აიხედა, დაძინებულის თავთან მდგომ ქალს დააკვირდა.

— შესეთ! — მიმართა მან გიორგის.

— რა ამბავია? — იკითხა გიორგიმ.

— დაფაზე სწერია: გამაღვიძეთ, როდესაც ადამიანის სრულ უკვდავებას მიაღწიოთ.

მიცვალებულთა რომანები

პანთეონის დათვალიერებამ დიდხანს გასტანა. ნახეს მისი შესანიშნავი ადგილები, დაესწრნენ ახლადგაღვიძებულთა კონცერტს. ეს კონცერტი იმართებოდა პანთეონის თეატრში. გაღვიძებულნი თითქოს თავის მეორედ დაბადებას ზეიმობდნენ, მათ განახლებული ცხოვრება ახარებდათ. განუწყვეტელი სიცილის ხმები ისმოდა. თითქოს მრავალი წლის შესვენებით მათ ორგანიზმს ენერგია მომატებოდა. ერთმანეთს სიყვარულით ეგებებოდნენ და ულოცავდნენ გამოღვიძებას.

აირამ და გიორგიმ დარბაზი დასტოვეს, ცოტა დაისვენეს და ისევ პანთეონის დათვალიერებას შეუდგნენ.

— აქ დიდი რომანები ინასკვება, — თქვა აირამ.

გიორგის გაეცინა:

— როგორ? ნუ თუ შესაძლებელია სიყვარული არსებობდეს აქ, პანთეონში?

— შეყვარებულთათვის აქაც ერთგვარი თავშესაფარია. გნებავთ ამ რომანთა საიდუმლოების გაგება?

— მიამბეთ. ეს ჩემს ფანტაზიას აღემატება.

აირა მიცვალებულთა შორის ისე თამამად მიმოდიოდა,

როგორც აგრონომი ბაღში. გიორგი კი რაღაც უხერხულობას გრძნობდა, მაგრამ ცდილობდა ეს აირას არ შეემჩნია.

გიორგი ათვალიერებდა ყოველ მიცვალებულს და მის გარეშეს: აოცებდა მიცვალებულთა გარეგნობა. ისინი არ სუნთქავდნენ, თორემ ისე ნამდვილად მძინარეს ჰგავდნენ. წარმოიდგინეთ, ფერიც კი ცოცხალი ადამიანისა ჰქონდათ.

ისინი მივიდნენ ერთ ახალგაზრდა ვაჟის კუბოსთან.

აირა კეკლუცად შემოტრიალდა, კუბოზე აწვენა და ჰკითხა:

— ამას ხომ ხედავთ? გარშემო მიმოიხედეთ.

გიორგი ახლომახლო კუბოებს დააკვირდა და რამდენიმე ლამაზი ქალის გვამი დაინახა.

— ხომ ხედავთ რა ამბებია? — აირას თვალებში ითქოს ცეცხლმა იელვა.

გიორგი დაფიქრდა და თქვა:

— არ მესმის... ნუ თუ ამ ქალებს ეს ვაჟი უყვართ? განა არ შეიძლებოდა ამ ვაჟის სიცოცხლეში მისთვის სიყვარულის გამოცხადება?

იგი დააკვირდა დაფებს. მრავალ დაფაზე არც კი იყო აღნიშნული, თუ ვის როდის სურდა გაღვიძება. მხოლოდ ეწერა:

„გამაღვიძეთ, როდესაც რევაზმა ისურვოს“.

— ოსმალეთის სულთან აბდულ-ჰამიდსაც შეშურდებოდა ამდენი საცოლე, — ცალკერძ ირონიულად და ცალკერძ შურით დაუმატა გიორგიმ. აირას გაეღიმა.

— ეგ რა არის იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ შემდეგ ვნახავთ? — თქვა ეშმაკურად აირამ და განაგრძო გზა.

— ახლა ჩვენ ამ პანთეონის უძვირფასეს ბაღს ვიხილავთ, — უთხრა გიორგის აირამ. ვიხილავთ ამ განსასვენებელის მშვენიერ კუთხეს.

ცოტა ხნის შემდეგ შესანიშნავ დარბაზს მიადგნენ. ჭერი, კედლები და იატაკი არაჩვეულებრივად იყო მორთული.

— აი თქვენი ოთახი, — მიმართა გიორგის აირამ.

— ჩემი ოთახი?! — გაუკვირდა გიორგის. — განა მე რამდენიმე კვირის წინათ არა ვარ ნახული?!

— არა, აი ოთახი, სადაც თქვენ რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში განისვენებდით. ნუ თუ არ იცოდით, რომ თქვენ ნაპოვნი ხართ შვიდასი წლის წინათ?

— შვიდასი წლის წინათ?! — გაიმეორა მან, — მაშასადამე

მე — მეოცდასამე საუკუნეში ვუპოვნივართ! — უაზროდ იმეორებდა იგი. — მეოცდასამე საუკუნეში, მეოცდასამეში.

— მე მგონია, თქვენ ეს იცოდით.

— კარგ ადგილას მოვუტანივართ...

— ახლა თქვენ განსასვენებელსა და მეზობლებს დააკვირდით, — თქვა აირამ.

გიორგიმ მის წინ მდებარე ცარიელ კუბოს დასედა. იგი ძვირფასად იყო მორთული.

მისი ყურადღება მიიპყრო კუბოს თავთან რაღაც მცენარემ. იგი შემოხვეოდა მალაქიტის ფიცარს, რომელზედაც გიორგის დაბადებისა და გარდაცვალების წლები იყო აღნიშნული. ირგვლივ ცოცხალი ყვავილები სურნელებას აკმევდნენ. ყველაფერი თითქოს სადღესასწაულოდ იყო მორთული.

— ეს კუბო ერთობ მსატვრულად მოურთავთ!

— გარშემო მიმოიხედეთ.

გიორგიმ გასაოცარი სილამაზის ქალები დაინახა. ამ ქალების ტანის ბრწყინვალებამ გიორგი თითქოს ღააბრმავა.

— მთელი ეს დარბაზი, სადაც რამდენიმე ბროლის კუბო აწყვია, თქვენი თაყვანისმცემლებისაა.

— მართლა? — წამოიძახა გიორგიმ და მთელ ტანში სიამაყისა და სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა.

— დიახ!

გიორგიმ რაღაც უხერხულობა ,.გრძნო.

— ნუ თუ მე ამ ქალებს გარდაცვლილი მოვეწონე?

— წარმოიდგინეთ! დიდ გამარჯვებად ამას მაინცდამაინც ნუ ჩათვლით, — გააფრთხილა მაცდური ღიმილით აირამ.

— საოცარია, — ჩაილაპარაკა გიორგიმ და გაიფიქრა:

„ამდენი ქალი, ამდენი მშვენიერი სახე და ტანი, ამდენი მოსიყვარულე გული...“

— რა სწერია ამ დაფაზე? — იკითხა მან ბოლოს.

— ძალიან გნებავთ იცოდეთ?

აირამ გიორგის ღიმილით შეხედა.

— აქ სწერია: „გამაღვიძეთ, როდესაც გიორგიმ ისურვოს“.

გიორგის გაეცინა.

შემდეგ კუბოს დახედა და მძინარე ქალის მომჯადოებლობით განცვიფრდა: გიშრის გრძელი წამწამები, მარცხენა ლოყაზე წერტილივით პატარა ხალი, მომღიმარი ბაგე და მიმზიდველი სახე ამ ქალს მომხიბლავად ხდიდა.

— ვინ არის ეს ქალი? — თავისდაუნებურად იკითხა.

— ნომელა, — უპასუხა აირამ და დაუმატა: — ჩვენი საამაყო მწერალი, პოეტი.

— მართლა!.. — და გიორგი მძინარეს დააშტერდა.

— ნომელა სულ ნორჩი იყო, როდესაც მიიძინა.

გიორგიმ წაიკითხა მისი დაბადებისა და მიძინების წლები.

— ძალიან ახალგაზრდა ყოფილა, — თქვა და გაიფიქრა: „ნომელას მე ვუყვარდი? რა ბედნიერი ვყოფილვარ?.."

გული აჩქარებით უცემდა: მუსლებში რაღაც სისუსტე იგრძნო... დანარჩენ მიძინებულთ ზერელედ თვალი გადაავლო.

— კმარა, წავიდეთ!

უეცრად იქვე ახლო მდგომ კუბოს ფეხი წამოჰკრა, წაიფორხილა და კინაღამ წაიქცა. იგი საჩქაროდ გასწორდა, თითქოს ბოდიშის მოხდა სურდა ამ კუბოში მწოლარეს წინაშეო, კუბოში ჩაისედა, მაგრამ იგი ცარიელი აღმოჩნდა.

„ალბათ, გამოუღვიძია", — გაიფიქრა გიორგიმ და თვალი მოჰკრა წარწერას.

მართალია, მან ამონურ ენაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ არ იცოდა, მაგრამ ასოები მისთვის ნაცნობი იყო. თვალებზე ხელი გადაისვა. სახე დაფას მიუახლოვა, რომ უკეთ გაერჩია. შემდეგ ნელა შემოაბრუნა თავი:

— აირა მოლ?! — წამოიძახა მან.

აირა იდგა თავდახრილი. მთელ მის არსებაში იყო რაღაც ბავშვური.

— ნუ თუ თქვენ?! — მიმართა გიორგიმ აირას. — ღმერთო ჩემო, ნუ თუ ეს სინამდვილეა?!

რამდენიმე წუთს გიორგი მისჩერებოდა თავდახრილ აირას; მას გარკვეულად ესმოდა საკუთარი გულის ცემა.

როგორც სიზმარში, მას მოესმა აირას აღელვებული ხმა:

— მე მზად ვიყავი ყველაფერი შემეწირა თქვენთვის.

გიორგი მიუახლოვდა აირას. აიღო მისი უღონოდ დაშვებული ხელი და ათრთოლებული დაეწაფა მას.

— წავიდეთ, — ცოტა დამშვიდების შემდეგ თქვა აირამ.

ავტომატურ გზაზე შედგნენ და ლიფტისაკენ გაეშურნენ.

ორი სახე დაეუფლა გიორგის ოცნებას: აირა და ნომელა.

რომელი სჯობს? გიორგის ვერ გაურჩევია. მართალია, ნო-

მელა მას სინამდვილეში ჯერ არ უნახავს, მაგრამ რეპროდუქტორში ხომ ნახა. მან იცის მისი ხმა, ტანი, სახე, თვალები და, წერტილივით პატარა ხალი მარცხენა ლოყაზე. მაგრამ აირა ხომ სინამდვილეშია? ცოცხალია და მას გიორგი უყვარს...

აირა მშვენიერია, მაგრამ მისი სიყვარული მეგობრობის ღალატს გულისხმობს. ეს კი გიორგის სამარცხვინო საქმედ მიაჩნია... არა, გიორგი ვერ გაუძლებს ასეთ გამოცდას.

— მე მიყვარს ღონიერი და სწრაფი ხალხი, — თქვა აირამ, და გიორგის მკლავს მძიმედ დაეყრდნო.

ლიფტში ჩასხდნენ.

— პანთეონის ნახვა სამძიმოდ მიმაჩნდა, მაგრამ დღეს უდიდესი ბედნიერება განვიცადე, — თქვა გიორგიმ.

— მე ამაში ცოტა ეჭვი მეპარება...

— თქვენი ეჭვი სრულებით უსაფუძვლოა...

— ნეტავი მართლა! — ღიმილით მიუგო აირამ.

ღამის თორმეტ საათს გადაშორდა. მან გუშინ აღფრთოვანების მომგვრელი ქიმიური საკვები მიიღო. მისი მოქმედება ამ დროს უნდა დაწყებულიყო და მართლაც გამოჩნდა მისი პირველი ნიშნები. გიორგის თვალში ქვეყანა აფერადდა და ნაზად რხევა დაიწყო. მან აირას შეხედა. შემდეგ ბროწეულისფრად ტუჩებმა გაიელვა. ტუჩები გიორგის მომაჯადოებელი და დაუძლეველი ძალით იზიდავდნენ.

— ჩემი ნავი ოკეანეზე დაცურავს, — თქვა გიორგიმ გამოცვლილი ხმით.

აირასთვის გიორგის სულიერი განწყობილება ნათელი იყო, საათს დახედა.

— არ გეშინიათ, რომ ნავი ჩაიძიროს?

— დეე, ჩაიძიროს, — ხელის ჩაქნევით თქვა გიორგიმ, — ყველაფერი ხომ წუთია?

მან კვლავ აირას შეხედა. მის თვალებში თითქოს მოჩანდა მტრედისფრად გაშლილი დილა.

სიმთვრალე თანდათან მატულობდა. გიორგი ატყობდა, ქვეყნის ნაზი რხევა როგორი გიჟურ ქანაობაში გადადიოდა. წარსული, აწმყო და მყობადი ელექტრო-კარუსელზე დატრიალდა და მთელი სიცოცხლე აირას სახეში გაერთიანდა.

აირას ბაგეს დაეჭერდა. იგი მოურჩენელ ჭრილობად მი-

ეჩვენა. ეს ჭრილობა გიორგის საკუთარ გულზე ჰქონდა და მას ტკბილად სტანჯავდა.

სიცოცხლე გიორგის თვალში ერთ პეშვ წყალად გადაიქცა. თუ უნდა ამ წყალს ერთი სულის მოთქმით შესვამს, თუ უნდა — გადაღვრის. სულერთი არ არის?

— წავიდეთ!

— კარგი, — მიუგო აირამ და რაღაც ღილს თითი დააჭირა. თითქოს მიმინომ ირაო ქნაო, ისე აფრინდა ლიფტი ჰაერში. უეცრად გიორგის ხელი კედელს შეეხო და რომელიღაც ღილს მოხვდა. ამან გამოიწვია ლიფტის გაჩერება და შუქის ჩაქრობა.

— რა მოხდა?! — გაიკვირა ბნელში დარჩენილმა გიორგიმ.

— არაფერია, სინათლესა და მოძრაობას ახლავე აღვადგენ, — თქვა აირამ და ხელი კედლისაკენ გაიშვირა. გიორგიმ ამ ხელის გასაოცარი სურნელება და ელექტრობა იგრძნო. მან აღარ დააცალა აირას ლიფტი კვლავ მოძრაობაში მოეყვანა, ის მხურვალედ დაეწაფა აირას ხელს. მალე მათი მკლავები და ტუჩები სიბნელეში ერთმანეთს შეხვდა, და გაისმა ორი მკერდიდან ამომსკდარი ბედნიერების ოხვრა...

გაპარვა

გიორგის ტკბილად ეძინა. მის გუშინდელ ვნებათაღელვისაგან მოთენთილი სხეული განცხრომით ისვენებდა. მალე ფრინველთა ჟრიამულმა გამოაღვიძა იგი. გიორგიმ თვალი გაახილა და გააზმორა. სხეულში თითქოს მეტ ძალას გრძნობდა, მაგრამ, როდესაც მას გუშინდელი დღე მოაგონდა, ისევ გუნებაზე დადგა, თითქოს ბოროტმოქმედება ჩაედინოს.

გუშინდელი სამარცხვინო ამბის შემდეგ მას კარიოზის შეხედვა აღარ შეეძლო. უცებ აზრი დაებადა, სადმე გაპარულიყო; შორს, შორს სადმე უნდა გადაიმალოს, მისი კვალი სრულებით უნდა დაიკარგოს. დეე, მოკვდეს, მხოლოდ მისი სახელი პატიოსნად ისსენიებოდეს. მან მეგობრობასა და პატიოსნებას უღალატა. ამ ღალატისათვის სასჯელი მოელის, არ იმდენად ფიზიკური, რამდენადაც ზნეობრივი. რა პირით შეხედოს აწი მეგობარს?

როგორც ეტყობა, მასპინძლებს კიდევ სძინავთ. მან აირა

ოთასთან ფესაკრეფით და ჩქარა გაირბინა. კარიოზის საწოლი ოთასიც უკან დარჩა. აირას მოგონებაზე მის გულში ზიზღი და სიყვარული ერთმანეთში აირია. ეზიზღებოდა თავის საქციელი, მეგობრის ღალატი, მაგრამ ამაში აირასაც უდევს ბრალი. რასაკვირველია, აირაც დამნაშავეა, ისიც ცუდად მოიქცა.

ბაღს გასცდა და პარალელურ ქუჩაზე შეხტა. აქედან, თავის კვალის დაბნევის მიზნით, მან კიდევ ორი ქუჩა გამოიცვალა. მალე ექსპრესულ ქუჩაზე გადავიდა და დასავლეთისაკენ სწრაფად გასწია. ამ ქუჩამ ერთ მოზრდილ ტბის პირამდის მიიყვანა. სტომის ტბა იცნო. მასზე ამ დილით მრავალი ხალხი გამოსულიყო. გიორგიმ მოინდომა ამ სალხს დაშორებოდა, მაგრამ რომელ ქუჩაზე უნდა შემდგარიყო არ იცოდა.

იგი მოძრავ ქუჩიდან გადმოვიდა და სამხრეთისაკენ ტბის ნაპირს დაუყვა, ორი საათი იარა, მერე დაიღალა, შეჩერდა.

გიორგიმ ნაპირის მოშორებით დაინახა რაღაც ნავები, სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის. ნავები თითქოს უპატრონო იყო. გიორგიმ ერთ-ერთ მათგანში ჩაჯდომა და დასვენება განიზრახა. მაგრამ ნავი იყო ეს თუ აეროპლანი, მან კიდევ ვერ გაარჩია. თუმცა სულერთი არ იყო მისთვის? ნავში ფესი შედგა. ცოტა ხნის შემდეგ მისი ყურადღება მიიპყრო ნავის კედლებზე მოთავსებულმა ხელსაწყო იარაღებმა.

მათი გარჩევა გიორგის არ შეეძლო, იცნო მხოლოდ კომპასი. თეთრი პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩაიყო და მოჰყვა უაზროდ ფათურს. უცებ თითები რაღაც ნივთს შეეხო. გაახსენდა ბაკურიშვილის ლექსთა კრებული. მეორე ჯიბეში საკითხავი აპარატი აღმოაჩინა.

საკითხავი აპარატი ისევ ჯიბეში ჩაიდვა. წიგნი კი ხელის გულზე დაიდო და კენჭივით შეათამაშა. უცებ წიგნი ხელიდან გაუვარდა, და სარქველივით ამოჭრილ იატაკში ჩაგორდა. რაღაც ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა, სარქველი ახადა, მაგრამ სიბნელეს შეუჩვეველ თვალით ნავის ორმოში გარკვევით ვერაფერი დაინახა. შეატყო მხოლოდ, რომ იგი მადალი არ იყო, ფსკერში ადვილად ჩასწვდებოდა, დაიჩოქა და ორმოში ხელი ჩაჰყო. ხელს ბოლომდის უწვდენდა, მაგრამ წიგნი არსად ჩანდა. ყუთში ბლომად იყო რაღაც ჩარსები, ჭანჭიკები, ზუმპები და აპარატები. უეცრად რომელიღაც ზუმპას ხელით შეეხო, რასაც საშინელი აფეთქების ხმა მოჰყვა. ხმა ისეთი

ძლიერი და მოულოდნელი იყო, რომ მან მოსაზრების უნარი დაჰკარგა. აფეთქებასთან ერთად ნავის კედლები სწრაფად დაიხურა. ნავის დახურვა და შიგ განათება ერთად მოხდა. კარგა ხანს გაბრუებული იყო. შემდეგ შეეცადა გაერკვია თავის მდგომარეობა. ამ დროს ნავი თითქოს ტალღებში შეცურდა.

„ალბათ, წყალქვეშა ნავზე მოვხვდი", — გაიფიქრა მან.

გიორგიმ ნავის გვერდებში მრგვალი ფანჯრები დაინახა, ბარომეს დააკვირდა. ქვევით რაღაც უზარმაზარი ნაცრისფერი ტილო მოჩანდა, ეს ტილო მრავალ ადგილას თეთრი ლაქებით იყო დასვრილი, ახლა ზევით აიხედა. მზის სხივები ლაპლაპებდა. დარწმუნდა: ჰაერის უსაზღვრო სივრცეში მიჰქროდა. ქვევით, ალბათ, დაშორებული მიწის სილუეტები, თოვლიანი მთები თუ ღრუბლები მოჩანდა. ეტყობა, მიწას საკმაო მანძილით დაშორებოდა, მაგრამ რამდენით, ამის გაგება არ შეეძლო. ხელსაწყო იარაღებს შეხედა და ბარომეტრი შეამჩნია. დახედა, შიშისაგან თმა ყალყზე დაუდგა.

„ორმოცი კილომეტრი მიწის ზევით!" — თქვა შეშინებულმა.

„ორმოცდაერთი კილომეტრი, ორმოცდაორი, ორმოცდასამი", — ვერ ასწრებდა დათვლას.

„ალბათ, თვალი მატყუებს, თორემ განა შესაძლებელია ამ სიმაღლეზე ასვლა?" როდესაც ორმოცდაათ კილომეტრამდის მიაღწია, მაშინ საჰაერო ნავი თითქოს გასწორდა, ერთი კიდევ საშინლად იგრიალა, და სამხრეთისაკენ გასწია.

ეს მიმართულება გიორგიმ კარგად შეამჩნია კომპასისა და დილის მზის სხივებზე.

„ვიღუპები, უთუოდ ვიღუპები!" — გაუელვა გიორგის.

მიხვდა, რომ რაკეტიან საჰაერო ნავზე იმყოფებოდა.

„მაგრამ სად მიდის ეს ნავი? ვინ იცის? იქნებ მარსზე, ვენერაზე ან მთვარეზე? კიდევ კარგი, თუ რომელიმე პლანეტაზე ცოცხალი მივედი, მაგრამ ხომ შესაძლებელია, გზაზე უსვად გაბნეულ მეტეორიტებს, ან კუდიან ვარსკვლავებს დავეჯახო?" — გიორგის შიში თანდათან მატულობდა.

ნავმა კიდევ ერთხელ იგრიალა.

„ახია ჩემზე!" — ფიქრობს გიორგი და თან სიკვდილის შიში უმძიმებს სხეულსა და გონებას. ღონემიხდილი თითქოს მიწის აჩრდილს გრძნობს. ბარომეტრი კარგახანია ორმოცდაათ კილომეტრს აღარ შორდება.

„თუ უნდა მოვკვდე, დეე, ისევ მიწამ მიმიღოს“.

უცებ ბარომეტრმა დაიწია. აშკარაა, გიორგის ნავი დედამიწას დაუახლოვდა. მიწაზე დაჯახების შიშით ძარღვებში სისხლი გაეიყნა. ის ყოველ წამს ელის მტვრად ქცევას.

მაგრამ დაუჯერებელი ამბავი ხდება: მიწიდან, დაახლოებით, კილომეტრის მანძილზე ნავმა სისწრაფე შეამცირა.

ნავი ცოცხალი ფრინველივით მიწაზე დაეშვა, შემდეგ მას დასურული თავი გადაეხსნა. გულშეწუხებული გიორგი კარგა ხანს გრძნობაზე ვერ მოვიდა. ბოლოს უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და ნავიდან გადმოვიდა. თითქოს ხელახლა დაიბადა, შიში სიხარულმა შესცვალა. ირგვლივ ველები და ამწვანებული მინდვრები დაინახა, მოშორებით კი ტყით დაფარული გორაკები.

„სადა ვარ?“ — გაიფიქრა გიორგიმ.

ასლომახლო არავინ იყო. ამ წუთში მას არც ესიამოვნებოდა ვინმეს შეხვედრა. ეტყობოდა, იგი სადღაც მიკარგულ ადგილზე იმყოფებოდა. მან ისეთი ბინა იპოვნა, როგორიც სურდა. საათს დახედა — რვა სრულდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ დილა იყო, საგრძნობლად ცხელოდა, აღმოსავლეთიდან მზე პირდაპირ მოდიოდა და ზენიტს უახლოვდებოდა.

გიორგი ხშირ ტყეს შეუყვა. ამ ტყეს ამშვენებდა უხვი ტროპიკული მცენარეულობა. აქ შესვენება განიზრახა. ძალიან ეხალისებოდა, რომ ადამიანთა თვალსა და ყურს გადაურჩა.

ფეხებში ჭრელი გველი გაუსრიალდა. გიორგის შიშისაგან ტანში დაბურძგლა.

„ფუ, დაგწყევლოს ეშმაკმა“, — ჩაილაპარაკა მან.

„ფუ, დაგწყევლოს ეშმაკმა“, — გაიმეორა ვიღაცამ.

„ეს რაღაა?“ — განცვიფრებით წამოიძახა გიორგიმ.

„ეს რაღაა?“ — კიდევ გაიმეორა ვიღაცამ.

გიორგიმ გაკვირვებით მაღლა აიხედა და ფრინველებს მოჰკრა თვალი.

— ხა, ხა, ხა, ხა! — გაიცინა მან მთელი გულით.

თითქოს მიდამოებმაც უპასუხეს:

— ხა, ხა, ხა, ხა!

გიორგი ამ გულუბრყვილო თუთიყუშებმა გაახალისეს. იგი მათ მალე კარგა მანძილზე დაშორდა. მაგრამ, რაც უფრო წინ

მიიწევს, ხეები და მცენარეულობა მით უფრო მატულობს. თანდათან მეტად სშირ და გაუვალ ტყეში შელის, სადაც ლიანებს ტოტები ერთმანეთში გადაუხლართავთ.

გიორგის წინ გადახლართულ ლიანების კედელი აღიმართა. წინ წასვლა შეუძლებელი ხდება. უზარმაზარ ხის წვერში, რომელმაც გიორგის ლიანებით გზა გადაუღობა, მან დაინახა შიმპანზე. იგი გამოცდილი ოსტატივით ხეს ჯოხს უკაკუნებდა, თითქოს სინჯავდა, ფულური აქვს თუ მკვრივიაო.

გიორგი ტყიდან უკან დაბრუნდა. კარგა ხანი გასულიყო. ძლიერ მოსწყურდა. დიდი ძებნის შემდეგ ის წყაროს წააწყდა, მივარდა და დაეწაფა. შემდეგ, თავისუფლად ამოისუნთქა. მიდამოს თვალი მოავლო. წყარო საუცხოოდ იყო მოწყობილი. მას თლილი ქვები, ძვირფასი ჩუქურთმები და ოქროს ონკანი ამშვენებდა. შუა წყაროზე ჟირაფი, ლომი და ბეგემოტი იყო გამოხატული. გიორგის დაღვივით ჩაუჯდა გონებაში სამი ერთგვარი ციფრი, ეს ციფრი გიორგის ყოველთვის უყვარდა, ეს იყო № 555.

„სამი სუთიანი, როგორ მიყვარდა. ეს იყო ჩემი გამარჯვების ნიშანი", — თქვა გიორგიმ და იქვე ჩამოჯდა.

„ შესანიშნავი წყალია. მადლობა მის გამკეთებელს... სანამდის მოსულა ადამიანის ხელი!"...

მშველელს ექაზის

ბევრი ხეტიალის შემდეგ გიორგი ერთი დიდი ხის ამობურცულ ძირზე დაჯდა და ფიქრებმა გაიტაცა.

„დიდი ხანია, რაც ახალგაზრდობის ტურისტული გატაცებანი გაჰქრა, შემდეგი დროების სამეცნიერო ექსპედიციებიც დავასრულე. ამჟამად ჩემ აქ ყოფნას რა აზრი აქვს? კარიოზს ვემალები?.. მაგრამ ვინ იცის — შესაძლებელია, მეოცდაათე საუკუნეს ისეთი იარაღები აქვს, რომ ასლა მე კარიოზი ამ მანძილზე ცხადად მხედავს და გულში ფიქრობს: დამაცა, შენ საქციელს განანებო". — და გიორგიმ გარშემო მიმოიხედა.

„რა მოსაბეზრებელია ცხოვრება, როდესაც არა გსურს იგი. გასაოცარია ამ მეოცდაათე საუკუნის ხალხი. გამოდის: გინდა თუ არა მაინც უნდა იცოცხლო. დაიძინებ — გაღვიძებ, მოკვდები — გაფენიქსებენ!.. ამ სალხში მე სრულებით

ზედმეტი ვარ, — ფიქრობდა ის მწარედ, — მე თუ გამაღვიძეს, არა იმიტომ, რომ ახალი მეგობარი სურდათ შეეძინათ და ჩემი დიდი სიყვარული ჰქონდათ, არამედ ისე, სხვათაშორის. აირასთვისაც-კი მე მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობის ობიექტს წარმოვადგენ, სხვა არაფერს. ის ერთობა ჩემით, როგორც ბავშვი ახალ სათამაშოთი, მაგრამ"... — გიორგიმ ნაღვლიანად თავი ჩაჰკიდა. კარგახანს იყო ასე, ბოლოს შუბლზე ხელი მოისვა და ხმამაღლა თქვა: „ნუ თუ აირას სიყვარული უბრალო ჟინის შედეგია?" — გიორგის სევდა შემოაწვა.

„კიდევ უფრო შორს უნდა გადავიკარგო!" — უცებ გადაწყვიტა მან და ზეზე წამოიჭრა. ის ჩქარი ნაბიჯით რაკეტიან ნავისკენ გაემართა. მივიდა. ბევრი აწვალა მისი ზუმპერი და ჩარსები, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია.

„დასწყევლოს ღმერთმა!" — ბრაზმორეული ნავს გაშორდა.

ერთ გორაკზე ავიდა; მიდამოებს თვალი მოავლო. არავინ ჩანდა. არც რაიმეს ხმა ისმოდა. როცა მზე ჩავიდა და სიბნელე ჩამოწვა, გიორგიმ ჯურღმულში იგრძნო თავი.

ის მოსავებული მიჯდა იქვე სქელფოთლოვან ხის ძირას და გაყუჩდა. უიმედო ფიქრებმა კვლავ მოიცვეს მისი არსება. მერე ნელ-ნელა რული მოერია, თავი მუხლებზე დაუვარდა და ღრმად ჩაეძინა.

მეორე დღე პირველ დღეზე უფრო მძიმე გამოდგა. მესამე კი მეორეზე სასტიკი.

გიორგი ხედავდა, რაც დრო გადიოდა, მარტოობა თანდათან აუტანელი ხდებოდა. გიორგის მოენატრა ადამიანის შეხედვა, მასთან ლაპარაკი.

„ნეტავი როგორაა ახლა აირა?" — გაუელვა უეცრად გიორგის და თან თვალწინ წარმოუდგა აირას მომღიმარი სახე, მომჯადოებელი ლაპარაკი, ცხელი ტუჩები... თავისდაუნებურად გაახსენდა რადიოტელეფონის ნომერი, რომელიც გიორგის უნებლიედ სამჯერ აღმოხდა: 3210123, 3210123, 3210123. გიორგის სულ ახლო მოესმა აირას ხმა.

— აირა?! — უცებ შეკრთა გიორგი, ზეზე წამოიწია და შუბლზე ხელი გადაისვა.

— აირა ვარ. თქვენ გიორგი ხართ?

— დიახ, მე აირა, აირა, აირა, — რამდენჯერმე უაზროდ გაიმეორა ეს სახელი მან.

— მითსარით სადა ხართ, სინათლეს მოგაშველებთ. ღამეა, ვერაფერს ვუცქერი.

— თქვენ სადა ხართ? ასლოს უნდა იყოთ, მაგრამ სად?!

— სტომიდან გელაპარაკებით, თქვენ სადა, ხართ?

— არავითარი წარმოდგენა არა მაქვს, სად ვიმყოფები. ვატყობ, რომ სადღაც ცხელ ქვეყანაში მოვხვდი. არ ვიცი რომელი ქვეყანაა.

— დაწყნარდით, რა კუთხეზეა თქვენთან ამჟამად რომელიმე ვარსკვლავი?

— რა ვიცი, ვერ ვიცნობ, ვერც გამოვიანგარიშებ.

— გამოდით, თავისუფალ ადგილას დადექით, რომ ვარსკვლავები მოჩანდეს.

გიორგი ბორძიკით ზეზე წამოდგა; უხეო, ერთ მომცრო ტაფობზე გავიდა, საიდანაც ზოგიერთი ვარსკვლავი მოჩანდა.

— კარგი, — მოისმა ხმა, — თქვენ მაგ ადგილებში წყარო ხომ არ გინახავთ?

— დიახ, ვნახე.

— რა ჩუქურთმები ჰქონდა იმ წყაროს, შეიძლება ნომერიც გახსოვთ!

— მასზე ბეგემოტი, ჟირაფი და ლომია გამოსატული, ნომერი 555!

— ძალიან კარგი, ორ წუთს მომიცადეთ. სადა ხართ ასლავე გამოვარკვევ, მალე სინათლესა და კარიოზს მოგაშველებთ.

— კარიოზს?! — მკვახე ხმით წამოიძახა გიორგიმ.

კარიოზს დაემალა და ისევ კარიოზი უნდა იხილოს, მას პირისპირ უნდა შეხვდეს!

„არასოდეს!" — გადასწყვიტა გიორგიმ.

მაგრამ უკან დახევა გვიან არის. მან შველა ითხოვა და საშველად მოვლენ. ორი წუთის შემდეგ მოისმა აირას ხმა.

— მისმენთ?

— დიახ, გისმენთ!

— თქვენ ხართ აფრიკაში, ყოფილ სახარის უდაბნოში, ყოფილ ქალაქ ტანესრუფტის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოვებით ასი კილომეტრის მოშორებით.

— ტანესრუფტის ჩრდილო-აღმოსავლეთით?! — გაუკვირდა გიორგის.

— დიახ, — დაუძახა აირამ. — ახლავე იქნება სინათლე და

დამსმარე. უკაცრავად, მე არა მცალია, თორემ მოგეშველებოდით.

ამ სიტყვებზე გიორგიმ ჩრდილოეთით შეამჩნია მზის ამოსვლის ნიშნები. მზე საოცარი სისწრაფით ამოდიოდა.

— მზე, მზე! — სისარულით წამოიძახა გიორგიმ.

— ხომ კარგად გისათებთ? — შეეკითხა ხმა.

— შესანიშნავად!

— მეც ვხედავ, რომ სწორად მოგაკვლიეთ. აწი ნულარ ვეშინიათ.

— აირა, ღვთის გულისათვის, როგორ მოიმნახეთ?!

— სულ ადვილად, — უპასუხა აირამ, — ყოველ ადგილს თავისი განსაკუთრებული ნიშნები აქვს; ამის მისედვით ჩვენ დახმარებას ვუწევთ ამა თუ იმ ადგილას მყოფ მგზავრებს.

— მე ჯერ კიდევ არ ვიცი თქვნი ხმა საიდან მესმის?

— წინ დაისედეთ და დამინახავთ.

გიორგიმ თვალები ფართოდ გაიღო და თავის წინ აირას დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ დაინახა.

— ხა, ხა, ხა, ხა! — შემოესმა აირას მხიარული სიცილი.

— რა გაცინებთ? — შეეკითხა გიორგი.

— კი არ დაგცინით, ისე ვიცინი... ხა, ხა, ხა, ხა! — გაისმა ისევ შორეული სიცილის ხმა.

გიორგი მთლად დაიბნა. არ იცოდა აირა სად ეძებნა. ის მისჩერებოდა თავის წინ მყოფ ბალახებს, ქვებსა და ფოთლებს, მაგრამ ძებნამ ამაოდ ჩაუარა.

— აირა! ტყუილა მცდით. — თქვა იმედდაკარკულმა გიორგიმ.

— მეძებეთ და მიპოვით.

— უშედეგოდ გეძებთ.

— დაიხედეთ წინ, თქვენი პიჯაკის ფოლაქზე.

გიორგიმ სწრაფად დაიხედა და აირას მხიარული სახე დაინახა. იგი თავის კაბინეტში იჯდა.

— აირა, აირა! — წამოიძახა გიორგიმ და მოწიწებით ფოლაქს ხელი შეასო. — ნუ თუ რადიოთი მელაპარაკებით?

— დიახ, რადიოთი, მაგრამ ასლა ნახვამდის, — უპასუხა აირამ და უეცრად გაჰქრა.

გაოცებულმა გიორგიმ ფოლაქს ხელი გაუშვა.

მას მეტად აკვირვებდა თუ როგორ შეძლეს ამ პატარა ფოლაქში ასეთი სიძლიერის რადიოსადგურის მოწყობა.

გიორგი ელის კარიოზს. იმ კარიოზს, რომელსაც ასე უსირცხვილოდ შეუბღალა მას სარეცელი.

ერთიმეორის საწინააღმდეგო ფიქრებში გართულმა, პაერში რაღაც დაინახა! უცებ მის მახლობლად დაეშვა რადიოყუმბარა, საიდანაც გადმოვიდა კარიოზი.

— გამარჯობა გიორგი! — ხალისიანად მიესალმა კარიოზი.

— გაგიმარჯოთ! — მიუგო დარცხვენით გიორგიმ.

— ძალიან გაგიბედნიათ მარტო და უაპარატოდ ამ ადგილებში მგზავრობა.

— მე ერთ დროს ტურისტობით მეტად გატაცებული ვიყავი და სწორედ იმიტომ... — ენა დაება გიორგის.

— ძველ დროს უფრო მეტი საშინელებით იყო მოცული ყოველგვარი მგზავრობა, დღეს ეს თავიდან აცილებულია. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ მარტო თავისი მკლავების მოიმედესათვის დღესაც მოსალოდნელია რაიმე ხიფათი.

— დიახ, მართალია. სწორედ იმიტომაც შეგაწუხეთ.

— ჩვენი შეწუხება არაფერია, ოღონდ თქვენ რომ შეწუხდით, ეს გვაფიქრებს. უნდა გამეფრთხილებიეო, მგზავრობის დროს ვისთვის ან რისთვის უნდა მიგემართათ.

— საბოდიშო მე მაქვს, რომ არ გაგაფრთხილეთ და ისე წამოვედი, მაგრამ აფრიკა მე მიყვარს, როგორც ჩემი მეორე სამშობლო. სწორედ აფრიკას უნდა ვუმადლოდე დაბალზამების წამლის მიგნებას. ამიტომ სულმა აღარ მომითმინა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც თქვენ გამწვანებული უდაბნოები ახსენეთ, და აქეთ გამოვეშურე.

— საინტერესოა, რით იმგზავრეთ?

— რაკეტიან ნავით.

— ხა, ხა, ხა! — გაიცინა კარიოზმა. — სად მოძებნეთ იგი? ალბათ, სატრანსპორტო მუზეუმის მიდამოებში?

— დიახ.

— ძალიან პრიმიტულ საშუალებისათვის მიგიმართავთ.

— მე რაკეტებიან ნავებზე უფრო ძველი ვარ. ჩემ დროს მხოლოდ ოცნებობდა კაცობრიობა ამ ნავების აგებაზე.

მზე კიდევ არ იყო ჩასული, როდესაც გიორგი და კარიოზი სტომში მიფრინდნენ.

დიდი ზნეობრივი ბრძოლის შემდეგ, გიორგი თავის მდგომარეობას თითქოს შეურიგდა. მას აირა უყვარდა, და ამავე დროს კარიოზის დიდი პატივისმცემელი იყო. ვერცერთს ვერ სთმობდა. რა ექნა? იცოდა, რომ საშინელია მეგობრის ღალატი, მაგრამ უსაშინელესი ყოფილა სიყვარული.

გიორგის გული შუაზე გაიყო.

იგი, თავის თავის უკმაყოფილო, დიდმა განცდებმა და შთაბეჭდილებებმა დაღალა. მისი ორგანიზმი ოდნავ შესვენებას მოითხოვდა, ცდილობდა, რაც შეიძლება ძვირად შესვედროდა კარიოზს, მაგრამ რას იზამდა? ხელახლა სად გაქცეულიყო?

საღამო იყო. გიორგიმ დერეფანში აირას ფეხის ხმა გაიგონა. გაუხარდა. იგი მგონი მასთან მოდიოდა. გული სიხარულით აუტოკდა, კარი გაუღო, შეეგება, გვერდიო დაისვა.

მისთვის საკმარისი იყო აირას მხოლოდ სმის გაგონება, რომ ყველაფერი დავიწყებას წაეღო.

რაზედ საუბრობდნენ ისინი? ყველაფერზე, უმთავრესად წარსულზე. გიორგი უყვებოდა მას თავის ძველ ცხოვრებას.

— იყო დრო, როდესაც ძალიან გატაცებული ვიყავი ნადირობით, ჭადრაკის თამაშით და საერთოდ სპორტით. მიყვარდა ძაღლები, დაგეშილი მიმინოები და მოკლელულიანი თოფი. რამდენი სიამოვნება მიგრძვნია. რამდენი მწყერი, ხოხობი და ათასი სხვა ფრინველი მომიკლავს, რამდენი ტასი...

ეტყობოდა, აირას არ მოსწონდა გიორგის ნადირობის ამბები, მაგრამ ნაინც ყურს უგდებდა.

— რად ხოცდით ამ ფრინველებსა და ცხოველებს?!

— ეს სიამოვნება იყო, გარდა ამისა, ნანადირევს ვწვავდით და ვჭამდით.

გიორგიმ შეატყო, რომ მისი საუბარი აირაზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა და უცებ სხვა თემაზე გადავიდა.

— ჭადრაკი ხომ იცით? ჭადრაკი ჩვენ დროს ერთ-ერთ კულტურულ გასართობად ითვლებოდა.

აირას გაეხარდა.

— ჭადრაკი გიყვარდათ? იქნება გნებავთ მისი თამაშის თვალყურის დევნება?

— ნემთვის ეგ უდიდესი დასვენება იქნება.

— მაშ, წავიდეთ რომელიმე კლუბში. იქ ჭადრაკის მოთამაშეებს ბლომად შევხვდებით.

— დიდად დამავალებთ, — მიუგო გიორგიმ.

ისინი სასწრაფოდ მოემზადნენ, გარეთ გავიდნენ და ქუჩაზე შედგნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ აირა და გიორგი გადმოვიდნენ ქუჩიდან და რომელიღაც ბაღისაკენ გასწიეს.

საღამოს ექვსი საათი სრულდებოდა. ჩამავალი მზე წითელქოჩრიან ოფოფივით მოჩანდა. ბაღში დიდძალი ხალხი დასეირნობდა. სკამზე ქალები და კაცები წყვილ-წყვილად ისხდნენ. ხანდახან სიცილი გაისმოდა. წყვილები სიყვარულით ერთიმეორეს ეხვეოდნენ. გიორგის აირასი შერცხვა და მას ჩუმად გვერდიდან შეხედა. მაგრამ აირა მათ ხვეკნა-კოცნას ყურადღებას არ აქცევდა. ის ხმაამოუღებლივ წინ მიდიოდა, მხოლოდ ორი სიტყვა წამოსცდა:

„პაემანის ბაღში მოვხვდით, — გაიფიქრა გიორგიმ, — მაგრამ გასა აირამ არ იცოდა სად მივდიოდით?“..

ისინი შეყვარებულთ გაშორდნენ და მოჭადრაკეთა კლუბს მიადგნენ. გიორგიმ მოჭადრაკეებს თვალი გადაავლო. ძალიან ბევრი ხალხი თამაშობდა. წინ საჭადრაკო უჯრედებიანი მაგიდები ედგათ. უმთავრესად ქალ-ვაჟნი თამაშობდნენ. აირა და გიორგი ერთ წყვილს მიუახლოვდნენ.

— აირას ჩვენი სალამი და პატივისცემა, — წარმოთქვეს მათ ამონურ ენაზე.

— გიორგიც თქვენთან არის? ოჰ, მობრძანდით პატივცემულო გიორგი, მობრძანდით, — მიმართეს მას ქართულად, მაგრამ ამონური აქცენტით.

— ბოდიში უნდა მოვისადო თქვენს წინაშე, რომ მე ქართული კარგად არ ვიცი, — თქვა ლამაზმა გოგონამ.

— არც მე ვიცი, — დაამატა რისიანი ხმით ვაჟმა. ისინი, მართალია, ქართულ ენას ამტკრევდნენ, მაგრამ გიორგის ყეელაფერს აგებინებდნენ.

— მე და ფრაოლას მეტად ორიგინალური სანაძლეო ვავქეს, — წარმოთქვა ვაჟმა.

— მართლა? აბა, მარჯვედ იყავ ფრაოლა! — წააქეზა გოგონა აირამ და გიორგისაკენ იბრუნა პირი.

გიორგი გართული იყო დაფაზე ფიგურების დათვალიერე-

ბით. თითქმის ყველა ფიგურა მისი ძველი ნაცნობი აღმოჩნდა, მაგრამ უეცრად შესცვლილა.

— დაიცათ!.. ეს რა ფიგურებია?! — მიმართა მან აირას და უცნობი ფიგურები ხელით აჩვენა.

— განა, ამ ფიგურებს თქვენ ვერ იცნობთ?

— ყველა ფიგურას ვიცნობ, გარდა ამ არწივებისა და განსხვავებული პაიკებისა.

— ამბობენ, ჭადრაკი უძველესი თამაშიაო და... — გასწყვიტა წინადადება ფრაოლამ.

— დიახ, უძველესია, — თქვა ვაუმა.

— უძველესია, მესტი, — მიმართა ვაუს აირამ, — მაგრამ, ხომ იცით, ბეოცე საუკუნემ შესწორება შეიტანა ამ თამაშში.

— ძირთადი ბრძანებები. ჩვენი ჭადრაკი იმიტომ ატარებს ივიკის სახელს, — თქვა მესტიმ.

— მიკვირს, განა თქვენ არ გსმენიათ ივიკის ჭადრაკი? — მიმართა გიორგის აირამ. — ეს ხომ სწორედ თქვენი დროის ქართველი ამბავია?

— ეე ბოლო დროს ბევრი საქმეები მქონდა, ასე რომ, შესაძლებელია გამოვრჩა ჭადრაკში მომხდარი რაიმე ცვლილება, — იმართლა თავი გიორგიმ.

— კი, მაგრამ ივიკს პირადად არ იცნობდით?

— პატივცემულო ფრაოლა, თქვენ მგონი ქრონოლოგიაში შეცდომას უშვებთ. ივიკი ჩემ დროს არ ცოცხლობდა, ივიკი ძველ საბერძნეთში იყო. როგორც გამიგონია, იგი პოსეიდონის გზაზე მოკლეს. გადმოცემით, მისი მკვლელები წეროებმა აღმოაჩინეს. ივიკი ჩემ გარეანამდის ორი ათასი წლით ადრე ცოცხლობდა. ეე მიკვირს, მის მიერ გაუმჯობესებულ ჭადრაკზე თუ მელაპარაკებით, აქ რაღაც გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი. ჭადრაკის ისტორიიდან ვიცოდით, რომ ბერძნებს ივიკის დროს ჭადრაკის თამაშის შესახებ არავითარი წარმოდგენაც კი არ ჰქონიათ. ეს გასართობი ევროპაში პირველად არაბებმა შემოიტანეს. არაბთა ბატონობა კი ევროპაში ივიკზე ბევრად უფრო გვიან დამყარდა. ყოველ შემთხვევაში, არავითარი ცნობა ბერძნების მსრივ ჭადრაკის თამაშში რაიმე ცვლილების შესახებ ჩვენ არ გვქონია. შესაძლებელია, ასეთი ცნობები თქვენ მოგეპოვებათ, თქვენი აღმოჩენების, თქვენი მდიდარი არქეოლოგიის წყალობით? თქვენ მიერ გამოგონილ

იარაღებისა და, პირველ ყოვლისა, ტელესკოპების საშუალებით. ისტორიაში ზოგი რამ მოხდა ისეთი, რაც თავის დროზე დაკარგულა, მაგრამ მრავალი საუკუნის შემდეგ აღმოჩენილა და გამართლებულა. ვინ იცის, შესაძლებელია ივიკის ჭადრაკიც სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყო. მე მგონია, რომ ძველი საუკუნეების ყველაზე უფრო კულტურული ხალხისათვის, როგორიც ბერძნები იყვნენ, ჭადრაკი მიუწვდომელი არ იქნებოდა და შესაძლებლად მიჩაჩნია მასში როგორც მეცნიერების მრავალ დარგში, ცვლილება შეეტანეს, მაგრამ ისტორია ამის შესახებ არაფერს ლაპარაკობდა.

— სასიამოვნოა თქვენი მსჯელობა და ისტორიის მოგონება, მაგრამ ნუ თუ ივიკს თქვენ პირადად არ იცნობდით? — ასლა აირა შეეკითხა მას.

— ივიკი? ივიკი?! ვინ უნდა ყოფილიყო იგი? — ეკითხებოდა ოვის თავს გიორგი, მაგრამ ვერ იგონებდა.

— ეს იყო, თუ გნებავთ, გადაკეთებული სახელი თქვენი დროის ქართველი მწერლისა... — აგონებდა მას აირა.

— დიახ, დიახ, როგორ არა, პირადად ვიცნობდი! მახსოვს რაღაცას მელაპარაკებოდნენ ივიკის გამოგონების შესახებ, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ძლიერ გაროული ვიყავი პირად საქმეებში და ამიტომ გამომრჩა მსედველობიდან. მაშინ დაბალზამების წამალზე ვმუშაობდი, ზემი არსების ყოველი უჯრედი ამ იდეით იყო სავსე. იმედია, თქვენ ამახსნით ჭადრაკის დაფაზე ივიკის ფიგურების მნიშვნელობას.

მესტი და ფრაოლა სწრაფ პარტიას შეუდგნენ.

— ერთი შესედვით ადამიანს მართლაც ეუცხოვება, რომ ჭადრაკის დაფაზე არწივები არიან, — დაიწყო აირამ. — თავისთავად ისმება კითხვა: რა შუაშია არწივები ბრძოლაში? მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ყველა დაკეტილ კარს თავისი გასასხნელი აქვს. ჭადრაკის ამ რეფორმის პროექტი ისტორიულად ეკუთვნის იმ ეპოქას, როდესაც სამხედრო საქმეში აეროპლანები დიდ როლს თამაშობდნენ. ყოველგვარი მოვლენა თავის ეპოქის შვილია: უძველეს ჭადრაკის გამომგონებელს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ამ სიმბოლიური ფრინველების ჭადრაკში შეყვანა. იმიტომ რომ, მის დროს ჰაერში ფრენას ადამიანი სიზმრად თუ წარმოიდგენდა, თქვენ დროს კი კაცობრიობამ ამ სიზმარს ხორცი შეასხა. მაგრამ მათი გამო-

ყენება იმპერიალისტების მხრივ ადამიანთა გაჟღენტის ხაზით წარმოებდა.

— დიახ, სამხედრო აერობლანები, — შესიშნა გიორგიმ. მას უნებლიედ მოაგონდა მსოფლიო ომის საშინელება.

— ამ ჭადრაკის გამაუმჯობესებლის პოეტურმა ფანტაზიამ ისინი უფიდეს და უძლიერეს მტაცებელ ფრინველად დასასა და მას განმანადგურებელი უწოდა. იგი დაფაზე მარილაც მოწინააღმდეგეს საშინლად ანადგურებს.

— მოწინააღმდეგე ფიგურას ყოველი ფიგურა ანადგურებდა, თუკი მტერი მის მოქმედების ფარგალში მოხვდებოდა.

— არა, მე მინდა გითხრათ, რომ აქ საქმე გვაქვს გასაოცარი მოქნილობის ფიგურასთან. მას ერთი მდგომარეობიდან მეორეში სწრაფად შეუძლია გადასვლა.

— რაგორ დადის განმანადგურებელი?

— უპირველესად, საქმირია აღინიშნოს დაფის გადიდება. გიორგიმ ოვალები დაფას მიაპყრო.

— დღეს დაფაზე სამოცდათხუთმეტი უჯრედის მაგიერ ასი უჯრედი არის. ესე იგი, იყო 8×8, ახლა კი არის 10×10. ასე რომ, წარმოიდგინეთ ოვიკის ჭადრაკის კომბინაციათა სიმრავლე. ბილიონი წლებიც რომ აცხოვრეს ადამიანმა, ამ ჭადრაკის კომბინაციებს სავსებით მაინც ვერ ამოსწურავს. სომ ხედავთ, განმანადგურებლებს განაპირა უჯრედები უჭირავთ. ეს სწორია, განმანადგურებლებს სქირდებათ თავისუფალი არე, რომ ზედ გადაჭრენა და მეფისათვის მიშველება ადვილად შეიძლონ (a1 უჯრედზე მყოფ განმანადგურებელს შეუძლია გადავიდეს c4 ან d3; k1 შეუძლია h4-ზე, ან g3-ზე). შემდეგ ამავე განმანადგურებელს აქვს კუსავით სვლის უფლება (მაგალითად, განმანადგურებელი a1-დან c4-ზე გადასული ამ ხაზის დიაგონალზე იაროს, ე. ი. ეს ფიგურა რომელ უჯრედზეც იქნება, იმგვარ კუდ შეუძლია იქცეს). ადგილის შეცვლისთანავე ეს კუც შეიცვლება. ასე რომ, ერთსა და იმავე განმანადგურებელს ხან თეთრ და ხან შავ ხაზზე შეეძლია იაროს. მაგრამ აქ საქმირია აღვნიშნოთ, რომ განმანადგურებელის სვლები მარტო ამით არ ამოიწურება. მათ უფლება აქვთ, როგორც მეფეს, თავის გარშემო რვა უჯრედზე მოწინააღმდეგე გაანადგურონ (მაგალითად: c4-ზე მდგარს მას შეუძლია მისწვდეს c3, c5, d3, d4, d5, f3, f4, და f5). ეს მისი შესაძლებლო-

ბა ივიკს ყუმბარის აფეთქების ძალას მოაგონებდა და ტყუ-
ილა არ უწოდებია მას ამ ფიგურისათვის განმანადგურებელი.

— კარგი, მაგრამ რა საჭირო იყო ამ რთული თამაშის კი-
დევ უფრო გართულება? — იკითხა გიორგიმ.

— ამის საჭიროებას გრძნობდნენ თქვენი დროის მოჭადრა-
კენიც და ჭადრაკს საყაიმო სიკვდილს უქადდენ.

— პირადად ჩემთვის ძველი ჭადრაკიც რთული რამ იყო
და სხვისთვის რა მოგასსენოთ? მაგრამ, ყოველ შემთხვევაში,
მე მაგ ფიგურას სხვა სახელს დავარქმევდი, მაგალითად,
ვეფხვს, ქამელეონს, არა... მაგ ფიგურას ქამელეონი უფრო
შეეფერებოდა. რას იტყვით თქვენ, პატივცემულო აირა?

— სახელწოდების უფლება ამ ფიგურის შემქმნელს უნდა
დავუტოვოთ, — უპასუხა აირამ.

— რამდენად ძლიერი ფიგურა ყოფილა ეს განმანადგურე-
ბელი. თავის სახეს ერთი შეტრიალებით იცვლის: ხან მსედ-
რია, ხან მეფეა და ხან კუ. სად როგორ მოუხდება, იმგვარად
იცვლება. მაგისთვის ივიკს არტისტი რომ დაერქმია მგონი
არაფერს წააგებდა!

აირას გაეცინა.

— მგონი გადავაჭარბე, — თქვა გიორგიმ, — მაგრამ ერთი
რამ უნდა აღვნიშნო: განმანადგურებელი ახალ რაზეს მაინც
არ წარმოადგენს, ეგ არის მეფის, გადიდებული მსედრისა და
კუს სვლის ერთ ფიგურაში გაერთიანება.

— რასაკვირველია, სულ ახალი ფიგურის გამოგონების
პრეტენზია არც ივიკს ჰქონდა. თვით დაფის გადიდების საჭი-
როება ჯერ კარერომ, მერე პიაჩენცამ და თქვენ დროს კაპაბ-
ლანკამ წამოაყენა, მაგრამ ივიკის ფიგურები, როგორც თავის
სახელით, ისე სვლებით ძირითადად განსხვავდება მათ მიერ
ნარჩენევ ფიგურებიდან. ამ ფიგურებს კაცობრიობამ უპირა-
ტესობა მიანიჭა, როგორც რეალური ომების უკეთ გამომხატ-
ველს და ჭადრაკის პრინციპებთან შეთანხმებულ თამაშს.

— მე კიდევ არ მესმის, რა საჭირო იყო ამ განმანადგუ-
რებლის ასეთი დიდი ნაბიჯით სვლა? (მაგალითად a1-დან
იგი c4-ან d3-ზე გადადის).

— დაფის გადიდებამ 64-დან 100 უჯრედამდის თავისთავად
გამოიწვია ასეთი ფიგურის შექმნის აუცილებლობა. იგი სულ
რამდენიმე სვლაში დაფის ერთი კუთხიდან მეორემდის უნ-

და აღწევდეს. მაგრამ, რაც უფრო დიდი იქნება მსედრის მსგავსი ფიგურის ნაბიჯები, ის დიდია, იგი მით უფრო სუსტი იქნება. და ამ სისუსტის საკომპენსაციოდ განმანადგურებელს ივიკმა კიდევ კუსა და ცხენის უკლებები მიანიჭა.

— ძალიან კარგი, — თქვა გიორგიმ, — ეს ფიგურები უკვე გავიცანი. მაგრამ რა საჭიროა ეს პაიკის მაგვარი ფიგურები პაიკთა წყებაში?

— მათ ზემდეგებს ეძახიან. სომ გახსოვთ, თქვენ დროს ვის ჰქვიოდა ზემდეგები?

— როგორ არა, მახსოვს. ზემდეგები ჯარისკაცების უშუალო უფროსნი იყვნენ.

— ზემდეგებს, როგორც ხედავთ, განმანადგურებლების წინ უშირავთ ადგილი. ყოველი მათგანი წინამძღოლობს ოთხ ჯარისკაცს, ორივე კი იქით-აქეთ, რვა ჯარისკაცს, ყოველთვის წინ და განზე მიდიან. კლავენ პირდაპირ და განზე.

— როგორ პირდაპირ და განზე? ამიხსენით.

— მაგალითად: ზემდეგი დგას a2-ზე, მას შეუძლია წავიდეს და იმოქმედოს a3-ზე, b3, a4, c4, a5 და d5; ზემდეგს c5-ზე მდგომს შეუძლია კიდეც მოკლას ფიგურა და კიდეც გადავიდეს c6, b6, d7, a7, b7, c7, d7, e7.

— მაშასადამე ჩანგლურად?

— დიახ, სწორედ სამწვეტიან ჩანგალს წააგავს მისი მოქმედება. რომელი წვეტიც სურს, იმით იმოქმედებს.

— ძალიან კარგი, მაგრამ პაიკების სვლა თუ ძველი დარჩა, მაშინ ხომ საუკუნეებით უნდა უცქიროთ პარტიის დასრულებას? მაშინ ხომ დაკარგვია ჭადრაკის თამაშს დინამიურობა? მაშინ ჭადრაკი დაბრუნებია ძველ არაბულ თამაშს და ივიკს იგი მოუკლავს?

— თქვენი შიში უსაფუძვლოა. პაიკები პირველ სვლაზე სამ ნაბიჯამდის აკეთებენ; ასე რომ, საბრძოლველად პირველი სვლიდანვე პირისპირ არიან. რასაკვირველია, ეს ნაბიჯი შეიძლება ყველა მოთამაშემ არ გააკეთოს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას თიოო ნაბიჯის გადადგმით დაუახლოვდეს. ეს მოჭადრაკის ბრძოლის საქმეა (მაშასადამე, პაიკს c2 შეუძლია c3, c4, და c5 დაკავება ერთი სვლით, ერთი ნასტომით). შემდეგ თამაშის პროცესში ყოველ პაიკს ორ უჯრედზე გადასტომის საშუალება ეძლევა, რასაკვირველია, „ან პა-

სანის“ წესის დატოვებით, როგორც პაიკებისათვის, აგრეთვე ზემდეგებისათვის. მხოლოდ სავ ლოდებულია მე-9 საზრე შეჩერება, რაიმე ფიგურად გადაცვლის წინ.

— საინტერესო უნდა იყოს ძალ ჭადრაკით თამაში, — თქვა გიორგიმ და ჭადრაკის დაფას დაავლო ხელი.

— მოთამაშეებს დიდი სიფრთხილე ჰმართებთ, განსაკუთრებით, განმანადგურებლისა. იგი ამა თუ იმ ფიგურას მალულად მაეპარება და პირდია მოთამაშეს ხელ ადგ ნ ვეფხვივით გამოჰგლეჯს.

— როგორ არის როჭის საკითხი? — იკითხა გიორგიმ.

— ცხადია, ამგვარ პირობებში რაკეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იგი ალარ არსებობს.

— აჰა, მეორეჯერ შამათი! — თქვა სიამაყით ფრაოლამ.

მეტის არ უნდოდა მისი დამარცხება მაყურებლებს ღრმად ჩარჩენოდათ, ანიტამ მან ფიგურები უცებ დაანგრია, ფრაოლას ზემდეგი და განმანადგურებელი თავის მეფეს მოაშორა და თვითონ დაიდგა.

გაცოცხლებული მეფე ახლა ფრაოლას წყლებ ნ ჩასთიშემა.

— კიდევ ერთი პარტია დაგვრჩა. ასასაც მოგიგებ და ხასამშრალს დავტოვებ, — დასცინოდა მეტის ფრაოლა.

— რა გაეწყობა? დღეს თავიდანვე რაღაც ცუდ გუნებაზე ვიყავი. ვიტყობდი, ჩემი საქმე იყიკის ჭადრაკში ცუდად დამთავრდებოდა. ამიტომ ვსთხოვე ამას, უფრო სერიოზულ მერინას ჭადრაკში ზეგმოდა და მაშინ ვნახავდით გამარჯვება ვის დარჩებოდა, — მეტმა სტუმრებს დარცხვენილად თვალი შეავლო.

ამ სიტყვებზე ფრაოლამ გადიკისკისა.

— რა გაცინებთ? — შეეკითხა მეტი.

— აშკარაა, ნუ ჭორავეულობ! — უპასუხა აირამ. — თუ ივიკის ჭადრაკში დამ რცხდით, მით უფრო მერინას რთულ ჭადრაკში დამ რცხდებოდით.

— რა თქვა წყლინ მეტმა? — იკითხა ცოტა ხნის ზემდეგ გიორგიმ. — მერინას ჭადრაკი?! ეს რაღა არის?

— ეს არის ჭადრაკის კიდევ უფრო რთული ფორმა, მაგრამ მის ანალიზ-განმარტებას შემდეგ შევეცდებით, — უპასუხა გიორგიმ.

— არ მესმის, რა საქმირო იყო ძველი ქალაქის ივიკის ჭადრაკზე შეცვლა? ან ივიკის ქალაქის კიდევ უფრო გართულებთ? არ მესმის, და ათასგვარადაც რომ განმიმარტოთ, მაინც ვერ მივხვდები...

გიორგი და აირა ლაპარაკში იყვნენ გართულნი. მესტი და ფრანოლა გაშაგებით იბრძოდნენ. მათ ერთა სიტყვაც არ ესმოდათ აირასა და გიორგის ლაპარაკისა. გიორგისთვის უცნაურ სანანილეოს მოგების სურვილმა ეს ასაღგაბრდები იმდენად გაიტაცა, რომ ყველაფერი დავიწყდათ. გიორგი ხედავდა, რომ ხშირად ესა თუ ის მხარე ბრძოლაში ხან ზემოდგებს, ხან დედოფალს და ხან არწივებს გაუშვებდა.

მალლად ისმოდა მათი „ფრთხილად!", „ღედოფალი მოაშორე!" „ქიშ!" და სხვ.

აირამ და გიორგიმ წასვლა დააპირეს. ამ ალლაში გადაუხედეს მოჭადრაკეებს და გამოემშვიდობნენ მათ. გამოშშვიდობებაზე მხოლოდ ფრანოლამ უპასუხა. მესტი ან ღ კომბინაციაში ისე იყო გართული, არც გაუგია აირასი და გიორგის წასვლა.

ნათესაობა

გიორგი და კარიოზი ღღეს ფუტბოლის შეჯიბრებიდან უკან ბრუნდებოდნენ. გზაზე გიორგი ღღევანდელ შეჯიბრებების შესახებ ლაპარაკობდა. გ ნსაკუთრებით ან მოსწონდა მას თეორხალათიანების მეტოშკრე, რომელსაც ლურჯსალათიანებმა ბოლოში სამი ზედმეტი ბურთი შეუყორეს.

— დიახ, სუსტი იყო, ასეთ მოთამაშეს, მგონია, მორკინალის ოპერაციამაც ვერაფერი უშველოს, — თქვა კარიოზმა.

— ვინ არის მორკინალი? — აღეღვებული ხმით იკითხა გიორგიმ.

— ეგ იყო ღიდი ექიმი ღარიალი, — უპასუხა კარიოზმა.

— მორკინალი?! მორკინალი!.. მორკინალ ღარიალი?! — გიკვირთ რამდენჯერმე გაიმეორა ეს სახელი გიორგიმ და თვალწინ თავისი ვაჟი და ოჯახი წარმოუღგა.

„მორკინალი ჩემ ღროს იშვიათი სახელი იყო საქართველოში... ღარწმუნებული ვარ, მე პირველად ღავარქვი ნეტს შვილს ეგ სახელი". — გაიფიქრა ცოტა ხნის შემღეგ გიორგიმ, მოწყენითა და სევდიანი გამომეტყველებით.

„მორკინალი"... — ზარსავით რეკდა ცოცხალი მოგონება საუკუნეთა სიღრმიდან.

ცნობისმოყვარეობის ეეცსლით ანთებული გიორგის თვალები წარსულის ბნელ სივრცეს ბურღივით სჭრიდა. მას სურდა გამოერკვია, თუ ვინ იყო ეს მორკინალი.

დღესავით ნათლად წარმოუდგა კარიოზის ნათქვამი. მორკინალი მის ვიერ სასწაულებრივ ოპერაციის გაკეთების დროს 65 წლის იქნებოდაო. მაშასადამე, როდესაც გიორგი გარდაცვლილა, იგი მაშინ 4-5 წლის იქნებოდა. რიცხვები ერთიმეორეს უდგება, მაგრამ ერთი რამ გიორგის მოსაზრებაში გაოცებას იწვევს. ეს არის გვარი — დარიალი, მაგრამ გვარის შეცვლა იმ ეპოქაში ხომ ადვილი იყო? ან შეიძლება ეს იყო მისი სალიტერატურო სახელი, მისი ფსევდონიმი?

— მგონია, ის დარიალი თქვენი შორეული ნათესავი ყოფილა? — უნებლიედ ჰკითხა გიორგიმ.

კარიოზი რატომღაც შეაკრთო გიორგის შეკითხვამ, მაგრამ მალე მიიღო ჩვეულებრივი იერი და უპასუხა:

— იგი ჩემი უშორესი წინაპარი ყოფილა... მგონი ბაბუის ბაბუა.

— უშუალო ნათესაობა გქონიათ.

— დიახ, დიახ.

— ნუთუ არსად შენახულა მისი სურათი?

კარიოზმა გადაწყვიტა: „ნახოს. საინტერესოა, თუ იცნობს?"

— რაგორ არა, დარჩენილია იმ დროის კინო-სურათი, გადაღებულია ისტორიული ოპერაციის სხვადასხვა მომენტი.

— რას მეუბნებით?! — სიხარულით წამოიძახა გიორგიმ და გაშლილი ხელებით კარიოზს კინოდამ ყელზე შემოეხვია.

— შინ მიეიდეთ და გაჩვენებთ.

გიორგის მთელი არსება შვილზე ფიქრმა წაიღო.

„ნეტავი მორკინალის გაცოცხლება შეიძლებოდეს, — ფიქრობდა გიორგი, — ნეტავი მოვესწრო მაშინ ჩემი აღმოჩენის გამოქვეყნება და ამ ამბავს მორკინალის ყურამდისაც მიეღწია. ის, ალბათ, ამას თავისებურად გამოიყენებდა და, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტ სასწაულებს მოახდენდა საექიმო მეცნიერებაში.

„მე აღარ დამცალდა ადამიანის გაცოცხლების პრობლემაზე მემუშავა. ამაზე ახლოდან ვოცნებობდი. ჩე მარტო იმას

მივაღწიე, რომ მიცვალებულის სრულებით უცილველად და უსრწნელად შენახვა თურმე შესაძლებელი ყოფილა არა რამდენიმე წლით, არამედ რამდენიმე საუკუნითაც. ამის მაგალითი ვარ თვითონ. ამის მაგალითია სტომის პანთეონი, სადაც მიცვალებულთა ნაცვლად ახლაც ხემი წამლითა და ხერხით აბალზამებენ სანგრძლივად დაძინების მსურველებს.

„მორკინალი აცდენია ჩემს აღმოჩენას. ის სხვა გზით წასულა. კარიოზის გადმოცემით, მორკინალი მხოლოდ სასწაულთმოქმედი დოსტაქარი ყოფილა. ის მკვდარს სიცოცხლეს ანიჭებდა დოსტაქრობით, ისიც ახლად მიცვალებულს და შედარებით ახალგაზრდას. როგორც ჩანს, მაშინდელ ადამიანთა სიცოცხლე არ ყოფილა მაინცდამაინც ჩვეულებრივ სიცოცხლეზე სანგრძლივი და მარცხისაგან დაზღვეული. ადამიანის სიცოცხლის შესამჩნევი გახანგრძლივება უფრო გვიან გამხდარა შესაძლებელი. სიკვდილის საბოლოოდ დაძლევა-კი, უკეთ სიბერის შეცვლა მარადიულ სიჭაბუკით, კვლავ მომავლის საქმეა.

„მაშასადამე, — განაგრძობდა ფიქრს გიორგი, — ახლანდელ ადამიანის სიცოცხლე თუმცა ხანგრძლივია, მაგრამ ამ ხანგრძლივობასაც ბოლო აქვს — სიბერე, შემდეგ სიკვდილი. სიბერემდე ადამიანს არავითარი საფრთხე არ ელის. რაიმე სიფათით დაღუპულ ადამიანისათვის სიცოცხლის დაბრუნება ამონელებს აღვილად შეუძლიანთ, ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ მორკინალის გამოცდილებასაც იყენებენ. მაგრამ სიბერით ესენიც ბერდებიან. ამათი ბოლოც სიკვდილია. ალბათ, ის მოსუცი ქალი, რომელიც გუშინ, თუ გუშინ წინ მე და აირამ ვნახეთ პანთეონში, სიკვდილის შიშმა აიძულა მანამდე იძინოს, ვიდრე არ იქნება მიღწეული სრული უკვდავება"...

— მივედით, — გააწყვეტინა ფიქრი კარიოზმა.

გიორგი უნებურად შეკრთა. მან კარიოზს რაღაც გაოცებით შესედა, მერმე თვალები მოისრისა, და აჩქარებულ ნაბიჯით თავის სამუშაო ოთახისაკენ გაეშურა. კარიოზი უკან გაჰყვა. ოთახში შესვლისთანავე მან აპარატი მომართა.

კედელზე სურათი გამოჩნდა. ჯერ მიცვალებულები შემოიტანეს. სანიტარები ფუსფუსებენ. ექიმები არსად მოჩანან. მაგრამ, აი, ექიმებიც შემოდიან. მკვდრებს ათვალიერებენ. შემოდის დარიალიც. იგი მკვდრებისაკენ ისრება, სინჯავს. კა-

რიოზი სდუმს, ის ყურს უგდებს მსოლოდ გიორგის მღელვარებას. გიორგიმ არ იცის რომელია დარიალი.. კ რიოზი მის აზრს უცდის. აჰა, თითქოს მან მორკინალი შეიცნო. იგი გიორგის სიმაღლე არის, მისი ბექეში და მიმსგავსება აქვს. მარჯვენა წარბის თავზე, შუა აღგილას, მისი ხალი მოსანს. დიას, თითქმის ყველაფერი მისი უნდა იყოს და გიორგის საშინელი ოცვრა აღმოსდა. გადაბლილი შუბლი და ცხვირი გიორგის უგავს. ის არის, ის...

მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოო დასარწმუნებლად ეს ნიშნები არ კმარა. თუ ამ კაცს ბავშვობაში უნებლიედ მარცხენა ხელის ნეკი გადაჭრილი აღმოაჩნდა, მაშინ ეს იქნება იმის უტყუარი საბუთი, რომ ის მისი შვილია. მაგრამ გიორგი ამას ვერ ხედავს. დარიალს თითქოს არ უნდა,რომ თავის ფიზიკური ნაკლი გამოამჟღავნოს. რადესაც დარიალმა ოპერაცია ბრწყინვალედ დაასრულა, მსოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი მისი ნაკლის დანახვა: მორკინალმა სისარულით მარცხენა ხელით თავის თანაშემწეებს უჩვენა, რომ ნაოპერაციებ ადამიანის გულმა ფეთქვა დაიწყო.

გიორგიმ გონი დაჰკარგა.

კარიოზს დიდი შრომა დასჭირდა მის მოსასულიერებლად.

— ჩემი... მორ...კი...ნა...ლი. ჩე...მი... მორ...კი...ნა...ლი, — ხელისნოდ ბუტბუტებდა გიორგი.

ცხარე ცრემლები წასკდა.

გიორგის ლაპარაკი აღარ შეეძლო, ცრემლები აღრნობდა, მსოლოდ იგი მორკინალის სახელს იმეორებდა:

— ჩე...მი მორ...მორკი...ნალი...

— მსიარული უნდა იყოთ, რომ თქვენი ვაჟი ნახეთ, — მღელვარე ხმით უთხრა კარიოზმა. — თქვენ კი ტირით, ეგ, მე მგონი, თქვენ არ შეიფერით.

ცოტა ხნის შემდეგ გიორგიმ ათრთოლებული ხმით წამოიძახა:

— ნუთუ შენა ხარ ჩემი შთამომავალი?.. — და მან კარიოზს შუბლში აკოცა, გულში ჩაიკრა.

ტიროდა გიორგი, ყველაფერს ტიროდა. იმასაც. რომ თავის დაკარგული შვილი დაინახა, რომ ბედიშის ბედიში ცოცხალი იპოვნა და უმთავრესად იმას, რომ იკი მათ წინაშე შერცხვა. ეს გრძნობები ერთიმეორეს სამკვდრო-სასიცოცხ-

ლოდ ერთმანეთზე. ს[illegible] ტანსაცმლში გა[illegible]
ცხოვრებას თან დასდევ[illegible].

ღამის ხელოვნური [illegible] [illegible].
კვლავ შეეთანადა. ბორკილები. ხანგრძლივი [illegible] გულზე ხელს
იდებდა. ხანდახან კარიოზს მამური [illegible] შესცქერდა.
მაგრამ მალე ამ ბედნიერ წამს ალრეს [illegible] მოგონებით
გამოწვეული შხამი უსახიზდა და თავლეებს უსასოოდ ხუ-
ჭავდა.

მას უსარგოდა, რომ ამ უკანა ჭკვიანაში, ამდენი საუკუნო-
ების შემდეგ შესვლა შეიძლებოდა; მაგრამ იმავე დროს
სწყინდა, რომ ნაცნობი კარიოზი [illegible], ის კარიოზი,
რომელსაც მან სარეველი შეუბღალა.

„ეს რა საბედისწერო შეცდომა მოამოვიდა, — ფიქრობდა
გიორგი, — მე ის მტანჯავდა, რომ ნეგობარს ვუღალატე, კა-
რიოზი-კი მეგობრის გარდა თურმე ჩემი ახლობელი, ჩემი
მორკინალის სისხლი და ხორცი ყოფილა. ვაი შენ ჩემო თავო,
ვაი უბედურთ გიორგი!"

მეოთხე დაცემა

მეტად საძულო იყო გიორგისათვის უკანასკნელი ამბების
გამოაშკარავება.

ის გაურბოდა აირასთან შეხვედრას. კარიოზსაც ირიდებ-
და თავს. თოთხიდან იშვიათად გამოდიოდა. ერთხელ ხარ-
ტოლობით დასეფლიანებულმა გადასწყვეტა ქართველი პოეტები
მოეკლინა. მან ალარაფი მომართა, ბერნი სავაბეველში წავიდა
და ოცდარ კუდელს მიაბერდა.

[illegible]ისმა ბაკურიშვილმა ხმა. ეს პოეტი მასზე კარგ შთაბეჭ-
დილებას სტოვებდა. მალე ბაკურიშვილი მოიზიდოდელმა
ნაბადურმა შესცვალა.

„ნაბადური ერთობ დიდი პოეტია! — ფიქრობდა იგი. —
იმას ვერავინ შეედრება, ქართული სიტყვა გასაოცარი ოს-
ტატობით დაუწყვია და აუმღერებია. ნაბადური უთუოდ გე-
ნიალური. იგი ბოთლაზე უნიჭიერეს მწვერვალად მოჩანს"...

„ალბა ჩემ ნაცნობ მომღერლებს [illegible] — [illegible]
და მის ფანაში ერთ[illegible] [illegible] [illegible] [illegible],
ტანინ, კარუბაშ და სხვები.

გიორგის მაღლე მოსწყინდა ყველაფერი ეს, ზეზე წამოდგა, აპარატი შეაჩერა და, რადგანაც საათი დაბნელების დროს უჩვენებდა, საწოლ ოთახში შევიდა, დასაძინებლად.

უეცრად კარებზე ფრთხილი კაკუნი შემოესმა.

— ვინა ბრძანდებით? — შეეკითხა გიორგი.

— აბა გამოიცანი! — უპასუხა ხმამ.

გიორგიმ წამოსასხამი მოისურა და სტუმარს კარი გაუღო.

— შენა ხარ? — აირთოლებული ხმით მიესალმა იგი აირას. — ჩემო ძვირფასო, ჩემო მბეჭედიერთ!..

— ჩემი სტუმრობა ხომ არ გეეცლება? — ღიმილით შეეკითხა აირა და ხელი თავზე გადაუსვა.

გიორგიმ აირას ნაზი ხელი უხმოდ გულზე მიიკრა.

— კარიოზი სად არის? — იკითხა შიშით გიორგიმ.

— თავის ოთახში მუშაობს. იგი ისეა თავის ლაბორატორიით გართული, რომ დილამდის თავაუღებლივ იმუშავებს.

გიორგი ღელავს. მას თანდათან იპყრობს აირას სიყვარული — ყველაფერი ბურუსში ეპვევა. ყველაფერი დავიწყებას ეძლევა. მას სურს კვლავ დაეწაფოს აირას ვარდისფერ ტუჩებს, კვლავ იგრძნოს მისი ტანის მსუბუქალება, მაგრამ უცერ გონს მოეგება და თავს იკავებს.

გიორგი ქალს ხელს უშვებს და უხმოდ ჯდება. აირამ შეატყო ეს ცვლილება და ოდნავ გაოცებით ჰკითხა:

— გიორგი, რა მოგივიდა?

— არაფერი!

— მართალი თქვი!.. გატყობ რაღაც გაწუხებს.

— ის მაწუხებს მხოლოდ, რომ კარიოზს ასე უტიფრად ვქურდავ.

— მისი ცოლის სიყვარულის კლეპტომანია გაწუხებთ? — დამშვიდებული ღიმილით იკითხა აირამ. — ეს არაფერია! შენ უკვე იცი, როგორ მიყვარდი. გავიხსენე შენ ბავშვობიდან სამი წლის წინათ. შემხვდა კარიოზი, შენი პირდაპირი შთამომავალი, ახალგაზრდა და დარბაისელი. იგი შენი სიყვარულის გამო შემიყვარდა. მაგრამ ამჯერად ის თითქოს ძველს კიდეც, რადგანაც შენში მას აშკარა მოგონებაზე გამოეცხადა.

— ტყუილია, კარიოზს ვერავითარ ქალთან ვერ გავიგებ, არც მსურს, არც მიფიქრია.

— ჩემი შეყვარებით შენ უკვე სარ კარიოზის სეტოქე, ცხა-

დია. შენი კრძალვა თუ შიში გვიანია. დიას, ჩე ვხედავ, შენ გეშინია, მაგრამ ერთხელაც იქნება ხომ ყველაფერი უნდა გამოაშკარავდეს. ან რა გვაქვს დასამალი, საშიშო?

— რა უნდა გამოაშკარავდეს? — იკითხა შეშფოთებული ხმით გიორგიმ.

— ჩვენი სიყვარული.

— არასოდეს!.. ეგ სიგიჟე იქნება, — თქვა გიორგიმ.

— გრძნობისა და სურვილების დაფარვა დღეს შეუძლებელია. მეტსაც გეტყვი: სულ ჩვენი ურთიერთ დამოკიდებულება კარიოზისათვის აშკარა შეიქნება.

— რა თქვი?!. — გიორგი გაფითრდა.

— დიას, — მოკლედ მოსჭრა აირამ.

ამ პასუხს გიორგის ერჩია თავზე მესი დასცემოდა.

— როგორ? — იკითხა მან ძლივსძლივობით.

— კარიოზს სურს შენ გაგაცნოს კაცობრიობის კიდევ ერთი საინტერესო სიღწევა. ეს არის რადიო-აზრების მიმღები აპარატი. იმავე აპარატით კარიოზს შეუძლია გაიგოს შენი ფიქრი, შენი აზრი. მოკლედ შენი და ჩემი საიდუმლო.

— როგორ თუ რადიო-აზრების მიმღები აპარატი? — გიორგი უნებლიეთ წამოდგა. — განა ეხსებობს ასეთი რამ?

— ამ აპარატის გაკეთების ცდები შენ დროსაც იყო. გაისსენე, თუ გნებავს, იტალიელი მეცნიერი კაცამალა, მაგრამ მან სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. შენმა მომდევნო ეპოქამ ეს იდეა დაგვიბრუნა. დიდი ხნის წინათ სასამართლოები ამგვარი აპარატებით უკვე სარგებლობდნენ. ამა თუ იმ პირის ბოროტ საქმეს და განზრახვას ეს აპარატი ააშკარავებდა.

გიორგიმ აღელვებით ტუჩზე იკბინა.

— ამ აპარატის ხმარების დროს ადამიანის ყოველგვარი აზრი და სურვილი ჩვენს წინაშე სარკესავით გადმოშლილია. ყოველგვარი საიდუმლო და ზრახვები, რაც სუბიექტისათვისაც კი ნათლად გარკვეული არ არის, ამ აპარატში რელიეფურად მოჩანს.

— დავიღუპე, დავიღუპე! — გიჟივით იმეორებდა გიორგი.

— არ მესმის, რამ დაგღუპა?

გიორგი თითების მტვრევას შეუდგა.

მან ოთახში ჩქარი, ნერვიული სიარული დაიწყო.

განთიადი მოახლოებულა. [illegible] ბაღლებში

გალვიძებული ფრინველები დიდი ზეიმით ეგებებოდნენ. ფანჯარაში შაშვის ჭახჭახი შემოიჭრა. აირა უცებ შველივით შემოტრიალდა, გიორგის კისერზე მოესვია და უთხრა.

— ნუ სწუხარ, არაფერიც არ იქნება, ჩემო კარგო, ნახავ ამდის.

გიორგიმ თავისთვის ვერ გაიგო აირას გამამხნევებლობება. შეა თავსში, უმწეოდ შეჩერებული ფიქრობდა, როგორ დაეღწია თავი შექმნილ მდგომარეობისაგან. რ. დიდ-ამბრების მიმღები აპარატი მისთვის გილოტინად იქცა.

„მაშ კარითში ყველაფერს გაიგებს? სირცხვილი

„როგორ მოვიქცე? ყველაფერი გამოხნდება, ყველაფერი გამოთაშკარავდება. გავიქცე? მაგრამ სად? როდის? როგორ? საცაა კარითში შემოვა.

„არა ,არა. მე მოვიკლავ თავს, ვიდრე მოსდგებოდეს ეს სამარცხვინო ამბავი", — ამბობდა გამწარებული გიორგი.

ბალიდან შაშვების გალობა ესმოდა.

გიორგი კედელს მიაწყრდა. თვალში ეკლავით შეესო სისხლისფერი ორი ცოცხი. ეს ცოცხები მოთავსებული იყო კედლის ბატარა კალენდარზე. იგი 27 აგვისტოს უჩვენებდა.

ერთი თვე გასულა, რაც გიორგიმ გაიხილვია.

„კაბალისტიკოსი არასოდეს არ ვეთფილვარ, მაგრამ 27 მაინც არ მყვარებია. რატომ? არ ვიცი. შესაძლებელია იმიტომ, რომ ანბანული ორიანი უდანაშაულების შხამიან, დაგრაგნილ გველს, ან სიცრუეზეულს მარეუეს მაგონებს და შვიდიანი კი ნისკარტიან, ლეშის მოყვარულ სვავს".

ცოტა ხნის შემდეგ მან სასოწარკვეთილებით ჩაილაპარაკა:„27 აგვისტო. ეს ხომ ჩემი გარდაცვალების დღეა?"

ქ[illegible] ანთებდა. ქუჩებმა გაიღვიძეს და მკვიანარეებივით ამოძრავდ[illegible]ნ.

რვა ს[illegible] სრულდებოდა.

კარ[illegible] გიორგის თავისის კარებზე დააკაკუნა.

გიორგი [illegible] ფეხზე ადგა [illegible] ფიქრობდა.

როგორ [illegible] გაუღოს კარები, თუ არა?

კარითში კვლავ დააკაკუნა.

— ასლავე, პატივცემულო კარიოზ, ასლავე! — ღაიმ სა მან და უნებურად კარი გაუღო.

კარიოზი შემოვიდა. გიორგის თვალის უპეებისათვის თითქოს შაბიამანის სიოსე მოესსათ. თმა აბურდული და აწეწილი ჰქონდა. კარიოზის თვალს ეს ამბავი არ გამოპარვია. მან გიორგის ტკბილად მიმართა:

— მგონი, თქვენ რაღაც გაწუხებთ, მაგრამ ისეთი ხელსაწყო მოგიტანეთ, რომ უთუოდ გაგამხიარულებთ და დაგამშვიდებთ.

— ეგ არის?! — იკითხა უცებ გიორგიმ და გაქვავებული სახით მიაშტერდა მას.

— დიას, ეს ხელსაწყო რადიო-აზრების მიმღებია. უკეთ რომ დარწმუნდე ამ აპარატის გულთმისნობაში, თუ ნებას მომცემ, მე მას ვცდი თქვენზე.

გიორგის უნდოდა კარიოზისათვის რაღაც ეთქვა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. სიმინელი სისუსტე იგრძნო. მის გელში რაღაც ასმაურდა. კარიოზი აპარატს აწყობდებდა.

შემდეგ გიორგის გულის ცემა უცებ შეუჩერდა. კარიოზს პირი მოიბრუნა:

— შეიძლება საქმეს შევუდგეთ, — თქვა მან, მაგრამ გიორგის სახეს სახიფათო ცვლილება შეატყო.

იგი მივარდა წასაქცევად მომზადებულ გიორგის და წამით შეაკავა, მაგრამ უკვე გვიან იყო. გიორგი ჩაიკეცა. კარიოზმა იგი სავარძელში ჩააწვინა. ცოტა ხნის შემდეგ მაჯა გაუსინჯა, მაგრამ მისი ცემა უკვე შეწყვეტილიყო.

კარიოზმა რადიოთი მთელ ქვეყანას ამცნო ახალი ამბავი: „გიორგი მოკელი. მოულოდნელად გარდაიცვალა!"

მილიარდი რადიო-თვალი წამით გიორგის მიაჩერდა.

აირამაც მოირბინა. იგი მოკლე, მარწყვისფერ ტანსაცმელში გამოწყობილიყო. მისი აწეული მკერდი აჩქარებით სუნთქავდა, თვალები ნაკვერცხლებივით ანათებდა.

— რა დაემართა? — იკითხა მან.

— გარდაიცვალა, — მიუგო კარიოზმა.

სარჩევი

ა. აბაშელი
ქალი სარკეში 5
ი. ყიფიანი
ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ 203

Абашели Александр Виссарионович

Женщина в зеркале

Киппиани Иван

Амон

Фантастические романы

(На грузинском языке)
Издательство «Мераниа», пр. Руставели 42
Тбилиси, 1987

რედაქტორი ლ. არაბიძე
მხატვარი ს. ცინცაძე
მხატვრ. რედაქტორი კ. ზენაიშვილი
ტექრედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორები: ე. ჩიკაშუა, რ. გოცირიძე
გამომშვები ნ. ხავთასი

ს. ბ. — 3730

ჩაბარდა წარმოებას 29.12.86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.08.87 წ. ფორმატი 84×108¹/₃₂. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ივერია. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 21. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 18,92. პირობითი საღებავ-გატარება 21.
ტირაჟი 100.000. შეკვ. № 494;
ფასი 8 მან.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის 42. თბილისი. 1987

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.